ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სპეკალი

რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი

№ 13

2019

ISSN – 1987-8583

სამეცნიერო რედაქტორი: ნანა გაფრინდაშვილი

სარედაქციო საბჭო:

ზაზა ალექსიძე (*საქართველო*)

ვინფრიდ ბოედერი (*გერმანია*)

იოსტ გიპერტი (*გერმანია*)

რისმაგ გორდეზიანი (*საქართველო*)

ლიუდმილა გრიციკი (*უკრაინა*)

თედო დუნდუა (*საქართველო*)

დარეჯან თვალთვაძე (*საქართველო*)

ქევინ თუითი (*კანადა*)

ლუიჯი მაგაროტო (*იტალია*)

მარიამ მირესაშვილი (*საქართველო*)

ზაზა სხირტლაძე (*საქართველო*)

ბერნარდ უტიე (*საფრანგეთი*)

ნინო ქებაძე (*აშშ*)

გაგა შურღაია (*იტალია*)

ელგუჯა ხინთიბიძე (*საქართველო*)

შტეფი ხოტივარი-იუნგერი (*გერმანია*)

სტივენ ჯონსი (*აშშ*)

მიშელ ჰართმანი (*კანადა*)

ალისა ჰარისი (*აშშ*)

ირმა გრძელიძე (*საქართველო)*

ალექსანდრე კარტოზია (*საქართველო)*

ეკატერინე ნავროზაშვილი (*საქართველო)*

ანა მოსაშვილი

ქართულ-ამერიკული დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება

როგორც ცნობილია, 1991 წლის 31 მარტი საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი თარიღია, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი ჩაატარა [რადიო თავისუფლება, 2016]. მალევე რეფერენდუმის საფუძველზე, საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტზე დაყრდნობით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა [დოღონაძე, 2002:10]. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებიდან (საქართველოს, როგორც სუვერენულ ქვეყანას) აღიარება არ მოჰყოლია. აქედან გამომდინარე, აუცილებელი იყო აქტიური და მიზანმიმართული დიპლომატია პოლიტიკური ურთიერთობების დასამყარებლად და გასავითარებლად. ამერიკის შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მხრიდან დამოუკიდებლობის გამოცხადების პროცესს მხოლოდ 1991 წლის 12 დეკემბერს გამოეხმაურა. შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა ქალაქ პრინსტონში გამოსვლისას, პირველად ილაპარაკა წარსულ დროში საბჭოთა კავშირზე [დოღონაძე, 2002:18]. ჯეიმს ბეიკერმა განაცხადა: „საბჭოთა კავშირის დამხობის შემდეგ, ჩვენ ახლა ვცხოვრობთ ახალ ეპოქაში“[დოღონაძე, 2002:18].

ჩემი აზრით, ბეიკერის ზემოხსენებული პოლიტიკური გზავნილები მოწმობს იმას, რომ შტატები იძულებული იყო ახალ მსოფლიო წესრიგს შეგუებოდა და მოცემულ ვითარებაში პოლიტიკური ლავირების მეთოდისთვის მიემართა – საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციასა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკის ქვეყნებთანაც დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინა.

ფაქტია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიხეილ გორბაჩოვს, საბჭოთა კავშირის პირველ და უკანასკნელ პრეზიდენტს, ბოლომდე უერთგულა. მიუხედავად ამისა, შტატებს ახალი გეოპოლიტიკური რეალიების იგნორირება აღარ შეეძლო. ვაშინგტონმა, ისევე როგორც დანარჩენმა მსოფლიომ, იცოდა, რომ პოლიტიკური ავანსცენიდან გაქრებოდა. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატები მზად იყო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში სოციალური აფეთქების თავიდან ასაცილებლად, გადაუდებელი ეფექტური უცხოური დახმარება გამოეყო [დოღონაძე, 2002:18]. რასაკვირველია, დასავლეთს სჭირდებოდა იმის დემონსტრირება, რომ ყოფილ საბჭოთა ხალხებს ისინი მარტო არ დატოვებდნენ და უკეთესი ცხოვრების პირობები წინ ჰქონდათ.

ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური ერთგულება საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესის ბოლო დღეებში, ჩემი აზრით, გასაკვირი არაა, რადგანაც ამერიკული მხარე კარგად ხედავდა სამხრეთ კავკასიის რთულ და მრავალფეროვან მდგომარეობას, რელიგიური, პოლიტიკური თუ გეოგრაფიული კუთხით. აქედან გამომდინარე, ალბათ, ის საფრთხეს ტერორიზმის რეგიონში გავრცელების, არეულობისა და დაპირისპირების სახით ხედავდა. რასაკვირველია, ამერიკის შეერთებულ შტატებს საფრთხის შემაკავებელი მთავარი გარანტი – საბჭოთა კავშირის სახით კვლავ სჭირდებოდა.

ამერიკის შეერთებული შტატებისთვის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა იყო ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საკითხი. ჯეიმს ბეიკერმა განაცხადა, რომ ისინი არ დაუშვებდნენ ბირთვული იარაღისა და ტექნოლოგიების გადინებას საზღვარგარეთ. შტატები ასევე პასუხისმგებლობას იღებდა ექსპერტებისა და სპეციალისტების დასაქმებაზე, რათა მათი პოტენციალი ხელში არ ჩაიგდოთ ,,აღმოსავლეთის დიქტატორებსა'' და სხვა პირებს [დოღონაძე, 2002:19].

ჯეიმს ბეიკერის განცხადებით, რუსეთმა, უკრაინამ, ყაზახეთმა, სომხეთმა და ყირგიზეთმა გამოავლინეს დემოკრატიული იდეალებისადმი თავისი ერთგულება და, აქედან გამომდინარე, მათ დაიმსახურეს შეერთებული შტატების მხარდაჭერა

[დოღონაძე, 2002:19]. საქართველო და აზერბაიჯანი კი „შავ სიაში“ მოხვდა. ჯეიმს ბეიკერის აზრით, ამის მიზეზი საქართველოს პრეზიდენტი – ზვიად გამსახურდია გახლდათ. შესაძლებელი იყო, საქართველოში კომუნიზმი ტოტალიტარულ რეჟიმს შეეცვალა [დოღონაძე, 2002:19]. ნათელია, რომ შეერთებული შტატების იმჟამინდელი მთავრობა საქართველოში ზვიად გამსახურდიას მმართველობის სტილითა და მეთოდებით კმაყოფილი არ იყო, ამიტომაც დამოუკიდებლობის ცნობისა და, აგრეთვე, საქართველოს დასავლეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების პროცესები ჭიანურდებოდა.

რაც შეეხება, ზვიად გამსახურდიასა და ჯორჯ ბუშის (უფროსი) ურთიერთდამოკიდებულებას, უნდა აღვნიშნოთ, რომ გამსახურდია ამერიკელი კოლეგის იდეას, საბჭოთა კავშირის შენარჩუნების აუცილებლობაზე კატეგორიულად არ ეთანხმებოდა [შურღულაია, 2011]. მეტიც, გამსახურდია ბუშს მიხეილ გორბაჩოვთან საიდუმლო გარიგებებში ადანაშაულებდა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, 1991 წლის 9 ნოემბერს, როდესაც ჯეიმს ბეიკერი ედუარდ შევარდნაძესა და მიხეილ გორბაჩოვს მოსკოვში შეხვდა, ამერიკელმა დიპლომატმა განაცხადა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას შტატები არ ცნობდა [შურღულაია, 2011]. ზვიად გამსახურდიას მთავრობის ურთიერთობაც ამერიკის შეერთებულ შტატებთან ამით დამთავრდა. საბოლოოდ, შტატებმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ცნობა თვენახევრიანი ინტერვალით დააგვიანა, თუმცა იმ დროისთვის საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, პოლიტიკური ვითარება უკვე მკვეთრად შეცვლილი იყო.

1991 წლის 25 დეკემბერს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ჯორჯ ბუში (უფროსი), მიესალმა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს და მათთან დიპლომატიური ურთიერთობების სწრაფად დამყარების აუცილებლობაზე ისაუბრა [დოღონაძე, 2002:22]. საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტი – ზვიად გამსახურდია ამ უმნიშვნელოვანესს გადაწყვეტილებას პარლამენტის შენობის ბუნკერში შეხვდა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ჯორჯ ბუში (უფროსი),ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნავდა: „ამერიკის შეერთებული შტატები დღეს, ასევე აღიარებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ექვს რესპუბლიკას – მოლდოვას, თურქმენეთს, აზერბაიჯანს, ტაჯიკეთს, საქართველოსა და უზბეკეთს. ჩვენ დავამყარებთ დიპლომატიურ ურთიერთობებს მათთან მაშინ, როდესაც დავრწმუნდებით, რომ მათ იკისრეს საპასუხისმგებლო ვალდებულებები უსაფრთხოების პოლიტიკისა და დემოკრატიული პრინციპებისადმი, ისევე როგორც, ეს გააკეთეს იმ სახელმწიფოებმა, რომლებსაც დღეს ვაღიარებთ“[დოღონაძე, 2002:22].

სწორედ, რომ 1991 წლის 25 დეკემბერია, ის საწყისი თარიღი, რომელიც საფუძვლად უდევს ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებს. საქართველოს პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია, ვაშინგტონის ამ გადაწყვეტილებას პარლამენტის შენობის ბუნკერში შეხვდა და მალევე ქვეყანა დატოვა. საქართველოში სამოქალაქო ომი დაიწყო, რაც საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე უარყოფითად აისახა.

1992 წლის თებერვალში აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ბეიკერი, საბჭოთა კავშირში შემავალ ყოფილ და ამჟამად დამოუკიდებელ სახელმწიფოებს ესტუმრა. თუმცა, საქართველოში ის არ ჩამოსულა. 1992 წლის 19 თებერვალს მოსკოვში, სასტუმრო „ოლიმპიკ პენტაში“, საქართველოს პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, ჯეიმს ბეიკერს შეხვდა. საქართველოს მთავარი მიზანი შეერთებული შტატების მხარდაჭერის მოპოვება და გაეროს უშიშროების საბჭოში გაწევრიანება იყო [ჩიკვაიძე, 2017].

უახლესი საქართველოს ისტორიაში, ჩემი აზრით უმნიშვნელოვანესია, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის ჯერ აღდგენა, ხოლო შემდეგ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება.

1992 წლის მარტიდან მოყოლებული საქართველოს ხელისუფლება შტატებიდან დიპლომატიურ გზავნილს ელოდა, რათა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო

გაიხსნილიყო და პოლიტიკური ურთიერთობები დამყარებულიყო. ჩემი აზრით, ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები საკმაოდ მალევე დამყარდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თითქმის 4 თვეში, რაც მიანიშნებს იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ამერიკის შეერთებული შტატებისთვის სამხრეთ კავკასიაში დიპლომატიური მისიების გახსნა და მათ შორის პირველ ქვეყანაშიც, საქართველოში.

საბოლოოდ, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში 1992 წლის 23 აპრილს გაიხსნა. ამერიკული მხარე მოხარული იყო ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებით და აღნიშნავდა, რომ გახსნაში მონაწილეობდა საქართველოს მთავრობის მეთაური ედუარდ შევარდნაძე და სხვა წევრები. ქართული მხარის გარდა, აღნიშნულ საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდნენ ამერიკული საზოგადოების წარმომადგენლები და ამერიკელი სენატორი ალან კრანსტონიც [TutwilerA,1992]. ჩემი აზრით, ამერიკელი სენატორის სიმბოლური დასწრებაც იმის დასტური იყო, რომ ამ დიპლომატიურ ღონისძიებას ამერიკული მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან მალევე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა 1992 წლის 2 ივლისს საგარეო დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი, კენტ ბრაუნი, ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ოფიციალურად დაინიშნა [Bush,1992].

როგორც აღვნიშნე, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირის დაშლის და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების აღიარების შემდეგ,ზემოხსენებულ ქვეყნებში ოფიციალური ვიზიტები დაგეგმა. 1992 წლის 3 თებერვალს, ცნობილი გახდა, რომ შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი რუსეთის ფედერაციას ესტუმრა [Tutwiler B.1992]. მიუხედავად ამისა, ამერიკული მხარე ჯერჯერობით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკების ქვეყნებში ოფიციალურ შეხვედრებს არ გეგმავდა. ამერიკული მხარის ინტერესებში ამ ეტაპზე აზერბაიჯანი, მოლდოვა ან საქართველო არ შედიოდა. ამის

მიზეზი კი, ჩემი აზრით, საქართველოში გაურკვეველი საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა იყო. ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება მძვინვარებდა. ქვეყნის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ჯერ ქვეყანა დატოვა, ხოლო შემდეგ მომხრეებთან ერთად დასავლეთ საქართველოში დაბრუნდა და იქიდან აგრძელებდა ბრძოლას. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ურთიერთობების დამყარების პოლიტიკური ჰორიზონტი კი მხოლოდ 1992 წლის მარტში გამოჩნდა, როდესაც საქართველოში ედუარდ შევარდნაძე, საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი,დაბრუნდა. ჩემი აზრით, სწორედ, ამ ფაქტმა დააჩქარა ამერიკის შეერთებულ შტატებსზ და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება. ედუარდ შევარდნაძეს დიდი ხნის პოლიტიკური ურთიერთობები აკავშირებდა როგორც პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან,ისე სახელმწიფო მდივან ჯეიმს ბეიკერთან. შევარდნაძე თავისი სამშვიდობო მიღწევებით საკმაოდ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე იყო საერთაშორისო ასპარეზზე. 1992 წლის 25 მარტს, ამერიკულმა მხარემ განაცხადა, რომ ამავე წლის 15 აპრილისთვის საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ამერიკელი დიპლომატების პირველი ნაკადი ჩამოვიდოდა [Tutwiler C,1992].

1992 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ოფიციალური განცხადებების საფუძველზე, ნათელი გახდა, რომ ამერიკული მხარე ძალიან დაინტერესებული იყო საქართველოსთან მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობებით და ის მზად იყო, რომ ქვეყანას მტკიცე სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის, დემოკრატიის განმტკიცებისა და არჩევნების სამართლიანად ჩატარების პროცესშიც დახმარებოდა. ნათელია, რომ შტატები ცდილობდა ქართულ მხარესთან ორმხრივი და საერთო ღირებულებებზე დამყარებული დიპლომატია დაემყარებინა, რაც საერთო უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის საწინდარი იქნებოდა. შტატები საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებშიც მხარდაჭერას უცხადებდა. შტატებს საქართველოში ფუნდამენტური ცვლილებები აინტერესებდა, რაც გამოიხატებოდა იმასი, რომ ქვეყანა რეალურად დადგომოდა დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის გზას და განევითარებინა სახელმწიფო, რომელიც კანონის უზენაესობის

პრინციპზე იქნებოდა ორიენტირებული. ამ რთულ, მაგრამ უმნიშვნელოვანესი მიზნისკენ მიმავალ გზაზე კი შტატები საქართველოს გვერდით იქნებოდა. ქვეყანას პოლიტიკურ, ჰუმანიტარულ და ფინანსურ დახმარებას გაუწევდა. საქართველოს კი, მხოლოდ და მხოლოდ, ერთი საერთაშორისო დონეზე საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისადმი ერთგულება მოეთხოვებოდა.

საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკური მხარდაჭერისთვის და აღიარებისთვის აქტიურად იბრძოდა. უახლესი საქართველოს დიპლომატიურ ისტორიაში ბევრი გავლენიანი პირის თუ სახელმწიფო მოღვაწის სტუმრობაა გამორჩეული, თუმცა, ვფიქრობ, რომ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებამდე, რამდენიმე კვირით ადრე, ცივ ომში გამარჯვებული ქვეყნის პირველი დიპლომატის ვიზიტი და მხარდაჭერა მართლაც აღსანიშნავი გახლდათ.

1992 წლის 21 მაისს ცნობილი ხდება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი საქართველოს ესტუმრებოდა. აშკარაა, რომ ვაშინგტონი დაინტერესებული იყო თბილისთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებით. შტატები ასევე მზად იყო საქართველოს თავისუფალი ბაზრისა და დემოკრატიული ინსტიტუტების დაარსებასა და გაძლიერებაში აქტიურად დახმარებოდა. რაც მთავარია, ჯეიმს ბეიკერი საქართველოს მთავრობის მეთაურს, ედუარდ შევარდნაძესაც, შეხვდებოდა [Boucher,1992]. აღნიშნული ვიზიტი, ასევე მსოფლიო მედიის ყურადღების ქვეშაც მოექცა. დასავლური პრესა ხშირად წერდა, რომ ბეიკერი საქართველოში პირადი მეგობრის მხარდასაჭერადაც ჩამიოდა, რომელთანაც დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა [Crossette,1992].

მართლაც, 1992 წლის 25 მაისს საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი ესტუმრა. ედუარდ შევარდნაძემ უმაღლესი ამერიკელი დიპლომატის ვიზიტი დადებითად შეაფასა. ედუარდ შევარდნაძე იხსენებდა თბილისის აეროპორტში ბეიკერთან საუბარს: ,,ჩვენ ჩამოვიტანეთ იმ

ძალისხმევის პოლიტიკური მხარდაჭერა, რომელსაც ეწევა თქვენი ქვეყნის ხელმძღვანელობა, გვწამს, რომ საქართველო დარჩება დემოკრატიული გარდაქმნების გზაზე“[შევარდნაძე,2006:326]. რასაკვირველია, ბეიკერის ვიზიტი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენა იყო საქართველოსთვის დამოუკიდებლობის პირველ წლებში. გელა ჩარკვიანი თავის მემუარებში წერს, რომ ბეიკერმა, თუ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა – ჰანს დიტრიხ გენშერმა, შეიძლება ითქვას, რომ შევარდნაძეს პოლიტიკურად მხარი „ავანსად“ დაუჭირეს [ჩარკვიანი, 2016:14]. დასავლეთი აუცილებლად თვლიდა, რომ პოლიტიკური სტაბილურობის მისაღწევად უნდა მომხდარიყო ხელიუფლების ლეგიტიმაცია. ეს პროცესი კი მხოლოდ არჩევნების ჩატარების გზით იყო შესაძლებელი. 1992 წელს ედუარდ შევარდნაძე აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტისა და სახელმწიფოს მეთაურად. ბუნებრივია, მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში მყოფ შევარდნაძეს ძალიან სჭირდებოდა საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა. თანამდებობაზე არჩევიდან მალევე, მან მილოცვა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისგან, ჯორჯ ბუშისაგან (უფროსი).

შევარდნაძე ასევე იხსენებდა, რომ ბეიკერის განცხადებით, შტატების მიზანი იყო, ახალი საქართველოს მშენებლობაში თავიანთი წვლილიც შეეტანათ. გარდა ამისა, ბეიკერმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ შტატებმა საქართველოს დამოუკიდებლობა, ისევე როგორც სხვა საბჭოთა ყოფილი რესპუბლიკებისა, საკმაოდ მცირე დროში აღიარა. [შევარდნაძე, 2006:327]. ბეიკერის აზრით, ორი საუკუნის მანძილზე, ამერიკა მყარად იცავდა დემოკრატიისა და თავისუფლების პრინციპებს, ამიტომაც მათთვის სხვა ქვეყნების დამოკიდებულება ამ ღირებულებებისადმი სულერთი ნამდვილად არ იყო. თუკი უწინ, შტატები ეჭვს გამოთქვამდა, საყოველთაოდ აღიარებული ამ პრინციპების საქართველოს მხრიდან მხარდაჭერაში, ახლა ისინი უკვე დარწმუნებულები იყვნენ, რომ საქართველო თავისუფლებისა და მსოფლიოში აღიარებული ყველა ნორმის ერთგული მხარდამჭერი იყო [შევარდნაძე, 2006:327]. განსაკუთრებით მაშინ კი, როდესაც ასაქართველოში ედუარდ შევარდნაძე იმყოფებოდა [შევარდნაძე, 2006:327]. ეს იყო 25

მაისი, მეორე დღეს კი საქართველო 26 მაისს – დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის 74 წლისთავს, ზეიმობდა.

შევარდნაძე თავის მემუარებში იხსენებდა, რომ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ზეიმზე შტატების სახელმწიფო მდივანმა წარმოთქვა სიტყვები, რომლებიც, ჩემი აზრით, ნამდვილად აღსანიშნავია და პოლიტიკური ელფერის გარდა, მხარდაჭერის, გამხნევების ელემენტებსაც შეიცავდა. ბეიკერი საქართველოს ულოცავდა დამოუკიდებლობას, თავისუფლებასა და სახელმწიფოებრიობას. თუკი 70 და მეტი წლის წინ შტატებმა არ ისურვა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარება, დღეს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჩვენს თანამემამულეებთან ერთად ზეიმობდა ამ ღირსშესანიშნავ თარიღს [შევარდნაძე, 2006:328].

ედუარდ შევარდნაძე აღწერდა, თუ როგორ აშუქებდა დასავლური მედია ჯეიმს ბეიკერის ვიზიტს. „პატარა ქვეყანამ, საქართველომ, რომელიც ძლიერი მეზობლებით არის გარშემორტყმული, გადაიტანა უამრავი შემოსევა და ყოველთვის დამარცხების შემდეგ, ფენიქსის მსგავსად ფერფლისაგან აღდგა“, წერდა რობერტ პარსონი[შევარდნაძე, 2006:327].

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ალექსანდრე ჩიკვაიძის, განცხადებით, რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველო პოლიტიკურ იზოლაციაში იყო და ახლა იწყებოდა ეტაპი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ამ საერთაშორისო და პოლიტიკური იზოლაციიდან გამოსვლაში დაეხმარებოდა [ჩიკვაიძე, 1992.]. ალექსანდრე ჩიკვაიძე ასევე ხაზს უსვამდა, საქართველოს მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას და ურთულეს სავალუტო კურსს. მისი აზრით, საქართველოში მძიმე ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობას, მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარება ვერ და არ გადაჭრიდა, ამიტომაც საჭირო იყო ეკონომიკური სისტემის რეკონსტრუქცია და ეროვნული ვალუტის სტაბილიზაცია [ჩიკვაიძე,1992.].მართალია, ჯეიმს ბეიკერის ვიზიტი საქართველოში 24 საათს გაგრძელდა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატების

მკაფიო გზავნილი საქართველოსადმი, რომლის მიხედვითაც ჩვენი ქვეყანა ამერიკის გეოპოლიტიკური ინტერესების არეალში ნამდვილად შედიოდა.

1992 წელი აღსანიშნავია იმითაც, რომ იგი პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უფროსის) მმართველობის ბოლო 365 დღე იყო. მიუხედავად ამისა, სულ რაღაც რამდენიმე თვეში საქართველოსა და შტატებს შორის რეალური დიპლომატიური შედეგები დადგა.

ნათელი გახდა, რომ საქართველო-შეერთებული შტატების პოლიტიკური ურთიერთობები საკმაოდ დინამიკურად და ეფექტურად ვითარდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უფროსის) მმართველობის ბოლო წელი ახალი ქართულ-ამერიკული დიპლომატიური და ორმხრივი თანამშრომლობის დასაწყისი აღმოჩნდა, რამაც მომდევნო წლებში განსაზღრა შემდგომი დიპლომატიური ურთიერთობები, რომლებიც ნამდვილად მნიშვნელოვანი და სტრატეგიული აღმოჩნდა სამხრეთ კავკასიაში.

ლიტერატურა:

1. ერის დაბადების ტოლფასი მოვლენა // რადიო თავისუფლება.-2018.- 31 მარტის რეფერენდუმი www.radiotavisupleba.ge,2016. https://www.radiotavisupleba.ge/a/otsdakhuti-tseli-damoukideblobis-agdgenis-referendumidan/27646279.html. 7.
2. შევარდნაძე ე. ფიქრი წარსულსა და მომავალზე“.-თბილისი: პალიტრა L, 2006
3. შურღულაია თ. ამერიკის შეერთებული შტატების როლი საქართველოს საგარეო პოლიტიკურ სივრცეში.-თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.-2011
4. ჩარკვიანი გ. „ნაცნობ ქიმერათა ფერხული“.-თბილისი: ინტელექტი, 2016
5. დოღონაძე შ. საქართველოს: გზა საერთაშორისო აღიარებიდან საერთაშორისო თანამეგობრობისაკენ. - თბილისი: მეცნიერება,2002.
6. Bush G. Executive Order 12809—Waiver Under the Trade Act of 1974 With Respect to Albania, Azerbaijan, Georgia, Kazakhstan, Moldova, Ukraine, and Uzbekistan.-June 3.-1992 http://www.presidency.ucsb.edu/ws/index.php?pid=23629.
7. Baker Visits Georgia to Help a Friend // New York Times 1992;
8. www.nytimes.com,
9. https://www.nytimes.com/1992/05/26/world/baker-visits-georgia-to-help-a-friend.html.
10. Boucher Richard. US Department of State Daily Briefing.- #10:Thursday.- 1/16/92; http://dosfan.lib.uic.edu/ERC/briefing/daily_briefings/1992/9201/010.html

ანა სახვაძე

თიხის სანელსაცხებლები ურბნისიდან

შესავალი ნაწილი

ქარელის მუნიციპალიტეტში, გორიდან 12 კმ-ის დაშორებით, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს სოფელი ურბნისი, სადაც 1953 წელს დაიწყო არქეოლოგიური სამუშაოები და 1963 წლისათვის უკვე აღმოჩენილი იქნა 270-ზე მეტი სამარხი და სამარხის 24 ნაშთი. სამარხეული მასალა სხვადასხვა პერიოდს მოიცავდა, XXV უბანზე აღმოჩენილი სამარხების უმეტესობა კი გვიანანტიკურ ხანას მიაკუთვნეს [ქორიძე, 1965:1].

სამაროვანზე აღმოჩენილ მასალაში ყურადღება მიიქცია თიხის თითისტარისებური ფორმის სანელსაცხებლეებმა, რომელთა ფორმაც ახ.წ. I-III საუკუნეებისთვის მეტად უჩვეულოა. ჭურჭლები ტიპოლოგიურად ერთმანეთის მსგავსია, თუმცა თიხის ფაქტურით ერთმანეთისგან განსხვავდება. თიხის სანელსაცხებლეებიანი სამარხების (NN136,245,205,230) აღნაგობა პრინციპულად ერთნაირია: ხის ძელებით შემოფარგლულ სამარხ ორმოებში მიცვალებული ზურგზეა დასვენებული. მხოლოდ ერთ შემთხვევაში, N136 ბავშვის სამარხი-ორმო ალიზით ყოფილა ამოლესილი. ამავე სამარხში დაზიანებული ჩონჩხის გამო ვერ შეძლეს დაედგინათ მიცვალებულის პოზა.

სამარხეული კომპლექსები და ინვენტარი

სამარხი N136 აღმოჩნდა N127 სამარხის ქვეშ თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, 2,3 მეტრის სიღრმეზე, მიცვალებული დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთით. თიხის სანელსაცხებლე (ტაბ. 1; ინვ. N 1-60:2853) ჩონჩხის მენჯთან დაფიქსირდა და ბავშვის სამარხის ერთადერთ ინვენტარს წარმოადგენდა [ქორიძე, 1965:42]. თითისტარის ფორმის სანელსაცხებლე ღია ვარდისფერი თიხისაა, პროფილირებული ბაკოთი, ყელი უშუალოდ გადადის ელიფსური ფორმის მუცელში, რომელიც მაღალ გამოყვანილ ქუსლს ეყრდნობა, ქუსლი შეღრმავებულია. ძირს ცენტრში კოპი

აქვს. ქუსლს გარშემო შემოუყვება ირგვლივი ღარი. ჭურჭლის მთელ ზედაპირზე ჩანს ჩარხის კვალი. ჭურჭლის სიმაღლე 21 სმ, პირის დიამეტრი 2,8 სმ, მუცლის დიამეტრი 5,4 სმ, ძირის დიამეტრი 4,6 სმ.



1

მსგავსი ფორმის სანელსაცხებლე აღმოჩენილია საბერძნეთში ელინისტური ხანის სამარხში ათენის აგორაზე. ჭურჭელი თავისი მოხდენილი ტანის პროპორციებით თარიღდება ძვ.წ. III-II საუკუნეებით [Anderson-Stojanović, 1987:109].

სამარხი N245 აღმოჩნდა N242 სამარხის ქვეშ VI თხრილის ცენტრალურ ნაწილში 1,4 მეტრის სიღრმეზე. მიცვალებული დამხრობილი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთით.

სამარხში მხოლოდ სანელსაცხებლეები აღმოჩნდა, მათგან ერთი თიხისაა, ხოლო სამი თავისუფლად გამობერილი მინისგანაა დამზადებული.

თითისტარისებური სანელსაცხებლე (ტაბ. 2; ინვ. N 1-62:3978) ჩონჩხის მარჯვენა ხელთან აღმოჩნდა. იგი მოწითალო ფერის თიხისგანაა დამზადებული, პირი გადაშლილი, ბაკო პროფილირებული, ყელი მაღალი, დაწეული ელიფსური ფორმის მუცელი მკვეთრად გამოყოფილ, მაღალ ქუსლში გადადის. ჭურჭელს ზედაპირზე უსწორმასწორო ირიბი კონცენტრული ზოლები შემოუყვება. ყელის შიდაპირზე წერნაქის, ხოლო მუცელზე გაპრიალების კვალი შეინიშნება. სიმაღლე 19 სმ, პირის დიამეტრი 3,7 სმ, ყელის დიამეტრი 2,7 სმ, მუცლის დიამეტრი 6 სმ, ძირის დიამეტრი 4 სმ.



2

N245 სამარხში აღმოჩენილი მინის სანელსაცხებლეები დათარიღებულია ახ.წ. I-II საუკუნეებით [საგინაშვილი, 1970:75-76,85; კატ. NN135,140,189].

სამარხი N205 IV თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში, 1,8 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. მიცვალებული დასვენებული იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით და ახლდა ორი თიხის სანელსაცხებლე. მათგან ერთ-ერთი (ტაბ. 3; ინვ. N1-62:3722) ჩონჩხის მარცხენა წვივის პარალელურად იყო დაწვენილი. სანელსაცხებლე ღია ჩალისფრად (თითქმის თეთრად) გამომწვარი თიხისაა, პირმოყრილი, ბაკო პროფილირებული, ყელმაღალი, ელიფსური, წაგრძელებული ფორმის მუცლით, ღარით გამოყოფილი მაღალი ქუსლით, ძირშეღრმავებული. ჭურჭელს ეტყობა ჩარხზე დამზადების შედეგად ტალღოვანი ხაზები. წითელი ფერის საღებავია ჭურჭლის ყელის შიდა მხარეს და პირის ზედაპირზე. ჭურჭლის ტანზე ალაგ-ალაგ შერჩენილია საღებავის კვალი. სიმაღლე 24,8 სმ, პირის დიამეტრი 3,7 სმ, მუცლის დიამეტრი 7 სმ, ქუსლის დიამეტრი 4,8 სმ.



3

თიხის მეორე სანელსაცხებლე (ტაბ. 4; ინვ. N1-62:3723) ფეხებთან განივად იყო დაწვენილი. იგი წითლად გამომწვარი და გაპრიალებულია. ბაკო პროფილირებული აქვს, ყელი ცილინდრული და მაღალი, ტანი ელიფსოიდური, ქუსლი წაკვეთილი კონუსის ფორმისა, ყელი ტანისაგან ოდნავ შესამჩნევი ღარით გამოყოფილი. ბაკოზე მუქი წითელი საღებავის კვალი შეიმჩნევა. ტანი აღდგენილია, ნაწილები აკლია. სიმაღლე 24,4 სმ, ქუსლის სიმაღლე 2,5 სმ, პირის დიამეტრი 4,5 სმ, მუცლის დიამეტრი ,4 სმ, ქუსლის დიამეტრი 5,0სმ.

4

მიცვალებულს ახლდა მინის ორი სანელსაცხებლე, მათგან ერთი (ინვ. N1-62:3724) ფორმაში გამობერილია და ვერტიკალური კანელურებითაა შემკული. ჭურჭელს სირიულ იმპორტად მიიჩნევენ და ახ.წ. I საუკუნით ათარიღებენ [საგინაშვილი, 1970:12, 50, კატ. N4]. სამარხში აღმოჩენილი თავისუფლადგამობერილი მინის ჭურჭლები (ინვ.

N1-62:3725) მ. საგინაშვილმა ახ.წ. I-II საუკუნეებით დაათარიღა [საგინაშვილი, 1970:74, კატ.N132]. ამ თარიღს ეთანხმება აქვე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები, რომელთა შორისაა ინტალიო ღვთაება ნიკეს გამოსახულებით, ათენას და ფორტუნას ატრიბუტებით [ჯავახიშვილი, 1972:35].

მიცვალებულს აგრეთვე ახლდა ბრინჯაოსგან დამზადებული: ფირფიტოვანი ნივთის ფრაგმენტები (ინვ. N1-62:3727), ღეროვანი ნივთი სამკუთხა, გაბრტყელებული ბოლოთი, სოლისებური ფორმის, ბასრი პირით (ინვ. N1-62:3728), სარკე ტყვიის სახელურის ნატეხებით (ინვ. N1-62:3726) და მინიატურული ზარაკები (ინვ. N1-62:3729), რომელთაგან ერთი კონუსური ფორმისაა, ორს ზემო ნაწილი მომრგვალებული აქვს. სამარხის დანარჩენ ინვენტარს გიშრის, პოლიქრომიული მინის, პასტის, ბრინჯაოსა და ბროლის მძივები და მძივსაკიდები (ინვ. N1-62:3733) შეადგენს.

სამარხი N230 V თხრილის შუა ნაწილში 1,7 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხი დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთით. სამარხში აღმოჩნდა 23 სანელსაცხებლე ჭურჭელი, მათგან ერთი თიხის, ხოლო დანარჩენი – მინისა.

თიხის სანელსაცხებლე (ტაბ. 5; ინვ. N1-62:3879) მარცხენა ბარძაყის შუა ნაწილის გასწვრივ იყო დაწვენილი. ჭურჭელი მოყავისფროდ გამომწვარი თიხისაა, აქა-იქ მოწითალო და მოშავო ლაქებით, გადაშლილი პირით, პროფილირებული ბაკოთი, მაღალყელიანი, ოვალურმუცლიანი და მაღალქუსლიანი. ქუსლი შეღრმავებულია. ყელსა და მხრებს ოდნავ შესამჩნევი ირგვლივი ღარები შემოუყვება. ჭურჭლის სიმაღლე 22,5 სმ, პირის დიამეტრი 4,1, ძირის დიამეტრი 4,6 სმ.



5

N230-ე სამარხში აღმოჩენილია როგორც ფორმაში გამობერილი, ისე თავისუფლადნაბერი მინის ჭურჭელი, რომელთა უმეტესობა მინიატურულია. ფორმაში

დამზადებული მოყავისფრო მინის ორყურა ამფორისკოსი (ინვ. N1-62:3897) ახ.წ. I საუკუნის პირველი, უფრო კონკრეტულად მეორე ნახევრით თარიღდება [საგინაშვილი, 1970:49, კატ. N2; 4,156; 7, 57, ტაბ. XLI, 5]. აქვე აღმოჩენილი მინის ბოთლის, ე.წ. კუბიკოსის (ტაბ. VI 2, ინვ. N 1-62:3890) მსგავს ჭურჭლებს მკვლევართა ნაწილი ახ.წ. I-II [Fleming, 1999:62], ნაწილი კი – ახ.წ. II საუკუნით ათარიღებენ [Vanderhoeven, 1961:65, ტაბ. XV], თუმცა საგინაშვილი მას სამარხეული ინვენტარის მიხედვით უფრო ადველებს [საგინაშვილი, 1970:19]. სამარხში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები ვერცხლის ბეჭედში ჩასმული გრანატის ინტალიოა (ინვ. N1077ა), ბრინჯაოს ბეჭედში ჩასმული სარდიონ-ფრცხილის ინტალიო მორბენალი ძაღლით (ინვ. N1076), რკინის ბეჭედში ჩასმული სარდიონ-ფრცხილის ინტალიო, რომელზეც ხელისჩამორთმევაა გამოსახული (ინვ. N1078) და რკინის ბეჭედში ჩასმული სარდიონის ინტალიო ათენას გამოსახულებით (ინვ. N1075) მინის ჭურჭლის თარიღს შეესაბამება და ახ.წ. I-II საუკუნით თარიღდება [ჯავახიშვილი, 1972:33-34].

მიცვალებულს ახლდა: რკინის ბეჭედი (ინვ. N1-1962:3922) და ოთხწახნაგა სადგისი (ინვ. N1-1962:3906), ბრინჯაოსგან დამზადებული: ორთვლიანი ბეჭედი (ინვ. N1-62:3904), საკინძები (ინვ. NN1-1962:3907, 1-1962:3908), კოვზი (ინვ. N1-1962:3909), ჯაჭვი, რომელზეც ასხმულია მინის მოოქრული მძივები (ინვ. N1-1962:3919), სარკე და ზარაკები, ძვლის ფირფიტოვანი ნივთის ნატეხები (ინვ. N1-1962:3921), აქატის, გიშრის, სარდიონის, მინის, ბროლის და ფაიანსის მძივსაკიდები, სავარაუდოდ, ტყავის ნაჭერზე მიმაგრებული მძივები (მათ შორისაა ოქროფენილი მძივები) (ინვ. N1-1962:3920) და ზღვის ნიჟარები (ინვ. N1-1962:3923).

ზარაკები ანტიკური ხანის არქეოლოგიური კომპლექსების ერთ-ერთი გავრცელებული ნივთია. N230 სამარხში აღმოჩენილი ზარაკებიდან სამი ვერცხლისაა (ინვ. N1-1962:3914), რომელთაგან ორი ბრინჯაოს სამაჯურზე იყო აცმული. სამარხში აღმოჩენილია აგრეთვე კონუსური, გუმბათისებური, დაფანჯრული (ინვ. NN1-62:3915, 1-1962:3916, 1-1962:3917, 1-1962:3918) ბრინჯაოს ზარაკებიც.

N230 სამარხში აღმოჩენილ მძივებს შორისაა ეგვიპტური ფაიანსის ამფორა-საკიდი (ინვ. N1-62:3910), რომელიც ე. ალექსეევას კლასიფიკაციის 82-ე ტიპს შეესაბამება და მათი აღმოჩენა ხშირია ძვ. წ. I – ახ. წ. II საუკუნის სამარხეულ კომპლექსებში [Алексеева, 1975:46]. ახ.წ. I საუკუნით დათარიღებულ ძეგლზე, დედოფლის გორაზე, აღმოჩენილი და შესწავლილია ანალოგიური საკიდები [გოგიბერიძე, 1999:106-114]. მოზაიკური ტექნიკით დამზადებული პოლიქრომული მძივები 415-ე ტიპში ექცევა და ძვ. წ. I – ახ. წ. II საუკუნით თარიღდება [Алексеева, 1982:38, ტაბ. 48-ის 16,17]. ამ თარიღს ეთანხმება აქვე ნაპოვნი მძივები მუქ მწვანე ფონზე ყვითელი ვარსკვლავით და ვარსკვლავის ცენტრში წითელი წრით, რომელიც ამავე კლასიფიკაციის 485-ე ტიპს ესადაგება [Алексеева, 1982:43, ტაბ. 49-ის 4, 5]. ამგვარად, ამ ნივთების ყველა პარალელი ძვ.წ. I-ახ.წ. I საუკუნეების ფარგლებში თავსდება.

საინტერესოა ამავე სამარხში აღმოჩენილი ბროლის საკიდი (ინვ. N1-1962:3911), რომელიც ჩასმულია ბრინჯაოს ღეროებისაგან შედგენილ ბადეში. ღეროები ზედა ნაწილში ერთმანეთზეა დახვეული და ქმნის ყუნწს. ცნობილია, შედარებით ადრეული, მსგავსი ტიპის საკიდები [Максимова 1962:226-230]. ურბნისში აღმოჩენილი საკიდის ანალოგი ნაპოვნია დედოფლის გორაზე და ზუსტად თარიღდება ახ.წ. I საუკუნით [Gogiberidze 2008, cat.N94]. ამდენად, სამარხეული კონტექსტი სამარხის თარიღის ახ.წ. I საუკუნის ბოლოთი განსაზღვრას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

დასკვნა

სამარხთა განხილვამ გვიჩვენა, რომ სანელსაცხებლე ჭურჭელი დაკრძალვის რიტუალისთვის აუცილებელი ატრიბუტია. N136 სამარხში სანელსაცხებლე ერთადერთი ნივთია, N245 სამარხში ოთხი ნივთიდან ოთხივე (1 თიხის, 3-მინის), N205 სამარხში თორმეტიდან ოთხი და N230-ში 44 ნივთიდან 23 სანელსაცხებლეა (1-თიხის, 22 მინის).

თიხის სანელსაცხებლეების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით ძვ.წ. V-II საუკუნეების ჭურჭლების ქუსლი უშუალოდ შემსხვილებული

ტანისგან არის გამოყვანილი, ხოლო ძვ. წ. I - ახ.წ. III საუკუნეების თიხის სანელსაცხებლეები მსხლისებური ფორმისაა და ბრტყელი ძირი აქვს. ამ დროისათვის ისინი უკვე მინის ჭურჭლის მიბაძვით მზადდება [Алексеева, 1982:105-122]. ურბნული სანელსაცხებლეები ფორმით გამოირჩევა და არ თავსდება ზემოხსენებული კლასიფიკაციის ტიპოლოგიურ და ქრონოლოგიურ ჩარჩოში. საქართველოში აღმოჩენილი ძეგლებიდან ყველაზე ახლო და თანადროულ ძეგლს ურბნისისთვის დედოფლის გორა წარმოადგენს, სადაც აღმოჩენილი თიხის სანელსაცხებლე ჭურჭელიც ბრტყელძირაა და საერთოდაც არ ჰგავს ურბნულ ჭურჭელს [Chanishvili, 2008:77-80].

N136 სამარხში აღმოჩენილი თიხის სანელსაცხებლე (ტაბ. 1) წააგავს ძვ.წ. II საუკუნით დათარიღებულ ვანის თიხის სანელსაცხებლეს, თუმცა ვანში აღმოჩენილი ჭურჭლის ძირი შედარებით ვიწროა [თოლორდავა, 1983: 75-76, კატ. N378]. ჭურჭელი თავისი ტიპოლოგიური ნიშნებით თითქოს შუალედური ფორმაა და აერთიანებს ელინისტური ხანის სანელსაცხებლეებსა და ურბნისში აღმოჩენილ ჭურჭლებს. სამარხში ჭურჭელს თანმხლები მასალა არ ახლდა. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ის ძვ.წ. II საუკუნის შემდეგ დამზადდა და ურბნულ სანელსაცხებლეებს შორის ყველაზე ძველია. ამასთან, თიხის სანელსაცხებლეებიანი სამარხები შესაძლოა სამაროვნის ყველაზე ადრეული ჯგუფი იყოს, რამდენადაც მათში აღმოჩენილი ერთი ტიპის სანელსაცხებლეები აგრძელებს ჭურჭლის დამზადების ელინისტურ ტრადიციას.

რაც შეეხება ჭურჭლის წარმომავლობას, მათ ანალოგიებს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ. სანელსაცხებლეების ტიპოლოგიური მსგავსება და თიხის ფაქტურით განსხვავება გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ისინი სხვადასხვა სამეთუნეო ცენტრში დამზადდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დ. ქორიძე ჭურჭლებს ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნევს [ქორიძე, 1965:52-53].

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული სამარხეული კომპლექსების თარიღი ძვ.წ. I – ახ.წ. I საუკუნეებით შეიძლება განისაზღვროს.

ლიტერატურა:

1. საგინაშვილი მ. ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი.-თბილისი:მეცნიერება.-1970
2. თოლორდავა ვ. თიხის სანელსაცხებლეები.-თბილისი.-ვანი VII.-1983
3. გოგიბერიძე ნ. ეგვიპტური ფაიანსის ამულეტები დედოფლის გორიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე 43-ბ.-თბილისი,1999
4. ჯინჯიხაშვილი გ. ძვ. წ, I და ახ.წ. I ს. ქვევრსამარხები საყარაულო სერის სამაროვნიდან.-თბილისი,1980
5. ჯავახიშვილი ქ. ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები.-თბილისი: მეცნიერება,1972
6. ქორიძე დ. ურბნისის სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ძეგლების პერიოდიზაციის საკითხისათვის: ხელნაწერი.-თბილისი,1965
7. საგინაშვილი მ. შემთხვევით აღმოჩენილი მინის ჭურჭელი ურბნისიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე: XXXVI-B.- თბილისი,1982
8. Алексеева Е. М. Античные бусы Северного Причерноморья, Археология СССР // Свод Археологических источников: вып. Г1-12.-Москва: Наука, 1975
9. Vanderhoeven M Verres Romains (I-er 3-me siècle): Journèes Internationales du Verre.-1961: Liége.-N69
10. Максимова М. И. Амулет из Горгиппии и так называемые «шарики-подвески» // Советская археология: N2.- Москва: академия наук СССР.-1962
11. Anderson-Stojanović V.R. The chronology and function of ceramic unguentaria // American Journal of Archaeology.-Boston.-1987.-vol. 91.-N1
12. Chanisvili T. Iberia and Rome: The excavations of the palace at Dedoplis Gora and the Roman influence in the Caucasian kingdom of Iberia.-Langenweißbach.-2008

გიორგი ვახტანგიშვილი

პოსტსაბჭოთა რუსეთის პირველი ინტეგრაციული პროექტების წარუმატებლობის მიზეზები და საქართველო

საბჭოთა კავშირის კოლაფსს თან ახლდა რიგი მოვლენები, რომელთა გაანალიზებაც მნიშვნელოვანია. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კრემლი ყველანაირად ცდილობდა მართვის სადავეების შენარჩუნებას, იყენებდა უხეშ ძალას, კერძოდ, ახდენა სსრკ-ს ქვეყნების ტერიტორიებზე უკანონო მილიტარისტულ ინტერვენციებს, მხარს უჭერდა ადგილობრივ სეპარატისტულ ჯგუფებსა თუ კრიმინალურ ბანდფორმირებებს და, შესაბამისად, ხელს უწყობდა ეთნოკონფლიქტების გაღვივებას. ადგილი ჰქონდა რბილი ძალის გამოყენებასაც, მათ შორის ერთგვარი ინტეგრაციული პოლიტიკის გატარებას, რომელიც მოიაზრებდა სხვადასხვა კავშირისა თუ ორგანიზაციის ინიცირებითა და გაფართოვებით, დარწმუნებისა და იძულების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე საკუთარი გავლენის შენარჩუნებას და რეგიონში პოლიტიკური თუ სოციალურ-კულტურული პროცესების საკუთარი თამაშის წესებით წარმართვას. შესაბამისად, რუსეთის ინტეგრაციული პოლიტიკა თავისუფლად შეგვიძლია მოვიაზროთ მისი ერთიანი იმპერიალისტური პოლიტიკის ნაწილად და პოსტსაბჭოთა პერიოდში მოსკოვის რბილი ძალის ერთ-ერთ საკვანძო ელემენტად. უმნიშვნელოვანესია ასევე იმის გააზრება, რომ კრემლის მიერ პროპაგანდირებულ ტერმინ „ინტეგრაციას“ – რომელიც დასავლურ, ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაშიც უკვე ხშირად გამოიყენება „რუსული ინტეგრაციის“ ან „ევრაზიული ინტეგრაციის“ სახით – ცივილიზებულ სამყაროში არასდროს ჰქონდა დადებითი კონოტაცია, რადგან იგი არასდროს წარმოადგენდა წევრობის ნებაყოფლობითობაზე, თანასწორუფლებიანობაზე დაფუძნებულ ფენომენს. შესაბამისად, საინტერესოა გადააზრება იმ მცდელობების შედეგებისა, რომელ მცდელობებსაც 90-იან წლებში რუსეთის მხრიდან პოსტსაბჭოთა რეგიონზე გავლენის შენარჩუნება და გაძლიერება წარმოადგენდა. საუბარია არა უხეშ, არამედ რბილ ძალაზე, კერძოდ, ოფიციალური

მოსკოვის მიერ ინსტიტუციურ დონეზე, კავშირების და ორგანიზაციების ფორმირებაზე, კრემლის პირველი ინტეგრაციული პროექტების სახით. მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა ძირითადმა პრობლემებმა განაპირობა რუსეთის პირველი ინტეგრაციული პოლიტიკის წარუმატებლობა და რა იყო ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზები.

მრავალი დასავლელი ექსპერტის მსგავსად, რუსი ავტორებიც თვლიდნენ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პოსტსაბჭოთა ქვეყნები დადგნენ არა მხოლოდ ეკონომიკური დესტაბილიზაციის, პოლიტიკური და ინსტიტუციური პრობლემატიკის, არამედ უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემის წინაშეც. როგორც მკვლევარი ვიქტორია სლესარენკო აღნიშნავს, დსთ-ს ფარგლებში ადგილი ჰქონდა ზემოაღნიშნული პრობლემატიკის მოგვარების არაერთ მცდელობას. ავტორის შეფასებით, განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა თანამშრომლობას უსაფრთხოების საკითხში. 1992 წლის 20 მარტს, კიევში, ხელი მოეწერა ორგანიზაციის ფარგლებში მიღებულ *„დსთ–ს წევრ სახელწმიფოებს შორის ძალის გამოუყენებლობის“* დეკლარაციას. ამავე წელს იყო მცდელობა ერთიანი სამხედრო ბიუჯეტის შექმნისა (Слесаренко, 2016: 39). თუმცა მიღებული დეკლარაცია, როგორც არაერთხელ გაჟღერდა, ხშირად ირღვეოდა თავად რუსეთის მხრიდან. პარალელურად 1990-იანი წლების დასაწყისში ადგილი ჰქონდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სეპარატისტული ძალების მხარდაჭერასა და უკანონო სამხედრო ინტერვენციას. საქართველო, რომელმაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომიდან ერთ წელიწადში, 2009 წლის 17 აგვისტოს, დსთ დატოვა, სლესარენკოს შეფასებით, მოსკოვის ორბიტაზე აღარ დაბრუნდება. ავტორი საკმაოდ ნეგატიურად წარმოაჩენს მოლდოვისა და უკრაინის განწყობებსაც დსთ–ს მიმართ. 2014 წლის 19 მარტს – სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინასა და ყირიმის ანექსიასთან დაკავშირებული მოვლენების ფონზე – უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭომ (СНБО) მიიღო უკრაინის დსთ-ში წარმომადგენლობის შეწყვეტის გადაწყვეტილება. 2014 წლის 8 დეკემბერს კი დაიწყო უკრაინის დსთ-დან გამოსვლის საკითხის განხილვა. რაც შეეხება სამხედრო და უსაფრთხოების ინტეგრაციის სფეროში თანამშრომლობას, კერძოდ, კოლექტიური

უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (ОДКБ) ფარგლებში განვითარებულ მოვლენებს, 2012 წელს უზბეკეთმა პროტესტის ნიშნად დატოვა ორგანიზაცია, ავღანეთის მიმართ წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმებთან დაკავშირებული უკმაყოფილების მიზეზით. დსთ-ს ე.წ. ჰუმანიტარულ მისიებზე საუბრისას, ვიქტორია სლესარენკო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთი იყენებს ჰუმანიტარულ სფეროს, როგორც რბილი ძალის ელემენტს. ავტორის შეფასებით, რუსული ენა და რუსული კულტურა წარმოადგენს რბილი ძალის ტრადიციულ ინსტრუმენტებს და მიიჩნევს, რომ უახლოეს წლებში ისინი მაინც შეინარჩუნებენ თავის მნიშვნელობას. თუმცა, მისი აზრით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის გადამწყვეტ როლს რუსეთის მხრიდან ეკონომიკური განვითარების, განათლებისა და მეცნიერების კუთხით, უპირობო ლიდერობა ითამაშებს. სლესარენკო, სხვა რუსი ავტორების მსგავსად, საუბრობს რა რუსეთის ინტეგრაციულ პრობლემებზე და მის რეგიონულ ლიდერობაზე, ნაკლებად განიხილავს მოსკოვის პოლიტიკურ ამბიციებს და იმ რეალურ მიზეზებს, რომლებმაც პოსტსაბჭოთა სივრცეში კრემლის ინტეგრაციული პოლიტიკის მიმართ ნეგატიური განწყობები გამოიწვია (Слесаренко, 2016: 42).

თავად რუსი ექსპერტები რუსეთის ინტეგრაციულ პოლიტიკას ორ ძირითად ეტაპად ყოფენ. პირველი ეტაპი საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესის დარეგულირებისკენ სწრაფვით იყო გამოწვეული, რომელმაც, მათი აზრით, ხელი შეუწყო დეზინტეგრაციის ე.წ. „სამართლებრივი ჩარჩოების“ შექმნას. რუსი ავტორების შეფასებით, ინტეგრაცია ტრადიციული ევროპული გაგებით გულისხმობს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებათა ნაწილობრივ დელეგირებას ზენაციონალურ დონეზე, რაც იმ ეტაპზე დსთ-ს ქვენებისთვის ნაკლებად საინტერესო იყო, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნებისთვის, რომლებმაც სულ ახლახანს მოიპოვეს დამოუკიდებლობა. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მხოლოდ ბელორუსია გამოხატავდა რუსეთთან დაახლოების ინტერესს. 2003 წლისთვის აღმოსავლეთევროპულ და კავკასიის რეგიონის სახლმწიფოებს ყურადღება მიაპყრო მეორე დიდმა რეგიონალურმა ლიდერმა, ევროპის კავშირმა და ზოგიერთი ექსპერტის მტკიცებით სწორედ აქედან იწყება რუსული ინტეგრაციული პოლიტიკის მეორე ეტაპი. 2003 წელს იალტაში რუსეთს, ბელორუსიას,

ყაზახეთს და უკრაინას შორის ხელწმოწერილ იქნა დოკუმენტი ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის შესახებ. 2007 წლიდან ევრაზიის ეკონომიკური თანამეგობრობის დოკუმენტაცია ხელს უწყობს ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესების ახალ ეტაპზე აყვანას. შემდგომ ეტაპზე მათ შორის აღარ ფიგურირებდა უკრაინა, რომელიც არ იყო მზად საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილი დაეთმო. სწორედ 2003 წლიდან ე.წ. „საერთო მეზობლებზე" დაიწყო მოდინება უამრავმა ინიციატივამ როგორც რუსეთის, ასევე, ევროკავშირის მხრიდან, თუმცა ვერც რუსეთმა და ვერც ევროკავშირმა ვერ მოახერხა საკუთარი ინიციატივები საკმარისად მიმზიდველი გაეხადა. ევროკავშირმა დასაწყისშივე უარი თქვა იმაზე, რომ რიგი ქვეყნები, სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთ თანამშრომლობის ფარგლებში, ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობის კანდიდატებად ეღიარებინა (Шишкина, 2011: 61).

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების პრობლემებსა და გამოწვევებს ეხებიან ს. ულუკაევი და კ. შერიაი. ავტორებს მაგალითად მოჰყავთ ი.ვ. ზადორინას სოციოლოგიური კვლევა, რომელიც ჩატარდა დსთ-ს ყოფილ და ამჟამინდელ წევრ ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. თითოეულ ქვეყანაში გამოკითხულ იქნა 950-დან 2000-მდე განსხვავებული ასაკის, სქესისა და დაბადების ადგილის მქონე ადამიანი. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ დსთ-ს ქვეყნების მოქალაქეები გამოხატავენ საკმაოდ მცირე დაინტერესებას ნებისმიერი სხვა წევრი ქვეყნის მიმართ, გარდა რუსეთისა. აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით, ავტორები ასკვნიან, რომ რეგიონში, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, რუსეთი წარმოადგენს მთავარ და ერთადერთ როგორც ეკონომიკურ, ისე საზოგადოებრივ-კულტურულ ცენტრს ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების მოქალაქეებისთვის. მიუხედავად მსგავსი შეფასებისა, ავტორები ხაზს უსვამენ, რომ სწორედ პოლიტიკური ფაქტორი წარმოადგენს ეფექტური ეკონომიკური ინტეგრაციის მთავარ წინაღობას, რადგან ერთიან სივრცეში ეკონომიკური თანამშრომლობა ზოგიერთი ქვეყნის მიერ სამხედრო და პოლიტიკურ საფრთხედ არის აღქმული. ავტორები მიიჩნევენ, რომ, წამყვანი პოლიტიკური პოზიციის გათვალისწინებით, რუსეთი შეზღუდულია, იმოქმედოს საკუთარი პრაგმატული ინტერესებით და მას ხშირად უწევს ეკონომიკურად

არამიზანშეწონილი გადაწყვეტილებების მიღება. დსთ-ს ბევრი სახელმწიფო საკმაოდ მტკივნეულად აღიქვამს ნებისმიერ, ყველაზე უმნიშვნელო ჩარევასაც კი და რუსეთის მცდელობებს მიიჩნევს საკუთარ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე პირდაპირ თავდასხმად (Улюкаев / Шеряй, 2014: 55). უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ერთობ საეჭვოა ზემოაღნიშნული კვლევის შედეგების რეპრეზენტატულობა და ობიექტურობა. განსაკუთრებულ ეჭვს ბადებს ის, რომ, რუსეთის მიმართ გამოვლენილი ინტერესის თვალსაზრისით, შედეგები თანაბრად განაწილებულია პოსტსაბჭოთა სივრცის ყველა ქვეყანაზე. განსაკუთრებით ყურადსაღებია საქართველოს მაგალითი, რომლის უმთავრესი ვექტორი ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე არა რუსეთი, არამედ გამოკვეთილად ევროპაა. ულუკაევის და შერიაის მსჯელობაში იგრძნობა, რომ ისინი გარკვეულწილად ცდილობენ ვითარების შერბილებას და რუსეთის იმ ქმედებების გამართლებას, რომლებიც საკმაოდ ნეგატიურად აღიქმება პოსტსაბჭოთა სივრცეში, ასევე მათი გარდაუვალი აუცილებლობით ახსნას, ქვეყნის ლიდერული პოზიციის გათვალისწინებით. როგორც ზემოაღნიშნული, ისე სხვა მრავალი რუსი ავტორის რიტორიკაში აშკარად შეინიშნება, რომ, როგორც მათ მიაჩნიათ, ოფიციალურ მოსკოვს საკუთარ თავზე აქვს აღებული რიგი პასუხისმგებლობები, რომლებიც მას სხვა სუბიექტებისგან გარკვეული უფლებების დელეგირების მორალურ უფლებას აძლევს. მსგავსი განწყობები, რა თქმა უნდა, უფრო მკვეთრია რუსეთის მოსახლეობასა და განსაკუთრებით მის პოლიტიკურ ელიტაში, თუმცა ამ და უამრავ სხვა მაგალითზე, მიუხედავად ფრთხილი ანალიზისა, შესაძლებელია მათი შემჩნევა რუსი მეცნიერების თუ ექსპერტების პუბლიკაციებსა და შრომებში. თუ რამდენად ზრდის რუსეთის ფედერაციისთვის განსაკუთრებული როლის მინიჭება ავტორთა შეფასებებისა და დასკვნების სუბიეტურობას, საკმაოდ ძნელი სათქმელია, რადგან წარმოდგენილი ყველა ანალიზი მეტ-ნაკლებად ინდივიდუალური და განსხვავებულია. არიან ავტორებიც, რომლებიც ცდილობენ, ყურადღება გაამახვილონ დსთ-ს ფარგლებში ინტეგრაციის ისტორიულ მნიშვნელობაზე და, ამგვარად, ლეგიტიმაცია მიანიჭონ ოფიციალური მოსკოვის პოლიტიკას, რეგიონში მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს (Воронкин, 2010).

ისინი ანალოგიურად ცდილობენ, წარმოაჩინონ ინტეგრაცია არა როგორც ერთი კონკრეტული სუბიექტის გეოპოლიტიკური ამბიცია და სხვა სუბიექტებისთვის „თავს მოხვეული“ მოვლენა, არამედ როგორც ნებაყოფლობითობაზე დაფუძნებული თანამშრომლობის საჭიროება, რომელიც მომდინარეობს საერთო პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესებიდან, იდეოლოგიიდან, კულტურიდან და ისტორიიდან.

ზოგიერთი რუსი ავტორი მკაფიოდ გამოყოფს რუსული ინტეგრაციული პოლიტიკის რიგ თავისებურებებს, რომელთაც, მათი აზრით, შეუძლიათ ინტეგრაციული პროექტების წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზები ახსნან. ასეთ თავისებურებებზე საუბრობს **ო. შიშკინა**, რომელიც ასახელებს რამდენიმე მახასიათებელს:

1. უპირველესად ხაზი ესმება იმ ფაქტს, რომ რუსეთი ევროკავშირთან მუდმივ კონკურენციაში იყო და დასაწყისშივე, ინტეგრაციული პროექტების შედარებისას, ნათლად გამოიკვეთა, რომ უპირატესობა არ ჰქონდა. ეს განსაკუთრებით ეხებოდა არა იმდენად მოსკოვის ინტეგრაციულ ინიციატივებს დსთ-ს პარტნიორებთან მიმართებაში, რადგან იგი დამოკიდებული იყო პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მხრიდან ამ ინიციატივების აღქმაზე. როგორც შიშკინა მიიჩნევს, 1990-იანი წლების დასაწყისში რუსეთი, როგორც სსრკ-ს სამართალმემკვიდრე, ასახიერებდა წარსულს, ხოლო ნათელი მომავლის როლში კი წარმოჩნდებოდა ევროკავშირი. 2000-იან წლებში ევროკავშირის პოსტსაბჭოთა საზღვრებთან მოახლოებისას, ეს წარმოდგენა კიდევ უფრო გაიზარდა. რუსული ინიციატივების განსახორციელებლად შიდაპოლიტიკური ფონი, ავტორის აზრით, შედარებით გამოსწორდა 2008-2011 წლების ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შემდგომ, როდესაც გამოაშკარავდა ევროკავშირის ეკონომიკური სირთულეები.
2. მეორე ასეთ თავისებურებად სახელდება „ინტეგრაცია რუსეთისთვის“, რომელიც წარმოადგენდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ნეგატიური შედეგების შემსუბუქებისა და რეგიონული ლიდერობის გამყარების მცდელობას.

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები, განსაკუთრებით დსთ-ს აღმოსავლეთევროპელი წევრები, ამას თავისებურად აღიქვამდნენ, უწოდებდნენ რა „ლიდერობისკენ სწრაფვას“ „იმპერიულ ამბიციებს“.

3. 2000-იანი წლების შუა პერიოდში რუსეთი მიხვდა, რომ პოლიტიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორებს ირჩევენ არა „ისტორიულად ფორმირებული კავშირებიდან“ გამომდინარე, არამედ იმ სარგებლით, რომლის მოტანაც ამა თუ იმ პარტნიორს შეუძლია.
4. რუსული ინტეგრაციული ინიციატივების არასაკმარისი ფინანსირება პარტნიორი ქვეყნების მიმართ კომპენსირდება ზოგისთვის არასასურველი შიდაპოლიტიკური რეფორმების განხორციელების ნაკლები მოთხოვნით. რუსეთის მხიდან ინტეგრაციაში ჩართულობის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს რუსეთისადმი მეგობრული პოლიტიკა და რუსეთის შიდაპოლიტიკური ქმედებების მხარდაჭერა.
5. ე.წ. ინტეგრაციული ინიციატივების „ახალი ტალღა“ არ წარმოადგენდა ურთიერთმოქმედი ახალი მოდელის ფორმირების შედეგს, არამედ უბრალოდ უკვე არსებული მოდელის ადაპტაცია-განვითარების სახე ჰქონდა. ასე იყო ერთიანი ეკონომიკური სივრცის და ევრაზიის ეკონომიკური თანამეგობრობის შემთხვევაშიც (Шишкина, 2011: 61-63).

შიშკინა გამოყოფს საკმაოდ მნიშვნელოვან ასპექტებს, რომელთა გათვალისწინება და გააზრება პირველი ინტეგრაციული პროექტების შედეგებზე საუბრისას აუცილებელია. ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დსთ ვერანაირ კონკურენციას ვერ უწევდა ევროკავშირს და საბჭოთა პოლიტიკური მეხსიერება გადამწყვეტ, მეტწილად ნეგატიურ, როლს თამაშობდა ახლად დამოუკიდებლობამოპოვებულ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ცნობიერებაში. ევროკავშირი კი, შიშკინას აზრით, სრულიად ლოგიკურად საზოგადოებების საბჭოთა წარსულისგან თავის დაღწევის იმედს წარმოადგენდა. ამან დასაწყისშივე მნიშვნელოვნად იმოქმედა დსთ-ს იმიჯსა და მის სამომავლო პერსპექტივებზე. ამ შემთხვევაში ძნელია მას დაეთანხმო, რადგან იმ პერიოდში ევროკავშირის ინტერესები

პოსტსაბჭოთა სივრცეში, ბალტიისპირეთის გამოკლებით, საერთოდ არ ჩანს და ინიციატივა კი აშკარად რუსეთის ხელში იყო. თუმცა, საბოლოო ჯამში, მოხდა ისე, რომ კრემლმა ეს შანსები ვერ გამოიყენა და თავისი აგრესიული ქმედებებით პრაქტიკულად ყველა მეზობელი გადაიმტერა. საკმაოდ ობიექტურია ის შეფასება, რომ 2000-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული, ოფიციალური მოსკოვი, მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესებიდან და მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური ძვრებიდან გამომდინარე, რაც შეიძლება მეტი სარგებლის მომტანი პარტნიორების მოძიებაზე იყო ორიენტირებული. „ისტორიულად ფორმირებულ კავშირებზე“ კი რუსეთი იმდენად არის ორიენტირებული, რამდენადაც ეს მის ინტეგრაციულ, გეოპოლიტიკურ მიზნებსა და ინტერესებს ესაჭიროება. მიუხედავად ამისა, კრემლის მიერ საერთო ისტორიულ და კულტურულ კავშირებზე აპელირებას პოსტსაბჭოთა სივრცეში დღემდე ხშირად აქვს ადგილი. სრულიად ბუნებრივია, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები რუსეთის ინტეგრაციულ პოლიტიკას – და განსაკუთრებით რეინტეგრაციის პირველ მცდელობებს დსთ-ს ფარგლებში – აღიქვამენ არა როგორც უბრალოდ რეგიონული ლიდერობისკენ სწრაფვას, არამედ როგორც იმპერიულ ამბიციებს. საბჭოთა პოლიტიკური მეხსიერების ნეგატიური აღქმის ფონზე და მის პარალელურად, არ არსებობს ნდობის ფაქტორი რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების ამბიციების გათვალისწინებით, რაც პირველი ინტეგრაციული პროექტების წარუმატებლობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია. შიშკინას განმარტებით, წარუმატებლობის მორიგ მიზეზად შეიძლება დასახელდეს ოფიციალური მოსკოვის მიერ პარტნიორების შერჩევის კრიტერიუმები, რაც ასევე საკმაოდ მტკიცე არგუმენტია დსთ-ს ნაკლები ქმედითუნარიანობის გამოსავლენად. თუმცა რეალურად პრობლემა მდგომარეობდა არა პარტნიორების შერჩევის კრიტერიუმებში, არამედ მეტწილად მიზნებში, რომლისთვისაც რუსეთი ცდილობდა დსთ-ს გამოყენებას. კრემლი ყოველთვის მიისწრაფოდა ავტორიტარული რეჟიმების ხელშეწყობას და ამ რეჟიმებთან თანამშრომლობას. იგი მხოლოდ მისადმი ლოიალობას და უპირობო მხარდაჭერას ემხრობა, რაც როგორც შიდა პოლიტიკური, ასევე რეგიონის სტრუქტურული განვითარებისთვის არ წარმოადგენს ქმედით პოზიციას.

სსრკ-ს კოლაფსს მოჰყვა რიგი ურთიერთდაკავშირებული პროცესები. პოსტსაბჭოთა სივრცეში, ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამხედრო პრობლემებს. ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკამ, მათ შორის რუსეთმაც, ეს პრობლემები ინდივიდუალურად გამოცადა. იგი არა მხოლოდ სტატუსის რეაბილიტაციის მიზნით ცდილობდა ახალი ინტეგრაციული პოლიტიკა ეწარმოებინა, არამედ მას სურდა, ხელახლა მოეხდინა თვითიდენტიფიკაცია, უნდოდა მკაფიოდ განესაზღვრა საკუთარი გავლენის სფეროები და დაეცვა თავისი სტრატეგიული ინტერესები. რუსეთის მეზობლებმა, მცირე ტერიტორიის მქონე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებმა, მოულოდნელად გააცნობიერეს, რომ აღმოჩნდნენ ისეთ ვითარებაში, რომელშიც მათზე საერთაშორისო საზოგადოების ნორმები და პრინციპები არ მოქმედებდა. ისინი სრულიად დაუცველნი აღმოჩნდნენ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოსთან პოსტკომუნისტურ არეალში (Rondeli 1996). ალექსანდრე რონდელის სიტყვებით, „შესაბამის სიტუაციებში, პატარა ქვეყანამ მხედველობაში უნდა მიიღოს მისი ძლევამოსილი მეზობლის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები და აწარმოოს დიპლომატიური ურთიერთობები როგორც რუსეთთან, ასევე სხვა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან, არსებული გეოპოლიტიკური და ეკონომიკური პირობების შესაბამისად, სამომავლო გადარჩენისა და უსაფრთხოების მიზნით" (Rondeli,1996). ამგვარად, რიგი სახელმწიფოებისა აქტიურად თანამშრომლობდა კრემლთან. ზოგიერთი ცდილობდა მეტ-ნაკლებად ნეიტრალური პოზიციის დაკავებას, თუმცა თითქმის ყველა მცდელობა, რომელიც კრემლის ინტეგრაციულ პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა, პოსტსაბჭოთა სივრცეში ადგილობრივი სახელისუფლებო ძალებისთვის 90-იანი წლების დასაწყისში საკმაოდ ცუდად დამთავრდა. სამოქალაქო დაპირისპირებისა და სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერის ხარჯზე მოხდა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გაღვივება, რომელთა პოტენციალი თავის დროზე საბჭოთა ხელისუფლებას ნაღმის სახით ჰქონდა ჩადებული, დესტაბილიზაციის ფონზე გეოპოლიტიკური ვითარების უკეთ გაკონტროლების მიზნით. მოსკოვი, მართალია, დასუსტებული იყო, თუმცა არც იმდენად, რომ ხისტი ძალის გამოყენებას მორიდებოდა, თუმცა მისი ინტეგრაციული

პოლიტიკა 90-იან წლებში, არასწორი მიდგომის გამო, საბოლოოდ მაინც არაპროდუქტიული აღმოჩნდა.

სრულიად მართებულია რ. ალისონისა და ქ. ბლუთის დასკვნა, რომ დსთ-ს შექმნის მიზანს წარმოადგენდა მეტწილად კომპლექსური ეკონომიკური კავშირების და ერთიანი უსაფრთხოების სისტემის შენარჩუნება ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში. ამ ყოველივეს წყალობით რუსეთი იმედოვნებდა საბჭოთა სამხედრო ძალის გარკვეული ფორმით გადარჩენას. მსგავსი ამბიციები იმ პერიოდში თანხვედრაში არ მოდიოდა ერი-სახელმწიფოს შენების პროცესთან, რაც აწ უკვე ახლად დამოუკიდებლობამოპოვებულ, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს ჰქონდათ წამოწყებული. სავარაუდოდ, სწორედ ეს წარმოადგენდა უმთავრეს მიზეზს პირველი რუსული ინტეგრაციული პროექტის ჩავარდნისა. მიუხედავად ამისა, რუსეთის მხრიდან რეინტეგრაციის მცდელობას მაინც ჰქონდა ადგილი პოტენციურად მაღალი პოლიტიკურ-ეკონომიკური ხარჯებისა და საერთო ზარალის ფონზე. როგორც ჩანს, მოსკოვი იმ ეტაპზეც საკმაოდ ხისტად მისდევდა რეალიზმის პოლიტიკურ პრინციპებს და Great Power-ის სტატუსის აღდგენის ამბიციებს (Allison/Bluth,1998: 281).

დღემდე რუსულ ინტეგრაციულ მოდელს ახასიათებდა მკვეთრად ოპტიმისტური განცხადებები, მაგრამ რეალურად ნაკლები ქმედებები. კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენდა ცენტი-პერიფერიის ნიმუში დსთ-ს ეკონომიკური ურთიერთობების ფონზე. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი დსთ-ს ფარგლებში რუსეთის მიერ ინიცირებული ეკონომიკური ინტეგრაციის რიგი მცდელობების ჩავარდნისა, მდგომარეობდა იმაში, რომ მოსკოვს რეალურად არ სურდა თანხის გადახდა და არ ახდენდა შესაბამის ინვესტიციებს საკუთარი ინტეგრაციული პროექტების ასამუშავებლად. რუსი პოლიტიკოსები თითქმის ყოველთვის აღიქვამდნენ დსთ-ს, როგორც მათი პირადი ეკონომიკური მოგების წყაროს. ამის პარალელურად კი, რუსეთის ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერების ხარჯზე, ისინი იმედოვნებდნენ რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, რაც აბსოლუტურად ალოგიკურია მსგავს ვითარებაში. რუსეთის პოლიტიკური ელიტა ვერ აცნობიერებდა ფაქტს, რომ სანამ

მოსკოვს არ გაუჩნდებოდა სურვილი, განეხორციელებინა მიზანმიმართული ინვესტიციები და სერიოზულ დათმობებზე არ წავიდოდა თავის პოტენციურ პარტნიორებთან, ინტეგრაცია ვერშედგებოდა. უმთავრესი პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ განურჩევლად იმისა, პროდუქტიულად წარიმართებოდა თუ არა დსთ-ს შიდა ინტეგრაციული პროცესები, რუსეთს მხოლოდ მისი გაკონტროლების მიზანი ამოძრავებდა, რაც რეალური პროგრესის პირველ შემაფერხებელ მიზეზს წარმოადგენდა (Trenin, 2011: 153-156).

ყველა ორმხრივ ურთიერთობებში, სადაც კი ეს მისაღებია, პუტინის ადმინისტრაცია იყენებდა დსთ-ს ქვეყნების რუსეთთან დაახლოების ზოგად პოლიტიკას, საკუთარი გეოპლიტიკური და სტრუქტურული უპირატესობების ხარჯზე. ამ შემთხვევაში მოსკოვი მოქმედებდა „დიდი რუსეთის" მშენებლობის იდეით. რუსეთის ურთიერთობები ცენტრალურ აზიასთან და კავკასიასთან, მათ შორის საქართველოსთან, მოიაზრებდა კრემლის მიერ ენერგო რესურსების პირდაპირ გამოყენებას, სახელმწიფო ლიდერთა „დასჯის ან დაჯილდოვების" მიზნით. ეს იყო, ფაქტობრივად, ენერგო რესურსებით პოსტსაბჭოთა რიგი ქვეყნების ხელისუფლებათა მანიპულირების მცდელობები. თუ ელცინის გვიან - და პუტინის ადრეულ – პერიოდში უფრო მეტად უსაფრთხოების საკითხები დომინირებდა, პუტინის პრეზიდენტობის შემდგომ წლებში დღის წესრიგში ეკონომიკური პრობლემატიკა დაწინაურდა. რუსეთი ამჟამად უკვე არა მხოლოდ აშშ-ს ეპაექრებოდა, არამედ ასევე ჩინეთის მზარდ გავლენას ცენტრალური აზიის რეგიონში (Freire/Kanet, 2012: 235-237). ამ ყოველივემ კი რუსული ინტეგრაციული პოლიტიკის გადააზრების აუცილებლობა გამოიწვია და მოსკოვის მიდგომა რიგ საკითხებში მნიშვნელოვნად შეცვალა.

რუსი მკვლევარი ვიქტორია სლესარენკო მიიჩნევს, რომ დსთ-ს უმთავრეს მიზანს, როგორც ამას პუტინი 2005 წელს ერევანში გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნავდა, წარმოადგენდა სსრკ-ს კოლაფსის შემდგომ „ცივილიზებული დაშლის“ უზრუნველყოფა და არა ევროკავშირის მსგავსი ეკონომიკური ინტეგრაციული პროექტის ფორმირება. პრეზიდენტის აზრით, დსთ-მ

თავის მიზანს საკმაოდ კარგად გაართვა თავი (Слесаренко, 2016: 17-20). ფაქტია, რომ ქვეყნის პირველი პირი მსგავსი განცხადებით ცდილობს თავდაპირველი რეინტეგრაციული ამბიციების უარყოფას და ამგვარად არაღიარებას იმისა, რომ პირველი ინტეგრაციული პროექტი, როგორც რუსეთის რეალური მიზნების მიღწევის, მისი ინტეგრაციული პოლიტიკის მექანიზმი, წარუმატებელი აღმოჩნდა. რუსეთის ხელისუფლების მიერ დსთ-ს მხოლოდ და მხოლოდ, ე.წ. „მშვიდობიანი დეზინტეგრაციული“ პროცესის უზრუნველყოფისთვის შემუშავებულ პროექტად წარმოჩენა არ არის მართებული.

როგორც სლესარენკო თავადვე აღიარებს, დსთ-ს ფარგლებში უამრავი გადაუწყვეტელი პრობლემა რჩებოდა და დღემდე რჩება. თუმცა, რიგი რუსი ავტორების მსგავსად, ისიც ოპტიმისტურად მიიჩნევს, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ორგანიზაციის წევრები მაინც დაინტერესებულნი არიან დსთ-ს ფარგლებში სამომავლო თანამშრომლობით და თანამეგობრობის ქმედითუნარიანობის ზრდით. ავტორი ასევე აღიარებს, რომ დღის წესრიგში არაერთხელ დამდგარა ორგანიზაციის რეფორმიების საკითხი, რადგან ვერ მოხერხდა ერთიანი ეკონომიკური განვითარების პრობლემის და სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მოგვარება. ამისთვის კი იგი დსთ-ს ფარგლებში ბევრად მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობას ხედავს. ამ შემთხვევაში ავტორის კვლევაში კარგად ჩანს, რომ მისი სურვილები და აღწერილი რეალობა ერთმანეთს არ ემთხვევა. სლესარენკო თვლის, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს გაუჩნდათ საშინაო და საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლად წარმოების საკუთარი ამბიცია, ასევე საკუთარი მიზნები და საჭიროებები – და რაც ყველაზე მთავარია – დამოუკიდებლობა, რომელიც რუსეთისგან და მისი კონტროლისგან უშუალო თავისუფლებად აღიქმება. მკვლევარი მიიჩნევს, რომ რუსეთისთვის აშკარად პრობლემატურია დსთ-ში საკუთარი პოზიციების გამყარება. მისი აზრით, ეს ცხადყო რიგმა მოვლენებმა, კერძოდ, როგორც უკვე ავღნიშნეთ, საქართველოს დსთ-დან გასვლამ, უკრაინის მხრიდან გასვლის გეგმებმა და უზბეკეთის პოზიციამ ОДКБ-სთან დაკავშირებით. რაც შეეხება ჰუმანიტარულ სფეროს, სლესარენკო პირდაპირ აღიარებს, რომ ოფიციალური მოსკოვი რბილი ძალის გამოყენებით ცდილობს დსთ-ს სივრცეში საკუთარი გეოპოლიტიკური

მიზნების მიღწევას და მასმედიის საშუალებით მიმართავს ინფორმაციულ-კულტურულ პროპაგანდას (Слесаренко, 2016: 52-53). აღნიშნული დასკვნების გამოტანის მიუხედავად, ავტორი მაინც მიიჩნევს, რომ რუსეთის გააქტიურებისა და დსთ-ს რეფორმიების შემთხვევაში, მოსკოვის პოლიტიკური ამბიციების გათვალისწინებით, წარმატების მიღწევა სრულიად შესაძლებელია. შესაბამისად, რუსი ავტორების ნაწილს უჭირს აღიარება, რომ ადგილი აქვს აშკარა იდეურ და მიზნობრივ შეუთავსებლობას. კრემლის იმ ამბიციებისა და პოლიტიკის გათვალისწინებით, რომლებზეც რუსი ექსპერტები საკმაოდ ფართოდ და ხშირ შემთხვევაში რეალისტურად საუბრობენ, შეუძლებელია დსთ-ს წარმატებულ ორგანიზაციად რეფორმირება. დსთ-ს წევრ იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ დაუტოვებიათ ორგანიზაცია, უჭირთ გაცნობიერება, რომ ორგანიზაციის ფარგლებში ეკონომიკური განვითარებისა და რეგიონული უსაფრთხოების მიღწევა, დღემდე იმ მარტივი მიზეზის გამო არ ხერხდება, რომ ეს ყოველივე ოფიციალური მოსკოვის გეგმებში ნაკლებად შედის. კრემლის გამოცდილებით, ავტორიტარული სისტემები რეგიონული დესტაბილიზაციის, კონფლიქტის ზონებისა და სუსტი ეკონომიკის ფონზე პოსტსაბჭოთა სივრცეში ბევრად ადვილი სამართავია. შედარებით განვითარებული ეკონომიკა, ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტები და სამოქალაქო საზოგადოება, ასევე ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის მიზნები და ნაბიჯები პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების მხრიდან, რუსეთისთვის ქმნის შეშფოთების პრეცედენტს. ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე საქართველოს პროგრესი და ქვეყნის მიერ არჩეული გზა ამის ნათელი მაგალითია. ნებისმიერი სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის გაგება რუსეთის ინტეგრაციულ ამბიციებს იდეურად ეწინააღმდეგება. ფაქტია, რომ საქართველოს დსთ-ში წევრობა მხოლოდ ფორმალობას წარმოადგენდა და, შესაბამისად, ქვეყნისთვის არაფერი კარგი ამას არ მოუტანია. ცხადია, რომ კრემლის ერთპიროვნულმა დესტრუქციულმა პოლიტიკამ როგორც ორგანიზაციის ფარგლებში, ისე მისმა ძალისმიერმა ქმედებებმა, საქართველოს რუსული ორბიტიდან დეზინტეგრაციის პროცესი ერთმნიშვნელოვნად დააჩქარა.

ლიტერატურა:

1. Воронкин Н. В. Интеграционные процессы на постсоветском пространстве возможности применения европейского опыта; Федеральное государственное образовательное учреждение высшего профессионального образования «Российская академия государственной службы при Президенте Российской Федерации» Воронежский филиал РАГС; Кафедра региональных и международных отношений: Выпускная квалификационная работа по специальности «Регионоведение».-(Воронеж),2010
2. Слесаренко В.Н. Российская Федерация и интеграционные процессы в СНГ: проблемы и перспективы развития; Задание на выпускную квалификационную работу; Министерство образования и науки Российской Федерации; Южно-Уральский государственный университет; Кафедра "Международных отношения и мировая интеграция".- Челябинск, 2016
3. Улюкаев С.С., Шеряй К.И. Концептуальные основы эффективного использования интеграционного потенциала стран-членов СНГ; Федеральное государственное бюджетное образовательное учреждение высшего профессионального образования – Российская Академия Народного Хозяйства и Государственной Службы при Президенте Российской Федерации.-Москва, 2014
4. Allison R., Bluth C. Security Dilemmas in Russia and Eurasia; Part III - Conflicts and CIS Collective Security Efforts; Andrei Zagorski, Chapter 14: Regional Structures of Security Policy within the CIS / (The Royal Institute of International Affairs).-1998
5. Rondeli Alexander. Georgia in the Post-Soviet Space: The International Association For Caucasian Regional Studies Caucasian Regional Studies.- Issue 1: 1996.-1991
6. Trenin Dmitri Post-Imperium: A Eurasian Story: Chapter 3: Economics and Energy: Integration(Carnegie Endowment).-2011
7. Freire Maria R., Kanet Roger E. Russia and its Near Neighbours: Part III - Energy in Russian-CIS Relations: Bertil Nygren - Chapter 10: Russia's Resource Policies towards the CIS countries.– Conclusion(Palgrave).-2012

დიანა ტერ-ბაღდასაროვი

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H404 ხელნაწერში დაცული გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრება“

აგათანგელოსის „სომხეთის ისტორია“ მეხუთე საუკუნის ადრექრისტიანული სომხური მწერლობის პირველი ძეგლია, რომელიც ცნობებს გვაწვდის სომეხთა მოქცევისა და მათი განმანათლებლის შესახებ. IV საუკუნეში სომხეთში, საქართველოსა და ალბანეთში ქრისტიანობა ოფიციალურ სარწმუნოებად იქნა აღიარებული. აგათანგელოსის ისტორია უმნიშვნელოვანესი წყაროა სომხეთის ეკლესიის ისტორიის შესწავლისა და მთლიანად კავკასიის გაქრისტიანების საკითხის კვლევის თვალსაზრისით.

ცნობილია აგათანგელოსის ისტორიის დაახლოებით ოცი რედაქცია ცხრა ენაზე: სომხურად, ბერძნულად, სირიულად, არაბულად, ლათინურად, ეთიოპიურად, ქართულად, კოპტურად (ფრაგმენტი) და სლავურად.

სომხეთში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ წყაროთა შორის ცნობებით უმდიდრესია გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრებათა“ ციკლი. ამ თხზულების არაბულ ვერსიაში გვხვდება ცნობები ქართველთა და ალბანელთა შესახებ.

გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრება“ თავისი ვერსიებითა და რედაქციებით ერთიანდება „გრიგოლის ცხოვრებათა“ ციკლში, სადაც სპეციალისტთა უმრავლესობა ორ ძირითად ჯგუფს გამოყოფს. პირველ ჯგუფში შეაქვთ „სომხეთის ისტორია“, რომლის ავტორად ტრადიციულად აგათანგელოსი ითვლება (აგათანგელოსის ისტორია, თბილისი, 1909) [Robert W. Thomson, 2010:11], ბერძნული თარგმანითა და მისგან მომდინარე ტექსტებით. გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრებათა“ ციკლის პირველ ჯგუფს აღნიშნავენ *A* ლიტერით, შესაბამისად, სომხური „ისტორია“ – A_a, ბერძნული „ისტორია“ – A_g, არაბული „ისტორია“ – A_{ar}. ამავე ჯგუფში აერთიანებენ

აგათანგელოსის „ისტორიის“ არაბულ ტექსტს, რომელიც 1968 წელს გამოსცა ა. ტერ-ღევონდიანმა სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკის ხელნაწერის მიხედვით (ა. ტერ-ღევონდიანი, 1968) [Robert W. Thomson, 2010:10]. მეორე ჯგუფში გაერთიანებულ ტექსტებს კი პირობითად „ცხოვრებებს“ უწოდებენ და V ლიტერით აღნიშნავენ. ამ ჯგუფში თავდაპირველად ორი თხზულება იყო შეტანილი: 1. ნიკო მარის მიერ 1905 წელს პეტერბურგში გამოცემული სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრის წიგნთსაცავის ხელნაწერში (sin.ar 460) დაცული გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრების“ არაბული ტექსტი [ნ. მარი, 1905]; 2. 1946 წელს ჟ. გარიტის [ჟ. გარიტი, 1946] მიერ [Robert W. Thomson, 2010:10] ესკურიალის /ესპანეთი/ ბიბლიოთეკაში აღმოჩენილი XII საუკუნის ბერძნულ ხელნაწერში დაცული გრიგოლ განმანათლებლის ბერძნული „ცხოვრება“.

ნიკო მარის მიერ აღმოჩენილი არაბული ტექსტი ნაკლული იყო, მას აკლდა დასაწყისი. 1972 წელს სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერთა მიკროფირებში აღმოჩნდა გრიგოლ განმანათლებლის არაბული „ცხოვრების“ /Sinai 455, XII საუკუნის ხელნაწერი/ სრული ტექსტი, რომელიც 1973 წელს გამოსცა ა. ტერ-ღევონდიანმა [რ. ტომსონი, 2010:11].

ზემოხსენებულის გარდა, სპეციალისტთა უმრავლესობა მეორე ჯგუფში აერთიანებს 1961 წელს მაკედონიის ოქრიდის მონასტერში აღმოჩენილ და 1965 წელს ჟ. გარიტის [Robert W. Thomson, 2010:11] მიერ გამოცემულ გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრების“ ახალ ბერძნულ ტექსტს და იერუსალემის წმ. მარკოზის მონასტრის ხელნაწერთა კოლექციაში აღმოჩენილ გრიგოლის „ცხოვრების“ კარშუნულ რედაქციას.

გ. ვინკლერი [გ. ვინკლერი, 1980:126], გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრებათა“ ციკლში გაერთიანებულ თხზულებებს ოთხ ძირითად ჯგუფად ჰყოფს: 1. აგათანგელოსის „ისტორიის“ სომხური ტექსტი, ბერძნულ-არაბული თარგმანებით, 2. ე.წ. „ცხოვრება“ ბერძნული და არაბული ტექსტებით, 3. „ისტორიისა“ და „ცხოვრების“ შეერთების

შედეგად მიღებული კარშუნული და ოქრიდული რედაქციები, 4. ბერძნული, ლათინური, ქართული და არაბული მეტაფრასული რედაქციები.

ბერძნულ და არაბულ „ცხოვრებათა“ აღმოჩენის შემდეგ, გამოითქვა მოსაზრება, რომ უნდა არსებულიყო ამ უკანასკნელთა სომხური დედანი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. სომხური არქეტიპის აღდგენასა და დათარიღებასთან დაკავშირებით, ნიკო მარმა [ნ. მარი, 1905:182] შემდეგი სქემა შემოგვთავაზა:

ა) V-VI სს-ში არსებობდა თხზულება წმ. გრიგოლის შესახებ /ავტორი მესროპ მაშტოცი ან სხვა ვინმე/, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

ბ) მეორე რედაქცია /ე.წ. „ცხოვრება“/ უნდა შექმნილიყო VII-VIII სს-ში ტაოელ ქალკედონიტთა წრეში, რომელიც ითარგმნა ბერძნულად და არაბულად.

გ) VIII ს-ში შეიქმნა ახალი /მესამე/ ეროვნული რედაქცია, რომელიც წარმოდგენილია, როგორც აგათანგელოსის „სომხეთის ისტორია“.

ეროვნული რედაქცია ოთხი ნაწილისაგან შედგება: 1. წინასიტყვაობა აგათანგელოსისა, 2. წმინდა გრიგოლის ცხოვრება და ისტორია, რომელშიც შესულია რიფსიმიანთა მარტვილობაც, 3. წმინდა გრიგოლის ქადაგება, 4. სომეხთა ქვეყნის მოქცევა [ა. ტერ-ღევონდიანი, 1983].

ყველაზე ადრეული ხანის ისტორიკოსი, რომელიც აგათანგელოსის ისტორიის არსებობაზე მიუთითებს, ფავსტოს ბუზანდია (Vს.). მაგრამ ყველაზე ვრცლად და ნათლად აგათანგელოსის ისტორიაზე საუბრობს ლაზარე ფარპელი (Vს.), რომლის მიხედვითაც ამ ისტორიას „გრიგორისის წიგნი“ ეწოდება. აგათანგელოსის ისტორიას სებეოსიც „გრიგორისის წიგნს“ უწოდებს. ა. ტერ-ღევონდიანის მიხედვით, გარდა დღეს ჩვენთვის ცნობილი რედაქციისა, ხორენელი (Vს.) იცნობს აგრეთვე იმ დაკარგულ რედაქციასაც, რომლის სირიულმა, ბერძნულმა და არაბულმა თარგმანებმაც მოაღწია ჩვენამდე [ა. ღევონდიანი, 1983:503]. აღსანიშნავია, რომ მოსე ხორენელი თავისი ისტორიის პირველ ნაწილში სომეხთა მეფეებსა და იშხნებს ადანაშაულებს იმაში, რომ

ისინი გულგრილნი იყვნენ მეცნიერების მიმართ. მათ არ იზრუნეს იმაზე, რომ დაეწერათ იმ საგმირო საქმეთა შესახებ, რომელნიც თავიანთ ქვეყანაში მომხდარა [სტ. მალხასიანი, 1961:82-83]. შემდეგ, ამავე თხზულების მეორე ნაწილში ავტორი წერს, რომ აგათანგელოსმა ეს ამბები მოკლედ მოგვითხროო, მაგრამ მე მსურს, რომ ვრცლად და დაწვრილებით მოგითხროთ ამ პერიოდის ისტორია თავიდან და მრავალი ჭეშმარიტი ცნობითო [სტ. მალხასიანი, 1961:227].

აგათანგელოსის ისტორიას იხსენიებენ აგრეთვე მოგვიანო პერიოდის სომეხი ისტორიკოსები, მაგრამ ისინი უკვე ,,გრიგორისის წიგნის'' ნაცვლად ,,აგათანგელოსის ისტორიას'' იცნობენ.

გრიგოლ განმანათლებლის ,,ცხოვრება'' ქართულ ენაზეცაა შემონახული. ,,გრიგოლის ცხოვრების'' ქართული რედაქციის არსებობის შესახებ პირველი ცნობა გამოაქვეყნა არმენოლოგმა ვ. ლანგლუამ [Պ. Մուրադյան, 1982:124]. 1892 წელს თ. ჟორდანიამ ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების'' კრებულის №384 ხელნაწერში აღმოაჩინა ლანგლუას მიერ მოხსენიებული დედნის ახალი ნუსხა და ვრცელი სტატია გამოაქვეყნა თავის ,,ქრონიკების'' პირველ წიგნში. ამასთან დაკავშირებით ლეონ მელიქსეთ-ბეგი ,,ცხორებაჲ წმ. გრიგოლ პართელისაჲ''-ს წინასიტყვაობაში წერს: *,,ტექსტის მცირე ნაწილი იმავე ხელნაწერის მიხედვით მოუთავსებია თ. ჟორდანიას თავის ,,ქრონიკების'' პირველ წიგნში (ტფილისი 1893, გვ. 19-27): გამოცემაში წარმოდგენილია ძეგლის მხოლოდ წინა ნაწილი ისტორიული შინაარსისა და აგრეთვე ერთი პატარა ნაწყვეტი შუაგულიდან''* [ლ. მელიქსეთ-ბეგი, 1920:V].

მელიქსეთ-ბეგი იქვე აღნიშნავს, რომ წმ. გრიგოლ პართელის ,,ცხოვრების'' ქართული ვერსია წარმოადგენს ცოტად თუ ბევრად თავისუფალ თარგმანს ბერძნულიდან, რომელიც 1081 წელს კონსტანტინეპოლის ტრიანტაფლიუს ღვთისმშობლის მონასტერში გიორგი მთაწმინდელის მოწაფეს, თეოფილე მღვდელმონაზონს შეუსრულებია. იმისდა მიუხედავად, რომ ქართულ ტექსტში გვხვდება ზოგიერთი

ლექსიკური არმენიზმები, მაგ.: „ოხჭანი“ – վախճան, და სხვა, მელიქსეთ-ბეგის თვალსაზრისით, ეს სიტყვები დამკვიდრებული უნდა ყოფილიყო ქართულ ენაში უფრო ძველი დროიდან, ვინაიდან ისინი სხვა ნაწარმოებებში უფრო ადრე იყო გამოყენებული.

პ. მურადიანი ასახელებს გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრების“ ძველ ქართულად ნათარგმნ ოთხ ხელნაწერს: 1. ათონის ქართულ დედა მონასტერში (№20), 2. თბილისის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (S-384), 3. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (№4), 4. სინაზე (№91) [Պ. Մուրադյան, 1982:127].

ვფიქრობთ, რომ გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრებათა“ ქართულ ხელნაწერებს უნდა დავუმატოთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არსებული H404 ხელნაწერიც, რომელშიც დაცულია გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრების“ უცნობი ქართული ვერსია შემდეგი სათაურით: *„ტრდად ჴემწიფემ რომ(ა) ლუსავორაჩის აწამა“*. ხელნაწერი წარმოადგენს სარწმუნოებრივი შინაარსის მქონე ტექსტების კრებულს.

ხელნაწერის ძირითადი ნაწილი შესრულებულია ქართულად. მას ახლავს ორგვერდიანი ანდერძი, რომლის მიხედვითაც ეს ხელნაწერი გიორგი ამირაღაშვილმა იეზდის ქალაქში დაწერა და გამოგზავნა ქართლში (ანდერძის მიხედვით 1717 წელს). იეზდი (სომხურად - Եզդ) ირანის ერთ-ერთი ქალაქია (იეზდი ოსტანის ადმინისტრაციული ცენტრი) [სომხ. ენციკლოპედია, III, 1977]. ადრესატები არიან თუმანიშვილები. აღნიშნული ხელნაწერი უნიკალურია იმ მხრივ, რომ მასში დაცული სომხური ტექსტები შესრულებულია ქართული ტრანსკრიფციით. ზოგადად ხელნაწერი გამოირჩევა ან-მეტობით. ზედმეტი ან-ები ქართულსა და სომხურ ტექსტებში გვხვდება როგორც თანხმოვნებს შორის, ისე – თანხმოვნებსა და ხმოვნებს შორის.

ძალიან საყურადღებოა, რომ ხელნაწერში დაცული გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების ტექსტი შინაარსობრივად აშკარად განსხვავდება იმ ქართულენოვანი რედაქციული ჯგუფებისგან, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი; გამოირჩევა

ენობრივი თავისებურებებითაც, ლექსიკური, სინტაქსური და ფონეტიკური არმენიზმებით.

ჩვენი კვლევის მთავარი მიზანია H404 ხელნაწერში დაცული გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრების“ ტექსტის მიმართების დადგენა ამ თხზულების ქართულ ვერსიებთან და სომხურ ეროვნულ რედაქციასთან. ამისთვის ჩვენ ის შევადარეთ გრიგოლის ცხოვრების ძველ ქართულ რედაქციას (გამოცემული ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ)[1], ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ისტორიაში“[2] არსებულ ტექსტს, რომელშიც ასახულია გრიგოლ განმანათლებლის მიერ თრდატისა და სომხების მოქცევის, აგრეთვე რიფსიმიანთა მარტვილობის ამბები; და სომხურ ეროვნულ რედაქციას.

მიუხედავად იმისა, რომ H404 ხელნაწერში დაცული გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების სიუჟეტი ნაწილობრივ ემთხვევა ეროვნული რედაქციისა და ცხოვრებების ძირითად სიუჟეტს, მაინც გვხვდება განსხვავებები. აქ არაფერია ნათქვამი სპარსეთის სამეფოს შესახებ, არც არშაკუნიანთა დინასტიის შესახებ, თრდატის მიერ წარმოებულ ომებზე არც ერთი სიტყვა არ გვხვდება; არ გვაქვს არტაშირისა და ხოსროვის ბრძოლა (სპარსეთისა და სომხეთის), ანაკის მიერ ხოსროვის მოკვლა; განმანათლებლის ხილვა; კერპების სახელები არსად არ არის მითითებული, ზოგადად, ნაკლებად გვხვდება საკუთარი სახელები; არაფერია ნათქვამი თრდატის გარდაცვალებაზე; ტექსტში თითქმის არსად გვხვდება თარიღები და რიცხვები. მაგალითად, დანარჩენი ვერსიებისაგან განსხვავებით, ამ ტექსტში არ არის მითითებული, რომ გრიგოლმა ორმოში 14 წელი გაატარა, ამის ნაცვლად აღნიშნულია, რომ *ორმოშიაც დაჰყვო* [H404, 91v] და ასე შემდეგ.

სომხური ეროვნული რედაქციის მიხედვით თრდატმა მსხვერპლი შესწირა ანაჰიტს და გრიგოლსაც მოსთხოვა იგივე [ა. ტერ-ღევონდიანი, 1983:39], მაგრამ H404 ხელნაწერის „ცხოვრებაში“ ანაჰიტი მოხსენებული არ არის.

ტექსტის დასაწყისში საუბარია იმაზე, რომ „ერევნის“[3] ხელმწიფე იყო კერპობით[4] თრდატ და მისი ვეზირის შვილს ერქვა გრიგოლი. ტექსტში ყველა ფაქტი მოკლედაა

აღწერილი, შედარებით ვრცელი ადგილი ეთმობა გრიგოლის მიერ თრდატის განკურნებას, გრიგოლის ქადაგებას, მის ხელდასხმასა და ბოლოს მარხვის წესებს. არსად მოხსენებული არ არის რიფსიმესა და გაიანეს სახელები, თუმცა მათი წამება აღწერილია რამდენიმე სტრიქონით.

H404 ხელნაწერში დაცული გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების ტესტი ქართული რედაქციებისგანაც საკმაოდ განსხვავდება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის იწყება თრდად მეფის ამბით. ძველი ქართული რედაქცია კი იწყება პართევისა და არშაკუნიანთა ამბით; ფარსადან გორგიჯანიძესთან - რიფსიმეს ამბით. აქ რიფსიმე მოხსენებულია როგორც ფრანგეთის ქალი ჰორმ სიმე (ზოგან - ჰორომ სიმე).

ძველ ქართულ რედაქციაში მთელი შვიდი გვერდი ეძღვნება გრიგოლ განმანათებლის წამებას, დაწვრილებით არის აღწერილი, თუ როგორ აწამებს თრდატ მეფე გრიგოლს. H404 ხელნაწერში კი - რამდენიმე სტრიქონით არის გადმოცემული გრიგოლის წამება, ავტორი წერს, რომ ხელმწიფემ მრავალი სატანჯველით აწამა გრიგოლი და რომ ვერაფერი დააკლო, ტყვია აადუღებინა და ჩაასხმევინა პირში [H404, 91v], მსგავსი რამ გვხვდება აგრეთვე ძველ ქართულ რედაქციაში, მაგრამ ტყვიის ნაცვლად ბრპენია [ლ. მელიქსეთ-ბეგი, 1920:18] გამოყენებული, რაც იმავე ტყვიას ნიშნავს.

H404 ხელნაწერში დაცული ცხოვრებისაგან განსხვავებით, ფარსადან გორგიჯანიძესთან ტექსტი დაყოფილია თავებად. აგრეთვე სხვადასხვა თანმიმდევრობითაა აღწერილი მოვლენები. H404 ხელნაწერის „ცხოვრება“ ერთ მთლიანობას წარმოადგენს, ხოლო ფარსადან გორგიჯანიძის ტექსტი არ მოიცავს საკუთრივ გრიგოლის ცხოვრებას, არამედ, როგორც ჩანს, ცალკეული ცნობები აქვს ამოღებული წერილობითი წყაროებიდან და ჩართული აქვს აგრეთვე ზეპირი წყაროებიც. მის ტექსტს ახლავს სათაურები. აღსანიშნავია, რომ არც ერთ სათაურში გრიგოლ განმანათლებლის სახელი არ არის მოხსენებული, მაგრამ თითქმის ყველგან გვხვდება მის შესახებ ცნობები. გრიგოლ განმანათლებელს შეეხება ძირითადად შემდეგი სათაურები: *„აქა ანბავი ფრანგეთის ჴემწიფის ქალის ჰორმ სიმესი და წამება მისი“* [A2492, 1r]; *„ანბავი*

ფრანგეთის კემწიფის ქალის ჰორომ სიმეს წამებისა და წმინდის ნინოსი უფრო ზეით ანბვია მაგრა აქაც არას დაუშლის“ [A2492, 6v]; *„აქ ანბავი წმინდის ჰორომ სიმეს ფრანგეთის კემწიფის ქალის და ტრდად კემწიფისა“* [A2492, 8v].

H404-ში რამდენიმე წინადადებით აღწერილია, თუ როგორ აწამა თრდატმა გრიგოლ განმანათლებელი [H404**,** 91v], ხოლო ფარსადანთან არაფერია ნათქვამი ამაზე. ფარსადანი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ გრიგოლი „გვირაბის სავანში“ იყო ტყვედ [A2492, 10v] და არაფერს ამბობს მის წამებაზე. იგი „ვირაბის“[5] აღსანიშნავად იყენებს „გვირაბს“. გორგიჯანიძე გრიგოლ განმანათლებელს ღვთისმეტყველს უწოდებს[6].

H404 ხელნაწერში გრიგოლის ორმოში ჩაგდებას პირდაპირ მოჰყვება ორმოცი მონაზვნის ჩასვლა სომხეთში. როგორც ვხედავთ, H404 ხელნაწერში ორი სიტყვით აღნიშნულია, რომ მონაზვნები საფრაგეთის ანუ რომის იმპერატორს – დიოკლეტიანეს გაექცნენ (A2492-სა და H404 ხელნაწერში დიოკლეტიანე საფრაგეთის ხელმწიფედ არის მოხსენებული, ძველ ქართულ რედაქციაში კი – საბერძნეთის, სომხურ ეროვნულ რედაქციაში – კესარიის). ფარსადან გორგიჯანიძემ ცალკე თავი მიუძღვნა რიფსიმესა და დანარჩენი მონაზვნების წამებას. ამისგან განსხვავებით ძველ ქართულ რედაქციაში თავიდან არაფერია ნათქვამი მონაზვნების შესახებ, აქ ცალკე თავებად არ არის გამოყოფილი გრიგოლის ცხოვრება, ქადაგება და რიფსიმიანთა წამება, მაგრამ რამდენიმე გვერდი სპეციალურად ეძღვნება მონაზვნების წამებას. აქ H404 ხელნაწერისაგან განსხვავებით, ვრცლად არის აღწერილი, თუ როგორ გაექცნენ მონაზვნები დიოკლეტიანეს და სომხეთში მივიდნენ, ამ მხრივ ფარსადან გორგიჯანიძესთან და ძველ ქართულ რედაქციაში უფრო მეტი თანხვედრაა, ორივეში გვეხვდება ის ფაქტი, რომ დიოკლეტიანემ ცოლის მოყვანა მოინდომა. ძველ ქართულ რედაქციაში ვკითხულობთ, რომ დიოკლეტიანემ გაიგო, რომ ერთ-ერთ მონასტერში ცხოვრობდა ვინმე ქალწული, რომლის წინამძღვარი იყო გაიანე, ფარსადან გორგიჯანიძესთან კი ვკითხულობთ, რომ დიოკლეტიანემ მოიხმო მხატვრები და ბრძანა, რომ *„ყველგან ასრე ბრძანება მისწერეს, ვისაც უბიწო ქალი ჰყვანდესო აჩვენეთო, რომ ამ მხატვრებმანიო ასრე სახე და ყოვლი ქნილობა მათი გარდიღონო რომ ვითაც*

ცოცხალი გვეჩვენოსო რომ სადედოფლოთ გვიბრძანა“ [A2492, 7r]. ამ მხრივ A2492 უფრო ახლოსაა სომხურ ეროვნულ რედაქციასთან.

გრიგოლ განმანათლებლისა და „პურის მიმტანი დედაკაცის“ დიალოგი გვხვდება მხოლოდ H404 ხელნაწერსა და ფარსადან გორგიჯანიძესთან მცირეოდენი განსხვავებით – H404 ხელნაწერის მიხედვით დედაკაცს პური მიჰქონდა, ხოლო ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით – წყალი და პური. H404 ხელნაწერის მიხედვით ხელმწიფე გრიგორის სიტყვებზე ღორად იქცა, ხოლო ფარსადანის მიხედვით – გრიგოლის წყევლიდან მესამე დღეს ღორად იქცა და მასთან ერთად მისი „ყმანიც და თავადნიც“. სიტყვა ხელმწიფეს ორივე ხელნაწერში ერთნაირი ტრანსკრიფცია აქვს – ჴემწიფე. ძველ ქართულ რედაქციასა და სომხურ ეროვნულ რედაქციაში დედაკაცისა და გრიგოლის დიალოგი არ გვაქვს. H404 ხელნაწერშიც, ისევე, როგორც სხვა დანარჩენ რედაქციებსა და ვერსიებში, თრდატი და მისი მხედრები, მთავრები და ყველა, ვინც მისი კადნიერების თანაზიარი იყო, ღორად იქცა იმის შემდეგ, რაც თრდატმა წამებით მოაკვლევინა რიფსიმე და დანარჩენი მონაზვნები.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ზემოხსენებულ დიალოგს H404 ხელნაწერიდან და A2492-დან:

H404

„და იმა დღეს მოლოზანებს რომ(ა) ხოცადნენ, ის(ა) დედაკაცი, რომ(ა) მუდამ გრიქორასთვინ მიჰქონდ[ა], იმ(ა) მოლოზანების(ა) ნაღვლით(ა) პური ველარა ჩაიღო. და მიორეს დღეს რომ(ა) მივიდა და პური ორმოში ჩაგდო, და გრიქორამ(ა) ორმოდამ ბძანა: რატომ(ა) გუშინ არა მოხველო და ამ(ა) გველებს შიარი[7] გაუშვიო. და იმ(ა) დედაკაცმანაც მოახსენა, რომ(ა) საფრაგეთიდამ(ა) მოლოზ(ა)ნები რომ(ა) მოსულიყვნენო, და ჴემწიფემ(ა) უსამართლოთაც ისინი დახოცაო, და ველარ(ა) მოვედიო. და ამ სიტყვაზედ ორმოდამ(ა) გრიქორამ ბძანა: ისა ტრდად(ა) ღორი ჴემწიფეო ჯერაც(ა) ცოცხალო? და ამ(ა)რიგათ(ა) ბძენებაზედ(ა) იმავ თავის ალაგსავე გაღორდა“ (92v).

A2492

„ის დედაკაცი რომ ორმოშიგ გრიგოლს წყალსა და პურს უზიდევდა, დროს გარდასცილდა დაგვიანდა გვიან მოვიდა მოლოდინს უკან ისევ წყალი და პური მოიტანა და ორმოში ჩაუვიდა და ორმოდან გრიგოლ ამოეძახა,- რასთვის დაგვივიწყე? მან ასე მოახსენა,- წყეულიმც არის ტრდად ჯემწიფე, რომ ასეთი უსამართლო და საცოდავი საქმე ქნაო, რომ სრულ ეს ქვეყანა ცოდვისა და სიბრალულის აგან ტირიან. რაც ქნილ იყო იმ ქალების საქმე ყველა წმინდას გრიგოლს მოახსენა. ჯერ კიდევ ცოცხალი არისო ის ღორიო რა ამან აქა თქვა სამის დღის სავალს ზედ ტრდად გაღორდა და ტახტით გადმოვარდა და მისნი ყმანი და თავადნი შეცდენ და ტანის სამოსნი შემოგლიჯეს და თავიანთ კბილით თავიანთ ჯორცს იჭამდენ და მეცნიერთა უმეცარნი შეიქნენ. ჯემწიფის სახე გალანი და კბილნი და ქაჩაჩონი ღორისა შექნა და ჯემწიფის საჯალაბოში ტირილის ხმა ამაღლდა. თავს იცემდენ და ძალი და სალარ მოუხმარებელი შეიქნა ვერა გაიგს რა თუ რა ...“ (1r).

H404 ხელნაწერში გრიგოლი თვითონ ეუბნება ხელმწიფეს, რომ უნდა ჩავიდეს კოსტანტინეს ქალაქში და იქ ლეონტი პაპისაგან კურთხევა მიიღოს და ეს ხდება ეჯმიაწინის აშენების შემდეგ [H404, 97r-97v], ხოლო A2492-ში ხელმწიფე გრიგოლს სთხოვს, რომ ის პატრიარქად ეკურთხოს, გრიგოლი უარს ამბობს, მაგრამ შემდეგ სიზმარში ღვთის ანგელოზი ეუბნება, რომ მან უნდა დაუჯეროს ხელმწიფეს. ამის შემდეგ გრიგოლი ჩადის ლეონტისთან; პატრიარქის მიერ კათალიკოსად იკურთხება და მას „კურთხევის, მირონის მოდუღების“ უფლებაც ეძლევა [A2492, 2r]. H404-ის მიხედვით გრიგოლი ჩადის სტამბოლში[8]; პატრიარქის მიერ იკურთხება; პატრიარქი მას ქრისტეს ბრძანებით „ლუსავორაჩის“ უწოდებს (ამ ტერმინის ნაცვლად, A2492-ში „ღვთისმეტყველი“ გვხვდება). ამის შემდეგ გრიგოლმა მონათლა თრდატი მთელი მისი ჯარითურთ და ქრისტიანობის ყველა წესი ასწავლა. ამ ნაწყვეტებშიც ერთსა და იმავე ისტორიულ ფაქტთან გვაქვს საქმე, მაგრამ ნიუანსებში მაინც გვხვდება განსხვავებები.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ცხრილს, რომელიც უფრო ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად თავისებურია H404 ხელნაწერი დანარჩენ ტექსტებთან შედარებით:

	მსგავსი ფრაზები	პურის მიმტანი დედაკაცისა და გრიგოლის დიალოგი[9]	ცნობა წმ. ნინოს შესახებ	ფაქტები, რომლებიც მხოლოდ H404 ხელნაწერში დაცულ ცხოვრებაში გვხვდება
H404	ის(ა) ტრდადა ღორი ჴემწიფეო ჯერაც(ა) ცოცხალო?	+	+	1. პურის მიმტანი დედაკაცი ხვდება ხოსროვიდუხტს და ეუბნება, რომ თრდატს მხოლოდ გრიგოლი გადაარჩენს. 2. გრიგოლი ხოსროვიდუხტს ავალებს, რომ თავისი სიტყვები გადასცეს ტრდატს. 3. ტრდატი განიკურნა, მაგრამ ერთი ყური ისევ

				ღორისა დარჩა. 4. გრიგოლ განმანათლებელი საფრაგეთში[10] ჩავიდა, იქ პაპის თხოვნთ წირვა ჩაატარა და ,,წირ(ა)ვის ალ[ა]გიდამ(ა) ამაღლებითა (ა) იყო‘‘. 5. პაპმა გრიგოლს პეტრე მოციქულის ყავარჯენი და ბეჭედი და აგრეთვე პავლე მოციქულის გვირგვინი აჩუქა. 6. განმანათლებელი საფრაგეთიდან იერუსალემში ჩადის ქრისტეს საფლავზე და სთხოვს, რომ აღდგომის შაბათს მისი კანდილი აინთოს.

				ხელნაწერის მიხედვით ასეც ხდება. 7. მარხვის წესები.
A2492	ჯერ კიდევ ცოცხალი არისო ის ღორიო?	+	+	
ძველი ქართული რედაქცია	–	–	–	
სომხ. ეროვნული რედაქცია	–	–	–	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ჩვენს ხელნაწერსა და A2492-ში ორი ერთნაირი ფაქტი და ერთი მსგავსი ფრაზაა, რომლებიც არ მოგვეპოვება ძველ ქართულ რედაქციასა და სომხურ ეროვნულ რედაქციაში. ესენია: „პურის მიმტანი დედაკაცისა და წმ. გრიგოლის დიალოგი“, ცნობა წმ. ნინოს შესახებ; და შემდეგი ფრაზა დიალოგიდან: „ის(ა) ტრდადა ღორი ჴემწიფეო ჯერაც(ა) ცოცხალო?“ [H404, 93r], „ჯერ კიდევ ცოცხალი არისო ის ღორიო? [A2492, 1r].

ცხრილიდან აგრეთვე ჩანს, რომ H404 ხელნაწერში დაცულ გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრებაში“ გვაქვს მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მხოლოდ ამ ხელნაწერში გვხვდება.

წმ. ნინოს შესახებ ცნობა მოგვეპოვება აგრეთვე მეხუთე საუკუნის სომეხ ისტორიკოსთან – მოსე ხორენელთან, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ და „ქართლის ცხოვრებაში“. ისევე, როგორც H404 ხელნაწერის ცხოვრებაში, ხორენელის მიხედვითაც წმ. ნინო ერთ-ერთი რიფსიმიანთაგანი იყო [გ. გალსტეანი, 1910:236]. ხორენელი ვრცლად აღწერს წმ. ნინოს მიერ ქართველთა მოქცევას. მოსე ხორენელი იმასაც ამბობს, რომ იგი აგათანგელოსისაგან განსხვავებით უფრო ვრცლად მოგვითხრობს სომხეთის მოქცევის ისტორიას.

H404 ხელნაწერი არ გამოირჩევა საკუთარი სახელების უხვი გამოყენებით, ქვემოთ წარმოდგენილია მასში გამოყენებული საკუთარი სახელები და ფარსადან გორგიჯანიძის ტექსტის, ძველი ქართული რედაქციის შესაბამისი საკუთარი სახელები. შევადაროთ რამდენად განსხვავდება ისინი ერთმანეთისაგან:

H404

1. ტრდად
2. არ არის მოხსენებული რიფსიმესა და გაიანეს სახელები.
3. კოსტანდიანოს
4. ღევოდიოს ფაფა
5. -

A2492

1. ტრდად
2. ჰორომ სიმე (ზოგან ჰორმ სიმე და ჰორომსიმე)
3. კოსტანტილე
4. ლიონე პატრიარქი
5. დევა კლიტიანე

ძველი ქართული რედაქცია

1. თრდატ
2. რიფსიმე
3. კოსტანტინე
4. ლეონტი მთავარეპისკოპოზი
5. დიოკლეტიანე

მოკლედ რომ ჩამოვთვალოთ სიუჟეტური კომპონენტები, რომლებიც გრგოლის ცხოვრების ციკლიდან დადასტურებულია ჩვენს ხელნაწერში, ასეთ სურათს მივიღებთ: H404 ხელნაწერში დაცულ გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრებაში“ გვაქვს წმ. გრიგოლის წამება, მაგრამ რამდენიმე სიტყვით; მისი ხაროში ყოფნის ეპიზოდი, რომელიც განსხვავდება ჩვენთვის ცნობილი ქართული ცხოვრებებისა და სომხური ეროვნული რედაქციის შესაბამისი ეპიზოდებისაგან; რიფსიმიანთა მარტვილობა, ესეც განსხვავდება ჩვენთვის ცნობილი ქართული ცხოვრებებისა და სომხური ეროვნული რედაქციის რიფსიმიანთა მარტვილობისაგან; წმ. გრიგოლის ქადაგება (მოკლედ), წმ. გრიგოლის მიერ თრდატისა და მისი ჯარის მონათვლა, მარხვის წესები (მხოლოდ ამ ხელნაწერში). აქ არაფერია ნათქვამი სპარსეთზე, პართელებზე, არშაკუნიანებზე, წმ. გრიგოლის მამის - ანაკის მიერ თრდატის მამის ხოსროვის მოკვლაზე, არ გვაქვს წმ. გრიგოლის ხილვა.

განხილული ქართული რედაქციებიდან ჩვენი ტექსტი ყველაზე ახლოს ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებასთან დგას. აქვე გვინდა გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ ფარსადანი წყაროებად ზოგჯერ ზეპირგადმოცემებსაც იყენებდა და შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მისი თხზულებისა და ჩვენი ტექსტის მსგავსება სწორედ რაიმე საერთო ზეპირი წყაროთია განპირობებული, რადგან, მაგალითად, პურის მიმტანი დედაკაცის დიალოგი სხვა არც ერთი წერილობითი წყაროთი არ დასტურდება. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ფარსადანის თხზულებაც და გიორგის თხზულებაც ირანშია შექმნილი, ისიც კი შეიძლება დავუშვათ, რომ გიორგი ამირაღაშვილის წყარო უშუალოდ ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრება“ ყოფილიყო. ერთი რამ კი ცხადია, რომ გიორგი ამირაღაშვილი უპირატესობას სომხურენოვან წყაროებს

ანიჭებდა როგორც წერილობითს, ასევე –ზეპირს, რაც ნათლად ჩანს ტექსტის თუნდაც სინტაქსური, მორფოლოგიური და ლექსიკური არმენიზმებიდან.

გიორგი ამირაღაშვილს მიზანმიმართულად შეაქვს წმ. გრიგოლის „ცხოვრებაში“ შინაარსობრივი ცვლილებები, იმისათვის, რომ ხაზი გაუსვას გრიგოლ განმანათლებლის როლს სომეხთა მოქცევის საქმეში. ძირითადი ფიგურა გრიგოლ განმანათლებელია და ყველა მოვლენა მის ირგვლივ ტრიალებს.

ამგვარად, H404 ხელნაწერში დაცული გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრება“ საინტერესოა გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრებათა“ ციკლის შესწავლის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ასევე ქართული დიალექტოლოგიის სფეროში დიალექტთა კვლევის კუთხითაც. ჩვენი აზრით, H404 ხელნაწერში დაცულ გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრება“ ზემოთ აღწერილი თავისებურებების გამო განსაკუთრებულ ადგილს იკავებს წმ. გრიგოლის „ცხოვრებათა“ ციკლში და ახალ ვერსიადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. ზოგადად ხელნაწერის შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XVIII საუკუნის ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობების კვლევისთვის.

---

[1] შემდგომში, როდესაც ვიტყვით „ძველი ქართული რედაქცია“ – ვიგულისხმებთ ამ რედაქციას.

[2] ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ისტორია“ გამოცემულია. მაგრამ ის ნაწილი, რომელიც ჩვენ გვჭირდებოდა, არ არის გამოცემული, ამიტომ ვისარგებლეთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ასებული ხელნაწერით - A2492.

[3] ხელნაწერში – ერევანი: იგულისხმება სომხეთი.

[4] კერპთაყვანისმცემლობა

[5] ხარო

[6] უნდა აღვნიშნოთ, რომ H404 ხელნაწერი გამოირჩევა აგრეთვე არმენიზმებით და ბრუნების სომხური ფორმებით, მაგალითად, ზემოთ მოყვანილ ეპიზოდში ვირაბ(ა) გვირაბის სომხური ფორმაა, „*გრიქორას მრავალი სატანჯველით აწამა*“ - *გ რ ი ქ ო რ ა ს ა წ ა მ ა* სომხურისთვის მიღებული ფორმაა. ფარსადანი ქართულად ბევრად უკეთ წერს, ვიდრე – გიორგი.

[7] მშიერი

[8] მეთვრამეტე საუკუნეში უკვე გამოიყენებოდა სტამბოლი. ავტორმა ალბათ სწორად მიიჩნია რომის ნაცვლად სტამბოლი დაეწერა, რომ გასაგები ყოფილიყო იმ პერიოდისათვის.

[9] პურის მიმტანი დედაკაცი მოხსენიებულია მხოლოდ H404 ხელნაწერში დაცულ ცხოვრებასა და ფარსადან გორგიჯანიძის ტექსტში.

[10] კესარია

ლიტერატურა:

1. ამირაღაშვილი გიორგი. H404 ხელნაწერი / ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.-1717
2. აფციაური ნ. გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრებათა“ ციკლის თხზულებები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.-1987
3. გორგიჯანიძე ფარსადან. XVII ს. საქართველოს ცხოვრება:A2492 / ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
4. კიკნაძე რ. ფარსადან გორგიჯანიძე „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთა.-1975
5. მელიქსეთ-ბეგი ლ. ცხორებაჲ წმ. გრიგოლ პართელისაჲ.- ტფილისი.1920
6. ქართლის ცხოვრება.-თბილისი: სახელგამი, 1955
7. Марр Н. Крещение армян, грузин, абхазов и аланов св. Григорием.-СПБ, 1905
8. Thomson Robert W.The lives of Saint Gregory: Caravan books Ann Arbor: The 17th century.-Michigan, 2010
9. Winkler G. Our present knowledge of the history of Agat'Angelos and its oriental versions: Revue des Études Arméniennes: T. XIV.-Paris,1980

10. Տեր-Ղևոնդյան Ա. Ագաթանգեղոս: Հայոց Պատմություն.-Երևան, 1983
11. Մուրադյան Պ.Ագաթանգեղոսի հին վրացերեն խմբագրությունները.- Երևան, 1982.
12. Խորենացի Մովսես. Հայոց պատմություն: թարգմանություն: ներածություն և ծանոթագրություններ Ստ.-Մալխասյանի:Երևան,1961
13. Ագաթանգեղոս Ագաթանգեղայ Պատմութիւն Հայոց.-Տփղիս,1909
14. Գալստեան Գ. Սրբոյ Հօրն Մերոյ Մովսեսի Խորենացւոյ: Պատմութիւն Հայոց.-Թիֆլիս,1910
15. Չամչյան Մ. Հայոց պատմություն թ, Ագաթանգեղոսի հին վրա: II հ.-1785

თამარ ალფენიძე

ზოგიერთი ოსმალური წყარო ივერონის მონასტრის მელნიქში ერთი მეტოქის შესახებ

980-983 წლებში ქართველ მოღვაწეთა მიერ ათონის მთაზე დაარსებული ივერონის მონასტრის ისტორია ქართულ-ბიზანტიური და მოგვიანებით, ოსმალეთის იმპერიასთან საქართველოს ურთიერთობის, მონასტერში ქართველთა მოღვაწეობის ამსახველი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა.

ჩემ მიერ ანატოლიის ცივილიზაციის კვლევით ცენტრში განხორციელებული საკვლევი პროექტი მიზნად ივერონის ისტორიის სწორედ ამ ასპექტის კვლევას ისახავდა. ჩემს მიზანს სწორედ სტამბოლის არქივებში წყაროების მოძიება, დამუშავება, თარგმნა და ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის შემდგომი სამეცნიერო შესწავლისათვის გარკვეული საფუძვლის მომზადება წარმოადგენდა.

ამ სტატიის სახით სამეცნიერო საზოგადოებას პირველად ეძლევა საშუალება მოტანილი წყაროებით და მათი თარგმანების საშუალებით თავადაც დაიწყოს დამოუკიდებელი კვლევა.

სტამბოლის პრემიერ მინისტრის არქივში ჩემ მიერ მოკვლეული საბუთები 1850-1911 წლებით თარიღდება. ეს არის შვიდი საქაღალდე და 30 დოკუმენტი, აქედან 4 ბერძნულ ენაზეა დაწერილი.

აქ წარმოდგენილი დოკუმენტები, ძირითადად, აღწერს ივერონის მონასტრის არასახარბიელო მდგომარეობას, წყაროებში მოცემულია მისი ვალები ამა თუ იმ კერძო პირის მიმართ, მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა, ბულგარელებთან კონფლიქტი და თავდასხმა მონასტერზე.

1. ათონზე, ივირონის მონასტრის საკუთრებაში მყოფი მელნიქის ბულგარელებისთვის გადასაცემი სადისკუსიო მიწის ნაკვეთის შესახებ დოკუმენტი; (BEO 3875- BÂB-Î ÂLI EVRAK ODASI – დიდვეზირისა და დივანის საკანცელარიო პალატა) 1911 წ.

2. სალონიკში, გილიმრიეს ოლქში საკამათო მიწის ნაკვეთზე დოკუმენტი (C.ML CEVDET MALİYE – ფინანსები)

3. სალონიკში, სიდრე კაპის ოლქში, ჰილანდარის მონასტრის ბერების სათევზაო ადგილზე ივირონის მონასტრის ბერების მიერ თავდასხმის აღკვეთის შესახებ. (HR.MKT- HARİCİYE NEZARETİ MEKTUBİ KALEMİ EVRAKI – საგარეო საქმეთა სამმრთველოს მიმოწერის განყოფილების საბუთები) 1850 w.

4. ივერის მონასტერზე თავდასხმის, მღვდლების ცემის და ძარცვის ფაქტის შესახებ (TFR. 1. M – RUMELİ MÜFETTİŞLİĞİ MÜTEFERRİK EVRAKI – რუმელიის სამეთვალყურეო - რუმელიის სამეთვალყურეო განყოფილების სხვადასხვა ხარჯის შესახებ საბუთები) 1906 წ.

5. დამდგენი კომისიის კვლევის შედეგი კასანდრას შემადგენლობაში უპატრონოდ დარჩენილი ქონების – ალადიავეს ნაკვეთის – ივირონის მონასტრის კუთვნილებაში არარსებობის შესახებ (TFR. 1. M – RUMELİ MÜFETTİŞLİĞİ MÜTEFERRİK EVRAKI რუმელიის სამეთვალყურეო – რუმელიის სამეთვალყურეო განყოფილების სხვადასხვა ხარჯის შესახებ საბუთები) 1902 წ.

6. ათონზე მდებარე ივიროს მონასტრიდან ვალის ამოღებასთან დაკავშირებული ვანგელის თხოვნის შესახებ დოკუმენტი (TFR.1. ŞKT – RUMELİ MÜFETTİŞLİĞİ ARZUHALLER – რუმელიის სამეთვალყურეო განყოფილების განცხადებები) 1908 წ.

7. ვანგელის განცხადება ივიროს მონასტრიდან ვალის ასაღებად სასამართლო საქმის სწრაფად წარმართვის შესახებ თხოვნა (TFR.1. ŞKT – RUMELİ MÜFETTİŞLİĞİ ARZUHALLER – რუმელიის სამეთვალყურეო განყოფილების განცხადებები) 1908 წ.

არსებული წყაროების უმეტესი ნაწილი ფრაგმენტული სახისაა და ათონის მთაზე მომხდარ მოვლენებს ეპიზოდურად გადმოსცემს. მათ დასადეგნად აუცილებელია მოხსენიებული ადგილების, მოვლენების, პირების შესახებ წყაროების მოპოვება. სამწუხაროდ, თურქეთის არქივების სისტემა არ არის გამართული და აწყობილი, წყაროები არ არის დალაგებული, კატალოგი არ არის სრულყოფილი. მოცემულ საკითხზე მუშაობას ისიც ართულებს, რომ კვლევა ეხება მონასტერსა და ქრისტიანებს, რაც განსაკუთრებული მიდგომის საკითხს წარმოადგენს თურქეთში.

ამჯერად სამეცნიერო საზოგადოებას ჩემ მიერ მოძიებული წყაროებიდან მინდა, ჩამონათვალიდან პირველ საკითხად მოყვანილი, სადავო მეტოქის შესახებ წყაროები გავაცნო. ესაა მელნიქში არსებული როჟენის მონასტრის შესახებ (13-ე საუკუნე ჰიჯრით) 5 წყარო.

სამწუხაროდ, ცნობები ფრაგმენტულია და მოცემული საკითხის შესახებ საბოლოო სურათს არ იძლევა. ჩემ მიერ ქრონოლოგიურად დალაგებული წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ როჟენის მონასტრის ბულგარელი ბერები ბერძნებისგან ითხოვენ მათი კუთვნილი ეკლესიის გადაცემას. წყაროებიდან ჩანს, რომ ოსმალები ემხრობიან ბულგარელებს. მაგალითად, სალონიკის გუბერნატორი აღნიშნავს, რომ ამ რაიონში ბერძნებს აქვთ 78-80 ეკლესია, მაშინ, როდესაც ბულგარული ეკლესია არის ამ ხალხისთვის ერთადერთი საეკლესიო წესების აღსრულების ადგილი. ხაზი გასმულია იმაზე, რომ ბერძნები ცდილობენ ამ საკითხისათვის პოლიტიკური ელფერის მინიჭებას, რაც, სალონიკის გუბერნატორის აზრით, ძალიან დაძაბავს მდგომარეობას და შედეგად, არეულობის კერადაც შეიძლება გადაიქცეს. გუბერნატორ იბრაჰიმის ტელეგრამიდან ირკვევა, რომ ბერძნები კანონის საწინააღმდეგოდ არ უთმობენ ბულგარელებს ეკლესიის კუთვნილ სენაკებს და სხვა შენობებს. ერთ-ერთი წყაროდან ირკვევა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ საჭიროდ ცნო, გადაეცა ბულგარელებისთვის სადავო ეკლესია, ივირონის ბერები ამას არ დაემორჩილნენ, ეკლესიის კარებს დაადეს კლიტე და გასაღები მისცეს ე.წ. უცხოელ მღვდელს, რომელიც, როგორც წყაროშია მითითებული, არც ბერძენია, არც ბულგარელი. სამწუხაროდ, წყაროში არ არის

დაკონკრეტებული ამ „უცხოელი მღვდლის“ ეროვნება. უნდა აღინიშნოს, რომ არქივში ჩემ მიერ დაძებნილ არც ერთ წყაროში არ არ მოხსენიებული ქართველი. უნდა აღინიშნოს, რომ როჟენის მაგივრად ყველგან ხან როზინა, ხან როზნია, ხან როზენი წერია. იგივე ვითარებაა თავად ივერონთან დაკავშირებით. წყაროებში ივირონის მონასტერი არის ნახსენები ხუთნაირად: ივირუნ, ივერირონ, ივერ, ივირონ და ივირო. ოსმალურ წყაროებზე მომუშავე ყველა მეცნიერმა იცის, რა სირთულეს წარმოადგენს მკვლევრისთვის უცხოური ტოპონიმიკის სწორად ამოკითხვა. ოსმალურის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც არაბული ენის მსგავსად ხმოვნები არ იწერება, ასევე ზოგიერთი ასო ხან 2, ზოგ შემთხვევაში კი, 5 ასოს შეესაბამება ლათინური ანბანიდან, უცხოური კონკრეტული სახელები და სახელწოდებები ყოველთვის რამდენიმე ვარიანტისგან შედგება. სტამბოლის პრემიერ მინისტრის არქივში ამ მეტოქთან დაკავშირებული სხვა რამ ცნობა არ არის აღწერილი და დაძებნილი სპეციალისტების მიერ, ის კატალოგში არ მოიძებნა.

წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ, როგორც ჩანს, სასამართლომ დაუტოვა ბერძნებს ეკლესიის მიმდებარე მიწები, ეკლესიის კუთვნილი სენაკები, რომლებიც ეკლესიის კუთვნილებაა და ბულგარელები მათ გადაცემასაც მოითხოვენ. იკვეთება ბულგარელების მიმართ ოსმალების აშკარა მხარდაჭერა, გუბერნატორი იბრაჰიმი ახსენებს, რომ მოცემული ეკლესიის შორიახლოს არც ერთი ბერძენი არ არის, რაც ნაკლებ სავარაუდოა _ აკი, თავად მოჰყავს ბერძნული ეკლესიების რაოდენობა მაგალითად.

საბოლოო გადაწყვეტილება ამ წყაროების მიხედვით არ იკვეთება. ქრონოლოგიურად ჩემ მიერ დალაგებული პირველი წყარო სტამბოლიდან, საპატრიარქოს ცნობაა, რომელიც მენლიქის მიტროპოლიტ ემილიანოსის ტელეგრამას ეყრდნობა. იგი 1911 წლის 25 მარტითაა დათარიღებული და გვამცნობს როჟენის ეკლესიის ბულგარელებისადმი გადაცემას. როგორც ჩანს, ოსმალებმა ბერძნებისგან მალულად მიიღეს გადაწყვეტილება, გადაეცათ როჟინას ეკლესია ბულგარელებისათვის, რასაც მიტროპოლიტ ემელიანოსის ტელეგრამაში დაწერილი სიტყვები – „ეკლესიის კანონის

საწინააღმედგოდ“ – გვაფირებინებს. როგორც ჩანს, ამას შემდეგ ბერძნების რეაქცია მოჰყვა, რასაც უკვე ოსმალების მიერ მოკვლეული და დიდვეზირთან გადაგზავნილი ცნობებიდან ქვემოთ მოცემული წყაროებიდან ვხვდებით.

წყარო 1:

ქართული თარგმანი: ბერძნული საპატრიარქო

სტამბოლი

დემირ ჰისარიდან მენლიქის მიტროპოლიტ ემილიანოსის **1911 წლის 25 მარტს** საპარტიარქოში გამოგზავნილი ტელეგრამის ასლი:

გაზეთ რუმელიის ცნობით, ივირონის მონასტრის კუთვნილი მენლიქის როჟენის ეკლესია, რომელიც არასოდეს იყო საკამათო საკითხი, გადაეცა ბულგარელებს.

იმავე მიტროპოლიტის მიერ იმავე დღეს გაგზავნილი სხვა ტელეგრამის ასლი:

ეკლესიის კანონის საწინააღმდეგოდ, სალონიკის გუბერნატორის ბრძანებით, როჟენის მონასტრის ეკლესია გადაეცა ბულგარელებს.

1911 წლის 27 მარტით დათარიღებული სალონიკის გუბერნატორ იბრაჰიმის იუსტიციის სამინისტროში გაგზავნილი ტელეგრამის მიხედვით, გუბერნატორი აცნობებს სამინისტროს, რომ საჭიროა როჟენის ეკლესია გადაეცეს ბულგარელებს, რადგან ეს ნაკვეთი წლებია, უთანხმოების გამომწვევ საკითხს წარმოადგენს. „გარდა ამისა, – წერს ის, – ამ ეკლესიის ირგვლივ არ არის არც ერთი ბერძენი, ხოლო ბულგარელებს ამის გარდა სხვა ეკლესია არ გააჩნიათ. რის საპირწონედაც, როგორც ადრე, ტელეგრამის მეშვეობით, მოგახსენეთ, ბერძნებს მფლობელობაში 78-80 ეკლესია და რამდენიმე დიდი მონასტერი გააჩნიათ. რის გამოც, მხოლოდ ეკლესია კი არა, ეკლესიის კუთვნილი ოთახები და მიშენებებიც უნდა გადაეცეს ბულგარელებს, რადგან ბერძნები არ აძლევენ ბულგარელებს ამ ქონებით სარგებლობის უფლებას. ვიდრე

ზემოხსენებული ქონება ბერძნების ხელშია, სადავო საკითხი ყოველთვის წარმოშობს პრობლემებს. შედეგად მონასტრის ეს საკითხი გასკდება, რისი დაშვებაც არ შეიძლება მხოლოდ იმიტომ, რომ საპატრიარქოს გული მოვიგოთ. ამ პერიოდში (ჩვენ მიერ) მიღებული ცნობების მიხედვით ბერძნებს ზემოხსენებულ ადგილას უცხოელი მღვდელი დაუყენებიათ და ცდილობენ, ამ საკითხს პოლიტიკურ ელფერი შესძინონ. ველოდებით თქვენგან პასუხს, რათა ეს საკითხი მოვაგვაროთ“.

მე-3 წყარო არის იუსტიციისა და რელიგიების სამინისტროში გაგზავნილი ცნობა, რომელშიც ბულგარელებისადმი უკვე გადაცემული მონასტრის საკითხის შესახებ ბერძნების რეაქციაზე პასუხია მიღებული. ჩანს, რომ ოსმალები, ცდილობენ, გაერკვნენ საკითხში, თუმცა, ამ ცნობის მიხედვით, ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას დროებით უცვლელად ტოვებენ. აღსანიშნავია, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისი უკიდურესად რთულ პერიოდს წარმოადგენს ოსმალეთის იმპერიისთვის, როგორც საშინაო, ისე – საგარეო ფლანგზე. ამ მძიმე პერიოდში ეროვნებებს შორის შუღლის გამოწვევა მით უფრო რელიგიურ საკითხში ოსმალეთისთვის ძალიან რთულად მოსაგვარებელ საკითხად შეიძლება გადაქცეულიყო.

წყარო 3.

მოკლე შინაარსი ქართულად: იუსტიციის და რელიგიების სამინისტროს. ათონის მთაზე ივერონის მონასტრის მფლობელობაში მელნიქში არსებული როჟენის ეკლესიის მეტოქი სადავო საგანს წარმოადგენს. ბერძნულმა საპატრიარქომ განაცხადა, რომ დღის წესრიგში დადგა ამ მეტოქის ბულგარელებისთვის გადაცემა და ამასთან დაკავშირებით სალონიკის ვილაეთში ჩატარებული შეხვედრებისა და გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ 1327 წლის 15 მარტს (28 მარტი 1911 წ.) დიდვეზირის მიერ მოკვლეული ცნობების (ნომერი 29) მიხედვით ათონის მონასტრის მფლობელობაში მყოფი ეს მონასტერი და მეტოქი მიჩნეულია არასამლოცველო ადგილად და ეკლესიის კანონისა და სახალხო მოსამართლის გადაწყვეტილების მიხედვით როჟენის საკითხი გამოკვლეულია და მიჩნეულია, რომ დაექვემდებაროს დროებით გადაწყვეტილებას.

თავად ამ N 29-ე ცნობას, როგორც წინა წყაროში იყო ნახსენები, დიდვეზირი გაეცნო. მასში მოკლედ არის საკამათო საკითხი განხილული და ბოლოს ოსმალეთის სახელმწიფოს ამ საკითხისადმი ინტერესებია მოცემული, რაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

წყარო 4.

მოკლე შინაარსი ქართულად: სალონიკის ვილაეთში მიღებული იქნა ტელეგრამა იმის შესახებ, რომ მელნიქში ბერძნების კუთვნილებაში არის 78-80 ეკლესია, ხოლო ზემოხსენებული როჟენის ეკლესია არის ბულგარელების ერთადერთი სალოცავი და დიდი ხანია, სადავო საგანს წარმოადგენს. სასამართლოს ადრე მიღებული გადაწყვეტილებით სადავო საკითხი ბულგარელების სასარგებლოდ გადაწყდა, ეკლესია მათ გადაეცათ, თუმცა ეკლესიის მფლობელობაში არსებული ოთახები (სენაკები) და მიშენებები ბერძნებს დარჩათ. ამ ვითარებაში საკითხი არ შეიძლება გადაჭრილად ჩაითვალოს და პრობლემები ისევ გაგრძელდება, შესაბამისად, საჭირო და სასურველია, რომ ესენი (სენაკები და ნაგებობები) გადაეცეს ბულგარელებს. სალონიკის გუბერნატორის უწყებიდან გამოგზავნილი ტელეგრამის მიხედვით, ბერძნებმა ამ ეკლესიას დაადეს კლიტე და გამოაგზავნეს უცხოელი მღვდელი, რითაც ამ საქმეს პოლიტიკური ელფერი შესძინეს. ამის გამო ეს საკითხი სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს ისე, რომ ამ ორი ელემენტის (ბულგარელებისა და ბერძნების) ურთიერთობა არ გაფუჭდეს, ისინი ერთმანეთს არ დაუპირისპირდნენ, რაზეც გირჩევთ, ყურადღება გაამახვილოთ.

მეორე მხრივ, ათონის მონასტრების განაწესის მიხედვით, ამ პრობლემის შემადგენელი ეკლესიები არ ითვლება ხალხის სარგებელში და ამ მონასტრის კუთვნილი ბერების სამყოფელი და სენაკები მონასტრის კუთვნილებას წარმოადგენს და ათონის მონასტრების განაწესის მიხედვით, მისი ცალკე განხილვა აკრძალულია. (ამ საკითხთან მიმართებაში) საჭირო ქმედება და გადაწყვეტილება ეკუთვნის დიდვეზირს.

სამართლისა და რელიგიის სამინისტრო 28 მარტი 1911 წელი.

ბოლო წყარო, რომელიც ჩვენს ხელთაა, დათარიღებულია 1327 წლის 20 მარტით (1911 წლის 2 აპრილი) და დიდვეზირის გადაწყვეტილებას მოიცავს. აღნიშნულია, რომ დროებითი გადაწყვეტილება **არ არის მიჩნეული** (münasip görülmediğini) მისაღებად, რადგან ეკლესიის კანონი არ მოიცავს მონასტერსა და მეტოქებს, გარდა ამისა, ეს რეგიონი არ არის მიჩნეული სამლოცველო ადგილად და არის განსხვავებული (იგულისხმება, სავარაუდოდ, რომ ეს ტერიტორიულად არ არის ათონის მთა). ამ საკითხის გამოძიება უნდა გაგრძელდეს და დროებით გადაწყვეტილება ჩაითვალოს მიუღებლად, რის შესახებაც ეცნობოს სალონიკის ვილაეთში შესაბამის დაწესებულებას. როგორც ვხედავთ, ბერძნების სავარაუდო ჩარევის შედეგად, სულ რაღაც ერთ კვირაში დიდვეზირმა გააუქმა როჟენის მონასტრის ეკლესიის ბულგარელებისთვის გადაცემა.

წყარო 5.

მოკლე შინაარსი ქართულად: სამოქალაქო და სარწმუნოების საკითხების ინსპექციას.

ათონის მთაზე ივერონის მონასტრის დაქვემდებარებაში არსებული როზინიას მეტოქის სადავო ეკლესიების შესახებ ბულგარელებისათვის ჩაბარება დადგა დღის წესრიგში. ბერძნულ საპატრიარქოში განხილვისა და სალონიკის ვილაეთში გამართული შეხვედრების შედეგად დადგინდა, რომ ეკლესიის კანონი არ მოიცავს მონასტერსა და მეტოქებს და, გარდა ამისა, ნახსენები ადგილები არ წარმოადგენს მხოლოდ სალოცავ ადგილს, სხვა ტიპისაა. ამიტომ უნდა გაგრძელდეს მოკვლევა. საჭიროა, ეცნობოს ვილაეთს (სალონიკს), რომ ეს საკითხი არ შეიძლება დროებითი გადაწყვეტილების მიღებით შემოიფარგლოს.

1911 წელი, 2 აპრილი. დიდვეზირი

სამწუხაროდ, ოსმალური წყაროების მიხედვით, ჩვენთვის არ არის ცნობილი, რა ბედი ეწია ივერონის მონასტრის კუთვნილ როჟინას მონასტრის მეტოქს ოსმალეთის იმპერიის დაცემამდე. ვიმედოვნებ, რომ შემდგომი კვლევები ამ მიმართულებით ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი საგანმანათლებლო კერის ისტორიის სრულსაყოფად ნათელს მოჰფენს ივერონის მონასტრის ისტორიას ოსმალეთის იმპერიის პერიოდში.

თეა გოგოლიშვილი

„Robustos Viribus“ ქართველები და „Effeminatus“ ბერძნები

უილიამ ტვიროსელი, მთელი თავისი *ისტორიის*[1] მანძილზე, უწყვეტად განაგრძობდა ბერძნების დახასიათებას, როგორც ჯვაროსნული ლაშქრობის წინარე პერიოდის, I ჯვაროსნული ლაშქრობის, იერუსალიმის სამეფოს დაარსებისა თუ II ჯვაროსნული ლაშქრობის მსვლელობის ფონზე. ნაშრომში ეს ბუნერივად მოჩანს იმდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობებიდან და გეოგრაფიული ფაქტორებიდან გამომდინარე. ამ პერიოდის ლათინების მსოფლმხედველობაში ანტიბერძნული განწყობა აშკარად შეიმჩნეოდა. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა ტვიროსელის მიერ ალექსი კომნენოსის, გარკვეულწილად, ბნელ ფერებში დახატვა (თუმცა, თვით ალექსის პოლიტიკა აძლევდა ამის საფუძველს). ამ უარყოფით დამოკიდებულებას გააჩნდა საკმაოდ მნიშვნელოვანი საფუძვლები, რომლის შესახებ უილიამი მოგვითხრობდა თავისი *ისტორიის* მეორე და მესამე წიგნებში. ავტორისათვის ყველაზე მიუღებელი იყო ბერძნების „ქალური სინაზე“ და „არამამაკაცური ხასიათი“. ამ კონტექსტში საინტერესოდ მიგვაჩნია, ავტორის ცნობების საფუძველზე, პარალელის გავლება ბერძენ-ქართველთა საომარ ღირსებებსა და სიძლიერეს შორის. როგორც უკვე ვთქვით, ბერძნები ტვიროსელის ისტორიის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირები არიან, საქართველოს[2] შესახებ, კი უილიამი XI წიგნის 16-ე თავში მოგვითხრობდა. საკითხი საინტერესოა, რადგანაც ქართული ისტორიოგრაფიისათვის, ქართველების ხსენება ულიამ ტვიროსელთან, გარკვეულწილად სიახლეს წარმოადგენს. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ პირველად ეს ცნობა ალექსანდრე თვარაძემ გამოაქვეყნა [თვარაძე, 2008:185], ხოლო შემდეგ დავით თინიკაშვილმა გამოიყენა თავის სადოქტორო ნაშრომში [თინიკაშვილი, 2015: 180-181].

ჩვენს შემთხვევაში ბერძენ-ქართველთა შედარება, მათ თვისებებზე მსჯელობა და ანალიზი არამარტო ქართული, არამედ ევროპული ისტორიოგრაფიისთვისაც სიახლეს წარმოადგენს. წინასწარ გვინდა აღვნიშნოთ შემდეგიც: მართალია, ავტორისეული

ცნობები ინფორმაციული თვალსაზრისით, პროპორციულად არათანაბარია, მაგრამ იგი მრავლისმეტყველია და საინტერესო. კერძოდ, უილიამმა ქართველთა სამხედრო უნარი და საბრძოლო თვისებები ამ მცირე ცნობაში ისე დადებითად წარმოაჩინა, რომ სწორედ ამან გვიბიძგა საკითხის აღნიშნული კუთხით დამუშავებაზე. ავტორი ბერძნების საბრძოლო თვისებების დახასიათებისას იყენებდა ისეთ ეპითეტებს როგორებიცაა: „სუსტი“, „ქალაჩუნა“, „ქალური ბუნების მქონე“. ქვემოთ ჩვენ გავაანალიზებთ იმ მოცემულ მონაკვეთებს, რომლებშიც ავტორი ბერძენთა ამ თვისებებზე მიუთითებდა. ის ბერძნების „უძლურებასა“ და „ლაჩრობას“, ერთგვარად უპირისპირებდა ლათინების სიმამაცეს. ტვიროსელისთვის, კაცისთვის, რომელსაც განათლება ბოლონიასა და პარიზში ჰქონდა მიღებული, რომლისთვისაც რაინდული ღირებულებები და პრინციპები ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ბუნებრივია, ის „მშიშრული“ და „ზარმაცული“ საქციელი, რომლითაც ბიზანტიელი ბერძნები გამოირჩეოდნენ, მიუღებელი იყო. ამიტომაც იყო, რომ ის ასეთ სიხარულს და გაოცებას გამოხატავდა, როდესაც იბერიაზე საუბრობდა.

უშუალოდ საკითხზე გადასვლამდე, ორიოდ სიტყვით გვინდა ხაზი გავუსვათ თვითონ იმ ტერმინებს, რომლებსაც უილიამი იყენებდა ბერძნების უარყოფითი მხარის წარმოჩენისას. წყაროში, ბერძნების სახის შექმისას, ის იყენებდა ორ სიტყვას „Effeminatus“ და „Molles“[3]. „Effeminatus[4]“ – ლათინურიდან ითარგმნება, როგორც: ქალივით განაზებული, დასუსტებული, ქალური თვისებების მქონე კაცი, ზედმეტად მგრძნობიარე, არამამაკაცური სუსტი, გაქალაჩუნებული, გადიაცებული. „Molles“ პირდაპირი თარგმანი არის სუსტი, რბილი. წყაროს შესწავლის შემდეგ, მარტივი მისახვედრია, რომ ავტორი ამ ტერმინებს სინონიმებად იყენებს და კონტექსტიდან გამომდინარე, ბერძნების სისუსტე-სილაჩრეზე მიუთითებს. ასე მაგალითად, II წიგნის მე-4 თავში და XXII წიგნის მე-11 თავში ის იყენებს ტერმინ-„Mollis“-ს. XV წიგნის მე-3 თავში კი-„Effeminatus“-ს, ხოლო ამავე XVII წიგნის მე-17 თავში გვერდიგვერდ იყენებს ორივე ტერმინს [William of Tyre, 1949: 1.11, 2.4, 15.3, 17.17, 22.11.]. ავტორისათვის ეს ორი ტერმინი ერთსა და იმავეს ნიშნავს და ბერძნების გადიაცებას გულისხმობს.

როდესაც ბერძენთა გაქალაჩუნების შესახებ ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გამოვყოთ ის ორი პრინციპი, რომლითაც უილიამი აფასებდა მათ. ეს იყო:

1. ბერძნების უუნაროობა (რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ საკუთარ ტერიტორიებს ვერ იცავდნენ);

2. ბერძნების გაქალაჩუნება (ყოველდღიურ ცხოვრებაში).

საინტერესოა, რომ ორივე ასპექტში, ქართველები, ულიამის თვალში ბევრად უფრო მაღლა იდგნენ. ავტორმა პირველად, ბერძნების უუნაროობაზე I წიგნში დაიწყო საუბარი [William of Tyre, 1943: 1: 11], როდესაც პეტრე მეუდაბნოესა და იერუსალიმის პატრიარქის, სიმონის დიალოგზე მოგვთხრობს. პატრიარქი ამბობდა: *„ჩვენ არ გვაქვს იმედი, ბერძნების იმპერიისგან რამენაირი დახმარების მიღების, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დაკავშირებულნი არიან ჩვენთან სისხლით. ასევე, ბევრად უფრო მდიდრები არიან. ისინი საკუთარ თავსაც კი ძლივს იცავენ. ბერძნების ძალა იმდენად დაკნინდა, რომ, თქვენო უკეთილშობილესობავ, [მიმართავს პეტრეს-თ.გ.] როგორც გაიგებდით, რამდენიმე წელში, მათ საკუთრი იმპერიის ნახევარიც კი დაკარგეს“*[William of Tyre 1949: 83.]. საინტერესოა, რომ სხვა მონაკვეთებისგან განსხვავებით, სადაც უილიამი ბერძნების სილაჩრეზე საუბრობდა, ეს გამოირჩევა იმით, რომ აქ ავტორი არ აკრიტიკებდა მათ. თუმცა, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, როდესაც ჯვაროსნებმა იმპერიის კუთვნილ მიწაზე დადგეს ფეხი. ლათინებს ბერძნებისადმი უარყოფითი დამოკიდებულობა ყოველთვის ჰქონდათ და ამას უილიამი თავისი საქმის გასაკეთებლად იყნებდა. როდესაც ტვიროსელზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ის იყო არა მარტო ისტორიკოსი, რომელიც თავისი ქვეყნის ისტორიას აღწერდა, არამედ ის იყო ჯვაროსნული ლაშქრობების[5] იდეოლოგი და თეორეტიკოსიც. ბიზანტიამ, რომელმაც ვერ შეძლო ქრისტიანული ქვეყნებისა და სალოცავების დაცვა, გარკვეულწილად, განაპირობა ლაშქრობების დაწყება. ეს კარგად ესმოდა უილიამს და ცდილობდა, აღმოსავლეთში ბიზანტიელების ლათინებით ჩანაცვლების ლეგიტიმური საფუძველი შეექმნა. ავტორმა სულ მცირე ექვს ადგილას

მიუთითა ბერძნების უძლურებასა და „გაქალაჩუნებაზე[6].“ ამითი შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ არც ალბერტ აახენელთან და არც ფულხერიუსთან, არ ვხვდებით იერუსალიმის პატრიარქის სიმონისა და პეტრეს საუბარს. ჩვენ კი ვიცით, რომ იმ პერიოდის ამბების დასადგენად, უილიამი ამ ორი ისტორიკოსის ცნობებს იყენებდა. არ არის გამორიცხული, რომ ეს საუბარი ავტორს თავისი ინტერპრეტაციით და მოვლენების უდავოდ კარგი ცოდნის შედეგად ჩაემატებინა, თუმცა ეს ჩვენი პირადი ვარაუდია და რაიმე სახის მტკიცებულება არ გაგვაჩნია გარდა ისტორიკოსის ინტუიციისა.

II წიგნის მე-4 თავში, ავტორი ორ ადგილას ახსენებდა ბერძნების სისუსტეს. ის აღნიშნავდა, რომ ბერძნების უუნარობის ერთ-ერთი გამოხატულება ის იყო, რომ მათ საკუთარი მიწების დაცვა არ შეეძლოთ. მისი სიტყვებით, ბულგარეთის მიწები, ისეთი ადგილები იყო, სადაც ნებისმიერ სასურველ საგანსა და საქონელს იშოვნიდა ადამიანი. უილიამის დროს კი ეს ყველაფერი უკვე გაჩანაგებული იყო [William of Tyre, 1949: 121-122]. საინტერესოა, რომ ავტორი ამას ორ მიზეზს უკავშირებდა. მისი აზრით, იმპერიის გაღარიბება და დაკნინება გამოიწვია ბიზანტიელების „ცოდვილობამ“, ხოლო მათი ცოდვაში ჩავარდნა მას შემდეგ მოხდა, რაც ბერძნულმა დინასტიამ ბიზანტიის სამეფო ტახტზე ჩაანაცვლა ლათინური დინასტია. *„ადგილობრივმა გარბაროსებმა უმალვე აიღეს უპირატესობა მიწებზე, რადგან შეამჩნიეს ბიზანტიელების უძლურება“* [William of Tyre, 1949: 121]. მოცემულ მონაკვეთში უილიამს იმის თქმა უნდოდა, რომ ახალმოსული ბერძნები, თავიდანვე სუსტები და უღონონი იყვნენ.

„იქ, სხვა პროვინციებიც იყო იმავე მხარეში, არკადია, თესალია, მაკედონია და თრაკიის სამი პროვინცია, რომლებიც ასევე ჩართულნი იყვნენ საერთო უბედურებაში. ესენი იმ პროვინციებისგან შორის იყვნენ, რომლებიც ბერძნებმა, თავიანთი სისუსტის გამო, დაკარგეს. მოგვიანებითაც კი, მას შემდეგ რაც ბერძენმა იმპერატორმა ბასილიმ[7] დაიმორჩილა ბულგარელი ხალხი, არავის არ ჰქონდა უფლება დაესაკუთრებინა ან დაემუშავებინა ის მიწები, რომლებიც მოშორებული იყო პროვინციას. ეს განსაკუთრებით იმ ადგილებს ეხებოდა, რომლებიც საზღვართან იყო ახლოს. იგივე

სიტუაცია არის დღესაც“[William of Tyre 1949: 122]. ამით, უილიამი თავის აუდიტორიას აჩვენებდა, რამდენად სუსტები და უძლურები იყვნენ ბერძნები. მიწებს მიწებზე კარგავდნენ და იმის საშუალებაც კი არ ჰქონდათ, საზღვართან ახლოს მდებარე მიწები დაემუშავებინათ.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე საინტერესოა, რომ ქართველებს, უილიამი სრულიად განსხვავებულად აღიქვამდა. ნაშრომის XI წიგნში [William of Tyre 1949: 490] ის წერდა: *„ადრე იბერიელებს ეშინოდათ სპარსელების, თუმცა ახლა მათ გევრად აღემატებიან როგორც ძალით, ასევე – სამხედრო გამოცდილებით. ამგვარად, სპარსელები, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე შიშის ზარს სცემდნენ შორეულ სამეფოებსაც კი, ახლა იმითიც კი კმაყოფილდებიან, რომ დროებითი მშვიდობა ჰქონდეთ საკუთარი სამეფოს ფარგლებში“* [William of Tyre, 1943: 11:16].

ამ კონკრეტული ცნობიდან, უილიამის კარგი განათლებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩვენ სამართლიანად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის კარგად იცნობდა პოლიტიკურ სიტუაციას და XII საუკუნის საერთაშორისო ურთერთობებში საკმაოდ კარგად გახლდათ ჩახედული. ამგვარი დამოკიდებულება შემთხვევითი არ არის. სავარაუდოა, რომ უილიამი ქართველებს იცნობდა. მან არამარტო იცოდა ქვეყნისა და ხალხის შესახებ, არამედ უშუალოდ შეხებაც შეიძლებოდა ჰქონოდა მათთან. როგორც ვიცით, ტვიროსელი ამალრიკს I-ის დროს [8] ორჯერ იყო გაგზავნილი ბიზანტიაში დიპლომატიური მისიით. მას საკმაო ხანს მოუხდა კონსტანტინოპოლში ცხოვრება და შესაძლებლად მიგვაჩნია, ვიფიქროთ, რომ იქ პირადი ურთიერთობისა და დაკვირვების შედეგად შექმნოდა ეს აზრი ქართველებზე. ასევე, ამ აზრს გვიმტკიცებს ის, თუ როგორ მოიხსენიებდა უილიამი ქართველებს: *„ღმერთმა მოწყალე თვალით გადმოგვხედა, ჩვენი ტანჯვა შეამსუბუქა და სპარსთა თავდაჯერებული თავხედობის წინააღმდეგ აღაზევა სპარსთა მეტოქე სამეფო, იბერიის სახით. ღვთის წყალობით, თავიანთი შეუწყვეტელი წარმატებით გაძლიერებულმა იბერიამ, გაანადგურა სპარსეთის სიამაყე“*[William of Tyre, 1943: 11:16]. XI წიგნი ბალდუინ I მეფობის შესახებ მოგვითხრობს, ეს კი ქრონოლოგიურად 1100-1118 წლებში იყო, შესაბამისად, 1054 წლის

დიდი ქსიზმა უკვე მომხდარი იყო და, რა თქმა უნდა, ისეთი განათლების მქონე კაცისთვის, როგორიც უილიამი იყო, ბუნებრივია, ცნობილი იქნებოდა, რომ ქართველები ქრისტიანობის ბერძნულ ტრადიციას მისდევდნენ[9]. ეს, ჩვეულებრივ ადამიანს, რომელსაც არ ჰქონდა თეოლოგიური განათლება, შეიძლება არც კი ჰქონოდა გააზრებული და გაცნობიერებული, ხოლო სასულიერო წოდების მქონე კაცისთვის ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. შესაბამისად, უილიამი ქართველებზე წერის დროს ითვალისწინებდა როგორც რელიგიურ, ასევე –პოლიტიკურ კონტექსტს. ყოველივე ზემოაღნიშნული ჩვენთვის არგუმენტია უილიამის ქართველებისადმი დადებითი დამოკიდებულების წარმოსაჩენად. უფრო მეტიც, უილიამს, ალბათ, ამ განწყობას უფრო ისიც შეუქმნიდა, რომ ქართული სახელმწიფო, ბიზანტიის მსგავსად, ლათინებთან არ დაობდა თეოლოგიურ დოქტრინებზე. ჯვაროსნული ომების ხანაში აღმოსავლელ ქრისტიან მოკავშირეებს შორის საქართველო დასავლელი რაინდებისათვის უპირობო მოკავშირე იყო და ქართველები ქრისტიანობას არ უყურებენ ვიწრო პრიზმიდან. ჩვენი აზრით, ავტორისთვის ქართველების მიმართ დადებითი განწყობის გამოსახატავად ეს ფაქტი ამოსავალი წერტილი იქნებოდა. ქართველებს, განსხვავებით ბერძნებისგან, „ფილიოკვეს“ საკითხი არ მიაჩნდათ მნიშვნელოვნად, ბიზანტიამ კი მთელი საიმპერატორო პოლიტიკა გადააყოლა ამ თეოლოგიურ დავას. ჩვენი ეს ზოგადი დასკვნა კიდევ ერთი არგუმენტი უნდა იყოს უილიამ ტვიროსელის ქართველებისადმი დადებითი დამოკიდებულების გასაგებად.

ლათინი ისტორიკოსი ქართველებში ხედავდა იმ ჯვაროსნულ სულსა და სამხედრო ხელოვნებას, რომელიც ასე მისაღები იყო მისი რაინდული მენტალიტეტისათვის. ტვიროსელისთვის ბევრად უფრო ახლობელი ვაჟკაცური სულისკვეთების იყო იბერია, თავისი ბიზანტიური ტრადიციით (უნდა გავიგოთ მართლმადიდებლური მრწამსით), ვიდრე ასევე მართლმადიდებელი (თუმცა სქიზმაში მყოფი) „ქალაჩუნა“ ბიზანტია. ჩვენი აზრით, ამიტომ მოიხსენიებს ავტორი ქართველებს, როგორც „Robustos Viribus“ – „მამაც კაცებს“ და „Multa Strenuitate Commendabiles“ – „ძალიან ძლიერებს სამხედრო საქმეში“.

საინტერესოა, ასევე პარალელი გავავლოთ ბიზანტიელებისა და ქართველების თავდაცვის უნარიანობას შორის. როგორც იერუსალიმის პატრიარქი სიმონ II და თვით უილიამი ამბობდნენ, ბიზანტიამ რამდენიმე წელიწადში სამეფოს ნახევარი დაკარგა. ამის მიზეზად ავტორმა ბერძნების „გაქალაჩუნებასა“ და საომარი თვისებების დაძაბუნება დაასახელა. მაშინ, როდესაც ქართველებმა, განუწყვეტელი ბრძოლის შედეგად, სპარსელებს, არამც თუ ძალა გამოაცალეს, არამედ სხვა ქვეყნებს აღმოსავლეთში საშუალება მისცეს შვებით ამოესუნთქათ. აქ ჩვენ ბიზანტიის საპირისპირო სახეს ვხედავთ. ემჩნევა, უილიამს გააზრებული ჰქონდა ის ფაქტი, რომ ქართველებს განსხვავებით ბერძნებისგან, ზუსტად ესმოდათ ჯვაროსნული ლაშქრობის იდეის აზრი. უილიამი ქართველებს ჯვაროსნებს არ უწოდებდა, ეს ბუნებრივიცაა, რადგან უშუალოდ იერუსალიმის გასათავისუფლებლად ქართველები არ წასულან, მაგრამ აქცენტს აკეთებდა იმაზე, რომ მათ სხვა სამეფოები გადაარჩინეს სპარსთა ტყვეობას და ამოსუნთქვის საშუალება მისცეს მათ [William of Tyre, 1943: 11:16]. უილიამი ქართველებში ხედავდა აღმავალ ქრისტიანულ სახელმწიფოს, რომელსაც წმინდა მიწის დასაცავად ჯვაროსნების მოკავშირედ აღიქვამდა, ხოლო მათი ბრძოლა ჯვაროსანი რაინდების სადარი თვისებების მატარებელი იყო. ამ პერიოდის ქართველების დახასიათებაში, ავტორი ნამდვილად ზუსტი და ობიექტური იყო.

---

[1] უილიამ ტვიროსელის წყაროს *ზღვის მიღმა სამეფოთა ისტორიის* შემოკლებული ფორმა.

[2] კერძოდ, იბერიის შესახებ.

[3] ასევე ვხვდებით სხვა სიტყვებს, რომლებიც ითარგმნება როგორც სუსტი. თუმცა უმრავლეს ადგილას ეს ორი ტერმინი განსაზღვრავს ბერძნებს.

[4] ტერმინების ამგვარ გამოყოფაა მოცემული ლუკა პოლიარიჩთანაც.

[5] ამ ნაშრომს, როდესაც წერდა ტვიროსელი, ჯერ მხოლოდ პირველი ორი ჯვაროსნული ლაშქრობა იყო მომხდარი.

[6]აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ყველა მათგანი გარდა ერთისა 1182 ლათინთა ხოცვა-ჟლეტამდელ პერიოდს განეკუთვნება.

[7] ბასილ II ბულგართმმუსვრელი ბიზანტიის იმპერატორი 976-1025 წლებში. თანამედროვეები ბასილ უმცროსს და ბასილ პორფიროგენეტს უწოდებდნენ, რათა განესხვავებინათ მისი წინაპრის ბასილ მაკედონიელისგან. მისი მმართველობის პირველი ეტაპი იყო დომინირებული სამოქალაქო ომებით მცირე აზიაში, რომლის ჩახშობა მან მოახერხა. ამის შემდეგ იმპერიაში მშვიდობა დამყარდა. მუდმივი ომების მიუხედავად, მან თავი გამოიჩინა როგორც ძლიერმა მმართველმა და გააფართოვა ბიზანტია. ბასილმა 40-წლიანი ომი გააჩაღა ბულგარელების წინააღმდეგ. ომში გამარჯვების შედეგად მთლიანად დაიმორჩილა და იმპერიას მიუერთა ბულგარეთის იმპერია. მისი ბრძანებით, ბიზანტიელებმა 15 ათასი ბულგარელი ტყვე დააბრმავეს. ამ სისასტიკის გამო იმპერატორს „ბულგართმმუსვრელი“ (იგივე ბულგართმჟლეტი) უწოდეს. ბასილის წყალობით 1018 წელს ბულგარეთი ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.

[8] იერუსალიმის მეფე 1163-1174 წლებში.

[9] მართლმადიდებლები იყვნენ.

ლიტერატურა:

1. თვარაძე ალ. იბერები გიიომ ტიროსელის ქრონიკაში საქართველოს შუასაუკუნეების ისტორიის საკითხები, N. 9.-2008
2. თინიკაშვილი დ. ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა XI-XIII საუკუნეებში: სადისერტაციო ნაშრომი.-2015
3. История крестовых походов в документах и материалах.-1977
4. Заборов М. А. Крестоносцы на Востоке.-М.: Наука.-1980
5. История крестовых походов в документах и материалах / ред. М. А. Заборов.-М.: Высшая школа, 1977
6. Comnena A. The Alexiad, Dr. Edgar R. A. Sewter. Harmondsworth: The Penguin Classics. 1st edition. 1969
7. Historia Rerum in Partibus Transmarinis Gestarum: Libri I - XII (). CreateSpace Independent Publishing Platform.- Latin Edition, 2010
8. Abulafia D. The New Cambridge Medieval History:Volume 5 // Cambridge University Press.- c.1198–c.1300.
9. Cambridge University Press. The New Cambridge Medieval History: Volume 4: Part 1: Reprint edition.-2015.-c.1024-c.1198
10. Historia Rerum in Partibus Transmarinis Gestarum: Libri XIII – XXIII: Createspace Independent Publishing Platform.- Latin Edition.-2010
11. William of Tyre A History of deeds done beyond the sea: Vol. 1-2 // Columbia University Press.-1943
12. Brand Charles M. Byzantium Confronts the West // Harvard University Press.-1968.-s.1180-1204
13. Devis Ralph H. C. William of tyre, In Relations between East and West in the Middle ages, ed. Derek Baker.- Edinburgh: Edinburgh University Press,1973.-s.64-76
14. Abulafia D. The New Cambridge Medieval History,Volume 5: c.1198–c.1300, Cambridge University Press.-2008

15. Edbury P. W., Rowe J. G. William of Tyre: Historian of the Latin East, Cambridge.-New York: Cambridge University Press, 1988
16. Knight J. Middle Ages: Primary sources, UXL.-2001
17. Magdalino P. The Empire of Manuel IV Comnenos 1143-1180, Cambridge, Cambridge Universrity Press.-1993
18. Melicharova P. William Of Tyre: Shaping of anti-byzantine sentiments in the period preseding the fourth crusade, Studia historica Brunensia, vol. 53.- 2004
19. Price J. An Analysis of the Strategy and Tactics of Alexious I Komnenos, MA thesis, Texas Tech University.-2005
20. Riley-Smith J. The First Crusade and the Idea of Crusading: (The Middle Ages Series) // University of Pennsylvania Press.- 2009
21. Riley-Smith J. The Oxford Illustrated History of the Crusades: (Oxford Illustrated Histories) // Oxford University Press.-1994
22. Riley-Smith J. The First Crusaders, 1095-1131,Cambridge University Press.-1998
23. Riley-Smith J. The Oxford History of the Crusades // Oxford University Press.-2002
24. Riley-Smith J. The Crusades: A History, Yale University Press: 2 edition.-2006
25. Špoljarić L. William of Tyre and the Byzantine Empire: The Construction and Deconstruction of an Image, Master thesis, CEU, 2008, 2015
26. The New Cambridge Medieval History: Volume 4: Reprint edition.-c.1024-1198: Part 1.-2015

კობა კობერიძე

გვიანანტიკური ხანის სამარხი გუდაბერტყადან

გუდაბერტყას არქეოლოგიური ველი მდებარეობს ქ. გორიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 7კმ-ის მოშორებით, მდინარე ტორტლას მარცხენა ნაპირას, სოფლებს სვენეთსა და ახალშენს შორის.

გუდაბერტყას არქეოლოგიურ ველზე ადრებრინჯაოს და გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის ნამოსახლარებთან ერთად მიკვლეულია გვიანანტიკური პერიოდის სამარხებიც, რომელთა გამოვლენა XXს-ის სამოციან და სამოცდაათიან წლებში მოხდა, თუმცა სამარხები გამოუქვეყნებელი დარჩა.

გვიანანტიკური ხანის სამარხებიდან ყურადღებას იქცევს მრავალფეროვანი ინვენტარის შემცველი ორმოსამარხი, რომელშიც დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული. იწვა თავით დასავლეთით, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი.

სამარხში აღმოჩნდა: თიხისგან დამზადებული ირმის ქანდაკება (ტაბ. 3); თიხის დოქი (ტაბ. 2); ბრინჯაოსგან დამზადებული მრგვალი სარკის ფრაგმენტი – ორნამენტირებულია: ნაპირებზე ურთიერთგადამკვეთი, ნახევარრკალისებრი პარალელურხაზოვანი არშია შემოსდევს (ტაბ.1.,სურ.3); ბრინჯაოსგან დამზადებული მინიატურული ქანდაკება ჯიხვის გამოსახულებით, საკიდრგოლიანი და მთლიანად სხმულია. მას რქები უკან აქვს გადაქნილი. სახე სტილიზებულია. ქანდაკება დგას ოთხ რგოლზე. ფიგურის სიგრძე 4,5 სმ, ხოლო სიმაღლე – 2,4 სმ-ია (ტაბ.1., სურ.1); ბრინჯაოს ზარაკი – მინიატურული, კონუსური ფორმის, დაფანჯრული. ზარაკის ყუნწი მრგვალი მოყვანილობისაა. მისი სიმაღლე 2 სმ-ია, პირის დიამეტრი – 1,2სმ (ტაბ.1., სურ.2); ბეჭედი-ელექტრუმის სარდიონისთვლიანი; ღილი მინის, დისკოსებრი; სარდიონისა და გიშრის მძივები (ტაბ.1., სურ.4).[1][2]

სამარხში აღმოჩენილი ინვენტარიდან ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თიხისგან დამზადებული ირმის ქანდაკება (სასმისი) – გამომწვარია მოწითალო-

მოვარდისფროდ, ახასიათებს მოგრძო, ცილინდრული ფორმის ტანი, რომლის ბოლო ბრტყელია. ქანდაკება შიგნიდან ღრუა. ფიგურის ზურგზე დატანილია სითხის სასხმელი პირი (პირგადაშლილი და თხელკედლიანია), რომელიც ქანდაკების კორპუსისგან გამოყოფილია დაბალი, შეზნექილი ყელით. მცირე, ბრტყელგანივკვეთიანი ყური დაძერწილია სითხის სასხმელი პირის კიდესა და კორპუსის ბოლოზე. ყურის ზედა ნაწილზე დაძერწილია მცირე კოპი. ყურის ბოლოს, კორპუსზე მიერთების ადგილას გვხვდება მცირე მორჩისებური შვერილი, რომელიც კუდის იმიტაციას ქმნის. ქანდაკების კორპუსი დგას ოთხ მცირე შვერილზე, რომლებიც ირმის ფეხებს გამოხატავს. ფიგურის თავზე, თვალების ადგილას დაძერწილია ორი ბრტყელი კოპი, ხოლო მათ ზემოთ დასმული მცირე ზომის შვერილები ირმის ყურებს უნდა გამოხატავდეს. თავი ბოლოვდება ორი დატოტვილი რქით. სტილიზებულად გადმოცემულია ცხვირი და პირი. ფიგურის ღრუ კორპუსი შიგნიდან პირთან არის დაკავშირებული ძალიან ვიწრო სითხის სადინარით. როგორც ჩანს, მასში ჩასხმული სითხე წვეთ-წვეთობით გადმოდიოდა ჭურჭლის პირიდან.

ფიგურა ჩარხზეა ნაკეთები, როგორც ზედაპირზე, ასევე მის შიდა პირზეც შეიმჩნევა ჩარხის კვალი. ოდნავ ასიმეტრიულია. დამზადებულია კარგად განლექილი და გამომწვარი თიხისგან. ზომები: სიგრძე – 25,5 სმ; სიმაღლე –16,2 სმ; მუცლის უდიდესი დიამეტრი – 10,7 სმ; ძირის დიამეტრი – 8 სმ; ზურგზე დატანილი სითხის სასხმელი პირის დიამეტრი – 6,3 სმ-ია.ფიგურის უკანა ფეხების სიმაღლე 3 სმ, ხოლო წინა ფეხების სიმაღლე – 3,9 სმ-ია (ტაბ. 3)[3].

სამარხში დადასტურდა მოწითალოდ გამომწვარი თიხის დოქი, რომლის ზედაპირი წითელი წერნაქით არის შეღებილი და ნაპრიალებია. ახასიათებს მრგვალი, გადაშლილი პირი, მაღალი ცილინდრული ყელი, ოვალისებური ფორმის მაღალი კორპუსი, ბრტყელი ძირი. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირზე და მხარზე.

ყურის პირთან მიერთების ადგილზე დაძერწილია მცირე მორჩისებური შვერილი. ყელს წიბო შემოუყვება. დამზადებულია კარგად განლექილი და გამომწვარი თიხისგან. ზომები: სიმაღლე – 22 სმ, მუცლის დიამეტრი – 12 სმ, ძირის დიამეტრი – 7 სმ (ტაბ. 2).

სამარხს კარგად ათარიღებს ზემოთ აღწერილი ყელწიბოიანი დოქი, რომლის დამახასიათებელი მორფოლოგიური ნიშნები აღმოსავლეთ საქართველოში ახ.წ. III საუკუნის მეორე ნახევრიდან ან ბოლოდან ყალიბდება:

თუ ახ.წ. I ს-დან III ს-ის პირველი ნახევრის ჩათვლით ყელწიბოიანი დოქებისათვის დამახასიათებელია დაბალი პროპორციები (ფართო ძირი და ფართო მუცელი, დაბალი ყელი), ახ.წ. III ს-ის მეორე ნახევრიდან ყელწიბოიანი დოქების ფორმა ძირეულ ცვლილებას განიცდის და ბატონდება მაღალი პროპორციები: დოქის ყელი და კორპუსი შესამჩნევად მაღლდება, ამასთან. მხოლოდ III ს-ის ბოლოდან შეინიშნება ყურის თავის წიბოს ზემოთ – პირზე მიძერწვის ტენდენციის გაჩენა, მაშინ, როცა ახ. წ. I-III სს. ყელწიბოიან ხელადებს ყურის ზედა ნაწილი ყოველთვის ყელზე, ზუსტად წიბოზე აქვთ მიძერწილი [მირიანაშვილი, 1983:49].

გუდაბერტყას სამარხში აღმოჩენილ დოქს ანალოგები მოეპოვება აღმოსავლეთ საქართველოს ახ.წ. III ს-ის ბოლო – IVს-ის დასაწყისით დათარიღებულ მრავალ სამაროვანზე: ზღუდერის სამაროვანზე (ძამას ხეობა [ნემსაძე, 1991:125]; ახალი ჟინვალის სამაროვანზე [რამიშვილი, 1983:104;114]; არაგვისპირის სამაროვანზე [რობაქიძე, 1982:86]; ურბნისის სამაროვანზე [ჭილაშვილი 1964: 60-83]; ამავე პერიოდით დათარიღდა გრაკლიან გორაზე №2 სამარხში აღმოჩენილი მსგავსი მორფოლოგიური ნიშნების მქონე დოქი [კვირკველია... 2011:53];

III ს-ის მეორე ნახევრიდან თუ ბოლოდან ჩამოყალიბებული დოქების ეს ჯგუფი მთლიანად ცვლის I-III სს-ში არსებულ შედარებით დაბალი პროპორციების მქონე დოქებსა და ხელადებს და უკვე III-IV სს. მიჯნაზე აღმოსავლეთ საქართველოში მთლიანად ბატონდება დოქების მაღალი პროპორციები. სწორედ გვიანანტიკური

პერიოდის ბოლო ეტაპზე ჩამოყალიბებული ამგვარი დოქების ჯგუფს განეკუთვნება გუდაბერტყას სამარხში აღმოჩენილი დოქიც.

მნიშვნელოვანია სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ჯიხვის ფიგურა (ტაბ.1., სურ.1). ირემთან ერთად კავკასიასა და სხვა მრავალ ქვეყანაში ფართოდ იყო გავრცელებული ჯიხვის კულტი, რის გამოც არქეოლოგიურ მონაპოვარში მრავლადაა წარმოდგენილი ამ ცხოველის სხვადასხვაგვარი გამოსახულება. ჯიხვი, როგორც გამრავლების, ნაყოფიერებისა და ნადირთმფარველი ღვთაების ინკარნაცია, უფრო ფართოდ დასავლეთ საქართველოს მთის წინეთსა და მთაში იყო გავრცელებული. თუმცა ის უცხო არ იყო აღმოსავლეთ საქართველოშიც, რასაც არქეოლოგიური აღმოჩენებიც ცხადყოფს [რამიშვილი, 2007:15].

ჯიხვის სკულპტურული გამოსახულებების უძველესი საკიდრგოლიანი ნიმუშები საქართველოში ძვ.წ. XIV-XII სს. თარიღდება. გვიანბრინჯაოს განვითარებულ საფეხურზე ჯიხვის საკიდიანი ფიგურები გვხვდება როგორც სამხრეთ, ასევე – ჩრდილოეთ კავკასიაში.

როგორც ჩანს, საკიდიანი ფიგურები ჯიხვის თუ ირმის გამოსახულებებით უკვე საკმაოდ მომრავლდა გვიანანტიკური პერიოდის ძეგლებზე (მცხეთაში, ჟინვალის სამაროვანზე, არაგვის აუზში, ლიახვის ხეობაში, ლეჩხუმში).

აღმოსავლეთ საქართველოს II-IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ სამარხებში აღმოჩენილი მსგავსი ფიგურები, როგორც ჩანს, ამ ტიპის გამოსახულებათა ფინალს წარმოადგენს, რადგან ადრექრისტიანული ხანის სამარხებსა და კულტურულ ფენებში არც ჯიხვისა და არც სხვა ცხოველის მთლიანი ფიგურები აღარ გვხვდება [რამიშვილი, 2007:18].

გუდაბერტყას სამარხში აღმოჩენილ კონუსური ფორმის ზარაკს (ტაბ.1., სურ.2) პარალელები ეძებნება აღმოსავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის სამაროვნებზე: მსგავსი ბრინჯაოს ზარაკები აღმოჩენილია ჟინვალის სამაროვანზე, ახ.წ. I-IV სს.

დათარიღებულ სამარხებში; ასევე – სამთავროში, კლდეეთში, კარსნისხევში, ერწოში და სხვა [ჩიხლაძე, 2015: 209]. სამთავროს სამაროვნზე ბრინჯაოს ზარაკები ძირითადად ახ.წ. III-IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ სამარხებში გვხვდება [მანჯგალაძე, 1985: 101-107].

ბრინჯაოს ზარაკები ძირითადად ანტიკური ხანის არქეოლოგიური კომპლექსებიდან მომდინარეობს და მათი უმეტესობა სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს. ზარაკები სამი ნაწილისგან შედგება: ყუნწი, კორპუსი (ტანი) და ენა. ისინი ყუნწიანადაა ჩამოსხმული. მასალა ძირითადად ბრინჯაოა. ბრინჯაოს ზარაკების ენა კი უმთავრესად რკინაა, რომელიც ადვილად იჟანგებოდა, ამიტომ ხშირ შემთხვევაში ენა არ არის შემორჩენილი [ჭანიშვილი, 2005:19] (ენა არ შემორჩა არც გუდაბერტყას სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს ზარაკს, რომელიც რკინისგან უნდა ყოფილიყო ასევე დამზადებული).

როგორც ჩანს, კონუსურტანიანი ზარაკები აღმოსავლეთ საქართველოში ფუნქციონირებს საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში – ძვ.წ. VIII-VII სს. მოყოლებული ახ.წ. III-IV სს. ჩათვლით.

ზარაკები რიტუალური დანიშნულების ნივთებია და მათ, სავარაუდოდ, ავგაროზის ფუნქციაც ენიჭებოდათ. გამოთქმულია ასევე მოსაზრება, რომ ზარაკი გამოიყენებოდა როგორც ნივთი, რომელიც განასახიერებდა ცისა და მიწის სიმბოლურ კავშირს. ცა – ეს იყო ზარაკის ნახევარსფეროსებური ფორმა, რომლის კავშირი მიწასთან ხორციელდებოდა და გაიგივებული იყო ენასთან [აფაქიძე...1996: 32-33].

თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზარაკი გამოყენებული უნდა ყოფილიყო საკრძალავ რიტუალში და, სავარაუდოდ, სიმბოლურად განასახიერებდა მიცვალებულის სულის გადასვლას ამქვეყნიურობიდან ზეციურ სამყოფელში.

გვიანანტიკური ხანის ბრინჯაოსგან დამზადებული მრგვალი სარკეები იშვიათ მონაპოვართა რიცხვს მიეკუთვნება. ისინი ცნობილია ქართლის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მცხეთაში, ახ.წ. II-IV სს. დათარიღებული სამარხებიდან. სარკეები შედარებით მრავლად გვხვდება სამთავროს ახ.წ. III-IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ სამარხებში [მანჯგალაძე,1985:101-107].

ბრინჯაოს სარკე აღმოჩენილია ასევე გრაკლიან გორაზე, 16-22 წლის ახალგაზრდა მამაკაცის სამარხში, რომელიც ახ.წ. III-IV სს. თარიღდება [კვირკველია… 2011: 53].

შესაბამისად, მოყვანილი პარალელების საფუძველზე, გუდაბერტყას სამარხი კარგად თარიღდება ახ.წ. III ს-ის ბოლო – IV ს-ის დასაწყისით.

სამარხში აღმოჩენილ ირმის ფიგურას ჯერჯერობით არ მოეძებნება ზუსტი ანალოგი საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ სინქრონულ ძეგლებს შორის, თუმცა რიტონები როგორც ირმის, ასევე სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებებით, მრავლადაა ცნობილი როგორც საქართველოს, ასევე – მახლობელი აღმოსავლეთის მატერიალური კულტურის ძეგლებიდან.

თიხისგან დამზადებული ირმის თუ ხარ-ირმის ფიგურები (სასმისები) დასტურდება ასევე აფხაზეთის ტერიტორიაზე, გვიან ანტიკური ხანის მიწურულით დათარიღებულ ახაჩარხუს [Шамба, 1970:64-65] და აბგიძრახუს [Трапш, 1971:205] სამაროვნებზე. ისინი ახ.წ. IV ს-ის I ნახევრით თარიღდებიან.

ცხოველის გამოსახულებიანი ფიგურების დამზადების ტრადიცია აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ რკინის ფართო ათვისების პერიოდიდან იწყება: კერძოდ, თრელიგორების სამაროვანზე, ძვ.წ VIII-VII სს. დათარიღებულ ყორღანული ტიპის სამარხებში დადასტურდა თიხისგან დამზადებული ხარის დ ავერძის მოზრდილი ფიგურები [აბრამიშვილი...1975:19-20]. აღნიშნული ფიგურები წარმოადგენდნენ ტომის ბელადებისთვის შეწირულ ჭურჭელს, რომლებიც, სავარაუდოდ, გარკვეულ რიტუალთან იყო დაკავშირებული.

თიხისგან დამზადებული ცხოველის გამოსახულებიანი რიტონები ჯერ კიდევ გვიანნეოლითური ხანიდან არის ცნობილი მახლობელი აღმოსავლეთის ტერიტორიაზე [Mellaart, 1961: 66].

არქეოლოგიური მონაცემები ცხადყოფენ, რომ ანატოლიაში ირემი (ან ხარ-ირემი) საკრალურ ცხოველად ითვლებოდა, სადაც კერამიკული რიტონები ირმების, ლომებისა თუ ხარების გამოსახულებით გვიანენეოლითურ პერიოდში ჩნდება, მაგრამ, როგორც ჩანს, მათი წარმოება ხშირდება გვიან ბრინჯაოს პერიოდიდან. რიტონებს ამზადებდნენ ასევე კვიპროსში, მიკენში, ეგეოსურ სამყაროში [Cline, 1991: 134].

მსგავს ფიგურებს ვხვდებით ასევე ირანისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც, სადაც, ანატოლიის მსგავსად, ისინი რეგულარულად იწარმოება მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მოყოლებული პართულ-სასანური პერიოდის ჩათვლით.

ჩრდილო-დასავლეთ ირანში, არდაბილის პროვინციაში, ქ. გერმიში პართული პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლზე დადასტურდა ვერძის (და სხვა ცხოველების) გამოსახულებიანი ფიგურები (სასმისები), რომელთაც, გუდაბერტყაზე აღმოჩენილი ფიგურის მსგავსად, სითხის სასხმელი პირი დატანილი აქვთ ზურგზე. ამგვარი ფიგურები დათარიღებულია ძვ.წ. I – ახ.წ. II საუკუნეებით [Haerinck, 1983].

ამავე პერიოდის ფიგურებს ვხვდებით ასევე ირანის სხვა პროვინციებში. დადასტურებულია ისინი აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც და მათი თარიღი ძვ.წ.I –ახ.წ. II ს-ით არის განსაზღვრული[Haerinck, 1983].

თეირანის არქეოლოგიურ მუზეუმში გამოფენილია პართული პერიოდით დათარიღებული, თიხისგან დამზადებული სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებიანი რიტონები, მათ შორის არის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ირმის ფიგურაც. ის გამომწვარია წითლად. ფიგურის თავს აბოლოებს ორი დატოტვილი რქა. ზურგზე დატანილი აქვს შემაღლებული, ცილინდრული მოყვანილობის სითხის სასხმელი პირი.

მსგავსი ფიგურები ცნობილია ასევე აღმოსავლეთ ევროპის გვიანანტიკური პერიოდის არქეოლოგიური კომპლექსებიდანაც [Клейман, 1982: 267].

არქეოლოგიური აღმოჩენები ცხადყოფს, რომ ირმის კულტს საკმაოდ ძველი და ღრმა ფესვები აქვს როგორც აღმოსავლეთ, ისე – დასავლეთ საქართველოში.

ქართველი და კავკასიელი ხალხის უძველეს რელიგიებში დიდი ადგილი ეჭირა ირმის სახეს. საქართველოს ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა მეტყველებს, რომ ირემი მონადირეობასთან და ნაყოფიერების, ბუნების აღორძინების ძალებთან (ღვთაებასთან) იყო დაკავშირებული.

ქართულ ფოლკლორში ირემი ხშირად წარმოდგენილია როგორც ზებუნებრივ ნიჭთა მატარებელი და ღვთაების სამყაროსთან დაკავშირებული არსება. ნათლად ჩანს ირმის კავშირი ველური ბუნების ნაყოფიერების ღვთაებებთან. ირემი ასევე წარმოადგენს მიწის სიმბოლოს და ბუნების დიდი დედის კულტს უკავშირდება [სურგულაძე, 2003:33].

ხალხურ სიტყვიერებასა და სახვით ხელოვნებაში განსაკუთრებით აქცენტირებული იყო ირმის რქები, როგორც მათი ძირითადი, სპეციალური მსაზღვრელი ნიშანი. რქა ასევე აღნიშნავდა ვაზს ან რაიმე მცენარეულ წამონაზარდს. ამიტომ არის რომ ირმის რქები ხშირად სიცოცხლის ხესთან არის დაკავშირებული [სურგულაძე, 2003:23].

ირმის კულტის არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური მასალის მიხედვით ენეოლითური ხანიდან ფიქსირდება. ირმის უძველესი გამოსახულებები ჯერჯერობით ცნობილია ქვემო ქართლიდან [ჯაფარიძე...1971].

გამოთქმულია ვარაუდი, რომ ენეოლითის დასასრულსა და ადრებრინჯაოს ხანაში, ირემი უკვე დაკავშირებული იყო ნაყოფიერების აგრარულ კულტთან და მისი სიმბოლიზება მიწათმოქმედების განვითარებას დაუკავშირდა [კიკვიძე, 1976: 190-191].

ირემი აქტიურად მოქმედებს საქართველოში ენეოლითის პერიოდიდან მოყოლებული ანტიკური ხანის ჩათვლით.

ირმის კულტი ფართოდაა გავრცელებული გვიანანტიკურ ხანაში. მისი გამოსახულებები დატანილია საბეჭდავებსა და გემებზე, კეთდება ირმის გულსაკიდები, მისი გამოსახულელბებით იმკობა სარტყლები, ბალთები, აბზინდები, დიადემები.

ქართულ წარმართულ პანთეონში ირმის კულტის სიძლიერეზე არქეოლოგიური არტეფაქტების გარდა ქართული წერილობითი წყაროებიც მეტყველებენ: „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ფარნავაზი, იბერიის სამეფოს დაარსებამდე, სწორედ ირმებზე ნადირობს. „ფარნავაზის ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ იგი პოულობს განძს, აღწევს მეფობას და აარსებს იბერიის სამეფოს. აღსანიშნავია, რომ განძთან ფარნავაზი სწორედ ირემს მიჰყავს [ლეონტი მროველი, 1955:21-22]. წყაროში მოყვანილი ცნობა მეტყველებს ირმის კულტის სიძლიერეზე ანტიკური ხანის საქართველოში.

ირმებზე ნადირობა რომ ყოველთვის დაკავშირებული იყო გარკვეულ რიტუალთან და რწმენა-წარმოდგენებთან, და ეს მოტივი რომ დიდიხნის განმავლობაში შემოინახა საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ქართველურმა ტომებმა, კარგად ჩანს სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური მასალიდანაც.

ირმის კულტის სიძლიერეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ქრისტიანულმა რელიგიამაც კი ვერ მოახერხა მისი უგულებელყოფა, არამედ მოხდა მისი ტრანსფორმირება ქრისტიანულ სიმბოლოდ და ადრექრისტიანულ სიმბოლოებში ირემმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა [დიღმელაშვილი, 2010: 68].

ირმის, როგორც წარმართული კულტის ტრანსფორმირება ქრისტიანულ სიმბოლოდ კარგად არის ასახული ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ჩართულ ,,ნინოს ცხოვრებაში“. წყაროს მიხედვით, ქართლის მეფის, მირიანის, მიერ წარგზავნილი ხუროები ჯვრების შექმნის მიზნით ჭრიან იმ სასწაულმოქმედ ხეს, რომლისგანაც იკურნებიან დაჭრილი ირმები [მოქცევაჲ ქართლისაჲ, 1963:159].

არ არის გამორიცხული, რომ წყაროში მოხსენიებული ხე, რომელიც კურნავს დაჭრილ ირმებს, დაკავშირებული იყოს წარმართულ სიცოცხლის ხესთან (სადაც ის ტრანსფორმირდება ქრისტიანულ ჯვრად). სიცოცხლის ხის ნაყოფი აქაც სიცოცხლის მომნიჭებლად გვევლინება. შესაბამისად, წყაროში გადმოცემული სიუჟეტი წარმართული კულტის (რაც ამ შემთხვევაში გაიგივებულია ირემთან და სიცოცხლის ხესთან) გაქრისტიანების პროცესს ასახავს [დიღმელაშვილი,2010:66].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ გუდაბერტყაზე გამოვლენილ სამარხში დადასტურებული ირმის ფიგურა (ისევე როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ირმის თუ ხარ-ირმის ფიგურები) წარმოადგენს რიტუალურ სასმისს, ან რაიმე განსაკუთრებული, წმინდა სითხის საცავს.

ამგვარი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა აღნიშნული ფიგურების საგრძნობი იშვიათობა გვიანანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე. ფაქტია, რომ ამ პერიოდში რიტონები სერიულად არ იწარმოებოდა და მათ მხოლოდ განსაკუთრებული (სავარაუდოდ სარიტუალო) შემთხვევებისათვის ამზადებდნენ.

ირმის ფიგურების დანიშნულება სამარხებში შესაძლებელია ყოფილიყო მიცვალებულის სულის თანხლება ზეციურ სამყაროში, რადგან, როგორც ჩანს, ირემი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა წარმოდგენაში გარდაცვლილ სულთა წინამძღოლი იყო იმ ქვეყნიურობისაკენ.

ირმის ფიგურების სამარხში აღმოჩენის ფაქტი შესაძლებელია მეტყველებდეს ასევე პატრიარქალური გვარის რელიგიურ წარმოდგენებზე, როდესაც ოჯახის უფროსის გარდაცვალების დროს, მას სამარხში ატანდნენ იმ ღვთაება-ცხოველის (ამ შემთხვევაში ირმის) გამოსახულებას, რომელსაც თაყვანს სცემდა გარდაცვლილის გვარი [Шамба,1970:65]. ამგვარ რიტუალს საქართველოში დიდი ხნის ტრადიცია უნდა ჰქონოდა, რასაც არქეოლოგიური მასალაც ცხადყოფს.

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ირმის კულტზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია საგარეო ფაქტორებიც: კერძოდ, კულტურული თუ პოლიტიკური გავლენები მახლობელი აღმოსავლეთიდან, სადაც, როგორც ვნახეთ, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, ირემი ასევე საკრალურ ცხოველად ითვლებოდა და მისი კულტის თაყვანისცემას დიდი ხნის ტრადიცია ჰქონდა.

მახლობელ აღმოსავლეთთან ჩამოყალიბებულმა მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკურმა და კულტურულმა კავშირებმა (რაც კიდევ უფრო გაღრმავდა ანტიკურ პერიოდში აქემენიდურ ირანთან, პართიასთან თუ სასანიდებთან, ასევე მცირე აზიასა და მესოპოტამიასთან), როგორც ჩანს, საგრძნობი გავლენა იქონია რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზეც. არქეოლოგიურ თუ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გვიანანტიკურ ხანაში მკვეთრად იზრდება ირანული კულტურის გავლენა ქართულ წარმართულ პანთეონზე [დუნდუა...2010]. ამგვარი გავლენების ნათელი დასტურია, თუნდაც, ცეცხლთაყვანისმცემლობის თუ მითრას კულტის სიძლიერე მთელს საქართველოს ტერიტორიაზე.

ამგვარად, გვიანანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე, ირმის ფიგურებისა და მათთან დაკავშირებული რომელიმე წარმართული ღვთაების თუ რელიგიური წარმოდგენების გავრცელების ერთ-ერთი წყარო შესაძლებელია ირანული სამყაროც ყოფილიყო.

მეზობელი რეგიონებიდან მომდინარე ამ გავლენებს, როგორც ჩანს, არ შეუტანია რაიმე მნიშვნელოვანი დისონანსი ადგილობრივი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებში, რადგან მათთვის ამ პერიოდში კარგად იყო ცნობილი ირანში გავრცელებული წარმართული ღვთაებები, რელიგიური წარმოდგენები და, შესაბამისად, მათთან დაკავშირებული რიტუალური ნივთებიც (გავიხსენოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს ქალაქში ცხოვრობდა ზოროასტრიული მოსახლეობა. გამოთქმულია ასევე მოსაზრება, რომ გაიმი მითრას კულტის ერთ-ერთი სახეობის გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს, ანინა-ანაჰიტის, არმაზის კერპი შესაძლოა

აჰურა-მაზდასთან იყოს კავშირში და. ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ ირანული წარმოშობის ღვთაებებმა შეადგინეს ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ტრიადა [დუნდუა... 2010:77]).

მაგრამ, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ირმის კულტს ადგილობრივ წარმართულ პანთეონში უკვე საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ეჭირა მნიშვნელოვანი ადგილი და, შესაბამისად, მისდამი მიძღვნილ რიტუალებს უკვე დიდი ხნის ტრადიცია უნდა ჰქონოდა.

გუდაბერტყაზე და აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ირმის ფიგურები წარმოადგენენ სამარხის ინვენტარს, მაგრამ, სავარაუდოდ, ისინი მხოლოდ სამარხში ჩასატანებლად არ იყვნენ დამზადებულნი. საფიქრებელია, რომ აღნიშნულ ირმის (ხარ-ირმის) ფიგურებს მათი პატრონები იყენებდნენ რელიგიური რიტუალების შესრულების დროს (რა თქმა უნდა, გამორიცხულია ამგვარი ჭურჭლის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში). შესაძლებელია, ირმის ფიგურებს იყენებდნენ დიდი დედის, ნაყოფიერების კულტთან მიძღვნილ დღესასწაულებზე, რაც ასევე მიწათმოქმედებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

წარმართული პანთეონის ხასიათიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, გვიანანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ცალკეულ თემს თუ სოფელს თავის სათაყვანო ღვთაება უნდა ჰყოლოდა და, შესაბამისად, მათთვის მიძღვნილი წარმართული რიტუალებიც უნდა შეესრულებინათ.

არქეოლოგიური მონაპოვარი ცხადყოფს, რომ ირმის კულტთან დაკავშირებული წარმართული რიტუალები თუ მთელს იბერიის სამეფოში არა, გარკვეულ სოფლებსა თუ თემებში მაინც უნდა ჩატარებულიყო კულტის მსახურის მიერ.

ამგვარი რიტუალების ჩატარებისას მნიშვნელოვანი ატრიბუტი უნდა ყოფილიყო სწორედ თიხისგან (ან სხვა მასალისგან) დამზადებული ირმის (ხარ-ირმის) ფიგურები (სასმისები). როგორც ჩანს, მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა რიტუალში ასევე

ბრინჯაოსგან დამზადებული ჯიხვის თუ ირმის მცირე ქანდაკებები, შესაძლოა ბრინჯაოს ზარაკებიც.

აღნიშნული ინვენტარის ერთ სამარხში აღმოჩენის ფაქტი კი შესაძლოა მეტყველებდეს იმაზე, რომ ისინი ერთი და იმავე წარმართულ კულტთან დაკავშირებული ნივთები უნდა იყოს და მათ კულტის რიტუალში, სავარაუდოდ, სამარხში დაკრძალული პირი იყენებდა.

ლოგიკური იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ რიტუალის შესრულებისთვის აუცილებელი ატრიბუტები – თიხის ირმის ფიგურა, ბრინჯაოს მცირე ქანდაკება ჯიხვის გამოსახულებით, სარკე და ზარაკი უნდა ჩაეტანებინათ სწორედ იმ კულტის მსახურის სამარხში, რომელიც ირმის კულტთან დაკავშირებულ რიტუალებს აღნიშნული ნივთების დახმარებით ასრულებდა. შესაბამისად, სამახრში სარიტუალო ინვენტარის შესამჩნევი სიჭარბე, რომელიმე თემის კულტის მსახურის სამარხზე უნდა მიგვანიშნებდეს.

ყოველივე ზემოთქმული მეტყველებს გუდაბერტყაზე გამოვლენილ ახ.წ. III-IV სს. მიჯნით დათარიღებულ სამარხში დაკრძალული მიცვალებულის განსაკუთრებულ როლზე. ამასთან, სამარხში დადასტურებული ირმის ფიგურა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს არქეოლოგიური თვალსაზრისით. მის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტიც, რომ ფიგურა (სასმისი) ჯერჯერობით უნიკალურია და არ მოეპოვება ანალოგები საქართველოს სინქრონულ ძეგლებს შორის. სწორედ ამიტომ, რთულია ირმის ფიგურის კონკრეტული ფუნქციური დანიშნულებისა და მნიშვნელობის განსაზღვრა, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ მომავალი არქეოლოგიური აღმოჩენები და სამეცნიერო კვლევები ნათელს მოჰფენს ამ საკითხს.

---

[1] სამარხში აღმოჩენილი ინვენტარი გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს ჩაბარდა 1973 წელს.

[2] სამარხეულ ინვენტარზე მუშაობის დროს დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომელს – ზვიად შერაზადიშვილს.

[3] სამარხეული ინვენტარის გრაფიკული ტაბულები ეკუთვნის საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომელს – რუსუდან ბერიძეს.

ლიტერატურა:

1. ჭილაშვილი ლ. ნაქალაქარი ურბნისი.-თბილისი,1964
2. ნემსაძე გ. თიხის ჭურჭელი ძამის ხეობიდან. ს.ს.მ.მ.: XI.- თბილისი,1991
3. დიღმელაშვილი ქ. ქრისტიანული სიმბოლიკა I-VI სს. საქართველოში. დისერტაცია.- თბილისი, 2010
4. ჯაფარიძე ო., ჯავახიშვილი ალ.უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე.-თბილისი,1971
5. კიკვიძე ი. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში.-თბილისი,1967
6. მანჯგალაძე გ. სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები. მცხეთა ტ. VII.-თბილისი,1985
7. აფაქიძე ა. ნიკოლაიშვილი ვ. მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ახ.წ. III საუკუნისა-აკლდამა 905. მცხეთა ტ. XI.-თბილისი,1996
8. რობაქიძე ც. არაგვისპირის სამაროვნის თიხის ჭურჭელი. არქეოლოგიური ძიებანი II-III.-თბილისი,1982
9. ლეონტი მროველი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. I. თბილისი,1955
10. მოქცევაჲ ქართლისაჲ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები I. საქ.სსრ. მეცნ. აკად. გამომცემლობა.- თბილისი,1963
11. სურგულაძე ი. მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისი, 2003
12. ხიდაშელი მ. რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში. თბილისი,2005
13. ჩიხლაძე ვ. წინაქრისტიანული ხანის ჟინვალის სამაროვანი. თბილისი,2015
14. კვირკველია გ., მურვანიძე ბ., ნიკოლაიშვილი ვ., ორჯონიკიძე ა. არქეოლოგიური გათხრები გრაკლიანის გორაზე 2009 წელს. ძიებანი № 20.-თბილისი, 2011
15. მირიანაშვილი ნ. შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან.-თბილისი,1983
16. რამიშვილი ქ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მცირე პლასტიკის ძეგლები.-თბილისი.,2007

17. აბრამიშვილი რ., რამიშვილი ა. არქეოლოგიური გათხრები თბილისში. მეგლის მეგობარი №39.-თბილისი, 1975
18. Клейман И. Б. Раскопки в Тире. Археологические открытия 1982 г.-Москва, 1984
19. ШамваГ.К. Ахаччарху-Древниймогильник нагорной Абхазии.- Сухуми, 1970
20. Mellaart J. Excavations at Hacilar (Fourth preliminary report). Anatolian Studies. Journal of the British Institute of Archaeology at Ankara. Vol. XI.- Ankara,1961

მანუჩარ გუნცაძე

ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ეკონომიკური მხარე

(ისტორია და თანამედროვეობა)

საუბარი იმაზე, რომ ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი მნიშვნელოვანია თანამედროვე საქართველოსათვის როგორც პოლიტიკური ვითარების, ასევე სამეცნიერო შესწავლის კუთხით, ალბათ დიდ მტკიცებას არ საჭიროებს. გამომდინარე აქედან ხშირია საისტორიო, პოლიტიკურ თუ სამხედრო ანალიზის შემცველი სტატიები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის შესახებ არსებულ სტატიებს, კონფლიქტის ანალიზისათვის ხშირად ქრონოლოგიურ ჩარჩოდ აღებული აქვთ მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული მოვლენები. ამას ალბათ ის ახსნა აქვს, რომ კონფლიქტის ერთ-ერთი ბოლო ეტაპი სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო.

მიუხედავად ამისა, კონფლიქტის წარმოქმნის ქრონოლოგიური პერიოდი შედარებით ვრცელია და ის დასაწყის მეოცე საუკუნის პირველი ნახევრიდან იღებს, ჯერ ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკიდან, ხოლო შემდგომ უკვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდიდან. სწორედ ამის გამო, ალბათ, უპრიანი იქნება, თუ კონფლიქტის ანალიზის დროს ხშირად პარალელებს სწორედ კონფლიქტის თავდაპირველ მოვლენებთანაც გავავლებთ, ვინაიდან კონფლიქტის საწყისსა და დღევანდელობასთან სხვაობა მხოლოდ ერთი საუკუნეა, რაც ისტორიისთვის არც თუ ისე დიდი პერიოდია.

ჩემი სტატიის მიზანიც სწორედ ესაა, მოხდეს შედარება კონფლიქტის განვითარების ეტაპების არა მხოლოდ მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან, არამედ მისი საწყისიდან. კიდევ ერთი მომენტი არის ის, რომ კონფლიქტის განხილვა უმეტესწილად ხდება პოლიტიკური და სამხედრო მოვლენების ანალიზის შედეგად და შედარებით მცირე ადგილი ეთმობა ეკონომიკური მოვლენების ანალიზს. არა და ხშირად კონფლიქტს

სწორედ ეკონომიკური მოტივებიც წარმართავს ხოლმე და სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებზე არანაკლები წვლილი მიუძღვის მის მსვლელობაში.

სწორედ ამიტომ მივყვეთ ცხინვალის კონფლიქტის ეკონომიკურ მხარეს ქრონოლოგიურად.

კონფლიქტის პირველი შტრიხები ცხინვალის რეგიონში 1917 წლის რევოლუციის შემდეგ იკვეთება. სწორედ ამ პერიოდიდან იქმნება სამხრეთ ოსეთის სახალხო ყრილობა და ეროვნული საბჭო, რომელიც ეტაპობრივად ცდილობს მართვის სადავეების ხელში აღებას დღევანდელი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე. 1918 წლის 4 იანვარს ოსეთის დელეგატთა ყრილობამ ოფიციალური მიმართვაც გააგზავნა საქართველოს ეროვნული საბჭოს მიმართ, რომ ამიერიდან ყველა საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ოს ერს შეეხებოდა, უნდა მიემართათ სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოსათვის.

ამ ფაქტს შემდგომი განვითარებაც მოჰყვა. 1918 წლის 16 მარტიდან იწყება პირველი კონფლიქტის მოვლენები, სადაც პოლიტიკურთან ერთად ეკონომიკური მოთხოვნებიც აშკარაა. 16 მარტს ცხინვალში ოსთა დელეგაციამ წარადგინა შემდეგი მოთხოვნები:

1. მიწების დაყოფა;

2. გორის მაზრიდან რევოლუციონურ ორგანიზაციაში მომუშავე რამდენიმე პიროვნების გაძევება;

3. გორის მაზრიდან ყველა თავადისა და აზნაურის გაძევება;

4. სიტყვისა და კრების თავისუფლება [ბლუაშვილი, 2005: 11].

აღნიშნული მოთხოვნების შესასრულებლად ადგილობრივ ადმინისტრაციას მისცეს რამდენიმე საათი. ამ შემთხვევაში არ მივყვებით კონფლიქტის ფაქტობრივ განვითარებას და შემდგომ განვითარებულ სამხედრო მოვლენებს. ჩვენთვის

საინტერესოა ის ფაქტი, რომ კონფლიქტის მიზეზი ყოველთვის პოლიტიკური მოვლენებით არ იყო განპირობებული, არამედ მის საწყის ეტაპზე კარგად ვხედავთ ეკონომიკურ ფაქტორებსაც, რომლებიც შეეხება მიწის საკითხებსა და თავად-აზნაურობის უფლებებს.

1918 წლის მოვლენების შემდეგ კიდევ ორ სამხედრო დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, რომლებიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს მოხდა, 1919 და 1920 წლებში.

1918 წლის კონფლიქტის დროს არსებული მოთხოვნებისგან განსხვავებით, 1919 და 1920 წლის დაპირისპირებისას ეკონომიკური ფაქტორები წინა პლანზე აღარ გამოსულა და ისინი პოლიტიკურ ხასიათს ატარებდნენ, რომელთა მიზანიც ავტონომია, დამოუკიდებლობა ან სხვა ქვეყნის ფარგლებში გაერთიანება იყო.

თუმცა მიუხედავად ყოველივე ამისა, შემდგომი ორი დაპირისპირების დროსაც გვხვდება ჩვენთვის საინტერესო საკითხები. მაგალითად 1919 წლის კონფლიქტის დროს, 26 თებერვალს თბილისში გაიმართა ოს მუშათა კრება, რომელიც გაემიჯნა დაპირისპირებაში ჩართული ეთნიკურად ოსი მოსახლეობის მოთხოვნებს [თოიძე, 1991: 30].

ასევე საინტერესოდ მიმაჩნია ის ფაქტი, რომ 1920 წლის სამხედრო დაპირისპირების პერიოდში, რომელიც წინამორბედ კონფლიქტებთან შედარებით ყველაზე მასშტაბური იყო, კონფლიქტში არ ჩართულან არც სამხედრო და არც სხვა სახის პროტესტით გორის სამხრეთ მცხოვრები ეთნიკურად ოსი მოსახლეობა.[1]

ამ ორი ფაქტით იმ ვერსიაზე მსურს ყურადღების გამახვილება, რომ ორივე შემთხვევაში არანაირი პრობლემა არ ყოფილა იმ ოს მოსახლეობასთან, რომელიც ეკონომიკურად დანარჩენი საქართველოს ნაწილს წარმოადგენდა და მთლიანად იყო მის ეკონომიკაზე დამოკიდებული. შესაბამისად, ოს ბოლშევიკებს, რომლებიც საქართველოს მთავრობის წინაშე სხვადასხვა მოთხოვნას აყენებდნენ, არ ჰქონდათ მათი მანიპულაციისათვის

საჭირო ბერკეტები. ხოლო ის მოსახლეობა, რომელიც გორის ჩრდილოეთით ცხოვრობდა, ეკონომიკური ურთიერთობით დაკავშირებული იყო ჩრდილოეთ კავკასიასთან და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახლად დაწყებული ეკონომიკური რეფორმების პერიოდში, არ იყო მიბმული ქართულ ეკონომიკაზე და ნაკლები კავშირი ჰქონდა ამ მხრივ მასთან.

სტატისტიკურ მონაცემებს თუ დავეყრდნობით, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ცხინვალში მცხოვრები ეთნიკურად ოსი მოსახლეობის რაოდენობა დიდი არ ყოფილა. აღნიშნულ პერიოდში ცხინვალში ყველაზე დიდი რაოდენობით ცხოვრობდა ეთნიკურად ებრაელი მოსახლეობა, შემდეგ – ქართველები, დაბოლოს – სომხები. 1886 წლის აღწერით, ცხინვალში ცხოვრობდა 1953 ებრაელი, 1135 ქართველი, 744 სომეხი და არცერთი ოსი. 1922 წლის აღწერითაც, მაშინ როდესაც იქმნებოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ცხინვალში მცხოვრები ოსების რაოდენობა შედარებით მცირე იყო. ამ პერიოდში ცხინვალში არის 1651 ებრაელი, 1436 ქართველი, 765 სომეხი და 613 ოსი [გუნცაძე, 2013/2014: 45]. მიუხედავად ამისა, 1918-1921 წლებში ოსი ბოლშევიკების მოთხოვნები ყოველთვის მოიცავდა ცხინვალის მათ ცენტრად ქცევას. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ალბათ იყო ის, რომ ამ პერიოდში ცხინვალი იყო სავაჭრო ცენტრი, სადაც გადიოდა გზა სამხრეთ კავკასიიდან ჩრდილოეთ კავკასიამდე. შესაბამისად, ცხინვალის დასაკუთრების ერთ-ერთი ინტერესიც ალბათ ამ ეკონომიკური ფაქტორით იყო განპირობებული. ცხინვალს ეკონომიკური მნიშვნელობა რეალურად არც შემდგომ პერიოდში დაუკარგავს, როგორც გზაგამტარს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიას შორის, სწორედ ამის გამო ეკონომიკურად ძლიერი და განვითარების პოტენციის მქონე ქალაქი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკურ ცენტრად მომგებიანი იქნებოდა ოსი ბოლშევიკებისათვის. ამ შემთხვევაში ისინი არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას, ვინაიდან ამოსავალი სწორედ ეკონომიკური მხარე იყო და არა დემოგრაფიული ფაქტორი.

საბჭოთა პერიოდში ბუნებრივია, ალტერნატიული რეალობა შეიქმნა და რეგიონის ეკონომიკური მნიშვნელობაც გაიზარდა. ეს გამოწვეული იყო როკის გვირაბის მშენებლობით, რომელიც საქართველო-რუსეთის ახალი დამაკავშირებელი საზღვარი გახდა. 3700-მეტრიანი გვირაბის მშენებლობა 1984 წელს დასრულდა და ორი წლის შემდეგ გაიხსნა. გვირაბმა დამატებითი ეკონომიკური სარგებელი და, შესაბამისად, მნიშვნელობა მოუტანა ცხინვალის რეგიონს. ახლა უკვე ნებისმიერი მეტეოროლოგიური პირობების შემთხვევაში შესაძლებელი იყო სავაჭრო ტრანსპორტის მიმოსვლა. მართალია, მოგვიანებით მისი გამოყენება უკვე სამხედრო მიზნებისთვისაც მოიძებნა, თუმცა ამ ეტაპზე ეს ჩემი განხილვის საგანს არ წარმოადგენს.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ე.წ. „სამხრეთ ოსეთთან“ ყველაზე მასშტაბური ეკონომიკური ურთიერთობის მაგალითს წარმოადგენდა ერგნეთის ბაზრობა, რომელიც 1996 წელს შეიქმნა და 8 წლის განმავლობაში არსებობდა. ერგნეთის ბაზრობაც თავისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეებით პირდაპირ იყო როკის გვირაბთან, საიდანაც ცხინვალის რეგიონში შეტანილი უაქციზო საქონელი მარტივი ხელმისაწვდომი გახდა ბაზრისთვის.

შექმნის პერიოდიდან ერგნეთის ბაზარი ყოველთვის განხილვის საგანი იყო არა მხოლოდ ცხინვალის კონფლიქტთან მიმართების კუთხით, არამედ იმ მიზეზის გამოც, რომ მან ეკონომიკის საკმაოდ მსხვილი მასშტაბები მოიცვა და მთლიან ქართულ ეკონომიკურ სისტემაზეც მოახდინა გავლენა.

2004 წელს გამოქვეყნდა სპეციალური კომისიის დასკვნა, რომლის კვლევის ერთ-ერთი ობიექტიც ერგნეთის ბაზრობა იყო. ეკონომიკური კუთხით რომ შევხედოთ, დღეში დაახლოებით 150 ავტომობილი გადმოდიოდა არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან ერგნეთის გავლით საქართველოს დანარჩენი ნაწილისკენ. აღნიშნული ტრანსპორტი არანაირ საბაჟო გადასახადს არ იხდიდა და კონტრაბანდის შემოტანის სანაცვლოდ, ადგილობრივ საგუშაგოებზე იხდიდა ქრთამს, რომელიც ერთ მანქანაზე დაახლოებით 20 ლარს შეადგენდა. ამას შემდგომ ემატებოდა მექრთამეობის სისტემის დამატებითი

მომსახურებები. იმისათვის, რომ სატვირთო ტრანსპორტი ერგნეთიდან მცხეთამდე გაეცილებინათ და მათი უსაფრთხოება უზრუნველეყოთ, მათ დამატებით 800 ლარი უნდა გადაეხადათ ამ მომსახურებისთვის. საერთო ჯამში კი, გამომდინარე იქიდან, როგორი აქტიური პერიოდი იყო, სახელმწიფოს ზარალი 200 მილიონი ლარიდან ერთ მილიარდამდე მერყეობდა [Kukhianidze... 2004: 19][აგვისტოს... 2009: 23].

შორიდან რომ შევხედოთ, ეს ეკონომიკური შავი ხვრელი ცალსახად მძიმე დარტყმას აყენებდა ქვეყნის ეკონომიკას და ბიძგს აძლევდა იმ ჯგუფებს, რომლებიც კონფლიქტში მხოლოდ ეკონომიკური ინტერესებისთვის ერთვებოდნენ, რასაც ე.წ. „ომის ეკონომიკის“ ფენომენს უწოდებენ. თუმცა ერგნეთის ბაზარს მეორე და გარკვეული კუთხით არანაკლები მხარეც გააჩნდა. კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობა უმეტესწილად დამოკიდებული ხდებოდა ქართულ ეკონომიკაზე და ქართულ სავაჭრო სივრცეზე და ნაკლებად იყო დისტანცირებული. მას შეეძლო აქ გაეყიდა როგორც კონტრაბანდული საქონელი, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რაც კონფლიქტის ზონის მცხოვრებლებს პირდაპირ დამოკიდებულს ხდიდა საქართველოზე და პოლიტიკური გამიჯნულობის მიუხედავად, ეკონომიკურად უმეტეს წილად დამოკიდებული იყო.

2004 წელს საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, საბოლოოდ დაეხურა ერგნეთის ბაზრობა და ამ მხრივ გადამჭრელი ზომები მიიღო. ამ ფაქტის ახსნას ორი მიზეზი გააჩნდა. ერთი ცხადია ის არის, რომ ერგნეთის ბაზრობა, როგორც ქართული ეკონომიკის შავი ხვრელი, დიდ ზარალს აყენებდა ქვეყანას, ხოლო მეორე ახსნას გვაძლევს საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე არსებული „საინფორმაციო ცნობა „ქართულ-ოსური კონფლიქტის შესახებ“ [ინფორმაციული... 2006: 15], რომლის მიხედვით, ერგნეთის ბაზრობის დახურვის ერთ-ერთ მიზეზს განაპირობებდა ის, რომ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ მეთაური, ედუარდ კოკოითი, თავის ეკონომიკურ ძლიერებას სწორედ ერგნეთის ბაზრობაზე ამყარებდა, ხოლო ერგნეთის ბაზრობის დახურვით ქართული მხარე შეეცადა კოკოითის პოზიციების შესუსტებას და კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის ლოიალობის მოპოვებას. ბაზრობის დახურვამ შეიძლება

მართლაც გამოიწვია კოკოითის ეკონომიკური დასაყრდენის შესუსტება, თუმცა ცოტა გაურკვეველია, რატომ უნდა გამოეწვია ამ ფაქტს ლოიალობა ადგილობრივ მოსახლეობაში, ვინაიდან ისინი უშუალოდ იყვნენ ჩაბმულნი ერგნეთის სავაჭრო ზონაში და მათთვისაც ეს გარკვეული ეკონომიკური სარგებლის მიმცემი იყო.

ერგნეთის ბაზრობის დახურვის შემდეგ ბუნებრივია, ეკონომიკური ურთიერთობები შესუსტდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან. შემდგომ პერიოდში ეკონომიკური ურთიერთობისთვის რჩებოდა ის ტრანსპორტი, რომელსაც კონფლიქტის ტერიტორიიდან საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის მიმართულებით გადაჰყავდათ მოსახლეობა და მათ შეეძლოთ, თავიანთი სოფლის მეურნეობის პროდუქტი გაეყიდათ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე და არა ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც ტერიტორიულად უფრო დიდ მანძილზე იყო დაშორებული.

2008 წლის ომის შემდეგ ეს ეკონომიკური ურთიერთობაც შეწყდა, ვინაიდან კონფლიქტის ზონაში მიმოსვლა ნაწილობრივ რუსულმა მხარემ, ხოლო ნაწილობრივ ქართულმა მხარემ ჩაკეტა, რამაც სრული დისტანცირება გამოიწვია და შეაჩერა სავაჭრო ურთიერთობები. შესაბამისად, ფაქტობრივად, გაქრა კონფლიქტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დამოკიდებულება ქართულ ეკონომიკურ სივრცეზე.

სტატიის ბოლოსკენ მინდა ყურადღება გავამახვილო კიდევ ერთ ფაქტზე. 2010 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლის მიხედვითაც ჩეჩნეთის, ინგუშეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი ჩერქეზეთის და ადიღეს რესპუბლიკებში ჩაწერილი მოსახლეობისათვის ამოქმედდა 90 დღიანი უვიზო რეჟიმი, რათა მათ არ დასჭირებოდათ დიდი მანძილის გავლა ქართული ვიზის ასაღებად და მარტივი და ხშირი ურთიერთობა ჰქონოდათ საქართველოსთან [ბრძანებულება №815, 2010].

ეს უკანასკნელი ფაქტი კარგი მაგალითია იმის გასათვალისწინებლად, თუ რა გამოსავლის პოვნა შეიძლება ჩაკეტილი ურთიერთობის აღსადგენად, თუნდაც მცირე მასშტაბებით. ერგნეთის ბაზარს თავისი დიდი უარყოფითი გავლენა ჰქონდა

ეკონომიკაზე, მაგრამ დღეს კონფლიქტურ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისათვის ქართული მხარე ეკონომიკურად არანაირად არ არის მიმზიდველი, შესაბამისად, ალბათ ცუდი არ იქნება, თუკი რაიმე კომპრომისი გამოიძებნება იმისათვის, რომ თუნდაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ვაჭრობის დონეზე მოხდეს ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა, ვინაიდან სრული ეკონომიკური ჩაკეტილობა და გამიჯვნა კონფლიქტის მოგვარებას არა თუ უწყობს ხელს, არამედ – ართულებს.

---

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცლად იხილეთ: მ. გუნცაძე, 1920 წლის ოსთა აჯანყება შიდა ქართლში ქართული პრესის მასალების მიხედვით, *ქართული წყაროთმცოდნეობა XV-XVI,* 2013/2014 გვ. 40-58.

@font-face { font-family: Sylfaen; }@font-face { font-family: "Cambria Math"; }@font-face { font-family: Calibri; }p.MsoNormal, li.MsoNormal, div.MsoNormal { margin: 0cm 0cm 8pt; line-height: 107%; font-size: 11pt; font-family: "Calibri", sans-serif; }p.MsoFootnoteText, li.MsoFootnoteText, div.MsoFootnoteText { margin: 0cm 0cm 0.0001pt; font-size: 10pt; font-family: "Calibri", sans-serif; }span.MsoFootnoteReference { vertical-align: super; }span.FootnoteTextChar { }.MsoChpDefault { font-size: 11pt; font-family: "Calibri", sans-serif; }.MsoPapDefault { margin-bottom: 8pt; line-height: 107%; }div.WordSection1 { }

ლიტერატურა:

1. გუნცაძე მ. 1920 წლის ოსთა აჯანყება შიდა ქართლში ქართული პრესის მასალების მიხედვით, ქართული წყაროთმცოდნეობა XV-XVI.- 2013/2014
2. ბლუაშვილი უ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა.-თბილისი,2005
3. ბრძანებულება №815: „ვიზის გაცემის, გაგრძელებისა და მოქმედების ვადის შეწყვეტის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 28 ივნისის №399 ბრძანებულებაში დამატების შეტანის შესახებ.- 2010 https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1043306
4. ინფორმაციული ცნობა "ქართულ-ოსური კონფლიქტის" შესახებ.- 2006 http://www.parliament.ge/files/617_8236_484760_qart_osuri.pdf
5. აგვისტოს ნანგრევებში: არასამთავრობო ორგანიზაციათა ანგარიში 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა დარღვევის შესახებ / მთავარი რედაქტორი თინათინ ხიდაშელი.-2009
6. თოიძე ლ. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც.-თბილისი.1991
7. Alexandre Kukhianidze, Alexandre Kupatadze, Roman Gotsiridze. SMUGGLINGTHROUGH ABKHAZIA AND TSKHINVALI REGION OF GEORGIA.-Tbilisi,2004

ნიკოლოზ ჟღენტი

მთის წმ. გიორგის მონასტრის სიწმინდეების ისტორიიდან — აგარის წმ. გიორგის ხატი და მისი წარმომავლობა

მთის წმ. გიორგის მონასტერი, რომელიც დღეს ლეკნარის, ასევე „მთასაყდარის“ სახელწოდებებითაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, ქვემო რაჭაში, რაჭის ქედის უკიდურეს სამხრეთ კალთაზე, მაღალ კლდეზეა აღმართული და თარიღდება დაახლოებით IX ს-ის II ნახევრიდან X ს-ის I ნახევრით, მთავარი ნავის ჩრდილოეთ მინაშენი X ს-ის დასასრულით ან XI ს-ის პირველი მესამედით, დასავლეთ მინაშენი კი უფრო მოგვიანო პერიოდით. მონასტრის ჩრდილო-დასავლეთით ხვამლის მთაა აღმართული. სამხრეთ-აღმოსავლეთით კი ნაქერალას მთაა, რომლის გაგრძელებასაც წარმოადგენს ლეკნარი [ბოჭორიძე, 1995: 85-90; დვალი, 1968: 155-165]. მონასტრის კოორდინატებია — 42°26’10.45“; 42°58’32.15“.

ჩვენთვის ცნობილია მონასტერთან დაკავშირებული 20-მდე წერილობითი ძეგლი: XV-XIX სს-ის საისტორიო იურიდიული აქტები; XI-XVIII სს-ის ეპიგრაფიკული ძეგლები — მონასტრის კუთვნილ საეკლესიო ინვენტარზე, ჯვარ-ხატებზე და ეკლესიის პერანგის ქვებზე შესრულებული ჭედური და ლაპიდარული წარწერები, ასევე XVI-XVII სს-ის ხელნაწერზე შესრულებული მინაწერები.

აღნიშნული წერილობითი ძეგლები ძალიან საინტერესო ცნობებს გვაწვდის მონასტრის ისტორიისა და ზოგადად შუასაუკუნეების საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო ისტორიის სხვადასხვა საკითხის შესახებ. აღნიშნულ ნაშრომში ყურადრებას გავამახვილებ ერთ კონკრეტულ საკითხზე — აგარის წმ. გიორგის ხატის კუთვნილებაზე, წარმომავლობასა და ნაქერალას ქედზე მდებარე მთის წმ. გიორგის მონასტრის ისტორიულ სამეგრელოსთან კავშირზე.

ხეზე გადაკრული მოოქროვილი ვერცხლით ნაჭედი აგარის წმ. გიორგის ხატი, რომელმაც სახელი მიიღო მისი ბოლო დაცულობის ადგილის მიხედვით (ნიკორწმინდასთან მდებარე ისტორიული პუნქტი აგარა), დღეს ქუთაისის ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება საინვენტარო ნომრით 3160/გ. 577. ხატი ძალიან დაზიანებულია. საბედნიეროდ, აგარის ხატი კარგადაა ცნობილი XIX ს-ის მეორე ნახევრისა და XX ს-ის პირველი მეოთხედის სამეცნიერო ლიტერატურაში, რის მიხედვითაც შესაძლებელი ხდება ხატის დაზიანებამდელი მდგომარეობისა და მისი დაზიანების ისტორიისა და დინამიკის აღდგენა[1].

ჯერ კიდევ 1893 წელს ხატი მოუნახულებია ანტონ ქუთათელაძეს. მან აღწერა ეს სიძველე და შემოგვინახა ძვირფასი ცნობა ხატის წარმომავლობის შესახებ. მისი თქმით: *„ეს ხატი ჩამოსვენებულია წმიდა გ(იორგ)ის მთიდან და, გოლვის დროს, რაჭველებს ჩვეულება აქვთ იქ გაასვენონ და პარაკლისი გარდიხადონ, რომ წვიმა მოვიდეს“* [ქუთათელაძე, 1894: 58-59]. ამგვარად, ჯერ კიდევ 1893 წელს აგარაში შენარჩუნებული იყო ხსოვნა ხატის წარმომავლობის შესახებ. აგარელები ასევე იცავდნენ ტრადიციას, რომელიც ითვალისწინებდა გვალვის დროს ხატის მთის წმ. გიორგის მონასტერში წასვენებასა და პარაკლისის გადახდას.

ეს ტრადიცია და ხსოვნა შენარჩუნებული იყო 1902/3 წწ-შიც, როცა აგარის ხატი უნახავს ჭელიშის მაშინდელ არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას. გარდა ა. ქუთათელაძის დაფიქსირებული ინფორმაციისა, ა. ხელაიამ შემოგვინახა უმნიშვნელოვანესი ზეპირი გადმოცემა როგორც ამ ხატის, ასევე – მთის წმ. გიორგის მონასტრის შესახებ. 80 წლის გიორგი მომცემლიძემ ა. ხელაიას უამბო, რომ *„ეს წმ. გიორგის ხატი ძველად სოფ. ხორგაში*[2] *(სამეგრელოში) იყო. მეფეს მიუცია საჩუქრად მომცემლიძეების ერთ წინაპრებისთვისთვის. ეს მეფე ბაგრატი, რომელსაც აუშენებია ნიკორწმინდის ტაძარი და რომელსაც რქმევია კურატპალატი (ხალხის თქმით, ბაგრატ კურატი). ამ საჩუქრის მიმღები ყოფილა მაჰმადიანი, მიუღია ქრისტიანობა გიორგის სახელით. მას წამოუსვენებია ხატი რაჭაში, პირველად დაუსვენებია წმ. გიორგის მთაზე, რომელმაც ალბათ ამ ხატისაგან მიიღო თავისი სახელი. გვალვის დროს აგარის წმ. გიორგის ხატს*

მიასვენებენ ამ მთაზე, სადაც არის ეკლესიის ნანგრევი და იქ ევედრებიან ღმერთს წვიმის მოცემისათვის. გიორგი მომცემლიძისათვის მეფე ბაგრატს მიუცია წყალობის წიგნი (სიგელი), რომელიც, როგორც ამბობენ, ახლაც შენახული უნდა იყოს მათს გვარში, და თვით მომცემლიძეთა გვარი წარმომდგარა ამ წყალობისაგან, ანუ, უკეთ ვსთქვათ, სიტყვისაგან „მოცემა“ [ხელაია, 2011: 204-5].

1919 წელს ხატი მოინახულა ექვთიმე თაყაიშვილმა. ა. ქუთათელაძისა და ა. ხელაიას მსგავსად, ექვთიმეც ადასტურებს ადგილობრივების გადმოცემას ხატის წარმომავლობის შესახებ მთის წმ. გიორგის მონასტრიდან. მისი თქმით, *„ხატი თავდაპირველად XI საუკუნეში უნდა იყოს გაჭედილი“* [თაყაიშვილი, 2017: 296-8].

ბოლოს ხატი მოინახულა გიორგი ბოჭორიძემ 1926 წელს, რომელიც ამ დროს, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, უკვე ძალიან შელახული იყო. გ. ბოჭორიძის ცნობით, ხატი გაუძარცვავთ და დაუზიანებიათ 1923/4 წწ-ში. მისი წინამორბედებისგან განსხვავებით, გ. ბოჭორიძე არ ახსენებს ხატის უფრო ადრინდელ წარმომავლობას[3] [ბოჭორიძე, 1994: 146].

ამგვარად, აგარის წმ. გიორგის ხატი, რომლის ძველი ნაწილი XI ს-ს უნდა ეკუთვნოდეს, ძალიან მნიშვენლოვანი ძეგლია მთის წმ. გიორგის მონასტრის ისტორიისათვის, რადგან ჯერ კიდევ XX ს-ის პირველ მეხუთედში აგარის მოსახლეობაში შემორჩენილი იყო ზეპირი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც აგარამდე ხატი სწორედ მთის წმ. გიორგის მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს ცნობა არათუ ერთმა, არამედ სამმა ერთმანეთისგან დამოუკიდებელმა მეცნიერმა — ა. ქუთათელაძემ, ა. ხელაიამ და ე. თაყაიშვილმა, სხვადასხვა დროს დააფიქსირეს.

აგარის წმ. გიორგის ხატს უკავშირდება მრავალი საინტერესო საკითხი, თუმცა, აღნიშნული ნაშრომი ეძღვნება კონკრეტულად აგარის ხატის წარმომავლობას, რაც განსაკუთრებით საინტერესო საკითხია მთის წმ. გიორგის მონასტრის ისტორიისათვის.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ზეპირი გადმოცემა, რომ აგარის წმ. გიორგის ხატი მანამდე მთის წმ. გიორგის მონასტერში ინახებოდა, ოთხიდან სამმა მკვლევარმა სხვადასხვა დროს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩაიწერეს, რაც მიუთითებს, რომ აგარელებში ეს გადმოცემა მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული. თუ როდის და რა მიზეზით გადმოასვენეს ეს ხატი მთის წმ. გიორგის მონასტრიდან აგარაში, ზუსტად უცნობია, თუმცა, შესაძლებელია მიახლოვებითი პერიოდისა და მიზეზის დადგენა.

1465-1467 წწ-ის მთის წმ. გიორგის შეწირულობის საბუთში ბაგრატ VI ქართლ-იმერეთის მეფემ მონასტერს განუახლა დავით აღმაშენებლისა და მისი ძის — დემეტრე I-ის მიერ შეწირული სოფლები და, თავის მხრივ, შესწირა ამ და სხვა სოფლებში საბუთის გაცემის დროს (1465-1467 წწ.) მოსახლე გლეხები. შეწირული უძრავი ქონების ჩამონათვალის თავში, პირველივე ადგილზე იხსენიება *„სახადს აგარა“* [ჟღენტი, 2011: 205]. ტოპონიმი „სახადი“ ჯერ კიდევ 1071-1080 წწ-ის ე.წ. ნიკოლაოს წმინდის წინამძღვრის დაწერილში გვხვდება და იგი ნიკორწმინდის მიდამოების ზოგად სახელს აღნიშნავდა [შოშიაშვილი... 1987: 44]. ამგვარად, 1465-1467 წწ-ის საბუთში მოხსენიებული *„სახადს აგარა“* სწორედ ჩვენთვის საინტერესო პუნქტ აგარასთან უნდა გაიგივდეს. 1465-1467 წწ-ის საბუთის მიხედვით კი ვიგებთ, რომ დასახლებული პუნქტი სახადის აგარა მთლიანად (*სახადს აგარა, მათითა სახლი-კარითა, სასაფლაოთა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, სათიბითა, საყანითა, ტყითა, ველითა, მზღურითა სამართლიანითა უცილებელად, უცვალებელად, უცვალებლად, შეუცვალებლად*) ეკუთვნოდა მთის წმ. გიორგის მონასტერს დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის დროიდან თუ არა, უკვე 1465-1467 წწ-ში. სწორედ ამით უნდა აიხსნას, თუ რატომ გადმოასვენეს წმ. გიორგის ხატი სწორედ აგარაში და არა სხვა რომელიმე გეოგრაფიულ პუნქტში.

ამოიხსნა რა აგარის ხატის მთის წმ. გიორგის მონასტრიდან სწორედ აგარაში გადმოსვენების მიზეზი, საჭიროა დაისვას შეკითხვა: რატომ და როდის მოხდა ეს?

აგარაში, შემორჩენილი წყაროების მიხედვით, XVII ს-მდე ეკლესია არ ჩანს[4]. აგარის ეკლესია ძალიან დაზიანდა საბჭოთა პერიოდში. ამჟამად ტაძრის იერსახე ისეა აღდგენილი, რომ შეუძლებელია მის კონსტრუქციაში ძველი ფენების გამოვლენა.

აგარის ეკლესიაში, ჩრდილოეთ კედელზე შესრულებული იყო ტაძრის მაშენებელთა ფრესკები და საამშენებლო ფრესკული წარწერა (ტაძრის მოხატულობა ასევე საბჭოთა პერიოდში განადგურდა). ფრესკული წარწერის მიხედვით ტაძარი აუგია 1688 წელს დასავლეთ საქართველოს იმ დროისათვის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ფეოდალს — მერაბ წულუკიძეს [თაყაიშვილი, 2017: 293-4]. ამგვარად, წმ. გიორგის ხატი აგარაში ვერ მოხვდებოდა 1688 წლამდე. საინტერესოა, რომ იმავე ფრესკულ წარწერაში მერაბ წულუკიძე მიმართავს არა აგარის ხატს ან წმ. გიორგის, არამედ – ხოტევის მაცხოვარს. ამგვარად, აგარის ტაძრის აღმშენებელი ანგარიშვალდებულად თვლის თავს არა წმ. გიორგის წინაშე, არამედ ხოტევის მაცხოვრის წინაშე. წარწერაში მერაბ წულუკიძე ამბობს, რომ მანვე ტაძარი შეამკო ხატით, ჯვრითა და წიგნით. თუმცა, რთულია აქ მოხსენიებულ ხატში სწორედ წმ. გიორგის ის ხატი ვიგულისხმოთ, რომელიც აგარის ეკლესიის მთავარ სიწმინდედ ითველობდა. მერაბ წულუკიძე არც აგარის ხატის წარწერაში იხსენიება [თაყაიშვილი, 2017: 296-8]. სამაგიეროდ, აგარის წმ. გიორგის მერაბ წულუკიძე ახსენებს მის მიერ ამ ტაძრისათვის შეწირულ 2 ვერცხლის ფეშხუმზე, 1 ვერცხლის კოვზზე და 1 ვერცხლის კამარაზე შესრულებულ წარწერებში [თაყაიშვილი, 2017: 295-6]. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ წმ. გიორგის ეს ხატი აგარის ეკლესიაში მერაბის ცხოვრებაშივე მოხვდა და მთავარ ხატად იქნა დადგენილი.

ამგვარად, აღნიშნული მონაცემების მიხედვით მივიღეთ შემდეგი სურათი:

1688 წელს მერაბ წულუკიძემ აგარაში ააშენა ეკლესია და სხვადასხვა საეკლესიო ინვენტარით მოამარაგა. მანვე, 1688 წელსვე თუ არა, ახლო ხანებშივე მთის წმ. გიორგის მონასტრიდან, რომლის საკუთრებასაც წარმოადგენდა სოფ. აგარა, გადმოასვენა წმ. გიორგის ხატი და მის მიერ აშენებული აგარის ეკლესიის მთავარ სიწმინდედ დააბრძანა.

გავარკვიეთ რა აგარის წმ. გიორგის ხატის წინა ადგილსამყოფელის ეჭვმიუტანლობა და მისი აგარაში გადმოსვენების მიზეზი და დრო, საჭიროდ მიმაჩნია განვიხილოთ ამ ხატთან დაკავშირებული კიდევ ერთი ამბავი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ ა. ხელაიამ შემოგვინახა. ვგულისხმობ 80 წლის გიორგი მომცემლიძის გვარში არსებულ ზეპირ გადმოცემას, რომელიც ზემოთაა მოყვანილი. ბუნებრივია, 1902/3 წწ-ში ჩაწერილ ამ ზეპირ გადმოცემაში საუბარია დაახლ. 900 წლის წინ მომხდარ ამბავზე და ამ ამბის რეალურობა დიდი კითხვის ქვეშ დგას. მითუმეტეს, ჩემს ხელთ არსებული პარალელური საისტორიო მასალის მიხედვით, მსგავსი ამბავი სხვაგან არ დასტურდება. თუმცა, არის რამდენიმე მინიშნება, რაც შეიძლება მიუთითებდეს, რომ ამ ამბავში აგარის წმ. გიორგის ხატის სამეგრელოდან წარმომავლობის ეპიზოდი შეიძლება სრულიადაც რეალური ამბის დანალექი იყოს[5].

მერაბ წულუკიძემ აგარის წმ. გიორგისადმი შეწირულ ვერცხლის ფეშხუმს დაურთო ვრცელი მხედრული წარწერა, სადაც მის განვლილ გზას, ფეოდალურ დაპირისპირებებს, მიღწეულ წარმატებებსა და ზოგადად, თავის ბიოგრაფიას აღწერს. ჩვენთვის საინტერესოა ერთი ფრაგმენტი, რომლის მიხედვითაც მას ერთი ძმა ნიკორწმინდელად დაუსვამს, ხოლო მეორე ხობელად, მაშინ, როცა მისი ძალაუფლება სამეგრელოშიც ვრცელდებოდა. აქვე მერაბი წერს – *„წასუჯუნევს ხორგას სასახლე მისი შემავლის კაციანთა და ხონი კიდე სულათა...“* [თაყაიშვილი, 2017: 295-6]. როგორც ვნახეთ ამ წარწერაში იხსენიება ხორგას სასახლე. ამ პერიოდში ხორგაში იყო აფხაზეთის კათალიკოსის სასახლე [გაფრინდაშვილი, 2015: 134]. ამგვარად, აგარის წმ. გიორგის ხატთან მიმართებაში უკვე მეორედ დაფიქსირდა სამეგრელოს სოფ. ხორგა. რადგან აგარის ფეშხუმის წარწერაში იხსენიება სხვა გეოგრაფიული პუნქტებიც, რომლებზედაც მერაბ წულუკიძის ძალაუფლება ვრცელდებოდა, შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს უბრალოდ დამთხვევაა. თუმცა, ვფიქრობ, არსებობის უფლება აქვს შემდეგ ვარაუდს: ხომ არ უკავშირდება ა. ხელაიას მიერ ჩაწერილ ზეპირ გადმოცემაში აგარის წმ. გიორგის ხატის მეგრული, კონკრეტულად სოფ. ხორგადან წარმომავლობა მერაბ წულუკიძის პერიოდს? სამწუხაროდ, მე არ მაქვს შესაძლებლობა ეს ვარაუდი სხვა პარალელური წყაროებით განვამტკიცო და ამ საკითხს ღიად ვტოვებ. ჩემი აზრით, არაა გამორიცხული

მერაბ წულუკიძეს ჩვენთვის საინტერესო ხატი სწორედ სოფ. ხორგადან წამოესვენებინა რაჭისკენ მაშინ, როცა იგი სამეგრელოში დიდი გავლენით სარგებლობდა და ერთ-ერთი ძმა ხობელადაც დაედგინა (სხვათაშორის, მერაბ წულუკიძე ლევან II დადიანის აღზრდილი იყო, რასაც თვითონ არაერთხელ ახსენებს [თაყაიშვილი, 2017: 295]). წმ. გიორგის მთაზე, სადაც მთის წმ. გიორგის მონასტერი მდებარეობს, გადიოდა უძველესი გზა, რომელიც რაჭას და ზემო-იმერეთს (ოკრიბას) აკავშირებდა. თუ აგარის ხატის სამეგრელოდან წამოსვენებას მერაბ წულუკიძეს დავუკავშირებთ, არაა გამორიცხული მას ხატი ჯერ გზად მთის წმ. გიორგის მონასტერში დაესვენებინა, ხოლო შემდეგ, 1688 წლისთვის აგარაში გადმოესვენებინა, მის მიერ ახლად აშენებულ ტაძარში, ხოლო ეს ფაქტი შეცდომით, არასწორი ქრონოლოგიითა და პერსონალიით დაილექა ა. ხელაიას ჩაწერილ ზეპირ გადმოცემაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოფ. ხორგა უძველესი და უმნიშვნელოვანესი პუნქტია, სადაც დაფიქსირებულია ძველი კოლხური არქეოლოგიური ძეგლები. ხორგაშივე იყო აფხაზეთის კათალიკოსის სასახლე, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სოფ. ხორგაში ადრე მდგარა „მისაროსის“ წმ. გიორგის ეკლესია. ეს ეკლესია გაუნადგურებიათ საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში [ჩიტაია, 2017: 139]. თუ ცნობები აგარის წმ. გიორგის მეგრული წარმომავლობის შესახებ სიმართლეა და მთის წმ. გიორგის მონასტრამდე ის ხორგაში ესვენა, დიდი ალბათობით სწორედ ოდესღაც მდგარი „მისაროსის“ წმ. გიორგის ეკლესიის საკუთრება იქნებოდა.

არის კიდევ ერთი ცნობა, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს მთის წმ. გიორგის მონასტრისა და სამეგრელოს კავშირზე სწორედ აგარის წმ. გიორგის ხატის კონტექსტში.

1820-1824 წწ-ში ამიერკავკასიაში იმოგზაურა ეროვნებით ფრანგმა, მეფის კონსულმა თბილისში, შევალიე ჟან ფრანსუა გამბამ, რომელმაც მოგვიანებით ამ მოგზაურობის შესახებ ნაშრომიც გამოსცა. მისი ნაშრომის X თავში ერთი ეპიზოდი უკავშირდება 1823 წ-ს მისი ძმის რაჭაში მოგზაურობას. სწორედ ამ მონაკვეთში არის ჩვენთვის

განსაკუთრებით საინტერესო ცნობა: „*რაჭის ტყის შუაგულში არის ქვით ნაგები და ძალზე ძველი პატარა სამლოცველო. იგი ნაკურთხია წმინდა გრიგოლის (Grégoire) სახელზე და კოლხეთის ხალხები მას თაყვანისცემით ეკიდებიან. აქ დიდძალი ხალხი მოდის სალოცავად, ხშირად იმერეთისა და სამეგრელოს ყველაზე შორეული ადგილებიდანაც კი. მათ წესად აქვთ სამლოცველოსთან იმ პროდუქტების დატოვება, რომლის შეჭმასაც ვერ ახერხებენ. ლოცვების შემდეგ აქ ყოველთვის პურის ჭამა იმართება ხოლმე*“ [მგალობლიშვილი, 1987: 200]. თ. ბერაძემ ეს სალოცავი სწორედ მთის წმ. გიორგის მონასტერთან გააიგივა[6] [ბერაძე, 2004: 125].

ამგვარად, ჟან ფრანსუა გამბას ნაშრომის წყალობით ვიგებთ, რომ ჯერ კიდევ 1823 წელს მთის წმ. გიორგის მონასტერში დღესასწაულზე სალოცავად ამოდიოდნენ არა მხოლოდ იმერლები, არამედ – მეგრელებიც კი (!). ეს არის უნიკალური ცნობა, რაც გვაძლევს შესაძლებლობას საინტერესო პარალელები გავავლოთ აღნიშნულ ცნობასა და ზემოთ განხილულ საკითხებს შორის. ამ ცნობაში პირდაპირ ჩანს მეგრელების დამოკიდებულება, სამეგრელოდან შორს, რაჭის ქედზე მდებარე მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი, რისი მიზეზიც სწორედ ზემოთ განხილული, ა. ხელაიას ჩაწერილი ზეპირი გადმოცემის ის ეპიზოდი უნდა იყოს, რომელიც მოგვითხრობს (აგარის) წმ. გიორგის ხატის გადმოსვენების შესახებ სამეგრელოს სოფ. ხორგადან წმ. გიორგის მთაზე, მთის წმ. გიორგის მონასტერში.

ამგვარად, ზემოთ განხილული საისტორიო მასალის შედეგად, აგარის წმ. გიორგის ხატის ისტორიის სურათი შემდეგი სახით შეიძლება აღდგეს.

აგარის წმ. გიორგის ხატი, რომლის ძველი ფენა XI ს-ს უნდა ეკუთვნოდეს, თავდაპირველად სამეგრელოს სოფ. ხორგაში, წმ. გიორგის ეკლესიაში ესვენა.

მოგვიანებით ხატი, რაჭის ქედზე მდებარე მთის წმ. გიორგის მონასტერში გადმოუსვენებიათ. თუ როდის მოხდა კონკრეტულად ეს ფაქტი, უცნობია. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს მოხდა ან ბაგრატ III კურაპალატის ზეობის დროს, როგორც ეს ა. ხელაიას ჩაწერილ ზეპირ გადმოცემაშია ნათქვამი, ან მერაბ წულუკიძის დროს XVII ს-ის

მეორე ნახევარში. თუმცა, ცნობების სიმცირის გამო ეს საკითხი ღიად რჩება. ფაქტია, რომ 1823 წელსაც კი მეგრელები ინარჩუნებდნენ დღესასწაულზე იმ სალოცავის მოლოცვის ტრადიციას, სადაც ხორგადან გადასვენებული ხატმა დაიდო ბინა დაახლ. 1688 წლამდე (აგარაში გადმოსვენებამდე).

აგარამდე ეს ხატი რომ მთის წმ. გიორგის მონასტერში ინახებოდა, ფაქტია, რადგან ეს ცნობა, ადგილობრივი მოსახლეობისგან სამმა მეცნიერმა — ა. ფურცელაძემ, ა. ხელაიამ და ექ. თაყაიშვილმა, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, სხვადასხვა დროს ჩაიწერეს. გარდა ამისა, ამ ფაქტზე მეტყველებს უშუალოდ სოფ. აგარის ფაქტორი, რომელიც უძველესი დროიდანვე მთლიანად მთის წმ. გიორგის მონასტრის საკუთრება იყო.

1688 წელს მერაბ წულუკიძემ აგარაში ააგო მცირე ტაძარი, სადაც, 1688 წელსვე ან მის ახლო ხანებში, მთის წმ. გიორგის მონასტრიდან, გადმოასვენა წმ. გიორგის ხატი და ახლად აგებული ტაძრის მთავარ სიწმინდედ დააბრძანა. სწორედ ამ დროიდან ხდება აღნიშნული ხატის სახელდება, როგორც „აგარის წმ. გიორგი“.

იყო თუ არა წმ. გიორგის ეს ხატი მთის წმ. გიორგის მონასტრის მთავარი სიწმინდე, წმ. გიორგის ხატი, რომელსაც საისტორიო საბუთებში და სხვა წერილობით ძეგლებში „მთის მთავარ მოწამეს“ უწოდებდნენ, ზუსტად უცნობია. ჩემი აზრით, აგარის წმ. გიორგის ხატი არ უნდა გავაიგივოთ მთის წმ. გიორგის მთავარ სიწმინდესთან, „მთის მთავარ მოწამის“ ხატთან. რადგან: 1. მთის წმ. გიორგის მონასტერი 1688 წლის შემდეგაც მოქმედი ჩანს და იქ მხოლოდ XIX ს-ში წყდება მონაზვნური ცხოვრება [კაკაბაძე B, 1921: 107-109; ხელაია, 2011: 407]. რთული წარმოსადგენია, მოქმედი მთის წმ. გიორგის მონასტრიდან მთავარი ხატი მის კუთვნილ ერთ-ერთ სოფელში გადაესვენებინათ; 2. რთული წარმოსადგენია, ასევე, მონასტრიდან გადმოსვენებულ მნიშვნელობით უმთავრეს ხატს შეეცვალა სახელი და „მთის მთავარ მოწამის“ მაგივრად „აგარის წმ. გიორგი“ დარქმეოდა[7]. ამგვარად, ჩემი აზრით, აგარის წმ. გიორგის XI ს-ის ხატი იყო მთის წმ. გიორგის ერთ-ერთი მთავარი, თუმცა, არა უმთავრესი წმ. გიორგის ხატი. აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოთ ხსენებული მერაბ წულუკიძის (ვისი ინიციატივითაც

უნდა მომხდარიყო ხატის გადმოსვენება აგარაში) ძმა, სვიმონ ნიკორწმინდელი 1682-1685 წწ-ში მთის წმ. გიორგის მონასტერს აძლევს შეწირულობის საბუთს, რომელშიც არაერთხელ ახსენებს სწორედ ამ სალოცავის მთავარ სიწმინდეს — წმ. გიორგის ხატს [სეა 1448-1533; კაკაბაძე B, 1921: 81-82; გაფრინდაშვილი, 2015: 240]. რთული წარმოსადგენია, რამდენიმე წლის შემდეგ სწორედ ეს ხატი წამოესვენებინათ მოქმედი მთის წმ. გიორგის მონასტრიდან მერაბ წულუკიძეს და უშუალოდ ნიკორწმინდელ სვიმონს, რომლის ეპარქიაშიც შედიოდა ეს მონასტერი და რომელსაც ცოტა ხნით ადრე ასე წყალობდა.

საინტერესოა აგარის წმ. გიორგის ხატის თაყვანისცემის თავისებურება. როგორც ზემოთაც ვნახეთ, ადგილობრივი მოსახელობა გვალვის დროს ამ ხატს კვლავ მთის წმ. გიორგის მონასტერში მიასვენებდა და წვიმისათვის ლოცულობდა. არაა გამორიცხული კონკრეტულად ამ ხატის დატვირთვას და თაყვანისცემის ამ ტრადიციას უფრო ძველი ფესვები ჰქონდეს და მთის წმ. გიორგის მონასტერშიც და ხორგაში ყოფნის დროსაც მსგავსი წეს-ჩვეულება არსებულიყო.

ბოლოს კი ყურადღება მინდა გავამახვილო მთის წმ. გიორგის სალოცავის არქაულ დატვირთვაზე.

მთის წმ. გიორგის მონასტრის მთავარი დღესასწაული, მიუხედავად მონასტრის სახელობისა, მარიამობას (ღმრთისმშობლის მიძინების დღეს), 28 აგვისტოს (ძვ. სტილით 15 აგვისტოს) აღინიშნება. მინიშნებები იმის შესახებ, რომ ეს ტრადიცია ძველი დროიდანვე მომდინარეობს, გვხვდება მთის წმ. გიორგისადმი გაცემულ რამდენიმე საისტორიო საბუთში[8].

მთის წმ. გიორგის მონასტერი არაა გამონაკლისი. მარიამობას, როგორც წმ. გიორგის სალოცავის მთავარ დღესასწაულს, აღნიშნავენ ასევე კახეთის სოფ. აწყურის თეთრი გიორგის ეკლესიაში, ქართლის სოფ. არბოში, სამეგრელოს სოფ. ნაგვაზაოში, ლეჩხუმის სოფ. ლაჭეპიტაში და სხვ. ივ. ჯავახიშვილი ამ ტრადიციას უკავშირებდა უძველეს ქართულ წარმართულ პანთეონში არსებულ მთვარის კულტს, რომლის დღესასწაული –

მთვარის აღვსება – სწორედ ძვ. სტ. 15 აგვისტოს, ქრისტიანულ მარიამობას ემთხვეოდა [ჟღენტი, 2017: 275-278].

სხვადასხვა საისტორიო მასალის, თემატური ანალოგებისა და ფოლკლორულ-მითოლოგიური საკითხების განხილვის საფუძველზე ვვარაუდობ, რომ მთის წმ. გიორგის მონასტრის ადგილას წარმართობის დროს არსებობდა მთვარის ძლიერი სალოცავი, რომელიც რეგიონის გაქრისტიანებისას წმ. გიორგის სალოცავმა ჩაანაცვლა, ხოლო მთვარის მთავარი დღესასწაული – ძვ. სტილით 15 აგვისტო – მარიამობის სახით შეუნარჩუნეს სალოცავს, როგორც მთავარი დღეობა. არაა გამორიცხული მეგრელების მხრივ მთის წმ. გიორგის მონასტერში, მის მთავარ დღესასწაულზე — მარიამობას პილიგრიმობის ტრადიცია სწორედ წინარექრისტიანულ პერიოდს უკავშირდებოდეს, რომელიც მოგვიანებით, ქრისტიანულ პერიოდშიც გაგრძელდა და 1823 წელსაც. ამ ვარაუდს კიდევ უფრო ამყარებს ზემოთ უკვე განხილული საკითხი აგარის წმ. გიორგის ხატის უძველესი ადგილსამყოფელის შესახებ, რომელიც სწორედ სამეგრელოს სოფ. ხორგას „მისარონის“ წმ. გიორგის ეკლესია უნდა ყოფილიყო. მთის წმ. გიორგის სალოცავის მსგავსად, „მისარონის“ წმ. გიორგის სალოცავსაც წარმართული ფესვები უნდა ჰქონდეს, რომელიც წარმართულ „ჯეგე-მისარონის“ კულტს უკავშირდება. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ „ჯეგე-მისარონის“ კულტი სწორედ წმ. გიორგიმ ჩაანაცვლა.

---

[1] ხატის ტექნიკური აღწერილობა: სახეობა – ჭედური; მასალა – ხე, მოოქროვილი ვერცხლი, ამალგამა; ზომები: 126,5X75,5. ხატს არშიაზე ჰქონია 14 ამობერვით ნაჭედი წმინდანების პატარა ხატები, რომელთაგანაც შემორჩა მხოლოდ 8 — მარჯვენა მხარეს ღმრთისმშობლის, იოანე მახარებლის და კიდევ ორი წმიდანის ხატი. მარცხენა მხარეს — წმ. ნიკოლოზი, იოანე ნათლისმცემელი, მარკოზ მახარებელი და ერთიც გაურჩეველი. ხატი შემკული იყო 55 თვლით, შერჩენილია მხოლოდ 9. წმ. გიორგი მდგომარეა, მარჯვენა ხელში ხმალი უჭირავს, მარცხენა ხელით ქარქაში უჭირავს, ხოლო ფარი მარცხენა ფეხის უკან აქვს მიყუდებული. ხატის თავდაპირველ ფენას ე.

თაყაიშვილი XI ს-ით ათარიღებს. მოგვიანებით ხატი განუახლებიათ. სავარაუდოდ, ამ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს წმ. გიორგის მარჯვენა ფეხის ქვეშ შემორჩენილი XVI-XVIII სს. 5 სტრიქონიანი მთავრული წარწერა: „წ(მიდა)ო გ(იორგ)ი შეიწყ(ა)ლე ევნ|[2]უქიძე მოძღვ(ა)რი ს(ა)ბა, |[3] მისი შვილი ზოსიმე, გა|[4]ვ(ა)შელ. წ(მიდა)ო გ(იორგ)ი უშველე მ|[4]ამუას, დავითსა.“ ხატს აქვს კიდევ თავდაპირველი მოჭედილობის თანადროული ,არშიების წმიდანთა ხატების განმარტებითი მთავრული წარწერები. ასევე წმ. გიორგის მთავარი ფიგურის განმარტებითი მთავრული წარწერა. ხატის მარჯვენა ქვედა კუთხესთან, ერთ-ერთი რესტავრაციის დროს ჩასმულია წარწერის ფრაგმენტი, სადაც იკითხება დაქარაგმებული სახელი „გ(იორგ)ი“.

[2] სოფელი დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ხობის მუნიციპალიტეტში, ახალსოფლის თემში. მდებარეობს ოდიშის დაბლობზე, მდინარე ხობის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 10 მეტრზე. ხობიდან დაშორებულია 28 კილომეტრით. სენაკიდან 19 კმ-ით.

[3] თუმცა, ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან გ. ბოჭორიძეს, მის წინამორბედებისგან განსხვავებით, გაცილებით უფრო რთულ ვითარებაში — ანტირელიგიური მოძრაობის დროს მოუწია აგარაში ჩასვლა და ხატის მონახულება. მის ნაშრომში მოცემულია მხოლოდ ხატის აღწერილობა და არც ჩანს, რომ მას ადგილობრივი მოსახლეობისგან ცნობების შეგროვების ფუფუნება ჰქონოდა. მეტიც, გ. ბოჭორიძეს, ანტირელიგიურ მოძრაობაში ჩართული ფანატიკოსებისგან დასაცავად, აგარის წმ. გიორგის შელახული ხატი ჩამოუტანია და გადაუცია ქუთაისის მუზეუმისთვის 1926 წ-ს [ქიემ 3160/გ. 577 ექსპონატის პასპორტი]. ფრაგმენტებად დაშლილი ხატი დღეისათვის აღდგენილია სწორედ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომლების ძალისხმევით.

[4] 1465-1467 წწ-ის საბუთშიც ჩამოთვლილია რა მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი შეწირული სოფლები და დაკონკრეტებულია კონკრეტული შეწირული სოფლის კონკრეტული ადგილები (წისქვილი, ჭალა, სათიბი, საყანე და სხვ.), აგარის შემთხვევაში

არ იხსენიება ეკლესია, მაშინ, როცა მომდევნო შეწირული სოფლის — შაორის შემთხვევაში, ბაგრატის მიერ აღდგენილი და დასახლებული შაორი მთლიანად, მათ შორის ეკლესიითაც შეწირულია მონასტრისათვის (*„...ასრე მკუიდრად და უსარჩლავად დაგუიმტკიცებია [შაორს მსხდომნი] კაცნი სა[მნი]: სულაძე, გუენცაძე და ფაქიოტიძენი – ყუელანი მ[ა]თითა მზღურითა სამართლიანითა, საჭლ-კარითა, **ეკლესიითა**, სასაფლაოთა, წისქუილითა, ჭალითა, სა[თ]იბითა, ტყითა და ველი[თა], მზღურითა სამართლიანითა ყოველთა“* [ჟღენტი, 2011: 205]).

[5] აღსანიშნავია, რომ 1660 წ-ს იმერეთში გამეფდა ოდიშის მთავარი ვამეყ დადიანი [რეხვიაშვილი, 1989: 112-113]. მომდევნო წელს, მარიამობა დღეს, რა დღესაც აღინიშნებოდა მთის წმ. გიორგის მონასტრის მთავარი დღესასწაული (ამაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბრებ), ვამეყი ასულა მთის წმ. გიორგის მონასტერში ხატის თაყვანისსაცემლად [სეა 1448-2148; კაკაბაძე A, 1921: 64-65].

[6] არ უნდა დაგვაბნიოს იმ ფაქტმა, რომ გამბა ეკლესიის სახელობას წმინდა გრიგოლს უკავშირებს. როგორც ჩანს, გამბას, ან მის ძმას, სავარაუდოდ, მსგავსი ჟღერადობის გამო, აერია წმ. გიორგი და წმ. გრიგოლი. ამგვარად, გამბას ანგარიშში ეკლესიის სახელობაში შეცდომა უნდა იყოს გაპარული, რადგან: 1. რაჭაში უცნობია წმ. გრიგოლის სახელობის რაიმე სალოცავი; 2. გელათის ცნობილი წმ. გიორგის ეკლესიის აღწერისას, გამბა შეცდომით აქაც წმ. გრიგოლის (Grégoire) სახელს უკავშირებდა ტაძრის სახელობას [მგალობლიშვილი, 1987: 186].

[7] შედარებისთვის – არც ხახულის ხატს და არც ანჩის ხატს, ადგილმდებარეობის შეცვლის გამო, არ შეუცვლიათ სახელწოდებები.

[8] 1661 წლის შეწირულობის საბუთში ვამეყ დადიანი ამბობს, რომ იმერეთის *„მეფედ დავჯედით და **მარიამობას დღეს** შენდა თაყუანისსაცემლად მოვედით...“* [სეა 1448-2148; კაკაბაძე A, 1921: 64-65]; 1682-1685 წლებში სვიმონ ნიკორმწინდელმა, შეწირულობის სანაცვლოდ **მარიამობის** წინა დღეს ჟამის წირვა დაუდგინა ბერებს [სეა 1448-1533; კაკაბაძე A, 1921: 81-82]; 1795 წელს მარიამ დედოფალმა შეწირულობის საბუთის

განახლების სანაცვლოდ **მარიამობა** დღეს ჟამის წირვა დაუდგინა მონასტრის დეკანოზს, მღვდელს და მთავარდიაკონს [კაკაბაძე B, 1921: 34-35].

ლიტერატურა:

1. მგალობლიშვილი მ., ჟან ფრანსუა გამბა. მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში, კერძოდ, ამიერკავკასიაში, რომელიც განახორციელა 1820-1824 წლებში შევალიე გამბამ, მეფის კონსულმა თბილისში. ტომი პირველი. ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა.-თბილისი,1987
2. რეხვიაშვილი მ.იმერეთის სამეფო (1462-1810 წწ.).-თბილისი,1989
3. ბერაძე თ. რაჭა.-თბილისი,2004
4. ბოჭორიძე გ.იმერეთის ისტორიული ძეგლები.-თბილისი,1995
5. დვალი მ. ლეკნარის წმ. გიორგის ეკლესია. ჟურნ.: „მაცნე“, №4.-თბილისი, 1968
6. გაფრინდაშვილი ბ. რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) 1529-1820 წწ.-თბილისი,2015
7. კაკაბაძე ს.დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები: I, II: A, B.-ტფილისი,1921
8. ჟღენტი ნ. მთის წმ. გიორგის საბუთი 1465-1467 წლებისა (დადგენილი ტექსტი და კლასიფიკაცია). ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IV.-თბილისი,2011
9. ჟღენტი ნ. მარიამობა, როგორც მთის წმ. გიორგის მონასტრის მთავარი დღეობა. ახალგაზრდა მეცნიერთა I საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. თეზისები.-თბილისი, 2017
10. ბოჭორიძე გ.რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები.-თბილისი,1994
11. თაყაიშვილი ე. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში 1919 და 1920 წწ.-2017
12. ქუთათელაძე ა.სოფელი ლიკორწმინდა. წარწერანი. ჟურნ.: მოამბე. VII.-ტფილისი,1894
13. შოშიაშვილი ნ.ქართული ისტორიული საბუთები კორპუსი. ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს.-თბილისი,1987
14. ჩიტაია გ. ხობის სიძველენი. ხობის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები.-თბილისი-ხობი,2017
15. ხელაია ა.მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში. მწიგნობრობა ქართული. სასულიერო მწერლობა. წიგნი I.-თბილისი,2011

ნინო მგალობლიშვილი

ტანსაცმლის სტილის და მოხმარების ხასიათში გენდერული ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში

I. შესავალი

ქართული მოდის ისტორია უკავშირდება დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიას. XX საუკუნის 90–იანი წლებიდან მოდური პროცესების რთული ბუნება ისახება და ვითარდება ქართულ პოსტსაბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაშიც. საბჭოთა წყობიდან თანამედროვეზე გადასვლისას იცვლება მოდური ნიშანი და მასში ჩადებული სოციალ-კულტურული მნიშვნელობები. მიმდინარეობს ტანსაცმლის სტილების სულ უფრო მზარდი დიფერენცირება. მოდურია არა სტილი, არამედ – სახე, ინდივიდუალობა. ანუ, მოდა, ერთი მხრივ, ვითარდება საკუთარი კანონებით, მეორე მხრივ კი, ითვისებს და ასახავს თანამედროვე სოციალურ-კულტურულ დინამიკას. ფაქტია, რომ ცვლილებათა ტრანსლირება აღიბეჭდება მოდის სისტემაშიც [Barthes, 1983]. ზოგადად, აღიარებულია, რომ, ვიზუალური წარდგენა მოდაში არის საზოგადოების საერთო მდგომარეობის თავისებური ,,კამერტონი'' და ქმნის სტერეოტიპების და ფასეულობათა ორიენტაციების გარკვეულ სისტემას.

საქართველომ აირჩია ახალი გზა და ამდენად, იგი გახდა გლობალიზაციისა და ვესტერნიზაციის პროცესების ღია ასპარეზი. ამასთანავე, შერბილდა კონსერვატული მითითებები ბევრ სფეროში. ასე, მაგალითად, პოსტსაბჭოთა საქართველოში დაიწყო საჯარო დისკუსია გენდერის პრობლემებზე კულტურასა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ალბათ, არ ვიქნებით ორიგინალური, თუ ვიტყვით, რომ, ქართული საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება გენდერული საკითხისადმი წარმოადგენს ტრადიციული და

მოდერნისტული შეხედულებების ამორფულ შენაერთს. ახალგაზრდებში ამ ვექტორების სხვადასხვა მიმართულება უფრო აშკარაა, ხოლო მათი შეფარდების პრობლემა – უფრო რთული. ერთი მხრივ, საზოგადოებრივი აზრი, პოპულარული ჟურნალები და ინტერნეტფორუმები ადასტურებენ, რომ დღევანდელი თაობა წინამორბედებისაგან განსახვავებით აღიქვამს გენდერულ თემატიკას, როგორც უფრო ჩვეულს. მაგალითად, ქართველი მკვლევრები აღნიშნავენ, *„გენდერული თანასწორობისა და უმცირესობისადმი ტოლერანტობის ზრდას“*. [სუმბაძე, 2012:52]. მეორე მხრივ, ახალგაზრდები იზიარებენ ტრადიციულ შეხედულებებს ბევრად უფრო დარწმუნებით, ვიდრე – მათი წინამორბედები, რომლებსაც ჯერ არ დავიწყებიათ გვიანი საბჭოთა ეგალიტარიზმის ენა [სუმბაძე, 2012:41]. ამაში თავისებურად გამოიხატება თანამედროვე ეპოქის ხასიათი გენდერული წარმოდგენების წინააღმდეგობრიობით, მრწამსისა და კულტურული ნორმების კონფლიქტებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს გენდერული საკითხების კვლევა. წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებთ მის მხოლოდ ერთ ასპექტზე, კერძოდ, საქართველოში მამაკაცისა და ქალის ტანსაცმლის მომხმარებლობის საკითხზე „გენდერის“ კატეგორიის თვალთახედვით.

თამაში გენდერული სტერეოტიპებით, „მამაკაცურ-ქალური“ დიქოტომიის შერყევა და საერთოდ ყოველგვარი გენდერული ამბივალენტობა, ბუნებრივია, აისახა კულტურის ისეთ რელევანტურ სფეროში, როგორიცაა მოდა. სრულიად აშკარაა, რომ თანამედროვე ქართული საზოგადოება თავისი რღვევითა და გარდაქმნებით, მოდური ამბიციებით არ დარჩა მოდის ლიბერალიზაციის ტენდენციის მიღმა. ამ შემთხვევაში იგი ასახვას პოულობს ტანსაცმლის მოხმარების გენდერულ ტრანსფორმაციაზე სტილსა და ხასიათში. ეს პროცესი ხორციელდება გარეგანი ნიშნების და მაჩვენებლების (კორელატების) დახმარებით. ესენია – ტანსაცმელი, ვარცხნილობა, სამკაულები, განსაკუთრებული ქცევა. მომწიფდა მოდის პრაქტიკების დეტალური განხილვისა და გააზრების ობიექტური აუცილებლობა ვიზუალური გარდატეხის დისკურსში. მეტადრე, ამ პრობლემის გადაჭრაზე დამოკიდებულია ადამიანის თვითიდენტიფიკაცია [Giddens, 1991:264]. უდავოა, რომ იდენტობა საკმაოდ კომპლექსური ფენომენია და

სოციალურ-კულტურული რეალობის მხოლოდ ერთი ასპექტი (ამ შემთხვევაში – ტანსაცმლის მომხმარებლობა) ვერ უზრუნველყოფს მის კონსტრუირებას. მაგრამ, როგორც ვიცით, იდენტობა გახსნილია კოდებისათვის, ხოლო ამ კოდების ნაკრებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მოდასაც. არაერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ადამიანის ინდივიდუალობას ბევრად განისაზღვრავს მისი ჩაცმულობა [Фукс1, 994:176] და დღეს მოდა არის პიროვნების ინდივიდუალიზაციის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა. ამიტომ, გენდერული თემატიკის გაჩენა მოდის თეორიაში შეიძლება ჩაითვალოს პერსპექტიულ მიმართულებად. მით უმეტეს, სწორედ გენდერული ასპექტია მნიშვნელოვანი კოსტიუმების აზრობრივი დატვირთვისთვის და ფორმის მოდიფიკაციის ისტორიაში [Laver, 1995:323]. წარმოდგენილი ნაშრომის მნიშვნელობა განპირობებულია იმითაც, რომ ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მოდა, როგორც რთული მრავალასპექტიანი მოვლენა, დღემდე არ არის თეორიულად შესწავლილი. დღეისათვის საქართველოში არ არსებობს ამ საკითხების ამსახველი ინფორმაციული ბაზაც. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ კავშირი მოდასა (როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალურ-კულტურული სფეროს) და კულტურის გენდერულ ტრანსფორმაციებს შორის, ფაქტობრივად, ჯერ კიდევ არ არის მეცნიერულად შესწავლილი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ –დასავლეთშიც.

II. მეთოდები

საერთაშორისო მეცნიერულ-კვლევით სივრცეში ტანსაცმლის მოდის ფენომენზე საკმაოდ ბევრი გამოკვლევა არსებობს. მიუხედავად ამისა, არ არსებობს ერთიანი კონცეპტუალური აღქმა. გარდა ამისა, არ არის საყოველთაოდ მიღებული მეთოდოლოგია და ძირითადი მიდგომები პრობლემის გამოსაკვლევად. მეცნიერების განვითარება კი მოითხოვს ახალი მიდგომის ძიებას. ეს გარემოება გვათავისუფლებს შებოჭილი მეთოდოლოგიური პირობებისაგან და გვაძლევს შესაძლებლობას, განვსაზღვროთ პრობლემის ლოგიკური გააზრების საკუთარი გზა, რომელიც ესადაგება კვლევის საგნისა და დასმული ამოცანის სირთულეს და მრავალმხრივობას. ვამახვილებთ რა ყურადღებას პოსტსაბჭოთა საქართველოში ტანსაცმლის

მომხმარებლობაზე გენდერული იდენტურობის ვიზუალური რეპრეზენტაციის თვალსაზრისით, ვიზიარებთ სემიოლოგების იდეებს [Barthes, 1983] და განვიხილავთ ტანსაცმელს როგორც მრავალნიშნა ფენომენსა და ნიშნების სისტემას. ჯენიფერ დიკინსონის (Jennifer Dickinson) ,,სემიოტიკური ტვირთის (“Semiotic baggage”) კონცეფციამ საშუალება მოგვცა, დავაკვირდეთ პოსტსაბჭოთა მოდური ნიშნის ცვლილებებს და ამ ნიშნებში ჩადებულ მნიშვნელობებს საბჭოთა საზოგადოებიდან თანამედროვე საზოგადოებისაკენ გადასვლის პროცესში [Dickinson, 2005:291-301]. ჩვენი ნაშრომის პრიორიტეტული მეთოდებია სოციალურ-კულტურული და გენდერული მიდგომები. სოციალურ-კულტურული მიდგომით, მოდა ვითარდება საზოგადოების სოციალურ-კულტურული დინამიკისა და საკუთარი იმანენტური ფაქტორების გავლენით. ამ გაგებით ტანსაცმელი წარმოადგენს კულტურის დინამიკურობის ემპირიულ ბაზას და მგრძნობიარე ინდიკატორს, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა „ეპოქის ადამიანის“ ვიზუალური სახის კონსტრუირება. კვლევის გენდერულმა მიდგომამ კი საშუალება მოგვცა, ყურადღება გავამახვილოთ პოსტსაბჭოთა საქართველოში ტანსაცმლის მასობრივი მოხმარების გენდერულ ასპექტებზე. შევნიშნავთ, რომ თანამედროვე გენდეროლოგიური კონცეფციები უშუალოდ არ ეხება კოსტიუმის პრობლემატიკას, მაგრამ თავისი სტრატეგიით საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ტანსაცმლის თემის ლეგიტიმაცია გენდეროლოგიური ცოდნის სისტემაში [Corrigan,1997; Lurie,1983; Rubinstein,1995 და სხვ.]. ტანსაცმლის მოხმარების სტილისა და პრაქტიკის ანალიზისათვის გამოვიყენეთ თბილისის ქუჩებში *დაკვირვების* მეთოდი [Жоль, 2004]. მოდური პრაქტიკის დაკვირვების ობიექტს წარმოადგენდნენ ცალკეული პირები, ადამიანთა ჯგუფები (მათ შორის მეგობრების, ნათესავების, და სხვ. ფოტოები), ასევე – სოციალური ქსელები, ბლოგები, პირადი დაკვირვებები. მონაცემების შეგროვების ვიზუალური პროცედურა ორგანიზებული იყო ჩვენ მიერ ისე, რომ წარმოგვედგინა, ერთი მხრივ, ტანსაცმლის სტილების ვარიაციების მაქსიმალურად შესაძლებელი რაოდენობა და, მეორე მხრივ, თბილისის ქუჩებში ტანსაცმელის ყველაზე ტიპური სტილები, რაც ვფიქრობთ, სრულიად საკმარისია ჩვენი კვლევისთვის, რომელიც არ ითვალისწინებს სამოსის

რაციონალური ელემენტების (კონსტრუქციების, მოდელირების ტექნოლოგიის, მასალებისა და აქსესუარების დამზადების) შესწავლას.

III. ძირითადი ნაწილი – გენდერული ნეიტრალობის დისკურსი ქართულ მოდაში

„უნისექსი“. ეჭვგარეშეა, რომ შემცირდა ტანსაცმელში სტანდარტები, პირობითობა და ტანსაცმლის მოხმარებაში ვითარდება გენდერული დიფერენცირების ნიველირება და გენდერული ნეიტრალობის ტენდენცია. ტანსაცმლის მოხმარების გენდერული საზღვრების შეცვლის ყველაზე ნათელ ნიშანს წარმოადგენს აკრძალვებისა და ბრძანებითი კილოს არარსებობა, რომელთა დარღვევა იგმობოდა ყველა დონეზე, რელიგიური მცნებებიდან დაწყებული –საყოფაცხოვრებო დონით დამთავრებული. ზოგად და გავრცელებულ მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ როგორც მსოფლიო კულტურების უმრავლესობაში, ასევე საქართველოში საპირისპირო სქესის ტანსაცმლის ტარების აკრძალვა. მაგრამ ამ აკრძალვას, თავის მხრივ, აქტიურად უპირისპირდებიან ფემინისტური მოძრაობის წარმომადგენლები. ისინი თვლიან, რომ ტანსაცმლის *„სქესობრივი დიმორფიზმი” (Sexual dimorphism) იყო და დღემდე რჩება იმ შეზღუდვების ნაწილად, რომლებიც აკანონებენ და იცავენ გენდერულ უთანასწორობას*“ [Клецина, 2004: 256].

დღეს, ახლო წარსულიდან შედარებით, ქართული ქუჩის მოდა, შეიძლება ითქვას, ხდება უნივერსალური – მამაკაცისა და ქალის ტანსაცმლის სილუეტები სულ უფრო ქმნიან რაღაც საერთოს. დამკვიდრებული სტილების პარალელურად, ტანსაცმლის მოხმარებაში მიმდინარეობს ტანსაცმლის გენდერული დიფერენციაციის ნიველირება, გენდერული ნეიტრალობის (სტილი „უნისექსი“ (“Unisex”) განმტკიცება (სტილი „უნისექსი“ ტანსაცმლში არ გამოხატავს სქესობრივ კუთვნილებას და შეიცავს მამაკაცისა და ქალის გარდერობის ერთობლივ ელემენტებს). თბილისის ქუჩებში მოსიარულე ადამიანების უმრავლესობისათვის ეს სტილი არ არის დამახასიათებელი, მაგრამ შეიმჩნევა მიმდევრების მზარდი დინამიკა. გოგონები და ვაჟები ატარებენ ერთნაირ ჯინსებს, მსგავს ქურთუკებს, ფეხსაცმელს, აქსესუარებს. შარვალი პერანგთან, ბლუზასთან ან მაისურთან – ადამიანთა ყოველდღიური ტანსაცმელია მათი სქესის

მიუხედავად. ტანსაცმლის უნიფიცირება, ანუ, ერთი სქესის წარმომადგენელთა მიერ იმ ტანსაცმლის „მიზომვა“, რომელიც ადრე წარმოადგენდა მეორე სქესის აუცილებელ კუთვნილებას, „მამაკაცური“ ქსოვილებისა და ფერების საყოველთაო გავრცელება ქალთა ტანსაცმელში, აგრეთვე „ქალური“ მკვეთრი ორნამენტებისა და ფერთა გამების ჯერ კიდევ გაუბედავი გამოყენება მამაკაცის ტანსაცმელში – განსაკურებით ახალგაზრდულ ტანსაცმელს ახასიათებს.

ქალთა ტანსაცმელში „მასკულინური“ სტილის დამკვიდრება. ამახვილებენ რა ყურადღებას ქალის როლის ცვლილებაზე სოციალურ-ისტორიულ პროცესში, მეცნიერები აღნიშნავენ, რომ დღეს ეს „ყველაზე აქტიური კატეგორიაა, რომელიც განიცდის მოდური ტენდენციების გავლენას“ [Гофман, 2010:228]. საინტერესოა, დავაკვირდეთ, თუ როგორ აისახა ქალთა ემანსიპაციისათვის ბრძოლა ევროპული მოდის ევოლუციაში. მაგალითად, მრავალი საუკუნის განმავლობაში მაღალი სოციალური ფენის ქალბატონები ასრულებდნენ „მოსიარულე ვიტრინების“ ფუნქციას [Тард, 2011]. XX საუკუნის დასაწყისში კი ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალურ სფეროში. 20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მათი ყურადღება კონცენტრირდება სოციალური თანასწორობის პრობლემებზე (საოჯახო მოვალეობების განაწილება, განათლება, სამუშაო ადგილებზე ხელმისაწვდომობა, შრომის ანაზღაურება და სხვ.). ქალები ჩაერთნენ მამაკაცებთან ერთად სოციალური საქმიანობის ყველა სფეროში. არსებულ სოციალურ-კულტურულ ფონზე ქალის ტანსაცმლის მოდაში დიდი ცვლილებები მოხდა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია XX საუკუნის დასაწყისში კორსეტებზე უარის თქმა და მამაკაცის გარდერობიდან საგნების აქტიური სესხება, აგრეთვე, ფუნქციური და საქმიანი სტილის დამკვიდრება (XX საუკუნის 20-იანი წლები –„a la garson“ (გოგონა-ბიჭი). გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს იყო ქალების მხრიდან მამაკაცებთან გათანასწორების მიზნით სიმბოლური საპროტექსტო აქცია (კოსტიუმისა და მოდის თვალსაზრისით).

მამაკაცის სტილის ქალის ტანსაცმელში დამკვიდრება განთქმულ კოკო შანელს ("Coco" Chanel. Gabrielle Bonheur Chanel, 1883-1971) ეკუთვნის. შემდგომში ქალის შარვლის

პოპულარიზაციას ხელი შეუწყო კინემატოგრაფმა – მარლენ დიტრიხისა და ამერიკელი მსახიობის კეტრინ ჰეპბერნის (Katharine Hepburn, 1907-2003) ჩაცმის სტილმა. კეტრინ ჰეპბერნი საზოგადოებას აღიზიანებდა შლაქსებით (მკვრივი ბამბის ქსოვილის თავისუფალი თარგის შარვალი). მისი სიტყვებით, შარვალში იგი თბილად და მოხერხებულად გრძნობდა თავს. შარვლიან გოგონებს არ უშვებდნენ ამერიკულ უნივერსიტეტებში 1950-იან წლებშიც კი. მარლენ დიტრიხის (Marie Magdalene "Marlene" *Dietrich,* 1901-1992) საყვარელ ტანსაცმელს წარმოადგენდა მამაკაცური კოსტიუმი ჰალსტუხითა და ქუდით. საინტერესოა, რომ პარიზიდან დაბრუნების შემდეგ საზოგადოებაში კოსტიუმით ჩნდებოდა ცნობილი ქართველი მხატვარი ელენე ახვლედიანიც (1898-1975).

გენდერული სხვაობის რღვევის ტენდენციით ხასიათდება ქართული მოდაც. ისტორიულად სულ მცირე პერიოდში ქართველმა ქალებმა მამაკაცის ტანსაცმლის პრაქტიკულად ყველა ელემენტი აითვისეს. მამაკაცის და ქალის მოდის დაახლოების ყველაზე მკაფიო მაგალითია ქალების მიერ შარვლის ტარება. მაგალითად, 1956 წელს საქართველოს კინოსტუდიამ გამოუშვა ფილმი ,,აბეზარა", სადაც ლეილა აბაშიძეს ეცვა მამაკაცის სამუშაო კომბინეზონი. უკვე 60-იანი წლების ბოლოსთვის თბილისის ქუჩებში გამოჩნდნენ ცალკეული ,,გულადი" ქალები შარვლებში. ისინი გამვლელების უკმაყოფილებას იწვევდნენ. 70-იანი წლების დასაწყისში საზოგადოებაში პოპულარობით სარგებლობდა ქართული კინოფილმები ,,ორერა – სრული სვლით" (1970) და ,,მხიარული რომანი" (1972), რომლებშიც მომღერალი ნანი ბრეგვაძე გამოჩნდა შარვალით, ხოლო მსახიობი ხათუნა კოტრიკაძე, საერთოდ, შარვალ-კოსტიუმში. ამ დროის ქართულ საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში კონტროლდებოდა შარვლის ტარება. XXI საუკუნეში, როდესაც გენდერულმა თანასწორობამ სამუშაოსა და ყოფაში (თუმცა, საქართველოში ჯერ კიდევ არა საბოლოოდ) პირველ ადგილზე დააყენა ტანსაცმლის ფუნქციურობა და მოხერხებულება, ქალის ჩაცმულობამ უფრო მკვეთრი ფორმები მიიღო. ტიპური მამაკაცის ტანსაცმელი თითქმის მთლიანად გადავიდა ქალის გარდერობში და უნივესალურიც გახდა. ამრიგად, მიუხედავად კონსერვატორთა

პროტესტისა, თანამედროვე ქალის გარდერობი უფრო თამამი და თავისუფალი გახდა და მზადაა ახალ-ახალი ექსპერიმენტებისთვისაც.

„მშვენიერი სქესის“ მოდელი ქალთა ტანსაცმლის სტილში. საგულისხმოა, რომ მოდის თეორეტიკოსები განიხილავენ ზემოაღნიშნული ტენდენციების ჩამოყალიბებას „მშვენიერი სქესის“ კონსტრუირებისა და „ქალის ტანსაცმლის“ ეროტიზაციის [Bovone, 2006:370-382] წინააღმდეგ მოძრაობის კონტექსტში. ეს ბრძოლა ატარებს ქალთა და მამაკაცთა სოციალური თანასწორობისათვის ბრძოლის ხასიათს. მაგ., 1990-იანების შუა წლებისთვის, ფემინისტ ქალთა გარკვეული ნაწილის მხრიდან გაისმა მოწოდება: „ჩვენი ძალა – ჩვენს სილამაზეშია“. ეს მიდგომა, ფაქტობრივად, ნიშნავდა ტანსაცმლის მამაკაცისა და ქალის სუბკულტურების ტრადიციული დაყოფის ნორმებთან დაბრუნებას. „მშვენიერი სქესის“ მოდელი, როგორც ცივილიზებული სამყაროს ნებისმიერ საზოგადოებაში, საქართველოშიც ჩამოყალიბდა. ქართველი ქალების ამ სტილს, ძირითადად, საფუძვლად უდევს ტრადიციული წარმოდგენა ქალურობაზე ტანსაცმელში და იგი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოვლენაა საქართველოში (თუ, მაგალითად, ამერიკელი ქალები დღის განმავლობაში არ იცვამენ ქუსლიან ფეხსაცმელს და არ ხარჯავენ დროს მაკიაჟზე, ქართველი გოგონების უმრავლესობა ასე არ იქცევა). ეს მოდელი სხვადასხვა ბერკეტის მეშვეობით აიძულებს ქალებს, მოიპოვონ მამაკაცთა ინტერესი, გარშემომყოფთა მოწონება. ამიტომ ქალების უმრავლესობა აყალიბებს საკუთარ სოციალურ იდენტობას სილამაზის სიმბოლოების დახმარებით. ამას აღწევენ, უპირველეს ყოვლისა, მიზანმიმართული მომხმარებლობის მეშვეობით – ბუნებრივი მონაცემების კორექტირება მოცემულ საზოგადოებაში მიღებული სილამაზის მოდელის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, „მშვენიერი სქესის“ მოდელი, თავის მხრივ, ასრულებს აგრეთვე მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფუნქციას. წარმოება, ვაჭრობა, თანამედროვე სამყაროს მთელი რიგი დარგებისა ემყარება ამ მოდელს. ეს ნიშანდობრივია დასავლური კულტურის მთელი ისტორიისათვის და სრულიად ახასიათებს დღევანდელ ქართულ სიტუაციას, როცა მამაკაცები ხდებიან საკვანძო რეფერენტული ჯგუფები ქალების მომხმარებლობის სისტემაში. საინტერესოა ამ ასპექტში ქართველი მსახიობის ია ფარულავასა და ნინო წკრიალაშვილის

ტელეგადაცემათა სერია „რეალიტი შოუს“ ელემენტებით, რომლებიც ეძღვნება „ქართველი უსახოებისა“ და „კონკიების“ გარდაქმნას „ნამდვილ ქალებად“. ყველა გადაცემა გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა ჩაიცვას ქალმა, რომ მამაკაცის მოწონება და ყურადღება დაიმსახუროს. ასეთ ჩაცმულობაში ყურადღება ექცევა ქალურ სტილს, ფერებით გაჯერებულ მოდურ, დეკორატიულ და საზეიმო ტანსაცმელს. ქალის სახე, რომელსაც იძენდნენ გადაცემის მონაწილეები, ხდება თანამედროვე, ნათელი, ქალური და მკვეთრად განსხვავდება გადაცემაში მოსულ „ქართველი თაგუნიების“ უნიფორმისაგან.

საუკუნეთა განმავლობაში დამოკიდებულება ქალთა სამოსის მიმართ განსაკუთრებული იყო: იცვლებოდა ფასონი, სტილი, სილამაზის იდეალები. გარკვეულ პერიოდებში არსებობდა მკაცრი მოთხოვნები ქალის გარეგნობის მიმართ, რომლებიც ყველა საკუთარი თავის პატივისმცემელ მანდილოსანს უნდა დაეცვა. „ქალურობა“ კი გაიგებოდა სიტყვასიტყვით და, როგორც, წესი, ეხებოდა ქალური ტანსაცმლის ტარებას – ქვედაბოლო, კაბა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. ყველაფერი ლაკონური და სადა. დღევანდელ მოდურ ქალებს, შეიძლება ითქვას, ძალიან გაუმართლა – მათ საშუალება აქვთ აირჩიონ ტანსაცმელი საკუთარი გემოვნებისა და ტანის თავისებურებების გათვალისწინებით. მაგრამ, როგორც არ უნდა შეცვლილიყო ქალის კოსტიუმი სტილისა და მოდის გავლენით, თავისი სემიოტიკური შინაარსით „ქალური“ სტილი ტანსაცმელში ინარჩუნებს ძირითად თვისებას. კერძოდ, მითითებას თავის მფლობელის ქალურობაზე.

სექსუალიზაცია ქალთა ტანსაცმლის სტილსა და მოხმარებაში. 1960–იანი წლების ბოლოდან დასავლეთში დაიწყო ე. წ. მოდის სექსუალიზაცია – ფარული სექსუალობის გამომჟღავნება, რომელიც გამოიხატება ტანსაცმელში დაშვებული სიშიშვლის ვიზუალური ფორმების ხაზგასმულ დარღვევაში (მაქსიმალურად ტანზე მომდგარი სილუეტი, ღრმა ამონაჭერი, დეკოლტეს ღრმა ზონა, მაქსიმალური სლიმი (სიგამხდრე, სისუსტე). სიშიშვლე კოსტიუმში არ არის ახალი ტენდენცია. მას ხანგრძლივი ისტორია აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად სიშიშვლე ხაზს

უსვამდა ქალურობას. „მოდა – სექსი“ დაკავშირებულია არა იმდენად კოსტიუმთან, არამედ – ქალის სხეულთან. რამდენადაც ქალი იკავებდა მყარ მდგომარეობას საზოგადოებაში და იძენდა სოციალური სიმტკიცის გრძნობას, ქალი ცდილობდა, დაებრუნებინა თავისი დაკარგული ქალურობა – ფემინური ნიშნები, მაგრამ უკვე არა კოსტიუმის, არამედ სხეულის მეშვეობით. ცნობილი სოციოლოგი, მწერალი იარსკაია-სმირნოვა (Ярская-Смирнова) აღნიშნავს, რომ, ზოგადად, „*სხეულს ნიშანთა სისტემაში უკავია ისეთივე უმნიშვნელოვანესი პოზიცია, როგორც ფასონს ან ტანსაცმლის საგნებს მორალის არსებულ და/ან სადავო ნორმებთან მიმართებაში*“ [Ярская-Смирнова, 2001 : 254]. ქალი აშკარად აგრესიულადაც შიშვლდება და სიშიშვლის მეშვეობით ამტკიცებს თავისი სქესისა და ბუნების ნიშნებს. კოსტიუმს აღარ აქვს „ზედმეტი“ დატვირთვა, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე კულტურაში ოპოზიციამ „მამაკაცისა – ქალის ტანსაცმელი“ დაკარგა თავისი მნიშვნელობა და მას უკვე არა აქვს გენდერის აღნიშვნის ფუნქცია. ჟ. ბოდრიარის აზრით, ახლა უკვე თვით ტანი, როგორც ასეთი, თავისი იდენტურობით, სქესით, სოციალური სტატუსით გახდა მოდისთვის მასალა, ხოლო ტანსაცმელი წარმოადგენს მხოლოდ მის კერძო შემთხვევას [Baudrillard, 2006:254]. ამ გლობალურ ტენდენციას ყურადღებას აქცევს მოდის თანამედროვე მკვლევარი ელიზაბედ უილსონიც (Elizabeth Welter Wilson). თავის ნაშრომში „ქალაქური მოდა“ (Urbane Fashion, 2006) ის წერს, რომ თანამედროვე ქალაქი სხეულის სურვილისა და ექსპლუატაციის ადგილია, ხოლო სექსუალობის დემონსტრირება გახდა ქალაქური ცხოვრების ექსპერიმენტული თავისუფლების საზომი. მეცნიერის აზრით, ამ კონტექსტში ტანსაცმელი იძენს უდიდეს მნიშვნელობას სხეულის ესთეტიზაციისა და სექსუალიზაციისათვის [Wilson, 2006]. ასევე ძნელია შეედავო იმ მეცნიერებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ტანსაცმელში გამოხატული დაშვებული სექსუალური ქვეტექსტი დამოკიდებულია არა მარტო ამ ტანსაცმლის მფლობელის კლასობრივ და გენდერულ კუთვნილებაზე, არამედ იმ ეპოქაზეც, რომელშიც ის ცხოვრობს [Lurie, 2000]. ხაზს ვუსვამთ, რომ ეს თავისებურება (მოდის სექსუალიზაცია) ეხება უმეტესად ქალის მოდას.

60-იანების შემდეგ, მოდა-სექსი ისევ აღორძინდა 90–იანი წლების დასავლეთში, საქართველოში შემოდის 2000-იანი წლებიდან. ჩვენ მიერ მოპოვებულმა ვიზუალურმა მასალამ და უშუალო დაკვირვებებმა გვიჩვენეს, რომ პოსტსაბჭოთა ქართული რეალიებისთვისაც არ არის უცხო ქალურობის უტრირების ტენდენცია სხეულის ესთეტიზაციითა და სექსუალიზაციით ან ეროტიკული თამაშის სახით. ქალის ტანსაცმელი უკვე მოწოდებულია კი არ დაფაროს, არამედ გააშიშვლოს სხეული. და ამ ყველაფერმა – გამომწვევმა სექსუალურმა კაბებმა, ღრმა დეკოლტემ, მკვეთრმა მაკიაჟმა, შიშველმა ფეხებმა, მინი ქვედაბოლოებმა, ტანზე მჭიდროდ მომდგარმა ჯინსებმა, ე.წ. „შპილკა“ ქუსლებმა, სტრაზებმა, პაიეტებმა („ბრჭყვიალები“) – უკვე ჩვეული სახე შეიძინა. ტანსაცმლის სქესობრივი აქცენტუაცია ხაზგასმულია გამჭვირვალე და ნახვრეტებიანი ბლუზებით, რომლებიც დახვეწილად აშიშვლებენ სხეულს, შესამჩნევია საცვლები. პრიორიტეტულია ასევე მაქსი, მაგრამ სახე უფრო მაცდური ხდება გარეგნული სიმბოლური დეტალების გამოყენებით. მაგალითად, გრძელი გაშლილი თმით. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ტანსაცმლის სექსუალიზაციის მოვლენა საკმაოდ ნათლად ვლინდება თანამედროვე ქართულ მოდაშიც.

მამაკაცთა მოდის ლიბერალიზაცია. თუ XX საუკუნის დასაწყისში იშვა ფემინიზმი, რომელიც ათავისუფლებდა ქალებს სოციალური შეზღუდვებისა ან გენდერული სტერეოტიპებისაგან, XXI საუკუნის დასაწყისი აღინიშნა „მასკულინობის კრიზისით“ ფემინიზაციის მზარდი პროცესის კონტექსტში [Бендас, 2006 : 431]. ამ დროიდან იცვლება მამაკაცთა როლები და მათი ქცევის მოდელები, რომლებიც მეტნაკლებად განსხვავდებიან „მამაკაცურზე“ ტრადიციული წარმოდგენებისაგან. ქალთა და მამაკაცთა სოციალური როლების საზღვრები დაირღვა ან შეიძინა უნივერსალური (უნისექსუალური) ხასიათი. ეს ფაქტორი საფუძვლად უდევს არა მხოლოდ სოციალური ურთიერთობების, კულტურაში მამაკაცურისა და ქალურის თანამოქმედების, არამედ მამაკაცის კოსტიუმის განვითარებასაც.

ევროპულ ისტორიაში მცირე ექსკურსიც კი მოწმობს, რომ გენდერული კუთვნილების გარეგანი ატრიბუტები იცვლება დროსა და სივრცეში. მაგალითად, ახალი დროის

ეპოქაში კოსტიუმი თავისი ნიშნებით უკვე განასხვავებდა მამაკაცსა და ქალს სქესის მიხედვით. თუმცა წამყვანი მაინც ქალის კოსტიუმია. მის გავლენას დიდი ხნის განმავლობაში განიცდიდა მამაკაცთა კოსტიუმი, რომელიც ტოლს არ უდებდა ქალისას მორთულობით, მდიდრულობითა და სამკაულების სიჭარბით. ბაფთები, მაქმანები, სირაქლემის ფრთები, ყვავილები, ძვირფასი აქსესუარები ამშვენებდნენ მამაკაცის კოსტიუმსაც. ჟ. მოლიერმა (Jean-Baptiste Poquelin, fsevd. Molière) ასე აღწერა იმდროინდელი მამაკაცის კოსტიუმი: „*ფეხსაცმლიდან ქუდამდე – ბაფთები, ლენტები, ბაფთები, ლენტები*“ [Энциклопедия... 1997:88]. XVII – XVIII საუკუნეებში მამაკაცთა მოდაში შემოდის არამარტო ქალის ტანსაცმლის ელემენტები, არამედ კულულებად დახვეული გრძელი თმა, პარიკები, ფართო ფარფლებიანი, სამკაულებითა და ფრთებით მორთული ქუდები. თავის მხრივ, დიდგვაროვან მანდილოსნებს შეეძლოთ გამოჩენილიყვნენ ე. წ. ამორძალის კოსტიუმებში. ნიდერლანდელი ისტორიკოსი და კულტურულოგი იოჰან ჰაიზინგა (Johan Huizinga) მიუთითებს, რომ ამ პერიოდში მამაკაცის კოსტიუმი კარგავს სისადავეს, ბუნებრიობას, პრაქტიკულობას, მამაკაცის გრძელი ვიწრო შარვალი – პანტალონი (იტალ. Pantaloni) გახდა იმდენად მოკლე და ფართო, რომ დაემსგავსა ქალის ქვედატანს. კოჭებამდე გადატვირთული მორთულობებით, ეს კეკლუცი კოსტიუმი მამაკაცურობაზე მხოლოდ დაშნებით მიანიშნებს [Huizinga, 1955:220]. ამგვარმა კოსტიუმმა მიაღწია თავის აპოგეას ფემინიზირებულ XVIII საუკუნის მამაკაცის ტანსაცმელში. ამ პერიოდის მამაკაცის ტანსაცმელმა განიცადა ქალთა ეტიკეტური საცეკვაო კულტურის, ქცევის მანერის, მთლიანად ქალური სახის გავლენა. მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან იძენს მამაკაცის კოსტიუმი თანამედროვე მამაკაცურ სახეს, თავისუფლდება რა თანდათან ქალური დეტალებისგან. XIX საუკუნიდან მამაკაცებმა საბოლოოდ უარი თქვეს სერთუკებზე, მოქარგულ ჟილეტებსა თუ ხავერდის ფეხსაცმელებზე მკაცრი კოსტიუმის სასარგებლოდ. ანალოგიური მდგომარეობა იყო ფერებშიც: ვარდისფერი, წითელი, ყვითელი, იისფერი და ა.შ. აბსოლუტურად გამოირიცხებოდა მამაკაცის ტანსაცმელში.

თანამედროვე მოდის მკვლევარს, ფრანგ ლაურა ბოვონეს (Laura Bovone), თუ დავესესხებით, ზოგადად, დღეს ახალგაზრდა მამაკაცები მისდევენ რა მოდის

ტენდენციებს, მზად არიან უარყონ ტრადიციული უნიფორმა და პრაქტიკული ტანსაცმელი ან მოიხმარონ ისინი მხოლოდ სამუშაო დროს [Bovone, 2006 : 370-382]. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოშიც აქტუალურია მამაკაცთა მოდის ლიბერალიზაციის თემა. საქართველოშიც მიმდინარეობს რევოლუცია მამაკაცთა კოსტიუმის სფეროში – ქალის ტანსაცმლის ელემენტების ჩართვა მამაკაცის სამოსში და, ნაკლებად შესამჩნევი, მაგრამ, მაინც არსებული, ანდროგინობისკენ მიდრეკილება. ვიზუალური დაკვირვების შედეგად გარკვევით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მამაკაცის ტანსაცმლის ფემინიზაციის ერთგვარ კანონზომიერებას საქართველოში გააჩნია რამდენიმე მკაფიო ნიშანი. მაგალითად, ტრადიციულად, როგორც ყველგან, კლასიკური მამაკაცის მოდა საქართველოშიც იყო მოკრძალებული და ხაზს უსვამდა ვაჟკაცობას, სტატუსს და მოხერხებულობას. ძირათადი ფერები იყო რუხი, ყავისფერი ლურჯი და შავი. დღეს ქართველი მამაკაცის მოდა გაჯერებულია მკვეთრი ფერების ტანსაცმლით. ასე, მაგალითად, თუ საბჭოთა საქართველოში ხასხასა ფერების პერანგები და ჰალსტუხები იწვევდა საზოგადოების მძაფრ კრიტიკას, ითვლებოდა ე.წ. „სტილიაგების“ ნიშნად, უკვე 2000-იანებში კლასიკურ კოსტიუმში ჩნდება ახალი ფერები და სახეები ჰალსტუხებსა და პერანგებზე. შემდეგ კი ფერთა გამა გაფართოვდა და შეეხო მთელ კოსტიუმს. დღეისათვის მამაკაცებმა დაიწყეს ტრადიციული „ქალური“ სილუეტების, სახეებისა და პრინტების სესხება. მოდაშია გრძელი თმა და მამაკაცის ტანსაცმლის მრავალფეროვნება (კომპლექტები აქსესუარებით, ჟილეტებით, შარფებით). ხდება მამაკაცის ტანსაცმლის პლურალიზაცია: სვიტერები, ჟაკეტები, ფერადი პიჯაკები, ჩახსნილი პერანგები ორნამენტებით. საგულისხმოა, რომ ყვავილების პრინტები, ნახევრად გამჭვირვალე ქსოვილები და მაქმანი, რომლებიც ყოველთვის წარმოდგენდნენ „ქალურობის“ ნიშანს, 2000-იანებიდან შეემატნენ მამაკაცის გარდერობს და ქალის მოდის ისტორიული მონოპოლია დაარღვიეს. თუმცა ამ შემთხვევაში უპრიანია, ალბათ, ვილაპარაკოთ მათ „დაბრუნებაზე“ მამაკაცის გარდერობში. შეინიშნება ასევე უშუალოდ ქალის ტანსაცმლის მოდელების გამოყენება. მაგალითად, ქალთა გარდერობიდან გადმოღებული და დამოკლებული ტოპების ტარება. ამის საპირისპიროდ, გრძელ მაისურებში გამოწყობა, რომელიც წააგავს ქალის კაბას. ასევე,

ტრენდების წყალობით, ქართველი მამაკაცის შარვალი დღეს უფრო ტანზე მომდგარია კლასიკური ვარიანტისაგან განსხვავებით. ამ ტრენდის კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია – სპეციალიზირებული პრინტის/სახის არარსებობა ქალებისა და მამაკაცებისათვის. როგორც მამაკაცის, ასევე ქალის კოლექციებში ვხედავთ იდენტურ პრინტებს: ბუნების ან მცენარის ფოტოპრინტს, სხვადასხვა რასტრის ფლორალურ არამკაფიო ნახატებს, მკაცრ გეომეტრიას, პოლიტიკურ თუ სოციალურ გზავნილებს, ქსოვილის ფაქტურის იმიტაციას. აღინიშნება ქალის ფეხსაცმლის კოპირება. ასე, მაგალითად, მამაკაცის მოდაში თანდათან შემოდის მოხერხებული ავსტრალიური ზამთრის UGG –ები (ინგლ. Ugly Boots, რაც ნიშნავს „მახინჯ ჩექმებს“). ასევე მამაკაცის ფეხსაცსაცმელს უკვე რთავენ სხვადასხვა ფურნიტურით (მოქლონებით, სტრაზებით), პრინტებით. გენდერული საზღვრების დარღვევა ტანსაცმლის მოხმარებაში ყველაზე მკაფიოდ აღინიშნება აქსესუარებში, რომლებიც სულ უფრო და უფრო კარგავენ გენდერულ სხვაობას. საგრძნობლად გაფართოვდა ქალის არსენალიდან ნასესხობების ხარჯზე მამაკაცის აქსესუარების ასორტიმენტი. მოდის მიმდევარი მამაკაცი თამამად იკეთებს სამკაულებს – მძივებს, სამაჯურებს ფერადი თვლებით, საყურეს – როგორც დეკორატიულ ნივთებს. საათის დახვეწილ ტყავს ან მეტალის სამაჯურს ემატება ხასხასა სილიკონის სამაჯური. უფრო კონსერვატორები კი იკეთებენ შარფს/მოსახვევს პლეიბოის სტილში. მამაკაცის ჩანთებს ტრადიციულად ხისტი ფორმა და მუქი ფერი ჰქონდათ (სპორტულისგან განსხვავებით), ახლა კი ისინი თანდათან „კარგავენ გენდერს“. ტილოს სხვადასხვა ფერის ჩანთები ავსებენ არა მხოლოდ ქალის, არამედ – მამაკაცის მოდურ სახესაც. ჩვეული დიპლომატების, მხარზემოსაკიდ „პროგრამისტის ჩანთების“, ზურგჩანთების და ე. წ. „ბორსეტების“ (ფრ. Boursette – მამაკაცის პატარა საფულეები) ნაცვლად, მამაკაცებში გავრცელებულია სრულიად მოულოდნელი ფერების დიდი რბილი ჩანთებიც, რომლებიც ფორმით მოგვაგონებენ ქალისას. განსაკუთრებით ეს ეხება ჩანთებს საფირმო ლოგოტიპებით – Louis Vuitton (ლუი ვიტონ, 1854) an Gucci (გუჩი, 1948).

უდავოა, ეს ყოველივე ქართველი მამაკაცების „ვესტერნიზაციის“ დადასტურებაა. ამავე დროს, ვფიქრობთ, რომ ზემოთ აღნიშნული ცვლილებები ტანსაცმლის მოხმარებაში

განაპირობა ახალგაზრდობის ახალმა ესთეტიკურმა პრინციპებმა – „კორპორაციის თანამშრომლის“ დამკვიდრებულ მასკულინურ სახეზე უარის თქმამ, რომელიც ახალგაზრდებისათვის უგემოვნო და შეზღუდული გახდა.

IV. დასკვნა

წარმოდგენილ ნაშრომში შევეცადეთ, გვეჩვენებინა ტანსაცმლის სტილისა და მოხმარების სფეროში გენდერული დისკურსის კვლევის აქტუალიზაცია პოსტსაბჭოთა საქართველოს სინამდვილეს კონტექსტში. ორიენტაცია ავიღეთ „გენდერული ფორმების პლურალიზმზე“ (Гилмор, 2005:264) ტანსაცმლის მოხმარებაში. ნაშრომში ყურადღება გავამახვილეთ ფემინობის და მასკულინობის კანონების ჰეგემონიის ცვლილებაზე, რომელიც სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური ტრანსფორმაციების გავლენით მოხდა. ტანსაცმლის მოხმარებას განვიხილავთ როგორც თანამედროვე სოციალურ-კულტურული რეფორმაციის თავისებურ ინდიკატორს. ვთვლით, რომ ტანსაცმლის მოხმარების სტილში გენდერული ცვლილებების ნიშნური აქცენტების დაფიქსირება ხელს უწყობს ახალი მეტაენის მოძიებას, იმ თვისებების გამოყოფას, რომლებიც შეესაბამება ახალ პოსტსაბჭოურ სახეებს დ სოციალურ-კულტურულ სივრცეში ადეკვატურად ცვალებად სიტუაციას. ანალიზის პროცესში ტრადიციულად მოქმედ ტანსაცმლის მოხმარების პრაქტიკის პარალელურად აღვნიშნეთ სტილთა გენდერული სტერეოტიპების აშკარა დარღვევა. ვაჩვენეთ, რომ მოდისა და მოდური ნიშნების ფუნქციონირების დღევანდელი ქართული სპეციფიკა გამოიხატება მისი სიმულაციურობის რადიკალურ ზრდაში. ნიშნები, რომლებიც წინა კულტურულ ეპოქებში ფუნქციონალურად (რეფერენციალურად) აღნიშნავდნენ რაღაც მათთან დაკავშირებულ მნიშვნელობას (შარვალი – მამაკაცის სქესისადმი კუთვნილების ნიშანია, ხოლო ქვედატანი – ქალისადმი), დღეს არ შეიცავენ არავითარ მკაფიო მინიშნებებს. ისინი ამჟამად ატარებენ არა სოციალური აღნიშვნის ფუნქციას, არამედ უფრო პიროვნების საკუთარი „მე“-ს ინდივიდუალური კონსტრუქციების ფუნქციას. ამდენად, ტანსაცმლის მოხმარების დღევანდელ ქართულ კულტურაში თანდათან მკვიდრდება შემდეგი ტენდენცია: ადამიანი თავისუფალია გამოიყენოს

ნებისმიერი ნიშნები და სიმბოლოები თავისი „მე“-ს თვითიდენტურობისათვის, სტილიზაციის, სიმულაციისა და მისტიფიკაციის ჩათვლით. სქესობრივი და გენდერული კუთვნილება ინაცვლებს მეორე პლანზე. თუმცა, ვფიქრობთ, რომ ძალიან ხშირად, აშკარა გენდერული იდენტურობის არქონა ტანსაცმელში არის არა განსაკუთრებული განცხადება, არამედ – უბრალოდ ტანსაცმლის მფლობელის მხრიდან მოდის აყოლა.

ლიტერატურა:

1. სუმბაძე ნ. თაობები და ღირებულებები. საზოგ. პოლიტიკის ინს-ტი. თბ.,2012
2. Тард Г. Законы подражания / Пер. с фр. Ф.Павленков.- Академическ.проект, 2011
3. Жоль К. К.Социология в систематическом изложении.-М.: Юнити. 2004
4. Bovone L. Urban Style Cultures and Urban Cultural Production in Milan: Postmodern Identity and the Transformation of Fashion // Poetics, № 34.-2006
5. Corrigan P. The Sociology of Consumption.-London: Sage, 1997
6. Laver J.Concise history of costume and fashion.-N.Y.: H. N. Abrams,1995
7. Huizinga J. Homo ludens; a study of the play-element in culture.-Boston: Beacon Press,1955
8. Lipovetsky G. The Empire of Fashion: Dressing Modern Democracy.-New Jersey: Princeton University Press,1994
9. Barthes R.The Fashion system.-New York: Hill and Wang,1983
10. Bartlett Dj.Fashion-East, The Spectre that Haunted Socialism.-MIT Press, 2010
11. Dickinson J. “Gender, Work and Economic Restructuring in a Transcarpathia (Ukraine) Village,” In Identity Formation and Social Problems in.-2005

ნინო მეგენეიშვილი

წყაროებში დაცული ცნობები ბესარიონ ორბელიშვილის შესახებ

XVIII საუკუნე საქართველოს ისტორიაში პოლიტიკური სიჭრელითა და დრამატიზმით გამორჩეული ხანაა. სამეფოებად დაყოფილი პატარა ქვეყანა იდეოლოგიური თანამოაზრის ე.წ სტრატეგიული პარტნიორის ძიებაში უამრავ გაუგებრობასა და სიძნელეს აწყდებოდა. პოლიტიკურ მეგობარს კი ეძებდნენ ყველგან – დასავლეთში, აღმოსავლეთში, ჩრდილოეთში. მოსახლეობა მხსნელს ელოდა დანარჩენი მსოფლიოდან, მხოლოდ ერთეულები ხვდებოდნენ, რომ არ არსებობს მეგობრობა სახელმწიფოებს შორის კონკრეტული შეთანხმების გარეშე.

სახელმწიფოს საფუძველი არის ქვეყნის იდეოლოგია. იდეოლოგია უნდა ეყრდნობოდეს ერის თვითმყოფადობას, ტრადიციულ ღირებულებებსა და კულტურულ ფასეულობებს. იდეოლოგიას ქმნის კულტურა, განათლება, მეცნიერება, ამიტომაც თუკი ქართული პოლიტიკური თუ ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები ვერ ახერხებდნენ სახელმწიფოს გაერთიანებასა და პოლიტიკურ სტაბილიზაციას, მაქსიმალურად ცდილობდნენ სამეცნიერო და საგანმანათლებლო კერების განვითარებას. ამას მოწმობს სტამბის გახსნა თბილისში 1709 წ-ს, დავით-გარეჯის ლიტერატურული სკოლის არსებობა. იმ დროისთვის ეს იყო მსხვილი სამეცნიერო კერა, თავისი ინფრასტრუქტურითა და მოღვაწეებით: კალიგრაფებით, მთარგმნელებით, მხატვრებითა და მკვლევრებით. ამგვარი სამეცნიერო სტრუქტურის არსებობა დაუძლურებული ქვეყნისთვის ფუფუნება იყო. ხელნაწერის შექმნა დიდ ფინანსურ და ინტელექტუალურ რესურსს მოითხოვდა. დღემდე შემორჩენილი ხელნაწერების დიდი ნაწილი სწორედ შუა საუკუნეებშია გადაწერილი, გაცხოველებული ან რესტავრირებული და გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით და მხატვრული ღირებულებით. განსაკუთრებული როლი ამ უდიდეს საქმეში შეასრულა ბესარიონ ორბელიშვილ-ბარათაშვილმა, რომელიც მოღვაწეობდა გარეჯში, ამას ადასტურებს **A-**

624 ხელნაწერის მინაწერი: ,,ნათლისმცემლის მონასტერში მოვედით. კარგათ შეგვიწყნარეს წინამძღვარმა ხარიტონ და ძემან ორბელის შვილმან სვიმონ და ბესარიონ. პირველ ისინი მოსულიყვნენ ნათლისმცემელს და ეშენებინათ''[A-624, 147r-v]. მიხ. ხელაშვილი 1886 წელს გაზეთ ,,ივერიაში'' (#208) გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნავდა: ,,მეორედ განმაახლებელი მონასტრისა და ყოვლითა საუნჯითა აღმავსებელი კათალიკოსი ბესარიონ თაქალთოიანი (ბარათაშვილი. ამანვე შეკრიბნა მონასტერში მონაზონნი)'' [გაზეთი ,,ივერია'', 1878 #208: 3].

საინტერესოა მისი ბიოგრაფია. ბესარიონ ორბელიშვილი იყო საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი, რაც მთავარია, დიდი მწიგნობარი: 1. ორიგინალური თხზულებების **ავტორიც** (მან დაწერა ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულება ,,გრდემლი'', აგიოგრაფიული თხზულებები: რაჟდენ პირველმოწამის მარტვილობა, არჩილ მეფის მარტვილობა, ისე წილკნელის ცხოვრება, ლუარსაბ მეფის მარტვილობა, ბიძინა, შალვა და ელიზბარის მარტვილობა; მას ეკუთვნის ლიტურგიკული თხზულებები: ,,კანონი სავედრებელი საუფლოÁსა კუართისა'', ,,კანონი საგალობელი პირველმოწამისა რაჟდენისა'', ,,კანონი ქმნილი კუართისა'').

2. ბესარიონი იყო **გადამწერიც**, რასაც ადასტურებს ხელნაწერების ანდერძ-მინაწერები. ჩვენემდე მოღწეული ხელნაწერი წიგნებიდან მას გადაუწერია: **1. A-59,** კრებული, ამას ადასტურებს ხელნაწერის მინაწერი: ,,ჩუÀნ ყოვლისა საქართველოსა მაკურთხებელმან კათალიკოზ პატრიარქმან, ბატონმა ბესარიონ გიბოძეთ ესე პატიოსანი ძლისპირი, თვენით სრული შენ, მაღალაძეს ნიკოლოზს, სულთა ჩუÀნთა შესანდობლად თუÀსა იანვარსა, ქ~კს ოკგ'' (65r) [A კოლექცია, 1974: 207]; როგორც არა ერთი მკვლევარი მიიჩნევს, სავარაუდოდ, ხელნაწერი წარმოადგენს ბესარიონის მიერ რუსულ ყაიდაზე გაკეთებულ სადღესასწაულოს, **2. A-105**. კრებული, 1697 წ, გადაწერილია ბესარიონ ორბელიშვილის მიერ გარეჯის მონასტერში; ადრე ეკუთვნოდა მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს: ,,წმიდაო სÂმეონ საკÂრველო, შეიწყალე გლახაკი ბესარიონ, უცბად მწერალი'' (309r) [A კოლექცია, 1976: 25]; **3. A-121**, გრიგოლ რომთა პაპი, დიალოღონი. 1715 წ. გადამწერებად მიიჩნევიან ბესარიონი და იობი.

თუმცა ერთ-ერთი მინაწერის მიხედვით ბესარიონი უნდა იყოს ხელნაწერის გადამწერიც და დამკვეთიც: ,,წმიდანო და ღმერთშემოსილნო მამანო და ძმანო, მკÂდრნო დავით გარესჯას უდაბნოს ნათლისმცემლისანო, მომიÃსენეთ ცოდვილი უღირსად წინამძღუარი გლახაკი იობ, რომელმან ბრძანებითა და მორჩილებითა მამისა ბესარიონისათა აღვწერე სულთა განმანათლებელი კერძო წიგნისა ამის შესანდობელად ცოდვათა ჩემთა, რათა დიაკონისა თქუÀნისა მიერ მოიÃსენებოდეს უღვაწი სული ჩემი. სრულ იქმნა ნოემბერს კგ, ქორონიკონს ოგ'' (235v) [A კოლექცია, 1976: 100]; 4. **A-178**, სასულიერო შინაარსის კრებული, გადამწერი ბესარიონ ორბელიშვილი, ალაგ-ალაგ ნასწორებია სხვა ხელით. ამას ადასტურებს ხელნაწერის ანდერძი: ,,ქრისტე შეიწყალე ცოდვილი ბესარიონ და ოთარ ყოფილი იოანე'' (2r) [A კოლექცია, 1976 წ. გვ. 286]; **5. A-196**, სასულიერო შინაარსის კრებული, გადამწერი ბესარიონ ორბელიშვილი, მოგვყავს ხელნაწერის ანდერძი: ,,ქრისტე, შეიწყალე ყოვლად უღირსი ბესარიონ, რომელმან უღირსებით Ãელ-ვყავ წერაÁ ამისი''(105r) [A კოლექცია, 1976: 337]; **6. A-198,** ევხოლოგიონი (ლოცვანი), 1696 წ. გადამწერი ბესარიონ ორბელიშვილი, გადაწერის ადგილი დავით-გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი. ამას ადასტურებს ხელნაწერის ანდერძი: ,,უფალო ღმერთო ჩუÀნო, მშÂდობასა და სიმრთელესა შინა აÃმარე წმიდაÁ ესე წიგნი ღირსსა და წმიდა ბოვნელ მთავარეპისკოპოს უფალს მაქსიმეს, რომლისა სათნო-ყოფითა განახლდა და შეიკაზმა Ãელითა ფრიად გლახაკისა და უღირსის მღდელ-მონაზონის ბესარიონისითა უდაბნოს გარესჯას, წმიდის იოანე ნათლისმცემლის მონასტერს, ქორონიკონი იყო ტპდ'' (149v) [A კოლექცია, 1976: 340]. **7. S-3269**, სასულიერო შინაარსის კრებული, ჰყავს რამდენიმე გადამწერი, მათ შორის იობი, ფილიპე, გადაწერილია გარეჯის მრავალმთის ეკლესიაში, ზუსტი თარიღი უცნობია. ამ ხელნაწერში შედის როგორც გრდემლის ვრცელი რედაქცია, ასევე ბესარიონის დაწერილი აგიოგრაფიული შინაარსის თხზულებებიც. მ. ქავთარია თვლის, რომ ამ აგიოგრაფიული თხზულებების გადამწერი ბესარიონია. მისი აზრით, ბესარიონ ორბელიშვილი წერდა მრგვალი და ოდნავ დახრილი კალიგრაფიული ნუსხურით, აღნიშნული თხზულებები კი ამგვარი კალიგრაფიითა და ბესარიონის სტილისტური ენითაა ნაწერი, ხოლო ,,გრდემლი'' უნდა გადაეწერა მღვდელ ფილიპეს. ამას

ადასტურებს 35-ე და 36-ე თავების ბოლოს გადამწერის ხელით შესრულებული მინაწერი ,,ღმერთო შეიწყალე ცოდვილი ფილიპე” [S კოლექცია, 1967: 17]; **8. Q-814**, XVIII ს. სასულიერო შინაარსის კრებული, ნაწერია შერეული დამწერლობით ნუსხურით და მხედრულით. გადამწერად მიიჩნევა ვინმე ბესარიონი, შესაძლოა გადამწერი სწორედ ბესარიონ ორბელიშვილია. ამის საფუძველს იძლევა ხელნაწერის ხელით ასომთავრულით ხვეულად მიწერილი ,,ბესარიონ”(29v) [Q კოლექცია, 1958: 234], ხელნაწერის ხელი კი ძალიან ჰგავს ბესარიონის ნაწერს.

ბესარიონ ორბელიშვილი იყო **დამკვეთიც**: აღწერილობების მიხედვით მისი დაკვეთით გადაწრილი ხელნაწერებია: **1. A-100**, ბასილი დიდი, ითიკა. 1713 წ. გადამწერები: ხუცეს-მონაზონი იოსებ არაგვის ერისთვის შვილი (150r-v, 208v, 275v) [A კოლექცია, 1974: 492]; დამკვეთი: ბესარიონ ორბელის ძე (150r-v, 275v); გადაწერის ადგილი გარეჯის უდაბნო, მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტერი (150r-v). აღნიშნულს ადასტურებს ხელნაწერში არსებული ანდერძები: ,,ბრძანებითა მამისა ჩუÀნისა ბესარიონისათა დავწერე მე ცოდვილმან ბერმან იოსებ” (275v); **2. A-103**, სასულიერო შინაარსის კრებული, გადამწერები იოანე ბერი და ნიკოლოზ; ხელნაწერი განუახლებია მღვდელ მახარებელ ბაკურიძეს ბესარიონ კათალიკოსის დაკვეთით თელავში, ამას ადასტურებს ხელნაწერის ანდერძი: ,,ღმერთო შეიწყალე ამისი გარდმომღები იმერელი ბაკურიძე, მღდელი მახარებელი თანამეცხედრით და დედა-მამითურთ. ესე რომე სტამბის ჟამნებში ქორონიკონი დაილია, ახლა ღმრთით და მერმე ბატონის ბესარიონ კათალიკოსის ბრძანებით ვიგულისმოდგინეთ, დავიდევით ძველი ქორონიკონი და ექვსი კვირაÁ ვიანგარიშეთ Ãელთით და პირველად ძველი ქორონიკონი გავამრთელეთ, მერმე ისიც და Ãელთაც დედნად დავიდევით. ...დაიწერა მეოხებითა ღმრთისაÁთა მეფობასაÁ თეიმურაზისასა, სოფელსა კახეთისასა, რომელ არს თელავი. დიდებაÁ ღრთისაÁ. ამინ”(93v) [A კოლექცია, 1976: 11-12]; **3. A-130,** სასულიერო შინაარსის კრებული. 1713 წ. გადამწერი გაბრიელ საგინაშვილი; დამკვეთი ბესარიონ ორბელიშვილი; გადაწერის ადგილი დავით-გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერი. ხელნაწერში გადამწერი ანდერძში ბესარიონ ორბელიშვილს უწოდებს თავის მოძღვარსა და მასწავლებელს: ,,...Ãელ ვყავ მეცა ძალისაებრ ჩემისა მე უღირსმან

ხუცეს-მონაზონმა გაბრიელ საგინაშვილმან წმიდისა ამის წიგნისა აღწერად უდაბნოსა მას გარესჯისასა, მონასტერსა მრავალმთის ნათლისმცემელსა მას ჟამსა, ოდეს მეფობდა მეფეთა შორის წარჩინებული ვახტანგ საქართველოსა ზედან და მჯდომარე იყო ტახტსა ზედა საპატრიარქოსა კათალიკოზად ძმა მისსივე დომენტი, რომელი მას ოდენ შეკრიბა წიგნი ესე ერთად განბნეული. ხოლო მე ესე, რომელი მკÂდრ ვიყავ მონასტერსა მას, რომელი ზემო ვახსენე, და ვიქცეოდე Ãელ შინა სულიერთა მათ მამათა ჩემთათა, ვიტყვი წმიდასა ონოფრე (ეს სახელი შემდეგ არის მიწერილი განსხვავებული მელნით ბესარიონის მიერ), მამასა ხარიტონს და ღი[რსსა] მოძღვარსა და მასწავლელსა ჩემსა ბესარიონ ორბელის ძესა, რომელთა ბრძანებითა და ლოცვითა Ãელად ვიხვენ წიგნი ესე და არა ურჩ ვექმენ ბრძანებასა მათსა, არამედ სრულ ვყავ ძალითა ღმრთისათა. და შევსწირე მასვე მონასტერსა ჩემსა, დიდსა მას ქადაგსა წინამორბედსა მეუფისასა იოანეს საÃსრად ცოდვათა ჩემთა”(332r-v) [A კოლექცია, 1976: 144-145]; **4. H-1557** [H კოლექცია, 1950: 46], ცხოვრება იოანე ზედაზნელისა, 1713 წ. გადამწერი გაბრიელ საგინაშვილი, გადაწერის ადგილი გარეჯის უდაბნოს მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტერი. ხელნაწერის ანდერძი (გვ. 11r-v) უცვლელად იმეორებს **A-130** ანდერძს, ამ ხელნაწერის გადამწერიც გაბრიელ საგინაშვილია და ისიც გარეჯის მრავალმთის მონასტერშია გადაწერილი 1713 წელს(ამ გამო ანდერძი აღარ მომყავს). **5. Q-85**, ოთხთავი. 1719 წ. მომგებელნი: მამა ხარიტონი და ბესარიონ ორბელის ძე (171v); გადამწერი-გაბრიელ საგინაშვილი; გადაწერის ადგილი-გარესჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი (171v). ანდერძი გადამწერისა: ,,მე ყოველთა მონაზონთა უცოდვილესმან და უღირსსა მღდელობისასა გაბრიელს საგინაშვილს, რომელი განსრულ-ვიყავ სოფლით ცოდვათა ჩემთა სიმრავლისათÂს, მილტოლვილ უდაბნოდ გარესჯად, მონასტერსა წმინდისა იოანე ნათლისმცემლისასა მრავალმთას, რამცა მეჩუÀნა რაÁმე კეთილი სინანული ფრიადთა ცოდვათა ჩემთა შესანდობელად, აღვწერე წმინდაÁ ესე განმანათლებელი სულთა სახარებაÁ და სამოციქულო მამის ჩუენისა ხარიტონის და მოძღურისა და მასწავლელისაÁ უფლისა ჩემისა დიდის ორბელის ძის ბესარიონის ბრძანებითა” (171v) [Q კოლექცია, 1957: 98].

ხელნაწერებში დაცული ანდერძ-მინაწერებით ირკვევა ისიც, რომ ბესარიონ ორბელიშვილი ყოფილა მასწავლებელიც. სწორედ ამიტომ კ.კეკელიძე ბესარიონ ორბელიშვილის შემოქმედების და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ანალიზისას ასკვნის, რომ შესაძლოა სრულად არც იყოს მოღწეული მისი ორიგინალური თუ გადაწერილი თხზულებები.

უპირველესად, საინტერესოა, რა ცნობები მოგვეპოვება ბესარიონ ორბელიშვილზე: როდის დაიბადა, ვინ იყვნენ მისი მშობლები, როდის გახდა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი, როდის გარდაიცვალა? წყაროებში ცნობები ბესარიონ ორბელიშვილის ბიოგრაფიაზე მწირია. მის მიერ გადაწერილი ერთ-ერთი ხელნაწერის (**A-105**) ანდერძიდან ვგებულობთ, რომ ბესარიონის მშობლებს ჰრქმევიათ ბეჟანი და მარიამი. ხელნაწერი გადაწერილია 1697 წელს, ე.ი. ამ დროისთვის ის უკვე გარეჯში მოღვაწეობს: ,,... მე, უღირსი და უცოდვილესი ყოველთა კაცთა ხუცეს-მონაზონი, ნათესავით ბარათაშვილი, ტომებით ორბელისშვილი, ბესარიონ, წმიდისა ამის წიგნისა კლემაქსისა, წმიდის ტიმოთეს საკÂრველთმოქმედისა და წმიდისა სÂმიონ საკÂრველის ცხოვრებისა აღწერად უდაბნოსა გარესჯისასა, მონასტერსა წმიდისა იოანე ნათლისმცემელისასა. მეც ამ მონასტერში ვიყავ და ეს წიგნიც ამას მონასტერსა შევსწირე. დაიწერა წმიდაÁ ესე წიგნი წელთა ქრისტეს აქათ ათას ექუსას ოთმოცდაათჩÂდმეტსა, ქორონიკონსა ტპე. ესეც ამავ ნათლისმცემლის მონასტერს დავდევ სულისა ჩემისა საოხად და მშობელთა ჩემთა ბეჟანისა და მარიამისა მოსახსენებლად”(417v) [A კოლექცია, 1976 წ. გვ. 25-26]. სხვა ცნობა მისს მშობლებზე არ მოგვეპოვება, ხოლო რაც შეეხება ბესარიონის გარეჯში მოღვაწეობას, პ. კარბელაშვილის აზრით ის გარეჯში 1680 წელს უნდა დამკვიდრებულიყო: ,,ბესარიონი. 1728-1735 წ. ორბელიანი. აღიზარდა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში 1680 წლიდგან. დიდი ამაგი დასდო დავით გარეჯის უდაბნოს განახლებასა, თავის ძმის სვიმონ ბერის დახმარებით, შეჰკრიბა ბერ-მონოზონნი” [კარბელაშვილი, 1900: 139]. აქედან ჩანს ისიც, რომ გარეჯში მასთან ერთად მოღვაწეობდა მისი ძმა სიმონი. კიდევ რამდენი დედმამიშვილი ჰყავდა მას, ან ჰყავდა თუ არა, ჩვენთვის უცნობია.

სხვადასხვაგვარი ცნობებია შემონახული ბესარიონ ორბელიშვილის საქართველოს მწყემსმთავრად კურთხევისა და გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით. ცნობილია, ის კათალიკოსად ეკურთხა დომენტი კათალიკოსის ოსმალეთში წასვლის შემდეგ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ხელნაწერი **S-2938** [S კოლექცია, 1965: 221] ,,სია საქართველოს კათალიკოსთა'', მანუსკრიპტი თარიღდება XIX ს-ით. აქ ბესარიონი მითითებულია #52-ად, კათალიკოსად კურთხევის წელი 1724, #51 არის დომენტი კათალიკოსი, კურთხევის წელი 1705წ. თ. ჟორდანიას კვადრატულ ფრჩილებში მიუწერია 1741 წ., მიზეზი გაურკვეველია, რადგან #53-ით ნახსენებია ნიკოლაოსი, კათალიკოსად კურთხევის წელი 1741 წ. აქ თ. ჟორდანიას კვადრატულ ფრჩხილებში გარდაცვალების თარიღად მიუწერია 1744 წ. თითქმის მსგავსი ინფორმაცია დაცულია დოკუმენტში **Sd-2351** [Sd-2351 1r], განსხვავება არის ნუმერაციაში, აქ ბესარიონი დასახელებულია #66-ედ, #65 არის დომენტი, ხოლო #67 – ნიკოლაოსი. პოლიევქტოს კარბელაშვილი წიგნში ,,იერარქია საქართველოს ეკკლესიისა'' დომენტის აღსაყდრების თარიღად მიიჩნევს 1704-1724 და 1738-1742 წლებს, ბესარიონი ზეობს 1728-1735 წლებში, თუმცა 1724-1728 წლებში ის კათალიკოსად არავის ასახელებს, ბესარიონის შემდგომ კი ქართული ეკლესიის მწყემსმთავარია ოსმალეთიდან დაბრუნებული დომენტი და მხოლოდ შემდგომ 1742-1744 წწ. ზეობს ნიკოლოზ X (გვ. 131-140); ბაბილინა ლომინაძეც ბესარიონის წინამორბედ კათალიკოსად ასახელებს დომენტი კათალიკოსს (1705-1725 წლის 21 თებერვალმდე) ორი მონაცემის საფუძველზე საქართველოს სიძველის **ტ. III, 194** და **Ad-142** [Ad-142 1r], ამის შემდგომ კათალიკოსობს ბესარიონი 1725 წ-ს მარტიდან 1737 წ-მდე, გარდაცვალებამდე, ხოლო 1737 წლიდან დომენტის საქართველოში დაბრუნებამდე (1739 წლამდე) საქართველოს მწყემსმთავარია კირილე (გვ. 69-71). საინტერესო ცნობას ინახავს ერთი ხელნაწერიც, კერძოდ, **H-1362**, კრებული, რომელიც დათარიღებულია XIX საუკუნით. ამ ხელნაწერის 31r-ზე ფანქრით მკრთალად წერია ,,1726-1738 კზი ბესარიონ. Выписать Грдемли #422'' [H-1362, 31r]. მინაწერით რთული გასარკვევია, ვინ არის ამ მინაწერის ავტორი და რის საფუძველზე მიუთითებს აღნიშნულ თარიღს.

ბესარიონის კათალიკოსად ზეობის შესახებ კომენტარი გაუკეთებია თ. ჟორდანიას ,,ქრონიკებში“, ტ.2 ზემოთ დასახელებული **A-105** ანდერძის კომენტარისას: ,,ეს ბესარიონ 1724 წ. აღვიდა კათალიკოზობის ტახტზე და † 1735 წ.“ [ჟორდანია, 1967: 116] საქართველოს ცენტრალურ არქივში არსებობს დოკუმენტი **(ფ.1448. საქ.#955**) მიწის ბოძების შესახებ, გაცემული ბესარიონი კათალიკოსის მიერ, დათარიღებული 1723 წლის 4 აპრილით. აქ ბესარიონი ნახსენებია კათალიკოსის რანგში.

აზრთა სხვასხვაობაა ბესარიონ ორბელიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ის გარდაიცვალა მცხეთაში და დაკრძალულია სვეტიცხოველში, საფლავის ქვაზე გარდაცვალების თარიღად მითითებულია 1735 წ. ეს თარიღია მითითებული **A-16** მინაწერში (გრიგოლ ღვთისმეტყველის კრებული; ცხოვრება და მოღვაწეობა გრიგოლ ღვთისმეტყველისა), ხელნაწერი თარიღდება 1739 წ-ით ,,ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოცდა იე [1735] მოვიდა თამაზ-ხან ქართლსა შინა და ფრიადნი შრომანი და ტყვეობანი გვეწივნეს ჟამსა მას და დევნულობანი ყოველთა საქართველოს და კახეთს. ამავე წელსა მი[ი]ცვალა წმინდა და სანატრელი კახეთის კათალიკოზი ბესარიონ“ (232r-v) [A კოლექცია, 1974: 54]. თუმცა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ერთი ხელნაწერის **H-2077** (სადღესასწაულო, თარიღდება 1736 წლით, გადამწერია სვეტიცხოვლის დეკანოზი ალექსი) ანდერძი სხვა ინფორმაციას იძლევა: ,,დაიწერა წიგნი ესე ქრისტეს აქათ ათას-შვიდა-ათექუსმეტსა, ქორონიკონსა უკდ, მეფობასა კახთ ბატონის იმანყულის ძისა მეფეთ მეფისა ალექსანდრესსა, ეკლესიათა მპყრობელობასა კათალიკოზისა ბესარიონისასა“ (334სv) [H კოლექცია, 1949: 47]. ამ ანდერძის მიხედვით 1736 წელს ბესარიონი ჯერ კიდევ ცოცხალია და მწყემსმთავრობს. ამავე მოსაზრებას იზიარებს ვახუშტიც, რომელიც ბესარიონის გარდაცვალების თარიღად მიიჩნევს 1737 წ-ს. მას მიაჩნია, რომ მცხეთის საფლავებზე არა ერთი უზუსტობა გვხვდება.

საინტერესოა, რა ინფორმაციას გვაწვდის წყაროები ბესარიონ ორბელიშვილის მსოფლმედველობაზე. ჩვენამდე მოღწეული მცირე ეპისტოლური მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით საყურადღებოა მამია გურიელისა და კათალიკოს ბესარიონის მიმოწერა ტყვეთა გაუსყიდველობაზე. როგორც ირკვევა, ის ჯერ კიდევ გარეჯში ბერად

ყოფნისას თავად ხლებია მამია გურიელს ამ მძიმე პრობლემის გადასაჭრელად, როგორც ირკვევა შემდგომაც გაგრძელებულა მათი ერთობლივი მცდელობა ამასთან დაკავშირებით, თუმცა ამ მასშტაბური პრობლემის მოგვარება იმ დროისთვის ძალიან რთული იყო: ,,ჩვენცა ეს აღთქმაÁ დაგვიც: დღეს ამას იქეთ ჩვენთვის საქონლად და სასარგებლოთ რომ მოიხმარებოდეს და ან სასმელ-საჭმელშიდა, ჩვენ აღარ გასყიდო[თ]. ვინცა ჩვენმა ყმამან ეს ფიცი და პირობა მოგვცა და გაგვიმტყუნდეს, რაც ღმრთისა და ბატონის შემცოდეს სიავე ფერობდეს, იმ გვარად მოვეპყრათ. რაც ხვანთქრისა და ვეზირისა მართებლობა და საბრძანებელი შემოგვივარდეს, რომ მტერისაგან არ ვიჩაგროდეთ, ან ქვეყნის შემოსავლები საქმე მოგვიხდეს, თვარა მას გარეთ ეს ასე გაგითაოთ. ამ ქუეყნის ტყუეზედ მე და ჩემს კაცსა ეს პირობა მოგვირთმევია: რომელსაც ამ ქუე[ყ]ნის კაცსა და ან ჩვენ სასახსროთ ცოლი ან შვილი, ძმა ან ყმა არ შეგვექმნას, იმას გარეთ ასე გავათაოთ, არც ჩემს ქრთამშიდ ჩემს ყმას ტყვე გავაყიდინო“ [დოლიძე, 1977: 695-697]. აქვე აღვნიშნავ, ეს წერილი მოჰყავს თ. ჟორდანიას ,,ქრონიკებში“, სადაც ასლის თავზე მისივე ხელითაა მიწერილი: ,,Гуриел Мамиа IV занимав. Гур. Владения с 1726-го г. ,,ბესარიონი ამ წელს კიდე კათალიკოზი არ ყოფილა“.

საინტერესოა ბესარიონ ორბელიშვილის წერილი, რომელიც მან მისწერა ვახტანგ VI-ს 1733 წ-ს (**Sd-2939**), როცა გარდაიცვალა კოსტანტინე კახთ ბატონი: ,,ამ ქვეყანას ვის ამწყრალებთ, ამისთანა დრო ქვეყნის მოხმარებისა და დაჭერისა არ ყოფილა არას Ãელმწიფის ჟამში. წინანდელ Ãელმწიფეთა და თქვენს მამა-პაპათა სიზმარითაც ენატრებოდა, მაგრამ ვინ აღირსებდა, ახლა რომ თქვენ დრო და საქმე გაქუსთ. თუ მოინდომებთ. მარტო ქართლს არა და ძველიდგან სამზღვრებს სულ შემოიკრებთ. წინააღმდეგი არავინ ჰჩანს ასეთი, რომ შეეძლოს რამე. ღმერთმან იცის, ამათ, ვისაც ეს ქვეყანა დაუგდევით, თავი Ãელთ აღარა აქვსთ. შენი მეზობელი რომ არის, არაფერი შეუძლიან, თუმცა შეუძლოს რამე, რადგან თქვენ ამ ქვეყანას ასე უინადეთ და აღარა ინაღვლეთ რა, ის დაიჭერდა; არცა რას ქართველნი ინაღვლიდნენ, ასე თავი მოსძულდათ. თუ ქართველთას ბრძანებ, ღმერთმან იცის, ყოველს კაცს უნდა უნდა მანდედან შეწევნა. ერთმანერთი აღარაფერი სამდურავი არის, ყოველმა კაცმან თქვენს ერთ გულობაზედ პირი შეკრეს კიდეც. ვისმე არ უნდოდეს, არას კაცს თქვენი

წინააღმდეგობა არ შეუძლია. თქვენგან ცდა და გაბედვა და ყოვლის კაცის დამონება სწორე იქნებოდა. სამი-ოთხი პოლკონი გამოითხოვეთ და სხვა არც კი გინდათ მანდ სხდომა, და ბრძანდებოდეთ, ბოლო რაც მოხდეს, ნურავის დააბრალებთ, არც ღმერთთან გექნებათ პასუხი, არც კაცთან. ამ ქვეყნის სისხლსა და წახდენას თქვენგან იძევს ღმერთი. და შვილისშვილიც ვეღარ იშოვნის ამ ადგილსა. ამას რატომ ვერ ხედავთ, თუ დიდის ხვეწნით და შუამავლობით მოგცესთ, რაც უწინ იყო, უარესობა იქნება. და თუ მაგათ ეს მთის ადგილები უთქვენოდ დაიჭირეს, და რადგან Ãელი მიყვეს, კიდეც დაიჭერენ, კიდევ უფრო გასუბუქდებით და მაგდენი ყურის მოგდებაც არა იქნება რა. ეს არის დრო თუ გინდათ, არას Ãელმწიფეს ეს დრო არა ჰქონიათ. ადეგით, ადეგით, ნუ ჰყოვნით, თავად ორივ წამობრძანდით, უმჯობესია, თუ არა, შვილი გამოგზავნე. წინააღმდეგი აღარავინ არის; ეგ მთის ადგილი დაიჭირეთ, იქიდამ მთა და ბარი Ãელთ დაგრჩებათ, ვერცა რას ყეენი დაგაკლებთ, ვერცა რას ხვანთქარი და მაგათ პირ-ნათლად დარჩებით, სამიდღემშიოდ ეგენი ზურგად გეყოლებიან. ეს არის დრო და ჟამი. ამილახორს კიდევ უფრო გულით უნდა, აქეთ რომ დიდი კაცი არის. თუ თავის მამულის ფიქრი გაუქარვეთ, ამათ უფრო გულით უნდათ ამ ადგილის თქვენგან დაჭერა, და ადვილიც არის ეს. ეს არის მოგვიხსენებია, თუ კიდევ არა ჰქენით, ჩვენმც უბრალონი ვართ, და სინანული ნუღარ იქნება... თუ საქმე არ წარგემართოსთ, მე თავი გამაგდებინეთ... ე სარის, მოგვიხსენებია დრო და ჟამი. აღდეგით, თუ არა ამის უკეთეს დროს ვერ იშოვნით“ [Sd-2939 1r-v].

ცნობიალია, ბესარიონ ორბელიშვილსა და ვახტანგ VI-ს განსხვავებული პოლიტიკური ხედვა ჰქონდათ. ეს წერილი კი იმის დასტურია, რომ მისთვის პირად ურთიერთობას ხელი არ შეუშლია სახელმწიფოებრივად აზროვნებაში, მეფის ფუნქციის აღქმაში. სწორედ ამის დამსახურებაა იოანე ბატონიშვილისა („კალმასობაში“–„ღირსი მწყემსმთავარი, მეფის ლეონის ძე, კათალიკოზი ბესარიონ ბაგრატოანი, იყო მონოზონებითა სრული და მოღვაწე ეკლესიებთა, სიბრძნის მოყვარებასა შინა სრული, და მქადაგებელი მსგავსად პავლე მოციქულისა. ამან შეთხზნა ქართველთ წმინდათა ცხოვრება და ისტორია. ამან დაწერა ლათინთა სარწმუნოებისა პირის-დასაყოფელი წიგნი, „გურდემლად“ წოდებული. და კეთილისა ცხოვრებითა დაიძინა უფლისად“

[ბატონიშვილი, 1948: 166]) და ანტონ ბაგრატიონის („წყობილსიტყვაობაში“–„ბესარიონ, კაცმან მაღალ გონებამ მონაზონებრთა ჰშრომათაგან ნეტარმან მწყსა ეკლესია ქრისტესი წესიერად, სიტყÂთ მგელთაგან, სიტყÂთთა ჰსცÂდა სამწყსოს“ [ბაგრატიონი, 1980: 155-156]) მიერ ბესარიონ ორბელიშვილის ღვაწლის ამგვარი შფასება და დაფასება.

ლიტერატურა:

1. ხელნაწერეთა აღწერილობა / კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი: (Q კოლექცია): I.-1953
2. ბაგრატიონი ა. წყობილსიტყვაობა.-1972
3. ბატონიშვილი ი. კალმასობა: ტ. 2.-1948
4. ჟორდანია თ. ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები.-1903
5. კარბელაშვილი პ. იერარქია საქართველოს ეკკლესიისა კათალიკოსნი და მღვდელ-მთავარნი.-1900
6. დოლიძე ი. ქართული სამართლის ძეგლები: ტ.VI.-1977
7. რუხაძე ტ. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან: XVI-XVIII სს.-1960
8. სურგულაძე მ. მცხეთის სახლი.-2016
9. სხირტლაძე ზ. გარეჯის ისტორიული დოკუმენტები XIII-XVIII სს: ნაკვ. II.-2011
10. ბაგრატიონი ა. მარტირიკა: ძველი ქართული აგიოგრაფიული.-1980
11. ხელნაწერთა აღწერილობა: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი: (A კოლექცია) 1–I.-1974
12. ხელნაწერთა აღწერილობა: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი: (A კოლექცია): 1–II.-1976
13. ხელნაწერეთა აღწერილობა: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი: (Hკოლექცია):IV.-1950

14. ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა: ტ. 3.-1967
15. ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა: ტ. 2.l-1897
16. კეკელიძე კ.ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: IV ტ.-1957
17. ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა: ტ.: 1.-8931
18. ქავთარია მ. ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე: ტ.I.-1959
19. ქავთარია მ. დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა.-1965
20. კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია: I ტ.-1951
21. კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია: II ტ.-1958
22. მენაბდე ლ.ძველი ქართული ლიტერატურის კერები: I ნაკვ.-1962
23. სხირტლაძე ზ. გარეჯის ისტორიული დოკუმენტები XIII-XVIII სს: ნაკვ. I.-2008

ნინო ოთხვანი

მტკვარ-არაქსის კულტურის ლოკალური განვითარების თავისებურება საყდრისის მაგალითზე

არქეოლოგიური და ინტერდისციპლინარული კვლევითი სამუშაოები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე წლების განმავლობაში ტარდებოდა, გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ეს გეოგრაფიული არეალი კულტურული თვალსაზრისით უდავოდ უძველესია და მასზე გადიოდა ცივილიზაციების წარმოშობა-განვითარების ვექტორები. აქ მოსახლე კულტურათა მწარმოებლურ-სამიწათმოქმედო მეურნეობაში კულტურულ-სოციალური გარდატეხა მეტალურგიის დამკვიდრებასთან ერთად იწყება. ლითონის მოპოვება-დამუშავება-რეალიზებამ განაპირობება სოციუმის სოციალური დიფერენცირება და ახალი სავაჭრო თუ პოლიტიკური ურთიერთობების გაჩენა.

რეგიონიდან ლითონის გადინების შესახებ პირველი ცნობები ძველ ასურულ (ტიგლათფილასარ I, სალმანასარ I-ის ლაშქრობები) და ურარტულ (მეფეების მენუას, არგიშტ I, სარდურ II ლაშქრობები დიაოხსა და კოლხაში) წყაროებში გვხვდება, რასაც მოსდევს ძველ ბერძნებთან დაცული (სტრაბონი, ვალერი ფლაკი) არაერთი საყურადღებო ცნობა. ძველი ბერძენი ავტორები ახსენებენ მელითონე ტომებს: ხალიბებს, მოსინიკებს, მუსხებს, ტაოხებს. მიჩნეულია, რომ ბერძნულ ენაში დამკვიდრებული ლითონის შესატყვისი სახელი „ხალუპსი,” (χάλυψ – ფოლადი; χάλχος – სპილენძი, რკინა), ასევე ხალიბების, აღმნიშვნელი ტოპონიმი უნდა იყოს [ჯავახიშვილი, 1979:23]. გამოყოფენ ხალიბების განსაკუთრებულ უნარებს მდინარიდან სასურველი მადნის მიღების და მისგან ზემდგრადი, უჟანგავი, ვერცხლივით მბზინვარე ლითონის იარაღის დამზადების, აგრეთვე მადნის სამთო წესით, მაღაროებში, მოპოვების შესახებ [გიორგაძე, 1988:91].

უძველესი მეტალურგიის თაობაზე ჩვენი ინტერესი ბევრად კონკრეტულია – შეეხება ოქროს, ოქროს მომპოვებელ ხალხებს, მათი ცხოვრების წესს. ამ მხრივ ძველი ბერძნული

ლიტერატურული ძეგლები, რომლებშიც ოქრომრავალ კოლხეთზეა საუბარი განსაკუთრებულ ყურადრებას იქცევს. აპოლონიოს როდოსელი „არგონავტიკაში” აღწერს კოლხი მეფის ძლევამოსილებას, მის განსაკუთრებულ განძს, ოქროს საწმისს [როდოსელი, 1975:117-123]. მდინარეული ოქროს მოპოვება-დამუშავებაზე მოგვითხრობს აპიანე [აპიანე,1959:103]. მადნების მოპოვების შესახებ ფრაგმენტულია ელინური პერიოდის და შუა საუკუნეების ცნობები. განსაკუთრებით სრულყოფილია XIX საუკუნის მონაცემები, როდესაც რუსეთის იმპერიის მკვლევრები იწყებენ უძველესი მაღაროების მოძიებას, სწავლობენ ადგილობრივი მელითონეების ცხოვრების წესს, ადგენენ მაღაროთა რენტაბელობას პრეისტორიული ხანიდან მოყოლებული XIX სს. ჩათვლით. იკვლევენ ლითონის საჭიროებას ადგილობრივი და საგარეო ბაზრების თვალსაზრისით [Абих, 1850:314-324].

XIX-XX საუკუნეებში განსაკუთრებული ინტენსივობით გამოკვლეული იქნა რაჭის მაღალმთიანი მონაკვეთი. აქ გამოვლინდა და აღიწერა 100-ზე მეტი მაღარო. შეფასდა მომპოვებელთა საქმიანობის სპეციფიკა და მადნის გადამუშავება-რენტაბელობის ხარისხი. ამ მაღაროთა უმრავლესობა აქტიურად გამოიყენებოდა შუა და გვიან ბრინჯაოს ხანაში. მელითონე მადანს ზედაპირზევე პოულობდა და შემდეგ ეწეოდა მის დამუშავება-ექსპლუატაციას. პირველი, სადაც მადნის მოპოვების შახტურ მეთოდზეა საუბარი, ესაა ზემო სვანეთის ღულის 80 მ-იანი შტოლნა, საიდანაც გამოჰქონდათ სპილენძი. ყველა მეტალურგიული კერა თუ საბადო, წიდები, სადნობი ქურები და ერთეულ შემთხვევაში მათთან ერთად კერამიკული მასალა, რაც კი აქამდე მიკვლეული იყო საქართველოს ტერიტორიაზე, ისტორიულად იმ ეპოქას მიეკუთვნება, როცა მეტალურგია უკვე ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო იმ დროინდელ კულტურულ სამყაროში, მაგრამ ლითონის ნივთები ბევრად ადრე, ძვ.წ. VI_V ათასწლეულებიდან ჩნდება ქვემო ქართლისა და თრიალეთის ზეგანის სამარხებში[1]. ეს კი სავარაუდოდ, ბევრად ადრინდელი მეტალურგიული კერების არსებობას გვაფიქრებინებს.

მეტალურგიის საწყის ეტაპზე, თავდაპირველად მცირე კავკასიონის, ხოლო მოგვიანებით დიდი კავკასიონის საბადოების ათვისება ხდება. აღმოსავლეთ საქართველოში დღესაც აქტიურ სამთომომპოვებელ რეგიონს წარმოადგენს ბოლნისის რეგიონი, სადაც თანამედროვე გეოლოგიურ სამთო სამუშაოებს XXს. 80-იან წლებში ბიძგი სწორედ არქეოლოგიური არტეფაქტების სიუხვემ და მელითონეთა დასახლების აღმოჩენამ მისცა. ზედაპირზევე იყო მიმობნეული ქვის უროები და კერამიკა. სამწუხაროდ, ყველა ადრეული აღმოჩენა დღეს მოქმედი კარიერის მშენებლობას შეეწირა [Муджири, 1987:53]. ამავე პერიოდიდან იწყება რეგიონის არქეოლოგიური კუთხით შესწავლაც, მაგრამ სრული სიახლე იყო საყდრისის საბადოზე, ყაჩაღიანის ბორცვზე პრეისტორიული ოქროს სამთო მომპოვებელი არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენა. ერთია, ინფორმაცია ზოგადად ლითონის ნივთის შესახებ და მეორეა, უკვე მადნის მომპოვებელ-გადამამუშავებელი ობიექტისა და მომპოვებელთა დასახლების მიკვლევა.

თანამედროვე სამთო არქეოლოგია სამთო არქეოლოგების, სამთო ინჟინრების, გეოლოგებისა და სხვათა ერთობლივ კომპლექსურ კვლევას გულისხმობს. კომპლექსურობა იძლევა საშუალებას პასუხი გაეცეს ისეთ კითხვებს როგორებიცაა: როგორი ხასიათი ჰქონდა პრეისტორიულ ხანაში მეტალურგიას: შემოიფარგლებოდა იგი მხოლოდ საკუთარი საჭიროებისათვის სამყოფი ნედლეულის მიკვლევა-ამოღებით, იყო სპონტანური სეზონური, დროის მცირე მონაკვეთზე გათვლილი თუ მუდმივმოქმედი, ინტენსიური, დიდ ეკონომიკურ ბრუნვებზე ორიენტირებული და ა.შ. ყველა მკვლევარი, ვინც კი მსგავსი ობიექტების შესწავლით ოდესმე დაკავებულა, ხაზგასმით აღნიშნავდა სამთო-ობიექტების ბუნებრივ-ტექნოლოგიურ თავისებურებებს, დამუშავების დროსა და სივრცეში გაწელილ შესაძლებლობებსა და სამთო-მომპოვებელი-გადამამუშავებელი სამუშაოების ერთობლიობის აუცილებლობას [Боярский, 1997:8-17]. გაირკვა, რომ სინჯის აღების გარეშე, მეტალურგიის ადრეულ ხანაშიც კი, მადნის გამოღება არ ხდებოდა, თუ სინჯი მადანში ლითონის სასურველ რაოდენობას არ იძლეოდა, ძველი მეტალურგი ობიექტს ტოვებს და ბედს სხვა მისთვის უფრო მომგებიან ადგილას ცდის. საყდრისის მაღაროებთან, პირველადი გადამუშავების

მოედნები იყო მოწყობილი. ეს ფაქტი ბევრ რამეზე მეტყველებს. პირველი ის, რომ პრეისტორიელი ადამიანი უფრთხილდება საკუთარ შრომას, და მეორე – იგი იცნობს მადნებს და ამუშავებს მხოლოდ იმ ობიექტებს, საიდანაც მეტ მოგებას ნახულობს. სავარაუდოდ, საქმე გვაქვს პროფესიონალ სამთოელებთან.

საყდრისის სამთო-მომპოვებელი ობიექტი. ბოლნისის მადნები შემადგენლობით რომ პოლიმეტალურია ადრიდანვე ყოფილა ცნობილი. აქ ერთმანეთს ერწყმის ვულკანური სულფიდების და ოქრო-ვერცხლის ეპითერმული საბადოები, რომლებიც ჰემატიტთან და კვარცთან ერთობლიობაშია წარმოდგენილი [ჰაუპტმანი... 2016:27-31]

საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვის არქეოლოგიური შესწავლა 2004-2005 წწ. დაიწყო. არქეოლოგები თავდაპირველად მხოლოდ წინა ეპოქებში მეტალურგების მიერ დატოვებული კვალის შესწავლით იყვნენ დაინტერესებულნი. საუბარი ოქროს მოპოვების, ან მაღაროთა სავარაუდო ასაკის შესახებ საწყის ეტაპზე არც ყოფილა. საწყისი კვლევებიდან ნათელი გახდა, რომ საყდრისის ბორცვის კვარცის ძარღვები ოქროს შეიცავს და პირველი აღმოჩენილი კერამიკული მასალაც ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურის კუთვნილებაა. საყდრისში მოძიებული მასალები და არტეფაქტები (მადანი, კერამიკა, სამთო იარაღი) ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ გამოვლენილი მაღაროები მცირე ინტერვალით, სავარაუდოდ, სეზონურად – გვიან შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, ოღონდ საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა.

საყდრისის გამონამუშევრების, ჯიბეებისა და ჩასასვლელების ეტაპობრივი გაწმენდა-გათავისუფლების დროს სამი ისტორიული პერიოდის – მტკვარ-არაქსის კულტურის, ელინისტური ხნისა და შუასაუკუნეების ეპოქის კერამიკული მასალა გამოვლინდა. აქედან 67% ეკუთვნის მტკვარ-არაქსის კულტურას. სამეცნიერო წრეებში მტკვარ-არაქსის კულტურით ცნობილი სოციალური ერთობა ფართო ტერიტორიას იკავებს და ხანგრძლივი დროით ინარჩუნებს დომინანტის როლს. პრეისტორიულ პერიოდში კულტურათა გაფართოების, მიგრაციისა და საერთო ნიშან-თვისებების

ტერიტორულად დიდ მანძილზე გავრცობის მიზეზებს შორის, უპირველესად ეკონომიკური პრიორიტეტებისათვის საჭირო, სასურველი, ეკოლოგიური და გეოლოგიური გარემო უნდა ვივარაუდოთ. კულტურამ სერიოზული ძვრები განიცადა მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, ლითონწარმოების, მეთუნეობის დარგებში, რასაც ტომთაშორის კავშირები უფრო შეკრული და ურთიერთდამოკიდებული უნდა გაეხადა. ამ ურთიერთსაჭიროებას უნდა შეეწყო ხელი ამიერკავკასიის და მისი მიმდებარე გეოგრაფიული არეალის საერთო კულტურულ-ისტორიული განვითარების საქმეში ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში და სწორედ აქ უნდა ვეძებოთ მიზეზი იმისა, რომ ასეთი სიხშირით სამხრეთ კავკასიის რეგიონი არ დასახლებულა არც ერთ სხავა ეპოქაში და არ ჰქონია მატერიალური კულტურის ასეთი ერთობა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურას მიკუთვნებული საზოგადოებრივი გაერთიანება ქმნის საერთო სივრცით-კულტურულ-ისტორიულ ფენომენს [Археология, 1994.:146].

ჯერ კიდევ შესწავლის თემაა, თუ ვინ ჩაუყარა მას საფუძველი. ყველა მოსაზრება ამ კულტურის შემოქმედთა შესახებ (წინარე ქართველური ტომები - ო. ჯაფარიძე, პ. მუნჩაევი, გ. მელიქიშვილი, თ. გამყრელიძე, მ. გაჯიევი და სხვ., ინდოევროპული თუ ხურითულ-ურარტუული) ჯერ კიდევ ძალაში რჩება [Аексеев...1989:132-133]. აღსანიშნავია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი სოციუმი ერთგვარად მარგინალია და ამავდროულად გააჩნია ყველა პირობა ცივილიზაციად გარდაქმნისა, ოღონდ მან ვერ მოახერხა ამ ზღვარის გადაბიჯება და სახელმწიფოებრივი სახის მიღება. სავარაუდოდ, სწორედ სოციალური ცვლილებებისათვის სრულყოფილად ფეხის ვერ აბმამ, გამოკვეთილი ქონებრივი ელიტის მხოლოდ ადგილ-ადგილ წარმოშობამ განაპირობა ის, რომ ერთ დროს პროგრესული, კულტურული ერთობა, რომელსაც შიდა ლოკალური განვითარების გამოკვეთილი მახასიათებლები გააჩნდა, სრულად ვეღარ ადაპტირდა. ითვლება, რომ მტკვარარაქსელთა შრომით საქმიანობაში წამყვანი როლი მესაქონლეობას და მიწათმოქმედებას უჭირავს [Риотровсккий, 1955:6; კიკვიძე, 1975:79], ამავდროულად იგი დამატებითი მეურნეობის სახით მონადირეობასა და მეთევზეობასაც მისდევს [ჯავახიშვილი...1965:46]. ამ ორი მიმართულების განვითარების შედეგად უნდა განვითარებულიყო ხელოსნობის ისეთი დარგები,

როგორებიცაა: მეთუნეობა და მეტალურგია. წარმოქმნილიყო ვიწრო ხელობითი დარგები და სპეციალიზებული ხელოსანი. ხელოსნობა შრომის დანაწილების აუცილებლობას, გაცვლითი ურთიერთობების წარმოშობას, სპეციფიკური ურთიერთობების ჩასახვას, გაცვლითი კონტაქტების გაჩენას გულისხმობს [მინდიაშვილი, 1983:195], რასაც პარალელურ რეჟიმში მოსდევს გარკვეული გეოგრაფიული სივრცის კულტურული მონოპოლიზება, სადაც კულტურული უპირატესობა ეკუთვნის იმ ჯგუფს, ვის ხელშიცაა ტექნოლოგიური სიახლეები და ის ნედლეული, რაზედაც ეპოქა ქმნის მოთხოვნებს. სავარაუდოდ, ლითონი გახდა სწორედ ის წამყანი ნედლეული, რომლის მონოპოლიზებაც მტკვარ-არაქსის კულტურის საზოგადოებამ მოახდინა.

თანამედროვე კვლევების შედეგები. საყდრისის სამთო ობიექტზე აღმოჩენილი ქვის იარაღის მრავალფეროვნება და რაოდენობა აქ საზოგადოების ეტაპობრივ კონცენტრაციაზე მიგვითითებს. აქ აღმოჩენილი კერამიკული მასალა, ფრაგმენტულობის მიუხედავად, ქმნის შესაძებლობას როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისებრივად შეედაროს იგი საქართველოსა და მის მეზობლად არსებულ მტკვარარაქსულ სხვა ცნობილ ძეგლებზე მოპოვებულ არქეოლოგიურ არტეფაქტებს. საყდრისის კერამიკის ფორმა-დანიშნულებაზე საუბარი მხოლოდ სამთო ობიექტის გათხრისას გამოვლენილი არტეფაქტებით რთული იქნებოდა, რომ არა მისგან 2 კმ. დაშორებით სოფელ ბალიჭთან, ადგილ ძეძვებში, გამოვლენილი ე.წ. „ბალიჭი-ძეძვების“ მტკვარარაქსული ნამოსახლარი, სადაც ნამოსახლარებისათვის დამახასიათებელ არტეფაქტებთან ერთად აღმოჩნდა სამთო საქმისათვის საჭირო ინვენტარი: ქვის საფქვავები, სასრესები, სანაყები, ქურები და თიხის ტიგელები. ეს ორი არქეოლოგიური ობიექტი ფუნქციურად ერთმანეთთან დაკავშირებულია. ბალიჭი-ძეძვების ნამოსახლარსა და საყდრისის მაღაროს ერთ კომპლექსად მოაზრების ვარაუდის გასამყარებლად საყდრისის მაღაროს, ძეძვების ნამოსახლარის, აგრეთვე შიდა ქართლის ერთ-ერთ გამორჩეულ გუდაბერტყას ნამოსახლარის კერამიკულ მასალაზე რენტგენის ტალღის ფლუროსცენციული სიგრძის (რფა) Pilips PW 2404 აპარატის მეშვეობით ჩატარდა ქიმიური კვლევა. ცდამ შესაძლებელი გახადა საკვლევი მასალის

შემადგენელი მცირე და მიკროელემენტები ატომის მეცხრედის დონეზე ყოფილიყო გამოკვლეული. კერამიკის კლასიფიცირების შესაძლებლობას იძლევა ძირითადი კომპონენტების გამოყოფა და ანალიზი. გამოიკვეთა, რომ ძეძვებ-საყდრისის თიხებს SiO2-ის, მაღალი და AL2O3, ასევე CaO+MgO-ს დაბალი შემადგენლობა ახასიათებს. ხოლო გუდაბერტყას მასალაში კვარცის, ანორტიტისა და დიოფსიდის სიჭარბეა. ეს პირდაპირ მიუთითებს საკვლევ ერთეულებში გამოყენებული ნედლეულის გეოლოგიურ სხვაობაზე. საყდრისისა და ძეძვების კერამიკა ნაწილობრივ ერთმანეთის მსგავსია და კალციუმით ღარიბი კერამიკაა. საყდრისის კერამიკა ორ ჯგუფად გაიყო: ერთი, რომელიც სრულად ემთხვევა ბალიჭი-ძეძვების ნამოსახლარის მასალას და მეორე, რომელსაც SiO-ის გაცილებით მაღალი და Al2O3-ის დაბალი შემცველობა ახასიათებს [ოთხვანი...2015:9-10]. საყდრისის კერამიკის ერთი ჯგუფი თიხის შემადგენლობით თანხვედრაშია ძეძვების ნამოსახლარის მასალასთან და ადასტურებს ძეძვების ნამოსახლარზე მცხოვრები და საყდრისის სამთო ობიექტზე მომუშავე ადამიანების საერთო ინტერესებს. რაც შეეხება განსხვავებულ ჯგუფს, რომელშიც MgO-ის და CaO-ის დაბალი შემცველობით ხასიათდება, მათი საცხოვრებლის ახლომახლოდ აღმოჩენა მომავლის საქმეა – საჭირო ნედლეულისათვის მტკვარარაქსელი შორს არ უნდა მიდიოდეს. მეთუნეობისათვის, ზოგადად, ტრადიციული, კონსერვატული მეთოდებია სახასიათო. მათი საშუალებით ნარჩუნდება რეგიონის ნედლეულის სპეციფიკა. ამდენად, თიხის ყველა კარიერში ლოკალური სამეთუნეო წესის, ჩვევის, მიმართულების არსებობა შეგვიძლია ვივარაუდოთ [ოთხვანი, 2012:94-95]. თანამედროვე მეთუნე საყდრის-ძეძვებსა და გუდაბერტყაშიც ადგილობრივ ნედლეულს იყენებს. გამომდინარე აქედან, თვით კულტურის შიგნით ლოკალური ერთეულების არსებობა არ უნდა გამოირიცხოს. მტკვარ-არაქსული კერამიკა საყდრისის მაღაროში სხვადასხვა დონეზე, როგორც ზედაპირზე ნაშალ ფენებში (#10015, 10042, 10042-1, 10101), ასევე მაღაროს ყველაზე ღრმა, ხელუხლებელ 10101-1 მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული პერიოდით დათარიღებულ ფენაში გვხვდება [Stöllner…2011:190-193].

საქშენი მილი. საქშენი მილი მელითონეობისათვის აუცილებელი ინსტრუმენტია, მისი მეშვეობით მადნის დნობის დაჩქარება და ტემპერატურის დარეგულირება ადვილდება. საყდრისის მაღაროს A ჩასასვლელთან ნაპოვნი კონუსური ფორმის, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან დამზადებული, საქშენი მილი რომელიც ხელითაა დამზადებული და ნაკლულია (ტაბ.I 1). ამიერკავკასიასა და ანატოლიაში სამთო ობიექტზე მისი აღმოჩენა სიახლეა. საყდრისში მადნის მოსანგრევად გამოყენებულ ქვის იარაღებთან ერთად სახეზეა მადნების პირველადი დამუშავების მოედნები, კლდეში ამოკვეთილი სანაყები და მადნის გასარეცხი კლდეშივე ამოჭრილი აუზი. საქშენი მილის აღმოჩენა ამ მხრივ აგრძელებს სამთო წარმოებისათვის აუცილებელ ლოგიკურ ჯაჭვს.

I



ტაბ. I. საქშენი მილები ამიერკავკასიიდან: 1. საყდრისის მაღარო; 2. ფიჩორის ნამოსახლარი; 3. ისპანის ნამოსახლარი (საქართველო); 4. ბაბადერვიში II; 5. მიშარჩაი; 6. იანიკ თეფე; 7. ქიულ თეფე (აზერბაიჯანი); 8. ჯაგაცატეხი (სომხეთი).

საქართველოს ტერიტორიაზე თავშევიწროებული და ბოლოგაგანიერებული, ე.წ. „კონუსური“ საქშენი მილები ცნობილია ფიჩორის ნამოსახლარის VII-VIII ფენებიდან (ტაბ.I. 2), რომლებიც ძვ.წ. III ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება [ფხაკაძე...2008. ტაბ. 4-11,12; ფხაკაძე, 1993:103-128. სურ. 25-26.; ჯიბლაძე, 2007: 60-75,191. ტაბ. CI 8; ღამბაშიძე... 2010: 489; ტაბ. LIV 872,873]. ამავე პერიოდისაა ამირანის გორის აღმოჩენაც

[ჩუბინიშვილი, 1971:57-58. ტაბ. XXIV ტაბ 3], ხოლო ძვ. წ. III ათასწ. II ნახევრითაა დათარიღებული ისპანის (ტაბ.I 3) ნამოსახლარის კონუსური ფორმის, სადა ბოლოებგაგანიერებული, ხელითნაძერწი, გამომწვარი საქშენი მილი [ღამბაშიძე... 2010:486-487. ტაბ. # 029-862[121], გვ.218]. სხვა პარალელების მოყვანა საქართველოს ტერიტორიიდან სადღეისოდ არ ხერხდება. რაც შეეხება აზრებაიჯანის და სომხეთის ტერიტორიას (ტაბ.I 8), ეს ტერიტორიაც საქართველოსთან ერთად ერთ კულტურულ სივრცეს წარმოადგენდა მტკვარ-არაქსის კულტურაში. საყდრისის საქშენ მილს პარალელი ეძებნება აზერბაიჯანში (ტაბ.I 4-7) ბაბადერვიშის, მიშარჩაისა და ქულთეფე II-ის [Махмудов, 1968:19], ხოლო სომხეთის ტერიტორიაზე (ტაბ.I 8) ჯაგაცატეხის ნამოსახლარებზე [ღამბაშიძე...2010:214,229.ტაბ.034,#61].

II



Taf. 3. Blasrohrdüsen. 11.15.19 Stein, sonst Keramik. 1.6 Alişar. 2–5 Tarsus. 7–9 Cudeyde. 10 İkiztepe. 11 Beycesultan. 12 Alaca Höyük. 13 Hanyeri. 14.19 Boğazköy. 15–17.21–22.24–26.28 Hisarlık/Troja. 18 Eskiyapar. 20 Zincirli. 23.27 Kültepe (1 nach SCHMIDT 1932; 2–5 nach GOLDMAN 1956; 6 nach VON DER OSTEN 1937 a; 7–9 nach BRAIDWOOD u. BRAIDWOOD 1960; 11 nach MELLAART 1962; 13 nach MIKAMI u. OMURA 1988 b; 14 nach ORTHMANN 1984; 15.25–26 nach SCHLIEMANN 1880; 16–17.21.24 nach BLEGEN u. a. 1951; 19 nach BOEHMER 1972; 20 nach VON LUSCHAN u. ANDRAE 1943; 22 nach KAT. BERLIN/SOFIA 1981; 23 nach ÖZGÜÇ 1950; 27 nach ÖZGÜÇ 1986). M. 1:3.

ტაბ. II საქშენი მილების კლასიფიკაცია ანდრეას მიულერ-კარპეს მიხედვით

საქშენი მილი ანატოლიაში ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევრიდან ჩნდება. არის შემთხვევები მათი ყალიბებთან და სხვა აუცილებელ ატრიბუტებთან ერთად პოვნისა. აღსანიშნავია, რომ გარკვეული რაოდენობა ანატოლიური არტეფაქტებისა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ან დაიკარგა, ან განადგურდა და მხოლოდ გამთხრელების მიერ დანატოვარ დოკუმენტაციას უნდა ვენდოთ [Schlimann,1881:650 #1338]. ყველაზე

ადრეული ნიმუში ბეიჯესულტანის XVIII ფენიდან გვაქვს, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება [Efe,1988:117]. ქრონოლოგიურად მას მოჰყვება ტროა II ფენაში ნაპოვნი საქშენი მილი, ხოლო ყველაზე კარგად დაფიქსირებული in situ ნივთი ბოღაზქოის ბეიუკკალეზე აღმოჩნდა. შემდეგ ტროა III და ბოლოს ტროა V [Müller-Karpe,1994:189], ქრონოლოგიური ჩარჩო ყველა ამ არტეფაქტისა ძვ. წ. III ათასწ. I ნახევრიდან მის მიწურულამდე მერყეობს. ამავე პერიოდის ანატოლიური ნივთებიდან მაქსიმალურ მსგავსებას საყდრისის საქშენ მილთან ვპოულობთ ტროა V-ის ფენაში, ნაგებობა 50-ში აღმოჩენილ, ფორმით იმავე ძაბრისებურ, გვერდებშებერილ ეგზემპლართან (ტაბ. II 24-26). ამით ამოიწურება ჩვენთვის საინტერესო ეპოქის მასალები ანატოლიაში. მასვე შეიძლება მიეკუთვნებოდეს ნორშუნთეფეს სამხრეთ ტერასაზე აღმოჩენილი ეგზემპლარიც [Hauptmann,1982:62].

უცხოური პარალელებიდან ერთადერთი გამონაკლისი საქშენი მილის სამთო ობიექტზე პოვნისა არის ალპების აღმოჩენა (ტაბ. III.3,4,5). როგორც საყდრისის შემთხვევებში, აქაც საქშენი მილი უშუალოდ სამთო ობიექტზე, სამთო საქმიანობისათვის აუცილებელ ნივთებთან (სანგრევი უროები, salანაყები და. ა.შ.) ერთად გვხვდება (ტაბ. III 1,2) და ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლო ხანებით თარიღდება[2] [Hauptmann, 1982:62].

III



ტაბ.III. ქვის სამთო იარაღები და თიხის საქშენი მილები ბრინჯაოს ხანის სპილენძის მაღაროდან (მერშტაინი, ავსტრია).

აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპაში საქშენი მილები აღმოჩენილია სამარხებშიც. თავდაპირველად ისინი საკრავი ინსტრუმენტის დაბოლოებად იყო მიჩნეული. მოგვიანებით სამთო ობიექტზე და შემდეგ ნამოსახლარებზე მათმა ინტენსიურმა გამოჩენამ მთლიანად შეცვალა მათდამი დამოკიდებულება. სამარხებში საქშენი მილების ჩატანება მიცვალებულის სტატუსის განმსაზღვრელი უნდა ყოფილიყო და უკვე გარკვეული რიტუალის სახე უნდა ჰქონდა.

ძნელი სათქმელია, თუ რამდენად საკუთარი ბაზრისთვის მოიპოვებს საყდრისის მაღაროელი ნედლეულს. ბალიჭი-ძეძვების ნამოსახლარზე აღმოჩენილი სამარხები

სიმდიდრით არ გამოირჩევა. სავარაუდოდ, იგი დაკვეთის შემსრულებლის რანგში უნდა განვიხილოთ. აზერბაიჯანის ჰასანსუს ყორღანში აღმოჩენილი ოქროს ხვიის მიკროელემენტები სრულად ემთხვევა საყდრისის მადნის არქეომეტრიული კვლევების შედეგებს [შტოლნერი,2016:105], რაც ნედლეულის მიგრაციაზე და ეკონომიკური ურთიერთობების არსებობაზე მეტყველებს.

---

[1] *რაც შეეხება კონკრეტულად თრიალეთის კულტურის – ძვ.წ. II ათასწ. ნივთებს ეს უკვე მაღალმხატვრული ღირებულების მქონე, დიდი ოსტატობით დამზადებული საბრძოლო თუ საიუველირო ნაწარმია, რომელთა შექმნას დიდი ცოდნა და ტრადიცია სჭირდება.*

[2] *ალპების მაღაროებში ძველი სამთოელები ძირითადად სპილენძის მოპოვებით იყვნენ დაკავებულნი.*

@font-face { font-family: Sylfaen; }@font-face { font-family: "Cambria Math"; }@font-face { font-family: Calibri; }@font-face { font-family: AcadNusx; }p.MsoNormal, li.MsoNormal, div.MsoNormal { margin: 0cm 0cm 10pt; line-height: 115%; font-size: 11pt; font-family: "Calibri", sans-serif; }p.MsoFootnoteText, li.MsoFootnoteText, div.MsoFootnoteText { margin: 0cm 0cm 0.0001pt; font-size: 10pt; font-family: "Calibri", sans-serif; }span.MsoFootnoteReference { vertical-align: super; }span.FootnoteTextChar { }.MsoChpDefault { font-size: 10pt; font-family: "Calibri", sans-serif; } div.WordSection1 { }

ლიტერატურა:

1.აპიანე. მითრიდატეს ომები.-თბილისი, 1959

2.აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა.-თბილისი,1975

3. გიორგაძე გ. ათასი ღვთაების ქვეყანა.-თბილისი,1988

4. კიკვიძე ი. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო ძველ საქართველოში.-თბილისი,1975

5. მინდიაშვილი გ. მტკვარ-არაქსული საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესწავლისთვის: ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია:#1.-თბილისი,1983

6. ოთხვანი ნ., ღამბაშიძე ირ., შტოლნერი თ., იანსენი მ. ადრე ბრინჯაოს ხანის კერამიკა საყდრისის მაღაროსა და ძეძვების ნამოსახლარიდან. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე VI (51-B).-თბილისი,2015

7. თოთხვანი ნ. იხის, როგორც სამეთუნეო მასალის დახასიათება და დიაგნოსტიკის საკითხი. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. XXVII.-თბილისი,2012

8. ფხაკაძე გ. დასავლეთ ამიერკავკასია ძვ.წ. III ათასწლეულში.-თბილისი,1993

9. ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ძვ.წ.III-II ათასწლეულების ნამოსახლარები. -თბილისი,2007

10. ღამბაშიძე ირ., მინდიაშვილი გ., გოგოჭური გ., კახიანი კ., ჯაფარიძე ი. უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ. წ. VI-III ათასწლეულებში.-თბილისი,2010

11. შტოლნერი თ. საყდრისის ოქრო – როგორ და რა რაოდენობის ოქრო იქნა მოპოვებული? სამთო წარმოება, როგორც საზოგადოებრივი პროცესი. საყდრისის ოქრო – კაცობრიობის პირველი ოქროს სამთო წარმოება.-ბოხუმი,2016

12. ჯავახიშვილი ალ., ღლონტი ლ. ურბნისი.- თბილისი,1965

13. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია.-თბილისი,1979

14. ჰაუპტმანი ა., იანსენი მ, შტოლნერი თ. საყდრისის ოქრო – მადნეული საბადოს გეოლოგია. საყდრისის ოქრო - კაცობრიობის პირველი ოქროს სამთო წარმოება.-ბოხუმი,2016

15. Абих Г. Соображения о важности рудных месторождений Нижнего Кавказаб. Горный Журнал, кн V.-Москва,1850
16. Аексеев В.П., Мкртчян Р.А. Палеоантропологический материал из погребений в Армении и вопросы генезиса населения куро-аракской культуры.-Москва,1989
17. Археология : Эзоха бронзы Кавквза и Средней Азии.-Москва,1994
18. Боярский А.Состояние и очередные задачи иисследований истории отечественного горного дела. – В сб., История горной науки и техники.-Тбилиси, 1997
19. Махмудов Ф.А., Мунчаев Р.М., Нариманов И.Г. О древнейшей металлургии Кавказа, СА-Советская археолгиа №4.- Москва,1968
20. Муджири Т. Влиание памятников горнорудного производства Грузии эпочи поздней бронзы-ранного железа.-Тбилиси, 1987
21. Риотровсккий Б.Б. Развитие скотоводство в древнейшем Закавказье, СА XXIII.-Москва, 1955
22. Чубинишвили Т.Н. К древней истории Южного Кавказа.-Тбилиси,1971
23. Efe T. Demirchihüzük. Die Keramik 2 c. Die frühbronzezeitliche Keramik der jüngeren Pfasen - ab Phase H – Ergebnisse Ausgr: 1975-19781: III, 2.- Mainz,1988
24. Hauptmann H. Die grabungen auf der Norschuntepe. in Ebd. 1, 7. 1974.- Ankara,1982
25. Huijsman 1. Melita, Krauss Robert # Stibich Robert. Prechistorische Fahlerzbergbau in der Grauwackenzone: In “Anschnit Alpencupfer Rame delle Alpei, Zeitschrift für Kunst und Kultur im Bergbau, Bericht 17, HGW Gerd Weisberger und Gert Goldenberg.-Bochum,2004
26. Müller-Karpe. Anatolisches Mettalhandwerk.-Nevmünster,1994
27. Pkhakadze G., Baramidze M. The Setelment of Pichori and Colchien Bronze Age Chronology. Acient near Erstes Supliment 19, Archaeology in Southern Caukasus:Perspectives From Georgia, Edited bu Antonio Sagona and M. AbramiShvili, Peeters, Leuven-Paris-Dudli, M.A, 2008
28. Roden Ch. Blasrohrdüyen. Ein arxäologischer Exkurs zur PIrotehnologi des Chalkolithikums und der Bronyeyeit. Der Anschnitt 40. 1988
29. Schlimann H. 650. # 1338. Ilios. Stadt und land der Tryaner. Forschungen und Entdekungen der Troas und bezonderes auf der Baustelle von Trya.- Leipzig,1881
30. Stöllner Thomas & Gambashidze Irina. Gold in Georgia II : The Oldest Gold Mine in the World, in: Anatolian Metal V,Herausgeber:Ünsal Yalçın.- Bochum, 2011

ნინო ქობალია

ოქროს მძივები წინარეანტიკური ხანის კოლხეთში

საქართველოში უძველესი ოქროს ნივთები ძვ. წ. III ათასწლეულით თარიღდება. ისინი აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოში, ე. წ. ადრეყორღანული კულტურის სამარხებში. მომდევნო პერიოდში, შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის ყორღანულ კულტურაში, იგი განვითარების საკმაოდ მაღალ ეტაპს აღწევს. გვიანბრინჯაოს ხანაში, ქართული ოქრომჭედლობა გარკვეულ დეგრადაციას განიცდის. ამის ტენდენცია არა მარტო კოლხეთში, არამედ სხვა მოწინავე საოქრომჭედლო ცენტრებშიც შეიმჩნევა. ეს შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცვლილებებით. გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდი აზიისა და კავკასიის რეგიონისთვის არის ძირეული ცვლილებების ხანა. ამ დროს არაერთი დიდი თუ პატარა სახელმწიფო და ტომი აღმოცენებულა და გამქრალა, ყოფილა ბევრი დამანგრეველი ბრძოლებიც, რაც შედეგად ხალხის მიგრაციას იწვევდა [Javakhishvili... 1987: 12].

თრიალეთის ბრწყინვალე კულტურის შემდეგ, ოქრომჭედლობის ხელახალი აყვავება წინარეანტიკური ხანის საქართველოში იწყება. ეს არის ოქრომჭედლობის განვითარების ის პერიოდი, რომლის საფუძველზეც შემდეგ შეიქმნა ვანისა და საირხის შესანიშნავი ოქროს ნივთები.

ამ პერიოდის ოქროს ნივთები უკანასკნელ ათწლეულებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების საფუძველზე გახდა ცნობილი - მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია თ. მიქელაძის ხელმძღვანელობით და საფუძვლიანი კვლევა-ძიების ობიექტი სხვადასხვა ხასიათის ძეგლებთან ერთად გახდა კოლექტიური სამარხი-ორმოები. მათი უმეტესობა სწორედ ასეთ ორმოსამარხებშია აღმოჩენილი. მანამდე ცნობილი იყო მხოლოდ რამდენიმე ნივთი შემთხვევით აღმოჩენილი განძების სახით.

კოლხურ ოქრომჭედლობაში ყოველთვის იგრძნობოდა გარე სამყაროსთან საერთო იმპულსები, რაც განპირობებული იყო ჩვენი ქვეყნის, განსაკუთრებით კი კოლხეთის, აქტიური ჩართვით მსოფლიოს კულტურულ თუ სავაჭრო-ეკონომიკურ პროცესებში.

აღნიშნული პერიოდის ოქროს ნივთების აღმოჩენა მნიშვნელოვანია, რადგან ემთხვევა იმ პერიოდს, როცა კოლხეთი პირველად იხსენიება ბერძნულ და ურარტულ წერილობით წყაროებში, რაც ოქროს ნივთების აღმოჩენასთან ერთად, ამ რეგიონის აყვავების ხანაზე უნდა მიუთითებდეს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია განვიხილოთ წინარეანტიკური კოლხეთის ოქრომჭედლობისთვის დამახასიათებელი ერთი კატეგორიის ნივთები – ოქროს მძივები.

მძივები ოქროს სამკაულის ერთ-ერთი ყველაზე ძველი, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სახეობაა. მათ ვხვდებით ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულის მსოფლიოს უძველეს ოქრომჭედლობის ნიმუშებში ვარნადან (ბულგარეთი). ძვ. წ. III ათასწლეულიდან ვრცელდება მესოპოტამიაში, ეგვიპტეში, მცირე აზიაში და შემდეგ, მძივების ზოგიერთი ფორმა მცირე აზიიდან (ანატოლიიდან) მიგრირებული ხალხის წყალობით აღწევს საბერძნეთის სხვადასხვა რეგიონში (კიკლადებთან, ელადაში) [Higgins, 1980: 76]. მსოფლიოს უძველეს მძივებს შორის ვხვდებით სამ ძირითად ფორმას - სფერულს, ბიკონუსურსა და ცილინდრულს. ტექნოლოგიის მხრივ, გრანულაციას და ფილიგრანს. მათ კარგად ფლობდნენ მესოპოტამიაში, სირიასა და მცირე აზიაში. ეგვიპტესა და საბერძნეთში იგი ცოტა მოგვიანებით, ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგიდან ვრცელდება [Higgins, 1980: 20-21].

წინარეანტიკური ხანის ოქროს ნაწარმში სწორედ ძველი ტრადიციების ამსახველი იმპულსები შეინიშნება. ტექნოლოგიის მხრივ აქაც ვხვდებით გრანულაციიათ, ფილიგრანითა და ფურცვლოვანი ოქროსგან დამზადებული მძივების ძალზედ მრავალფეროვან სახეობას. ფორმითაც გვაქვს სფერული, ბიკონუსური და ცილინდრული.

მათში გამოვყოფთ ორ ტიპს – ჭვირულ და მთლიან მძივებს. ჭვირულ მძივებში კიდევ ვასხვავებთ ორ სახეობას – მავთულოვანი ღეროებისგან დამზადებულ ჭვირულ მძივებს და ჭვირული ეფექტის მქონე მძივებს. ასევე, მთლიან მძივებშიც გამოირჩევა განსხვავებული სახეობები და მასზე ქვემოთ მექნება საუბარი.

ყველაზე მრავალფეროვან ჯგუფს წარმოადგენს მავთულოვანი ღეროებისგან შედგენილი ჭვირული მძივები. დღევანდელი მონაცემებით, ისინი აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცაიშის N1 [პაპუაშვილი... 2015: 16. სურ. $74_{12.13}$] და N2 [პაპუაშვილი... 2015: 20. სურ.$85_{7,8,9}$] სამარხ-ორმოებში, ნოსირისა [გაგოშიძე, 1972: 12-18] და ფარცხანაყანევის [გაგოშიძე, 1972: 20-22] განძებში. აღმოსავლეთ საქართველოში მათ ვხვდებით ნარეკვავის [ნარეკვავი, 1999: 110-112] სამაროვანზე, ცხინვალის განძში (გაგოშიძე, 1972: 22-25) და ურბნისის მე-16 უბანზე [გაგოშიძე, 1972: 26-27], სამარხის ნაშთში. რაც შეეხება ქრონოლოგიას, ყველაზე ადრეული კომპლექსი, რომელშიც მსგავსი მძივებია აღმოჩენილი გახლავთ ცაიშის N2 სამარხი ორმო, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის I მეოთხედით არის დათარიღებული (პაპუაშვილი, 2010: 32-42). ცაიშის N2 სამარხი ორმო კი ძვ. წ. VIII ათასწლეულის მიწურილითა და VII ათასწლეულით თარიღდება [პაპუაშვილი... 2015: 9-10].

ნოსირისა და ფარცხანაყანევის მძივებს მკვლევარი ბ. კუფტინი, სარდიონის წითელი, სფერული მძივების საფუძველზე (ორივე განძში მსგავსი მძივებია აღმოჩენილი) ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებით ათარიღებს [Куфтин, 1949: 169, 177]. ამავე პერიოდით არის განსაზღვრული ცხინვალის განძიც, რომელიც ერთ ასეთ ჭვირულ მძივს შეიცავს. რაც შეეხება ნარეკვავის N41 სამარხს, იგი ძვ. წ. VII-V საუკუნეებით არის დათარიღებული [ნარეკვავი, 1999: 110-112], თუმცა, ვფიქრობ, აღნიშნული ნაწარმიც, უდავოდ, წინარეანტიკურ ხანის ოქრომჭედლობის კუთვნილება უნდა იყოს, გამომდინარე იქიდან, რომ შემდგომი პერიოდის ოქრომჭედლოობაში ამ სახის მძივებს არ ვხვდებით. ამ აზრს ამყარებს თვითონ ოქროს შეფერილობაც – შედარებით ღია ფერი, რაც წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობისთვისაა დამახასიათებელი და იშვიათად ვხვდებით კლასიკური პერიოდის ნიმუშებში. რაც შეეხება ურბნისის ძეგლის

თარიღს, ლ. ჭილაშვილი აღნიშნულ ნაწარმს აახლოებს ახალგორის განძთან და მათ თანადროულად მიიჩნევს, თუმცა ი. გაგოშიძე, საკინძისმაგვარი ნივთის სტილისტური მახასიათებლებიდან გამომდინარე, სრულიად სამართლიანად, მათ წინარეანტიკური ხანის ოქრომჭედლობას აკუთნებს და VII-VI საუკუნის ნაწარმად თვლის [გაგოშიძე, 1972: 27].

ამ ტიპის ჭვირულ მძივებში ვხვდებით როგორც სფერულ, ისე ცილინდრული ფორმის მძივებს. ერთ შემთხვევაში მძივი შედგება ცილინდრული ფორმის მიკალზე დარჩილული ოქროს მავთულებისგან. მათ ვხვდებით ცაიშის N2 და N1 სამარხ-ორმოებში, ნოსირში და ნარეკვავზე. ზოგ შემთხვევაში, მძივებს ცილინდრული მილაკი არ აქვს დატანილი და ორ რგოლზეა დარჩილული. ნარეკვავის ერთ-ერთ მძივზე სფერო დაგრეხილი მავთულებისგან არის შექმნილი და იგი ფილიგრანული ტექნიკის ძალიან დახვეწილი გამოვლინებაა. მირჩილვის კვალი იშვიათად თუა შესამჩნევი და სიმეტრიულობაც თითქმის იდეალურია (თუმცა ისეთი იდეალური არა, როგორც შემდეგ, კლასიკური ხანის ოქრომჭედლობაში გვხვდება). ბიკონუსური ფორმის მძივებს შუაში გასდევთ სარტყელი და დამზადებულნი არიან როგორც სადა, ისე დაგრეხილი და წნული მავთულებისგან. ასევე ოდნავ განსხვავებულ ფორმას წარმოადგენს მოღუნული მავთულებისგან შედგენილი სფერო, რომელთა მავთულები შუაში ერთმანეთზე, ბოლოებში კი ორ რგოლზეა დარჩილული, მათაც ვხვდებით ნოსირში და ნარეკვავში დანარჩენ ჭვირულ მძივებთან კომბინაციაში (იხ. ტაბულა). ამ ტიპის მძივებში შეიძლება გავაერთიანოთ ურბნისში აღმოჩენილი მძივიც, მხოლოდ მას ბოლოებში, მათულის ნაცვლად ოქროს ფირფიტისგან დამზადებული და შუაში გახვრეტილი ნახევარსფეროები აქვს დატანილი. სფეროებზე, წრეწირის გასწვრივ, მირჩილულია ორმაგი მავთულის 4-4 ნახევარწრე, რომლებიც ერთმანეთშია ჩასმული და ამგვარად შექმნილია სფერო. ასევე ოდნავ განსხვავებული ფორმისაა ცხინვალში აღმოჩენილი ერთი მძივი, რომელიც წარმოადგენს ღერძის ბოლოებზე დარჩილული მავთულებიდან გამომავალ, ბორჯღალისებურად მოხრილ 12-12 მავთულს.

მსგავს ჭვირულ მძივებს პარალელები განსხვავებულ პერიოდსა და კულტურულ არეალშიც ეძებნებათ. უადრესი პარალელი აღმოჩენილია ჯერ კიდევ ადრეელადური პერიოდის ერთ-ერთ ყელსაბამზე ტირეატისიდან, რომელიც ძვ. წ. XXII საუკუნით არის დათარიღებული [Higgins, 1980: Pl.1]. მიუხედავად ფორმის დიდი მსგავსებისა, საკმაოდ დიდი ქრონოლოგიური სიშორის გამო, მათი კავშირი კოლხურ მძივებთან, ალბათ, დაუშვებელია, მაგრამ მაინც საჭიროდ ჩავთვალე მათი აქ ხსენება. ეგვიპტეში მსგავს მძივებს ვხვდებით რამზეს II-ის შთამომავლის, დედოფალ ტაუსერტის სამკაულში (ძვ. წ. XII ს) [Lesko, 1966: 29-32]. საკმაო რაოდენობით გვხვდება ისინი სომხეთშიც: ძვ. წ. XII-IX საუკუნეებით დათარიღებულ მეწამორის N11 სამარხში [Khanzadyan, 2007: tab.LXVII]. ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებით დათარიღებულ ლორი-ბერდის N29 სამარხში [Khanzadyan, 2007: tab.LVII] და ძვ. წ. VII საუკუნის ლორი ბერდის N62 [Khanzadyan 2007: tab.LXXVII], N56 [Khanzadyan, 2007: tab.LXXVIII], N63 [Khanzadyan, 2007: tab.LXXXIII] და N64-II [Khanzadyan, 2007: tab.LXXXVII] სამარხებში. შედარებით ადრეული პერიოდის ძეგლებზე, მეწამორის და ლორი ბერდის N29 სამარხებში, ისინი მცირე რაოდენობით (2-2 ცალი) დასტურდება. ამასთან, აქ აღმოჩენილი მძივები ფორმითაც უფრო არქაული ჩანს, ვიდრე ძვ. წ. VII საუკუნის სამარხებში აღმოჩენილი ნიმუშები. აქ ისინი გაცილებით უფრო მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ სამარხში (ლორი-ბერდის N56-II) სამარხი აღმოჩენილ მსგავსი ტიპის მძივებთან ერთად გამოვლენილია ამ პერიოდის კოლხური ოქრომჭედლობისთვის დამახასიათებელი სხვა სახის ნივთებიც - სამკუთხა საკიდები, საკინძისმაგვარი ნივთი და სხივანა საყურე.

ფორმის თვალსაზრისით, მეორე ტიპის ჭვირულ მძივს შეიძლება დავუკავშიროთ კვირაცხოველში აღმოჩენილი ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებით დათარიღებული საკინძის თავები [*Гамбашидзе,* 1985*:* 31-36]. კოლხეთში, შემდგომი პერიოდის ოქრომჭედლობაში, როგორც აღვნიშნე, მსგავსი ფორმის მძივებს აღარ ვხვდებით, თუმცა, ეს ჭვირული ფორმები არსებობას განაგრძობს ე. წ. ჭვირულბურთულებიან საყურეებზე. ამგვარი საყურეები აღმოჩენილია ვანის N9, 11 და N22 (Kacharava... 2009: 261; Kacharava... 2008:84] სამარხებში, ფიჭვნარის N1 და N5 სამარხებში [მახარაძე... 2007: 32-33, 50-56], ითხვისის

N3 სამარხში [გაგოშიძე... 2006: 46-48] და ფიჭვნარის ბერძნულ ნეკროპოლისზე [კახიძე... 2014:91-92, სურ.54]. ორივეგან ისინი ძ. წ. V საუკუნის დასასრულითა და ძვ. წ. IV საუკუნით არიან დათარიღებულნი.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ამგვარ მძივებს უადრესი და შორეული პარალელები ჯერ კიდევ ძვ. წ. XXII საუკუნის ადრეელადურ ეპოქაში ეძებნებათ, თუმცა მათი კავშირი კოლხურ მძივებთან, ვფიქრობ, გამოსარიცხია. საინტერესოა ასევე ფაქტიც, რომ მსგავს სახეობას არ ვხვდებით წინარეანტიკური ხანის კოლხეთის თანადროულ სხვა მოწინავე საოქრომჭედლო ცენტრებში – საბერძნეთი, ეტრურია და სხვა.

კოლხეთსა და სომხეთში აღმოჩენილი მძივები ქრონოლოგიურად ძალიან ახლოს დგანან ეგვიპტის კარგად დათარიღებულ ყელსაბამთან, ამიტომ სრულიად დასაშვებად მიმაჩნია, რომ ეგვიპტეში, სომხეთსა და საქართველოში აღმოჩენილი თითქმის ანალოგიური სახის ნივთები თანადროული იყოს და მათი გავრცელების ზოგად თარიღად გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა მივიჩნიოთ. გამომდინარე იქიდან, რომ ისინი ყველაზე მრავალფეროვნად და მრავალრიცხოვნად საქართველოს ძეგლებზეა წარმოდგენილი, შესაძლოა ვივარაუდოთ მათი ადგილობრივი წარმომავლობაც, სომხეთში გავრცელებული ნიმუშები კი კოლხური კულტურის სომხეთში ინფილტრაციის შეგედი უნდა იყოს და ეს არა მხოლოდ ორქომჭედლობაში, არამედ სხვა ტიპის ნაწარმითა და ფაქტებითაც დასტურდება [პაპუაშვილი 2003: 63-65]. კლასიკური პერიოდიდან, ამგვარ მძივებს არ ვხვდებით არც კოლხურ და არც სომხურ ოქრომჭედლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეპოქაში იწარმოება უამრავი, სხვადასხვა ფორმის მძივი, ამიტომ, ამგვარი მძივები თამამად შეიძლება მივიჩნიოთ წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობისთვის დამახასიათებელ ერთ-ერთ დეტალად. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ტიპის მძივებს, ჭვირული მოტივის თვალსაზრისით, ადრეული პროტორიპები გვიანბრინჯაოს ხანის ჭვირულთავიან საკინძებში (კვირაცხოველიდან), ხოლო შემდეგ – ვანის, საირხის, ითხვისისა და ფიჭვნარის ჭვირულბურთულიან საყურეებში ეძებნებათ, მართებული იქნება, ვთქვა,

რომ მათ გენეტიკური კავშირი აქვთ როგორც წინამორბედ, ისე, შემდეგი პერიოდის სამკაულთან.

ჭვირული მძივების მეორე ჯგუფს წარმოადგენს ფარცხანაყანევსა და ცხინვალში აღმოჩენილი ნიმუშები, რომლებზეც ჭვირულობა სულ სხვა ტექნოლოგიური ხერხით არის მიღებული. ფარცხანაყანევის განძში ასეთი მძივები აღმოჩენილია ერთი ცალი, ხოლო ცხინვალის განძში – ხუთი. გაფორმების მხრივ – ცვარათი გამოყვანილი გეომეტრიული სახეები – ძალიან ახლოს დგას როგორც თანადროული კოლხური ოქრომჭედლობის სხვა ნიმუშებთან, ისე თანადროული სხვა კულტურის ოქრომჭედლობის დეკორთან (ეტრურია, ფინიკია და საბერძნეთი და სხვ.).

ფარცხანაყანევის მძივი დამზადებულია მკრთალი ოქროს თხელი ფირფიტის ნახევარსფეროებისგან (იხ. ტაბულა), რომელიც შუაში, სარტყლის გასწვრივ, ერთმანეთზეა მირჩილული. მძივს დაყოლებული აქვს თეთრი ოქროს ფურცელშემოვლებული სპილენძის ან ტყვიის მილი, რომლის ბოლოებზეც შემორტყმულია ოქროს მავთულის რგოლები. ამ ამობურცულ რგოლებს გარედან, ძირში, მჭიდროდ ერტყმის წვრილი მავთული. მისგან 8 მმ-ის დაშორებით, მძივის ზედაპირზე, დარჩილულია ასეთივე წვრილი მავთულის რგოლი, რომელთა შორის არეში ჩასმულია გავარსით შესრულებული 9-9 სამკუთხედი, ფუძეებით გარეთა მავთულზე და წვერით ბოლოსკენ მიმართული. წვეროები შიდა რგოლს ისე ებჯინებიან, რომ მის გარშემო იქმნება გავარსით შესრულებული ცხრასხივიანი ვარსკვლავი. მძივის მთელი ზედაპირი გავარსის მჭიდრო რომბულუჯრედოვანი ბადითაა დაფარული. რომელთა შორის არე ჩაჩხვლეტილია ოთხწახნაგაგანივკვეთიანი იარაღით და ამგვარად იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მძივი მხოლოდ გავარსის ბურთულებისგანაა აგებული ფირფიტოვანი საფუძვლის გარეშე. იგი ჭვირული ხელობის სრულ შთაბეჭდილებას ახდენს [გაგოშიძე, 1972: 21].

როგორც აღვნიშნე, ზუსტად ასეთივე ტექნიკით დამზადებული ხუთი მძივია აღმოჩენილი ცხინვალის განძში [გაგოშიძე, 1972: 22-25], რომელთაგან სამი თითქმის

ანალოგიურია ფარცხანაყანევის მძივისა, ოღონდ აქ გავარსის ბადე, რომლითაც მძივის ზედაპირია დაფარული, უფრო დიდია. მეოთხე მძივიც თითქმის ისეთივეა, ოღონდ ინტერვალი გავარსის რიგებს შორის აქ კიდევ უფრო გაზრდილია და ბადის ყოველი უჯრედი დამატებით გადაღობილია სამ-სამი მარცვლით ორ მართკუთხედად. ტიხარი მონაცვლეობით ხან მარცხნივაა დახრილი, ხან მარჯვნივ. ორნამენტი საბოლოოდ დიდ რომბებში ჩასმულ სვასტიკების სახეს იღებს. ყოველი უჯრედი აქაც ჩაჩხვლეტილია. ბოლოებში აქაც ვარსკვლავია გამოსახული, რომელიც ერთ მხარეს რვა სხივისგან შედგება, მეორე მხარეს კი ოსტატს ისეთივე ვარსკვლავის გამოსახვა უცდია, მაგრამ შედეგად მიუღია შვიდსხივიანი დეფორმირებული ვარსკვლავი. მეხუთე მძივიც ცოტა განსხვავებულია, თუმცა დამზადების ტექნიკა აქაც იგივეა. ისინი დამზადებულია ორი ნახევარსფეროსგან, რომლებსაც დაყოლებული აქვთ ღერძი, მათ ბოლოებზე მავთულის რგოლებია დარჩილული. მძივის ზედაპირზე შვიდ პარალელურ რიგად, ერთმანეთისგან დაშორებით, დარჩილულია მსხვილი ბურთულები, რომელთა 3/4 -ს სფეროს ფორმა აქვს.

ფარცხანაყანევისა და ცხინვალის მძივებს ზუსტი ანალოგი არ აქვს, მაგრამ ფორმის მხრივ, ისინი ძალიან ახლოს დგანან ყაზბეგის ცვარათი შემკულ, სფერულბურთულიან საყურეებთან [ლორთქიფანიძე, 2015: 193, 206-207] რომლებიც, ოქროს შეფერილობიდან გამომდინარე, შესაძლოა ქრონოლოგიურად ძალიან ახლოსაც იყოს ფარცხანაყანევისა და ცხინვალის საყურეებთან. ერთი ცალი მსგავსი მძივი აღმოჩენილია საირხის ძვ. წ. V საუკუნით დათარიღებულ N1 სამარხში [მახარაძე... 2007:ტაბ.1]. დეკორის მხრივ, ისინი ძალიან ახლოს დგანან ამავე პერიოდის კოლხური ოქრომჭედლობის სხვა ნიმუშებთანაც. მძივების ცვარათი გაფორმების ტრადიცია არ არის უცხო არც წინარე (თრიალეთურ) და არც მომდევნო ეპოქის ოქრომჭედლობისთვის. ოქროს მავთულითა და გრანულაციით შემკულ მძივს ვხვდებით ძვ. წ. XV საუკუნის მიკენურ ოქრომჭედლობაშიც. რაც შეეხება თვითონ ცვარათი გამოყვანილ გეომეტრულ სახეებს, ისინი აქტუალურია მათ თანადროულ ეტრუსკულ, ფინიკიურ, იონურ და ურარტულ ოქრომჭედლობაში. მსგავსი მძივები, შემდეგ, აქტუალობას იძენს სარმატული პერიოდის ოქროს ნაწარმშიც.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ჭვირული ეფექტის მქონე მძივები, უდავოდ წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობისთვის სახასიათო სტილით არის შექმნილი, რომელშიც ასახულია თანადროული პერიოდის დასავლურ სამყაროში გავრცელებული ტენდენციები – გეომეტრიულობა და ცვარა.

მთლიანი მძივების ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს ცვარათი შემკული ცილინდრული ფორმის მძივები. მათში ვხვდებით როგორც ცვარას ბურთულებისგან შედგენილ, ისე ოქროს ფირფიტისგან დამზადებულ, ცვარას ბურთულებით ნაწილობრივ გაფორმებულ ნიმუშებს.

ცვარას ბურთულებით შეგდენილი ცხრა და ცვარათი ნაწილობრივ გაფორმებული ათი მძივია აღმოჩენილი ერგეტის I სამაროვნის N5 სამარხ ორმოში, რომელიც ძვ. წ. VIII საუკუნის II ნახევრით და VII საუკუნის დასაწყისით არის დათარიღებული [Микеладзе... 1985: 37-40]. ერთი ცალი მსგავსი მძივია აღმოჩენილი ამავე პერიოდით დათარიღებულ ურეკის N3 სამარხ-ორმოში [მიქელაძე, 1985:9-10].

ასეთი მძივები შემდეგი პერიოდის კოლხურ ოქრომჭედლობაშიც განაგრძობს არსებობას. ცვარათი შედგენილ ცილინდრული ფორმის სამ მძივს ვხვდებით საირხის ძვ. წ. V საუკუნის N1 სამარხში. განსხვავებით ადრეანტიკური ხანის მძივებისგან, საირხის მძივი შედგენილია გაცილებით უფრო წვრილი და დახვეწილი გრანულებისგან.

ცილინდრული ფორმა მძივების ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. მათ ვხვდებით მესოპოტამიაში, სირიასა და ეგვიპტეში, სადაც ამგვარ მძივებს ზოგჯერ „მუმიების მძივებსაც'' უწოდებენ. ძვ. წ. XV საუკუნის შემდეგ ისინი მოდაში შემოდის მიკენურ ოქრომჭედლობაში (ანაცვლებს სფერულსა და ბიკონუსურ ფორმას) და გავრცელებულია ძვ. წ. XI საუკუნემდე. აქ აღმოჩენილია როგორც ცვარათი ნაწილობრივ გაფორმებული, ისე ცვარათი შედგენილი, ცილინდრული ფორმის მძივები (მიკენის N103 სამარხი, ვაფეო, ტოლოსაზე, დანდრაში) [Higgins, 1080: 76].

მსგავსი მძივები ასევე უხვად არის სომხეთში, ჯერ კიდევ ძვ. წ. XV-XIV სს-ით დათარიღებულ ძეგლზე ვანაძორში, ძვ. წ. XV-XIV სს-ით დათარიღებულ ლჭაშენის N2 და N10 ყორღანებში, მეწამორის ძვ. წ. XII საუკუნის დასასრულითა და IX საუკუნით დათარიღებულ N8 და N11 სამარხებში, და ლორი-ბერდის ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებით დათარიღებულ N45 სამარხში [Khanzadyan, 2007].

ისინი ფართოდაა გავრცელებული ძვ. წ. VII-V საუკუნეების ფინიკიურ ოქრომჭედლობაშიც [Marshal, 1911:144, pl. 23] და ფინიკიელების კოლონიაზე კართაგენში [Quillard, 1979:1-3, pl.1]. ასევე ძვ. წ. VI საუკუნით დათარიღებულ ძეგლზე სარდისში [Özgen, 1966:187] და ძვ. წ. IV საუკუნის ბერძნულ დასახლებაზე პანტიკაპეიონში, ძვ. წ. V-VI საუკუნის სარმატულ ოქრომჭედლობაში, აქვე უნდ აღვნიშნოთ, რომ პანტიკაპეიონის და მსგავსი ტიპის კლასიკური ხანის მძივები, ისევე როგორც საქართველოში, სხვაგანაც გაცილებით წვრილი გრანულებისგან არის დამზადებული. ფორმით მსგავსი მძივები, შემდეგ, რომაულ ოქრომჭედლობაშიც არ კარგავენ პოპულარობას.

როგორც ვხედავთ, მათი ქრონოლოგია საკმაოდ დიდ დიაპაზონს მოიცავს. მიკენური სამყაროს შემდეგ, მათ დიდი რაოდენობით ვხვდებით სომხეთის გვიანბრინჯაოს (ვანაძორი, ლჭაშენი) და ადრერკინის ხანით დათარიღებულ ძეგლებზე. ლიდიაში მსგავსი მძივები ძვ. წ. VII საუკუნემდე არის გავრცელებული. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მეწამორში აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის სამარხებში ასევე ვხვდებით ე. წ. ნალისებრი ფორმის საკიდს, რომელიც საქართველოში აღმოჩენილია გვიანბრინჯაოს ხანით დათარიღებულ, ბერიკლდეების სამარხში. გამომდინარე სომხეთისა და კოლხური ოქრომჭედლობის მსგავსებისა, შესაძლოა ერგეტაში აღმოჩენილი მძივებიც მათი თანადროული იყოს და ზოგი მათგანი გვიანბრინჯაოს ხანითაც თარიღდებოდეს.

ამ ტიპის ის მძივები, რომლებიც VI საუკუნის მერე გვხვდება, გამოირჩევა უფრო დახვეწილი და პატარა ფორმებით – ისინი უფრო პატარა ზომის გავარსის

ბურთულებისგან არის დამზადებული და უმეტესწილად აქვთ უფრო ბიკონუსური ან მომრგვალებული ფორმა.

ასევე აღსანიშნავია, რომ ამგვარ ცილინდრული ფორმის ცვარათი შემკულ მძივებს შესაძლოა მოვამსგავსოთ ამავე და შემდეგ პერიოდში გავრცელებული პასტის ყვითელი კოპებით შემკული მძივები. შესაძლოა, ისინი ამ მძივების მიბაძვითაც მზადდებოდა. ზოგადად კი, ძვირფასი ლითონის მძივების ფორმათა გამეორება, მინისა თუ სხვადასხვა ნახევრადძვირფასი ქვებისგან დამზადებულ ნაწარმში უძველესი დროიდანვეა ცნობილი.

ამრიგად, როგორც ჩანს, ერგეტა I N5 სამარხსა და ურეკის N3 სამარხ-ორმოში მოპოვებული ცილინდრული მძივები ქრონოლოგიურად ძვ. წ. VII საუკუნეს არ უნდა სცდებოდეს და, თუ გავითვალისწინებთ მსგავსი მძივების გავრცელების ტენდენციას, იგი შესაძლოა გაცილებით უფრო ადრე, გვიანბრინჯაოს ხანაშიც მზადდებოდა.

მთლიანი მძივების კიდევ ერთ სახეობას წარმოადგენს კოპებით შემკული სფერული ან ბიკონუსური ფორმის მძივები, რომელთაგან 4 ცალია აღმოჩენილი ერგეტის II სამაროვნის N4 სამარხ ორმოში, ხოლო ერთი ერგეტის III სამაროვნის N2 სამარხ-ორმოში. აღმოსავლეთ საქართველოში, მათ ვხვდებით დიღომში. ისევე როგორც ამ პერიოდის ოქროს სხვა კატეგორიის ნივთები, ისინი მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი ლორი-ბერდის სამაროვანზეც. ერთი ამგვარი ბრინჯაოს კოპებიანი მძივი აღმოჩენილია ყობანშიც. ერთი შეხედვით, შესაძლოა, ისინი ზოგიერთი სახის თვალად მძივებსაც მივამსგავსოთ.

კიდევ ერთ სახეობას წარმოადგენს ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად დაღარული სფერული და ბიკონუსური ფორმის მძივები. ისინი აღმოჩენილია ცაიშის N2 სამარხ-ორმოში. იგი სამკაულის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. მათ ვხვდებით ჯერ კიდევ ძვ. წ. XV-XVII საუკუნეების მესოპოტამიურ ოქრომჭედლობაში (ურის მდიდრულ სამარხებში). ისინი აქტუალურია ბერძნულ სამყაროში ძვ. წ. XV საუკუნემდე (თუმცა თითქმის ყველა პერიოდის ოქრომჭედლობაში ვხვდებით მეტნაკლები სიხშირით). ძვ.

წ. IX-VII საუკუნეებში გავრცელებულია აღმოსავლეთ საბერძნეთის ტერიტორიაზე, ლიდიასა და ფინიკიაში. ასევე აღსანიშნავია მსგავსი ფორმების გამეორება სხვადასხვა ნახევრადძვირფასი ქვებით დამზადებულ მძივებში როგორც საქართველოში, ისე – მის საზღვარს გარეთ.

საქართველოს ტერიტორიაზეც მათ ვხვდებით როგორც წინარე, ისე შემდგომი პერიოდის (ალგეთის, ვანისა და საირხის მდიდრულ სამარხებში) ოქომჭედლობაში. როგორც აღვნიშნე, ისინი ასევე მრავლადაა აღმოჩენილი სომხეთშიც.

ამრიგად, ვფიქრობ, ასეთი ფორმის მძივები აღმოსავლური სამყაროდან შემოსული ფორმაა რომელიც, ალბათ, დღემდე აქტუალურად გამოიყენება.

მძივების კიდევ ერთ ჯგუფს წარმოადგენს ოქროს ფოლგისგან დამზადებული მძივები, რომლებიც რაღაც მასით იყვნენ ამოვსებულნი (ან გადაკრული იყო რაღაც მასაზე).

ოქროს ფოლგის გარსაკრავები გავრცელებულია წინარე პერიოდის, თრიალეთურ ოქრომჭედლობაშიც. ამგვარ მძივებს, რამდენიმე ერთეულის სახით ვხვდებით თლიას ადრერკინის ხანის სამარხებში, სადაც ისინი პასტაზეა გადაკრული. დამზადების ეს ტექნიკა შემდგომი პერიოდის ოქრომჭედლობაშიც განაგრძობს არსებობას (აქაც ძირითადად მძივის შიგთავსად პასტაა გამოყენებული.

საქართველოს ფარგლებს გარეთ, ამგვარ ოქროს ფოლგით დაფარულ, სხვადასხვა მასალისგან დამზადებულ მძივებს ვხვდებით ძვ. წ. XXX-XX საუკუნეებში, კრეტაზე, სადაც ისინი გადაკრულია ქალცედონის ან ფაიანსის შიგთავსებზე. ისინი გავრცელებულია მიკენის ძვ. წ. XV-XI საუკუნის სამარხებში. გვაქვს ერთი ოქროს ფოლგით გადაკრული კალის მძივი საბერძნეთშიც. თუმცა, თვითონ ოქროს ფურცლით ნივთის დაფარვა ალბათ უფრო სირიიდან გავრცელებული ტრადიციაა, რადგან პირველად აქ ვხვდებით მსგავს ტექნიკას.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობა მოიცავს საკმაოდ მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან მძივს, რომლებშიც მეტნაკლებად

კარგად არის ასახული აღმოსავლური თუ დასავლური კულტურის ტენდენციების შერწყმა ადგილობრივ ტრადიციებთან და ამავდროულად, საკუთარი, ინდივიდუალური სტილიც. მიუხედავად იმისა, რომ იგი საგრძნობლად განსხვავდება წინარე და მომდევნო კულტურის ოქრომჭედლობისგან, მაინც შეიძლება მათში გარკვეული გენეტიკური კავშირის დაჭერა როგორც ტექნოლოგიის, ისე ფორმების მხრივ.

ასევე აღსანიშნავია, რომ წინარეანტიკური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობის ერთ-ერთ სახასიათო დეტალად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ ბევრი ნივთი დაბალი სინჯის ოქროსგან არის დამზადებული. ამგვარი ტენდენცია შეინიშნება თანადროულ კულტურებშიც – ბერძნული და ლიდიური ოქრომჭედლობის განხილვისას ავტორები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ ძვ. წ. VI საუკუნემდე ვხვდებით უფრო ღია შეფერილობის (ლიმონისფერ) ოქროს, რაც მიუთითებს, რომ მათი შემადგენლობა 75%-ზე მაღალი არ უნდა იყოს. ძვ. წ. VI-V საუკუნეების შემდეგ კი სიტუაცია რადიკალურად იცვლება. როგორც ცნობილია, ოქრო ბუნებაში სუფთა სახით არ მოიპოვება. მათ ვხვდებით კვარცის ვენებში ვერცხლის, სპილენძისა თუ სხვა ლითონის მინარევთან ერთად (უმეტესად ვერცხლთან). რაც შეეხება მდინარეულად მოპოვებულ (ალუვიურ) ოქროს, იგი ქანურისგან შედარებით უფრო გაწმენდილი სახით გვხვდება, რადგან დროთა განმავლობაში მისი მინარევები ოქსიდირდება და რჩება შედარებით სუფთა სახის ოქრო. ძვ. წ. VI საუკუნიდან აქტიურად შემოდის ოქროს რაფინირების ტექნიკა (მას შემდეგ რაც ყალიბდება სამონეტო მიმოქცევა). ამ პერიოდიდან ვხვდებით უფრო ნატიფ და რთული ორნამენტული სახეებით გამოყვანილ ფორმებს (გრანულები, ოქროს ფურცელი, ფილიგრანი), რისი მიღებაც გაცილებით უფრო ადვილია რაფინირებულ, მაღალი სინჯის ოქროზე. წინარეანტიკური ხანის კოლხური ოქრომჭედლობის უმეტესობა სწორედ ასეთი, ღია შეფერილობის ოქროთი არის დამზადებული, თუმცა, ვხვდებით შედარებით მაღალი სინჯის ოქროს ნივთებსაც, რაც შესაძლოა ალუვიურად მოპოვებული ოქროსგან იყოს დამზადებული. ზოგი მათგანის შემადგენლობა სპექტრული ანალიზის შედეგადაც არის დადგენილი, თუმცა მათი უმეტესობა ჯერ კიდევ შესასწავლია, რაც შემდეგ უფრო ნათელ სურათს მოგვცემს მათი

შესწავლისთვის. რაც შეეხება კლასიკური ხანის ოქრომჭედლობას, ძვ. წ. VI საუკუნიდან ოქროს დამუშავების და რაფინირების ტექნიკა იმდენად მაღალ დონეზე იყო, რომ კოლხი ოქრომჭედელი სხვადასხვა შეფერილობის ოქროს გამოყენებით ნივთებს გარკვეულ ფერადოვან ეფექტსაც კი უქმნიდა.

ლიტერატურა:

1. პაპუაშვილი რ. კოლხურ სამაროვანთა აბსოლუტური ქრონოლოგიისათვის // არქეოლოგიური ჟურნალი.-N 5.- 2010
2. გაგოშიძე ი., გოგიბერიძე ნ., მახარაძე გ. ითხვისის სამაროვანი // არქეოლოგიური ჟურნალი.- N4.- თბილისი.2006
3. კახიძე ა., ვიკერსი მ. ფიჭვნარი VI - კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის შედეგები (2003-2007 წწ.).- ბათუმი-ოქსფორდი, 2014
4. მიქელაძე თ. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები: კაეშ. 2.- თბილისი.1985
5. გაგოშიძე ი. მასალები ქართული ოქრომჭედლობის ისტორიისთვის: (ჩვენს წელთაღრიცხვალმე I ათასწლეულის I ნახევარი) // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.-N32 –B.- თბილისი: მეცნიერება, 1976

6. ლორთქიფანიძე ნ. ძველი ქართული სამკაული.-თბილისი, 2015
7. აფაქიძე ა. ნარეკვავი: 1: (მცხეთა, 1998).-თბილისი: საქ. მეცნიერებათა აკადემია,1999
8. მახარაძე გ., წერეთელი მ. საირხე.- თბილისი, 2007
9. პაპუაშვილი რ., ესებუა თ., ჯიქია ლ., პაპუაშვილი ი. ცაიშის სამაროვანი.- თბილისი: ზუგდიდი, 2015
10. პაპუაშვილი რ. კოლხურ სამაროვანთა აბსოლუტური ქრონოლოგიისათვის // არქეოლოგიური ჟურნალი.-N5.-2010
11. პაპუაშვილი რ. კოლხური ბრინჯაოს ექსპორტი // ძიებანი N12.- თბილისი.- 2003
12. Marshall F. Catalogue of the Jewellery - Greek, Etruscan and Roman.-London, 1911
13. Kacharava D., Kvirkvelia G. Wine, Worship, and Secrifice: the Golden Graves of Ancient Vani.- 2008
14. Kacharava D., Kvirkvelia G. Ancient Civilizations from Scythia to Siberia 14.-2009
15. Quillard B. Bijoux Carthaginois. I. Les Colliers // Institut Supérieur d'Archéologie et d'Histoire de l'Art.-1979
16. Higgins R. Greek and Roman Jewellery.-Berkeley and Los Angeles,1980
17. Lesko L. H. A Little More Evidence for the End of the Nineteenth Dynasty // Journal of the American Research Center in Egypt.-Vol. 5.-1966
18. The Export of Colchian Bronze // Researches.- Journal.-5.-N 12.- Tbilisi.- 2003
19. Куфтин Б.А. Матеряли к археологии Колхиды: 1.- Тб., 1949
20. Javakhishvili A., Abramishvili G. Jewellery and Metalwork in the Museums of Georgia.-Leningrad, 1986
21. Khanzadyan E. The Gold of Ancient Armenia: (III mill. BCE–14 cent. AD).-Yerevan, 2007
22. Гамбашидзе О. С. Отчет о работе Месхет-Джавахетской экспедиции в 1982. - ПАИ, 1982.-с.31-36.
23. Микеладзе Т. К., Мигдисова Н. П., Папуашвили Р. И. Исследования Колхидской Археологической експедиции: ПАИ в 1982 Году.- 1985
24. Leonard H. Lesko. A Little More Evidence for the End of the Nineteenth Dynasty // Journal of the American Research Center in Egypt.- Vol. 5.-1966
25. Özgen I. The Lydian Treasure.-Istanbul, 1966

პრზემისლავ პოლაკიევიჩი

საწყისი დათვალიერება უცნობი კომპლექსური დასახლებისა მდინარე ჩხერის ხეობაში, სტეფანწმინდაში, დიდ კავკასიონზე, საქართველოში

2017-2018 წლებში, რამდენიმე კვირის განმავლობაში, ყაზბეგის არქეოლოგიური ინსპექტირების ჯგუფმა[1] სტატიის ავტორის ხელმძღვანელობით ჩაატარა წინასწარი არქეოლოგიური დათვალიერება ადგილისა, რომელიც მდებარეობს სოფელ გერგეთის ჩრდილო-დასავლეთით (2 კმ. მანძილზე), სტეფანწმინდის დასავლეთ პერიფერიებზე და წარმოადგენს ხევის რეგიონის უკიდურეს ჩრდილოეთით მდებარე დიდ დასახლებას დიდ კავკასიონზე, საქართველოში (სურ. 1). მოცემული ადგილი შემჩნეულ იქნა ავტორის მიერ 2015 წელს ჩხერის ველიდან სოფელ წდოსკენ ფეხით გადაადგილების დროს. დარიალის ხეობასთან[2] ახლო მდებარეობამ და ტოპოგრაფიამ, რომელიც დიდი ხელოვნური ცვლილებების ნიშანს შეიცავდა, ავტორი არქეოლოგიური ძეგლის მნიშვნელობაზე დააფიქრა [Makalatia, 1934: 13, 22, 25, 35 – 37, Mindorashvili 2005: 176 - 179, Galichian, 2007: 17, 18; Gagoshidze I. 2008: 9, Rayfield, 2012: 17,24-25,32-33,59,63,90-91,123,137, Sauer… 2016: 18-24]. შემდგომმა მონაწილეობამ დარიალის ხეობის ძეგლების გათხრებში და ცოდნის გაღრმავებამ ცენტრალური კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის სფეროებში, გაამძაფრა ავტორის ინტერესი. დათვალიერებულ იქნა ზემოთხსენებული ტერიტორიის მცირე ნაწილი (მწვერვალი და მთისწინეთი) ფეხით გადაადგილებითა და საბაზისო ჩანაწერით, რომელიც მისდევდა ერთჯერადი კონტექსტუალური ჩაწერის მეთოდოლოგიას (ფოტოგრაფირება, ჩანაწერების გაკეთება და გას-ს ჩანიშვნა) [Anderson… 2014: 13-14]. კვლევამ გამოავლინა აშკარა მტკიცებულებები დასახლების არსებობისა. სამწუხაროდ, აღნიშნულ ეტაპზე შეუძლებელი გახდა დაფიქსირებული ნიშნების ქრონოლოგიის დადგენა. ზედაპირზე მოპოვებული არტეფაქტები არ იძლევა თარიღის დადგენის საშუალებას[3]. ჩვენი ინტერესის ობიექტი მდებარეობს მდინარე ჩხერის ა-დ ორიენტირებული

ხეობის შუაში, მდინარე ტერეკის მარცხენა შესართავთან[4] (სურ. 1). მოცემული ტერიტორია ხასიათდება ვულკანური აქტივობით. მისი სტრატიგრაფიის უმაღლესი დონეები დაფარულია მთის მდელოთა ნიადაგის ფენებით, რომლებიც შერეულია ჩრდილოეთით მდებარე კლდის ნაპირებიდან ჩამოყრილ ქვის მასალასთან. აღნიშნული კლდიდან წარმოქმნილი რამდენიმე რიყის ქვა განთავსებულია ტერასისებრ ბრტყელ ზედაპირზე.

ნახევრად განცალკევებული გორაკი, რომელზეც არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს, აღმართულია 35 მეტრის სიმაღლეზე ხეობის ძირიდან. იგი ნაწილობრივ ემიჯნება მდინარე ჩხერის ხეობის ფერდობის ჩრდილოეთ მხარეს. სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით და, ნაწილობრივ, ჩრდილოეთით არქეოლოგიური ძეგლი შემოსაზღვრულია ციცაბო კლდეებით, რომლებიც ვერტიკალურად ეშვება ფერდობის ერთი-მესამედიდან. ძეგლს აქვს ხაზისებრ ასიმეტრიული, ბუნებრივად გამოყვანილი თირკმლის ფორმა (სურ. 2; 3). დასავლეთი მხარის ერთი-მესამედი მიუყვება ხეობის ძირითად ნაწილს, უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ და გარდაიქმნება ოთხკუთხა ნახევარკუნძულად, რომელიც მიემართება ჩხერის ველის საპირისპირო მხარეს და ქმნის მდინარის კანიონის დავიწროებულ ნაწილს.



სურ. 1. კოლსტეტის ადგილმდებარეობა Google Earth-ის მიხედვით.

გორაკის წინა მხარის გასწვრივ განთავსებულია ხეობის ძირიდან აღმართული კლდოვანი მეჩეჩი, რომელიც უხვევს ჩრდილოეთით და მთავრდება მომიჯნავე აღმოსავლეთით მიმართული ფერდობით[5]. ფრიალო კლდის ძირში განთავსებულია გამოქვაბულები, რომლებიც შორიდანაც შეიმჩნევა. მთისწინეთის სამხრეთ-აღმოავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში ორი დიდი თავშესაფარია. ისინი ამჟამადაც გამოიყენება მწყემსების მიერ.

განხილული გორაკის მწვერვალის ტოპოგრაფია კომპლექსურია, მოიცავს ბუნებრივ ფორმებსა და ხელოვნური მოდიფიკაციის ნიმუშს (სურ. 2; 3; 5). ყოველივე ზემოხსენებულის მიხედვით, საკვლევი ტერიტორიის საზღვრები კარგად არის გამოკვეთილი და, ძირითადად, შემოფარგლულია მკვეთრი კიდეებით. თუმცა, ხეობის დამრეცი აგარის მომიჯნავე ნაწილში საზღვრები არ არის გამოყოფილი. ამასთანავე, შესაძლოა მომავალი ცვლილება ჩრდ. ნაწილისა, რომელიც განთავსებულია კარგად გამოკვეთილი უმაღლესი არქეოლოგიური ნაშთების თავზე[6]. ყველაზე მკაფიო განსხვავებაა ტერიტორიის დასავლეთ ნაწილსა და ნახევარკუნძულისებრ აღმოსავლეთ

ტერმინუსს შორის. სიმაღლე იცვლება დაახლოვებით 1973 მეტრიდან 2020 მეტრამდე.[7] ტერასისებრი პლატო არის 272 მეტრი. მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერმინუსი 39.2 მეტრია, სამხრეთ-დასავლეთით სიგანე 23 მეტრს უტოლდება. ტერიტორიის მწვერვალზე ასვლა შეიძლება სხვადასხვა მხრიდან. თუმცა, აღმოსავლეთის გზა ძირითადი და ყველაზე კომფორტულია, რადგან გამოირჩევა მრავალჯერადი გამოყენების ნიშნებით და კვეთს მტკნარი წყლის წყაროს, რომელსაც შემდგომ მოვიხსენიებთ. უახლოესი წყალსაცავი მდებარეობს საკვლევი ტერიტორიის მწვერვალიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 100 მეტრის მანძილზე. ეს არის პატარა წყარო, რომელიც მიედინება სამხრეთით, ხეობის ფერდობებისკენ და კვეთს მწვერვალისკენ მიმავალ აღმოსავლეთის გზას. შესაძლოა, წარსულში წყარო მიედინებოდა საკვლევ ტერიტორიაზეც. თუმცა, კვლევამ არ დაადასტურა მისი არსებობა. მდინარე ჩხერე მიიკლაკნებოდა 50 მეტრის მანძილზე (სამხრეთით) გორაკის ძირიდან. თუმცა, წყლის მიმართულება და მდინარის კალაპოტი ხშირად იცვლებოდა. გორაკის მწვერვალი დაფარულია ბალახოვანი მდელოებით, რომლებიც საძოვრების ფუნქციას ასრულებს, შემოდგომაზე კი იფარება თივის ზვინებით. პლატოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მიწა ამაღლებულია, იზრდება მცირე რაოდენობის არყის ხეები. საკვლევი ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ფერდობი ნაწილობრივ დაფარულია არყის ბუჩქნარით. წიწვოვანი ბუჩქები იზრდება ქვების წყებებშიც.

სურ. 2. ჩხერის გორაკი - ხედი აღმოსავლეთიდან.

მოცემულ ტერიტორიასთან დაკავშირებულია რამდენიმე ტოპონიმი. ადგილობრივი მოსახლეობა საკვლევ გორაკს უწოდებს კობი/კუობი-ს ან კოლსტეტს[8]. პირველ ორ სიტყვას თითქმის იდენტური მნიშვნელობა აქვს და შეიძლება ითარგმნოს, როგორც კაულდრონი – ნიშანი, რომელიც გვახსენებს ტერიტორიის შეღუნულ, შეღრმავებულ ფორმას (სურ. 2; 3). უნდა აღინიშნოს, რომ ეს სიტყვები ძველ ქართულში აღნიშნავდა გამოქვაბულს[9] [Mchedlishvili…2008]. კიდევ ერთი გამოთქმა, კოლსტეტი, რომელიც უკავშირდება აღნიშნულ ადგილს, საკმაოდ ცნობილია ადგილობრივ ტრადიციაში. მოცემულ ტერმინს არა აქვს მნიშვნელობა ქართულ ენაში. სავარაუდოდ, ის უკავშირდება ჩრდილო კავკასიურ ენებს. მკვლევრების ჯგუფმა დააფიქსირა საკვლევ ტერიტორიასთან დაკავშირებული კიდევ ერთი სიტყვა, საგულაბელი, რომელიც, ასახავს მხოლოდ ტერიტორიის სიახლოვეს არსებულ ტოპოგრაფიულ ნიშანს. საგულაბელი შეიძლება განიმარტოს როგორც ადგილი, სადაც გვიან შემოდგომაზე მოსახლეობა ინახავს გამხმარ თივას პატარა გროვებად, ლპობისგან დაცვის მიზნით[10] cave [Mchedlishvili…2008]. ამასთანავე, ეს

ადგილი უთოვლოა, არ მოიცავს ბუნებრივად წარმოქმნილ ნარიყს და ლოკალიზებულია ფერდობზე, დაახლოვებით 50 მეტრის სიმაღლეზე საკვლევი ტერიტორიის დასავლეთ ნაწილიდან[11].

შეფასებამ დაადასტურა, რომ არცერთი არსებული წერილობითი წყარო არ მოიხსენიებს შესწავლილ ტერიტორიას ზემოხსენებული სახელებით. თუმცა, ადგილობრივ ტრადიციაში შემონახულია ისტორია შუასაუკუნეების შემდგომი დასახლებისა. ოჯახების გვარებიც არის დაფიქსირებული. სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის დირექტორის, ი. კაზალიკაშვილის, მტკიცებით, შესწავლილი გორაკის მწვერვალზე განლაგებული სოფელი არსებობდა გვიანი მეთექვსმეტე – ადრეული მეჩვიდმეტე საუკუნეებიდან – გვიან მეცხრამეტე საუკუნემდე.

სურ. 3. კოლსტეტის გორაკის მწვერვალი. ხედი დასავლეთიდან. ზედა მარჯვენა კუთხეში არის გერგეთის სამების ეკლესია. მარცხნივ არის სტეფანწმინდა.

2016 წლის პირველმა მოკლე ვიზიტმა დაადასტურა ერთი წლით ადრე შორიდან შემჩნეული ნიადაგის მოდიფიკაცია ტერასების, გორაკებისა და ზედაპირული სიბრტყელის სახით. ტერიტორიის მოხვეულმა, ნახევრად თანაბარმა მოხაზულობამ და

მნიშვნელოვანმა სხვაობამ შემაღლებული ადგილებისა შეზღუდა გორაკის მწვერვალის გამოყენება. თუმცა, მთელი ტერიტორიის სივრცითი რეგულაცია არის ეფექტური. კარგად არის მისადაგებული ბუნებრივი ტოპოგრაფიაც. გამოიყოფა სხვადასხვა ზომის შვიდი ტერასა. კვლევის საჭიროებიდან გამომდინარე, შესასწავლი სეგმენტები დაინომრა პირველიდან შვიდის ჩათვლით. ნომერი ერთი მიენიჭა დასავლეთით განთავსებულ უმაღლეს ტერასას. პირველ და მეორე სეგმენტებს აქვს იდენტური მართკუთხა ფორმა (ზომა- 31მ. x 22მ.). ცენტრალური ტერასების ზომები უფრო მცირეა (N 3-N 6), რაც ადგილობრივი ტოპოგრაფიით არის განპირობებული – გორაკის მწვერვალი იხრება, გარდაიქმნება ნახევარკუნძულად, იქმნება ფერდობის დამატებითი დაქანება. უდიდესი ზომისაა ყველაზე დაბალი ტერასა N7, მიმართული სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ, გადაჭიმული მთელი ნახევარკუნძულის გასწვრივ, მაქსიმალური სიგანით 39.2 მ. და სიგრძით 73 მ. (სურ. 2; 3). საკვლევი ტერიტორიის მომიჯნავე ჩრდილოეთ მხარეს არა აქვს აშკარა ზედაპირული მოდელირება. გამონაკლისია სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, რომლის ფუძე უერთდება არსებული ქვის კომპლექსის ნარჩენებს. შეიმჩნევა უფრო ფართო მასშტაბის მქონე ქვის კომპლექსების არსებობის დამადასტურებელი ნიშნებიც. სავარაუდოდ, ხელოვნურად არის შექმნილი პირველი ტერასის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში არსებული ბორცვი, რომელიც უკავშირდება ქვის კონსტრუქციას (სურ. 4; 6). ამ სწორი, მკვეთრად გამოხატული L–ის ფორმის ხელოვნური გორაკის (ზომით 15მ.x15მ.x5მ.) უმაღლესი წერტილი ბრტყელი ტერასიდან 3 მეტრის სიმაღლეზეა განთავსებული. აღწერილი ბორცვი მოიცავს ორ სეგმენტად წარმოდგენილ არქიტექტურულ ნარჩენებს. მთავარი, უმაღლესი სეგმენტი, ორიენტირებულია ჩრდილო-სამხრეთით, ხოლო მომიჯნავე, ყველაზე დაბალი – აღმოსავლეთ-დასავლეთით. მეორე ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს დეფორმირებული 2 მეტრის სიმაღლის მიწაყრილი, რომელსაც აქვს ხაზოვანი, მართკუთხა, დასავლეთისკენ მიმართული, კლებადი ფორმა. მისი ყველაზე გრძელი ჩრდილო-სამხრეთი კიდე გადაჭიმულია 14 მეტრზე, ხოლო უმოკლესი აღმოსავლეთ-დასავლეთი კიდის სიგანე 5 მეტრია. მის თავზე ფიქსირდება ქვის სტრუქტურის მოხაზულობა. მესამე სეგმენტის სამხრეთ ნაწილში აღმართულია

მეორე მიწაყრილი, რომელიც უდავოდ უკავშირდება ყველაზე დაბალ ნაწილში შემორჩენილი შენობის კონსტრუქციას (სურ. 5). უცნობია მეშვიდე ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში არსებული უმნიშვნელოვანესი ყორღანების წარმომავლობა. კვლევის ამ ეტაპზე ავტორი ვერ ადასტურებს არსებული ობიექტების არქეოლოგიურ ხასიათს მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მან დააფიქსირა მომიჯნავე რაიონში არსებული რამდენიმე უფრო მცირე ბორცვი კენწეროში მოთავსებული დაუმუშავებელი ქვებით. აღწერილი მიწაყრილის შემაღლებული სამხრეთ ნაწილის გასწვრივ შემჩნეულ იქნა კონცენტრაციები ნახევრად მიწაში ჩაფლული, გამოჩორკნილი ქვებისა. კვლევის ამ ეტაპზე საეჭვოა პირველი ტერასის კიდეების გასწვრივ ხაზობრივი ზვინულის არსებობა.

სურ.. 4. გორაკზე არსებული ქვის სტრუქტურა. პირველი ტერასის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი.

ხსენებულ არქეოლოგიურ ნიშნებთან ერთად, საკვლევი ტერიტორიის ზედაპირის ხელახალი მოდელირება მიმდინარეობს გამოკვეთილი რელიეფით, რომელიც

დაკავშირებულია უფრო მასშტაბურ მიწის სამუშაოებთან. სავარაუდოდ, ერთ-ერთი მათგანია ძირითადი მიწაყრილი გზა, რომელიც აერთებს საკვლევი ტერიტორიის ზედა სეგმენტებს ყველაზე დაბალ ტერასებთან ან ხეობის ძირთან. საჰაერო ფოტომასალის არ არსებობის გამო, ავტორმა შეისწავლა მხოლოდ ხელმისაწვდომი სურათები და ივარაუდა, რომ უნდა არსებობდეს ხაზისებრი ჭრილი აკროპოლისის ჩრდილოეთ მხარის გასწვრივ. ტერიტორიის შემდგომი შესწავლისას ნაწილობრივ დადასტურდა ეს თეორია, რადგან აღმოჩენილ იქნა შესაბამისი ჭრილები ტერასების საფეხურებიან ჩარჩო-კიდეებში[12]. კვლევამ აგრეთვე გამოავლინა ზედაპირის ხელახალი მოდელირების შესაბამისი ნიშნები (ნარჩენები ქვის სარდაფებისა, მიწის ჭრილები, რომლებიც შეესაბამება უცნობი რელიეფის კონტურებს), რომლებიც მოგვიანებით იქნება განხილული.

სურ. 5. კოლსტეტის ცენტრალური ნაწილი და გორაკები 1, 2, 3 (მარჯვნიდან მარცხნივ). ტერასის ზედაპირს აქვს ინტენსიური მოდელირების ნიშნები.

კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი არის არქიტექტურული ნაშთის მოძიება თითქმის მთელ საკვლევ ტერიტორიაზე. რელიქტები შემონახულ იქნა მხოლოდ უმდაბლეს ნაწილში ქვით ნაშენი შენობის კედლების კონტურის სახით. აღმოჩენილ იქნა ნაირსახეობა არქიტექტურული ფორმებისა. თუმცა, ყველაზე მეტი კვადრატული ან მართკუთხა შენობებია. ყველაზე საინტერესო და კარგად შემონახულია (1.80 მ. სიმაღლის კედლები) სტრუქტურა, რომელიც განთავსებულია პირველი ტერასის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მდებარე გორაკზე. ამ კონსტრუქციას აქვს მართკუთხა (4.50 მ.x4.50 მ.) ოთახი, ჩრდილოეთით ნახევრად დახრილი. 0.85 მეტრი სისქის კედლები აგებულია ფართო, მკვეთრად თლილ ქვებზე, რომლებიც განთავსებულია არა ქვენაფენ ქანზე, არამედ ბუნებრივად წარმოქმნილ რიყის ქვებზე (სურ. 6). მოცემული სტრუქტურის ქვემოთ, გორაკის *ეწ* ფერდობზე, აღმოჩენილ იქნა ორი ქვით შემოსაზღვრული ნიშა[13]. ეს სტრუქტურა მომიჯნავე *ეს* ოთახისგან (9 მ.x8 მ.) გამოიყოფა უფრო სქელი (0.60 მ.) კედლით, რომელიც აგებულია უფრო მცირე ზომის, ძირითადად, ბრტყელი ქვებისგან (შესაძლოა, კედელი აიგო უფრო გვიან, ვიდრე – კომპლექსის დანარჩენი ნაწილი)[14]. 8 მეტრი სიგრძის ჩრდ.-სამხ. კედელს, რომელიც მიუყვება აღმოსავლეთ მხარეს, აქვს კომპლექსური, 1 მეტრი სისქის სტრუქტურა ცარიელი კვადრატული არხებით. ისინი დაფიქსირებულია ტერმინუსზე, რომელზეც არის 1 მეტრი სიგანის შესასვლელიც. *ი*-ს მომიჯნავე ოთახს აქვს კვადრატული ფორმა (5 მ.x5 მ.) და შევსებულია ქვის ნარჩენებით. ეს არის სტრუქტურის ქვედა მხარე, რომელიც აგებულია მართკუთხა მიწის პლატფორმაზე. ხსენებული შენობის ნარჩენების ქვეშ არის ციცაბო ქედი, რომელსაც აქვს ხელოვნური რეკონსტრუქციის სახე. მის დასავლეთ ნაწილში აღმოჩენილ იქნა მიწაში ჩაფლული ქვის გროვა.

ქვის ბლოკებისგან აშენებული სტრუქტურა არსებობდა საკვლევი ტერიტორიის სამხრეთ კიდის გასწვრივ, მეორე ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ყრილის თავზე. შესწავლამ აჩვენა ორი დამუშავებული ყორის წყება, რომლებიც წარმოდგენილია კიბისებრი, პლატფორმის-მსგავსი სტრუქტურის სახით. აღმოსავლეთით მიმართულ ნაწილში, კიბეებს შორის, არის ქვით გამოკვეთილი სარდაფი. თუმცა, მისი ხშირი წიწვოვანი ბუჩქნარ-საფარველი კვლევას შეუძლებელს

ხდის. მესამე პლატფორმაზე გამოყოფილი რელიეფის ქვეშ ქვის შენობის ნანგრევები ფიქსირდება. დიდი ოთახი (5.50 NS x 6.70 EW) წარმოადგენს მეორე კარგად შემონახულ ქვის სტრუქტურას ინტერიერში დიდი რაოდენობის ლოდების გარეშე. კედლები 0.40 მ. - 1. 20 მ.ა. აშენებულია ქვებით. თუმცა, მათში ჩასმულია ბლოკები, რომელთა ზომა აღემატება პარამეტრებს: სიგრძე - 0.70 მ.; სიგანე - 0.50 მ. კედლების სისქე ასევე შთამბეჭდავია. *ი* არის 1.20 მ., ხოლო *ეს* 1.60 მეტრია. აღნიშნული სტრუქტურის აგებისას, აღმოსავლეთის კედლის გამაგრების მიზნით, აღმართულ იქნა მიწის ზვინული. ამასთანავე, დასავლეთით მდებარე კედლის აგების მიზნით, გაკეთდა ჭრილი ტერასის მხარეს. მესამე ტერასის ჩრდილოეთ მხარეს მდებარეობს მეორე ქვის სარდაფი. მისი მონაცემების დაფიქსირება გართულდა მაღალი ხშირი ბუჩქნარისა და ქვის გროვების გამო[15]. იმავე მდგომარეობაშია ქვის სარდაფები. მეხუთე პლატფორმის სამხრეთ კიდეზე შეიმჩნევა დიდი სარდაფის კონტური, რომელიც ქვების გროვას წააგავს მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთით მდებარე კედელი და ჩრდილო-დასავლეთით არსებული კუთხის ქვები სავსებით აღქმადია.

ყველა შესწავლილ ქვის სტრუქტურას აქვს მსგავსი მოდელი. ისინი აღმართულ იქნა ანალოგიური ტექნიკის გამოყენებით, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „მშრალი

სურ. 6. დასავლეთით მდებარე, კარგად შემონახული კედელი შენობისა, რომელიც მდებარეობს პირველ ტერასაზე, ს./დ.-ით. სურათის მასშტაბი - 2 მ.

კედელი“, რაც ნიშნავს, რომ მაკავშირებელი მასალა არ იქნა გამოყენებული[16]. ქვები ოსტატურად იქნა შერჩეული და დაწყობილი (სურ. 6).

ერთ შემთხვევაში, პროგრესული არქიტექტურული გადაწყვეტილება იქნა მიღებული – პარალელური ნაპრალები გაკეთდა პირველი ტერასის მაღალი კედლის შიგნით. სამშენებლო მასალა ადგილობრივი წარმომავლობის ქვაა. იქმნება შთაბეჭდილება მხოლოდ თლილი ბლოკების გამოყენებისა. არცერთი განზრახ გამოყვანილი ქვა არ დაფიქსირდა. არქიტექტურული სტრუქტურების დარჩენილი ნაწილები არ იძლევა დათარიღების საშუალებას. კვლევამ გამოავლინა ერთნაირი მართკუთხა ფორმის 9 არქიტექტურული რელიქტი. მიწაში ჩაშენებული თავისუფლად აღმართული სტრუქტურები, ძირითადად, განლაგებულია ტერასებზე, გორაკის მწვერვალის ცენტრალურ დახრილ ნაწილში. რთულია პირველი პლატფორმის უკიდურეს

ჩრდილოეთ კიდეზე და მეორე პლატფორმის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში არსებული სტრუქტურების წარმომავლობის განსაზღვრა. თუმცა, ადგილობრივი წყაროების მიხედვით, პირველი პლატფორმის სამხრეთ-დასავლეთით არსებული სტრუქტურა იყო კოლსტეტის მაცხოვრებლების სამლოცველო, ანუ მას ჰქონდა საკრალური ფუნქცია[17].

აღმოჩენილ ნაგებობებს შორის არის ნაკლებად გამოკვეთილი კონტურები სტრუქტურული ნარჩენებისა. იგულისხმება მიწის მოდიფიკაციების გასწვრივ განლაგებული ქვები, რომლებიც, სავარაუდოდ, უკავშირდება სხვადასხვა პერიოდის დასახლებას. ასეთი მრავალფეროვანი ნარჩენები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად. ერთ-ერთი, მიწაში შემონახული კატეგორია, არის ფუნდამენტური. მისი დანახვა შორი მანძილიდანაც შეიძლება. ამ კატეგორიაში შედის რამდენიმე ნაგებობა, განთავსებული საკვლევი გორაკის მწვერვალის გადასწვრივ. თუმცა, პირველი ტერასის ტერიტორია, რომელიც განთავსებულია სამლოცველოს ნანგრევების ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, მნიშვნელოვნად უნდა იყოს შეცვლილი. მეორე ჯგუფი წარმოდგენილია მიწისზედა გამოკვეთილი კონტურებით, რომლებისთვისაც ნიშანდობლივია ქვების გროვები. პირველი ტერასა არის ერთ-ერთი ტერიტორია, რომელზეც შეიძლება ასეთი ობიექტის დაფიქსირება. სავარაუდოდ, მეორე ტერასის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ნაგებობაც მსგავსი ნიშნების მატარებელია. განხილული სტრუქტურის არსებობა დასტურდება ველის კიდეებში განლაგებული 4 დაუმუშავებელი რიყის ქვით. ერთი ქვა განთავსებულია დასავლეთისკენ ორიენტირებულ კიდეზე, აღმოსავლეთით მიმართული ტერასის საფეხურის გვერდით. სამი კი შემორჩენილია აღმოსავლეთ-დასავლეთით ორიენტირებულ ხაზზე, მეორე ტერასის შემაღლებული ნაწილის დახრილი კიდის გასწვრივ[18]. ქვებით შეუზღუდავი სამხრეთი მხარე მიუყვება საკვლევი ტერიტორიის დახრილ საზღვარს. ამასთანავე, ნახევრად მიწაში ჩაფლული მომრგვალებული ბრტყელი ქვა განთავსებულია იმ ქვების საპირისპირო მხარეს, რომლებიც ქმნის ჩრდილო-სამხრეთის ხაზოვან ნაგებობას. ამ კატეგორიაში ყველაზე საინტერესოა მესამე ტერასის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე დიდი ნაგებობა. აღნიშნული ობიექტის ფორმა შეინიშნება მწყობრად განლაგებული რამდენიმე

ლოდის დაკვირვებული შესწავლით. მართკუთხა ფორმის ნაგებობა გადაჭიმულია 20 მეტრზე აღმ.-დას. და 7 მეტრზე სამხ.-ჩრდ. მისი ფართო გამრუდებული დასავლეთ ნაწილი ვიწროვდება აღმოსავლეთის მიმართულებით. ქვები განზრახ იყო დაწყობილი იმ ბრტყელი მიწის პლატფორმის კიდის გასწვრივ, რომლის აღმოსავლეთი კიდე ქმნის შესასვლელს. ამ უკანასკნელის გვერდები გამოყოფილია ქვებით, რომლებიც მიუყვება 3.20 მ. სიგანისა და 6 მ. სიგრძის შესასვლელი პლატფორმის კიდეებს. აღნიშნული ნაგებობა აგებულია ადგილობრივი კლდეების სხვადასხვა ზომისა და ფორმის სარსენის ლოდებით. ყველაზე დიდი ლოდები ქმნის დასავლეთ ნაწილს და დაშორებულია არათანაბარი მანძილით.

აღნიშნული ნაგებობების მსგავსება საშუალებას გვაძლევს, ვისაუბროთ მათ ანალოგიაზე. კერძოდ, მეორე და მეშვიდე ტერასების სტრუქტურებს აქვს ანალოგიური მდებარეობა (ტერასის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე), კორექცია და განლაგება. მათ სიახლოვეს არსებული გამოკვეთილი ქვები გვაფიქრებინებს საერთო ხასიათის ფიზიკურ ნიმუშზე[19].

კოლსტეტის გორაკის მწვერვალის შესწავლამ გამოავლინა ხუთი გამოკვეთილი ქვა. ისინი არ უკავშირდება არსებულ არქიტექტურულ ნაგებობებს. აღნიშნული ობიექტები შემჩნეულ იქნა პირველ, მეორე და მეშვიდე ტერასებზე და არ გამოირჩევა მოღუნვის ნიშნებით. შესწავლილი ქვების დათვალიერება საშულებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ არსებობდა სულ მცირე ორი ხერხი ქვის ფორმირებისა. პირველ შემთხვევაში, ეს იყო სახეცვლილი 3 ქვის ერთობლიობა, რომლის კიდეები ქმნიდა საფეხურს ან ნახევრად სწორ კუთხეს. აღნიშნული ხერხი გამორიცხავდა სამი ქვის ფილისებრ განთავსებას, რადგან ორი ქვა ვერტიკალურად იყო მიწაში მოთავსებული (სურ. 7).

სურ. 7. ორი ქვა განთავსებული მეორე პლატფორმის ჩრ.-აღმ. ნაწილში.

მოცემული ნაშრომი წარმოგვიდგენს კოლსტეტის/კობის გორაკის მწვერვალის ძეგლების დეტალურ დათვალიერებასა და აღწერას. საკვლევი ტერიტორიის დათვალიერება მიზნად ისახავს მის მომავალ კვლევას. პერიოდიზაციასა და ფუნქციებთან დაკავშირებული წინააღმდეგობრივი ჰიპოთეზების არსებობას მივყავართ გათხრების დაწყებამდე. მოკლე შემაჯამებელმა ანალიზმა გამოყო ამ მარგინალური დასახლების უდიდესი პოტენციალი. ადგილმდებარეობისა და ტოპოგრაფიული ღირებულებების გამო, კოლსტეტი გახდა სოფელ გერგეთისა და სტეფანწმინდის მცხოვრებლების პასტორალური ლანდშაფტის ნაწილი[20]. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია უარვყოთ ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის არსებობა ადრეულ ხანაში. ერთ-ერთი ფაქტორი საკვლევი ადგილის უდიდესი მნიშვნელობისა არის ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი გზა, რომელიც მიუყვება მდინარე ტერეკს. იგივე შეიძლება ითქვას ხეობაზე, რომელზეც განთავსებულია სოფელი გერგეთი და ყაზბეგი –

უახლოესი დასახლებული პუნქტები. ადრეული შუასაუკუნეების ბეთლემის გამოქვაბული (სავარაუდო წინამორბედი – წინაქრისტიანული სალოცავი), როგორც სამონასტრო დასახლება, განთავსდა მყინვარწვერის აღმოსავლეთ ქედზე. მოგვიანებით აღიმართა გერგეთის სამების მონასტერი და სწრაფად განვითარდა სოფელი გერგეთი (წინამორბედი - ბრინჯაოს ხანის დასახლება ტერეკის ველზე). შემდგომ კი ტრანსკონტინენტური გზის სადარაჯოზე დადგა დარიალის უღელტეხილის მრავალკულტურული ცენტრი. ალანის/კასპიის კარიბჭის ციხესიმაგრე მდებარეობდა კლაუსტროფობ დარიალში და ჰქონდა სტრატეგიული ღირებულება პერსეპოლის, რომის, კონსტანტინოპოლის, ქტესიფონის, ბაღდადის და ევრაზიული სტეპის კაპიტოლიუმებისათვის.

კავკასიური მონუმენტური ლანდშაფტის „წაკითხვა“ ყოველთვის იტაცებს მკითხველს. თუმცა, იგი ხშირად გაუგებარი და ბუნდოვანია, რაც განპირობებულია დროის ფაქტორით ან გაუჩინარებული უცნობი კულტურული ტრადიციებით, რომლებსაც წერტილი დაუსვა ადგილობრივი და ეროვნული მასშტაბის მქონე ბრძოლებმა. კოლსტეტის წარსული იკვეთება ტერასული დასახლების რელიქტების ფორმაში და ამ ტერიტორიას ექსტრაორდინალურს ხდის. ამავდროულად, ახალი გზის მშენებლობა, რომლიც ჩხერის ხეობას მიუყვება და გერგეთის სამებამდე ადის, საფრთხის ქვეშ აყენებს ძეგლს, რომელიც უყურადღებობის გამო შეიძლება დაზიანდეს[21]. წარმოდგენილი პროექტის მთავარი მიზანია იმ უცნობი ნაგებობების მონაცემთა ბაზის გაკეთება, რომლებიც განადგურების საფრთხის ქვეშ დგას რეგიონის სწრაფი განვითარების გამო. ძალიან მდიდარი მემკვიდრეობა შეიძლება მალე განადგურდეს გამჭირვალე პოლიტიკის შექმნისა და ისტორიული მასალის მენეჯმენტის არცოდნის გამო.

---

[1] დამოუკიდებელი კვლევითი პროექტი, რომელიც აგროვებს უცნობი ტერიტორიების მონაცემებს. ავტორი მადლობას უხდის დოქტორ ნ. ჯანაშვილს მონაწილეობისა და დახმარებისთვის.

[2] პროექტ „სპარსეთი და მისი მეზობლების“ ფარგლებში, ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორის, ებერარდ საუერის, ხელმძღვანელობით.

[3] გზის ზედა ნაწილის გასწვრივ აღმოჩენილ იქნა რამდენიმე თიხის ნამსხვრევი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენლის, ერეკლე ქორიძის, მიხედვით ისინი, სავარაუდოდ, ადრეულ და გვიან შუასაუკუნეებს მიეკუთვნება.

[4] მდინარე ჩხერე სათავეს იღებს აბანოსა და ორწვერის მყინვარებიდან, U-ს ფორმის ღრმა ხეობიდან, მყინვარწვერის/ყაზბეგის (5047 მ. სიმ.) აღმოსავლეთ ფერდობებიდან, საკვლევი ტერიტორიის დასავლეთით, დაახლოებით 3 კმ. მანძილზე.

[5] ამ ნაგებობის ფორმა და ლოკალიზაცია გვახსენებს ნაწილობრივ შემონახულ ადამიანის მიერ გაკეთებულ გზას, რომელიც, სავარაუდოდ, ფერდობის ნანგრევებმა დააზიანა. თუმცა, აღნიშნული მოსაზრება მომავალ განხილვას საჭიროებს.

[6] ავტორი გულისხმობს ქვის სარდაფების ფორმის არქეოლოგიური ნაშთებს, რომლებიც შემჩნეულ იქნა ჩრდ. მომიჯნავე ფერდობის სამხ. ნაწილში.

[7] სიმაღლის შეფასება არ არის ზუსტი, რადგან გამოყენებულ იქნა ხელის ჯიპიეს ხელსაწყო ორმაგი კალიბრაციის შესაძლებლობით.

[8] დიდი მადლობა სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის დირექტორს, იაგო კაზალიკაშვილს, საკუთარი ცოდნის გაზიარებისთვის.

[9] ეროვნული საპარლამენტო ლექსიკონი. ჩამოტვირთვის თარიღი - 05.11.2018; ბმული: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=47718

[10] იქვე.

[11] ავტორი ასკვნის, რომ აღწერილი ნაგებობა არ არის ბუნებრივი წარმომავლობის. კოლსტეტის ზემოთ არსებული ტერიტორიის დათვალიერებამ გამოავლინა ადამიანის მიერ ბუნებრივი ლანდშაფტის შეცვლის შემთხვევები.

[12] პირველი ტერასის კიდე შუაშია გაჭრილი. მის ქვეშ არის ზვინული. მეორე ტერასის ფრიალო კიბეს აქვს ფართო ჭრილი ჩრდ. ტერმინუსზე.

[13] ახლა ბუჩქებით არის დაფარული.

[14] ადგილობრივი ისტორიის მიხედვით, XIX საუკუნეში, სისხლიანი რევანშის შემდეგ, ერთ-ერთი ოჯახი სტეფანწმინდიდან კოლსტეტში გადასახლდა და საცხოვრებლად განხილული ნაგებობა აირჩია.

[15] უდავოა, რომ ეს გროვები მანამდე კედლებს ქმნიდა.

[16] ასეთი ტიპის მიწაყრილის დათარიღება და ქრონოლოგიის დადგენა არ არის ადვილი, რადგან ერთი და იმავე შენების ტექნიკა საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა. თუმცა, ყველაზე ადრეული რელიქტები ადრე შუასაუკუნეებს მიეკუთვნება, ხოლო ყველაზე ახალი – მაღალ შუასაუკუნეებს. კ. დიღმელაშვილი (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან) შესწავლილ ნაგებობებს ადრე შუასაუკუნეებს მიაკუთვნებს.

[17] იაგო კაზალიკაშვილის მიხედვით.

[18] ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს ერთი ქვა (მეორე ამოკვეთილი ქვა). თუმცა, შესაძლოა, ის არ მიეკუთვნებოდეს აღწერილ ნაგებობას.

[19] დიდი მადლობა დოქტორ ანასტასია ჩიზოვას, დოქტორ ანეტა გოლებიოვსკას და დოქტორ დიმიტრი კოროზოვს შემდგომი ინტერპრეტაციის შესაძლებლობისთვის.

[20] 2013 წელს ჩხერის ხეობა ნაწილობრივ იქნა დაზვერილი თსუ-სა და დურამის უნივერსიტეტის ერთობლივი კვლევითი ჯგუფის მიერ პროექტ ,,სპარსეთი და მისი მეზობლები‘‘-ს ფარგლებში. დიდი მადლობა ქრისტენ ჰოფერს (დუ) გულითადი დამოკიდებულებისა და ინფორმაციული კონსულტაციებისათვის.

[21] 2017 წლის ბოლოს ავტორი და მისი ჯგუფი დაუკავშირდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რათა დაერეგისტრირებინა კოლსტეტი, როგორც კანონით დაცული არქეოლოგიური ძეგლი.

ლიტერატურა:

1. Anderson W., Birkett-Rees J., Negus Cleary M., Krsmanovic D., Tskvitinidze D Archaeological Survey in the South Caucasus (Samtskhe – Javakheti, Georgia): Approaches. Methods and First Results. Anatolia Antiqua. XXII. 2014
2. Galichain R. Countries South of the Caucasus in the Medieval Maps. Armenia, Georgia and Azerbaijan.-London, 2007
3. Gagoshidze I. Kartli in Hellenistic and Roman Times. General Aspects. In Furtwängler, A., Gagoshidze, I., Löhr, H. & Ludwig, N. Iberia and Rome: The Excavations at the Palace at Dedoplis Gora and the Roman Influence in the Caucasian Kingdom of Iberia.-Langenweißbach, 2008b.
4. Makalatia S. Khevi.-Tbilisi,1934
5. Mindorashvili D. Archaeological Excavations in Khevi.-Tbilisi, 2005
6. Mchedlishvili D. Kuabi: National Parliamentary dictionary in Georgia.-Tbilisi –Kutaisi, 2008 http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=47718
7. Sauer E. W., Chologauri L., Naskidashvili D. The Caspian Gates: Exploring the most famous mountain valley of the ancient world.-Current World Archaeology, 2016

სალომე ჯამბურია

ტურიზმის როლი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მართვაში

შესავალი

კულტურული ტურიზმი გლობალური ინდუსტრიის ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე სწრაფად მზარდი ტენდენციაა. ბოლო წლების განმავლობაში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე დამთვალიერებლთა რაოდენობის მატება მრავალმა ფაქტორმა განაპირობა, მათ შორისაა მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი, შემოსავალის მატება, ტრანსპორტირების იაფი საშუალებები, განათლებისა და ცნობიერების მზარდი დონე და იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის პროგრამა [Timothy… 2003; Timothy… 2009; Huang 2012].

აღსანიშნავია, რომ საქართველო მიეკუთვნება იმ განვითარებად ქვეყნებს, რომლებშიც ტურისტების რაოდენობა წლიდან წლამდე საგრძნობლად იზრდება. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის თანახმად, 2018 წლის იანვარ-ოქტომბერში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ტურისტული ვიზიტების რაოდენობა ქვეყანაში 17.5%-ით გაიზარდა.

კულტურული ტურიზმის ზრდა განვითარებად ქვეყნებში, ერთი მხრივ, სიღარიბის შემცირებისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების საშუალებად ითვლება. მიჩნეულია, რომ საერთაშორისო ტურიზმი ზრდის ეკონომიკურ პოტენციალს, ქმნის სამუშაო ადგილებს, მიმოქცევაში შემოაქვს უცხოური ვალუტა, ასტიმულირებს ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას და წარმოშობს საგადასახადო შემოსავლებს [Eilat…2004]. მეორე მხრივ, ტურიზმმა შესაძლოა გამოიწვიოს ძლიერ საზიანო ფიზიკური, ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ზემოქმედება,

მათ შორის, ძეგლების ცვეთის გაზრდა, დაბინძურება, ხმაური, კულტურის კომერციალიზაცია, ფასების ზრდა, ცხოვრების წესის შეცვლა, ტრადიციების დაკარგვა და სხვა [Coccossis 2009:49]. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უკონტროლო ტურიზმისა და ვიზიტორთა არასათანადო მენეჯმენტის შემთხვევაში შესაძლოა გამანადგურებული შედეგი მივიღოთ.

ამრიგად, უმნიშვნელოვანესია, საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ტურიზმის დადებითი და უარყოფითი გავლენების, მათი სათანადო რეგულირების საჭიროების შესახებ ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი მექანიზმების დანერგვა. წინამდებარე სტატია ყურადღებას უთმობს საქართველოში ფაქიზი ზედაპირის მქონე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და მათთან დაკავშირებული კულტურული ტურიზმის მდგრადი განვითარების საკითხებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლების: უფლისციხის (ძვ.წ VI-IV სს), დავით გარეჯის (VI ს), ვანის ქვაბების (VIII-XVI სს) და ვარძიის (XII-XIII სს) ხუროთძღვრული კომპლექსები.

უკონტროლო ტურიზმის, ქვათა ცვენის და უსაფრთხოების ნორმების უქონლობის გამო, სპეციალისტების დასკვნის საფუძველზე, 2018 წლის ოქტომბერში, ვანის ქვაბების VIII-XVI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ნიმუში დამთვალიერებელთათვის დროებით დაიკეტა. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო 2019 წლიდან ძეგლზე ჰიდროგეოლოგიური და არქეოლოგიური კვლევების ჩატარებას გეგმავს [ინტერნეტრესურსი 1]. ჯერ-ჯერობით უცნობია თუ როდის დასრულდება ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობის გაუმჯობესება და როდის იქნება შესაძლებელი ძეგლზე დამთვალიერებელთა დაშვება.

საქართველოს სხვადასხვა მხარეში არსებული კლდეში გამოკვეთილი ზემოაღნიშნული ხუროთმოძღვრული კომპლექსები, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის პროგრამის

წინასწარულ ნუსხაში 2007 წლიდან არის წარდგენილი, შემდგომში მათი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში ნომინირების მიზნით. „იუნესკოს“ მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანა ძეგლებს კიდევ უფრო მეტ ცნობადობას შესძენს, რაც ხშირად პირდაპირ აისახება დამთვალიერებელთა გაზრდილ რაოდენობაზე. სწორედ ამ და სხვა არსებითი მიზეზების გამო, აუცილებელია აღნიშნული ძეგლებისათვის მართვის გეგმების შედგენა, რომლთა მიზანია უზრუნველყოს თითოეული ძეგლის განვითარების ერთიანი ხედვის ისეთი სამოქმედო პროგრამების არსებობა, როგორებიცაა: მონიტორინგისა და მოვლის, ვიზიტორთა მართვის, მდგრადი ტურიზმის განვითარების, ტრანსპორტის მოძრაობის, საგანმანათლებლო და საზოგადოების ინფორმირების პროგრამები და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიმაჩნია საერთაშორისო მაგალითების გაანალიზება ვანის ქვაბების, ვარძიის, უფლისციხის, დავით-გარეჯის ხუროთმოძღვრულ კომპლექსებში არსებული გამოწვევების კონტექსტში, ვინაიდან სტატიაში მოყვანილი მაგალითები ნათელს ხდის, თუ რა ასპექტებს უნდა მიექცეს ყურადღება ძეგლებზე მდგრადი კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის.

სტატიის ძირითადი ნაწილი შედგება ორი ქვეთავისაგან. პირველ ნაწილში „იუნესკოს“ მსოფლიო მემკვიდრეობის საიტების, პეტრას არქეოლოგიური პარკისა და მაჩუ-პიქჩუს ისტორიულ დასახლებათა მაგალითზე, განხილულია თუ რა უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უკონტროლო ტურიზმმა. მეორე ნაწილში წარმოდგენილია ტურიზმის დადებითი მხარეები და შესაძლებლობები საქართველოში არსებული ზემოაღნიშნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისათვის.

დასკვნით ნაწილში მსჯელობა მიმართულია იქითკენ, თუ როგორ შეიძლება ვიპოვოთ სასარგებლო ბალანსი კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და ტურიზმის განვითარებას შორის. კვლევისათვის გამოყენებული მეთოდოლოგია ეფუძნება ლიტერატურის მიმოხილვას, შედარებით ანალიზსა და ავტორის დაკვირვებებს.

ტურიზმის უარყოფითი გავლენა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

რიგი ავტორების ცნობით, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მრავალი ძეგლის ისტორიული ქსოვილის მდგომარეობა მნიშვნელოვნადაა გაუარესებული დიდი მოცულობის ტურისტული ნაკადების შედეგად [Comer, 2012: 3]. ისტორიულ ძეგლებზე ტურიზმის მავნე ზემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია პეტრას არქეოლოგიური პარკი იორდანიაში და მაჩუ პიქჩუს ისტორიულ-საკრალური დასახლება პერუში.

პეტრა – ნახევარად აშენებული, ნახევრად კლდეში გამოკვეთილი არქეოლოგიური პარკი წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ძეგლს [UNESCO, 2013]. პეტრას, როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსის მქონე საიტს მოსალოდნელია, რომ უნდა ჰქონოდა მართვის დეტალური გეგმა, ძეგლის კონსერვაციისა და ვიზიტორთა მენეჯმენტის საკითხების გათვალიწინებით. თუმცა, ქვეყნის ღარიბმა ეკონომიკამ და აღნიშნული ძეგლის მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანამ 1985 წელს, მაშინ, როდესაც მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის (1972) სამოქმედო სახელმძღვანელოებში ჯერ კიდევ არ იყო გაწერილი მკაფიო მოთხოვნები მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების მართვისათვის, განაპირობა ძეგლის მდგომარეობის უკონტროლობა და არასათანადო მართვა [Veleikis ... 2012].

მას შემდეგ, რაც 1994 წელს ხელი მოეწერა სამშვიდობო შეთანხმებას ისრაელსა და იორდანიას შორის და 2007 წელს პეტრა შევიდა „მსოფლიოს ახალი 7 საოცრების“ სიაში ვიზიტორთა რიცხვი მკვეთრად, 68% და 62%-ით, გაიზარდა [Akrawi, 2012: 59] შესაბამის წლებში. ველეიკის [2012] ცნობით, ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობის ანთროპოგენურმა ზემოქმედებამ დიდი გავლენა იქონია ძეგლის ფიზიკურ მთლიანობაზე.

ვიზიტორთა კონტაქტი და დამთვალიერებელთა მიერ გამოწვეული ცვლილებები არის ის ორი ძირითადი ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობაზე. როგორც აკრავი [2012] აღნიშნავს, პეტრას არქეოლოგიური საიტის თანდათანობითი დაზიანება გამოწვეულია ყოველწლიურად დიდი რაოდენობის ვიზიტორთა მიერ სამარხებისა და კანიონების კედლებზე შეხებით. ვიზიტორთა მენეჯმენტის არარსებობა და ტურისტების თავისუფალი გადაადგილება საიტზე სერიოზულად ართულებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ისტორიული ქსოვილის მდგომარეობას [Mustafa… 2011]. ამასთან ერთად, ტურისტებისათვის ინსტრუქციებისა და რიგი აკრძალვების არ არსებობის გამო, ხდება ისეთი ვანდალური შემთხვევები, როგორებიცაა – ისტორიული კედლის ქსოვილისა და ფერწერის ნიმუშებზე ტურისტების სახელისა და მათი ვიზიტის თარიღის ამოკაწვრა ან ისტორიული კედლების გრაფიტით დაფარვა [Akrawi, 2012]. მსგავსი შემთხვევები ფიქსირდება საქართველოში ზემოთ დასახელებულ ყველა ძეგლზე. ვანის ქვაბებში დაზიანებულია გამოქვაბულთა ბოლო სართულზე, კლდეში ჩაშენებულია პატარა ეკლესიის კედლებზე შემორჩენილი XV საუკუნის II ნახევარში შეხიზნული ადგილობრივი ფეოდალური საგვარეულოების ქალბატონების მიერ მელნით შესრულებული მხედრული წარწერები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული მწერლობის ისტორიისათვის. ისინი წარმოადგენენ ქართული ლირიკული პოეზიის, ,,ვეფხისტყაოსნისა“ და ,,როსტომიანის“ სტროფთა უძველეს ნიმუშებს [ოთხმეზური...2012, 149].

ფარადაისის მტკიცებით, პეტრას კირქვისა და ქვიშაქვის თლილი სტრუქტურა და სამარხები ზიანს ნაწილობრივ ადგილობრივი მშრალი კლიმატის გამო განიცდის. თუმცა, ტურისტების მიერ ძეგლზე გამუდმებული შეხების, ცოცვისა და ზემოხსენებული ვანდალური ქმედებების შედეგად ხდება ძეგლის ზედაპირის ბუნებრივი რეცესიისა და ცვეთის ტემპის დაჩქარება [Paradise, 2009:81]. ფარადაისის თქმით, პეტრას რომაული თეატრის შესწავლამ აჩვენა, რომ ლითოლოგიის, ინსოლაციისა და ტენიანობის რეჟიმების გარდა, გამოფიტვის განმაპირობებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანის კონტაქტი. აღმოჩნდა, რომ ტურისტების

გაზრდილმა რაოდენობამ დააჩქარა თეატრის მდგომარეობის გაუარესება [Paradise, 2012]. მონიტორინგის კვლევების შედეგად დადგინდა, რომ 15 წლის განმავლობაში, 1990 წლიდან 2005-მდე ქვისმთლელთა მიერ 2000 წლის წინ შესრულებული ნიშნების ხილვადობა ტურისტების შეხების შედეგად 10%-ით შემცირდა [Akrawi, 2012; Paradise 2012]. თუ მსგავს დაკვირვებებს ჩავატარებთ საქართველოშიც, შევნიშნავთ, რომ ძეგლების ზედაპირის მდგომარეობის გაუარესება, კლიმატური პირობების გარდა, ვიზიტორთა გამუდმებული კონტაქტის ბრალიცაა.

ამდენად, აუცილებელია, რომ შეიზღუდოს ვიზიტორთა დაშვება საიტის მნიშვნელოვან და, ამასთანავე, მყიფე, გაქრობის საფრთხის წინაშე არსებულ ადგილებზე, ნაცვლად ამისა, კი შესაძლოა ძეგლის შესახებ მრავალფეროვანი ინტერპრეტაციების შეთავაზება, რომლებიც ვიზიტორთა ყურადღებას გადართავს ძეგლზე ცოცვიდან მის შემეცნებისკენ.

კიდევ ერთი პირდაპირი გავლენა, რომელსაც პეტრას კულტრულ ძეგლზე მყოფი ტურისტული მასები ახდენენ, არის ტენიანობის ცვლილება პალატებში. პერიოდულმა აღწერამ აჩვენა, რომ 1997 წლიდან 2007 წლამდე, მაშინ როდესაც ვიზიტორთა რაოდენობა გაორმაგდა, ურნის აკლდამაში ტენიანობა 6%-8%-დან 18%-25%-მდე გაიზარდა. კვლევების თანახმად, ტენიანობის მატება პატარა სივრცეში იწვევს მარილის წარმოშობას, ქვა ხდება უფრო გამტარი და ჩქარდება კირქვის გაუარესებისა და შლის პროცესი [Paradise, 2012:90].

პეტრაში განხორციელებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ტენიანობა განსაკუთრებით იზრდება, მაშინ, როცა 20-30-კაციანი ტურისტთა ჯგუფი შედის აკლდამებში და ყოვნდება 5-10 წუთზე მეტ ხანს. დაკვირვებების შედეგად, როგორც წესი, 10-30-კაციანი ჯგუფები სწორედ 10 წუთზე მეტ დროს ანდომებენ აკლდამის დათვალიერებას.

დამთვალიერებელთა სუნთქვის პროცესიდან გამოწვეული ტენიანობა და კონდენსაცია წარმოადგენს მრავალი ფაქიზი ზედაპირის მქონე კულტურული მემკვიდრეობის

ძეგლის პრობლემას, მათ შორის ვარძიის, ვანის ქვაბების, დავით გარეჯის კომპლექსების და ა.შ.

პეტრაში არქეოლოგიური ძეგლის დაზიანების მიზეზი ხდება, ასევე, ცხენებისა და ვირების, როგორც სატრანსპორტო საშუალების, გამოყენება ტურისტების გადაადგილების მიზნით. ამასათანავე, ვინაიდან აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების გამქირავებლების შემოსავალი დამოკიდებულია შესრულებული გზის რაოდენობაზე, ისინი დაქირავების პუნქტამდე სრული ჭენებით ბრუნდებიან, რათა რაც შეიძლება უფრო ბევრჯერ მოახერხონ ტურისტის ან ტურისტთა ჯგუფების მიყვანა სასურველ ადგილამდე. შედეგად, როგორც კომერი [2012] აღნიშნავს, თავდაპირველი ნაბატური კიბეები, ძლიერ არის დაზიანებული წლების განმავლობაში ჩლიქების შეხებით. ცხენების ჭენება ასევე საფრთხეს უქმნის ფეხით მოსეირნე ტურისტებსაც.

აკრავის [2012:60] თქმით, პეტრაში ტურიზმის განვითარების უარყოფითი გავლენის შედეგებია, ვიზიტორებთან დაკავშირებული ნაგებობების, მათ შორის სველი წერტილების და სავაჭრო პუნქტების განთავსება, რაც არღვევს არქეოლოგიური ლანდშაფტის მთლიანობას და ხელს უშლის მის ესთეტიკურ აღქმას.

მანქანების მოძრაობა არქეოლოგიური პარკის ტერიტორიაზე, არასათანადო სანაგვე ყუთები და კულტურული ფასეულობებით უკანონო ვაჭრობა წარმოადგენს კიდევ სხვა ფაქტორებს, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ არქეოლოგიური ძეგლის შენარჩუნებაზე. ტურისტების დიდი ინტერესი ანტიკური ნივთების დაუფლების მიმართ, ხშირად ადგილობრივ მაცხოვრებლებს უბიძგებს უკანონო გათხრების ჩატარებისაკენ, შემდგომში აღმოჩენილი არტეფაქტების გაყიდვის მოტივაციით. ყოველივე ზემოაღნიშნული იწვევს არა მხოლოდ არტეფაქტების დაკარგვას, არამედ არქეოლოგიური სტრატიგრაფიისა და ისტორიის განადგურებას.

დაბინძურება და ნაგავი, როგორც ჩანს, ტურიზმის განუყოფელი ნაწილია თითქმის ყველა განვითარებად ქვეყნაში, სადაც სუსტი გარემოსდაცვითი რეგულაციები,

უსახსრობა და თანამშრომლების არასაკმარისი რაოდენობა ართულებს დასუფთავების ძალისხმევას. საჭმლის მიმოფანტული ნარჩენები, კონტეინერები, პლასტმასისა და გამაგრილებელი სასმელების თუნუქის ბოთლები, სიგარეტის ნამწვავები, საღეჭი რეზინები, ქაღალდის პროდუქტები და ა.შ. წარმოადგენს ტურისტების ტიპურ ნაკვალევს [Timothy... 2009:58]. ამასთან, სიბინძურე არა მხოლოდ აკნინებს ძეგლის ესთეტიკურ ღირებულებებს, არამედ იწვევს ძეგლის კოროზიის პროცესს. ზოგიერთი ტიპის ნაგავი, მათ შორის საღეჭი რეზინა, სასმელი და სხვა ნარჩენები შეიძლება სამუდამოდ დარჩეს ძეგლის ზედაპირზე. გარდა ამისა, დასუფთავების მცდელობამ შესაძლოა უფრო მეტად დააზიანოს ისტორიული ქსოვილი.

ამდენად, ვიზიტორთა მოძრაობის რეგულაცია, გარემოს ცვალებადობის მონიტორინგი, უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესება და ტურიზმით გამოწვეული ყველა ზემოაღნიშნული სირთულეების აღმოფხვრა წარმოადგენს გადამწყვეტ საკითხებს ძეგლის მენეჯმენტში, განსაკუთრებით კი დიდი ტურისტული ინტერესის მქონე ძეგლებისათვის.

მსოფლიო მემკვიდრეობის კიდევ ერთი საიტი განვითარებად ქვეყანაში, რომელიც ძლიერ განიცდის ტურიზმის გავლენას არის ისტორიული დასახლება მაჩუ პიქჩუში. ინკას იმპერიის გასაოცარი ქმნილება უზარმაზარი კედლებითა და ტერასებით, იუნესკოს ყოფილი დირექტორის, ირინა ბოკოვას. თქმით, საკუთარი წარმატების მსხვერპლი გახდა [The Independent, 2011]. დამთვალიერებელთა გადაჭარბებული რაოდენობის წნეხი მნიშვნელოვნად აურესებს კულტურული ძეგლის მდგომარეობას.

ცნობილი პერუელი არქეოლოგის, ფრედერიკო კაუფმან დოიგის, თქმით, ინკას პერიოდში მაჩუ-პიქჩუ დასახლებული იყო არაუმეტეს 500 ფეხშიშველი ადამიანით [LaFranchi, 2001], დღეს კი ყოველდღიურად ქალაქს 2000-მდე ტურისტი სტუმრობს და შედეგად, მათ ანთროპოგენულ ზეგავლენას განადგურების პირას მიჰყავს კულტურული ძეგლი [Larson, 2012]. გარდა ამისა, ტრანსპორტირების სუსტი სისტემა

ზღუდავს ენთუზიასტ ტურისტებს ალტერნატიული გზების ძიებაში, განმარტოებულ ადგილზე გაშენებული ანტიკური ქალაქის სტუმრობისათვის. ლარსონის [2012] თანახმად, ტურისტები უმეტესად ფეხით მიემართებიან ყველაზე ახლოს მდებარე სამანქანო გზიდან ისტორიულ ქალაქისაკენ და ამ მარშრუტის გავლით საშუალება ეძლევათ, დატკბნენ კულტურული ლანშაფტით. თუმცა, ასეთ სასიამოვნო გამოცდილებას ისტორიული ბილიკების განადგურებაში შეაქვს წვლილი, რომლებიც საკმაოდ მგნობიარე ჩანს ხშირი გამოყენებისთვის. გარდა ამისა, როგორც მაჩუ-პიქჩუს, ისე მის მიმდებარე ლანდშაფტს ანაგვიანებენ ტურისტები [Timothy...2009:58].

ალტერნატიულად, ერთი მხრივ, თუ მაჩუ პიქჩუს ისტორიულ ქალაქში მისასვლელად პირდაპირი ტრანსპორტი შესაძლოა იყოს გამოსავალი ისტორიული ლანდშაფტის შენარჩუნებისათვის, მეორე მხრივ, ტრანსპორტის გამონაბოლქვმა და ჰაერის დაბინძურებამ შესაძლოა გამოიწვიოს დამატებითი ზიანი. მანქანების, ავტობუსებისა და ვერტმფრენების გამონაბოლქვი ქიმიურ რეაქციებს წარმოშობს ისტორიული შენობების მასალების ფიზიკურ შემადგენლობაში [Timothy... 2009:59]. ამ ფაქტის გათვალისწინებით არქეოლოგებმა და გარემოს დამცველებმა უარყვეს ვერტმფრენის, როგორც სატრანსპორტო საშუალების, მაჩუ-პიქჩუში გამოყენების იდეა [Higgins, 2006].

ზემოაღნიშნული მაგალითები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე კულტურული ტურიზმის საზიანო გავლენების ილუსტრაციაა. მსგავსი სიტუაციაა განვითარებად ქვეყნებში არსებულ მრავალ ძეგლზე. მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმს აქვს ძლიერ საზიანო გავლენა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე, კულტურული ტურიზმი არ წარმოშობს მხოლოდ უარყოფით შედეგებს. სინამდვილეში, კულტურული მემკვიდრეობის საიტებმა შესაძლოა გარკვეული სარგებელი მიიღონ ტურიზმისაგან.

ტურიზმის დადებითი როლი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნებაში

მიუხედავად იმისა, რომ დამთვალიერებელთა ყოფნა კულტურული მემკვიდრეობის საიტებზე ხელს უწყობს ისტორიული ადგილების ფიზიკური მდგომარეობისა და გარემოს გაუარესებას, სავარაუდოა, რომ ტურისტების გარეშე კულტურული ძეგლები

იქნებოდა მიტოვებული ადგილები, მცენარეული საფარისა და უკონტროლო კლიმატური პირობების მსხვერპლი, გასაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში, სადაც ფინანსები მცირეა და პრიორიტეტი ენიჭება უფრო მომგებიანი სფეროებისა და პროექტების დაფინასებას. როგორც ტიმოთი [2009] აღნიშნავს, განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები მოკლებულია როგორც კერძო, ასევე საჯარო დაფინანსებას, მათი გადარჩენა ძირითადად დამოკიდებულია ტურიზმიდან მიღებულ შემოსავალზე. უფრო მეტიც, კულტურული ტურიზმის პირდაპირმა და არაპირდაპირმა ეკონომიკურმა შემოსავალმა შესაძლოა ბიძგი მისცეს მთავრობას, რათა უფრო მეტად იზრუნოს ქვეყანაში არსებულ მემკვიდრეობაზე, როგორც ტურიზმის განვითარების ფაქტორზე [Timothy… 2003:19]. განსაკუთრებით მაშინ, როცა ტურიზმის მაპროვოცირებელი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი – როგორც ტურისტული პროდუქტი, წარმოადგენს საერთაშორისო ინტერესის საგანს. ამდენად, ტურიზმმა თავისუფალად შეიძლება განაპირობოს საჯარო დაფინანსების გამოყოფა კულტურული ძეგლებისათვის.

ამასთანავე, იმის მიუხედავად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არიან თუ არა ტურიზმის წნეხის ქვეშ, მათ ნებისმიერ შემთხვევაში ესაჭიროებათ მოვლა-პატრონობა და კონსერვაცია, რაც ფინანსური რესურსების გარეშე წარმოუდგენელია. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, მთავარი შემოსავალის წყარო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისათვის განვითარებად ქვეყნებში უმეტესად არის ტურიზმი. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო დაფინანსების გამოყოფა ძალიან იშვიათად ხდება კულტურული მემკვიდრეობის იმ ძეგლებისათვის, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს ტურისტების მოზიდვას. მაშასადამე, ერთი მხრივ, მაშინ როცა ტურიზმი მიჩნეულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გამანადგურებელ ფაქტორად, მეორე მხრივ, ის წარმოადგენს ერთადერთ შესაძლებლობას კულტურული ძეგლის მომავალში შენარჩუნებისათვის.

ამდენად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მენეჯერების ამოცანაა არა მხოლოდ საფრთხეების არიდება კულტურული მემკვიდრეობის საიტისათვის, მათი უკეთ

დაცვის მიზნით, არამედ მუშაობის წარმართვა იქითკენ, თუ როგორ შეიძლება გახდეს ძეგლზე გატარებული დრო ვიზიტორებისათვის უფრო მეტად სასიამოვნო და საინტერესო. ეს კომპოზიცია შესაძლოა ძალიან რთული ჩანდეს, მაგრამ წარმაოდგენს რეალურად განხორციელებად იდეას.

ხშირ შემთხვევაში დამთვალიერებელთა სურვილები ჰარმონიაშია კონსერვაციის საჭიროებებთან. ვიზიტორთა რაოდენობის რეგულირება, ძეგლზე მყოფი ტურისტების სიმჭიდროვის შემცირება, უსაფრთხოება, სისუფთავე და მრავალი სხვა ასპექტი წარმოადგენს იმ საკითხებს, რომელებიც თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც ძეგლის ადმინისტრაციისათვის, ასევე –ტურისტებისათვის.

გასაკუთრებით აღსანიშნავია ძეგლის ინტერპრეტაციისთვის მდიდარი აუდიო და ვიზუალური საშუალებები, რომლებიც, ერთი მხრივ, ხელს უწყობენ ვიზიტორთა განათლებასა და გართობას, მეორე მხრივ კი, ამცირებენ მნახველთა ფიზიკურ წნეხს ძეგლზე [Timothy…2009; Timothy… 2003:197]. ამის მაგალითია ინგლისში მდებარე ცნობილი პრეისტორიული ძეგლის, სტოუნჰენჯის, ვიზიტორთა ახალი მენეჯმენტი. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს ახალი ვიზიტორთა ცენტრი და მუზეუმი აშენდა ძეგლიდან 2.5 კმ-ის დაშორებით, შეიზღუდა მანქანების პარკირება ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე და გამოიყო მუზეუმიდან ძეგლამდე სპეციალური განრიგით მოძრავი ეკომეგობრული ტრანსპორტი.

დასკვნა

ამდენად, კულტურული ტურიზმის უარყოფით გავლენასა და ამავდროულად მის პოტენციალს მივყავართ ტურიზმის სუსტი და ძლიერი მხარეების, საფრთხეებისა და შესაძლებლობების გაანალიზებამდე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სათანადოდ მართვის მიზნით.

განვითარებად ქვეყნებში ფინანსური შესაძლებლობების სიმცირე უბიძგებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მენეჯერებს, იპოვონ ბალანსი ტურიზმის

დადებითსა და უარყოფით მხარეებს შორის, რომელიც მიიღწევა მემკვიდრეობის მდგრადი მართვის პირობებში. ეს კი გულისხმობს, ერთი მხრივ, ისტორიულ ძეგლებზე ვიზიტორთა ნეგატიური გავლენის შემცირებას, ხოლო, მეორე მხრივ, დადებითი შთაბეჭდილებების, ემოციებისა და ცოდნის მიღების შესაძლებლობის გაზრდას სხვადასხვა საინტერესო მეთოდით. ეს სწორედ ის მიდგომაა, რომელიც ფართოდ უნდა დაინერგოს საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე, რათა თავიდან ავიცილოთ ის სავალალო შედეგები, რომლებიც აღწერილია სტატიაში პეტრასა და მაჩუ-პიქჩუს მაგალითებზე.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [PhD_F_17_52].

ლიტერატურა:

1. ოთხმეზური, გ. ქართული კულტურა XIII-XV საუკუნეებში.საქართველოსისტორია XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე: ტომი 3.-თბილისი, 2012.
2. UNESCO Petra. ინფორმაცია მოძიებულია 2017 წლის 29 იანვარს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე.-2014. http://whc.unesco.org/en/list/326
3. Akwari A. Forty-Four Years of Management Plans in Petra. Comer, D. C. [ed.] in Tourism and Archaeological Heritage Management at Petra: Driver to Development or Destruction. New York: Springer, 2012
4. Higgins M. A faster way: New helicopter service to Machu Picchu. Retrieved from World Wide Web on 23 September 2018. http://travel.nytimes.com/2006/07/09/travel/09transmachu.html
5. The independent ინფორმაცია მოძიებულია 2018 წლის 24 სექტემბერს შემდეგ 2011 ელექტრონულ მისამართზე: https://www.independent.co.uk/travel/news-and-advice/machu-picchu-victim-of-own-success-un-2222900.html
6. Mustafa, M. H., Sultan, N., Tayeh, A. The Impacts of Tourism Development on the Archaeological Site of Petra and Local Communities in Surrounding Villages, Asian Social Science, 7/8, 88-96. ინფორმაცია მოძიებულია 2017 წლის 27 იანვარს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: http://www.ccsenet.org/journal/index.php/ass/article/view/11492/8060

7. Coccossis H. Sustainable development and tourism: opportunities and threats to cultural heritage from tourism. Girard L.F, Nijkamp P. [eds.]. Cultural tourism and sustainable local development.-Farnham: Ashgate, 2009
8. Eilat Y., Einav L. Determinants of international tourism: a three-dimensional panel data analysis. Applied Economics. 36/12. Retrieved on 28 January 2017 from World Wide Web: http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/0003684040001808 97#.UyuWTfl_tzs
9. LaFranchi H. Machu Picchu's slide. Christian Science Monitor. 93 [112].7. Retrieved on 28 January 2017 from World Wide Web: http://www.csmonitor.com/2001/0504/p7s1.html
10. Timothy D., Boyd S. Heritage Tourism.-Harlow: Prentice Hall, 2003
11. https://1tv.ge/news/vanis-qvabebi-turistebistvis-iketeba/
12. Comer, D. C. Tourism and Archaeological Heritage Management at Petra: Driver to Development or Destruction.-Springer: London, New York, 2012
13. Huang, C., Tsaur, J., Yang, C. Does world heritage list really induce more tourists? Evidence from Macau. Tourism Management 33/6, 1450-1457. ინფორმაცია მოძიებულია 2017 წლის 28 იანვარს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0261517712000179?via=ihub
14. Larson, L. R., C. Poudyal, N. C. Developing sustainable tourism through adaptive resource management: a case study of Machu Picchu, Peru, Journal of Sustainable Tourism, 20:7, 917-938. ინფორმაცია მოძიებულია 2017 წლის 28 იანვარს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/09669582.2012.667217
15. Paradise, T. R. Architecture and Deterioration in Petra: Issues, Trends, and Warnings, Comer, D. C. [ed.] in Tourism and Archaeological Heritage Management at Petra: Driver to Development or Destruction.-Springer: London, New York.-p. 79-104
16. Timothy, D. J., Nyaupane G. P. Cultural heritage and tourism in the developing world: a regional perspective.- Abingdon and New York: Routledge.,2009
17. Vileikis, O., Cesaro, G., Quintero, M. S. Documentation in World Heritage conservation: Towards managing and mitigating change – the case studies of Petra and the Silk Roads // Journal of Cultural Heritage Management and Sustainable Development.- 2/2.-p.130 – 152
18. Balen, K.V., Paolini, A., Vafadari, A. ინფორმაცია მოძიებულია 2017 წლის 29 იანვარს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: www.emeraldinsight.com/2044-1266.htm

ანა მაკალათია

რამდენიმე რელიგიური სიმბოლო დ. ჰ. ლორენსის რომანში „ბუმბულიანი გველი“

დ. ჰ. ლორენსი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინგლისელი მოდერნისტი მწერალია, რომლის შემოქმედებას ზოგადად ახასიათებს ტრადიციული რომანის სტილი და თამამი ეროტიკული სცენების სიმრავლე. სწორედ ამ მახასიათებლების წყალობით მისი შემოქმედება მარტივად აღსაქმელი და პოპულარულია. თუმცა ტექსტისთვის დამახასიათებელია რელიგიური და ეზოთერული სიმბოლოებისა თუ თემატიკის სიმრავლე და მათი ლორენსისეული ინტერპრეტაცია, რომელთა გააზრება-განმარტებისას სრულად იკვეთება მწერლის სიღრმისეული მსოფლხედვა. წინამდებარე სტატიაში განვიხილავ ლორენსის ერთ-ერთ საკმაოდ ცნონილ რომანს „ბუმბულიანი გველს“ და მასში მოცემულ რამდენიმე რელიგიურ სიმბოლოს, რომელთა შინაარსობრივი დატვირთვა დამატებით მინიშნებებს იძლევა რომანის მთავარი პერსონაჟის მექსიკაში მოგზაურობის არსზე. მოგზაურობა კი ერთგვარი თვითგამორკვევისა და მაძიებლობის პროცესია.

რომანი ძირითადად მოგვითხრობს ევროპელი ქეითის მოგზაურობაზე მექსიკაში იმ დროს, როდესაც ორი მექსიკელი – კიპრიანო და რეიმონი – ცდილობს ხელახლა გააცოცხლოს აცტეკური ღმერთების კულტი, რათა ძველმა პრიმიტიულმა რელიგიამ დაიბრუნოს თავისი ბუნებრივი პოზიცია და განდევნოს დამპყრობლური ქრისტიანული რელიგია. შესაბამისად, რომანში ჩნდება სამი აცტეკური ღმერთი, „კეცალკოატლი“, რომელსაც რეიმონი ასახიერებს, „უიცილოპოჩტლი“ ანუ კიპრიანო და „მალინწზი“ (მალინალჰოჩი) ანუ ქეითი.

დასრულებული რომანის სათაურად ლორენსმა სწორედ აცტეკური ღმერთის „კეცალკოატლის“ სახელი აირჩია, რაც თარგმანში „ბუმბულიან გველს“ ნიშნავს. აცტეკების რელიგიაში ამ ღმერთს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მისი

სახელი ქრისტეს შობიდან მე-7 საუკუნეში ჩნდება და უფრო მოგვიანებით აცტეკების ერთ-ერთი მეფის სახელს უკავშირდება. „Quetzal“ ცენტრალურ ამერიკაში გავრცელებული ჩიტის (Pharomachus mocinno) სახელია, ხოლო „Coatle“ ნიშნავს გველს, რაც ცისა და მიწის მეტაფორებს წარმოადგენს. ცისკენ მიმავალი გველი მკვდრეთით აღდგენის, ანუ ხელახალი დაბადების, აღდგომის სიმბოლოს წარმოადგენს [Kaplan, 1999]. აქვე არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ გველი ცხოვრების მანძილზე რამდენჯერმე იცვლის კანს, რაც ასევე მუდმივ განახლებაზე მიანიშნებს. ამ კუთხით ქართულ ლიტერატურაშიც მოიპოვება გრიგოლ რობაქიძის რომანი „გველის პერანგი“. ბერძნულ მითოლოგიაში არსებობს წრიულად დახვეული გველის სიმბოლო, რომელსაც თავისი ბოლო პირით უჭირავს, რაც სიმბოლურად მარადიულობის გამომხატველია. შესაბამისად, აცტეკური ღმერთის სახელწოდების „კეცალკოატლის“ შინაარსობრივი თუ სიმბოლური დატვირთვა გულისხმობს ადამიანის დაცემისა და ხელახალი აღდგენის ციკლის მარადიულობას. სწორედ ამ ციკლის მარადიულობის ერთ-ერთი გამომხატველი მაგალითია ქეითის მოგზაურობაც ევროპიდან მექსიკაში ანუ თანამედროვე ცივილიზაციიდან პრიმიტიულში. ლორენსთან თანამედროვე ევროპული ცივილიზაცია თავისი გადაჭარბებული რაციონალიზმით წყაროა მოშლილი ფასეულობებისა და დაკარგული ინდივიდუალობისა. მექსიკა კი თავისი მივიწყებული უძველესი რელიგიით ინახავს ცოდნას კაცობრიობის მიერ მივიწყებული უკიდურესად არარაციონალური არაცნობიერი ძალების შესახებ. სწორედ არაცნობიერში ჩაღრმავება და საკუთარი რეალური ***მე-ს*** პოვნა ანუ ხელახალი დაბადებაა ამ რომანის მთავარი იდეა. იმის აღწერა, თუ რა სიმბოლიკით გამოხატავს ავტორი ამ იდეას, წარმოადგენს ამ სტატიის მიზანს.

მთავარი მოქმედი გმირის მოგზაურობა მექსიკაში და მექსიკელების მცდელობა გადავიდნენ ძველი აცტეკური რელიგიის რელსებზე, უკვე ერთგვარი მინიშნებაა დასავლური ცივილიზაციის ფასეულობების მოშლაზე და დაცემაზე, რომლისგანაც თავის დაღწევის აუცილებლობის შეგრძნება ჩნდება ინდივიდში. ამიტომ არის, რომ მწერალი რომანის დასაწყისში ხარების ორთაბრძოლასთან ერთად ქრისტეს მსხვერპლშეწირვის პაროდირებასაც ახდენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლორენსი არ

ყოფილა ერთადერთი, ვინც შენიშნა მსგავსება ქრისტიანულ და სხვა უძველესი რელიგიების სიმბოლოთა შორის. იუნგი თავის ნაშრომების კრებულში „ფსიქოლოგია და რელიგია, პასუხი იობს“ აღნიშნავს, რომ თითოეული არქეტიპული სიმბოლო თავისთავად ფენომენს წარმოადგენს, მაგრამ მათ შორის არსებული შინაარსობრივი მსგავსება შეიძლება აიხსნას ადამიანის ფსიქიკაში ღრმად გამჯდარი საერთო ფესვებით: „Although the Mass itself is a unique phenomenon in the history of comparative religion, its symbolic content wound be profoundly alien to man were it not rooted in human psyche. But if it is so rooted, then we may expect to find similar patterns of symbolism both in the earlier history of mankind and in the world of pagan thought contemporary with it“ [1][Jung, 1958:222].

შირლი ბრიქუ თავის სტატიაში „ემოციების რიტუალიზაცია „კეცალკოატლსა“ და „ბუმბულიან გველში“ დეტალურად განიხილავს როგორც ხართა ორთაბრძოლის სიმბოლურ დატვირთვას, ასევე მის მსგავსებას ქრისტიანულ მსხვერპლშეწირვასთან. იგი აღნიშნავს, რომ რომანის დაწყებას ხარების ორთაბრძოლით თავისი დატვირთვა აქვს. ბრიქუ განმარტავს, რომ ხარების ორთაბრძოლას ერთგვარი მისტიკური დატვირთვა ჰქონდა, რაც გამოიხატებოდა მებრძოლ ხარსა და ტორეროს შორის მისტიკური კავშირის დამყარებით. ეს მისტიკური კავშირი კი ერთგვარ სულიერ მღელვარებას იწვევდა მაყურებელში და ამ კავშირის მონაწილედ აქცევდა მას. თუმცა რომანის პირველ თავში ლორენსი აშკარად ხართა ორთაბრძოლის პაროდირებას *ახდენს და ამის არაერთი მაგალითია მოცემული: „She had always been afraid of bulls, fear tempered with reverence of the great Mithraic beast. And now she saw how stupid he was in spite of his long horns and his massive maleness Blindly and stupidly he ran at the rag, each time, and the toreadors skipped like fat-hipped girls showing off“*[2] [Lawrence, 1987:10]. შესაბამისად, სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ აღარ ხდება არც მისტიკური კავშირის დამყარება ხარსა და ტორეროს შორის და არც საერთო სულიერი მგზნებარების გამოწვევა: „*As a consequence, the Lawrentian arena is no longer a place where passion is fulfilled, and where communion can take place, but rather a vortex of unleashed emotions that the parody of a ritual can no longer channe“l****[3]*** [Bricout, 2011: 10, 1-3]. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მსგავსი სცენის ხილვა შოკურ გავლენას ახდენს ქეითზე და იქიდან გაქცევის სურვილს უჩენს: „*Kate knew if she saw any more she would go into hysterics*“[4] [Lawrence, 1987 :15]. შ. ბრიქუს აზრით, ეს სცენა

მთავარი პერსონაჟის გაორებას იწვევს და ისტერიკაში აგდებს მას. სტატიის ავტორის მიხედვით, შიდა გვირაბი, რომლითაც ქეითმა უნდა დატოვოს შენობა, სიმბოლურად განასახიერებს ბილიკს ხელახლა დაბადებისაკენ, მაგრამ ამ პროცესს აფერხებს ძლიერი წვიმა. შ. ბრიქუს აზრით, წვიმა რომანში განწმენდის სიმბოლოდ წარმოგვიდგება, ხოლო ნაწარმოების დასაწყისში მთავარი პერსონაჟის წვიმის გამო გვირაბში შეყოვნება იმაზე მიუთითებს, რომ სულიერად არა არის მზად ხელახლა დაბადებისთვის: „*the rain symbolizes purification, but in the opening scene Kate isn't ready for rebirth just yet as she will be when she marries Don Cipriano"*'[5][Bricout,2011:239-254] სასურველია, რომ საწყის ეტაპზე გაჩნდეს თავად განახლებისაკენ სწრაფვის სურვილი.

სტატიის ავტორი ასევე საინტერესოდ განაგრძობს მსჯელობას და აღნიშნავს, რომ ხარების ორთაბრძოლის მისტერიიდან ვერ მიღებული სულიერი მღელვარების ტალღა უკვე პერსონაჟებში აჩენს რწმენის სიცარიელის განცდას და მისი შევსების სურვილს აღძრავს მათში. თუმცა სიცარიელის განცდა ინდივიდს არა მარტო მექსიკაში, არამედ ევროპაშიც გაჰყვება. ბრიქუს აზრით, ლორენსი არა მარტო ხარების ორთაბრძოლის, არამედ ქრისტეს მსხვერპლშეწირვის პაროდირებასაც ახდენს. ხარი ასოცირდება კრავთან ნაშრომში „აპოკალიფსი" – „*A Lamb it has to be: or with Mithras, a bull* „[6] [Lawrence, 1980: 99] სტატიის ავტორი ასევე მიუთითებს რომანის დასაწყისზე „ *It was the Sunday after Easter, and the last bull-fight of the season in Mexico*" [7] [Lawrence, 1987: 1], სადაც ალუზია აღდგომის მიმანიშნებელია და მსხვერპლშეწირვა თავისთავად დასასრულს არ ნიშნავს. ამიტომ არის, რომ ხარების ორთაბრძოლის ანუ მსხვერპლშეწირვის პაროდირების ეპიზოდის შემდგომ რომანში აღწერილია, თუ როგორ გაცოცხლდება ძველი ღმერთი „კეცალკოატლი" და როგორ იკიდებს ფეხს ახალი რწმენა. არ უნდა დაგვავიწყდეს „კეცალკოატლის" მნიშვნელობა, რომელიც, როგორც ზევით აღვნიშნე, განახლება-აღდგომის სიმბოლოს წარმოადგენს. რომანის მთავარ პერსონაჟ ქეითთან ერთად მექსიკელების სულიერი განახლებაც უნდა მოხდეს.

იქიდან გამომდინარე, რომ მთელი რომანი წარმოადგენს მთავარი მოქმედი გმირის სულიერ მოგზაურობას განახლებისკენ, მუდმივად გვხვდება ამ პროცესის

გამომხატველი სიმბოლოები, მაგალითად, ერთ-ერთი მათგანია „ტბა“. რომანის ერთ-ერთი თავის სახელწოდებაა „ტბა“, ადგილი, რომლის ახლოსაც ქეითი გადადის საცხოვრებლად. ტბას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. ინდურ რელიგიაში ტბის ზედაპირი და სიღრმე სიმბოლურად ასახავს ადამიანის ცნობიერსა და არაცნობიერს. ასევე ის აღიქმება როგორც სარკე, რომელიც თავის თავში აირეკლავს ზეცას. იგი არის ასევე ღმერთების საცხოვრებელი ადგილი. სწორედ ამიტომ არის, რომ ტბის გადაკვეთის დროს წყლიდან ამოდის „კეცალკოატლის“ ხალხი და ღმერთის გაცოცხლებას ამცნობს ქეითს. ქეითი გრძნობს ტბის ჰარმონიულობას, რაც ქვეცნობიერში მისთვის სასურველი სულიერი ჰარმონიულობის ანარეკლს წარმოადგენს: *„she sensed a certain delicate, tender mystery in the river, in the naked man in the water, in the boatman”* [8] [Lawrence, 1987:67]. არ უნდა დავივიწყოთ წყლის ქრისტიანული სიმბოლიკაც, რომელიც გულისხმობს ადამიანის მონათვლას, ანუ ჭეშმარიტებასთან ზიარებას. ტბა კიდევ ერთხელ გვახსენებს, თუ რას ეძებს ქეითი თავის მოგზაურობაში. რომანში საინტერესო მინიშნებას იძლევა ასევე მენავე და ჩნდება პარალელი ბერძნულ მითოლოგიასთან, კერძოდ, მდინარე სტიქსთან და მენავე ქარონთან, რომელსაც გარდაცვლილის სული გადაჰყავს იქაურ სამყაროში, ან ქვესამყაროში. ბერძნულ მითოლოგიაში ცნობილია, რომ მიცვალებულს პირში ფულის მონეტას უდებდნენ, რაც სტინქსზე გადასვლის დროს ქერონის გასამრჯელოს წარმოადგენდა. რომანშიც ქეითი მენავეს გასამრჯელოს აძლევს მდინარის გადალახვისთვის. ყველა ეს სიმბოლო ასახავს ამ პერსონაჟის მოგზაურობას ქვეცნობიერის მდინარეში. ეს ერთგვარი ჯოჯოხეთური პროცესია, რომელიც ქეითმა უნდა გაიაროს, რათა ხელახლა დაიბადოს. ამ პროცესის ნაწილია ქვეცნობიერის ბნელი ენერგია, რომელიც მექსიკელებში ბუდობს და ფიზიკურ საფრთხეს უქმნის ქეითს. ღამე მოთარეშე მექსიკელი ბანდიტებისა თუ მკვლელებისგან მას იცავს ეზეკიელი, რომელსაც ჰყავს ძმა, სახელად იესო. შემთხვევითი არაა, რომ არჩევანი ეზეკიელზე გაკეთდა. შიში, რომელსაც ქეითი განიცდის, არა სულისშემძვრელი, არამედ სისხლის შემძვრელია. ლორენსთან სისხლის ცნობიერება კი ძველი ცივილიზაციის ადამიანს ჰქონდა. ეზეკიელი ხომ სწორედ ქრისტეშობამდე მცხოვრები წინასწარმეტყველი იყო.

მისი სახელი ბიბლიიდან, ძველი აღთქმიდან მოდის და ნიშნავს „ღმერთი აძლიერებს“. სიმბოლურია, რომ ეზაკიელი არა მარტო ბანდიტებისგან, არამედ ღამის სიბნელისგანაც იცავს ქეითს, რაც ქვეცნობიერზე მიანიშნებს. საინტერესოა, რომ თავად ქეითი ღამე გადატანილ შიშს სისხლით განცდილ შიშს უწოდებს, რაც სრულიად განსხვავდება ევროპაში ომის დროს განცდილი შიშისაგან: „*In England, in Ireland, during the war and the revolution she had known spiritual fear'..... 'Now she knew the real heart-wrench of blood fear'*"[9] [Lawrence, 1987: 127]. საკუთარი არაცნობიერი ბნელი ძალების არსებობის გაცნობიერება და მისით გამოწვეული შიშის დაძლევაც წარმოადგენს შინაგანი განახლების ერთგვარ პროცესს.

გასაკვირი არაა, რომ ლორენსმა თავისი რომანის სათაურად შეარჩია ისეთი ღმერთი, რომლის სიმბოლიკა ყველა კულტურის მითებშია გადმოცემული და წარმოადგენს მუდმივი განახლების, აღდგომისა და მარადიულობის სიმბოლოს. მწერალმა გველის სიმბოლოს შესახებ იცოდა არა მარტო რელიგიურ-მითურ დონეზე, არამედ – ეზოთერულზეც. იგი თავის ნაშრომში „არაცნობიერის ფანტაზია“ ავლენს ენერგეტიკული ცენტრების, ე. წ. ჩაკრების კარგ ცოდნას. როგორც ცნობილია, ბოლო ჩაკრის გახსნისას ინდივიდუალური ცნობიერება ერწყმის მარადისობას. ე. წ. კუნდალინის გამოღვიძების სიმბოლოს წარმოადგენს სტატიის დასაწყისში ნახსენები ბერძნული გველის სიმბოლო, რომელიც დახვეულია და თავისი ბოლო უჭირავს პირით. მისი გამოღვიძებისა და ზევით აღმასვლის პროცესი ბოლო ჩაკრამდე გველის სიმბოლოთია გადმოცემული.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გველი ბიბლიაში ადამ და ევას დაცემის პირველი მიზეზია. ხოლო ნიცშეს ნაწარმოებში „ასე იტყოდა ზარატუსტრა“ მოცემულია გველი და არწივი, რომლებიც სიმბოლურად სიბრძნესა და სიამაყეს გამოხატავენ. ასევე ნიცშესთან მათ სიმბოლიკაში გულისხმობენ ადამიანის დუალობას: გველი ნიშნავს მიწიერს, ნგრევას, ხოლო არწივი – სამოთხეს, განახლებას, როგორც ჩინური ინი და იანი. ამ ორი საპირისპირო ენერგიის თანაარსებობა ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვისაა დამახასიათებელი. ნიცშესეული გავლენა ლორენსზე იგრძნობა არა მარტო სიმბოლიკის

კუთხით, არამედ მწერლის შემოქმედებით მსოფლხედვაზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, მჟღავნდება დასავლური ცივილიზაციის ფასეულობებში დაეჭვებით.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ის რელიგიური სიმბოლოები, რომლებსაც ლორენსი თავის რომანში იყენებს, როგორებიცაა – თავად გველის სიმბოლო, წყლის, წვიმის ან ტბის სიმბოლიკა, წარმოადგენს ადამიანის დაცემისა და აღდგომის მარადიული წრებრუნვის არქეტიპულ სიმბოლიკას. მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების ისტორიული ტრაგიკული პერსპექტივიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ლორენსის შემოქმედებაც სავსეა დასავლური ცივილიზაციის ფასეულობების მსხვრევით გამოწვეული ჭრილობების ასახვით, რომლებიც მწერალთან ინდივიდის სულიერი დაცემით ვლინდება, ხოლო განახლების მარადიული იდეა კი ერთგვარი მიზანია, ჩასაჭიდი იმედია თანამედროვე სამყაროში დაცემული ადამიანისა.

---

[1] მიუხედავად იმისა, რომ წირვა თავისთავად წარმოადგენს უნიკალურ ფენომენს შედარებითი რელიგიის ისტორიაში, მისი სიმბოლური შინაარსი სრულიად უცხო იქნებოდა ადამიანისთვის რომ არ ყოფილიყო ის ფესვგადგმული ადამიანის ფსიქიკაში. მაგრამ ის იმდენადაა ფესვგადგმული, რომ ველით მსგავსი სიმბოლური მოდელების აღმოჩენას როგორც კაცობრიობის უძველეს ისტორიაში, ასევე – მისი თანადროული წარმართული სამყაროს აზროვნებაშიც.

[2] მას ყოველთვის ეშინოდა ხარების, შიში, მომდინარე დიადი მითრას ცხოველისადმი პატივისცემით. და ახლა მან დაინახა, თუ რამდენად სულელი იყო ის, მიუხედავად თავისი გრძელი რქებისა და მასიური მამაკაცურობისა. ბრმად და სულელურად უტევდა ნაჭერს ყოველ ჯერზე და ტორეადორები დახტოდნენ როგორც სქელბარძაყა მოტრაბახე გოგონები (თარგმანი აქაც და შემდგომშიც ეკუთვნის სტატიის ავტორს).

[3]შესაბამისად, ლორენსისეული არენა აღარ წარმოადგენს ადგილს, სადაც სულიერი მგზნებარება ხორციელდება და ზიარება სრულდება, არამედ მორევია მოუთოკავი ემოციებისა, რომელსაც პაროდირებული რიტუალი ვეღარ გადმოსცემს.

[4] ქეითმა იცოდა, თუ კიდევ უყურებდა, ისტერიკაში ჩავარდებოდა.

[5] წვიმა სიმბოლოა განწმენდისა, მაგრამ დასაწყის სცენაში ქეითი არ არის მზად განახლებისთვის, როგორც მაშინ არ იყო მზად, როცა ის ცოლად გაჰყვა კიპრიანოს.

[6] კრავი უნდა იყოს: ან მითრასთან, ხარი.

[7] აღდგომის შემდგომი კვირა იყო და ხართა ორთაბრძოლის ბოლო სეზონი მექსიკაში.

[8] მან იგრძნო გარკვეული მგრძნობიარე, ნაზი საიდუმლოება მდინარეში, შიშველ მამაკაცში, მდინარესა და მენავეში.

[9] „ინგლისში, ირლანდიაში, ომის და რევოლუციის დროს, მან იცოდა სულიერი შიში.. ახლა მან იცის ნამდვილი სისხლის შემაძრწუნებელი შიში“.

@font-face { font-family: Sylfaen; }@font-face { font-family: "Cambria Math"; }@font-face { font-family: Calibri; }p.MsoNormal, li.MsoNormal, div.MsoNormal { margin: 0cm 0cm 10pt; line-height: 115%; font-size: 11pt; font-family: "Calibri", sans-serif; }p.MsoFootnoteText, li.MsoFootnoteText, div.MsoFootnoteText { margin: 0cm 0cm 0.0001pt; font-size: 10pt; font-family: "Calibri", sans-serif; }span.MsoFootnoteReference { vertical-align: super; }p.MsoListParagraph, li.MsoListParagraph, div.MsoListParagraph { margin: 0cm 0cm 10pt 36pt; line-height: 115%; font-size: 11pt; font-family: "Calibri", sans-serif; }p.MsoListParagraphCxSpFirst, li.MsoListParagraphCxSpFirst, div.MsoListParagraphCxSpFirst { margin: 0cm 0cm 0.0001pt 36pt; line-height: 115%; font-size: 11pt; font-family: "Calibri", sans-serif; }p.MsoListParagraphCxSpMiddle, li.MsoListParagraphCxSpMiddle, div.MsoListParagraphCxSpMiddle { margin: 0cm 0cm 0.0001pt 36pt; line-height: 115%; font-size: 11pt; font-family: "Calibri", sans-serif; }p.MsoListParagraphCxSpLast, li.MsoListParagraphCxSpLast, div.MsoListParagraphCxSpLast { margin: 0cm 0cm 10pt 36pt; line-height: 115%; font-size: 11pt; font-family: "Calibri", sans-serif; }span.apple-converted-space { }span.FootnoteTextChar { }.MsoChpDefault { font-size: 11pt; font-family: "Calibri", sans-serif; }.MsoPapDefault { margin-bottom: 10pt; line-height: 115%; }div.WordSection1 { }

ლიტერატურა:

1. Jung.C.G. Psychology and Religion: west and east.- Bollingen Series xx: Pantheon books.- New York, 1958
2. Kaplan,R. D. The New York Times: 'It's a Bird! It's a Snake!.- 1999 (https://www.nytimes.com/1999/02/07/books/it-s-a-bird-it-s-a-snake.html)
3. Lawrence, D.H. Fantasia of the Unconscious.- Cambridge: Cambridge University Press, 2004
4. Lawrence, D.H. Mornings in Mexico and Other Stories.-Cambridge: Cambridge University Press, 2009
5. Lawrence, D.H. The Plumed Serpent.-Cambridge: Cambridge University Press,1987
6. Bricout.S The Ritualization of Emotions in Quetzalcoatl and The Plumed Serpent (https://lawrence.revues.org/130)

ეთერ შავრეშიანი

ხელოვნებისა და ხელოვანის არსი აირის მერდოკის რომანში „შავი პრინცი“

აირის მერდოკი მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ბრიტანელი მწერალი და ფილოსოფოსი იყო. მისი შემოქმედება სავსეა მრავალი აქტუალური თემით, რომელთაგან აღსანიშნავია ხელოვნება – ცნება, რომელზეც მრავალი მოსაზრება არსებობს. ხელოვნებას მიეკუთვნება ყველაფერი, რაც არაბუნებრივი წარმოშობისაა, ანუ შექმნილია ადამიანის მიერ. მერდოკს სწამს, რომ ხელოვნება კაცობრიობისათვის შთაგონების მთავარი წყაროა. იგი ხელს უწყობს ადამიანის შინაგანი ბუნების გამოღვიძებას. სტატიაში განხილულია ურთიერთმიმართება ხელოვნებასა და სიყვარულს, ხელოვნებასა და სიმართლეს, ხელოვნებასა და მორალს შორის, ისევე როგორც ესთეტიზმსა და ეთიკას შორის ისევ და ისევ ხელოვნების როლით მორალურ სამყაროში.

აირის მერდოკის რომანებში იგრძნობა ცნობილი მწერლების გავლენა, მაგალითად უილიამ შექსპირისა, აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ იქნება ის ფაქტი, რომ მის რომანებში ბევრი ფილოსოფიური ნააზრევია, რაც შედარებით რთულია აღსაქმელად და ამის ფონზე კიდევ უფრო აღვივებს ჩვენში გრძნობას, თუ რაოდენ დიდებულია ხელოვნება. მერდოკი იზიარებს ტომას ელიოტის აზრს და ნამდვილ ხელოვანს მოუწოდებს, იყოს თავისუფალი საკუთარი მესაგან, რათა შეძლოს და შექმნას ხელოვნების ნიმუში. მას სწამს, რომ ხელოვნება უფრო ღრმაა, ვიდრე – ფილოსოფია. მის რომანებში ნათლად იკვეთება ერთი რამ, ხელოვნება არამარტო ამდიდრებს ჩვენს მორალურ ურთიერთგაგებას, არამედ ასაზრდოებს ჩვენს ღირსებას და გვეხმარება უკეთესი ცხოვრების მიღწევაში. მწერალი დარწმუნებულია, რომ ხელოვნების მეორე სახელი – სიმართლეა. აქედან ნათლად გამომდინარეობს ერთი რამ, თუ არ იქნება სიმართლე, არც ხელოვნებისათვის იქნება ადგილი.

„ხელოვნება მოგვითხრობს იმ ერთადერთი სიმართლის შესახებ, რომელსაც ძირითადი მნიშვნელობა აქვს და რომლის საშუალებითაც ხდება ადამიანების უკეთესობისაკენ ცვლილება. ხელოვნების იქეთ, დამერწმუნეთ-არაფერია,“ –ვკითხულობთ აირის მერდოკის მეთხუთმეტე რომანში „შავი პრინცი“ [Murdoch, 2003: 408]. ეს რომანი პირველ პირშია დაწერილი. რომანის მთავარი გმირია ორმოცდათვრამეტი წლის წარუმატებელი ხელოვანი ბრედლი პირსონი, რომელიც მთელი რომანის მანძილზე საკუთარი თავის ძიებაშია. იგი ვერ ახერხებს კარგი წიგნის დაწერას. წინ გამუდმებით რაღაც ეღობება, რაღაც აბრკოლებს. ასეთი პრობლემები თან სდევს ბრედლის მთელი რომანის მანძილზე. მას პრობლემები აქვს თითქმის ყველა მის გარშემომყოფ ადამიანთან, იქნებიან ესენი მისი მეგობრები, ნათესავები თუ ოჯახის წევრები. ბრედლის დაკარგული აქვს რეალობის აღქმის უნარი, არ გააჩნია ფანტაზია; ვერ ახერხებს ორი მნიშვნელოვანი ცნების განმარტებასა და ერთმანეთისაგან მათ გამიჯვნას: ესაა კარგისა და ცუდის ერთმანეთისაგან გარჩევა. მისთვის თითქოს ყველაფერი ერთნაირია. ბრედლის სიყვარულის არ სჯერა, არ სწამს ამ გრძნობის არსებობა. სიყვარული ამ რომანში, ისევე როგორც მერდოკის თითქმის ყველა რომანში, აქტუალური და მნიშვნელოვანი თემაა, თუმცა „შავ პრინცში“ ამ თემის განხილვას, ვფიქრობთ, დიდი ყურადღება ეთმობა ავტორის მხრიდან. თავად რომანის სათაურიც იძლევა ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას. „ შავი პრინცი“ ანუ „სიყვარულის ზეიმი“ („The Black Prince” or “A Celebration Of Love”). რომანის მთავარ გმირს ბრედლი პირსონს უყვარდება მასზე ბევრად პატარა, ოცი წლის ჯულიან ბაფინი, მისი მეტოქისა და მეგობრის, არნოლდ ბაფინის, ქალიშვილი. მათი სიყვარული ყველასთვის მიუღებელია. მიუღებელია თვითონ ბრედლისთვისაც, თუმცა ამას არ აღიარებს. გამომცემელი რომანის წინასიტყვაობაში წერს, რომ „ყველა ხელოვანი უიღბლო შეყვარებულია და უიმედოდ შეყვარებულებს სურთ თავიანთი ამბის აღწერა“ [Murdoch, 2003: 2].

რომანი სავსეა უამრავი ლიტერატურული ხერხით: ირონიით, კომიზმით, ტრაგიზმით. ამ რომანს ტრაგი-კომიკურსაც უწოდებენ, ვინაიდან, ალბათ, ერთდროულად მკითხველმა შეიძლება დაინახოს ტრაგედია და კომედია; ტრაგედია, რომელიც მარტო ბრედლის ტრაგედია არ არის, არამედ მთელი საზოგადოებისაცაა, და კომედია,

ვინაიდან გმირების ქმედებები ხშირ შემთხვევებში სიცილს აღძრავს საზოგადოებაში. რადგანაც რომანის ტრაგი-კომიკურობა ვახსენე, აქვე უნდა აღვნიშნო ყველა დროის უდიდესი შემოქმედის უილიამ შექსპირის გავლენა მერდოკზე. აშკარაა, რომ მწერალი შექსპირს აიდეალებს. რომანის მნიშვნელოვანი მონაკვეთია ჰამლეტზე საუბარი ბრედლისა და ჯულიანს შორის. ხელოვნება, მათი საუბრიდან გამომდინარე, სათავგადასავლო ამბავია, რომელიც საჭიროა აიხსნას და გადმოიცეს წერილობითი ფორმებით და, რაღა თქმა უნდა, სიტყვებით, რომლებიც ასე ძნელია გამოსათქმელად. ბრედლის მოსაზრებით, ჰამლეტი სიტყვებით გადმოსცემს თავის სათქმელს. სწორედ ესაა ხელოვნება, ესაა მნიშვნელოვანი, ესაა ყველა დროის აქტუალური პრობლემა. ,,სიტყვები არის ჰამლეტის ყოფიერება, ისევე როგორც ეს იყო შექსპირისა. სიტყვები, სიტყვები, სიტყვები“ [Murdoch, 2003: 191]. მაგრამ ასრულებენ სიტყვები თავიანთ ფუნქციას? ღირს კი რამედ ეს სიტყვები, თუ ეს უბრალო, ფუჭი საუბარია? მერდოკის მიხედვით, სიტყვებმა დაკარგა პირველადი ფუნქცია, რაც სწორედ აზრის ზუსტ და ლაკონურად გადმოცემას გულისხმობს. ,,ჩვენ მეტად აღარ შეგვიძლია მივიჩნიოთ ენა უდავო საშუალებად ურთიერთობისა. მისი გამჭვირვალობა გაქრა. ჩვენ დავემსგავსეთ ადამიანებს, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე იყურებოდნენ ფანჯრიდან მინის შეუმჩნევლად და შემდეგ ერთ დღეს ამის შემჩნევაც დაიწყეს“ [Murdoch, 1987: 64].

აზრის გამოხატვა სიტყვებით მერდოკთან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ბრედლი დაინტერესებულია შექსპირით. შექსპირმა მოახერხა და შექმნა თავისი ენა, იგი იმ დონის ხელოვანი იყო, რომლის მსგავსი საერთოდ ლიტერატურაში რთულად მოიძებნება. შექსპირმა პიესა ,,ჰამლეტის“ მეშვეობით ინგლისელ და არა მარტო ინგლისელ საზოგადოებას ახალი ენა შესთავაზა, ესაა ენა სილამაზისა, ხელოვნებისა. მერდოკი სწორედ ამის მსგავსი ენის შექმნისაკენ ისწრაფვის. რომანში ვკითხულობთ: ,,ჰამლეტი სიტყვაა“ [Murdoch, 2003: 191]. მაგრამ უდავოა, რომ ჰამლეტი სიტყვებზე მეტია, ჰამლეტი მსოფლიო შედევრია ყველა კუთხით. ჩემი აზრით, მერდოკის გმირი სწორედ იქითკენაა მიმართული, რომ მსგავსი შედევრი შექმნას, შედევრი, რომელსაც ყველა მიიღებს, ყველა წაიკითხავს. ვფიქრობ, შექსპირის გავლენა ამ რომანს კიდევ უფრო პოპულარულს ხდის, თითქოს შექსპირია ამ რომანის მასაზრდოებელი; მისი

დამსახურებაა ის ღირებულებანი, რომლებიც რომანს აქვს. თუმცა, ურიგო არ იქნება, თუ თავად მერდოკის შეხედულებაზე ვისაუბრებთ შექსპირთან და, კერძოდ, ჰამლეტთან დაკავშირებით. იგი მაიკლ ბელანისთან საუბრისას აღნიშნავს: „შავი პრინცი“, რა თქმა უნდა, „ჰამლეტი“ არ არის, ეს ისე, სხვათაშორის. მე არა ვარ შექსპირის კრიტიკოსი, მაგრამ ნამდვილად ვგრძნობ შექსპირის არსებობას იმ პიესაში, როგორც შიშით გამოწვეულ ემოციურ აღტაცებას, რაღაცას, რაც ხდის მას, ფაქტობრივად, საკმაოდ საშიშ პიესად“ [Bellany, 1977: 132].

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბრედლის უყვარდება მასზე ბევრად პატარა გოგონა. რის მიღწევა სურს ბრედლის ამ სიყვარულით? ჭეშმარიტია მათი სიყვარული? ვფიქრობ, ბრედლი მახეში გაება. ფრენსის მარლოუსთან საუბრისას, როდესაც მას თავისი სიყვარულის ამბავს გაუმხელს, იგი ამბობს: „ჭადრაკის თამაშში შავ მბრძანებელთან შესაძლოა, მე გავაკეთე საბედისწეროდ ცუდი სვლა“ [Murdoch, 2003: 244]. ამ ციტატის წაკითხვის შემდეგ ვგრძნობთ, რომ ჩვენს გმირს ეშინია, იგი ახსენებს სიტყვა საბედისწეროს, იქნებ, მართლაც, საბედისწერო გახდეს მისთვის ჯულიანის შეყვარება. ბრედლი ამ თამაშში ისე გაება მახეში, რომ ვერ შეამჩნია. ვერ ხვდება, ოდესმე მაინც თუ შეძლებს თავის დაღწევას. თუმცა სწორედ ეს „სასიყვარულო თამაში“ მიიყვანს მიზნამდე. ავტორი ამდენს იმიტომ საუბრობს სიყვარულის შესახებ, რომ მას სწამს ამ გრძნობის და იმის, რომ ეს გრძნობა მთავარია ადამიანის ფეხზე წამოსადგომად, რათა გააგრძელოს არსებობა და არაფერსა და არავის შეუშინდეს. ეს გრძნობა კარგად დაანახვებს ადამიანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სიმართლე; სიმართლე, თავისუფლება, რომელთა მოპოვება რომანის გმირს სჭირდება. მან უნდა მოახერხოს და შეძლოს გამკლავება ბნელ და ბოროტ ძალებთან, იმისათვის რომ თავიდან აიცილოს ყოველგვარი უბედურება. ასეთი პიროვნება აუცილებლად შედგება წარმატებულ ხელოვანად; ასეთი ხელოვანი კი საკუთარ თავსაც გამოადგება და საზოგადოებასაც.

მერდოკის დროინდელი საზოგადოება განიცდიდა ხელოვნების ნიმუშების ნაკლებობას; ეს ხალხი საზრდოობდა ისეთი ლიტერატურით, რომელსაც ბრედლის მეტოქე არნოლდ ბაფინი წერდა. საზოგადოება მის რომანებს კითხულობდა, საკმაო

პოპულარობით სარგებლობდა ეს მწერალი ხალხში. ამგვარად, ადვილი მისახვედრია, რომ პრობლემა საზოგადოებაშია, ხალხის მასაა დაბრმავებული. თავად საზოგადოებას სჭირდება გამოფხიზლება. რატომღაც რომანიდან ჩანს, რომ თითქოს ბრედლი ხვდება ამ პრობლემას, მაგრამ არ იცის, როგორ უნდა მოიქცეს, ისიც ხომ ამ თავისუფლებადაკარგული საზოგადოების წევრია.

მერდოკი ახერხებს და ნათლად წარმოგვიჩენს სიყვარულსა და ხელოვნებას შორის კავშირს. მან შექმნა სასიყვარულო რომანი და, თავის მხრივ, ეს სასიყვარულო თავგადასავალი ბოლოს ხელოვნების ნიმუშად, შედევრად აქცია. მერდოკს აშკარაა, სწამს, რომ სიყვარული მოტივაციას ბადებს ადამიანში. რის მოტივაცია შეიძლება იყოს ეს? თუ არა იმისა, რომ ხელოვანს თვალი აუხილოს, დაანახოს ახალი სამყარო, სიმართლის გზა თავისუფლების საპოვნელად. ასეთი სიყვარული შესაძლებელია გახდეს შთაგონების წყაროც.

თუკი გავითვალისწინებთ ბახტინის მოსაზრებას, მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ „შავი პრინცი“ სულაც არ წარმოადგენს მთავარი გმირის მონოლოგს. პირიქით, ეს უფრო დიალოგია, დიალოგი საზოგადოებასთან, რომანის პერსონაჟებთან. ერთი და იგივე აზრი სხვადასხვა კუთხითაა გადმოცემული, რაც ასე მნიშვნელოვანია რომანის უკეთ გასაგებად. ასე რომ, აშკარაა მერდოკის სათქმელი – ყველამ უნდა გავაკეთოთ რაღაც მცირე მაინც, რომ ვეზიაროთ ჭეშმარიტებას.

მთელი რომანის მანძილზე ბრედლი გამუდმებით რაღაცას ეძებს, სურს, გაიგოს, რატომ ვერ ახერხებს და ვერ ქმნის რომანს, რატომ უჭირს ამის გაკეთება, მაშინ როცა მისი თანამედროვე არნოლდ ბაფინი წარმატებული ხელოვანია. ბრედლი რომანის წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „კარგი ხელოვნების ნიმუში გადმოსცემს ჭეშმარიტებას, ნამდვილად ჭეშმარიტებას და შესაძლოა ერთადერთ ჭეშმარიტებას“[Murdoch, 2003: 3]. რა გამოდის ამ ყველაფრიდან? მხოლოდ ერთი რამ იკვეთება, რომ სიმართლეს უნდა ემსახურებოდეს მწერალი, მხოლოდ სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა. ვფიქრობ, ბრედლი თანდათან იმეცნებს იმ აზრს, რომ უნდა შეასრულოს მთავარი

პირობა იმისათვის, რომ გახდეს წარმატებული მწერალი. ბრედლის რომანი, მხოლოდ და მხოლოდ, სიმართლის მღაღადებელი იქნება. თუმცა არნოლდი ანტიპოდია ბრედლისა, ის არც სიმართლეს ეძებს და არც არაფერს. მისთვის მთავარია ისეთი ნაშრომი შექმნას, რომელიც მას დიდ მოგებას მოუტანს. ბრედლი ამ აზრამდე მეტ-ნაკლებად ჯულიანთან ურთიერთობამ მიიყვანა და მასთან გარკვეული ურთიერთობის შემდეგ წერს კიდეც: „ხელოვნებას კავშირი აქვს სიმართლესთან არა უმთავრესად, არამედ აბსოლუტურად. ეს სიმართლის სხვა სახელია. ხელოვანი სწავლობს სპეციალურ ენას სიმართლის გადმოსაცემად...“[Murdoch, 2003: 56]. „ხელოვნება ერთადერთი ხელმისაწვდომი საშუალებაა გარკვეული სიმართლის გადმოსაცემად“[Murdoch, 2003: 72].

ყველა ხელოვანი ადამიანი, დარწმუნებული ვარ, განიცდის თავის წარუმატებლობას და, ალბათ, ეძებს მიზეზებს იმისა, თუ რამ განაპირობა ეს. ბრედლი მეცოდება მისი უსუსურობის გამო, მას გულით სურს შედევრის შექმნა, მისთვის ხელოვნება წმინდაა, განსაკუთრებულია. მან იცის, რომ წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარი უნდა ჰქონდეს, სიტყვებით მდიდარი ენა უნდა შექმნას, ისეთი, რომელიც ხალხს მოეწონება, ხალხამდე მივა. თუკი ხელოვანს არ აქვს წარმოსახვის ნიჭი, ფანტაზიის უნარი, ის ვერაფერს ვერ მიაღწევს და უბრალოდ ცარიელი სიტყვების რახარუხი იქნება. ბრედლი წერს: „ხელოვნება წარმოსახვაა. წარმოსახვა იცვლება, ირევა. წარმოსახვის გარეშე ერთ მხარეს გაქვს სულელური დეტალები, ხოლო მეორე მხარეს – ცარიელი ოცნებები“[Murdoch. 2003: 42].

ყველასთვის ცნობილია, რომ პლატონი ხელოვნებას, ესთეტიზმს გულგრილად ვერ უყურებდა. სულ ძიებაში იყო. სურდა, ამოეხსნა ამ ცნებების საიდუმლოებანი. პლატონისათვის მთავარი ხელოვნება იყო. აქედან იწყებოდა მისთვის ყველაფერი. ცნობილია პლატონის გამონათქვამი ხელოვნებაზე, რომ ხელოვნება სხვა არაფერიამ თუ არა მიბაძვა. აშკარაა, მერდოკი ამას არ იზიარებს და ეს არ ჩანს მისი გმირის ქმედებებში.

ხელოვნებაზე საუბარი არ შედგება თუ მის გვერდით არ ვახსენებთ მორალს, ზნეობას, იმ მაღალ მატერიებს, რომლებზეც ხალხი უძველესი დროიდან იზრდებოდა. ეს არც

უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან ზნეობა გულისხმობს ესთეტიზმის აღქმას. „ხელოვნება არა მხოლოდ ამდიდრებს ჩვენს ზნეობრივ გაგებას, არამედ უკეთესსაც გვხდის“[Murdoch, 1970: 77]. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ხელოვნება გენიალურია, ის უამრავ რამეს მოიცავს საკუთარ თავში; სად მიგვიყვანს ზნეობა და მორალი? უდავოა, რომ ჭეშმარიტებამდე. სწორედ ჭეშმარიტება და სიმართლე ძალიან გვაკლია და გვჭირდება. ბრედლი ნაწარმოების ბოლოს უკეთ გრძნობს თავს, მართალია ოთხ კედელს შორისაა გამომწყვდეული, მაგრამ ახერხებს საკუთარი თავის პოვნას, თავს აღწევს მარტოობას. თითქოს, ფიქრობ, რა ძალა ადგა, ეს მანამდეც ხომ შეეძლო გაეკეთებინა და მოეხერხებინა თავისუფლებასთან ზიარება, ნუთუ ციხეში უნდა წასულიყო? ალბათ, ასე იყო საჭირო. აქაც ერთგვარი ირონია იგრძნობა, ბრედლიმ თავისუფლება ციხეში იპოვა.

ბრედლიმ მოახერხა ხელოვნების გზითა და საშუალებით ეპოვა უკეთესი ცხოვრება. იქნებ, ხელოვნება მართლაცდა ერთადერთი გამოსავალია, რომელსაც უამრავი სიძნელის მიუხედავად, სინათლე და შვება მოაქვს. შეგრძნება იმისა, რომ ოდესმე მაინც ეზიარები ხელოვნებას და შეიმეცნებ მას, ადამიანს უფრო მეტ ძალას მატებს. ალბათ, სიმართლეა მერდოკის ნათქვამი, რომ ხელოვნება უფრო ღრმა და ამოუცნობი ფენომენია, ვიდრე – ფილოსოფია. ეს მერდოკმა ნამდვილად იცოდა; მერდოკი უდიდესი ფილოსოფოსი იყო, თუმცაღა, როგორც ჩანს, ლიტერატურა მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ყოფილა. ლიტერატურა ადამიანს ჭირში ამაგრებს, უფრო გასაგებია, უფრო დიდია, ალბათ ამიტომაცაა, რომ ბრედლის სწორედ ლიტერატურის საშუალებით სურს, გადმოსცეს ძირითადი სათქმელი ისე, რომ ამას ყველა მარტივად მიხვდეს.

მერდოკი არაერთ ესეში განიხილავს კარგი და ცუდი ხელოვნების რაობას; მისთვის ცუდი ხელოვნება ყველაფრის დამარცხებაა, უფრო მეტად კი სიყვარულისა, გრძნობისა, რომელიც ასე სჭირდება ყველა ხელოვანს. კარგი ხელოვნების ნიმუშის შექმნა კი ახალ სიყვარულს ბადებს, ახალ სიცოცხლეს, რომელიც, თავის მხრივ, კიდევ სხვა ნიმუშების შექმნას დაუდებს საფუძველს და ასე გაგრძელდება უსასრულოდ. თუ ეს არ გაგრძელდა

და გაიყინა ერთ ადგილას, მაშინ აღარ იქნება არც სიყვარული, არც სიმართლე, არც თავისუფლება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არც ხელოვნება. შედეგად მივალთ სიკვდილის პირას, რაც არ უნდა დავუშვათ, პირიქით, ყველა ცოცხალ არსებაში უნდა არსებობდეს გრძნობა, რომლის გამოც იგი შეუძლებელს შეძლებს, რომლითაც იგი ლამაზი გახდება. მერდოკს ალბათ იმის თქმა სურს, რაც ფაულზმა „კოლექციონერში“ ბრძანა: „თქვენი გზა სიყვარულის ხელოვნებაა და არა ხელოვნების სიყვარულიო“[ფაულზი, 2013:234]. ალბათ ეს ფრაზა ზუსტად გადმოსცემს ბრედლის საქციელს მთელი რომანის მანძილზე. ეს ორივე თვისება თუ შეგრძნება გამოხატულია ამ რომანში. „სიყვარულის ხელოვნებასთან“ ზიარება გახდა პირობა „ხელოვნების სიყვარულთან“ ზიარებისა. ბრედლი ამ ყველაფერს ეზიარება, ის ბედნიერი ადამიანია, ამას ყველა ვერ ახერხებს. ხელოვნება ყველა სხვა დანარჩენზე მაღლა დგას, ეს გვერდითი მოვლენა არ არის. ხელოვნების ნიმუში, ამ კონკრეტულ შემთხვევაში რომანი, ყველაფერს მოიცავს თავის თავში. ხელოვნებასთან ზიარება მორალთან ზიარებასაც ნიშნავს. რა არის ამ ორი ცნების ამოსავალი წერტილი? ისევ და ისევ – სიყვარული, რომელიც ძნელად მიიღწევა, და რაც ძალიან კარგად იცის ბრედლიმ, მაგრამ, ალბათ, სწორედ ამ სირთულის გადალახვაა ხელოვნება. კარგი ხელოვნება საშუალებას იძლევა, დავაფასოთ ადამიანები, უკეთ გავითავისოთ მათი პრობლემები. ლიტერატურა სწორედ ამის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც სხვის გასაჭირს გვანახებს, გვასწავლის ცხოვრებას, არჩევანის საშუალებას გვაძლევს, ადამიანის შინაგან სამყაროს გვაჩვენებს, რასაც ხელოვნების არც ერთი დარგი ისე ოსტატურად არ აკეთებს, როგორც ლიტერატურა; თუმცა ეს ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მხატვრობა და თეატრი ამას ვერ აკეთებს. მაგრამ იმისათვის, რომ რეჟისორმა კარგი სპექტაკლი შექმნას, მას სჭირდება ხელოვნების ნიმუში ანუ კარგი რომანი, რათა პერსონაჟების სცენაზე გაცოცხლება მოახერხოს. ლიტერატურა გვთავაზობს გზებს, რათა ვიყოთ უფრო მომთმენნი, უფრო შემწყნარებელნი, ზედმეტად არ ვაკრიტიკოთ სხვები, მაშინ როცა თავად ვიმსახურებთ ამას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სტატიაში ნათლად არის გამოკვეთილი მე-20 საუკუნის პრობლემა, რომელიც ძირითადად ადამიანის გაუცხოებაში მდგომარეობს.

მერდოკს კარგად აქვს გაცნობიერებული ამ საუკუნის ტკივილი, ადამიანის ჭირ-ვარამი. მერდოკი ნოვატორია, მან თავისი დროის მწერლობაში წერის ახალი სტილი დანერგა, რაც გამოხატულია იმით, რომ არა მარტო პრობლემაზე საუბრობს, არამედ გვთავაზობს მისგან დახსნის საშუალებას.

მერდოკმა მოახერხა და თავისი გმირის, ბრედლი პირსონის, დახმარებით არსებული პრობლემები მოგვარებადი გახადა. მერდოკი ახერხებს და „ბადეში გაბმული“ საზოგადოების ხსნის გზებს გვთავაზობს და იქვე გვაფრთხილებს, რომ ამისათვის ბრძოლა, მოქმედებაა საჭირო; სხვა შემთხვევაში ისევ იმ ჭაობში დავრჩებით და ბოლოს შეიძლება იქამდეც მივიდეთ, რომ გამოსავალი აღარც კი არსებობდეს.

ამ რომანის განხილვისას ნათლად გამოიკვეთა ხელოვნების არსებობის აუცილებლობა; მერდოკთან ცხოვრების ამ ურთულეს ცნებას წილად ხვდა უდიდესი მისია, ხელოვნებამ უნდა გადაარჩინოს საზოგადოება, რომელიც მთლიანობაში ბრბოდ არის გადაქცეული. ხალხმა რწმენა უნდა დაიბრუნოს, რწმენა უკეთესი მომავლისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაფერს ვერ მივაღწევთ. წარსულზე ტირილი არ არის გამოსავლი, არც აწმყოში ერთ ადგილზე გაყინვა, მოქმედება – აი, რას შეუძლია შექმნას ისეთი საზოგადოება, რომელშიც ყველა ბედნიერი იქნება. მერდოკისთვის მთავარია, ადამიანმა იგრძნოს თავისუფლება, მიხვდეს, თუ რა უაზრობას წარმოადგენს ჩვენი ცხოვრება მის გარეშე. რომანში „ბადის ქვეშ“ ვკითხულობთ: „თავისუფლება ერთადერთი იდეაა“ [Murdoch,1982:27]. „შავ პრინცშის“ დასაწყისშიც ზუსტად იგივე აზრი გაიჟღერებს –„თავისუფლების გარეშე არ არსებობს ხელოვნება და სიმართლე“ [Murdoch, 2003: 11]. ამ აზრსვე ახმიანებს მერდოკი რომანში „ზღვა, ზღვა“, სადაც „ზღვა ხელმიუწვდომელი თავისუფლების სიმბოლოა“ [Murdoch, 1978: 263].

მერდოკი უდიდესი ხელოვანია, მან თავისი გმირების მაგალითზე ისე ოსტატურად, ისე ლამაზად და ისე შეფარვით შეგვამეცნებინა და გვაზიარა ხელოვნების იდეას, რომ ძნელია, გვერდი აუარო, ყურადღება არ მიაქციო მის ნააზრევს. ბოლოს შედეგად ვიღებთ იმას, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს ამ ცხოვრებაში, მაგრამ არ უნდა დანებდე, რწმენა, იმედი, სიყვარული არ უნდა დაკარგო. მერდოკის რომანებში ყველგან იგრძნობა იმედი იმისა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ბოლო სიტყვას კი მერდოკი ყოველთვის ჩვენ, მკითხველს გვიტოვებს.

ლიტერატურა:

1. Byatt A.S. Degrees of freedom. The novels of Iris Murdoch.-London: Chatto&Windus, 1970
2. Murdoch I: The Black Prince.-Penguin books, 2003
3. Murdoch I:Under the Net.-Penguin books, 1982
4. Murdoch I. The Sea, the Sea.-Penguin books, 1978
5. Turner J. Iris Murdoch, and the good psychoanalyst.-The 20th-century literature, 2011
6. Todd R. Iris Murdoch. The Shakespearean interest.-London: vision press, 1979
7. Bayley J. Iris and friends.-London: Duckworth, 1999
8. Conradi P. Iris Murdoch: The saint and the artist.-Macmillan, 1986
9. ფაულზი ჯ. „კოლექციონერი“.-თბილისი: დიოგენე, 2013
10. გელაშვილი მ. An article about the Black Prince: Intertextuality and Heteroglossia.-თბილისი: წახნაგები,2012
11. Murdoch I. Metaphysics as a guide to morals.-New York: Penguin books, 1992
12. Murdoch I. Sartre: Romantic Rationalist.-Penguin books,1987

თამთა ღონღაძე

ვაჟა-ფშაველას ზღაპრის – ,,წისქვილი‘‘, სიმბოლურ-ალეგორიული ინტერპრეტაცია

ვაჟა-ფშაველას პროზის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად გამოკვლეული. ერთ-ერთი მათგანია თხზულება ,,წისქვილი‘‘. იგი დაიბეჭდა 1889 წელს გაზეთ ,,ივერიაში‘‘. ავტორმა ქვესათაურში განსაზღვრა ნაწარმოების ჟანრული თავისებურება, რომ იგი ზღაპარია.

დროის მითოლოგიზაციის საშუალებით ნაწარმოებში მოთხრობილ ამბავს არ გააჩნია კონკრეტული დრო, აზრი განზოგადდება და იგი ყველა დროის კუთვნილება ხდება (რ. სირაძე 1982). ,,წისქვილში‘‘ სწორედ დროის მითოლოგიზაციის ხერხს იყენებს ვაჟა-ფშაველა, რაც უფრო მეტად უწყობს

1. მწერლის მოთხრობების გაანალიზებისას, გრიგოლ კიკნაძის, იუზა ევგენიძის, ვახტანგ გოგუაძის, აპოლონ მახარაძის, გამოკვლევებში, ზოგადი მსჯელობის გარდა, ცალკე განხილულია მხოლოდ ,,ხმელი წიფელი‘‘, ,,შვლის ნუკრის ნაამბობი‘‘, ,,პატარა მწყემსის ფიქრები‘‘, ,,მთანი მაღალნი‘‘, ,,ბუნების მგოსნები‘‘, ,,ია‘‘, ,,ქუჩი‘‘, ,,მგელი‘‘. მიხეილ ზანდუკელმა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სიზმრის გამოკვლევისას ცალკე განიხილა ,,სიზმარი ობლისა‘‘, ,,საახალწლო სიზმრები‘‘ და ,,ერემ-სერემ-სურემიანი‘‘, ასევე, სოფლის ცხოვრების ამსახველი მოთხრობები. ნესტან კუტივაძე აანალიზებს ვაჟას ლიტერატურულ ზღაპარს.

ხელს ნაწარმოების ალეგორიულ გააზრებას. მასში არა თუ დრო, არამედ ადგილიც არაა კონკრეტული. საუბარია თითქოს ერთ სოფელზე, მაგრამ იქვე მწერალი ხშირად ახსენებს ქვეყანას. თხზულებაში სოფელსა და ქვეყანას სინონიმური მნიშვნელობები აქვს.

ნაწარმოების ფაბულა, რომელიც ეტიოლოგიური ხასიათისაა და მოგვითხრობს, თუ როგორ შეიქმნა ქვეყანაზე წისქვილი, თავის მხრივ, სამი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში ავტორი გვიამბობს, რომ ერთ დროს ქვეყანა დიდ ტანჯვაში ყოფილა ჩავარდნილი, რადგან წისქვილი არ არსებობდა და ხალხი ფილთაქვას ხმარობდა. ვინმე ღვთისნიერ კაცს, თედეს, ბევრი უფიქრია და გამოუგონებია წისქვილი. მან თავიდანვე იცოდა, რომ უწყლოდ იგი არ გაიმართებოდა, ამიტომ მდინარის ახლოს ჩადგა. *,,წამოვიდა საკმაო წყალი და დაბრუნდა წისქვილი. დაიწყო რუხრუხი, ისეთი ვაივაგლახი ასტეხა გორგალმა და წისქვილის ქვებმა, რომ ყველა შეიძრა და შეძრწუნდა, რაც კი რამ წისქვილის ახლომახლო იყო: დაბლა დედამიწა, გარშემო კედლები, მაღლა ჭერი, ჭერს ზევით ბანი, ბანს ზევით ტირიფები“* [ვაჟა-ფშაველა B, 1964: 107].

სოფელი თედეს საქმიანობის მიმართ თავიდან უნდობლად იყო განწყობილი. მას დასცინოდნენ, ეჩხუბებოდნენ და ეუბნებოდნენ, თავი დაენებებინა ეშმაკის საქმისთვის. ოსტატი ყურს არავის უგდებდა და შრომას განაგრძობდა, ამიტომ მიაღწია კიდეც მიზანს, გამართა წისქვილი და მთელმა სოფელმა მის სანახავად მოიყარა თავი. ხალხი გააოცა თედეს ქმნილებამ, მაგრამ ყველაზე მეტად გაოცებულნი თავად ოსტატით იყვნენ, *,,ყველა იმის მიხვრა-მოხვრას ადევნებდა თვალს. უსინჯავდენ ხელებს, ეგონათ, სხვა კაცზე მეტი თითები ექნებაო“* [ვაჟა-ფშაველა B, 1964: 108]. სოფელი ლოცავდა თედეს და ღმერთს ავედრებდა მის სააქაო და საიქიო ცხოვრებას.

კეთილისა და ბოროტის მუდმივი დაპირისპირება და ბრძოლა ვაჟა-ფშაველას პროზის მნიშვნელოვანი ნაწილის სიუჟეტურ ქარგას წარმოადგენს (,,საახალწლო სიზმარი“, ,,მოჩვენება“ (1893), ,,გველი“, ,,ნაპრალნი“, ,,ეშმაკი“ და სხვა.). იგივე საკითხი შემოდის ,,წისქვილის“ პირობითად გამოყოფილ მეორე ნაწილშიც. მწერალი გვიამბობს, რომ *,,ერთ ბოროტ კაცს თედესთვის ჰშურდა სახელი და სარგებლობა. ამიტომ იმ წყეულმა კაცმა, არამც თუ თედეს, მთელის ქვეყნის დაღუპვაც მოინდომა. მიიტანა ერთხელ ჩუმად კენჭებით სავსე გუდა და ჩააბნია შიგ ხვიმურში“* [ვაჟა-ფშაველა B, 1964: 109]. თხზულების ეს ეპიზოდი საინტერესო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. პარალელი შეგვიძლია გავავლოთ ხორბლისა და ღვარძლის იგავთან, რომელიც მათეს

სახარების მეცამეტე თავშია მოთხრობილი. თედე მსგავსია იმ კაცისა, რომელმაც საღი თესლი დათესა ყანაში, რადგან ოსტატის გაკეთებულმა საქმემ კეთილი ნაყოფი გამოიღო, ხალხს შრომა და ჯაფა შეუმსუბუქა და ამით *,,ჩადგა ქვეყნის მადლში“* [ვაჟა-ფშაველა B, 1964: 107]. თედეს, ისევე როგორც მთესველს, ჰყავს მტერი, რომელიც ბოროტი საქმის გასაკეთებლად საჭირო დროს იხელთებს, მსგავსად იგავის ბოროტი კაცისა. ეს უკანასკნელი ხორბალში ღვარძლს დათესავს მაშინ, როდესაც ხალხს სძინავს. თედეს მოშურნეც სწორედ მეწისქვილის ძილით ისარგებლებს და ხორბლის მაგივრად კენჭებს ჩაყრის ხვიმურში, ფქვილის ადგილზე კი მიწა ჩაიყარა. თავისთავად, ამ ფაქტსაც თავისი ქვეტექსტი აქვს, რადგან ხორბალი არა მხოლოდ ხალხის მატერიალური არსებობისთვის არის აუცილებელი, არამედ, იგი ევქარისტული სიმბოლოა, ქრისტესთან ზიარების საშუალებაა, რომლის ადგილი წისქვილში ბოროტმა ადამიანმა კენჭებით და ქვებით ჩაანაცვლა, ანუ ბოროტება ცდილობს ადამიანებს არა მხოლოდ არსობის პური, არამედ, რაც მთავარია, სულიერი საზრდო წაართვას, შეუცვალოს იგი მიწით — ამაოებით. *,,19. პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგან ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი“* [დაბ. 3:19] — ამ სიტყვებით გამოდევნის სამოთხიდან ღმერთი ადამს. მიწა, როგორც ამქვეყნიური ამაოების სიმბოლო, შემოდის ქართულ ლიტერატურაში. გავიხსენოთ სულხან-საბა ორბელიანის ,,სიბრძნე სიცრუისა“, როგორ მივა ჯუმბერი მეფესთან: *,,ჩამოხდა სპილოდამ, სარტყელი შემოიხსნა, სპილოსა ზედა დააგდო და ცალის ხელით მიწა აიღო და, ცალის ხელით ქვა და მამას მოართვა“* [ორბელიანი, 1970: 95]. თუ რა დატვირთვა აქვს მეფისთვის მირთმეულ ძღვენს, ამას ჯუმბერი თავად ასე განმარტავს: *,,— მიწა ეს არის: რა გინდ დიდებული და მძლავრი მეფე იყო, სცან ესე: მიწა ხარ და მიწად მიიქცევი. ღვთის სათნო გიჯობს კაცთა სათნოსა“* [ორბელიანი, 1970: 97]. მიწის ალეგორია და ჯუმბერის სათქმელი შეგვიძლია ეკლესიასტეს სიტყვებით ასე გადმოვცეთ: *,,ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაოა“* [ეკლ. 1:2]; *,,ყოველივე ერთ ადგილს მივა; ყველაფერი მიწისაგანაა და ყველაფერი მიწად იქცევა“*[ეკლ. 3:20]; *,,... ღვთისა გეშინოდეს და დაიცავი მცნებანი მისნი, რადგან ეს არის კაცის თავი და თავი“* [ეკლ.

12:13]. მაშასადამე, რომ შევაჯამოთ, მწერალი ალეგორიული გზით გვიჩვენებს, თუ როგორ ართმევს ბოროტება ადამიანებს მატერიალურ და სულიერ საზრდოს.

გამოეღვიძა მეწისქვილეს და გადარჩა წისქვილი დადგომას. ხალხმა ბოროტი კაცი მიჰგვარა თედეს. მათ მისი დასჯა სურდათ, ოსტატმა კი გააშვებინა, რადგან ცემით ავი კაცი ვერ გამოსწორდება, *„მაგას თვით ზეცა დასჯის. ზეცამ თვით იცის სასჯელი უზნეოთა და უნამუსოთა“* [ვაჟა-ფშაველა B, 1964: 109], ანუ, თედემ ღმერთს მიანდო დამნაშავის განკითხვა. შევადაროთ სახარების იგავს: როდესაც ღვარძლი ამოვა, მონები ყანის პატრონს ეტყვიან, რომ წავალთ და გავმარგლავთო, მაგრამ ეს უკანასკნელი შემდეგ პასუხს სცემს: *„აცადეთ, ერთად იზარდონ მკამდე; ხოლო მკისას ვუბრძანებ მომკალთ: თავდაპირველად შეკრიბეთ ღვარძლი, ძნებად შეკარით და ცეცხლი წაუკიდეთ, ხორბალი კი შეინახეთ ჩემს ბეღელში“*[მთ. 13:30]. იესოს განმარტებით, მკა არის ქვეყნის დასასრული, ანუ ჟამი, როდესაც მოხდება განკითხვა კეთილისა და ბოროტის, ჟამი, როდესაც ყველას თავისი საზღაური მიეზღვება. ფაქტობრივად, ეს იგივეა რაც მეწისქვილის მიერ გაცემული პასუხი, რომ ზეცა დასჯის ბოროტ კაცს, ანუ ღმერთი იქნება ყოველივეს უმაღლესი მსაჯული.

ამ ეპიზოდის შედარებითი ანალიზი წმინდა წერილთან გვიჩვენებს, რომ მოცემულ ტექსტში ალეგორიულ სიუჟეტს სახარებაში მოთხრობილი ხორბლისა და ღვარძლის იგავი უდევს საფუძვლად. როგორც ვიცით, ვაჟა-ფშაველა მართლმადიდებელი მღვდლის ოჯახში აღიზარდა და ბიბლიისა სიყვარული ბავშვობიდან ჩაენერგა. იგი ერთხანს ბერად შედგომაზეც კი ოცნებობდა (თ. შარაბიძე 2008). შესაბამისად, არცაა გასაკვირი, რომ ქრისტიანობა არა მხოლოდ მწერლის მსოფლმხედველობის საძირკველია, არამედ მისი მხატვრული შემოქმედებაც მნიშვნელოვნად საზრდოობს ბიბლიური სიუჟეტებით, სიმბოლოებითა და ალეგორიებით.

ზემოთ განხილული ეპიზოდის შემდეგ, ავტორი მოგვითხრობს, რომ თედეს ძილში მაჯლაჯუნა დააწვა და მთელი ღამე იტანჯებოდა. მაჯლაჯუნას სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს — *„ესე სენია, ძილსა შინა წაეკიდების სისხლისა უძრაობისა*

მიერ და ესრე(თ) ჰგონებს, ვითარმედ დააწვა ვინმე, ანუ ერკინა ვინმე და განიფრთხობს“ [ორბელიანი, 1966: 451]. როდესაც გამოეღვიძა, იფიქრა რაღაც ცოდვა მქონიაო და მოსანანიებლად ბერად შედგომა გადაწყვიტა. იგი დასახლდა ერთ გამოქვაბულში, სადაც გამუდმებით ლოცვასა და მარხვაში იყო. სამი წელი გაატარა თედემ იქ ისე, რომ ადამიანი არ უნახავს, სოფელმა კი ამ დროის მანძილზე მის შესახებ არაფერი იცოდა.

ავტორი აღნიშნავს, რომ განდეგილობაში ცხოვრებით თედე თავს ბედნიერად თვლიდა. ვფიქრობ, ეს ფრაზა რემინისცენციაა ილია ჭავჭავაძის პოემა ,,განდეგილის“ ერთი კონკრეტული ეპიზოდისა, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი კვანძი იკვრება ბერის უნებური გამოტეხვით მწყემს ქალთან და საკუთარ თავთან, რომ იგი უბედურია.

— ,, ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა

ესეთი მერგო მე... უბედურსა...“

,,უბედურსაო“?!. და მწირსა უცებ

გულს ელდა ეცა ამ სიტყვის თქმაზე...

...

,,უბედურსაო“?!. ეგ ხომ სიტყვაა

გულის ტკენის და სამდურავისა!“

[ჭავჭავაძე, 2012: 224].

ეს ერთი სიტყვა საბედისწერო აღმოჩნდება განდეგილისთვის. ილია ჭავჭავაძის ამ პოემას, რომელიც 1883 წელს დაიბეჭდა და რომელიც მძაფრი განხილვისა და კრიტიკის ობიექტად იქცა, სრულიად მოსალოდნელია, რომ გავლენა მოეხდინა თავისი დროის მწერლობაზე და ვაჟას შემოქმედებაშიც ერთი კონკრეტული ეპიზოდისთვის გამხდარიყო გარკვეული იმპულსის მიმცემი.

თედე რომ ჩვეულებრივი კაცი არაა და ამ სამი წლის მანძილზე გარკვეულ სულიერ სრულყოფას რომ მიაღწია, ავტორი შემდეგითაც წარმოგვიჩენს: *,,გამოქვაბულის გარეშემო, სადაც კი ან ქვა ეგდო, ან ხე, ან ერთი გამხმარი წბილა, ყველა უყვარდა თედეს და, როგორც შვილებს, თავს დასტრიალებდა. გაზაფხულზე თითოეული ყვავილის გაშლა და გალახის ამოსვლა გალღივით ალაღებდა. არა მარტო გალახებს იცნობდა თედე, თითოეული მწერი და ნადირი გაიცნო იმ არემარეში. სათითაოდ იცნობდა და მიეგებებოდა ხოლმე ფუტკრებს, როგორც დედა შვილებს, როდესაც მოფრინდებოდენ, სხდებოდენ ყვავილებზე თაფლის საკრეფლად''*[ვაჟა-ფშაველა B, 1964: 110].

გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას პოემა ,,გველის-მჭამელი''. მინდია გაზაფხულს შემდეგნაირად ეგებება:

,, როცა კი გაზაფხულდება,

გამოიღვიძებს ქვეყანა:

...

მინდია გაფაციცებით

სულ მიმოივლის მთა-ველსა.

ყველა მცენარეს და მღილსა

ის ეგებება სალმითა,

გუნებაც ,,ვაშას'' უძახის

მდიდრად მორთულის ალმითა,

ყვავილნი ყელ-გადაგდებით,

დახატულები კალმითა,

,,მინდიას გაუმარჯოსო“,

ერთხმად ასტეხენ ჟიჟინსა“

[ვაჟა-ფშაველა A, 1964: 11].

მინდიას შესაძლებლობები, რა თქმა უნდა, უფრო მასშტაბურია. მასთან შედარებით, თედე გაცილებით მიწიერ უნარებს ავლენს როგორც წისქვილის გამოგონებისას, ასევე ბუნებასთან მიმართებით. ვაჟა არ გვეუბნება, რომ გმირმა მცენარეების და ცხოველების ენა იცის, უბრალოდ, იგი თითქოს ყველაფრისადმი სიყვარულითაა განმსჭვალული; თუმცა შესაძლოა გაცილებით დიდ სიახლოვეზე მიგვითითებდეს მწერლის სიტყვები, რომ თედე იცნობდა ბალახებს, თითოეულ მწერს და ნადირს, ასევე სათითაოდ იცნობდა და დედასავით ეგებებოდა ფუტკრებს, რომლებიც ყვავილებთან მოფრინდებოდნენ ხოლმე.

ამ ორი პერსონაჟის მსგავსი დამოკიდებულება ბუნებისადმი უფრო საყურადღებო გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი სხვა თვისებებითაც ჰგვანან ერთმანეთს. მინდია და თედე გამორჩეული პიროვნებები არიან. მათ განსაკუთრებულად აქცევთ ის სიკეთე და სათნოება, რომლითაც შემოჰყავს მწერალს მკითხველის ცნობიერებაში ეს ორი გმირი. ვაჟა მოთხრობაში არაერთგზის აღნიშნავს თედეს ღვთისნიერებას, ჭკუასა და ნამუსიანობას და ამბობს იმასაც, რომ იგი გამოირჩევა ამით სხვებისგან. ოსტატის სათნოება ვლინდება სიუჟეტშიც: როდესაც ყველა მზად იყო ჯავრი ეყარა სოფლის მტერზე, რომელსაც წისქვილის გაფუჭება სურდა, იგი თედემ იხსნა, რადგან ავტორისვე თქმით: *,,გულჩვილი, სათნოიანი კაცი იყო“* [ვაჟა-ფშაველა B, 1964: 110].

მინდიას ბუნების სიწმინდის წარმოსაჩენად ვაჟა-ფშაველა გვეუბნება, რომ მას შემდეგ, რაც გმირი ქაჯების ყველა ცოდნის მფლობელი გახდა:

,,მხოლოდ ბოროტმა მის გულში

ვერ მოიკიდა ფეხია“

[ვაჟა-ფშაველა A, 1964: 10].

მინდიას გულის განსაკუთრებული სათნოების გასაცნობიერებლად გავიხსენოთ, როგორ ტირის იგი ჩიტის გამო, რომელსაც შვილების სიკვდილი უამბეს. ამ ეპიზოდში მხოლოდ ის კი არაა მთავარი, რომ გველისმჭამელს ყველაფრის ენა ესმის, არამედ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ იგი მათი ცხოვრების თანამგრძნობელი და თანამოზიარე ხდება.

თედეს და მინდიას გამორჩეულობით არის განსაზღვრული ისიც, რომ ორივე გმირის ცხოვრების მთავარი მიზანი ხალხის სამსახურში ყოფნაა. პირველმა ეს შეძლო წისქვილის გამოგონებით, რის გამოც თავად სოფელი აბობს, რომ იგი *,,ჩადგა ქვეყნის მადლში“*[ვაჟა-ფშაველა B, 1964: 107]. მას შემდეგაც, რაც ყველას განეშორა და ბერად შედგა, ხალხზე ფიქრი არ სტოვებს მას: *,,თავის წისქვილისა და სოფლის ამბავი აღარ ესმოდა თედეს და ეს აწუხებდა“* [ვაჟა-ფშაველა B, 1964: 111]. გველისმჭამელიც ხალხის სასიკეთოდ იყენებს თავის უნიკალურ უნარს, რისი დაკარგვის შემდეგაც იწყება მისი ტრაგედია, რადგან, გმირისვე თქმით:

,, რითიღა ვარგო ქვეყანას,

დავცარიელდი ცოდნითა...“

[ვაჟა-ფშაველა A, 1964: 22].

განხილულ ნაწარმოებებში მხოლოდ მთავარი პერსონაჟები არ ჰგვანან გარკვეული ნიშნებით ერთმანეთს. მსგავსია ხალხის დამოკიდებულებაც გამორჩეული პიროვნებებისადმი. გავიხსენოთ, რას ამბობს მწერალი თემზე, რომელშიც მინდია ცხოვრობს:

,,აღმერთებს, ნუგეშად ჰსახავს

ფშავ-ხევსურეთი მთელია“

[ვაჟა-ფშაველა A, 1964: 10].

ამის მიუხედავად, ადამიანები მაინც იჩენენ ზოგჯერ მის მიმართ უნდობლობას. ჩალხია კრებას მიმართავს:

,,ენა თუ ჰქონდეს ხე-ქვათა,

ჩვენც რად არ გაგვიგონია?

ჩვენს სატყუებლად მინდიას

სიცრუე მოუგონია“

[ვაჟა-ფშაველა A, 1964: 14].

ხალხმაც წამიერად დაივიწყა მინდიას ამაგი და ეჭვი შეიტანა მასში:

,, — არ სტყუის, არა, ჩალხია,

მინდია ცრუობს სწორედა,

ათასნაირი ტყუილი

თვალწინ აგვიგო ყორედა“

[ვაჟა-ფშაველა A, 1964: 15].

იმავეს ავლენს სოფელიც თედეს მიმართ. ადამიანებს არა მხოლოდ წისქვილის აშენებამდე ჰქონდა ეჭვი ოსტატის საქმის მიმართ, არამედ შემდეგაც, როდესაც თითქოს ყველა მისდამი მადლიერებით იყო განმსჭვალული, ადვილად იბადება მათ გულებში უნდობლობა და მზად არიან წისქვილის გაფუჭება ოსტატს დააბრალონ: ,,*ალბათ თედემ ღმერთს შესცოდა, რომ გაიპარა, დაიმალა სადღაც და ღმერთმაც წისქვილი იმიტომ მოგვიშალაო*“ [ვაჟა-ფშაველა B, 1964: 112]. „გველის-მჭამელი“ გაცილებით გვიანდელი ნაწარმოებია, ვიდრე —„წისქვილი“. ზემოთ აღნიშნული მიმართებების მიუხედავად, ამ

თხზულებების იდეური კონცეფციები, რა თქმა უნდა, განსხვავებულია, თუმცა, მათი მთავარი გმირების ბუნებისადმი დამოკიდებულებას თუ გავითვალისწინებთ, თედეს შეიძლება მინდიას არქეტიპიც ვუწოდოთ.

იდეური განსხვავება ამ ნაწარმოებებს შორის განსაზღვრავს მათ სიუჟეტურ განვითარებას. თუკი, მინდიას ტრაგედია იწყება იმით, რომ ოჯახზე ზრუნვის მოვალეობა იძულებულს ხდის დაარღვიოს თავისი ცხოვრების წესი, თედეს საკუთარი თავის რჩენაზეც კი არ უწევს ფიქრი — *,,პურისათვის დაღონება თედეს არ უნდოდა, რადგან ყოველ დილით გამოქვაბულის შესავალში ხავსიან ლოდზე თითო ხმიადი დაუხვდებოდა ხოლმე ზედ წარწერით: ,,პატიოსანს, ღვთის მოშიშს, ქვეყნის ერთგულს კაცს თედეს მოწყალება ღვთისა არ დააკლდება“* [ვაჟა-ფშაველა B, 1964: 111]; გარდა ამისა, მწერალი ერთგვარად ამარტივებს კიდეც მოვლენების განვითარებას: იგი არ ქმნის კონფლიქტს იმით, რომ ბერად შემდგარ ოსტატს ოჯახი ჰყავს, მისი ცოლ-შვილი საერთოდ არ შემოდის სიუჟეტში, მხოლოდ ერთ ეპიზოდში ახსენებს ხალხი.

სოფელში ქორწილი იყო გამართული. ვიღაცამ ცნობა მოიტანა, წისქვილის დადგომის შესახებ. *,,ხალხი ამ ამბავზე წამოიშალა ფეხზე, თავზარი ეცა; ნეფე-დედოფალმა გვირგვინები თავის ხელით მოიგლიჯეს, გადაყარეს და დაიშინეს თავში და პირში“* [ვაჟა-ფშაველა B, 1964: 112]. მთელმა სოფელმა წისქვილთან მოიყარა თავი. მისი დადგომის მიზეზად ასახელებდნენ ყველაფერს: წისქვილის ბოძს, ეშმაკს, გრძნეულ ბებერს, თავად თედესაც კი, მაგრამ რეალურ მიზეზს ვერ მიაგნეს. *,,წისქვილს წყალი მოჰკლებოდა, ამას ვერავინ ხედავდა და ვერცავინა ჰგრძნობდა. მეწისქვილეს თავი დაექინდრა, ცეცხლს მოსჯდომოდა და აბოლებდა ჩიბუხს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა“* [ვაჟა-ფშაველა B, 1964: 112].

წისქვილის ირგვლივ ატეხილი მთელი ამ მსჯელობით, კამათით ავტორი ალეგორიულად გვაჩვენებს ხალხის დამოკიდებულებას ცხოვრების სხვადასხვა მოვლენისადმო, უცოდინრობას, გაუნათლებლობას, ცრუმორწმუნეობაზე აგებულ მათ მსოფლმხედველობას. მეწისქვილის პასიური მდგომარეობის აღწერით მწერალი

უმოქმედობის ალეგორიას ქმნის. ჩიბუხის გაბოლება როგორც სიმბოლური გამოხატულება „ნაცარქექიაობისა“ და ცხოვრებისადმი უკიდურესად პასიური დამოკიდებულების, ვაჟას სხვა მოთხრობაში — „გასამართლებული ჩიბუხი“, იდეურ-სიუჟეტურ კონცეპტს ქმნის.

თედეს წინასწარმეტყველური სიზმრით ეცნობა წისქვილის გასაჭირი: მან იგი დარბეული იხილა და მიხვდა, რომ ეს ცუდის ნიშანი იყო, ამიტომ გაეშურა წისქვილის სანახავად და სწორედ იმ დროს მივიდა, როდესაც მთელი სოფელი იქ შეგროვილიყო.

ეს ეპიზოდი, ვფიქრობ, ინსპირირებული უნდა იყოს აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავით“, რომლის მთავარი გმირი, მოიხდის რა საერო ვალს თავისი ქვეყნის წინაშე, ბერად შედგება და სულისთვის ზრუნავს, მაგრამ იგი ბრუნდება ისევ საერო ცხოვრებაში, როდესაც მის სამშობლოს სჭირდება. თედეც უარს ამბობს ყოველდღიური მატერიალური ცხოვრებისთვის ზრუნვაზე, იგი ბერი ხდება, თუმცა ისიც ერში ბრუნდება, როდესაც ამის საჭიროება ჩნდება.

„ხალხმა მაშინვე იცნო თედე. საბრალო ხალხს ღამე გაუთენდა, მზე ამოუვიდა“ [ვაჟა-ფშაველა B, 1964: 112]. ოსტატმა ყველაფერი შეამოწმა და მიაგნო წისქვილის დადგომის მიზეზს, მან წყალი მოუმატა სარუეს, გაადიდა იგი და ძველებურად დატრიალდა წისქვილი. თედემ ხალხი სარუეს პირზე დააყენა: *„ — მიხვდით ხომ მიზეზს წისქვილის დადგომისას? ... / — მივხვდით, შენი ჭირიმე, როგორ არ მივხვდი! — უპასუხებდა ხალხი, — წყალი ჰკლებია, წყალი!“* [ვაჟა-ფშაველა B, 1964: 113]. ნაწარმოების ამგვარი დასასრული მიგვანიშნებს, რომ წყლის სიმბოლიკა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული თხზულების იდეასთან.

უძველესი კოსმოგონიური წარმოდგენებით ოთხ პირველ ელემენტთაგან ყველაზე მეტად წყალია გაიგივებული სიცოცხლის ცნებასთან. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნივთიერების სიმბოლიკა, მისი არსებობის ფორმების მსგავსად, სხვადასხვა კულტურაში მრავალგანშტოებიანია და ზოგჯერ ამბივალენტურიც. ეთნოსთა უმეტესობა, უძველესი ეპოქებიდან მოყოლებული, წყალს ბუნების ფენომენთა შორის

უპირველეს ადგილს ანიჭებდა. იგი განასახიერებდა სიწმინდეს, სიუხვეს, ქალურ საწყისს, სიცოცხლეს, ღვთიურ მადლს. წყლის ბუნებამ განაპირობა მისი დატვირთვა უარყოფითი სიმბოლოებითაც: ღვთის რისხვა (ბიბლიური წარღვნა), ყოვლისწამლეკაობა, დავიწყება და სიკვდილი. წყალი, ასევე, მარადიული მოძრაობის პრინციპს განასახიერებს (ამ გააზრებას ენათესავება ილიას „მგზავრის წერილები“). ქრისტიანულ სიმბოლიკაში წყლის სტიქიის სხვადასხვა გამოვლინებას დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, რომელთაგან მთავარი განწმენდის, ღვთიური მადლის გარდამოსვლის (ნათლისღება) სიმბოლოა (ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი 2011).

ავტორი თხრობის დასაწყისშივე გვეუბნება, რომ თედემ წისქვილის გამართვა მდინარის პირას გადაწყვიტა, რადგან *„კარგად იცოდა, რომ უწყლოდ წისქვილი არ გაიმართებოდა“* [ვაჟა-ფშაველა B, 1964: 107]. მაშასადამე, თხზულების მიხედვით, წყლის საჭიროება აპრიორულია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ვაჟა-ფშაველა არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როგორი იყო თავად წისქვილის შენობა, ან თედემ როგორ ააშენა იგი. ავტორი მთელი იმ საქმიანობიდან, რომელსაც წისქვილის აშენება გულისხმობს მხოლოდ შემდეგ სცენას აღწერს: *„წისქვილის რუ კარგა შორიდან მოიყვანა, რუს ფშები მოემატა, წამოვიდა საკმაო წყალი და დაბრუნდა წისქვილი“* [ვაჟა-ფშაველა B, 1964: 107], ანუ მწერალი ამ შემთხვევაშიც წყლის ფუნქციას უსვამს ხაზს, როგორც წისქვილის მამოძრავებელი ძალის.

„ფშანი — მდინარისაგან წყარო მუნვე ახლო გამოდენილი“ [ორბელიანი, 1993: 207]. ფშა, ანუ იგივე წყარო, ზოგადად, ქრისტიანული გააზრებით სიცოცხლის, კათარზისის, იმედის სიმბოლოა. ასევე, სულიერი კავშირის ადამიანსა და უმაღლეს ძალებს შორის (ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი 2011). აქვე გავიხსენოთ წყაროს ალეგორია ფსალმუნიდან: *„როგორც ირემი მიილტვის წლის ნაკადულებისაკენ, ისე მოილტვის ჩემი სული შენსკენ, ღმერთო!“* [ფს. 41:2] წყაროს, როგორც ქრისტიანული სიმბოლოს გააზრება ვაჟასთანაც გვხვდება. მოთხრობაში „გველი“ ავტორი შემდეგნაირ პარალელს ავლებს: *„თვითონ ჭალას შუაზე ჭრიდა ანკარა, მუდამ წმინდა ზამთარ-ზაფხულ, — ფშა. გაზაფხულიდან ზამთრის პირამდე მდინარე ერთთავად მღვრიე იყო, ხოლო ეს ფშა კი*

სულ წმინდა, ლილის ფერისა. სადაც ჭალა თავდებოდა, ფშაც იქ ერეოდა მდინარეში და იცით, ამ დროს ანკარა ფშა რას მოგაგონებდათ? — ზიარებას. ის მდინარეღა — ცოდვილს ადამიანს, რომელიც ზიარებით იკურნავს თავს და იწმინდება ცოდვებისაგან“ [ვაჟა-ფშაველა B, 1964: 301].

ნაწარმოების სიუჟეტი, ვფიქრობ, მთლიანად ალეგორიულია და გვიხატავს საზოგადოებაზე, ქვეყანაზე მზრუნველ ადამიანს და მის ღვაწლს, კეთილ საქმეს; წისქვილი სწორედ ამის სიმბოლურ-ალეგორიული გამოხატულებაა. მას ამოძრავებს წყალი, რომელიც, ორგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. იგი შეგვიძლია გავიაზროთ როგორც სიმბოლო სიცოცხლისა, მუდმივი მოძრაობისა, მოქმედებისა; მეორე მხრივ კი, ქრისტიანული გაგებით, როგორც საშუალება სულიერი განწმენდისა. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია თედეს პიროვნებაც, როგორც ხალხის ლიდერისა: იგი ამქვეყნიურ, მატერიალურ ცხოვრებაზეც ზრუნავს და სულიერზეც. მაშასადამე, თხზულებაში გამოვლენილი ავტორისეული კონცეფციის მიხედვით, პიროვნული ძალის და სულიერი სიწმინდის მქონე ადამიანები უნდა წარმართავდნენ, წინამძღოლობდნენ ხალხს, რათა მათმა ცხოვრებამ და შრომამ, მათმა კეთილმა საქმემ (რისი ალეგორიული გამოხატულებაც არის წისქვილი) ნაყოფიც კეთილი გამოიღოს (ხორბალი, პური).

თხზულება კიდევ ერთ საყურადღებო ქრისტიანულ სიმბოლურ-ალეგორიულ ნიუანსს შეიცავს. გამართული წისქვილისგან გამოწვეულ ხმაურს მწერალი ქორწილს ადარებს, შემდეგ კი, წისქვილის გაჩერების ამბავი მოვა სოფელში სწორედ იმ დროს, როდესაც ქორწილია გამართული და ხალხი შეწყვეტს ზეიმს, ყველა წისქვილისკენ გაეშურება. ქორწინებას უმნიშვნელოვანესი ალეგორიული დატვირთვა აქვს სახარებაში. იგი მართალთა ნეტარებას და ღვთაებასთან ზიარებას აღნიშნავს, სიძე — მაცხოვარს, სძალი კი — ეკლესიას (ზ. გამსახურდია 1991). ყოველივე ზემოთ თქმული, ვფიქრობ, ხელს უწყობს ნაწარმოებში რელიგიური ქვეტექსტის წაკითხვას და მის ქრისტიანულ ინტერპრეტაციას. მკითხველს შეუძლია წისქვილის, როგორც კეთილი საქმის უფრო სიღრმისეული გააზრება — პიროვნება თავისი ამქვეყნიური ღვაწლით ღვთიური

მადლის მოზიარე ხდება, მაგრამ ღმერთთან ეს კავშირი წყდება როგორც კი კეთილ საქმეს მამოძრავებელი ძალა, სულიერი სიწმინდე აკლდება.

,,წისქვილის“ XIX საუკუნის საქართველოს კონტექსტში განხილვისას, უნდა ითქვას, რომ იგი იმ პერიოდის ლიტერატურის ისეთ ტრადიციულ პრობლემატიკას ეხება, როგორიცაა ხალხის გამოფხიზლება, მათთვის შრომა, საზოგადოებრივი მოვალეობის შეგრძნების გაღვიძება, გამორჩეული, ხალხისთვის თავდადებული პიროვნებების ძიება-პოვნა ისტორიულ წარსულსა თუ აწმყოში; ასევე, კრიტიკა უცოდინრობის, ცრუმორწმუნეობის.

დასასრულ, შეიძება ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველას ზღაპარი ,,წისქვილი“ საინტერესო და მნიშვნელოვანი თხზულებაა თავისი სიმბოლოებით, ალეგორიებით, რემინისცენციებითა სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებთან და პარალელებით წმინდა წერილთან. ,,წისქვილი“ ნოვატორულია ქართულ ლიტერატურაში ბუნებასთან ადამიანის ინტუიტიური კავშირის საკითხის შემოტანით. მისი ანალიზი მკვლევარს საშუალებას აძლევს დაინახოს, როგორ ფორმირდებოდა ეს იდეა მწერლის შემოქმედებაში ,,გველის-მჭამელამდე“.

ლიტერატურა:

1. ორბელიანი ს. ს. ლექსიკონი ქართული: წიგნი 1.-თბილისი.1966
2. ბიბლია.-თბილისი,1989
3. ორბელიანი ს. ს. სიბრძნე სიცრუისა.-თბილისი, 1970
4. ორბელიანი ს. ს. ლექსიკონი ქართული: ტ. 2.-თბილისი,1993
5. სირაძე რ. სახისმეტყველება.-თბილისი,1982
6. შარაბიძე თ. ქრისტიანული მოტივები XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსთა ლირიკაში.-თბილისი, 2008
7. ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად: ტ. 4.-თბილისი,1964
8. აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, ტ. 1.-2011
9. ჭავჭავაძე ილ. ექვსტომეული: ტ. 1: ლექსები: პოემები: თარგმანები.-თბილისი, 2012
10. გამსახურდია ზ. ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება.-თბილისი, 1991

ირაკლი ხვედელიძე

განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების განსახოვნების საფუძვლები: ემოცია და კოგნიცია (აკაკი წერეთლის ჩემი თავგადასავლის მიხედვით)

1. **1. შესავალი**

ავტობიოგრაფიულ ჟანრს ევროპული ლიტერატურის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს; შესაბამისად, მის კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს.[1] გამოიყოფა სამი პერიოდი. ავტობიოგრაფიის თანამედროვე თეორიის თანახმად, ფაქტუალური ავტობიოგრაფიის შექმნა მთხრობელი ავტობიოგრაფის ჰომეოდინამიკურ საჭიროებებს აირეკლავს [Eakin, 2008; Schacter, 1997][2]. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, მიიჩნევა, რომ ამ ტიპის ტექსტებში ავტობიოგრაფის წარსული წერის პროცესშია კონსტრუირებული, მთხრობელი ავტობიოგრაფის იდენტობის სტაბილურობა მიიღწევა იმით, რომ განვლილი ცხოვრება სემანტიზდება, აზრობრივი მთლიანობა ენიჭება [Nalbantian, 2003]

მეცნიერები, რომლებიც ავტობიოგრაფიულ ტექსტებს კოგნიტური ნარატოლოგიის პერსპექტივიდან სწავლობენ [Eakin, 2008, 2014; Olney, 1998; Löschnigg, 2006, Nalbantian, 2003], თანხმდებიან, რომ ავტობიოგრაფიული ტექსტების სწორი წაკითხვისათვის აუცილებელია, განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების ფორმირებაზე დაკვირვება, საამისოდ შესწავლის ობიექტად გამოიყოფა განმცდელი და მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივათა მონაცვლეობა, განმცდელი ავტობიოგრაფის ვერბალური ფიქრი. ამ დრომდე საფუძვლიანად შესწავლილი არაა, რა როლს თამაშობს ემოცია განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში. გასათვალისწინებელია, რომ ფაქტუალური ავტობიოგრაფიის ნაწილში განმცდელი ავტობიოგრაფის ვერბალური ფიქრი არაა წარმოდგენილი და ცნობიერებაში მიმდინარე ცვლილებაზე, დინამიკაზე,

არსებითად, მიანიშნებს ის ემოცია, რომელიც მთხრობლის პროტოკოლითაა დაზუსტებული.

წინამდებარე სტატიის მიზანია, განისაზღვროს, რა როლს ასრულებს ემოცია განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების ფუნქციონირებაში. საამისოდ გათვალისწინებულია მთხრობელი ავტობიოგრაფისაგან გახსენებული ინფორმაციის სემანტიზების პროცესზე დაკვირვება. საკვლევი საკითხის შესასწავლად აღებულია მე-19 საუკუნის ქართველი კლასიკოსის, აკაკი წერეთლის, ავტობიოგრაფიული ტექსტი „ჩემი თავგადასავალი“, გაანალიზებულია ერთი ეპიზოდი - სავანიდან სასახლეში საცხოვრებლად გადასვლა. აღნიშნული ეპოქის ტექსტის შერჩევის საფუძველი შემდეგია: განმცდელი ავტობიოგრაფის ვერბალური ფიქრი არაა წარმოდგენილი; შესაბამისად, ახსნას საჭიროებს, მკითხველს რომელმა ტექსტობრივმა მონაცემმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია განმცდელი ავტობიოგრაფის პიროვნული გამოცდილების ფორმირების შესახებ. სწორედ ამგვარი გამოცდილების განსახოვნება წარმოადგენს ტექსტის ავტობიოგრაფიული ჟანრისათვის მიკუთვნების საფუძველს [Löschnigg, 2006].

2. თეორიული წანამძღვრები

წინამდებარე სტატიაში ავტობიოგრაფიული ტექსტების შესასწავლად ინსტრუმენტალიზებულია ის ცოდნა, რომელიც ალან პალმერმა [Palmer, 2004], კოგნიტური ფილოსოფიის თვალსაჩინო წარომადგენლის, სერლის, ნაშრომებზე დაყრდობით [Searle, 1992] მხატვრულ ტექსტებში პერსონაჟთა ცნობიერების შესასწავლად შეიმუშავა. კვლევის მიზნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სერლის ტაქსონომიის ორი მახასიათებელი **ცნობიერების კოჰერენტულობა** და **ცნობა/იდენტიფიცირება**. აღნიშნული ტაქსონომია ამ დრომდე არაა გამოყენებული ავტობიოგრაფიული ტექსტების შესასწავლად. განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების კოჰერენტულობასა და მოვლენათა აღქმის პროცესზე (ცნობა/იდენტიფიკაცია) დაკვირვება საშუალებას იძლევა, დადგინდეს, როგორ ახდენს მთხრობელი ავტობიოგრაფი გახსენებული მოვლენების სემანტიზებას. [3]

კვლევისას გამოყენებული მიდგომა გამორიცხავს, რომ ფაქტუალური ავტობიოგრაფიული ტექსტი აღქმულ იქნას საინფორმაციო ტექსტად, ბიოგრაფიულ დეტალთა საცავად/კონტეინერად. შესაბამისად, ტექსტში აღწერილი მოვლენების გახსენების მოტივი და სუბიექტურობის ხარისხი უნდა განისაზღვროს მთხრობელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიური საჭიროებით, რომლის მარკერები მკითხველის მიერ საანალიზო ტექსტში უნდა იქნეს იდენტიფიცირებული.

2.1. ცნობიერების კოჰერენტულობა

კოჰერენტულობით ცნობიერების ფუნქციონირების ის თავისებურება აღინიშნება, რომელიც ავტობიოგრაფიული პრაქტიკის შესასწავლად უმნიშვნელოვანესია. კოჰერენტულობა სინონიმია *ექსპერიმენტულობისა* (გამოცდილების). პალმერი იზიარებს სერლის თვალსაზრისს იმასთან დაკავშირებით, რომ, თუ ცნობიერებას არ ექნება კოჰერენტულობა, ადამიანი დაკარგავს პიროვნული გამოცდილების განცდას [Palmer, 2004: 99-100]. კოჰერენტულობის შესაქმნელად მენტალური პროცესები ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართულებებით წარიმართება. მენტალური პროცესების ვერტიკალურ ხაზს ქმნის პიროვნების წინარე გამოცდილება, ჰორიზონატლური მენტალური პროცესები კი ცნობიერებაში საიდენტიფიკაციო მოვლენის მახასიათებლების მენტალური იმიჯების შექმნას გულისხმობს. თუ გათვალისწინებული იქნება, რომ ცნობიერების ფუნქციონირება პიროვნების ჰომეოსტაზიურ საჭიროებებთანაა დაკავშირებული [Damasio, 2000], მაშინ ცნობიერების ორი ვექტორის (ჰორიზონტალურისა და ვერტიკალურის) დანიშნულება შეიძლება ამგვარად განისაზღვროს: ვერტიკალური პიროვნებას საშუალებას აძლევს, გაშიფროს, იდენტიფიკაცია მოახდინოს აქტუალური ექსპერიმენტული კონტექსტი, ჰორიზონტალური მიმართულება კი ჰომეოსტაზიასთან ერთად ჰომეოდინამიკის საფუძველია: ახალი გამოცდილება უნდა შედარდეს პიროვნების მოქმედ იდენტობის მოდელს. პიროვნება იდენტობის განახლებას იწყებს იმ შემთხვევაში, თუ იდენტიფიცირებული სოციუმი მისთვის ღირებულია, მაგრამ იდენტობის ძველი მოდელი მასში ინტეგრაციის საშუალებას არ იძლევა:

The next featur is unity […] conscious state come to us as part of a unifed sequence. Without a sense of unity, we could not make sense of our experiences […] Vertical unity is the binding of disparate elements into a unified column: I have simultaneous experiences of various separate things as part of one and the same conscious event. Horizontal unity is the remembered present, the organization of conscious experiences through short stretsches of time: I am aware of the beginning of the sentence that I am now finishing [Palmer, 2004: 99-100].

ცნობიერების მთლიანობის პრინციპი ავტობიოგრაფიული ტექსტების ანალიზისას მკვლევარს მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ ორიენტირს უქმნის: განმცდელი ავტობიოგრაფის ქმედების მოტივი მხოლოდ აქტუალურ სიტუაციაში არ უნდა ეძებოს. ამის ნაცვლად, ავტობიოგრაფის კონკრეტული მოქმედება ისევე უნდა გააანალიზოს, როგორც ეს ცოცხალი ადამიანის ცნობიერების შესწავლისას ხდება: ავტობიოგრაფის განვითარების დრამატიზებას სწორედ აქტუალური სიტუაციის იდენტიფიცირების პროცესში წინარე, კოგნიტური ნარატივის [Palmer, 2010] გააქტიურება იწვევს.

2.2. ცნობა/იდენტიფიკაცია

ადამიანის ცნობიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია ის, რომ მას შეუძლია მოვლენათა იდენტიფიცირება. ამ მახასიათებლის მნიშვნელობაზე მიანიშნებს ის ფაქტიც, რომ იგი დამახსოვრების ტოლფარდი არ არის. პალმერის აზრით, სერლი კოჰერენტულობასა და ცნობას ცალ-ცალკე განიხილავს, თუმცა, რადგან ისინი ერთი ტაქსონომიის ნაწილებს წარმოადგენს, იგულისხმება, რომ მათ შორის მჭიდრო კავშირია: ცნობის მაჩვენებლის გაზრდაზე დიდ გავლენას ახდენს კოჰერენტულობის ვერტიკალური ვექტორი. ცნობიერების ამგვარი მოქნილობის გამო მოვლენათა ნებისმიერი გარეგნული ცვალებადობა ჰომეოსტაზიის მექანიზმისათვის საგანგაშო სიგნალების წარმოშობის საფუძველი არ ხდება[4]:

One of the most pervasive features of ordinary conscious awareness is theaspect of familiarity. […] the prior possesion of an apparatus that is sufficient to generate organized consciousness automatically guarantees that the aspectual features of conscious experience will be more or less familiar. When I walk down the street, objects are familiar to me as trees, houses, and so on.

Perhaps most important of all, I have an inner sense of what feels like to be me, a feeling of myself. This aspect of familiarity makes possible much of the organiztion and order of my conscious experience. Consciousness involves categorization, but the categories have to exist prior to the experience because they are the conditions of possibility of having the experience. They enable us, to varying dagrees, to assimilate our experiences, however novel, to the familiar [Palmer, 2004:101].

ავტობიოგრაფიული ტექსტების ანალიზისას **ცნობის** ფუნქციონირებაზე დაკვირვება განმცდელი ავტობიოგრაფის ქმედებათა მოტივაციის დადგენის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს განსაზღვრავს. კვლევის ღირებულებას სწორედ ის წარმოადგენს, რომ დადგინდეს განმცდელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიური მექანიზმის ფუნქციონირების ნიუანსები. ავტობიოგრაფისათვის ფიზიკური კონტექსტის ცვლილება ავტომატურად იდენტობის კრიზისის დაწყებას არ ნიშნავს. ტექსტში პირველ ეტაპზე განსახოვნებულია ხოლმე განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ ახალი კონტექსტის იდენტიფიცირების პროცესი, ასეთ დროს განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების მცდელობა ძველ და ახალ გამოცდილებას შორის თვისებრივი მსგავსების დადგენას უკავშირდება. როცა ეს მსგავსება ვერ დგინდება, ჰომეოდინამიკური პროცესები წამოიწევს ხოლმე; შესაბამისად, ტექსტის ამ მონაკვეთში უკვე განმცდელი ავტობიოგრაფის ქმედებათა საფუძველს, მოტივს ჰომეოდინამიკურ გამომწვევებთან გამკლავება წარმოადგენს, განმცდელი ავტობიოგრაფი ცდილობს, ახალ გარემოში ადაპტაცია მოახერხოს.

3. პრაქტიკული ნაწილი

3.1. სასახლეში ცხოვრების პირველი დღე: ახალი ცხოვრების დაწყების შიშით გამოწვეული ემოციის ფორმირების ეტაპები

განმცდელი ავტობიოგრაფის იდენტობის დესტაბილიზაციის წარმომშობი მენტალური პროცესები ასე შეიძლება შეჯამდეს: განმცდელ ავტობიოგრაფს გამოწვევებთან დაპირისპირების გამოცდილება არ აქვს, იდენტობის დესტაბილიზების სიგნალს იძლევა იდენტობის მთავარი საყრდენის (გამზრდელის) გარშემო აკუმულირებული

უარყოფითი ინფორმაცია: განმცდელმა ავტობიოგრაფმა უნდა დატოვოს გამზრდელი, თავად გამზრდელი ამ ფაქტს მტკივნეულად განიცდის, რაც განმცდელ ავტობიოგრაფში საფრთხის განცდას ამძაფრებს. მოსალოდნელი ცვლილებისადმი შიშს ბადებს ისიც, რომ სასახლეში საცხოვრებლად გადასვლა ქორისაგან წიწილას გატაცებასათან იგივდება. ბოლო ფაქტორი, რომელიც განცდელ ავტობიოგრაფს მოსალოდენელ რისკს უთვალისწინებს, უკვე გამოცდილებას კი არ უკავშირდება, არამედ განმცდელი ავტობიოგრაფის თანდაყოლილ ინსტინქტებს ააქტიურებს. ეს გარემოება ემოციურ დაძაბულობას განსაკუთრებით ამძაფრებს. ძიძასთან დაკავშირებული ემოციები, განმცდელი ავტობიოგრაფისათვის შეძენილი იყო, სოციალური ცხოვრების მინიმალურ გამოცდილებას ეფუძნებოდა. აბსოლუტურად უცხო რეალობის წინაშე დგომით გამოწვეული შიში კი განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში მენტალური ხატების გააქტიურებას არ გულისხმობს, მოვლენისადმი ინსტინქტურ მიმართებას აჩვენებს. მოცემულ სიტუაციაში განმცდელი ავტობიოგრაფის სოციალური გამოცდილების ნაკლოვანებაზე მიანიშნებს ის გარემოებაც, რომ მიუხედავად სერიოზული საფრთხის იდენტიფიცირებისა, იგი არანაირ გეგმას არ ადგენს; სასახლეში მიდის ისე, რომ მოსალოდნელ რისკებთან გამკლავების არანაირი სტრატეგია არ აქვს შემუშავებული.

წარმოდგენილი დასკვნების საფუძვლეზე მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სავანიდან სასახლეში მისული განმცდელი ავტობიოგრაფი შინაგანად დაძაბულია, საფრთხის განცდით ფორმირებული ემოცია, თავის მხრივ, ყურადღების მობილიზების საფუძველი ხდება: ,,სასახლეში ადრეც ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ რომ გამომიყვანეს, ბევრი რამე მაინც მეუცხოვა‘‘ [წერეთელი, 2015: 19]. განმცდელი ავტობიოგრაფის მიერ გარემოს ფოკუსირებული აღქმა, მანამდე უცნობ დეტალებზე ყურადღების გამახვილება სწორედ მისი ემოციური დაძაბულობითაა განპირობებული. განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგანი მღელვარების ფონზე, მისთვის დამატებითი უსიამოვნების შემქმნელია სტუმრების უჩვეულო აქტიურობა (*სტუმრებმა კი სწორედ გამაცეცეს [წერეთელი, 2015: 19]*).

ეპიზოდის შემდგომი ანალიზისათვის გასათვალისწინებელია, რომ განმცდელ ავტობიოგრაფს უფროსებთან საუბრისას დაძაბულობა არ ეტყობა: ის ხალისიანად, ლაღად უპასუხებს შეკითხვებს. ეს გარემობა, ერთი შეხედვით, ეწინააღმდეგება იმ წინასწარ მოცემულობას, რომ სასახლეში საცხოვრებლად მიმავალ განმცდელ ავტობიოგრაფს თან მიჰყვება შინაგანი დაძაბულობა. საანალიზო ეპიზოდში დასტურდება გარკვეული ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს, რომ უფროსებთან საუბრისას განმცდელი ავტობიოგრაფის წინარე კოგნიტური ნარატივი კვლავ აქტიურია. ახალ რეალობასთან კონფრონტაციისას განმცდელ ავტობიოგრაფში ორივე ემოცია თანაარსებობს. რით უნდა აიხსნას მისი სილაღე?

უკვე აღინიშნა, რომ სასახლეში საცხოვრებლად გადასული ავტობიოგრაფი იქაურ გარემოს არაორდინალურად აღიქვამს (*ბევრი რამ უცხოდ მეჩვენებოდა*). ეს დეტალი ერთ-ერთი ნიშანია იმისა, რომ ის შინაგანად დაძაბულია. ყურადღების მობილიზების მთავარ ფაქტორად სწორედ ემოციური რეგულატორის გააქტიურება მიიჩნევა. დამატებით, ტექსტში განმცდელი ავტობიოგრაფის შინაგანი მღელვარების სხვა დამადასტურებელი ინფორმაციაც მოიპოვება: *„**მეც, რაღაი კი სოფლის ამბავი მომაყოლეს,** მზად ვიყავი, რომ საღამომდის მეტიტინა..*“ [წერეთელი, 2015: 20]. დამოწმებული სიტყვები მიანიშნებს, რომ განმცდელი ავტობიოგრაფი თავს უცხოდ გრძნობს. თანაც ეს უცხო გარემო მისი მუდმივი ადგილსამყოფელი უნდა გახდეს. კავშირი **რაღაი** ემოციის ინტენსივობაზე მიანიშნებს: განმცდელ ავტობიოგრაფს ერთი სული აქვს, მისთვის მშობლიურ კონტექსტს დაუბრუნდეს, სავანესთან დაკავშირებული მოგონებების გააქტიურება ეხმარება. მითითებული კავშირის მნიშვნელობის გაგება სხვაგვარადაც შეიძლება: განმცდელ ავტობიოგრაფს სურს, სასახლეში შეკრებილ ადამიანებს საკუთარი შესაძლებლობები აჩვენოს, ამიტომაც ჰყვება *სოფლის ამბებს* განსაკუთრებული მონდომებით. განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესების სრულყოფილად დასანახად ქმედების ორივე მოტივია გასათვალისწინებელი: ნაწილაკით *რაღაი* მთხრობელი ავტობიოგრაფი განმცდელი ავტობიოგრაფის **არავერბალურ გაუცნობიერებელ ფიქრზე** მიანიშნებს. მას მშობლიური კონტექსტი ენატრება, რადგან სასახლეში საცხოვრებლად გადმოსვლას ემოციური დაძაბულობა

უძღოდა წინ, ცოდნისა და გამოცდილების დემონსტრირებას კი სოციალიზების საჭიროება აიძულებს, განმცდელ ავტობიოგრაფში ადაპტაციის ინსტინქტს ჰომეოდინამიკა ააქტიურებს.

მომდევნო აბზაცით ნაჩვენები იქნება ის სოციალური ქცევის წესები, რომლებთან კონფრონტაციაც განმცდელ ავტობიოგრაფს ცოდნის დემონსტრირების სურვილს უჩენს.

სასახლეში მისულ განმცდელ ავტობიოგრაფზე პირველ შთაბეჭდილებას სტუმრების აჟიტირებული ქმედება ახდენს (*სტუმრებმა სწორედ გამაცეცეს* [წერეთელი, 2015: 19]). განმცდელ ავტობიოგრაფს წინასწარ გააფრთხილებდნენ, რომ სასახლეში მას თავადიშვილის შესატყვის დახვედრას უმზადებენ. აქედან გამომდინარე, მისთვის სტუმართა ქმედების მოტივაცია გასაგები უნდა ყოფილიყო, თუმცა რაციონალური საფუძვლების გარდა, ახალი კონტექსტის შესახებ შთაბეჭდილებათა ფორმირების პროცესში მოვლენის გარეგნულ მხარეს თავისთავადი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ეს გარემოება მით უფრო გასათვალისწინებელია, რომ განმცდელმა ავტობიოგრაფმა ახალი სოციუმის ქცევის სხვადასხვა დეტალი ერთმანეთთან უნდა დააკავშიროს. ამ პროცესში მოვლენის აღქმის ემოციური მხარე პრაგმატულზე უფრო დომინანტური იქნება. განმცდელი ავტობიოგრაფის შთაბეჭდილებათა ფორმირების დინამიკის გასააზრებლად გასათვალისწინებელია შემდეგიც: მან, მართალია, იცის, რომ თავადიშვილის შესატყვის დახვედრას უწყობენ, თუმცა თავად *თავადიშვილობა* რას ნიშნავს, მისთვის საკუთარი გამოცდილების მიხედვით, უცნობია. განმცდელი ავტობიოგრაფი ეპისტემოლოგიური კომპეტენციის ნაკლოვანების გამო სასახლის წევრების ეტიკეტურ ქცევასა და მშობლების გულწრფელ დამოკიდებულებას პირველ ეტაპზე დაუნაწევრებლად აღიქვამს, მათ შორის თვისებრივ სხვაობას ვერ ამჩნევს. იმავდროულად, რასაც ხედავს, არავერბალური გაუცნობიერებელი ფიქრის სახით ახალი ცხოვრების მახასიათებლებად კლასიფიცირდება.

შთაბეჭდილებათა მომდევნო ნაკადი მამის, როსტომ წერეთლის, ქცევას უკავშირდება. სასახლეში შეკრებილი სტუმრების ფუსფუსს სწორედ იგი წყვეტს; როსტომ წერეთელი შვილს უხსნის, რატომ გამოხატავენ მისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას: ***„ეი, სოფლის ბიჭო!“*** *– დამიძახა მამაჩემმა - შენ* ***ახლა ბატონობას უნდა მიეჩვიო;*** *რაც გითხრან, დაიჯერე და თორემ თუ ურჩობა დაიწყე, წაგიყვან და დაგამწყვდევ ისე, როგოროც ის პატარა ბიჭი მყავს დამწყვდეულიო“* [წერეთელი, 2015: 19]. მიმართვა *-ეი, სოფლის ბიჭო* სტუმართა ქცევის გამო განმცდელი ავტობიოგრაფის გაოცებას უკავშირდება: როსტომ წერეთლისთვის ეს სოფლის ბიჭის ქცევას შეესაბამება. მოწოდებით – *შენ ახლა ბატონობას უნდა მიეჩვიო* – განმცდელ ავტობიოგრაფს მიანიშნებს, რომ ხელქვეითების პატივისცემა ნორმად უნდა მიიღოს. რაც შეეხება მუქარას – *თუ ურჩობა დაიწყე ...* კონტექსტით აღარაა განპირობებული, განმცდელი ავტობიოგრაფის სტუმრებთან ქცევას არ უკავშირდება – იუმორი როსტომ წერეთლის პიროვნების (ბუნების) ნაწილია. მამის ხუმრობით ნათქვამი სიტყვები განმცდელი ავტობიოგრაფისათვის სოციუმის ტიპურ ქცევასთან იგივდება, განმცდელი ავტობიოგრაფისათვის მამის ბუნება ამ ეტაპზე უცნობია. ამიტომ ის ფიქრობს, რომ მამა *ახალი ცხოვრების* მახასიათებლების შესახებ მიანიშნებს ხუმრობით.

განმცდელი ავტობიოგრაფი ხვდება (*სიცილი დავიწყე*), რომ მამა მას ეხუმრება, თავად ხუმრობის მოტივი კი მისთვის სოციალურ მოთხოვნაზე მიანიშნებს: ის ბატონი უნდა გახდეს, იმავდროულად თავადობის შესასწავლად მას უნარიანობა მოეთხოვება. მომდევნო ეტაპზე განმცდელ ავტობიოგრაფთან დიალოგს დედა გამართავს. ტექსტის მიხედვით, დედასთან ყველაზე დიდხანს საუბრობს სასახლეში მისული განმცდელი ავტობიოგრაფი. თხრობის დროითი განზომილება, ტექსტის სხვა მონაცემების გათვალისწინების გარეშე, შეიძლება მკითხველმა მთხრობელი ავტობიოგრაფის აქცენტად მიიჩნიოს – მისთვის დედა განსაკუთრებით ძვირფასია და მასთან საუბარს ამიტომ აღწერს ვრცლად. ეს დასკვნა არასწორია, იგი მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივის არასწორი ინტერპრეტაციაა და აი, რატომ:

საანალიზო ეპიზოდში დედისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოვლენას მკითხველი თუ დასაშვებად მიიჩნევს, მაშინ ავტობიოგრაფი არასაიმედო მთხრობლად უნდა ჩათვალოს ან უნდა თქვას, რომ ტექსტი სტილისტურად გაუმართავია. სასახლეში მისულ ავტობიოგრაფს მშობლებთან პიროვნული ურთიერთობა არ აქვს; შესაბამისად, შეუძლებელია, მან მშობელთა ქცევის უკან მათი პიროვნული მახასიათებლები ამოიკითხოს. როგორც უკვე აღინიშნა, ამ ეტაპზე ყველას ერთი სტატუსი აქვს: ისინი სასახლის სოციუმს წარმოადგენენ, მათ უკავშირდება ის რეალობა, რომელიც განმცდელი ავტობიოგრაფისათვის ახალი ცხოვრების დაწყებას გულისხმობს.

განმცდელი ავტობიოგრაფის აღქმისათვის თანმხლები დინამიკის დასანახავად გასათვალისწინებელია მოურავის რეპლიკაც, რომელიც უძღვის დედასთან განმცდელი ავტობიოგრაფის საუბარს: *„შენი რისხვა ნუ მომეცემა, წამოიძახა მოურავმა - [...] რო იტყვიან: კვიცი გვარზე წავაო, სწორედ მართალი ყოფილა“* [წერეთელი, 2015: 19]. მოურავის სიტყვები განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში ამძაფრებს განცდას, რომ მას, როგორც მომავალ აღსაზრდელს, აკვირდებიან. მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივის დასანახავად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს ეპიზოდის ორგანიზებას: იგი იშლება, მიმდინარეობს, ერთი მხრივ, სოციუმის ობიექტური მახასიათებლების, ქცევის წესების წარმოჩენის ფონზე და, მეორე მხრივ, მასთან სისტემატურად კონტრასტს ქმნის განმცდელი ავტობიოგრაფის შეზღუდული ეპისტემლოგიური კომპეტენცია და ბავშვური თავგამოდება.

განმცდელი ავტობიოგრაფის სასახლეში დახვედრის ეპიზოდი მთხრობელი ავტობიოგრაფის მიერ ისეა ორგანიზებული, რომ მასში სოციუმის ყველა ის მახასიათებელი ჩანს, რომლებიც ეპიზოდის (სასახლეში ვიზიტის პირველი დღე) დასრულების შემდეგ ვრცლადაა აღწერილი. აღნიშნული გარემოება მთხრობელი ავტობიოგრაფის პერსპექტივაზე მიანიშნებს. მთხრობელ ავტობიოგრაფში (ტექსტის შექმნის მომენტში) სინანულს შემდეგი გარემოება იწვევს: განმცდელი ავტობიოგრაფის განვითარებისათვის შინაგანი მზაობა და სოციალური კონტექსტი, რომელშიც მას უწევდა ცხოვრება, ერთმანეთის შესატყვისი არ იყო. სინანულის განცდას ამძაფრებს ის

გარემოებაც, რომ ერთი მიკროსოციუმიდან მეორეში გადასვლისას ქცევის წესები იცვლებოდა, განმცდელი ავტობიოგრაფი ბავშვური შემართებით ცდილობდა მათ ათვისებას, თუმცა ყოველ ახალ ეტაპზე გადასვლას თან სდევდა გამოუცდელობის განცდა – ის, რაც ადრე შეიძინა, ახალ კონტექსტში არ ფუნქციონირებდა. [5]

მოურავის მიერ განმცდელი ავტობიოგრაფის შესაქებად გაკეთებული რეპლიკა გულწრფელი რომ არაა, ქალბატონის ქცევა მიანიშნებს: „*ეტყობოდა, მოურავს კიდევ ბევრი რამ უნდა ეთქვა, მაგრამ დედაჩემმა გააწყვეტინა სიტყვა, დამიძახა და მკითხა*“ [წერეთელი, 2015: 19]. ქალბატონის ჩარევა ორი თვალაზრისითაა საყურადღებო: ა) მან იცის, რომ მოურავი მლიქვნელობს, ამიტომაც აწყვეტინებს შეფასებას; ბ) სხვებისაგან განსხვავებით, მას გულწრფელად სურს შვილის შინაგანი სამყაროს (ინტერესებისა და მზაობის) გაცნობა. განმცდელი ავტობიოგრაფის აღზრდა სწორედ დედამ უნდა ითავოს. გარემოება – როსტომ წერეთლის ხუმრობაზე განმცდელი ავტობიოგრაფის პასუხი – დედას მასთან საუბრის დაწყების ხელსაყრელ პირობას უქმნის. დედის მიერ არაერთი დამაზუსტებელი შეკითხვის დასმა აღნიშნული ინტერესის ეკვივალენტურია, ანუ დედის შინაგან სამყაროს მიემართება და არა – მთხრობელი ავტობიოგრაფისას. ეპიზოდის ფარგლებში ყურადღებას იქცევს, ერთი მხრივ, სასახლის წევრთა, მათ შორის, როსტომ წერეთლის, გარეგნული, ეტიკეტზე დაფუძნებული ქცევისა და მეორე მხრივ, გარეგნული ფუსფუსისაგან განზე გამდგარი, თუმცა სასახლეში მიმდინარე პროცესებზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ქალბატონი. <u>განმცდელი ავტობიოგრაფის ქცევასთან მიმართებით კი საყურადღებოა, რომ ის ერთნაირი მონდომებით უპასუხებს მამისა და დედის შეკითხვებს, ერთნაირ დამოკიდებულებას ამჟღავნებს სასახლის თითოეული წევრისადმი.</u>

განხილული მონაკვეთის მიხედვით, განმცდელი ავტობიოგრაფის მენტალური პროცესები ასე შეიძლება შეჯამდეს: სასახლეში მისულმა განმცდელმა ავტობიოგრაფმა იცის, რომ თვისებრივად ახალი ცხოვრება უნდა დაიწყოს, თუმცა ახალი ცხოვრების შინაარსი მისთვის უცნობია. ამასთან, სასახლეში საცხოვრებლად გადასვლას შინაგანი დაძაბულობა ახლავს, ამიტომ ახალი რეალობის აღქმისას განმცდელი ავტობიოგრაფი

ემოციურად დამუხტულია, ყურადღება კი მაქსიმალურად მობილიზებული აქვს. სასახლეში შეკრებილი ადამიანების მოქმედებათა მიხედვით ის ამ სოციუმის ქცევის წესებზე წარმოდგენას იქმნის. იცის რა, რომ ეს სოციუმი მისი მუდმივი საცხოვრებელი უნდა გახდეს, მენტალურ პროცესებში ჩართულია **ჰომეოდინამიკაც:** ის სოციუმს პასიურად არ **აკვირდება**, **ცდილობს**, სოციალურ გამოწვევებს ადეკვატურად უპასუხოს. სასახლეში შეკრებილი სტუმრების განსაკუთარებული აქტიურობა და მამის ხუმრობით დამუქრება მისთვის სოციალური ადაპტაციის დაწყების პირველი სტიმული ხდება: განმცდელი ავტობიოგრაფი არავერბალური ფიქრით, ქვეცნობიერად, ხვდება, რომ მისგან ახალი ცხოვრების ფარგლებში *გატონობის* სწავლას ითხოვენ, რაც, თავის მხრივ, მისგან უნარიანობას მოითხოვს, ამიტომაც ის ცდილობს, მონდომებით უპასუხოს ამ სოციალურ გამოწვევას, აჩვენოს, რომ მას დიდი გამოცდილება აქვს, უნარიანია. დედის მიერ შეკითხვების დასმა განმცდელი ავტობიოგრაფისათვის საერთო სოციალური დაკვეთის რეალიზების ფორმად აღიქმება. ამ ეტაპზე მას დედასთან, როგორც მშობელთან, პიროვნული კომუნიკაცია არ აქვს, ის, მხოლოდ და მხოლოდ, ახალ სოციუმში ადაპტაციას ცდილობს.

4. დასკვნა

ავტობიოგრაფიის თანამედროვე თეორიის მიხედვით, ავტობიოგრაფიული ტექსტის შექმნა მთხრობელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიური სააჭირეობით არის განპირობებული. წიანმდებარე სტატიის მიზანი იყო, დადგენილიყო, განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების ფუნქციონირების/ფორმირების პროცესის განსახოვნებისას რა როლი უჭირავს განცდელი ავტობიოგრაფის ემოციის ჩვენებას.

აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიული ტექსტის ეპიზოდის ანალიზმა აჩვენა, რომ ტექსტში განსახოვნებული განცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების ფუნქციონირებაზე უმთავრესად ემოციური რეგულატორის მოქმედება მიანიშნებს. საანლიზო ტექსტში განცდელი ავტობიოგრაფის ვერბალური ფიქრი არაა განსახოვნებული; შესაბამისად, ავტობოგრაფიული ტექსტის მკითხველს განმცდელი

ავტობიოგრაფის ცნობიერების ფორმირებაზე წარმოდგენა შეუძლია შეიქმნას განმცდელი ავტობიოგრაფის ემოციათა მონაცვლებაზე დაკვირვებით.

კვლევამ აჩვენა ისიც, რომ ემოციის, როგორც ცნობიერების მონიტორინგის, ფუნქციის განსაზღვრა შესაძლებელია ე.წ. კოგნიტური ნარატივის გათვალისიწინებით. განცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების კოჰერონტულობის უზრუნველსაყოფად, ახალი რეალობის იდენტიფიკაციისას ემოციური რეგულატორი განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებას ატყობინებს, რამდენად ხელსაყრელ ვითარებაში იმყოფება. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე განმცდელ ავტობიოგრაფში ჰომესტაზიური ან ჰომეოდინამიკური საჭიროებები აქტიურდება.

„ჩემი თავგადასვლის“ საანალიზო მონაკვეთში, საწყის ეტაპზე (სასახლის წევრებთან დაკავშირებით პირველი შთაბეჭდილებების შექმნისას), განმცდელი ავტობიოგრაფის ჰომეოსტაზიური ქმედებებია განსახოვნებული. როგორც კი განმცდელმა ავტობიოგრაფმა გააცნობიერა, რომ ახალ გარემოში ინტეგრირების პერსპექტივა არსებობდა, მის ქმედებებს ჰომოდინამიკა დაედო საფუძვლად.

დაბოლოს, აღსანიშავია ისიც, რომ, ჩატარებული კვლევის მიხედვით, განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერებაში მიმდინარე პროცესებს მთხრობელი ავტობიოგრაფი, ძირითადად, *პროტოკოლით* აჩვენებს.

---

[1] ამის საწინააღმდეგოდ, ქართულ სამეცნიერო სივრცეში, მიუხედავად აღნიშნული ჟანრის ტექსტების მრავალფეროვნებისა, ავტობიოგრაფიის კვლევას, ფაქტობრივად, არა აქვს ტრადიცია.

[2] ტერმინი *ჰომეოსტაზია* აღებულია ანტონიო დამასიოს ნაშრომიდან (2018), მასში მოიაზრება ადამიანის სიცოცხლის რეგულირების ის მექანიზმი, რომელიც ადამიანისათვის საფრთხის შემცველ სიტუაციაში სტაბილურობის უზრუნველყოფას ემსახურება. ადამიანის გადარჩენისათვის მხოლოდ სტაბილურობის შენარჩუნება არაა

საკმარისი. ჰომეოსტაზია, როცა ის ადამინის *ავტობიოგრაფიულ მეს* მიემართება (დამასიო 2010), იმავდროულად მეორე მენტალური პროცესის არსებობას გულისხმობს: ადამიანს აქვს უნარი არა მხოლოდ შეინარჩუნოს ავტობიოგრაფიული მე (იდენტობის მოდელი), არამედ საჭიროების მიხედვით მისი განახლებაც შეუძლია, რაც ჰომეოდინამიკურ პროცესად კლასიფიცირდება.

[3] ავტობიოგრაფიული ტექსტის კვლევის ნარატოლოგიური საფუძვლების შესახებ იხ. ლოშნინგი, 2010

[4] ემოცია მონიტორინგის ფუნქციას ასრულებს, ტვინს ატყობინებს, როგორ მდგომარეობაში იმყოფება ადამიანი, რათა ავტომატურ რეჟიმში ტვინში გააქტიურდეს სამოქმედო პროგრამები და ადამიანმა ადეკვატურად იმოქმედოს [Damasio, 2000].

[5] განმცდელი ავტობიოგრაფის სოციალური კომპეტენციის ნაკლოვანება საანალიზო ავტობიოგრაფის მომდევნო ეპიზოდებშიცაა თემატიზებული. ჰიპოთეტური ფოკალიზებითა და პროტოკოლით მთხრობელი ავტობიოგრაფი მიანიშნებს, რომ განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების ფუნქციონირების მთავარ გამოწვევას სწორედ გამოუცდელობა წარმოადგენდა.

ლიტერატურა:

1. წერეთელი ა. ავტობიოგრაფიულინ პროზა, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად: ტ. 7.-თბილისი,2015
2. Damasio A. The Feeling of What Happens: Body, Emotion and the Making of Consciousness. London, 2000
3. Damasio A. The Strange Order of Things: Life, feeling and the Making of Cultures.-New York: Pantheon Books, 2018
4. Eakin J. How Our Lives Become Stories: Making Selves Ithaca and London,2008
5. Löschnigg M. Postclassical Narratology and the Theory of Autobiograpy. In Alber J. & Fludernik M. (eds) Postclassical Narratology. Approaches and Analyses. Columbus: Ohio State UP.- 2010
6. Olney J. Memory and Narrative: The Weave of Life-Writing.- Chicago,1998
7. Löschnigg M. Die englische fictionale Autobiographie: Erzähltheoretische Grundlagen und historische Prägnanzformen von den Anfängen bis zur Mitte des neunzehnten Jahrhunderts. Trier, 2006
8. Nalbantian S. Memory in Literature: From Rousseau to Neuroscience. Basingstoke: palgrave macmillan, 2003
9. Palmer A. Fictional Minds.-Lincoln,2004
10. Searle J. The Rediscovery of the Mind.-Cambridge, 1992
11. Schacter D. Searching for Memory: The Brain, the Mind, and the Past. New York.
12. Eakin J. Fictions in Autobiography: Studies in the Art of Self-Invention.-New Jersey, 2014

მაია კვირკველია

მხატვრობა და ლია სტურუას რემინისცენციები

ლია სტურუა ერთ-ერთი გამორჩეული ავტორია მათ შორის, ვინც 70-იანი წლების დასაწყისში შეუერთდა ლიტერატურულ პროცესს და თავის თანამოაზრეებთან (ბესიკ ხარანაული, გურამ პეტრიაშვილი, მამუკა წიკლაური...) ერთად ქართული ლიტერატურისთვის აქამდე ნაკლებპოპულარული, ე.წ. თავისუფალი ლექსი შემოიტანა. ლია სტურუას შემოქმედება საინტერესოა ფორმის, შინაარსისა და გამოკვეთილი ინდივიდუალურობის გამო. პოეტი თვითგამოხატვის ძირითად ფორმად ვერლიბრს ირჩევს, თუმცა 1987 წელს სონეტების კრებულიც გამოსცა, ეს კი თავისთავად მიუთითებს, რომ მისთვის მთავარი არა ფორმა, არამედ – სათქმელია.

ლია სტურუას პოეზიაში აღბეჭდილია კოდთა სიმრავლე, რაც მოიცავს როგორც ქართული, ისე – უცხოური კულტურის კოდებს, რომლებიც ამრავალფეროვნებენ და აღრმავებენ ლექსების შინაარსს. ასევე საინტერესო და უჩვეულოა მხატვართა რემინისცენციები და ფერწერული ხატ-სიმბოლოები, ეს ასპექტი ლია სტურუას პოეზიაში შენიშნულია, თუმცა საკითხი ჯერ არ არის შესწავლილი. ამ ნიშნით (ჩემ მიერ) გაერთიანებული პოეტური ნიმუშები გამოკვეთს პოეტის დამოკიდებულებას არა მხოლოდ მხატვრობასთან, არამედ – მუსიკასთან, პოეზიასთან და ზოგადად, ხელოვნებასთან. რემინისცენციების საშუალებით ავტორი ეხება ისეთ თემებს, როგორებიცაა: ფასეულობების რღვევა, მხატვართა შემოქმედებითი თავისებურება, კულტურის მნიშვნელობა და ხელოვნების როლი ადამიანთა ცხოვრებაში. ლირიკული ნიმუშების განხილვის კვალდაკვალ იკვეთება ავტორის დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი, სწორედ ეს მიმართებები და მათი გამოსახვის ფორმები გამოარჩევენ მწერლებს და უნარჩუნებენ მათ ინდივიდუალურობას. ხოლო რემინისცენცია, როგორც მხატვრული საშუალება, ხელს უწყობს კულტურათა დიალოგს და აერთიანებს მათ ისტორიულ გამოცდილებას.

ზუსტი ფერწერული ხატები ლია სტურუას პოეზიის ყველაზე ნიშნული კომპონენტია, ის გრაფიკულ სიცხადეს ანიჭებს პოეტურ შტრიხებს. პოეტის პალიტრაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ – ფიროსმანს, ვან გოგს, სეზანს, გოიასა და სხვა მხატვრებს, რომლებიც მიხვდნენ, ,,ვან გოგობა რისი მაქნისიცაა", მაგრამ სხვანაირ ცას, სხვანაირ სამყაროს ხედავენ და იციან, რომ ,,მათი ტკივილი სოთბის აუქციონზე სხვას დააპურებს". ამ პალიტრაზე იმპრესიონისტული ფერები ჭარბობს. პოეტი ფიქრობს ჭეშმარიტი ხელოვნებისა და ფსევდოკულტურის მიმართებებზე, მუსიკის თუ ფერწერული ნიმუშის დანიშნულებაზე, იმ საფრთხეებზე, რომელთა წინაშეც დგას ხელოვნება და აღნიშნავს იმასაც, რომ ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებას განსხვავებულად შეუძლია ადამიანის გადარჩენა, რუტინისგან მისი გათავისუფლება, შთაგონება და სულიერი ზრდა. ამ პოეზიაში ლირიკულ გმირს შეუძლია ,,ზღვა ზეპირად დახატოს და ულტრამარინის მთელი მარაგი დახარჯოს". ასევე დაინახოს ,,ვარდისფერი, რომელიც ღრმაა" , რომ ,,ღრმა მწვანე მტკივნეულია". ისიც იცის, რომ ,,ცას არ სჭირდება ამომხტარი ფერები", თუმცა სხვა გამოსავალი არაა - ,,კივილს ქრესტომათიაში არ შეიტანენ". ლია სტურუას პოეზიის ღერძი პოეტის ლირიკული მეა. სწორედ ეს ნიშანი განსაზღვრავს ლექსებში წარმოდგენილ ფერებს, მხატვრებსა და მათ შემოქმედებას, ფერების ფუნქციებსა თუ ასოციაციებს.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც ლია სტურუას პოეზიაში იკვეთება, არის ფასეულობათა რღვევა, მკვეთრად უარყოფითი და კრიტიკული დამოკიდებულება ყალბის, ხელოვნურისა და ნაძალადევის მიმართ. ლირიკული გმირი წუხს, რომ სწორი მიმართება კულტურასთან ხშირად დაკარგულია, რომ ფსევდოკულტურასა და ჭეშმარიტ ხელოვნებას შორის ზღვარი თანდათან იშლება, თუმცა ,,ნერწყვით გაშინაურებული საღებავი" ძალას კარგავს, როცა ,,ვიღაც" საკუთარი სისხლით ხატავდა ტილოებს:

,,ველარ ხატავ და

საღებავს ხომ არ შეჭამ?

დიდი-დიდი, ნერწყვით გაიშინაურო,

მაგრამ ყურს მოიჭრის ვიღაც

და გათავდა

ამ სისხლით დახატული

მილიონებად გაიყიდება,

ნახატი რომ უწმინდურობაში

ამოავლო, იმასაც იყიდიან

XXI საუკუნეა, კანალიზაციის მილებში

ჩატენილი ვარდები-

ალიყური პოეზიას!...“

*„ ***გააჩერე დრო“* [სტურუა, 2013:158-9].

ამ სიტყვებში ავტორი ნათლად აღწერს სამწუხარო რეალობას, სადაც ზღვარი გამქრალია ხელოვანის სითამამესა და ვულგალურობას შორის. „კანალიზაციის მილებში ჩატენილი ვარდები“– შერყვნილი კულტურის სიმბოლო, ეს არის სილის გაწნა, როგორც პოეზიისთვის, ისე – წმინდა ხელოვნებისთვის. ავტორი შეგნებულად არ ასახელებს ვან გოგს, რომელიც სულიერებისგან დაცლილ რეალობაში მხოლოდ „ვიღაც“ შეიძლება იყოს, თუმცა თუ მკითხველი ხვდება მის ვინაობას, შესაძლებლობა აქვს გაიაზროს მწერლის სათქმელი. მხატვრის შემოქმედება პოეტისთვის ახლობელი და ნაცნობია, რაც დასტურდება ლექსში „ვან გოგი“, პოეტი ისეთი სიზუსტით აღწერს დეტალებს, რომ მკითხველი თვალნათლივ წარმოიდგენს არა მხოლოდ ტილოებს,

არამედ მათი შემქმნელი ადამიანის განცდებს. მხატვრობას ნაზიარები ადამიანისთვის ცნობილია, რომ ფერწერული ტილო – მრავალფიგურიანი კომპოზიცია – მთლიანობაში უნდა იყოს აღქმული. ამ ლექსიდანაც რთულია კონკრეტული სტროფის ციტირება, ყოველი დეტალი გადამწყვეტი და მნიშვნელოვანია:

„განა შეიძლება,

ქვისგან აშენებული ეკლესია

მზესავით იყოს

ყვითელი ლურჯზე?

არც ის შეიძლება,

მინდორს, ხეს, ძველ ფეხსაცმელსაც კი,

ნერვები ჰქონდეს

და კბილივით სტკიოდეს...

ამის გამო მთელი გარემო

დაგრეხილია, თითქოს

ლოკოკინებისგან შედგება,

თითო გრეხილზე

იმდენი საღებავი მოდის

რომ ჰაერს ხორცი უჩნდება

და გასაფრენად გამზადებული

სული ველარ ამოდის პირიდან...

ამ მწითურ, ცხელ ხორციანობაში

სულ პატარა გამჭირვალება

რომ ჩამოეშვა ვინმეს,

მაგალითად, შოპენის

რამდენიმე ვერცხლისფერი ბგერა,

ან გედისა და სარკის ნატეხი,

იქნებ ამოესუნთქა,

თეთრად და მშვიდად

ამოსვლოდა სული...

მაგრამ ყველა თავისთვის ცხოვრობს,

მარტო ყვავები დაფრინავენ

მინდორში და ეკლესია ჩანს,

ხოლო ყურების გოგირდოვან ჯოჯოხეთში

ბავშვივით იზრდება

დიდი ყვითელი მზესუმზირა...“

„ვან გოგი“ [სტურუა, 2013:155].

უჩვეულო სამყაროში გადავყავართ მხატვარს, ლირიკული გმირიც აღელვებულია, ამიტომაც დაუფარავი გაოცებით იწყებს: „განა შეიძლება?“ ეს შეკითხვა რიტორიკულია, თურმე შეიძლება „ქვისგან აშენებული ეკლესია მზესავით იყოს ყვითელი ლურჯზე“ და მას „ოვერ-სიურ-უაზის ეკლესია“ ჰქვია. 1890 წელს ზეთის საღებავებით შესრულებულ ტილოზე, ლურჯ ფონზე დახატული ეკლესია მზესავით ნათელია, სიწმინდისა და მხატვრის სურვილის გამო: *„ახლა სოფლის ეკლესიის მოზრდილი სურათი დავხატე, სადაც სუფთა კობალტის ღრმა ლურჯი ცის ფონზე შენობა იისფერი გეგონება, ვიტრაჟები ზღვისფერი ლურჯის ლაქებს წააგავს. წინა პლანზე აყვავებული მწვანე მდელო და ვარდისფერი ქვიშაა. ეს სურათი თითქმის იმ ეტიუდების მსგავსია, ნიუენენის სასაფლაოს და ძველი კოშკისთვის რომ ვხატავდი, მაგრამ აქ ფერები უფრო ექსპრესიული და ძლიერია...“* [ვან გოგი, 2009:88]. სწორედ ასე აღწერს მხატვარი თავის ტილოს, დის, ვილჰელმინასადმი მიწერილ წერილში. *„ნახატში ფერები მართლაც განსხვავებულია, მაგრამ კონტრასტი ამით არ ამოიწურება – ფერების ცალკეული ზონები აგებულია სწრაფი, მომრგვალებული და რიტმული შტრიხების მეშვეობით და მიწაც და ეკლესიაც თითქოს მოძრაობს. ვან გოგის ამ ერთ-ერთი უკანასკნელი ტილოს კომპოზიცია და განცდები ვიბრაციის მეშვეობით უფროა გადმოცემული, ვიდრე – ფერით.“* [პრიეტო, ტელიო, 2009:88]. ეს გამომსახველობითი ვიბრაცია იგრძნობა მთელ რიგ ნახატებში. ლექსში ნაგულისხმევი ტილო „წყვილი ფეხსაცმელიც“ სწორედ ასეთია („უკანასკნელი საყრდენი-ატკიებული ფეხსაცმელი“ – სავარაუდოდ, სწორედ ამ ტილოზე მიგვანიშნებს ავტორი სხვა ლექსში.). მხატვარმა ის 1886 წელს შექმნა და ნათელი ფერების ნაცვლად შავ-თეთრი საღებავი გამოიყენა. სევდიანი ნახატია, ტკივილიანი, თითქოს ამ

„ძველ ფეხსაცმელსაც კი,

ნერვები ჰქონდეს

და კბილივით სტკიოდეს...

ამი გამო მთელი გარემო

დაგრეხილია, თითქოს

ლოკოკინებისგან შედგება“

„ვან გოგი“ [სტურუა, 2013:155].

ამ ფერწერული ნიმუშის საინტერესო ინტერპრეტაციას გვთავაზობს მეოცე საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსი მარტინ ჰაიდეგერი ნაშრომში „დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა“: *„ვან გოგის ნახატის მიხედვით ვერც ვერასოდეს შევძლებთ იმის დადგენას, თუ სად ალაგია ისინი. გლეხის წყვილი ყელიანი წაღების გარშემო არაფერია, რისი კუთვნილებაც შესაძლოა, იგი იყოს. ირგვლივ მარტო გაურკვეველი სივრცეა. ბელტის ან თემშარის ტალახიც კი არ არის ყელიან წაღებზე მიწებებული, რაც იმაზე მინიშნებას მაინც შეიძლებდა, რომ მათ იყენებენ. გლეხის წყვილი ყელიანი წაღა და მაინც:*

ფეხსაცმლის მოქცეული ყელის მრუმე ღიობიდან დაჟინებით იყურება სამუშაო ნაბიჯების სიმძიმილი. მის ბუნებითს სიმძიმეში დაგროვილია ნახნავის ფართოდ გაშლილ და ერთფეროვან კვლებში დინჯი სიარულის შეუპოვრობა. ნახნავისა, რომელზეც მკაცრი ქარი დათარეშობს, ტყავზე ძევს ნიადაგის ტენი და წვენი. ლანჩებქვეშ დამდეგ საღამოსთნ ერთად უჩუმრად მოიპარება თემშარის სიმარტოვე. ფეხსაცმელში ლივლივებს მიწის უჩუმარი მოწოდება მის მიერ მწიფე თავთავის მდუმარე ჩუქება და იდუმალი გაწბილება დაზამთრული ველის უდაბური ნასვენისა. ფეხსაცმლიდან მოაბოტებს უდრტვინველი შიში პურით უზრუნველყოფისთვის. გასაჭირის გადატანის უსიტყვო სიხარული, თრთოლვა, დაბადების მოლოდინით გამოწვეული და კანკალი, სიკვდილის მხრივ მუქარით მოგვრილი. ხელსაწყო ესე მიწის კუთვნილებაა და გლეხი ქალის სამყაროშია იგი დაცული“ [ჰაიდეგერი, 1992:31]. პოეტისა და ფილოსოფოსის მიერ ნახატი სხვადასხვაგვარად არის აღქმული, თუმცა მნიშვნელოვანია მსგავსებაც: ტკივილი და „დაგრეხილი ჰაერი“ ორივე შემთხვევაში ნაგრძნობია. თუ ჰაიდეგერი ამ ნახატშივე ხედავს „გასაჭირის გადატანის უსიტყვო სიხარულს“, პოეტს ამ სინათლის

შემოსატანად სხვა სახეები სჭირდება, მაგ. შოპენის მუსიკა, რომ სული ,,თეთრად'' და ,,მშვიდად'' ამოვიდეს (მუსიკა გვევლინება მხსნელად ლია სტურუას სხვა ლექსებშიც: ,,მუსიკა'',,,ორშაბათიდან კვირამდე'', ,,სიზმარი'', ,,სხვა რა გითხრა?''). თეთრი ფერი სისპეტაკისა და სინათლის გარდა გულისხმობს ნებისმიერი ფერის პალიტრაში გადაზრდის პოტენციასაც, რომელიც, სავარაუდოდ, ცვლილება-გადარჩენას ნიშნავს. ფერწერული ტილოებით შთაგონებულ ლექსში აღწერილია გარემო, სადაც ,,ყველა თავისთვის ცხოვრობს'' და ,,მარტო ყვავები დაფრინავენ მინდორში'', მხატვარს, ბავშვივით სპეტაკს და ნათელი ფერებით მოსილს, ,,ყურების გოგირდოვანი ჯოჯოხეთიდან'' დიდი ყვითელი მზესუმზირა ეზრდება, როგორც ნაყოფიერების, სილამაზისა და სინათლის სიმბოლო. *,,ჩემშიც არის ცოტა მზესუმზირა,'' – ამბობდა ვინსენტ ვან გოგი, რომელიც სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებდა ამ ნაყოფიერ ყვავილებს. მისთვის მზესუმზირებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა – ყვითელი ფერი მეგობრობასა და იმედს ასახიერებდა. გაშლილი ყვავილი კი მადლიერების სიმბოლოდ მიაჩნდა''* [პრიეტო,ტელიო, 2009:56]. მზე, სინათლე, ხელოვანის დამოკიდებულება სამყაროსთან, ტოლოები, რომლებზეც ტკივილისა და სევდის გვერდით გადარჩენის გზა, შრომისა და მადლიერების აუცილებლობა ვლინდება. პოეტი სწორედ ამ მახასიათებლების გამო არჩევს ვან გოგს და მისი ფერწერით შთაგონებული ლექსებიც სულ სხვა რაკურსით დაგვანახებენ მხატვარის შემოქმედებას.

ვან გოგთან ერთად ლია სტურუას პოეტურ ტილოზე პოლ სეზანის ,,ატმების ჟრიალსაც'' დავინახავთ. ავტორი რამდენიმე სტრიქონში მხატვრის შესახებ ყველაზე მნიშვნელოვან ,,ფაქტებს'' გვიამბობს. რეალისტური პასაჟები და მოწოდების განსაკუთრებული ფორმა კი ლექსს იმპრესიულობასა და ემოციურობას ჰმატებს. ეს ლექსიც რიტორიკული შეკითხვით იწყება: ,,ვინ დახატავს ატმების ჟრიალს?'' შემდეგ კი ავტორი მხატვრის მოკლე ,,ბიოგრაფიულ ექსკურსს'' გვთავაზობს:

,,ბატონი სეზანი, რომელმაც

ნატიფი ხელოვნების აკადემია დაამთავრა,

რომელსაც ქუჩაში სძინავს

და თავქვეშ ფეხსაცმელები აქვს ამოდებული,

შია, სოთბის აუქციონზე

კი მის ატმებს ჭამენ.

ის არ უყვართ ფერ-ხორცის მხატვრებს

და სინატიფის მასწავლებლებს,

ის ოთხკუთხედია და წახნაგი სტკივა,

ის ხატავს ატმებს და არა

მათ ხორკლებზე მოარულ შიშს,

სად სცალია ამ მისტიკისთვის,

როცა ფორმის სიმართლეს გაუგო?

აი, ღმერთი რომ დაინახავს,

პირველივეს, რასაც გააკეთებს,

ატმის ჟრუანტელს დაუხატავს,

გადაიბირებს თავისკენ

ვარდისფერხორციანი მხატვრობიდან...“

„სეზანი“ [სტურუა, 2013:31].

ლექსში ბიოგრაფიულ პასაჟებს ვხვდებით. მდიდარი ოჯახის შვილს, რომელმაც „ხელოვნების ნატიფი აკადემია დაამთავრა“ , „ქუჩაში სძინავს“ – რაც, სავარაუდოდ, მიანიშნებს მხატვრის ცხოვრების კონკრეტულ პერიოდზე, როდესაც ის პარიზში მიემგზავრება და ღია ცის ქვეშ ხატვის გამოცდილებას იღებს. „სოთბის აუქციონზე კი მის ატმებს ჭამენ“ – ამ დეტალით ავტორი სეზანისთვის დამახასიათებელ საგანთა მატერიალურობას და დამაჯერებლობას უსვამს ხაზს. მკითხველს შეიძლება გაახსენდეს სეზანის ერთ-ერთი ნახატი „ბოთლები და ატმები“, რომელშიც გეომეტრიული ტექნიკისა და ფერების სიღრმითი გამომსახველობის სინთეზია მიღწეული. *„ბუნების არსი ზედაპირზე არ დევს, ის სიღრმეშია; ფერები ამ სიღრმის ზედაპირზე გამოტანაა! ისინი სამყაროს ფესვებიდან მომდინარეობს. ისინი სიცოცხლეა, იდეების სიცოცხლე” – პოლ სეზანი* [სეზანი, 2010:32]. „ის ოთხკუთხედია და წახნაგი სტკივა“ – უთუოდ მხატვრის ნამუშევრების გეომეტრიული კომპოზიციისა და ბალანსისკენ მისწრაფებას აღწერს. სეზანი ტილოებზე სამგანზომილებიან გამოსახულებებს ფერთა გამისა და გეომეტრიული შტრიხების შერწყმით ქმნის, რაც პოეტისთვის ცნობილი და გასაგებია, ამიტომაც ერთგვარად ამართლებს კიდეც „სად სცალია ამ მისტიკისთვის, როცა ფორმის სიმართლეს გაუგო?“ ეს სიმართლე კი იმდენად მტკიცეა, რომ მხოლოდ „ღმერთს შეუძლია მისი გადაბირება ამ ვარდისფერხორციანი მხატვრობიდან“. სინტაგმის „ვარდისფერხორციანი მხატვრობა“ დეკოდირებას მოაქვს ახალი შინაარსი და ის ტილოებზე გამოსახული საგნების დამაჯერებლობაზე მიუთითებს. პოეტისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტილოები, არამედ მათ შემქმნელთა წარსული, ცხოვრებისეული გამოცდილება, პრინციპულობა, ადამიანური ნება და არჩევანი, რამაც ამ ფერწერული ნიმუშების შექმნა განაპირობა.

როგორც განხილული ლექსებიდან ჩანს, ლია სტურუასთვის იმპრესიონისტთა შემოქმედება მუდმივი ფიქრის საბაბია. როგორც აღვნიშნეთ, პოეტის შემოქმედების ერთ-ერთ ასპექტს მკვეთრად ხაზგასმული „ლირიკული მე“ წარმოადგენს, იმპრესიონისტი მხატვრებიც რეალობას სწორედ საკუთარი აღქმის მიხედვით აძლევენ ინტერპრეტაციას.

ლექსში "IMPRESSION", რომელიც ბოლო კრებულშია („მგლის საათი") შეტანილი, კარგად ჩანს სხვა მიზეზიც:

„მინდორს რომ გამოაკლო ხიდი,

ხიდს გიჟი, რა დარჩება? მზე,

მაინც მზე, ყველგან

განსაკუთრებით თავში"

„IMPRESSION" [სტურუა, 2016: 51]

ამდენად, მზის – სიცოცხლისა და სინათლის – სიყვარული გამოარჩევთ ზემოთ ხსენებულ მხატვრებს. *„იმპრესიონისტი მხატვრებით კი მაგოდებდა ისე, რომ მთელი ტანით ვგრძნობდი, როგორ სტკიოდა ვან გოგს თავში ჩავარდნილი მზე"* [სტურუა, 2002:10]. პოეტი დარწმუნებულია მათ უპირატესობაში და, მიუხედავად იმისა, რომ „ხატვა არ იცის", ერთგვარად იმპრესიონისტთა მემკვიდრედაც კი გვევლინება:

„სკირაც მე მერგო, თავისი

იმპრესიონისტი შვილებით,

ისინი მამობას ვერ გაწევენ,

უმწეოები ყველაფერში, ხატვის გარდა,

სამაგიეროდ, ისეთი ღონიერი

იზმის შემქმნელები, რომელზეც

ცხვირს ვერავინ აიბზუებს,"

„ცისფერი, ლურჯი, ალისფერი...“ [სტურუა, 2013:190].

ლექსის ლირიკული გმირი ფერების საშუალებით აღწერს დროის დინებას, სათაურიც „ცისფერი, ლურჯი, ალისფერი...“ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს წარმოადგენს, ბავშვი, როგორც სიწმინდის სიმბოლო, ცისფრად არის დახატული, ხოლო ლურჯი უფრო მკვეთრია და მოწიფულობის ასაკს უკავშირდება. წითელ-ყვითელი კი აღელვებისას ისევ ალისფერში გადადის და ეს „ისევ“ მარადიულია. ფერების სიყვარული და გრადაციები ლია სტურუასთვის ლექსების განსაკუთრებული ნიშანია. მის ლექსებში მოცემული ალუზიები და რემინისცენციები მრავალფეროვანი ინტერპეტაციის საშუალებას იძლევა, ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ავტორს არა მხოლოდ შედეგი – ტილო, არამედ უკანა ფონიც – მხატვრის ცხოვრებაც – აინტერესებს, რათა მკითხველს ცხოვრებისა და შემოქმედების სინთეზი ან კონტრასტი დაანახოს. ლექსი „აღდგომაც“ ამის მაგალითია: სიტყვებით შექმნილია „ტილო“ მოყვასის სიყვარულით სავსე მხატვარზე. აქ კარგად ჩანს როგორც ქვეტექსტში, ისე ნახატის უკან დაღვრილი სისხლი:

„აღდგომა, მოყვასის სიყვარული უზმოზე...

რამდენ ხანს გრძელდება?

რამდენი სისხლი ყოფნის

კვერცხების შეღებვას

(ენდრო ძვირია),

რამდენი თითისტარი გამბა _

გატკნის სითეთრეს?“

„აღდგომა“ (ფიროსმანის ასოციაცია) [სტურუა, 2013:174].

პოეტი ლექსის პირველივე სტრიქონში უჩვეულო შედარებას გვთავაზობს -„მოყვასის სიყვარული უზმოზე“ – ეს არის აღდგომის პოეტისეული დეფინიცია, რომელიც როგორც ქრისტეს აღდგომის არსს, ისე ფიროსმანის შემოქმედების მთავარ მახასიათებელს წარმოგვიდგენს. პოეტი აცხადებს, რომ ტკივილის გარეშე არ არსებობს შემოქმედება, რომ ენდროს ნაცვლად (მატერიალური სიდუხჭირეც ნაგულისხმევია) სისხლით არის შეღებილი კვერცხები და დიდი შრომის შედეგადაა მიღებული „ბატკნის სითეთრეც“:

„ეს რომ სიტყვით თქვა,

სისხლის და ქათქათის შეხამება

ლექსში არაფერს იძლევა,

შიშის გარდა,

ნახატში - მოცახცახე წერტილებს...

თეორია რომ ღვინით შეამოწმო?

დასაშვებია ეს ალისფერი ანალიზი?

როცა ნიადაგი სარდაფია,

სტიმული -კიბე?“

მკითხველი არა მხოლოდ ფიროსმანის „აღდგომას“ წარმოიდგენს, არამედ მხატვრის ბიოგრაფიის ყველაზე ტრაგიკულ მხარესაც, სადაც „ნიადაგი სარდაფია“ და „ალისფერი ანალიზი“ – მძაფრი და მტკივნეული:

„სისხლი, ქვეტექსტში, მაინც დაიღვრება,

ან ნახატის უკანა მხარეს,

რის მერეც მოყვასის სიყვარული

ისე გზინავს,

როგორც აღდგომის კვერცხი,

თითისტარის ზანტი ტრიალი

კეთილი ცა,

კიბის ბოლო საფეხურზე ჩამოდებული...“

„აღდგომა“ (ფიროსმანის ასოციაცია) [სტურუა, 2013:174].

სისხლი იღვრება, ქრისტეს ჯვარს აცვამენ, ფიროსმანიც ტანჯულია, ისიც საკუთარი „სისხლით“ ღებავს „აღდგომის კვერცხებს“ და ამას დაკვირვებული თვალი კარგად ხვდება, თუმცა ნუგეში არის: ჯვარცმული ქრისტე აღდგება და ფიროსმანისთვისაც კიბის ბოლო საფეხურზე, მაგრამ მაინც არსებობს „მოყვასის მბზინავი სიყვარული“ და „კეთილი ცა“. ძნელია ამაზე უჩვეულოდ გამოხატოს ავტორმა თავისი პატივისცემა და თანაგრძნობა მხატვრის მიმართ და უძლურების მიუხედავად, აღდგომის სიხარულითა და მოყვასის სიყვარულით ანუგეშოს. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ერთი „დამთხვევაც“: ლია სტურუას თავისი შვილისადმი მიძღვნილ ლექსში, „ჩემს შვილს, ეკას“, სწორედ აღდგომის სიხარულით შემოაქვს იმედი. ავტორი გვიყვება ბავშვზე, რომელიც ხატავს სახლს და სითბოსა და სინათლის ილუზიას ქმნის. ნახატზე წითელი ძაღლი ვარდების ბუჩქს ჰგავს და „ბალახი ისეთი რბიანია შეიძლება მოიწველოს“, ხოლო წვიმის დახრილობის მქონე ასოები ბავშვისთვის ნაცნობ სევდას ავლენენ. მძიმე რეალობაა. „მშობლები ღამეს ტალახივით პურის რიგში ათენებენ...“ თუმცა ნახატზეც და რეალობაშიც არის ნუგეში – თვალითა და გულით ნაგრძნობი აღდგომის სიხარული:

„ნახევარქვეყანა ბალახში,

კიდევ წითელი კვერცხებია ჩახატული

თვალით გრძნობს, რომ ასე ჯობია,

გულით – რომ მალე აღდგომა მოვა“

„ჩემს შვილს, ეკას“ [სტურუა, 2013:172].

ლია სტურუა არის ავტორი, რომელიც სამყაროს ყოველდღიურად ახალი აღმოჩენისკენ მოგვიწოდებს, ეს კი კავშირშია ბავშვურობასთან. მოცემულ ლექსშიც მხატვარი ბავშვია და საკუთარ სამყაროს გვიშლის თვალწინ: სუფთას, კეთილსა და ფერადს. *„სინთეზურია, ერთიანია ლექსის სტრუქტურაც: ლექსი არ იყოფა სტროფებად, მონაკვეთები, სეგმენტები, მცირერიცხოვანია, პაუზები მოკლეა, ლექსი თითქოს ერთი ამოსუნთქვითაა შექმნილი, თითქოს „ერთი ამოსუნთქვაა“ ლექსის სიცოცხლე, რომელიც გოლო სიტყვასთან ერთად მთავრდება, რაც ხატწერის „განვრცობილ სიმძაფრესთან“ და ინტონაციურ მრავალფეროვნებასთან შეხამებით დინამიკურ და დრამატულ, ლია სტურუასეულ რიტმს წარმოშობს“* [ზაზანაშვილი, 2009:5].

ლია სტურუას შემოქმედებას აფასებენ როგორც აღმოჩენების, ტკივილისა და თანაგრძნობის პოეზიას, ავტორს სჯერა, რომ ხელოვნება, შემოქმედება მარადიულია:

„გასრესილ პალიტრაზე ფერების ნარჩენები

არ ყვირიან, როცა, მთლიანობაში,

მხოლოდ კაშკაშებენ, მზესავით

დარწმუნებულები თავის ხანგრძლივობაში.“

„უჩრდილობა“ [სტურუა, 2013:111].

ამ მარადიულობის რწმენასთან ერთად იმპრესიონისტული ფერებით „დახატული ლექსები“ სწორედ იმაზე გვაფიქრებს, რომ ხელოვნება ცვლის ადამიანს, მის ხედვას;

განსაზღვარავს მის არჩევანს როგორც ცხოვრებაში, ისე – შემოქმედებაში. მოცემულ რემინისცენციებში იკვეთება როგორც უცხოური, ისე ეროვნული კოდები. პოეტი გამოარჩევს ისეთ აქტუალურ თემას, როგორიცაა ხელოვნების კულტურის მნიშვნელობა. თუმცა ეს ლექსები სხვა თვალსაზრისითაც გამოირჩევა: ავტორს არა მხოლოდ ფერწერული ტილოების აღქმა შეუძლია, არამედ ამ ნახატებისგან მიღებული ემოციის სიტყვებით გამოხატვა და ანალოგიების დანახვა; სათქმელის იმდენად ნათლად და ზუსტად გადმოცემა, რომ მკითხველს შეუძლია „დაინახოს“, წარმოისახოს, ემოციურად იგრძოს ეს ფერწერული ნიმუშები. ამდენად, ლია სტურუას უპირატესობა სათქმელისა და სიტყვების ორიგინალური შეთანხმებაა, მის პოეზიაში მკითხველი ხვდება, რომ პოეტი განსაკუთრებული სიფაქიზით არჩევს სიტყვებს და, რაც მთავარია, ის ასოციაციების ნაკადი, რაც ამ ძიებას მოაქვს აღმქმელისთვის ბუნებრივი და გულრწფელია. პოეტი რემინისცენციების საშუალებებით გვაახლოებს კონკრეტულ მხატვართან, ნახატთან და ზოგადად, ჭეშმარიტ ხელოვნებასთან, ეს ლია სტურუას პოეზიის ღირებული კომპონენტია, რადგან ადამიანის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა სწორედ ხელოვნებასთანაა დაკავშირებული.

ლიტერატურა:

1. სტურუა ლ. რჩეული.- თბილისი, 2013
2. სტურუა ლ. „მგლის საათი“.-თბილისი, 2016
3. ჰაიდეგერი მ. „დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა“.- თბილისი,1992
   სეზანი პ. პოლ სეზანი.- თბილისი, 2010
   ვან გოგი.-თბილისი, 2009
4. სტურუა ლ. რძეში ჩავარდნილი ქვა.-თბილისი,2002

მზისა ბუსკივაძე

ქალური სექსუალობის განსაზღვრის საკითხი თურქი ქალი ავტორების შემოქმედებაში (ფინარ ქური და დუიგუ ასენა)

ფემინისტურ კრიტიკაში ქალის სხეულის და სექსუალობის საკითხი მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. აღნიშნული საკითხის კვლევაში დიდი როლი მიშელ ფუკოს მარგინალურ პრაქტიკათა თეორიამ ითამაშა. მიშელ ფუკოს ფილოსოფიურ კონცეფციაში სხეული დაკავშირებულია ძალაუფლებისა და ძალადობის მექანიზმთან. შემეცნების სფეროში სექსუალობა კონსტრუირდება მხოლოდ ძალაუფლებრივი ურთიერთობების ფონზე. ამგვარად, სექსუალობა არის არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური კონსტრუქტი, რომელიც, ისტორიული ეპოქების შესაბამისად, რეპრეზენტაციის ფორმას იცვლის. მაგალითად, სექსუალობის ცნება ძველ ბერძნებთან და რომაელებთან არ იყო დაკავშირებული ცოდვასთან. შუა საუკუნეებში სექსუალობის რეპრეზენტეცია არ იცნობს საჯარო და პირადი სახის მარკირებებს, ამიტომ აბანო ფუნქციონირებს, როგორც შეხვედრების და თავშეყრის ადგილი. სექსუალობა, როგორც ცოდვის აღქმა, მე-19 საუკუნის ძალაუფლებრივ დისკურსს ეფუძნება, რომელმაც რეალობის ყველა სფერო ნორმატიულ და არანორმატიულ სფეროებად დაყო. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში სექსუალობის ფორმირება და სქესთა შორის ურთიერთობა, ასევე გენდერული ასიმეტრია, ძალაუფლების სოციალური კონსტრუქციის ტრანსფორმაციას უკავშირდება. სწორედ ეს წარმოადგენს სექსუალობის პარადოქსალურობასა და არაერთგვაროვნებას. მაგალითად, ტრადიციულ კულტურაში „ქალიშვილობის“ ფენომენი, რომელიც „ქალური სულიერების“ დადგენის უმნიშვნელოვანეს გზას წარმოადგენს, ატარებს არა ფიზიოლოგიურ, არამედ – მორალურ-ფსიქოლოგიურ ხასიათს.

თურქულ საზოგადოებაში[1] ქალურ სექსუალობაზე ხმამაღლა საუბარი ქალი მწერლების დიდ გამბედაობად უნდა შევაფასოთ. ქალთა საკითხის მკვლევარი

პროფესორი ნეჯლა არათი წიგნში „ქალი და სექსუალობა“ წერს: *„თურქეთში სექსულობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს იმას, თუ საზოგადოების რომელ ფენას ეკუთვნიან ახალგაზრდები. თუ ერთი ფენა დემოკრატიული ღირებულებების მქონე ოჯახიდან მოდის, არსებობს მეორე ფენა, რომელიც რელიგიური და ტრადიციების ზეწოლის ქვეშ იმყოფება. ამ ფენის ახალგაზრდებში ნაადრევი ქორწინება ჩვეულებრივი მოვლენაა. იზღუდება ყველა სახის ქორწინებამდელი ურთიერთობები“* [Arat, 1993:26]. გამომდინარე იქიდან, რომ თურქულ საზოგადოებაში სექსუალობა მორალთან და ზნეობასთან არის დაკავშირებული, ქალის სხეულის და სექსუალობის კონტროლის მექანიზმი მამაკაცების ხელშია. ახალგაზრდა გოგონას ქალიშვილობის საკითხი ოჯახის თავმოყვარეობასთან, კერძოდ, მამების სინდის-ნამუსთან არის დაკავშირებული. სოციოლოგი დენიზ ქანდიოთი ამ ფაქტს „კლასიკურ პატრიარქატს“ უწოდებს, რომელიც თურქულ საზოგადოებაში მძლავრად არის ფეხმოკიდებული: *„ქალის სექსუალობის დათრგუნვა და მამაკაცების მიერ ქალების კონტროლი, „პატრიარქალურ მორალს“ ეფუძნება”* [Kandiyotı, 1988:275]. დამატების სახით შეიძლება ითქვას, რომ ქალის სექსუალობის საკითხი უშუალოდ არის დაკავშირებული საზოგადოებაში მამაკაცის სტატუსთან.

ვფიქრობთ, ოჯახი[2] არის ის სოციალური ინსტიტუტი, რომლიდანაც იწყება ქალური სექსუალობის დათრგუნვა. ოჯახში არსებული იერარქიულობა და გენდერული სტერეოტიპები მნიშვნელოვნად განაპირობებს ქალის საზოგადოებაში ინტეგრაციის და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის საკითხს. პასიურ პოზიციაში მყოფი დედების როლს შემდეგ უკვე ქალიშვილები ირგებენ.

ფინარ ქურისა და დუიგუ ასენას შემოქმედებაში ქალური სექსუალობის საკითხის გაანალიზებისას მნიშვნელოვანია იმ კონცეპტუალური საკითხების გამოყოფა, რომლებიც ქალური სექსუალობის გამოვლენას უშლიდა ხელს. მხედველობაში გვაქვს ტრადიციები, ოჯახი, რომელშიც მამის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად

დიდია. ოჯახში არსებული იერარქიულობა, რა თქმა უნდა, უშუალოდ უკავშირდება გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებას.

ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ ქალის მიერ საკუთარი სხეულის „აღმოჩენის“ და საკუთარი სექსუალობის დადგენის საკითხს. სხეულის „აღმოჩენა“ მოწიფულობის ასაკიდან იწყება. ამის გამოხატულებას კი, მკერდი და ოვულაცია წარმოადგენს. ეს არის პირველი ემოცია, რომელიც ქალს საკუთარ განსხვავებულობას აგრძნობინებს. იგი არის ქალისა და მამაკაცის არა მხოლოდ ფიზიოლოგიური განსხვავების მაჩვენებელი, არამედ იერარქიულობის აშკარა გამოხატულება. რომანში „Kadının Adı Yok“ („ქალს სახელი არ აქვს“) დუიგუ ასენა ამ პროცესს დედისა და ქალიშვილის დიალოგით გადმოგვცემს:

„- *დედა, მკერდი მექნება?*

- *გექნება შვილო,უკვე დიდი ხარ...*

- *რატომ უნდა მქონდეს მკერდი? რა საჭიროა?*

- *შვილი რომ გეყოლება, რძე უნდა მისცე.*

- *კარგი, მამასაც ხომ აქვს მკერდი, მისი რძე რატომ არ ისმევა?*

- *იმიტომ, რომ მამებს სხვა მოვალეობები აქვთ,*

- *რა მოვალეობა?*

- *მათი მოვალეობაა შვილების კარი აღზრდა, ისინი ფულს შოულობენ, სახლში მოაქვთ, შვილებს აცმევენ, ასწავლიან, ზრდიან.*

- *ამას იმიტომ აკეთებენ, რომ მკერდი არ აქვთ?*

- *არა, შვილო, მათი მოვალეობა მუშაობა და ფულის შოვნაა.*

- თქვენ რატომ არ მუშაობთ და ფულს რატომ არ შოულობთ? მკერდი რომ გაქვთ, ამის გამო?

- არა შვილო, თუ მოვისურვებთ ჩვენც შეგვიძლია მუშაობა, მაგრამ მერე თქვენზე ვინ იზრუნებს?

- მე არ მინდა, მკერდი გამეზარდოს, მინდა ფული ვიშოვო. თუ ფული მექნება, ყველა სურვილის ასრულებას შევძლებ" [Asena, 2008:12].

უნდა აღინიშნოს, რომ ქალური სექსუალობა ხასიათდება ან როგორც „უწმინდური და ბინძური", ან როგორც „ამაღლებული და სულიერი". იგი იკავებს ან ცენტრალურ ადგილს ან, პერიფერიულს. მაგალითად, ახალგაზრდა გოგონას ოვულაციას და ბიჭების წინადაცვეთის პროცესს სრულიად განსხვავებული გამოხატულება გააჩნია. ერთ შემთხვევაში ის „უწმინდურობასთან" ასოცირდება, ამიტომ საჭიროა მისი დაფარვა, მეორე შემთხვევაში კი – საჯარო ცერემონიალის ჩატარება.

ფინარ ქურისა და დუიგუ ასენას ჩვენ მიერ შერჩეულ რომანებში ქალი პროტაგონისტები საკუთარ სექსუალობას ჯერ გაუცნობირებლად, თანატოლებთან ურთიერთობისას და წაკითხული რომანებიდან შეიგრძნობენ, შემდეგ უკვე, ან საყვარელ მამაკაცთან ურთიერთობით ან ძალადობრივი გზით.

„ახალგაზრდა გოგონები, როგორც წესი, სიყვარულთან და სექსუალობასთან დაკავშირებულ პირველ განცდას რომანებიდან, ფილმებიდან, სიმღერებიდან ეცნობიან. ოცნებები, რომლებიც ლიტერატურის, რადიოს, თეატრის მეშვეობით წარმოიშვება, სინამდვილეს არ შეესაბამება. 17-18 წლის ახალგაზრდა გოგონების მოლოდინი, რომ მათ თანატოლები რომანში აღწერილ სიყვარულს განაცდევინებენ, ძალიან იშვიათად მართლდება. რომანებში, რომლებსაც მე ვკითხულობდი, ადამიანები ერთმანეთთან ფიზიკური სიახლოვისას თავს კარგავდნენ. რატომ არ მოხდა ასე ჩემს შემთხვევაში? სინანის ალერსისას მხოლოდ ტკივილს ვგრძნობდი. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ

კაცის წინ შიშველი ვიდექი. მე ვიყავი გამონაკლისი, თუ რომანებში აღწერილი „თავის დაკარგვის“ ამბავი იყო გადაჭარბებული?” [Kür, 2003b:88].

„დამალობანას თამაშისას, მხოლოდ მეჰმეთთან მინდა დავიმალო. მასთან ერთად პატარა ნაძვის ხის ქვეშ ვიმალებით. ერთმანეთს ვეხუტებით. ერთხელაც ბუნკერში დავიმალეთ. მეჰმეთმა კარი დაკეტა. „ – აქ ძალიან ბნელა, მეშიანია-მეთქი, ვთქვი. თუმცა, საშიში არაფერი იყო. მეჰმეთი პატარაა, მაგრამ ძალიან ძლიერია. მხარზე ხელი დამადო და ძლიერად მომიჭირა. იმ წამს მეგონა გული ამომივარდებოდა. მინდოდა თავი მხარზე დამედო და დიდხანს ვყოფილიყავი ასე, მაგრამ თავი მხარზე ვერ დავადე. ისე მოვიქეცი, თითქოს –დამალვის მეტი არაფერი მაინტერესებდა“ [Asena, 2008:17].

პროტაგონისტებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ სექსუალობის შესახებ. მათ იციან, რომ მამაკაცებთან სიახლოვე პლატონური ურთიერთობა არ არის. თანაც, არც მამაკაცები თანხმდებიან მხოლოდ „სულიერ სიყვარულზე“. ნილგუნი საღად აფასებს სინანთან ურთიერთობას და იცის, რომ მათი ფარული შეხვედრები დიდხანს არ გაგრძელდება.

„ჩვენი ურთიერთობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სექსუალური საკითხია. ადამიანი, რომელიც 30 წლისაა, მხოლოდ პლატონური ურთიერთობებით არ დაკმაყოფილდება. საღამოს სემრას ჰკითხა, „ნეტავ, ნამდვილად როდის მაკოცებს”? სემრას პასუხზე „ძალიან მალეო“ ტანში ჟრუანტელმა დაუარა. მაგრამ ნილგუნის წარმოდგენა სექსუალობაზე ძალიან განსხვავდებოდა სინანის წარმოდგენისგან. მან თეორიული თვალსაზრისით ძალიან კარგად იცოდა, რომ მამაკაცების სურვილსა და ქალის სურვილს შორის დიდი განსხვავება იყო. გარდა ამისა, სკოლის მეგობრები წვეულებებზე მიღებულ გამოცდილებასა და წაკითხულ რომანებზე დაყრდნობით, ხშირად აფრთხილებდნენ ამის შესახებ” [Kür, 2003:90].

დუიგუ ასენას გმირი საკუთარი მეგობრების გამოცდილებიდან გამომდინარე, ცდილობს, თავი აარიდოს იმ არასასურველ შედეგს, რომელიც მამაკაცთან ურთიერთობას შეიძლება მოჰყვეს.

„ერჰანის მშობლები დასასვენებლად წავიდნენ. წამოდი, ჩემთან წავიდეთო, ამბობს... უარს არ ვეუბნები. მივდივართ... ერჰანს დიდი ხანია ვიცნობ, ისეთი კარგი და ისეთი კეთილია, რომ მთელი ცხოვრება მასთან მინდა ვიყო. როგორც კი სახლში შევედით, კისერზე მომეფერა. დასალევს მთავაზობს... მოდუნდებიო მეუბნება... ცოტა მომწყინდა. მოდი, განქო ვითამაშოთ-მეთქი, ვთავაზობ... ვთამაშობთ... ცოტა ხნის შემდეგ ჩემ გვერდით ჯდება. მეხვევა, მკოცნის, ერთმანეთს ვკოცნით. უკვე დავიღალეო – ამბობს. უკვე დიდი ხარ და იცი, რომ კოცნის გარდა სხვა რაღაცებიც არსებობს. ჩემს გახდას იწყებს, თვითონაც იხდის. ქუჩაში გაწუწულ კატასავით ვკანკალებ, თავში ათასი აზრი მიტრიალებს. ჩემს მეგობარ ფუგენზე ვფიქრობ. მამაკაცების სურვილის დაკმაყოფილების გამო ტკივილს იტანს, ფეხმძიმედ დარჩა, შერცხვენილი და უბედურია. სასწრაფოდ ვიცვამ კაბას, სახლიდან შეშლილივით გამოვრბივარ“ [Asena, 2008:47].

მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ორივე მწერალი აქცევს ყურადღებას, ქორწინების, როგორც სექსუალური თავისუფლების მოპოვების საკითხია. სტატიაში „ქალის თავისუფლება” დუიგუ ასენა წერდა: *„უმრავლესობა იმიტომ ვთხოვდებით, რომ გვინდა თავისუფლები ვიყოთ. საზოგადოებაში, რომელშიც ქალისა და ვაჟის მეგობრობა აკრძალულია, შეყვარებულთან ერთად სახლში დაბრუნებაზე დიდი თავისუფლება არ არსებობს. რამდენი წლისაც არ უნდა იყოთ, ქუჩაში თავისუფლად ვერ გაივლით, შეყვარებულთან ერთად დასასვენებელად ვერ წახვალთ, ბევრი რამ არსებობს, რასაც ვერ აკეთებთ, ამის გამო თხოვდებით. ახალგაზრდა გოგო საყვარელ მამაკაცთან თავისუფლად ურთიერთობას მხოლოდ ამ გზით ახერხებს. მაგრამ როცა გათხოვილი ქალის სტატუსი გაქვთ, იქ სხვა აკრძალვები იჩენს თავს. ქალმა, რომელიც მუშაობს, თანამშრომელთან სადილზე გასვლისგან შეიძლება თავი შეიკავოს. სადილი უბრალო რამეა, მაგრამ შეიძლება ვინმემ დაინახოს და გაკიცხვის საგანი გახდეს“* [Asena, 2005:11].

ფინარ ქურის გმირი, ნილგუნი, იმ შეგნებით გაიზარდა, რომ ქალი უნდა გათხოვდეს. სწორედ ამიტომ დათანხმდება იგი სინანთან ინტიმურ კავშირს. სჯერა რა, რომ იგი მისი ქმარი გახდება. იმის გამო, რომ ქალის ქალიშვილობის საკითხი ოჯახის ნამუსთან არის

დაკავშირებული, გმირები ძალიან ძნელად თანხმდებიან საყვარელ მამაკაცებთან ფიზიკურ სიახლოვეს.

„გადაწყვეტილი მქონდა, თავისუფალი ვყოფილიყავი. კარის წინ ვიდექი და ვერ გადამეწყვიტა ზარი დამერეკა თუ არა. ტვინში ერთმა აზრმა გამიელვა: „მამამ რომ გაიგოს რას ვაკეთებ, გული რომ გაუსკდეს? არა, მას, ამას ვერ გავუკეთებ“ [Kür, 2003:112].

სინანი ქალების გაუბედაობას აღზრდას აბრალებს. მისი აზრით, გოგონებს დაბადებიდანვე უნერგავენ – მომავალი სექსუალური ცხოვრების შიშს. ამით ცდილობენ, მათი „ნაადრევი თავისუფლება“ შეზღუდონ და ტარდიციების ჩარჩოებში მოაქციონ.

„თქვენში ნაადრევი თავისუფლების სურვილი რომ ჩაკლან, არარეალურ შიშს გინერგავენ. და თუ, ერთ დღესაც საზოგადოების ზეწოლის წინააღმდეგ გაილაშქრებთ, ეს შიში მაინც დაბრკოლება იქნება თქვენთვის“ [Kür, 2003:119].

მიუხდავად იმისა, რომ სინანი ასე „პროგრესულად” აზროვნებს, როცა საქმე საკუთარ ქალიშვილზე მიდგება, მზადაა იგი მოკლას კიდეც.

„ერჰანთან თავს კარგად ვგრძნობ. ერთმანეთს ვკოცნით და ვეფერებით. მაგრამ მე სწავლა მინდა, გათხოვება არა. თუ არ გავთხოვდები, ნამდვილ განცდებს როგორ შევიგრძნობ... მაგრამ ვიცი, რომ გათხოვებისას ქალი ქალიშვილი უნდა იყოს. მხოლოდ ასე თუ დაუმტკიცებს მამაკაცს, რომ მის ნამუსს არავინ შეჰხებია. მათ სიამოვნება უნდა მიიღონ, ჩვენ კი არა“ [Asena, 2008:47].

ქალები მხოლოდ საკუთარი სურვილით არ შეიგრძნობენ საკუთარ სექსუალობას. ეს შეიძლება ძალადობრივი გზითაც მოხდეს, როგორც ეს მელექს დაემართა. ჰუსრევ ბეის მიერ მოყვანილ მამაკაცებთან ურთიერთობისას მელექი ყოველთვის ძლიერ ტკივილს განიცდის. თუ სხვა პერსონაჟები საკუთარი სხეულისა და სექსუალობის შესახებ

თეორიულ ცოდნას ფლობენ, მელექი როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია.

„ვფიქრობდი ნეტავ ცა ჩამოიქცეს და თან ჩამიტანოს-მეთქი, ვკვდები... თითქოს კანს მაცლიან, ეს ტკივილი გულამდე აღწევს. მგონი, ამას დასასრული არ აქვს, მაგრამ ტკივილისაც აქვს დასასრული. ორი დღე სისხლი მდიოდა, შემდეგ ტკივილი გაქრა“ [Kür, 2003:45].

მწერლათა რომანებში სხეულისა და სექსუალობის საკითხის განხილვისას ყურადღება უნდა მივაქციოთ აღნიშნული საკითხისადამი პატრიარქალური დისკურსის ამბივალენტურობას. ქალის სხეული ერთდროულად არის როგორც უარყოფილი, ისე „გამოყენებული“ ანუ, მისით ან ტკბებიან, ან მას, როგორც „უწმინდურს“, უარყოფენ. ქალი იძულებულია მხოლოდ არაპირდაპირი სხეულისმიერი ქმედებებით აიძულოს საზოგადოება, დაინახოს მისი გრძნობები და აღიარონ მისი არსებობა. რეპრეზენტირებისას ქალი იმდენად ძლიერი უნდა იყოს, რომ მისი და მისი სხეულისადამი მიმართულ ყველა სახის ძალადობას გაუძლოს.

მწერლების მიერ დახატული ქალი პროტაგონისტები საბოლოო ჯამში საკუთარი სექსუალობის „დადგენის“ შემდეგ უფრო მეტ თავისუფლებას გრძნობენ. სხეულისმიერი ტკივილი მათ საშუალებას აძლევს უფრო „ფემინურები“ გახდნენ. „ფემინურობაში“ ვგულისხმობთ ქალის სხეულის ექსტატიურ ურთიერთობას სამყაროსთან. ქალური ლიბიდო ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მამაკაცური. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი „უკმარისობის“ გრძნობას არ წარმოადგენს, როგორც მას ფროიდი განიხილავს. ფრანგი ფემინისტური კრიტიკის წარმომადგენლის, ლუსი ირიგარეს, განმარტებით *„ტრადიციულ კულტურაში ქალური ლიბიდოს დათრგუნვა გვაიძულებს დავივიწყოთ მისი მრავალგვაროვნება და ჰეტეროგენულობა“* [Жеребкина, 2000:167].

ფინარ ქურისა და დუიგუ ასენასათან ქალური სუბიექტობა პირდაპირ უკავშირდება ქალურ სექსუალობასთან. მათ მიერ დახატული ქალი პერსონაჟები, აცნობიერებენ რა

საკუთარ მარგინალურობას, ცდილობენ „წართმეული“ იდენტობის დაბრუნებას, რაც დიდად განაპირობებს მათ სექსუალურ თავისუფლებას. შიში, სირცხვილი, საზოგადოებრივი ზეწოლა – ძალადობის ის მაჩვენებლებია, რომელთა გადალახვა ქალური სექსუალობის რეპრეზენტაციის საშუალებას იძლევა. სუბიექტობისა და სექსუალობის გაცნობიერება ქალს შინაგან თავისუფლებას სძნეს. იგი თავად იღებს გადაწყვეტილებას, დაშორდეს მეუღლეს, დაარღვიოს საზოგადოებრივი ნორმები თუ თავისუფალი იყოს.

---

[1] ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით თურქებმა ცივილიზაციის სამი ფაზა გაიარეს. შესაბამისად, მათი მსოფლმხედველობა სამი განსხვავებული ფაზის ღირებულებათა სისტემამ განსაზღვრა. პროფესორი მეჰმეთ კაპლანი აღნიშნულ ფაზებში ქალთა ტიპების შესახებ ყურადსაღებ დასკვნებს აკეთებს: „ცივილიზაციის იმ პერიოდების გათვალისწინებით, რომლებშიც მოგვიწია ცხოვრება, ლიტერატურაში ქალის სამი ტიპი ჩამოყალიბდა. პირველი, ისლამამდელი ხანაა, რომელშიც ვხვდებით „გმირი ქალის“ ტიპს, მეორე – მკვიდრ ცხოვრებაზე გადასვლისა და ისლამის მიღების ეტაპია, სადაც ქალის მებრძოლი თვისებები მნიშვნელობას კარგავს და იგი სურვილისა და სიყვარულის ობიექტი ხდება. მესამე, დასავლურმა ცივილიცაზიამ ქალი მამაკაცსუფლებრივად გაუთანასწორა“ [Kaplan, 2009: 52].

[2] ცივილიზაცია, ადამიანის უფლებები, დემოკრატია და ფემინიზმი თურქული კულტურისათვის უცხო არ არის. „თურქები როგორც დემოკრატები, ისე ფემინისტები იყვნენ. თანაც დემოკრატიული საზოგადოება იმავდროულად ფემინისტურიცაა. თურქები რომ ფემინისტები იყვნენ, ამის ნათელი მაგალითი შამანიზმია. ძველი თურქების აზრით, შამანიზმი ქალებში მადლს ხედავდა. სიწმინდის თვალსაზრისით, ტოინიზმისა და შამანიზმის თანასწორობა, იურიდიული თვალსაზრისით, ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის საფუძველს წარმოადგენდა“, „ტრადიციული ოჯახი“ არ უნდა ყოფილიყო თანამედროვე ოჯახის ასლი. მაშინ, როცა ზოგიერთი ერი

იძულებულია დაივიწყოს თავისი წარსული, თურქეთი - პირიქით, „ძველ დროში" უნდა დაბრუნდეს [Gökalp ,2018:158].

ლიტერატურა:

1. Жеребкина И. „Прочти моё желание" Постмодернизм: Психоанализ, Феминизм.- Москва:Идея-Пресс,2000
2. Arat N. Kadın ve Cinsellik : Say Yayınları.- İstanbul, 1993
3. Gökalp Z. Türkçülüğün Esasları:Ötüken Neşriyat.-İstanbul, 2018
4. Kandiyotı D. Ataerkil Görüntüler, Türk Toplumunda Erkek Egemenliğinin Çözümlemesine Yönelik Notlar.- Kadın Bakışaçısından 1980'ler.-1990
5. Asena D. Kadının Adı Yok, Doğan Kitap.-İstanbul, 2008
6. Asena D. Kahramanlar Hep Erkek: Doğan Kitap.-İstanbul, 2006
7. Kür P. Asılacak Kadın, Can Yayınları.-İstanbul, 2003
8. Kür P. Bitmeyen Aşk, Can Yayınları.-İstanbul, 2003
9. Kaplan M. Dede Korkut Kitabında Kadın. Türk Edebiyatı üzerinde Araştırmalar. Dergah Yayınları.-İstanbul,2009

მინდია ცეცხლაძე

ფრიდრიხ ნიცშეს ტრაგიკული ხელოვნების კონცეფცია – გალაკტიონისეული რეცეფციის კრიტიკა

თანამედროვე აზროვნებაში ინტერდისციპლინარიზმისა და ინტერლიტერატურულობის აქტუალობის ფონზე განსაკუთრებით საინტერესოა პოეზიისა და ფილოსოფიის ურთიერთმიმართების კვლევა. ფრიდრიხ ნიცშეს გავლენის მასშტაბების გათვალისწინებით, ქართველი პოეტების ნიცშეს ფილოსოფიასთან მიმართების კვლევა თავისთავად მნიშვნელოვანია, მით უფრო, როცა ამის ექსპლიციტური საფუძველიც არსებობს ისეთ მნიშვნელოვან პოეტთან, როგორიც გალაკტიონია. 1918 წელს გალაკტიონი მოსკოვში ეცნობა და თარგმნის ნიცშეს თხზულებებს, გარდა ამისა თავის სტატიებსა და დღიურებში მას 11-ჯერ ახსენებს. გალაკტიონის და ნიცშეს ურთიერთმიმართების კვლევა უნდა დაიწყოს სწორედ გალაკტიონის მიერ ნიცშეს რეცეფციის ამ ექსპლიციტური შემთხვევების განხილვით, ეს იქნება მომდევნო სტრუქტურულ-ტიპოლოგიური კომპარაციის ერთგვარი გენეტიკურ-კონტაქტური საფუძველი. სტატია მიზნად არ ისახავს ფართო კონტექსტურ ანალიზს გალაკტიონის სხვა ნააზრევებისა თუ პოეტური ტექსტების გათვალისწინებით, ესაა მხოლოდ იმ პასაჟების შეპირისპირება ნიცშეს ფილოსოფიასთან, რომლებშიც გალაკტიონი პირდაპირ ახსენებს ნიცშეს. ამდენად, სტატიის თემაა გალაკტიონის მიერ ნიცშეს უშუალო რეცეფცია ექსპლიციტურ დონეზე და არა ზოგადკონტექსტური მიმართება.

ხსენებული 11 შემთხვევა მოვიძიე ინტერნეტპორტალზე ***galaktion.ge,*** რადგან 1975 წელს გამოცემულ კრებულში, რომელშიც შესულია გალაკტიონის წერილები და ფრაგმენტები დღიურებიდან, ნიცშეს ხსენებაც არაა, გასაგები მიზეზების გამო. ერთი და იმავე სათაურის მქონე სტატიები წიგნში სხვა ფორმითა და შინაარსითაა შეტანილი,

პორტალზე კი, როგორც ჩანს, მოცემულია მისი შავი მონახაზი, თავდაპირველი ვარიანტი, შეიძლება ითქვას, პირვანდელი, ცენზურამდელი სახე.

ნიცშეს ფილოსოფია, მისი მრავალფეროვანი სტილის, ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი განცხადებებისა და იდეების ქრონოლოგიური ცვალებადობის გამო არა ერთხელ გამხდარა სპეკულაციის, არასწორი ინტერპრეტაციისა და მანიპულაციის საგანი. როგორც ვენერა კავთიაშვილი აღნიშნავს, გალაკტიონის ახალგაზრდობის დროს ნიცშეს მიემართებოდა ისეთი იარლიყები, როგორებიცაა – „დემოკრატი და სახალხო რევოლუციონერი“, „დეკადენტი“, „სიმბოლისტი“ [კავთიაშვილი, 2004: 153]. ბუნებრივია, გალაკტიონისეული გაგებაც არ იქნება ზუსტი და სრულყოფილი, ამიტომ, ნიცშეს შემოქმედების ჩემეული კვლევის საფუძველზე ვეცდები, ვაჩვენო, რა შესაბამისობა ან შეუსაბამობა არსებობს მისეულ ინტერპრეტაციაში.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს ის ჩანაწერები, რომლებიდანაც ცხადი ხდება, ნიცშეს რომელი ნაწარმოებები აქვს გალაკტიონს ნამდვილად წაკითხული, ეს იქნება ერთგვარი „გენეტიკურ-კონტაქტური“ შესავალი – 1. 1923 წელს, სტატიის მონახაზში – „პოეზიის დღე“ – გალაკტიონი ქართულ პოეზიაზე საუბრისას წერს: „ყველაფერი რაიმე ღირსების მქონე უსათუოდ მსუბუქი და გამჭვირვალეა – ამბობს ნიცშე“ [ტაბიძე, 2018d: 1], 2], ასევე 1941 წლის დღიურში გალაკტიონი ჩანაწერში სათაურით „თემები პატარ-პატარა წერილებისათვის“, წერს: 2. „Из стран народ куда идет“ [მღერის მთელი ჯარი – ჯარი კი არა სტატისტები. გეგონებათ ბევრიაო. ნამდვილად კი სულ რამდენიმე კაცია. კარმენი. ბიზე. ნიცშეს წერილი ვაგნერის წინააღმდეგ. კარმენი]“ [ტაბიძე, 2018e: 1]. 3. ამავე კონტექსტში, 1941 წლის დღიურში გალაკტიონი წერს: „მსუბუქი ქნარის“ პრობლემა დასმულია. „მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი, ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს“ [ყდა ჩემი პირველი წიგნის. ნიცშეს წერილები „ვაგნერიანობის საკითხზე“ – სადაც ირჩევა კარმენის ავტორის – ბიზეს სიმსუბუქე]. ქნარისა და ჩანგის პრობლემა. როგორ გადადის ქნარი „ჩანგში?“ [ტაბიძე, 2018f: 1].

მართლაც, „ვაგნერის საკითხის" [და არა „ვაგნერიანობის საკითხზედ"] შესავალშივე ნიცშე ჟორჟ ბიზეს „კარმენზე" წერს: „ეს მუსიკა მე მიმაჩნია სრულყოფილად. ის გიახლოვდება მსუბუქად, მოქნილად, შესაბამისად, თავაზიანობით. ის მეგობრულია, ის არ ო ფ ლ ი ა ნ ო ბ ს. „კარგი არის მსუბუქი, ყველაფერი ღვთაებრივი დადის დახვეწილი ტერფებით": ჩემი ესთეტიკის პირველი პრინციპი" [Nietzsche, 2005a: 234].

1923 წელს, სტატიის მონახაზში „ძვირფასი საფლავები", გალაკტიონი შესავლად განიხილავდა ფრაგმენტს, რომელიც იწყება ასე: „მახლობელი მიზანი ბუნებისა მისი პროცესის მთელ მრავალფერობაში არის არა სიხარული, არამედ – წამება, ტანჯვა, როგორც შეუდარებელი გზა შეგნებულ პიროვნების ზნეობრივი გამოჭედისთვის. სულიერ მიმდევარს პლატონისა და შოპენჰაუერის, ჩვენი დროის წამებულს სკეპტიკი ფრიდრიხ ნიცშეს აქედან გამოყავს თავის ფილოსოფიაში უახლოესი მიზნები ხელოვნებისა..." [ტაბიძე, 2018a: 1].

აქ ჩვენთვის საინტერესოა ნახსენები თემების ურთიერთკავშირი და გარკვეული წინააღმდეგობაც. ტანჯვა, მისი კავშირი ხელოვნებასთან და ამ ყოველივესთან დაკავშირებით ნიცშეს დაპირისპირება შოპენჰაუერთან და ასევე გარკვეულწილად პლატონთანაც - სწორედ ამის დამტკიცებას შევეცდებით გალაკტიონისეული რეცეფციის საპირისპიროდ.

ზემოხსენებულ პასაჟში ნახსენები ეპითეტი – „წამებული სკეპტიკოსი" შთაგონებული უნდა იყოს ნაწარმოებისგან „ნიცშე ვაგნერის წინააღმდეგ", რომლის ეპილოგში ვკითხულობთ: „მხოლოდ დიდი ტკივილია სულის საბოლოო გამათავისუფლებელი, ისევე როგორც დ ი დ ი ე ჭ ვ ი ს მასწავლებელი" [Nietzsche, 2005a: 280]. ამ პასაჟში ნიცშე საუბრობს დიდ ტკივილზე, რომელიც შეკითხვების დასმას ასწავლის ტკივილზე, რომლის შედეგად „რწმენა სიცოცხლისადმი ქრება; თავად სიცოცხლე ხდება პ რ ო ბ ლ ე მ ა . – თუმცა არ უნდა დავასკვნათ, რომ ეს აუცილებლად აქცევს ადამიანს დაღვრემილად, ღამურად! თვით სიცოცხლის სიყვარულიც კი შეუძლებელი როდია, – ოღონდ ადამიანს უყვარს ს ხ ვ ა გ ვ ა რ ა დ ... ეს არის სიყვარული ქალისადმი,

რომელიც გაეჭვიანებს“ [Nietzsche, 2005a: 280-281]. სხვათაშორის, ამავე სიტყვებს წერს ნიცშე „მხიარული მეცნიერების“ წინასიტყვაობაში [Nietzsche, 2008: 7], ხოლო ზემოხსენებულ ნაწარმოებში „ნიცშე ვაგნერის წინააღმდეგ“, ასევე ვკითხულობთ: „რანგობრივი იერარქია თითქმის განისაზღვრება მხოლოდ იმით, თუ რამდენად ღრმად შეუძლიათ ადამიანებს იტანჯონ“, იქვე ნიცშე ამატებს: „ღრმა ტანჯვა ადამიანს ხდის კეთილშობილს; ის გამოარჩევს“ [Nietzsche, 2005a: 279].

სხვაგან ნიცშე მიმართავს ჰედონისტებს, პესიმისტებს, უტილიტარისტებსა და ევდემონისტებს: „ეს დისციპლინა ტანჯვისა, დ ი ა დ ი ტანჯვისა - განა არ იცით, რომ მხოლოდ ეს დისციპლინაა, რომელიც განსაზღვრავდა კაცობრიობის აღმასვლას ამ დრომდე? სულის დაძაბულობა კატასტროფის დროს, რომელიც მას გადასცემს თავის ძალას, თავის თრთოლვას დიდი ნანგრევების პირისპირ, თავის გამომგონებლობასა და გაბედულებას, უბედურების ატანის, გაძლების, გაგების და გამოყენებისათვის და რაც თუ თქვენში ოდესმე რაიმე სიღრმე, იდუმალება, საბურველი, სულისკვეთება, ოსტატობა ან სიდიადე ყოფილა: – განა იგი ტანჯვის, დიადი ტანჯვის დისციპლინის პირობებში არ მოგენიჭათ? ადამიანში შ ე მ ო ქ მ ე დ ი და ქ მ ნ ი ლ ე ბ ა გაერთიანებულია: ადამიანში არ არის მხოლოდ მასალა, ფრაგმენტი, სიჭარბე, თიხა, ნანგრევები, უაზრობა, ქაოსი, არამედ არის ასევე შემოქმედი, ფორმის მიმცემი, ჩაქუჩის სიმტკიცე, მჭვრეტელის ღვთაებრიობა და მეშვიდე დღე – ხვდებით თქვენ ამ კონტრასტს? და ეგ თ ქ ვ ე ნ ი თანალმობა „ქმნილებისადმი ადამიანში“ მიმართულია იმისაკენ, რაც არის ყალიბში გამოყვანილი, დატეხილი, ნაჭედი, დაბზარული, დამწვარი, ნაწრთობი, განწმენდილი, – იმისაკენ, რომელიც აუცილებლად უნდა დ ა ი ტ ა ნ ჯ ო ს და გ ა ნ კ უ თ ვ ნ ი ლ ი ა ტანჯვისათვის?“[ნიცშე, 2002 : 116-117].

საინტერესოა ასევე შემდეგი პასაჟიც: „იმ ტიპის ადამიანებს, რ ო მ ე ლ ი ც ჩ ე მ თ ვ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ა , მე ვუსურვებ ტანჯვას, იზოლაციას, ავადმყოფობას, ცუდ მოპყრობას, დამცირებას - ვუსურვებ, რომ ღრმა თვითზიზღი, თვითუნდობლობის წამება, მარცხის სიმწარე მათთვის უცხო არ იყოს: მე არ გამაჩნია არანაირი თანალმობა მათ მიმართ, რადგან რასაც მე ვუსურვებ, მხოლოდ მას შეუძლია შეამოწმოს, აქვს თუ

არა ამ ადამიანს რაიმე ღირებულება – იდგება თუ არა ის მტკიცედ ...“ [Nietzsche, 2018a: 1]

გალაკტიონი იქვე ხელოვნების მიზანსაც ტანჯვას უკავშირებს, ამასთან, ამ ფრაგმენტის წინა ფრაგმენტში საუბრობს ტანჯულ ყაზბეგზე, რაც შემდეგ ზოგადად ქართულ მწერლობაზე ვრცელდება, ამ ფრაგმენტსაც გალაკტიონი სტატიის შესავლად განიხილავდა: „შიშველი წამება, სრულიად დაუფარავი გრძნობა მარტოობისა, მუნჯი უფსკრული სამარისებური დუმილისა, განუჭვრეტელი ნისლი საბედისწერო შეშლილობისა - აი, მუდმივი მხატვრული სტიქია ქართული მწერლობის“ [ტაბიძე, 2018a: 1].

მართლაც, ნიცშეს მიხედვით, ტრაგიკული ხელოვნება [მუსიკა, ტრაგედია] დასტურყოფს სიცოცხლეს, რადგან არ გაურბის და წარმოაჩენს ცხოვრების „საშინელ სიმართლეს“, დიონისურ ქაოსს, ტანჯვას, თუმცა ეს რომ აუტანელი არ გახდეს, მუდამ ახლავს აპოლონური ილუზიის ელემენტი, ესაა ერთგვარი სინთეზი [Nietzsche, 1999: 40].

გალაკტიონი აგრძელებს: „მხატვარ-შემოქმედში იხსნება შინაგანი ერთობა ყველა არსებისა, მეტაფიზიკური ერთობა მსოფლიოს სამარადისო არსებობისა. თითოეული პიროვნების ტანჯვასა და სიხარულში, მისი აზრებისა და გრძნობების მოძრაობაში ხელოვნება აღნიშნავს [მხოლოდ] მას, რაც ტიპიურია“ [ტაბიძე, 2018a: 1].

მართლაც, ნიცშეს აზრით, ლირიკული პოეტის სუბიექტურობა, ეგო ან იდენტობა ნებდება პირველად ერთიანობას – პოეტის „მე“ ქრება და რასაც ის ატარებს, გამოსხივდება „არსებობის უფსკრულიდან“. მოდერნული პოეტისგან განსხვავებით ანტიკური ლირიკული პოეტი არის შუამავალი იმისა, რაც ყველაზე რეალურია, პირველადი ერთიანობისა, ესაა ექსტაზური განწყობა, რაც პოეტს შეაძლებინებს დათმოს თავისი სუბიექტურობა, რათა შევიდეს დიონისური დისინდივიდუაციის მდგომარეობაში [Del Caro, 2012: 60].

გალაკტიონი ისევ აგრძელებს: „მაშინაც კი, როცა ტრაგედია თავდება გმირის სიკვდილით. ჩვენ გამოგვაქვს მისგან გამამხნევებელი გრძნობა შერიგებისა და

დამშვიდებისა. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ის, რაც მოკვდა გმირში, განაგრძობს ცხოვრებას ჩვენში, ჩვენ გამსჭვალულნი ვართ სამარადჟამო ცხოვრების შეცნობით, შეგნებით, ეს შეცნობა კი ყოველთვის დღესასწაულობს თავის გამარჯვებას სიკვდილზე და განაახლებს მსოფლიოს ყოველთვის [საგაზაფხულო] სილამაზით. არსებობა თითოეული ჩვენგანის გარდამავალი წამია, მიუხედავად ამისა [ხელოვნება] საღი მწუხარება აძლევს ჩვენს არსებობას სამარადისო ხასიათის უფლებებს... ტრაგიული გმირობა, თავგანწირულება, ხელოვნების უკვდავ ფიცრებზე ამოკვეთილი, ადრე თუ გვიან გამოსყიდული იქნება“ [ტაბიძე, 2018a: 1].

ეს უკავშირდება ნიცშეს ერთ-ერთ პირველ ნაწარმოებს – „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“, სადაც ყველაზე მეტად ეტყობა შოპენჰაუერის გავლენა. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ წიგნის ფრაგმენტები თარგმნა გალაკტიონმა. ახალგაზრდა ნიცშეს თანახმად, მეტაფიზიკური ნუგეში გულისხმობს, რომ ქაოტური სამყაროს მიღმა არსებობს საფუძველმდებარე, „პრიმორდიალური ერთიანობა“ [Came, 2014: 93], ემპირიული სამყარო იმდენად საზარელია, რომ გვჭირდება მეტაფიზიკურად განსხვავებული სამყაროს მითი [Came, 2014: 93-94]. ახალგაზრდა ნიცშე თავის დიონისიანიზმს უკავშირებდა არტისტულ მეტაფიზიკას, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია შოპენჰაუერის მეტაფიზიკურ მსოფლმხედველობასთან [Del Caro, 2013: 109]. ნიცშესთვის უმაღლესი ხელოვნება ისაა, რომელიც ყველაზე სრულად ავლენს ჭეშმარიტებას, თუმცა ხელოვნების ყველა ფორმა შეიცავს ილუზიის ელემენტს, პლატონისგან განსხვავებით, ნიცშე თვლის, რომ ილუზია საჭიროა, იგი აუცილებელია, ის გვიცავს, რომ სიცოცხლე აუტანელი არ გახდეს, ამ ილუზიის უმაღლესი ფორმაა აპოლონური ხელოვნება, თუმცა იგი ერთადერთი როდია, არსებობს ასევე მისტიკური რელიგია, რომელიც გვთავაზობს „მეტაფიზიკურ ნუგეშს, რომ ფენომენების გრიგალის ქვემოთ მარადიული სამყარო განაგრძობს დენას დაურღვევლად“ [Silk, 1981: 348].

როგორც ჩანს, გალაკტიონი შესაძლოა კარგად არ იცნობს ნიცშეს მოგვიანო სწავლებას, რომელიც განსხვავებულია და აღარ მოიაზრებს მეტაფიზიკურ ერთობას ან მარადიულ ცხოვრებას, ან რაიმეგვარ გამოსყიდვას. მოგვიანებით ნიცშემ მთლიანად უარყო

შოპენჰაუერი და მეტაფიზიკა, მან „ხელახლა შექმნა დიონისური წმინდად ფიზიკურ და ფიზიოლოგიურ საფუძველზე, დააფუძნა რა ზესიჭარბის, აყვავებული ვიტალურობის, გამანადგურებელი ქაოსის, ძალის და სიცოცხლის დასტურყოფის უნარის ცნებები. ეს გვიანდელი დიონისური თვისებები არ საჭიროებენ დაცვას მეტაფიზიკური საფუძვლით, რადგან ის თავისთავად ცხადი მოვლენებია“ [Del Caro, 2013: 109].

„ასე იტყოდა ზარატუსტრაში“ უარყოფილია ძველი მსოფლმხედველობა, ზარატუსტრა ამბობს: „ავადმყოფები და მომაკვდავები იყვნენ ისინი, ვინც შეიძულა სხეული და მიწა და მოიგონა ზეციური და სისხლის გამომსყიდველი წვეთები“ Nietzsche, 2006b: 21]. სიცოცხლის ბოლომდე დასტურყოფა ვერ მოხდება, თუ არსებობს რწმენა სულის და მიღმიერი სამყაროსი [Bunnin... 2003: 837], ანუ მეტაფიზიკურის გაუქმება უკავშირდება ასევე მის პრობლემურობას. ნიცშეს მიხედვით, პრობლემა ამგვარ ნუგეშში არის ის, რომ იგი ძალიან კარგად მუშაობს. უკიდურესი რელიგიური ასკეტიზმის შემთხვევაში იმქვეყნიურობის იდეით იმდენად მოხიბლული ვხდებით, რომ ცოტა მოტივაცია გვაქვს დავრჩეთ ემპირიულ სამყაროში ჩართულები [Came, 2014: 94]. ნიცშეს მიხედვით, დიონისური მდგომარეობის მიზანია ჩვენი გათავისუფლება ცხოვრების ტვირთისგან ექსტაზური გამოცდილების მეშვეობით, რაც „გამოიხატება სიმთვრალესა და სექსუალურ გაშმაგებაში და ვლინდება უფრო ურბანულ ფორმებში როგორც მუსიკისა და ცეკვის ხელოვნება და რელიგიური მისტიციზმის გარკვეული სახეობები” [Came, 2013: 214]. მაგრამ დიონისური ექსტაზი მოიცავს ლეთარგიულ ელემენტსაც, ექსტაზისგან გამოსვლის შემდეგ დიონისიანელი, ისევ ეჩეხება რა რეალობას, მიდრეკილია ასკეტიზმისა და ნების უარყოფისაკენ [Came, 2013: 214]. „ორგიასტულ გამოცდილებას ადამიანები მიჰყავს მხოლოდ ერთი მიმართულებით, ინდური ბუდიზმის გზისკენ“ [Came, 2014: 93], შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ ნიცშე ქადაგებს მსგავს ესკაპიზმს და თანაც მას მიიჩნევს „დიონისურად“. მაგრამ ნიცშე წმინდა დიონისურ ტრადიციას როდი იცავს, არამედ იგი ავითარებს მის ბერძნულ გაშუალებას, ანუ ტრაგედიას, როგორც ბუდისტური მსოფლმხედველობის შინაარსის პოზიტიურ წარმოდგენას; ტრაგიკული კულტურა დიონისურის და აპოლონურის შერწყმაა [Came, 2014: 94].

მოგვიანებით, ნიცშეს შემოაქვს ტერმინი „გადალახვა“: „რაც აქცევს გადალახვას ასეთ ძნელ, შიშისმომგვრელ და ნამდვილად გმირულ მოვლენად, არის მოთხოვნა, რომ აქტიურად მოვიტოვოთ უკან ყველაფერი, რაც უსაფრთხოა და ნაცნობი [ტკივილებისა და სიხარულების ჩათვლით], და რაც ვართ ჩვენ და რასაც ვაფასებთ, ამდენად, სერიოზულად უნდა მოვახდინოთ ჩვენი იდენტობის დესტაბილიზაცია. ალბათ, კიდევ უფრო შიშისმომგვრელია ის, რომ გადალახვა დამატებით მოითხოვს საპირისპირო და წინააღმდეგობრივი ვალდებულებებისა და ღირებულებების ერთად შენარჩუნებას – არც მათ სინთეზს, არც მათ უარყოფას, არც მათგან უფრო არახელსაყრელის დათრგუნვას ან განადგურებას, თვით არც მათ გაქრობას დროებით ინტოქსიკაციაში – არამედ მათი კონფლიქტისა და წინააღმდეგობის ერთად შენარჩუნებას ერთ გაცნობიერებულ და მკაფიო დასტურყოფაში” [Came, 2013: 275].

საგულისხმოა, რომ გალაკტიონი ზემოგანხილულ ჩანაწერს ასრულებს სიტყვებით: „ტრაგიული გმირობა, თავგანწირულება, ხელოვნების უკვდავ ფიცრებზე ამოკვეთილი, ადრე თუ გვიან გამოსყიდული იქნება.“ ესაა, ერთი მხრივ, ნიცშეს „ტრაგიკული გმირი“, რომელსაც ტრაგედიის განხილვისას ახსენებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ზოგადად, ნიცშე საკუთარ ფილოსოფიას აცხადებს გმირულ, მებრძოლ ფილოსოფიად [Nietzsche, 2005ა: 83] და უპირისპირებს მას როგორც ქრისტიანობას, ისე – იესოს ნამდვილ, გაუყალბებელ მოძღვრებას, სადაც ხედავს გმირობისა და ბრძოლის სრულიად საპირისპირო პათოსს [Nietzsche, 2005ა: 26]. შესაბამისად, ნიცშესთვის გმირობა და რაიმეგვარი გამოსყიდვა შეუთავსებელია, მეტაფიზიკური მსოფლმხედველობა სწორედ რომ არ არის გმირული, რადგან იგი გაურბის ტანჯვას გამოგონილ სამყაროში.

ახლა რაც შეეხება პლატონისა და შოპენჰაუერის მიმდევრობას უფრო კონკრეტულად. გალაკტიონი მართალია, როცა სკეპტიციზმის, ტანჯვის დასტურყოფისა და ხელოვნების ურთიერთკავშირის კონტექსტში ახსენებს ნიცშეს, მაგრამ სწორედ ამ კონტექსტში მოგვიანო ხანის ნიცშე რადიკალურად უპირისპირდება პლატონსაც და შოპენჰაუერსაც, ამიტომ, საბოლოოდ, ნიცშე ვერ ჩაითვლება მათ მიმდევრად და ამისათვის საკმარისია, ქრონოლოგიურად მივადევნოთ თვალი ნიცშეს მიერ ამ

ფილოსოფოსების შეფასების ცვალებადობის დინამიკას ზემოგანხილულ კონტექსტთან კავშირში.

გაუგებრობა შესაძლოა გამოიწვია იმან, რომ ახალგაზრდა ნიცშე ეთანხმება შოპენჰაუერის არტისტულ მეტაფიზიკას და გალაკტიონიც, ალბათ ამ პერიოდს გულისხმობს, რადგან სწორედ ამ პერიოდში იწყება მსჯელობა ტრაგიკულ ხელოვნებაზე. ნიცშე, თავის ადრეულ წერილზე „შოპენჰაუერი, როგორც აღმზრდელი“ მოგვიანებით ამბობს, რომ ამ წერილში იგი თავის აზრებს მიაწერდა შოპენჰაუერს, ისევე როგორც პლატონი სოკრატეს [Nietzsche, 2005a: 115].

ასევე თვით შედარებით მოგვიანო ხანის წიგნში – „რიჟრაჟში“ ჩანს ერთგვარი სიმპათია პლატონისადმი, როგორც კანონმდებელი ფილოსოფოსის საუკეთესო ნიმუშისადმი, რადგან პლატონი გამუდმებით ცდილობდა, რეალურად დაეკანონებინა თავისი ფილოსოფია და დაედგინა ცხოვრების წესი ადამიანებისთვის, ისევე, როგორც ეს მუჰამედმა გააკეთა [Nietzsche, 2006a: 202]; ასევე გარკვეული აზრით, ვარაუდის დონეზე, ნიცშე პლატონს მომდევნო ხანის იდეალისტებზე მაღლა აყენებს, როცა ამბობს „მხიარულ მეცნიერებაში“, რომ „ყველა ფილოსოფიური იდეალიზმი ამ დრომდე იყო ერთგვარი ავადმყოფობა, გამონაკლისია პლატონის შემთხვევა, როცა ეს იყო სიფრთხილე ზეჭარბი და სახიფათო სიჯანსაღის მიმართ, შიში ზ ე მ ძ ლ ა ვ რ ი გრძნობების მიმართ, სოკრატისებური სიბრძნე. იქნებ, ჩვენ, თანამედროვეები, არ ვართ საკმარისად ჯანმრთელები იმისათვის, რომ დაგვჭირდეს პლატონის იდეალიზმი? და ჩვენ არ გვეშინია გრძნობების, რადგან“ [Nietzsche, 2008: 237-238]. ასევე უფრო მოგვიანებით, წიგნში „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“, ნიცშე ამბობს, რომ პლატონის ფილოსოფიაში არსებული სოკრატიზმი სინამდვილეში თავად პლატონს არ ეკუთვნის, რადგან პლატონი „ძალიან კეთილშობილია“ სოკრატიზმისათვის [Nietzsche, 2002: 79-80].

ასევე საინტერესოა უკვე ბოლო პერიოდის მიმართებაც, „კერპების მწუხრში“ ნიცშე აკრიტიკებს შოპენჰაუერის პოზიციას, რომ ხელოვნება და ზოგადად, მშვენიერება ცხოვრების, ნების, სექსუალობის, გამრავლების უარყოფის საშუალებაა [Nietzsche, 2005a:

202], უწოდებს მას ახირებულ წმინდანს და აპირისპირებს პლატონთან, რომელიც, შოპენჰაუერისგან განსხვავებით, თვლიდა, რომ მშვენიერება არის ცდუნება გამრავლებისათვის [Nietzsche, 2005a: 203]. ნიცშე წერს: „რა ამოიზარდა პლატონის ფილოსოფიური ეროტიზმისგან საბოლოოდ? ბერძნული შეჯიბრის ხელოვნების ახალი სახეობა, დიალექტიკა. - მე ისევ მახსოვს, შოპენჰაუერის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ და პლატონის პატივსაცემად, რომ მთელი მაღალი კულტურა და ლიტერატურა საფრანგეთისა, ამოიზარდა სექსუალური ინტერესის ნიადაგზე. ყველგან შეგიძლია დატკბე გალანტურობით, გრძნობებით, სქესობრივი შეჯიბრით, „ქალის“ ძიებით - ამაო არ იქნება ძიება...“ [Nietzsche, 2005a: 204].

თუმცა პლატონის მიმართ გარკვეული კრიტიკა უკვე არის თვით „ტრაგედიის დაბადებაში“, სადაც ნიცშე წერს, რომ დიონისური საწყისი რეალობის ინტოქსიკაციით ცდილობს, წაშალოს ინდივიდი და იხსნას იგი ერთიანობის მისტიკური გრძნობის მეშვეობით, ნიცშესთვის ინტოქსიკაცია არის „დიონისური სიმთვრალე და მისტიკური თვითუარყოფა“, ხოლო სოკრატეზე კი იგი მიუთითებს: „რასაც აქ ვხედავთ, ესაა ყოველგვარი მისტიკური უნარის უსაშველო ნაკლებობა, იმგვარად, რომ სოკრატე შეგვიძლია მივიჩნიოთ არამისტიკური ადამიანის განსაკუთრებულ შემთხვევად, რომელშიც ლოგიკური თვისებები უბრალოდ ძალიან გაიზარდა მისი ზედმეტი განვითარების გამო, ისევე როგორც ინსტინქტური სიბრძნე მისტიკოსში“ [Nietzsche... 1999: 67]. აქვე ნიცშე ამბობს, რომ პლატონთან ხელოვნება გადაიზარდა ფილოსოფიაში, გაიზარდა აპოლონური ასპექტი [Nietzsche... 1999: 69], რამაც საბოლოოდ დიონისური ტრაგედიის დაცემა გამოიწვია [Nietzsche... 1999: 71].

იმავე პერიოდის ნაწარმოებში „ფილოსოფია ბერძენთა ტრაგიკულ ხანაში“, ნიცშე განადიდებს პლატონამდელ ფილოსოფოსებს და ამბობს: „პლატონიდან მოყოლებული არის რაღაც არსისეულად მცდარი ფილოსოფოსებში“ [Nietzsche, 1998: 34]. აქვე ნიცშე აღფრთოვანებულია პლატონამდელი პარმენიდეს მიდრეკილებით გარკვეულობისადმი და შედარებისთვის აცხადებს, რომ მისი გაქცევა რეალობისგან არ არის პლატონის

მსგავსი გაქცევა იდეების სამყაროში [Nietzsche, 1998: 80-81], რაშიც შეიძლება დავინახოთ პლატონის ერთგვარი დაკნინება.

უკვე 1881 წელს, „რიჟრაჟში“ ნიცშეს მიერ ამ ფილოსოფოსების კრიტიკა სწორედ მეტაფიზიკის უარყოფას უკავშირდება: „დიალექტიკა არის ერთადერთი გზა მივაღწიოთ ღვთაებრივ არსს და გავიდეთ გარეგანი სამყაროს საბურველს მიღმა“ – ამას ამტკიცებს პლატონი ისევე საზეიმოდ და ვნებიანად, როგორც შოპენჰაუერი ამტკიცებს იმავეს დიალექტიკის ანტითეზისის შესახებ – და ორივე ცდება. რადგან ის, რისკენაც მათ სურთ გზის ჩვენება, არ არსებობს. და განა არ იყო ამ დრომდე კაცობრიობის ყველა დიდი ვნება ისეთივე, როგორიც ესაა, ვნებები არაფრისათვის? და ყველა მათი ზეიმი - ზეიმი არაფრის აღსანიშნავად?“ [Nietzsche, 2006a: 478-479].

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გადავიდეთ ნიცშეს ბოლო პერიოდის ნაწარმოებებზე, სადაც უკვე შეჯამებულია ყოველივე. „კერპების მწუხრში“ ნიცშე პლატონს ბერძენთა დაცემის მიზეზად აცხადებს [Nietzsche, 2005a: 162], უწოდებს მას მოსაწყენს და მიიჩნევს ქრისტეს წინამორბედად [Nietzsche, 2005a: 225], მეტიც: „პლატონი ლაჩარია სინამდვილის წინაშე - შ ე ს ა ბ ა მ ი ს ა დ, თავს აფარებს იდეალს“ [Nietzsche, 2005a: 226].

„მხიარულ მეცნიერებაში“ ნიცშე უარყოფს შოპენჰაუერის რომანტიზმს: „ყოველი ხელოვნება, ყოველი ფილოსოფია შეიძლება განვიხილოთ, როგორც მკურნალი და მშველელი მზარდი, მებრძოლი სიცოცხლის სამსახურში: ისინი მუდამ მოიაზრებენ ტანჯვისა და ტანჯულთა არსებობას. „მაგრამ არსებობენ ორი სახის ტანჯულები: ერთნი იტანჯებიან ს ი ც ო ც ხ ლ ი ს ს ი ჭ ა რ ბ ი ს გ ა ნ, რომელთაც სურთ დიონისური ხელოვნება, ისევე როგორც ტრაგიკული ხედვა და გაგება სიცოცხლისა, – და ასევე არიან ისინიც, ვინც ს ი ც ო ც ხ ლ ი ს გ ა ღ ა რ ი ბ ე ბ ი ს გ ა ნ იტანჯებიან და მშვიდ, მდუმარე, გლუვ ზღვაში, ხელოვნებასა თუ ცოდნაში საკუთარი თავისგან ხსნას ეძიებენ, ანუ სხვაგვარად – ინტოქსიკაციას, პაროქსიზმს, გაუტკივარებას, სიგიჟეს“ [Nietzsche, 2008: 234]. იქვე ნიცშე შოპენჰაუერს მეორე ტიპს მიაკუთვნებს და ამბობს, რომ თავიდან არასწორად გაიგო ის.

„კერპების მწუხრში“ ნიცშე შოპენჰაუერის მიერ სიცოცხლისადმი ნების უარყოფას დეკადენტის ინსტინქტად აცხადებს [Nietzsche, 2005a: 175], იგი სამარცხვინოს უწოდებს შოპენჰაუერის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ტანჯვა დამსახურებულია [Nietzsche, 2005a: 180]. „ნებისგან გარიდება“, შოპენჰაუერის სწავლებით, არის ხელოვნების საბოლოო მიზანი, „განდგომისკენ მოწოდება“ აღაფრთოვანებდა მას, როგორც ტრაგედიის დიდი სარგებელი. „მაგრამ ეს – მე უკვე ცხადი გავხადე – არის პესიმისტური ხედვა და „ავი თვალი“ : მივმართოთ ხელოვნებს. რ ა ს გ ა დ მ ო გ ვ ც ე მ ს ტ რ ა გ ი კ უ ლ ი ხ ე ლ ო ვ ა ნ ი თ ა ვ ა დ ? განა არ არის ეს მდგომარეობა შიშის გ ა რ ე შ ე საშინელისა და საეჭვოს მიმართ – რასაც იგი გვიჩვენებს?“ [Nietzsche, 2005a: 204]. იმავეს წერს ნიცშე შოპენჰაუერზე „ძალაუფლების ნებაში“ [Nietzsche, 1968: 434-435]. ასევე „კერპების მწუხრის“ რამდენიმე პასაჟი ეთმობა შოპენჰაუერის პესიმიზმის კრიტიკას. შოპენჰაუერის პესიმიზმის საწინააღმდეგოდ, ტრაგიკული ხელოვნება სწორედ რომ დასტურყოფს სიცოცხლეს, მიუხედავად მისი საშინელებისა, ხელოვნების მეშვეობით ადამიანი კი არ განიწმინდება შიშისა და სიბრალულის გრძნობებისგან, როგორც არისტოტელე ფიქრობს, არამედ მაღლდება მათზე. ნიცშე წერს: „უთხრა სიცოცხლეს „დიახ“ თვით მის ყველაზე უცნაურ და სასტიკ პრობლემებში; ნება სიცოცხლისადმი, რომელიც თავისი უმაღლესი ტიპის მ ს ხ ვ ე რ პ ლ ა დ შ ე წ ი რ ვ ი ს აქტში საკუთარი ამოუწურავობით ტკბება - ა მ ა ს ვუწოდე მე დიონისური, ა მ ა ს მივიჩნევ ხიდად ტ რ ა გ ი კ უ ლ ი პოეტის ფსიქოლოგიისაკენ“ [Nietzsche, 2005a: 228].

„ანტიქრისტეში“, ნიცშეს აზრით, შოპენჰაუერი ცხოვრებისადმი მტრულადაა განწყობილი, სწორედ ამიტომ მიაჩნია მას სიბრალული ღირსებად, „სიბრალული უარყოფს სიცოცხლეს, იგი აქცევს სიცოცხლეს უ ა რ ყ ო ფ ი ს ღ ი რ ს ა დ“, რადგან იგი ამრავლებს უბედურებას [Nietzsche, 2005a: 7]. შოპენჰაუერი ესწრაფვის ტანჯვის შემცირებას სიცოცხლისგან განდგომის გზით, ხოლო ნიცშე ტანჯვის მიღებას და, ამასთანავე, სიხარულის ზრდას [Nietzsche, 1996: 259]. საგულისხმოა, რომ გალაკტიონის ზემოთ მოყვანილი პასაჟი, სადაც ნიცშე პლატონისა და შოპენჰაუერის მიმდევრადაა

გამოცხადებული, სწორედ ტანჯვის ნიცშესეულ დასტურყოფას გულისხმობს და პარადოქსულად, ნაკლები კავშირი აქვს შოპენჰაუერთან.

საბოლოოდ, როგორც ,,ეკე ჰომოში“ ვკითხულობთ, ნიცშესთვის არსებობს, ერთი მხრივ, ძალის სიჭარბისგან მომდინარე სიცოცხლის დასტურმყოფელი ფილოსოფია, მეორე მხრივ კი – ,,დეგენერირებული ინსტინქტი, რომელიც უპირისპირდება სიცოცხლეს იატაკქვეშა შურისმაძიებლობით (ქრისტიანობა, შოპენჰაუერის ფილოსოფია, გარკვეული აზრით პლატონის ფილოსოფია, მთელი იდეალიზმი ტიპურ ფორმებში)“ [Nietzsche, 2005a: 109], მეტიც, ნიცშე ასკვნის: ,,მისთვის, ვისაც არამხოლოდ ესმის სიტყვა ,,დიონისური“, არამედ საკუთარი თავი ესმის სიტყვაში ,,დიონისური“, სულაც არ არის აუცილებელი პლატონის ან ქრისტიანობის ან შოპენჰაუერის უარყოფა, ის გრძნობს გახრწნის სუნს...“ [Nietzsche, 2005a: 109].

ამგვარად, გამომდინარე ადამიანის მიდრეკილებიდან, ეძიოს მსგავსება მეტად, ვიდრე სხვაობა, ასევე გამომდინარე თანამედროვე კომპარატივისტული პარადიგმის მისწრაფებიდან აღმოაჩინოს მეტი საერთო, ვიდრე განსხვავება, არსებობს საფრთხე და ცდუნება, რომ გენიალური პოეტების ასოცირება გენიალურ ფილოსოფოსებთან მოხდეს არასწორად, ნაჩქარევად და ჰერმენევტიკული სიდინჯის სრული უგულვებელყოფით, თუმცა ამის გადალახვა შესაძლებელია და წინამდებარე სტატია არის ნიცშესა და გალაკტიონის კომპარატიული კვლევის ერთგვარი გამაფრთხილებელი შესავალი.

ლიტერატურა:

1. კავთიაშვილიმას გახელილი დარჩა თვალები [გენეზისის საკითხი]",2004
2. გალაკტიონოლოგია: ტომი მე-3.- თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა,2013
3. ტაბიძე გ. მვირფასი საფლავები. ინტერნეტი. 22 მაისი].-2018a http://galaktion.ge/?page=Articles&id=4050
4. ტაბიძე გ. დღიური-98 - 1935 წელი. ინტერნეტი. 22 მაისი. 2018b http://galaktion.ge/?page=Diaries&id=3464
5. ტაბიძე გ. დღიური-143 - 1941 წელი. ინტერნეტი. 22 მაისი.-2018e http://galaktion.ge/?page=Diaries&id=4482
6. ტაბიძე გ. დღიური -471-6 - 1932 წელი. ინტერნეტი. 22 მაისი. 2018f http://galaktion.ge/?page=Diaries&id=4861
7. ტაბიძე გ. დღიური-651-5 – 7 მაისი, 1947 წელი. ინტერნეტი. 22 მაისი. 2018 http://galaktion.ge/?page=Diaries&id=6816
8. ტაბიძე გ. პოეზიის დღე. ინტერნეტი. 22 მაისი. 2018e http://galaktion.ge/?page=Articles&id=4126
9. Nietzsche F. Gay Science.- Cambridge: Cambridge University Press, 2008
10. Del Caro A. The Birth of Tragedy. A Companion to Friedrich Nietzsche: Life and Works. Ed. Paul Bishop.-Rochester: Camden House, 2012
11. Nietzsche F. The Will to Power.- New York: Random House,1968
12. Nietzsche F., Geuss R., Speirs R. Nietzsche: The Birth of Tragedy and Other Writings.- Cambridge: Cambridge University Press,1999
13. Nietzsche F. Daybreak: Thoughts on the prejudices of morality.- Cambridge: Cambridge University Press, 2006a
14. Silk M. S, Stern J. P. Nietzsche on Tragedy. Cambridge: Cambridge University Press. 1981

15. Bunnin N. The Blackwell Companion to Philosophy.- Padstow: Blackwell Publishers Ltd, a Blackwell Publishing company Came D, 2003
16. Nietzsche F. Human, All Too Human.- Cambridge: Cambridge University Press,1996
17. Nietzsche F.Philosophy in the Tragic Age of the Greeks.-Washington: A Gateway Edition Regnery Publishing, Inc.,1998
18. Nietzsche F. Beyond Good and Evil.-Cambridge: Cambridge University Press, 2002
19. Nietzsche F. Thus Spoke Zarathustra. Cambridge: Cambridge University Press, 2006b
20. Porter S. E., Robinson J. C. Hermeneutics: An Introduction to Interpretive Theory.-Grand Rapids/Cambridge: William B. Eerdmans Publishing, 2011
21. Came D. Nietzsche on Art and Life.-Oxford: Oxford University Press, 2014
22. Del Caro A. Nietzsche and Romanticism: Goethe, Holderlin and Wagner. The Oxford Handbook of Nietzsche. Eds. Ken Gemes and John Richardson.-Oxford: Oxford University Press, 2013
23. Nietzsche F. eKGWB/NF-1881,11[163] — Nachgelassene Fragmente Frühjahr–Herbst 1881. Web. 7 April. 2018a http://www.nietzschesource.org/#eKGWB/NF-1881,11[163]
24. Nietzsche F. eKGWB/NF-1887,10[103] — Nachgelassene Fragmente Frühjahr 1888. Web. 22 May. 2018b http://www.nietzschesource.org/#eKGWB/NF-1887,10[103]
25. Nietzsche F. The Anti-Christ, Ecce Homo, Twilight of the Idols & Other Writings.-New York: Cambridge University Press, 2005a
26. Nietzsche F. On the Genealogy of Morality.-Cambridge: Cambridge University Press,2007.

ნატალია გვენცაძე

სანდრო ცირეკიძის შეხედულება მინიატურული ჟანრის შესახებ

სანდრო ცირეკიძის შეხედულება მინიატურული ჟანრის შესახებ

მინიატურას გააჩნია გარკვეული სიუჟეტური ქარგა. არა ისეთი მასშტაბური, როგორც მოთხრობას ან მით უფრო რომანს, მაგრამ მაინც გააჩნია. ნაწარმოების სიუჟეტი მარტივია, რომელიც მოქმედების პროცესში თანდათნობით კი არ იშლება, როგორც ეს მოთხრობაში ან რომანში ხდება, არამედ მოკლე თხრობის მეშვეობით და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მწერლის ოსტატობას. ლაკონიზმის მუხედავად, მკითხველში იწვევსგარკვეულ ილუზიას დროისა და სივრცის შესახებ, რასაც ავსებს პაუზები და ქვეტექსტები. ეს მინიატურის ერთერთი არსებითი ნიშანია. ამიტომ შემთხვევითი არ არის სანდრო ცირეკიძის აზრი:,,მინიატურა წერტილებით იწერება. იმას ზანტი, მოზომილი ხატვა უნდა... სადაც მინიატურაზე ფიქრობენ, იქ ცხოვრების ფერადი კარუსელი ისე უნდა ბრუნავდეს, როგორც არსად სხვაგან‘‘ [ქართული მინიატურული პროზა, 1992:13].

თუმცა, როგორც სანდრო ცირეკიძე წერდა, ,,მინიატურის ფორმა არ შობილა ევროპაში, მისი აკვანი, როგორც ბევრი სხვა ფორმისა, აღმოსავლეთში დაირწა პირველად‘‘ [ცირეკიძე, 1919: 21].

ლიტერტურული მინიატურის ძირები მართლაც უძველეს დროშია საძიებელი. ამ ჟანრის წარმოშობისა და შემდგომი მისი განვითარების საფუძველს ქმნიდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, მცირე ფორმის იგავები თუ ფოლკლორული თხზულებები.

და, როგორც ბევრი მეცნიერი ამტკიცებს, მისი სამშობლო მაინც სპარსეთია-მინიატურა სათავეს სპარსული ლიტერატურიდან იღებს.

საინტერესოა დაწვრილებით განვიხილოთ თავად სანდრო ცირეკიძის ლიტერატურული შეხედულებანი და, კერძოდ კი, თვალსაზრისი ამ ჟანრის თაობაზე. სანდრო ცირეკიძე, რომელიც ბოლომდე ერთგული იყო სიმბოლიზმის ესთეტიკური პრინციპებისა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა რიტმულ პროზას და ამ მხრივ მინიატურა მიაჩნდა სავსებით შესაფერის ფორმად, პოპულარულ ლიტერატურულ ჟანრად და კმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ,,ეს ფორმა ყველაზე უფრო შეიყვარა აწინდელმა ქართულმა ბელეტრისტიკამ‘‘[ქართული ლიტერატურული ესსე, 1986:140]. ამასთან, უკმაყოფილოა იმით, რომ მას თანამედროვეთა შორის ზოგიერთი სათანადოდ არ აფასებს.

მწერალი ამ ჟანრის ჩასახვას არ უკავშირებს ახალ ეპოქას ან ერთ რომელიმე ლიტერატურულ მიმართულებას. ის ერთგვარი გულისტკივილით წერს: ,,მეოცე საუკუნეში ყველაფერს მიზეზი უნდა მოეძებნოს და ჩვენში მინიატურასაც მოუნახეს მიზეზი. მის გენეზისს ელექტრონის ტრამვაის უკავშირებენ და ამბობენ: ევროპაში ელექტრონის და მოტორის ხანაა; იქ ცხოვრების ტემპი ძალზე აჩქარდა, გრძელი ამბებისთვის, დიდი მხატვრობისათვის აღარავის სცალია, ბუნებრივია, რომ ევროპაში მინიატურის წერა დაიწყეს რომანების მაგივრადო. დასძენენ: ჩვენში ცხოვრება ჯერ საკმაოდ ნელია, აქ მინიტურა ანორმალური მოვლენაა, ჩვენ ჯერ რომანები უნდა ვწეროთო. არაა ეს მართალი‘‘ [ქართული ლიტერატურული ესსე, 1986: 140].

როგორც აღვნიშნეთ, სანდრო ცირეკიძე შეცდომად თვლის მინიატურის ჟანრის დაკავშირებას ერთ რომელიმე ლიტერატურულ დაჯგუფებასთან და გადაჭრით აცხადებს: ,,მინიატურა ფორმაა, ისე როგორც რომანი, ტროლეტი, სონეტი. შკოლას უმთავრესად ახასიათებს წერის მანერა და არა ფორმა. სონეტებს წერდნენ კლასიკებიც, პარნასელებიც, სიმბოლისტებიც; და არავის მოსვლია ფიქრად სონეტის ავტორები ერთ რკალში, ერთ სახელში მოემწყვდია. პეტრარკა, პრიუდომი და მალარმე არ არიან ,,შკოლის მოზიარენი‘‘[ქართული ლიტერატურული ესსე, 1986: 145].

ევროპაში ან ჟანრის განვითარებას სანდრო ცირეკიძე უკავშირებს შარლ ბოდლერის, სტეფან მალარმეს, კატულ მენდესის, ოსკარ უაილდის, ილიე დე ლილ ადანის, ხოლო რუსეთში – ტურგენევისა და რემიზოვის სახელებს, მაგრამ მიაჩნია, რომ მინიატურის ფორმა არ შობილა ევროპაში. მისი აკვანი, როგორც ბევრი სხვა ფორმის, აღმოსავლეთში დაირწა პირველადო. იმასაც აღნიშნავს, რომ ეს ჟანრი ყველაზე უფრო მხატვრობაშია ცნობილი და დასძენს: ,,დიდიხანიაადიდებენსპარსულმინიატურებს. დასწორედაღმოსავლეთშიუნდაშობილიყომათიმინიატურიზმი, მიკროსკოპიზმი. დიდსურათსუნდაფართო, გაბედული კალმის მოსმა. ეს შეიძლება ჩქარ ქვეყნებში. მინიატურა წერტილებით იწერება. იმას ზანტი, მოზომილი ხატვა უნდა. მინიატურას მოცლილი სპარსელი უნდა ხატავდეს შუადღისას ჭადრის ჩრდილში. მონასტრის მშვიდ კედლებში ხატავდნენ მინიატურებს გელათის სახარებისთვის. სადაც მინიატურაზე ფიქრობენ, იქ ცხვორების ფერადი კარუსელი ისე ნელა უნდა ბრუნავდეს, როგორც არსად სხვაგან: მინიატურული ფორმა აღმოსავლეთის კანონიერი შვილია და ევროპაში ის მოგზაურობს მხოლოდ‘‘ [ქართული ლიტერატურული ესსე, 1986: 147].

ასე განსაზღვრავს ჟანრის თავისებურებას სანდრო ცირეკიძე, რომელშიც, უდავოდ, შენიშნულია მინიატურის ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშანი. მისი აზრით, მინიატურიზმის გზა ძნელი, რთული გზაა. მას ადარებს ბეწვის ხიდს, რომელზეც წარმატებით გავლა არაა მხოლოდ რჩეულთა ხვედრი, არამედ – დროის მოთხოვნაც, რადგანაც ,,გრძლად‘‘ თქმა, შედარებითი და აღწერითი ასახვა საგნებისა აღარ აკმაყოფილებს კულტურით დატვირთულ ადამიანს.

მეტაფორა თანდათან ფასდება და შეიძლება მინიატურიზმის გზას რომანიდან სათაურთან მივყავდეთ. შეიძლება წიგნების მაგივრად სათაურების წერა დავიწყოთ. ამის ნიშნები უკვე დადსტურებულია ლიტერატურაში. მაგალითად შეიძლება დავიმოწმოთ ვალერი ბრიუსოვიც: ,,ო, დაფარე შენი მკრთალი ფეხები‘‘.

რუსი ფუტურისტები კიდევ უფრო შორს წავიდნენ, ცარიელ ქაღალდებს ყიდდნენ წიგნებად.

მწერალი ცდილობს ამ უკიდურესს თვალსაზრისს ერთგვარი დასაბუთება მოუძებნოს და ასეთ არგუმენტს იშველიებს: თუ ავტორი სათაურში რეზიუმეს უკეთებს მთელ ნაწარმოებს, მთელ წიგნს, მაშინ სათაური არის შემოქმედების მთავარი მომენტიო. მისი თქმით, ,,პოეტის მთელი ხელოვნება, მისი კულტურა სათაურს დააჩნდება პირველად. ის სახეები და ის სახელები, რომლებიც აწუხებენ პოეტს, პირველად მის სათაურში უნდა ვეძიოთ[ქართული ლიტერატურული ესსე, 1986: 149].

ბოდლერი: ,,ბოროტების ყვავილები‘‘, ,,დონ ჟუანი ჯოჯოხეთში, ,,პარიზის სიზმარი‘‘, ,,დედაბერები‘‘, ,,ბრბო‘‘, ,,ქვრივები‘‘, ,,ბებერი პაიაცი‘‘, ,,ნახევარი სამყარო თმებში‘‘, ,,მოპატიჟება სამგზავროდ‘‘, ,,მთავრის საჩუქრები‘‘, ,,ლიტანია სატანას‘‘. ამ შემთხვევით ამოწერილ სათაურებშიც კი ცნაურდება ავტორი, რომელმაც შეხედა ქვეყანას ახალი ასპექტით და მოიტანა ახალი სახელები. ჟიულ ლაფორგის ირონია და მოწყენა, მისი კვირა დღეები ასე განათებულია მის ჩივილებში: ,,ჩივილი ორგანისტის წმ. ღვთისშობლის ეკლესიაში ნიცცაში‘‘, ,,ჩივილი პროვინციულ მთვარეს‘‘, ,,მაღალი ფიჭვების ჩივილი მიტოვებულ ვილლაში‘‘, ,,სამგლოვიარო მარში მიწის სიკვდილზე,‘‘, ,,ზამთრის დაისი‘‘, ,,ახალი მთვარის ლიტანია‘‘, ,,მთვარის სოლო‘‘, ,,კვირადღეები‘‘, ..კეთილი შემოდგომა‘‘, და ყველა ერთად ,,ფეერიული სომბორო‘‘. მარტო სათაურებიც რომ დაეტოვებინა ჟიულ ლაფორგს, მისი პოეზია ჩვენთვის მაინც იქნებოდა ძვირფასი და გასაგები.

ცირეკიძის აზრით, მარტო სათაურების მიხედვით თითოეულ ავტორზე შეიძლება დაიწეროს სპეციალური გამოკვლევებიც, რომლებშიც წარმოჩენილი იქნება მწერლის გრძნობათა მოძრაობა, მისი განწყობა და მიზანდასახულობა. თანაც ეს მეთოდი იმითაც არის გამართლებული, რომ ახალ ეპოქაში წიგნთსაცავები ვეღარ იტევს გამოცემულ ლიტერატურას, ძნელი დასამახსოვრებელი გახდა მწერალთა სახელებიც, რომელთა წიგნების შინაარსის შეცნობა აღემატება ერთი ადამიანის სიცოცხლის შესაძლებლობებს. წერის მანერის შეცვლასთან ერთად, შეიძლება შეიცვალოს კითხვის მეთოდიც. ამიტომ ფიქრობს, რომ მომავალში მხოლოდ სათაურების ცოდნა იქნება სავსებით საკმარისი ნებისმიერი ერუდიტისათვის.

საინტერესო, ფართო ინფორმაციის შემცველი სათაურების კულტურით, სანდრო ცირეკიძის თქმით, ჩვენი მწერლობა ღარიბია. ასეთი რამ კანტი-კუნტად გვხვდება და შემთხვევით ხასიათს ატარებს. ამ მხრივ გარკვეულ სიახლეებს ის ,,ცისფერყანწელებს“ უკავშირებს და სჯერა მომავალში ამ საქმის წარმატებისა.

საერთოდ, სანდრო ცირეკიძე მსჯელობს რიტმული პროზის ანუ, როგორც თავად უწოდებს, პოეტური პროზის ტრადიციებზე ქართულ მწერლობაში და უკმაყოფილოა იმის გამო, რომ ,,ქართულმა პოეტურმა პროზამ დღემდე ვერ იპოვა მკითხველი და დეკანოზიშვილის მინიატურები ყოველდღიური პრესის ფურცლებზე იკარგებიან“. ეს მაშინ, როცა ევროპასა და რუსეთშიც მას დიდი რეზონანსი აქვს და დიდი ფორმების გვერდით ვითარდება მცირე ფორმის პროზაული ჟანრები. იგი ამის მაგალითად ასახელებს ევროპაში სტეფან მალარმეს, შარლ ბოდლერს, ოსკარ უაილდს, რუსეთში ანდრეი ბელის. მას საქართველოში რიტმული პროზის ნიმუშებად მიაჩნია ნიკო ლორქთიფანიძის, არისტო ჭუმბაძისა და სხვათა ნაწარმოებები.

გაზეთ ,,ბახტრიონის“ 1922 წლის 21-ე ნომერში სანდრო ცირეკიძე აქვეყნებს წერილს – ,,რიტმი პროზაში“. ის წარმოადგენს ფრაგმენტებს, სადაც კარგად ჩანს ავტორის დამოკიდებულება რიტმული პროზისადმი. რიტმს ის განიხილავს ფართო პლანში და, საერთოდ, მიაჩნია ხელოვნების ,,პირველ სამკაულად“ და თვლის, რომ, ლექსის რიტმისაგან განსხვავებით, ,,სხვაა რიტმები მთველმავი პროზაში“ და ,,წინადადებაში სიტყვების თავისებური დალაგების გამეორება ქმნის რიტმს გრძელს, მაგრამ სათუთს“[ქართული ლიტერატურული ესსე, 1986: 140].

რიტმი ერთმანეთთან აახლოებს პოეზიასა და პროზას, რადგანაც ის ,,ქმნის მარადიულის სიახლოვის ილუზიას, მიზომილ ინერციას, სულს განაწყობს მაღალისათვის, დაუსრულებლისათვის, საზღვრების გადალახვისათვის“. ამასთან, ,,პროზას ლექსზე უფრო უყვარს კიდევ ერთი კანონი-გამონაკლისები კანონებიდან. უცნაური მშვენებაა რიტმის ერთნაირ დენისას მის მოულოდნელ დარღვევაში“. ამიტომ

ის მოითხოვს რომ ,,ლიტერატურაში უნდა მოვიდეს მკრთალი მშვენიერება პროზაში დაფარული რიტმებისა“ [ცირეკიძე,1919:23].

სანდრო ცირეკიძე ეხება რიტმის მონაცვლეობის საკითხს და ბგერათა გარკვეული ჯგუფების ინტენსიობას. ამ მხრივ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და დასძენს, რომ ,,თანხმოვნების ინტენსივობისა და ფერადოვნების რიტმი ჩუმია, მარგალიტივით მკრთალი და მშვიდი“. ამავე დროს თვლის, რომ ამ რიტმს ყველა როდის აღიქვამს: ,,მეტად მახვილი სმენა უნდა, რომ აითვისო წყნარი, მგლოვიარე დენა თანხმოვნების: ერთი ინტენსივობის და მგვანი ტონალობის ბგერები ხვდებიან ერთმანეთს მეზობლების აღმართ-დაღმართებში და სულის ქანაობას აბრუნებს ერთ სწორ ხაზზე მუსიკის ლეიტმოტივით“ [ქართული ლიტერატურურული ესსე, 1987; 107].

როცა რიტმულ პროზაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ფრანგი სიმბოლისტები შარლ ბოდლერი და სტეფან მალარმე, რომლებიც თამამად მიმართავდნენ პროზის ამ სახეობას და დიდი წარმატებითაც. მით უფრო, როგორც აღვნიშნეთ, ამ სფეროში მათ ღვაწლზე თავად მიუთითებს სანდრო ცირეკიძე.

საერთოდ, ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედებაზე ბოდლერისა და მალარმეს ზეგავლენას არა ერთი მკვლევარი აღნიშნავს. ამ გარემოებას ჯერ კიდევ ადრე, 1922 წელს, გაზეთ ,,ბარიკადის“ მე-4 ნომერში სანდრო ცირეკიძესადმი მიძღვნილ წერილში ვალერიან გაფრინდაშვილი შეეხო, როცა წერდა: ,,ცირეკიძემ უთუოდ გაიარა ბოდლერისა და მალარმეს სკოლა. მაგალითად, მის შესანიშნავ ,,მთვარეულში“ არის შორეული გავლენა ბოდლერის ,,მთვარის საჩუქრებისა“ [ქართული ლიტერატურული ესსე, 1987: 116].

ა. გომართელის თქმით, ,,სტილის სიფაქიზით და პოეტურობით სანდრო ცირეკიძის მინიატურები ბოდლერისა და მალარმეს პოეტურ პროზას მოგვაგონებს... გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ სანდრო ცირეკიძის პოეტურ პროზაში მართლაც არის განხორციელებული ფრანგი სიმბოლისტის განზრახვა. ,,მთვარეულები“ გადმოგვცემენ მისი სულის მოძრაობასა და ოცნების ქროლვას. პოეტურობა ფრაზის სინატიფით

მიიღწევა – საგანგებოდ შეღწეული მეტრისა და მკვეთრი რიტმის გარეშე“ [გომართელი,1991:6].

მწერალი მტკიცედ მისდევს ბოდლერის აზრს, რომელიც მან გამოთქვა თავისი ,,პარიზის სპლინის“ წინათქმაში, სადაც ის აცხადებს: ,,რომელ ჩვენგანს არ ჰქონია ამბიციური ოცნება პოეტური პროზის სასწაულის შექმნისა, რომელიც მუსიკალური იქნება. მეტრისა და რიტმის გარეშე, ამასთან იმდენად მოქნილი, რომ გადმოსცემს ლირიულ მოძრაობებს სულისას, ოცნების ქროლას, სინდისის ქენჯნას?

დიდი ქალაქის ცხოვრებასთან ზიარება, მის მრავალფეროვან გამოვლინებებთან შეხლა, – აი, საიდან იშვის, ძრითადად, ეს აკვიატებული ოცნება, ნუთუ არ გიცდიათ, ძვირფასო, სიმღერით მიბაძვა მუშების გამყინავი ხმისათვის და გადმოცემა ლირიკულ პროზაში იმ სევდისმომგვრელი განწყობილებისა, რომელსაც იწვევს ჩვენში ეს ძახილი, მანსარდებამდე რომ აღწევს ქუჩის ქსელი ნისლიდან?“ [ბოდლერი,1991: 6].

როგორც ვხედავთ, სანდრო ცირეკიძის თეორიული შეხედულება მინიატურაზე აშკარა ნათესაობას ამჟღავნებს ბოდლერის თვალსაზრისთან, რაც შემთხვევითი არ არის. ვალერიან გაფრინდაშვილი შენიშნავდა, ,,რომანი ცირეკიძემ მინიატურად აქციაო“. შეიძლება ითქვას, ამის ილუსტრაციას წარმოადგენს მისი მინიატურა ,,რომანი“, რომელიც ა. გომართელის მართებული შენიშვნით ,,გამოძახილია სანდრო ცირეკიძის თეორიული შეხედულებისა ეპიკური ჟანრის კვდომის შესახებ და მინირომანის დამკვიდრების მწერლისეულ წადილზე მიგვანიშნებს“ [გომართელი,1991:45]. მართლაც, ეს მინიატურა სხვებთან შედარებით ვრცელია, მაგრამ ამბავი, რომელიც ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებადაა დაშლილი, მხოლოდ წარმოსახვაში აღადგენს ეპიკური სურათის მთლიანობას.

მინიატურა, როგორც ჟანრი, იყო სანდრო ცირეკიძის შემოქმედების სტიქია, რომლის დამკვიდრებისათვის იღვწოდა ის არა მარტო თავისი მხატვრული პრაქტიკით, არამედ – თეორიულადაც. ამას კარგად ხედავდნენ და სათანადოდ აფასებდნენ კიდეც მისი თანამედროვენი, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ პროზაში იმ დროს ეს ფორმა დიდი

პოპულარობით არ სარგებლობდა, ჰყავდა თავისი მოწინააღმდეგები. მწერლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილ წერილში შალვა დადიანი აღნიშნავდა: ,, ის იყო ნამდვილი მინიატურისტი ამ სიტყვის უზენაესი მნიშვნელობით. იგი უფრთხოდა დიდ ქვებს, დიდ მარმარილოს, დიდ ბრინჯაოს გამოსაკვეთად, მაგრამ მისი სევდიანი რევადო კეთილშობილ გიშერზეოსტატურად ამოჭრილი, მისი კაეშნიანი ზარნიში მოელვარე ოქროზე მიმოვლებული, ქარვა და მარგალიტი და სხვა პატარა ლითონები ქალწულად ჩამორიგებულნი მის ჩუქურთმებში იყო დიდი ნახელოვნევი, იყო ამ ნაზ ჭურჭლის ჰაეროვანი წართქმა‘‘.[ქართული ლიტერატურული ესსე, 1986: 137].

ასევე საყურადღებოა ჟურნალ ,,კავკასიონის‘‘ 1924 წლის 1-2 ნომერში დაბეჭდილი ალი არსენიშვილის წერილი, რომელშიც დახასიათებულია სანდრო ცირეკიძის შემოქმედება. მისი მინიატურების გამოჩენას ქართულ მწერლობაში ადარებს დიდი განცდით ნაკურთხ წუთებს, როდესაც ,,ოსტატის სული პირველად შეარხევს მშვენიერების ხარბ მზვერავის მთვლემარე სულს‘‘. ასე სანდრო ცირეკიძის ,,გობელენურმა ქსოვილებმა უეცრად გაახარა მისი პირველი მკითხველები თავის ფერწასულ იდუმალებით‘‘, მაგრამ ხანმოკლე სიცოცხლემ არ მისცა საშუალება ბოლომდე განევითარებინა თავისი ოსტატობაო. მისი რწმენით, მწერალი იბრძოდა ,,პროზისა და პოეზიის საზღვრების აღმოჩენისათვის...და თავისი სუსტი ბეჭებით მან მოინდომა უმძაფრეს და ურთულეს ლიტერატურულ პრობლემების აწევა‘‘, რასაც განხორციელება არ ეწერა. თუმცა ,,მისი პოეზია დარჩა როგორც გაწყვეტილი და დაუსრულებელი სევდა ზღაპრისთვის‘‘[ცირეკიძე, 1919:32].

ალ. არსენიშვილის წერილიდან ჩანს სანდრო ცირეკიძის როლის შეფასება ქართული მინიატურული პროზის განვითარებაში. მაგრამ, ამავე დროს, არ არის გაზიარებული მისი ზოგიერთი შეხედულება, კერძოდ, ,,ამაო იმედი მარტო სათაურით დამშვიდებისა‘‘.

მინიატურული ჟანრის საუკეთესო წარმომადგენელმა სანდრო ცირეკიძემ თავისი ესეებით გაამდიდრა ქართველ სიმბოლისტთა თეორიული წარმოდგენები

ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. მან, ერთი მხრივ, გააგრძელა ქართული კლასიკური პროზის ტრადიციები, მეორე მხრივ, ხორცი შეასხა ახალ პოეტურ შეხედულებს, რომლებიც საკმაოდ მკვეთრად განსხვავდებოდა ტრადიციული მხატვრული აზროვნებისგან.

სანდრო ცირეკიძე ქართული მინიატურის ფუძემდებლად ვაჟა-ფშაველას მიიჩნევდა და წერდა, რომ ,,ყველაზე ადრე ჩვენში მინიატურიზმის გზას ვაჟა-ფშაველა დაადგაო'', ხოლო თანამედროვე მინიატურისტებად ნიკო ლორთქიფანიძე და ჯაჯუ ჯორჯიკია მიაჩნდა.

სანდრო ცირეკიძის შეხედულებები მინიატურულ ჟანრზე მეტად მნიშვნელოვანია, რამდენადაც მწერალმა გარკვეულად ჩამოაყალიბა მინიატურის მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპები და სცადა მინიატურა გაემიჯნა სხვა მცირე პროზაული ჟანრისაგან.

ლიტერატურა:

1. აბულაძე მ.ლიტერატურული მიმდინარეობათა ისტორიიდან.-თბილისი,1997
2. ჩხეიძე რ. ქართული მინიატურული პროზა, თბილისი ლიტერატურული თეორიის საფუძვლები.- თბილისი,2000
3. ჯალიაშვილი მ. წარმოსახვა და რეალობა: (სანდრო ცირეკიძის მინიატურების მიხედვით) // მნათობი.-N12.-თბილისი,1990
4. პაიჭაძე თ. მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა.-თბილისი, 2018
5. სიგუა ს. ქართული მოდერნიზმი.-თბილისი: დიდოსტატი,2002
6. ცირეკიძე ს. მინიატურა.-თბილისი,1919
7. ჯალიაშვილი მ. ქართული მოდერნისტული რომანი(XX საუკუნის 20-იანი წლები).-თბილისი,2006
8. ჯალიაშვილი მ. თაობიდან თაობამდე: (მონოგრაფია სანდრო ცირეკიძესა და ქართულ სიმბოლიზმზე: ლიტერატურული წერილები.-თბილისი,1994

სალომე დავითულიანი

პოსტმოდერნისტული ელემენტები ჰაროლდ პინტერის პიესაში “The Homecoming“ („შინდაბრუნება“)

პოსტმოდერნისტულ ეპოქაში რთულია სხვადასხვა ღირებულების, ფაქტისა თუ მოვლენის სწორად შეფასება, საერთოდ მათი განსაზღვრა, რადგან რეალობასა და ირეალობას შორის წაშლილია ყოველგვარი ზღვარი, ზედაპირზე ტივტივებს კაცობრიობისთვის უამრავი ღირებული საკითხი, დარღვეულია დრო და სივრცე, და, შესაბამისად, ყველაფერი დაცლილია მნიშვნელობებისაგან. სწორედ ამაზე მიუთითებდა 2005 წელს ნობელის პრემიისადმი მიძღვნილ გამოსვლაში ჰაროლდ პინტერი:

“There are no hard distinctions between what is real and what is unreal, or between what is true and what is false. A thing is not necessarily either true or false; it can be both true and false” [Pinter, 2005:3].

სწორედ, ამას წარმოადგენს მისივე პიესები. ჰაროლდ პინტერი მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი ბრიტანელი ავტორია, რომლის შემოქმედებაც ნამდვილად განსხვავებულად გამოიყურება მისი ეპოქის ლიტერატურის ფონზე. მისი დრამატურგია წარმოგვიდგენს რეალობასა და ირეალობას, ჭეშმარიტებასა და სიცრუეს ერთად, ერთმანეთთან შერწყმულს. პინტერს ერთ-ერთ პოტმოდერნისტ ავტორად მიიჩნევენ. მის პიესაში “The Homecoming” („შინდაბრუნება“) პერსონაჟები ერთმანაეთთან დაკავშირებულნი არიან ნათესაური კავშირით. ისინი ერთი ოჯახის წევრები არიან. ეს, ერთი შეხედვით, მკითხველისათვის მარტივი აღსაქმელია და რეალობად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა პიესის მსვლელობისას თვალსაჩინო ხდება, რომ მოცემული რეალობა ამავდროულად ირეალურია, რადგან მათი ოჯახური ურთიერთობა არ შეესაბამება ოჯახის იმ ცნებას, რომლის განმარტებაც ჩვენს გონებაშია დალექილი. პერიოდულად ხვდები, რომ მათ სრულიად ყალბი დამოკიდებულება აქვთ

ერთმანეთისადმი. პინტერი მოცემულ პიესაში ერთსა და იმავე ცნებას წარმოაჩენს ერთდროულად როგორც რეალურს და ირეალურს. დერიდასეული დეკონსტრუქცია ის მოვლენაა, რომელიც პინტერის პიესებს თან ახლავს. რთულია მიხვდე, თუ რომელია მისი მთავარი პერსონაჟი, და სწორედ აქ შეიძლება ვეძებოთ პოსტმოდერნიზმის ელემენტები. ყოველგვარი განმსაზღვრელი მოშლილია და აღარაა მარტივი რომელიმე პერსონაჟის ხასიათის აღქმა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ იმ მოვლენებისა და ფაქტებისადმი, რომელთა მიმართ წინარე საუკუნეებიდან მოყოლებული კაცობრიობას გარკვეული დამოკიდებულებები გამოუმუშავებია, რომელთა შესახებაც გარკვეული ცოდნა დაუგროვებია, პინტერი საკმაოდ ცინიკურია. იგი მკითხველს/მაყურებელს არანაირ თანხვედრას არ სთავაზობს, პირიქით, აქრობს ყველა წინარე მოლოდინს სხვადასხვა ფაქტთან და მოვლენასთან მიმართებაში. რაც შეეხება რეალობისა და ირეალობის აღქმას, ერთ-ერთ ინტერვიუში თავად აღნიშნავს:

“If you press me for a definition, I’d say that what goes on in my plays is realistic, but what I’m doing is not realism” [Burkman, 1971:3].

მართლაც, ყველაფერი, რაც პიესაში ხდება, შეგვიძლია ჩავთვალოთ იმ რეალობად, რომელიც თანამედროვე სამყაროში არსებობს. იმ რეალობად, რომელშიც უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანია ისეთი ღირებულებები, რომლებითაც ოდესღაც განისაზღვრებოდა სხვადასხვა მოვლენა. პინტერს ნაჩვენები აქვს ის პოსტმოდერნისტული რეალობა, რომელშიც ყოფითი ელემენტები, ბევრად უფრო დიდ ადგილს იკავებს, ვიდრე კაცობრიობისთვის ოდესღაც მნიშვნელოვანი სხვადასხვა საკითხი. ამის მაგალითად შესაძლოა მოვიყვანოთ პასაჟი, რომელშიც ფილოსოფოს თედის მისი ძმა სთხოვს, რომ ფილოსოფიურად განიხილოს ისეთი შექსპირისეული ფრაზა, როგორიცაა „ყოფნა არ ყოფნა“. ხოლო როდესაც პასუხად სიჩუმეს იღებს, სთხოვს, რომ იქნებ მაგიდა აიღოს ფილოსოფიური განხილვის საგნად და მასზე ისაუბროს, მაგრამ თედი ამაზეც არაფერს ამბობს.

“Teddy: I’m afraid I’m the wrong person to ask.”

Lenny: But you're a philosopher. Come on, be frank. What do you make of all this business of being and not-being?

Teddy: What do you make of it?

Lenny: Well, for instance, take a table, philosophically speaking, what is it?

Teddy: A table.

Lenny: Ah. You mean it's nothing else but a table. Well some people would envy your certainly" [Pinter, 1965:52].

ამ ეპიზოდში, ნამდვილად შეგვიძლია დავადასტუროთ პოსტმოდერნისტული საწყისები. სიტყვებს დაკარგული აქვს მნიშვნელობა, თედის დუმილი კი ერთ-ერთ პოსტმოდერნისტულ მახასიათებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ეს ის პერიოდია, როცა ყველაფერი ნათქვამია „ყოფნა არ ყოფნის" საკითხთან დაკავშირებით და აღარაფერია სათქმელი, ან საერთოდაც, აღარც არავისთვისაა საინტერესო ეს საკითხი. მეორე მსოფლიო ომგადატანილ კაცობრიობას ყოფით პრობლემებზე უფრო მეტი აქვს საზრუნავი და საფიქრალი, ვიდრე – ფილოსოფიურ საკითხებზე და თავად პიესაც სწორედ ასეთი მარტივი, ყოფითი ფრაზით იწყება:

"What have you done with the scissors?" [Pinter, 1965:7].

ასევე, ძალიან საინტერესოა ის ეპიზოდი, რომელშიც თედი აღნიშნავს, რომ მაგიდა მაგიდაა და მორჩა. მკითხველს/მაყურებელს აუცილებლად ახსენდება პლატონისეული იდეათა თეორია. პლატონი მატერიის არსებობამდე მის შესახებ იდეის არსებობაზე საუბრობს. თედი, ფილოსოფოსია, რომელიც ამერიკაში ექვსი წელი კითხულობდა ლექციებს ფილოსოფიაში და მისგან მოველით, რომ სულ მცირე, იმას მაინც იტყვის მაგიდასა და იდეათა თეორიის შესახებ, რაც ჩვენც ვიცით, მაგრამ პასუხად მხოლოდ დუმილს ვხვდებით. ასეთ დროს უნდა დავასკვნათ, რომ თანამედროვე პოსტმოდერნისტულ სამყაროში ფილოსოფიური განხილვებისთვის დრო აღარაა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პინტერი ყველაზე აქტიურად ყოფით

საკითხებსა და ელემენტებს წარმოაჩენს და მათ გარკვეულწილად რიტუალურ მნიშვნელობებს ანიჭებს. მაგალითად, ჩაის სმისა და მისი მომზადების პროცესს ავტორი აბსოლუტურ რიტუალად აქცევს და ეს პიესაში ერთადერთი მომენტია, როცა პერსონაჟები ერთმანეთს უგებენ, ეთანხმებიან და მათ შორის დიალოგიც დგება.

ძალიან საინტერესოა, პიესის სათაური და მისი აღქმის ცვლილება. როდესაც დასაწყისში თედის პერსონაჟი გამოჩნდება, ნათელი ხდება, რომ სათაური მის შინდაბრუნებას ეკუთვნის. თუმცა პიესის დასარულს სრულიად განსხვავებული აღქმა ჩნდება და ეჭვი იბადება, რომ ეს სათაური რუთისთვისაა, რადგანაც ქმართან ერთად ჩამოსული სრულიად უცხო პერსონაჟისთვის თედის ოჯახი ახლობელი ხდება. ეს ის ადგილია, სადაც რუთი თავს პოულობს და ხვდება, რომ ვიღაცას სჭირდება. აქ ის კომფორტულად გრძნობს თავს და მას – თედისგან განსხვავებით – საერთოდ აღარ სურს ამერიკაში დაბრუნება. თედი, რომელიც შინდაბრუნების შემდეგ აღმოაჩენს, რომ მისი ოჯახის წევრები საერთოდ არ იცნობენ მას და მისგან ძალიან განსხვავდებიან, ხვდება, რომ მათ შორის არის რაღაც საერთო, მაგრამ მას არ სურს მათნაირი იყოს და აღნიშნავს:

“You’re just objects. You just … move about. I can observe it. I can see what you do. It’s the same as I do. But you’re lost in it. You won’t get me being… I won’t be lost in it” [Pinter, 1965:62].

ცნებების აღქმათა ცვალებადობა დერიდასეულ პოსტრმოდერნისტულ დეკონსტუქციებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ცნება, „შინდაბრუნებას“ რაც შეეხება, იგი ერთგვარი წრის შემკვრელია ძველი ლეგენდებისა და ზღაპრების მიხედვით. თითქმის ყველა ამბავში მთავარი გმირი მიდის სახლიდან, გადის გზას, იძენს გამცდილებას და ბოლოს აუცილებლად შინ ბრუნდება. მთავარი წრის შეკვრაა, რომელსაც შინდაბრუნება აგვირგვინებს. პინტერი კი, პირიქით, სწორედ ამ კლასიკური სიმწყობრის რღვევას, დეკონსტრუქციას გვთავაზობს, იგი პიესას სწორედ შინდაბრუნებით იწყებს და მოგვიანებით ამ ცნებისადმი მკითხველის/მაყურებლის აღქმას ცვლის. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პინტერი პერსონაჟების ურთიერთობას წარმოაჩენს უმარტივესი დიალოგების ფონზე და ამ დიალოგების მიხედვით ვხვდებით, რომ მისი გმირების ურთიერთობა არც – თუ მთლად ნამდვილია, ხოლო ხშირად

აბსოლუტურად არალოგიკურია. საინტერესოა, რომ პინტერი ძალიან ხშირად იყენებს პაუზასა და სიჩუმეს. იგი აღნიშნავს კიდეც, რომ, ხანდახან სიჩუმე უფრო მნიშვნელოვანია.

"We have heard many times that tired, grimy phrase, "failure of communication," and this phrase has been fixed to my work consistently. I believe the contrary. I think that we communicate only too well in our silence, in what is unsaid. And that what takes place is continual evasion, desperate rear-guard attempts to keep ourselves to over selves. I'm not suggesting that no character in a play can ever say what in fact he means, not at all. I have found that there invariably does come a moment when this happens, where he says something, perhaps, which he has never said before. And where this happens, what he says is irrevocable, and can never be taken back" [Burkman, 1971:323].

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პინტერი სხვადასხვა საშუალებით, ნამდვილად ახერხებს წარმოაჩინოს ის სამყარო, რომელშიც სიტყვებთან შედარებით სიჩუმეს უპირატესობა ენიჭება. ზოგადად, თუკი რაიმე აზრი არსებობს ჩვენს გონებაში, ის ყოველთვის მხოლოდ ჩვენია და ასეთ მდგომარეობაში იგი ნამდვილია და ზუსტი. მისი სიზუსტის ხარჯზე ჩვენ შეგვიძლია დავრჩეთ მართლები.

როგორც კი ამ აზრის გადმოცემას ვიწყებთ, ვცდილობთ შესაბამისი სიტყვების პოვნას და ხშირად ამ ძიების დროს ვერ ვახერხებთ აზრის ისე გადმოცემას, რომ მისი სრულყოფილება და მისი პირვანდელი მნიშვნელობა შევინარჩუნოთ, თუმცა, თუკი ის გაჟღერდება, ის უკვე არსებობს. სწორედ სიტყვისა და მეტყველების ამ თვისების გამო აღიშნავს პინტერი, რომ არც ერთ პერსონაჟს არ შეუძლია ზუსტად იმის გადმოცემა რასაც იგი გულისხმობს. შესაბამისად, როგორც უკვე აღვნიშნეთ სწორედ ამ მიზეზის გამო პინტერი საკმაოდ ხშირად იყენებს პაუზას თავის პიესებში. პინტერი მიიჩნევს, რომ ენის დახმარებით (ამ შემთხვევაში იგულისხმება პერსონაჟების დიალოგები) მაყურებელმა უნდა ამოიცნოს მათი პიროვნებები, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ არ გვთავაზობს მათ ბიოგრაფიებს, ან წინარე ინფორმაციას მათ ცხოვრებაზე. პინტერი ასევე აღნიშნავს, რომ ამას განაპირობებს ენის თვისება, რომლის მიხედვითაც ნათქვამის

მიღმა არსებობს კიდევ რაღაც, რაც უნდა დაინახო, ის, რაც არ გამოთქმულა. ამრიგად, ჰაროლდ პინტერი ნამდვილად შეგვიძლია მივიჩნიოთ იმ ავტორად, რომელთანაც შესაძლებელია ვიპოვოთ ისეთი სამყაროს საწყისები, რომლებშიც დღეს ვცხოვრობთ. ამ საწყისებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელების გაქრობაა. ეს ყველაფერი კი ნათლად ჩანს მისი პერსონაჟების ურთიერთობაშიც. მისი გმირები არ არიან მკვეთრად გამოხატული ხასიათის მატარებლები და საერთოდაც რთულია მათი ხასიათების დადგენა, ისევე როგორც მოშლილია დროითი და სივრცობრივი მახსიათებლები. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პინტერმა სწორედ გლობალური რეალობა, და ის საერთო ფონი წარმოაჩინა, რომელიც არა მხოლოდ მისი პერსონაჟების, არამედ მთლიანად იმ პერიოდის სამყაროს მახასიათებელი იყო. ჰაროლდ პინტერი უდავოდ არის ავტორი, რომლის შემოქმედებაც მნიშვნელოვანია როგორც ლიტერატურული, ასევე – დრამატურგიული თვალსაზრისით. მან მოახერხა სამყაროს იმ მახასიათებლების წარმოჩენა, რომლებიც დღესაც პრობლემური და აქტუალურია.

ლიტერატურა:

1. Derrida J. Structure, sign, and play in the discourse of the human sciences.-Chicago: The University of Chicago Press, 1971
2. Kluckhohn C., Murray H. Personality: In Nature, Society and Culture.-New York: Alfred A. Knopf. Inc, 1948
3. Raby P.The Cambridge Companion to Harold Pinter.- Cambridge University Press, 2009
4. Burkman K. H. The Dramatic World of Harold Pinter.-1971
5. Pinter H.
   Art, Truth & Politics. Nobel Lecture. December 7. 2005. The Nobel Foundation.-2005
6. Pinter H. The Homecoming.-1965
7. Warner J. M. The Epistemological Quest in Pinter's The Homecoming.-Contemporary Literature, 1970
8. William J. F. Treatment of Character in Harold Pinter's "The Homecoming".- South Atlantic Bulletin, 1969
9. Patterson M.Oxford guide to play analysis.-Oxford University Press, 2007

ქრისტინე იაკობაძე

ტენესი უილიამსის „ტრამვაი, რომელსაც სურვილი ჰქვიას“ ვ. ნედელინის გ. ჯაბაშვილისა და ლ. ინასარიძის თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზის პრინციპები

ნებისმიერი პიროვნება გარკვეული სოციუმის ნაწილია, რაც, ბუნებრივია, მის სამეტყველო კულტურაში ვლინდება და, შესაბამისად, თარგმანშიც უნდა აისახოს. ამავდროულად ადამიანი განუმეორებელ ინდივიდს წარმოადგენს, რაც მის ემოციებსა და გრძნობებში წარმოჩნდება და ენობრივ სტრატეგიებშიც გამოიხატება. მთარგმნელმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაიაზროს ურთიერთობის კონტექსტუალური ჩარჩო, რომელიც საშუალებას მისცემს მას პერსონაჟების ლინგვოსოციალური მარკერები რეალურ კომუნიკაციასთან მიმართებაში განიხილოს და ცდომილება შეფასებებში მინიმუმამდე დაიყვანოს.

ნაწარმოების _ „ტრამვაი, რომელსაც „სურვილი“ ჰქვია“ _ მოქმედება ნიუ ორლეანში ხდება, რომელსაც ავტორი ხაზგასმით ქალაქ-კოსმოპოლიტს უწოდებს. ამერიკული საზოგადოების ეთნიკური არაერთგვაროვნება ინტრაკულტურული ურთიერთობის თვალსაზრისით საკმაო ინტერესს იწვევს. პიესის პერსონაჟები არიან განსხვავებული ეთნიკური წარმოშობის პერსონაჟები: შავკანიანები, მექსიკელები და პოლონელები, რომლებიც გვერდიგვერდ ცხოვრობენ. მართალია, წარმომავლობა მეგობრობაში ხელს არ უშლის სხვადასხვა ეროვნების ადამიანს, მაგრამ ეთნიკური ფაქტორი მაინც გარკვეულ როლს თამაშობს და ინტერპერსონალურ ურთიერთობებში სხვადასხვა ფორმით წარმოჩნდება. ასე, მაგალითად, როდესაც პაბლო ესპანურად წარმოთქვამს ფრაზას: “Maldita sea to suerte!“, სტენლი მას მოუწოდებს ინგლისურად ილაპარაკოს: “Put it in English, greaseball!” „Говори по-людски, гризер”, რასაც ნედელინი ასე განმარტავს (гризер _ презрительное прозвище мексиканцев в США). საინტერესოა, რომ გ.ჯაბაშვილი გრიზერს იმერული დიალექტური ფორმა „ობროდით“ („ადამიანურად თქვი, რა გინდა,

შე ობროდო!" [ჯაბაშვილი, 1980:113]). ანაცვლებს, ხოლო ლ.ინასარიძე ფორმა „გრიზერს" სქოლიოში განმარტავს, როგორც მექსიკელთა დამცინავ წოდებას აშშ-ში. ბუნებრივია, გ.ჯაბაშვილის მიერ გამოყენებულ ფორმაში იკარგება მნიშვნელოვანი სემანტიკური კომპონენტი _ ადრესატის წარმომავლობა, რაც სიტუაციის გაგებაში ხელს უშლის მკითხველს.

მიუხედავად იმისა, რომ ბლანში ადამიანებს სოციალურ ჯგუფებად ჰყოფს, მის ცნობიერებაში „მეორე კატეგორიის" ხალხი ანუ „პუბლიკა", როგორც ის უწოდებს, ერთგვაროვან მასას წარმოადგენს და ერთმანეთისგან, ფაქტობრივად, არ განსხვავდება. ბლანშისთვის სულ ერთია პოლონელი თუ ირლანდიელი, მექსიკელი თუ შოტლანდიელი, ის ყველა მათგანს ზემოდან უყურებს და თავისზე დაბლა მდგომად მიიჩნევს. ამის დასტურია მისი რეპლიკაც: "They're something like Irish, aren't they? Only not so _ highbrow?" [ინტერნეტრესურსი 5]. („Ах да. Они вроде ирландцев, кажется? ...Только не такие аристократы?") [ინტერნეტრესურსი 6].

აქ საგულისხმოა, რომ ნედელინისა და ინასარიძის თარგმანში ჩნდება სიტყვა „არისტოკრატი", რომელიც ორიგინალის ტექსტიდან არ მომდინარეობს. ამგვარი დამთხვევა, შესაძლოა, გარკვეულ ნასესხობაზე მიუთითებდეს (– „აჰა, რაღაც ირლანდიელების მაგვარი, ხომ? მათსავით არისტოკრატი არაა, ხომ?" [ინასარიძე, 2013:13]. ამ შემთხვევაში უფრო ზუსტია გ.ჯაბაშვილის ვერსია, რომელიც ითვალისწინებს რა ინგლისელების სტერეოტიპულ წარმოდგენას ირლანდიელებზე, მართებულად იყენებს ლექსემას „ქედმაღლები" („კი, როგორ არა, მგონი ცოტა ირლანდიელებს ჰგვანან, არა? – მაგრამ მათებრ ქედმაღლები არ არიან, განა?" [ჯაბაშვილი, 1980 :15]. .

საერთო სიტუაციის გასაგებად, ეთნიკურის გარდა, მნიშვნელოვანია სოციალური ფაქტორიც, რომელიც ნაწარმოებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. სტელა ორ განსხვავებულ სამყაროს შორის არის მოქცეული და ცდილობს, გაანეიტრალოს

სოციალურ-კულტურული ანტაგონიზმი, ამიტომ ის ბლანშს სთხოვს, ძალიან კრიტიკულად არ შეაფასოს სტენლი და მისი წრე:

„STELLA: You'll get along fine together, if you'll just try not to _ well _ compare him with men that we went out with at home“ [ინტერნეტრესურსი 5]. („СТЕЛЛА: Вы прекрасно поладите, постарайся только не сравнивать его с людьми нашего круга“) [ინტერნეტრესურსი 6]. „შესანიშნავად შეეწყობით ერთმანეთს, თუ მაინცდამაინც არ ეცდები იმ ხალხს შეადარო, ჩვენ რომ თავიდან გარს გვეხვია“ [ჯაბაშვილი, 1980 :16]. „ეცადე, ჩვენი წრის ხალხს არ შეადარო“ [ინასარიძე, 2013 : 13]).

პრინციპულ ოპოზიციათა შორის, რომელიც ნაწარმოებში იკვეთება, მნიშვნელოვანია წარმავალი არისტოკრატიული სამხრეთისა და ინდუსტრიული ჩრდილოეთის ოპოზიცია, რომელიც ბლანშის ინტერპრეტაციაში იღებს ცივილიზაციისა და ველურობის (ჯუნგლები) დაპირისპირების სახეს.

სამხრეთული არისტოკრატიის წარმომადგენელი ბლანში (და ზოგჯერ ავტორიც) სტენლისა და მის სამყაროს ხშირად ჯუნგლებს ადარებს. ჯუნგლების თემა განსაკუთრებული სიმძაფრით ბლანშის მონოლოგში იკვეთება, რომელშიც არა მარტო სტენლი, არამედ მთელი მისი სამყარო ჯუნგლების ბინადრებად მოიხსენება:

„BLANCHE: He acts like an animal, has an animal's habits! Eats like one, moves like one, talks like one! There's even something _ sub-human _ something not quite to the stage of humanity yet! Yes, something _ ape-like about him, like one of those pictures I've seen in-anthropological studies! Thousands and thousands of years have passed him right by, and there he is _Stanley Kowalski _ survivor of the stone age! Bearing the raw meat home from the kill in the jungle! And you _ you here _ waiting for him!“ [ინტერნეტრესურსი 5].

„БЛАНШ. Ведет себя как скотина, а повадки _ зверя! Ест как животное, ходит как животное, изъясняется как животное! Есть в нем даже что-то еще недочеловеческое _ существо, еще не достигшее той ступени, на которой стоит современный человек. Да, человек-обезьяна, вроде тех, что я видела на картинках на лекциях по антропологии. Тысячи и тысячи лет прошли мимо него, и вот он, Стэнли Ковальский _ живая

реликвия каменного века! Приносящий домой сырое мясо после того, как убивал в джунглях. А ты _ здесь, поджидаешь: прибьет?.. а вдруг _ хрюкнет и поцелует!“ [ინტერნეტრესურსი 6].

„ნამდვილი პირუტყვივით იქცევა, ჩვევებიც ნადირისა აქვს! ჭამს მხეცივით, დადის მხეცივით და სიტყვა-პასუხიც ნადირული აქვს, ისე იღრინება... მრავალმა საუკუნემ გვერდი აუარა მას და აგერ _ ინებეთ _ სტენლი კოვალსკი _ ქვის ხანის ნაშთი! შინ რომ უმი ხორცი მოაქვს უღრან ტყეში მოკლული ნადირისა!“ [ჯაბაშვილი, 1980 : 58].

„ნამდვილი საქონელივით იქცევა, ნადირისგან ვერ გაარჩევ! ცხოველივით თქვლეფს, ცხოველივით დაიარება, ცხოველივით ლაპარაკობს!...თითქოს ათასწლეულმა გვერდზე ჩაუქროლა, ის კი, სტენლი კოვალსკი, ქვის ხანაში დარჩა, როგორც ცოცხალი რელიკვია... ჯუნგლებში ნანადირევი უმი ხორცი რომ მიაქვს“ [ინასარიძე, 2013 : 53].

ეს საკმაოდ რთული პასაჟი იყო, რომელმაც გარკვეული უზუსტობები გამოავლინა თარგმანებში. ერთ შემთხვევაში გაურკვეველია როგორი „სიტყვა-პასუხი აქვთ ნადირებს’’, მეორეში კი – როგორ „ლაპარაკობენ ცხოველები“. მთარგმნელებმა შეინარჩუნეს ორიგინალის პლეონაზმი „ნანადირევი უმი ხორცის“ შესახებ, რაც ქვის ხანაში ნადირობიდან მოხარშული ან შემწვარი ხორცის მიტანის შესაძლებლობასაც უშვებს.

ბლანშს გააჩნია თავისი კომპლექსები, რაც ძირითადად ასაკობრივ ფაქტორს და სილამაზის წარმავალობის შიშს უკავშირდება: „Especially when the girl is over _ thirty. They think a girl over thirty ought to--the vulgar term is _ "put out."... And I _ I'm not "putting out." Of course he _he doesn't know _I mean I haven't informed him _ of my real age!“ [ინტერნეტრესურსი 5].

„Особенно если женщине за тридцать. Они считают, что женщина за тридцать, вульгарно выражаясь, _ "отпрыгалась". Ну, а я еще не "отпрыгалась". Конечно, он не знает... – не стану же я сама объявлять! ...сколько мне на самом деле“ [ინტერნეტრესურსი 6].

„მაგათ ჰგონიათ, თუ ქალმა ოცდაათს გადააბიჯა, მაგათებურად რომ ვთქვათ, უკვე „ჩამოსაწერია''. მე კი ჩამოსაწეროზას ბევრი მაკლია“ [ჯაბაშვილი, 1980 : 66].

„...მითუმეტეს, როცა ქალი ოცდაათს ზევითაა. მათი აზრით, ბალზაკის ასაკის ქალი, უხეშად რომ ვთქვათ, ცხრა ნაბადზეა გადამხტარი. მე ჯერაც არ დავღლილვარ „ხტუნაობით“ [ინასარიძე, 2013 : 61].

ამ ეპიზოდის თარგმნისას გ. ჯაბაშვილი იყენებს ლექსემა „ჩამოსაწერია“, რომელსაც ლ. ინასარიძე უპირისპირებს საკმაოდ უხეშ გამონათქვამს _ „ცხრა ნაბადზეა გადამხტარი“. ინასარიძე ამატებს ფრაზას „ბალზაკის ასაკის ქალი“, რაც, სავარაუდოდ, რუსული ენის გავლენას წარმოადგენს და დედნის ტექსტში არ გვხვდება.

ნაწარმოებში მამაკაც პერსონაჟთა შორის დომინირებს სტენლი. უილიამსისეულ რემარკაში კარგად ჩანს მისი ანდროგენული საწყისი: „He is of medium height, about five feet eight or nine, and strongly, compactly built. Animal joy in his being is implicit in all his movements and attitudes. Since earliest manhood the center of his life has been pleasure with women, the giving and taking of it, not with weak indulgence, dependency, but with the power and pride of a richly feathered male bird among hens“ [ინტერნეტრესურსი 5].

„Среднего роста _ пять футов и восемь-девять дюймов, сильный, ладный. Вся стать его и повадка говорят о переполняющем все его существо животном упоении бытием. С ранней юности ему и жизнь не в жизнь без женщин, без сладости обладания ими, когда тешишь их и ублажаешь себя и не рассиропливаешься, не даешь им потачки; неукротимый, горделивый _ пернатый султан среди несушек“ [ინტერნეტრესურსი 6].

„მთელი მისი არსება, მისი ქცევები და მიხრა-მოხრა აღსავსეა ცხოველური აღტყინებით. დავაჟკაცებისთანვე იგი ქალებზე იყო გადაგებული. სიამოვნებას არც თვითონ იკლებს და არც მათ აკლებს. არავის არაფერს არ შეარჩენს, თავი დამოუკიდებლად, ისე გოროზად უჭირავს, როგორც აფხორილ მამალს დედლებში გარეულს...“ [ჯაბაშვილი, 1980 : 20-21].

„მანერები და გამოხედვა თავისთავად მიანიშნებს, რომ მასში ცხოველური ინსტინქტი ჭარბობს. სიყრმიდანვე მოსწონდა ქალების დევნა, მათი დაპყრობა და მათით ტკბობა... დაუცხრომელია და ამაყი, როგორც მამალი სულთანი დედლების გარემოცვაში“ [ინასარიძე, 2013 : 18].

მკვლევარი ნ. გორგიშელი ამის შესახებ ამბობს: „სრული უაზრობაა ეს უკანასკნელი ფრაზა, ვინაიდან დედალი სულთანი ბუნებაში არ არსებობს“. ვერ დავეთანხებით ნ.გორგიშელს დედალ სულთანთან დაკავშირებით, ვინაიდან ოსმალურ ტრადიციაში ფორმა „სულთანით“ საგვარეულო დინასტიის წევრ ქალბატონებსაც მიმართავენ. მიუხედავად ისლამური ტრადიციისა, რომელიც მრავალცოლიანობასთანაა დაკავშირებული, უზუსტობად მიგვაჩნია ნედელინის მიერ „пернатый султан“-ის გამოყენება ნაცვლად richly feathered male bird-ისა; ხოლო ლ.ინასარიძის მიერ გამოყენებული ფორმა „მამალი სულთანი“ რუსული თარგმანის გავლენაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

ბუნებრივია, ხარისხიანი თარგმანი შეუძლებელია ნაწარმოების სიმბოლური პლასტის გააზრების გარეშე. მთარგმნელის სტრატეგია უშუალოდ დაკავშირებულია არამარტო ტექსტის ვერბალურ მანიფესტაციასთან, არამედ მის სიმბოლურ პლასტთან, რომელიც კოდირებულია როგორც ლექსიკო-სემანტიკურ ერთეულებში, ასევე სხვა სემიოტიკურ ფაქტურებშიც: მუსიკაში, მოძრაობის პლასტიკაში, შუქ-ფერით ეფექტებში და ა.შ.

უკვე სათაურში იკვეთება პირველი ენიგმა, რომელიც მთარგმნელს უნდა ამოეხსნა. ბლანშის თითქოსდა იუმორისტული კომენტარი საკუთარი მარშრუტის შესახებ: „They told me to take a streetcar named Desire, and then transfer to one called Cemeteries and ride six blocks and get off at _ Elysian Fields!“ [ინტერნეტრესურსი 5]. (Сказали, сядете сперва в один трамвай _ по-здешнему "Желание", потом в другой _ "Кладбище", проедете шесть кварталов _ сойдете на Елисейских полях!“) [ინტერნეტრესურსი 6], როგორც შემდგომში ირკვევა, ერთგვარ მეტაფორას წარმოადგენს და მიანიშნებს მთავარი გმირის გასავლელ გზას. ტრამვაის „მოძრაობის“ სასტარტო პუნქტი „სურვილს“ (Desire) წარმოადგენს, რომელიც უკავშირდება მთავარი მოქმედი პირის მცდელობას, დააღწიოს თავი

ცოდვილ ცხოვრებას და ახალ ადამიანად დაიბადოს. მეორე პუნქტი _ „სასაფლაო“ (Cemeteries), უფრო ზუსტი იქნებოდა _ „ოცნებებისა და სურვილების სასაფლაო“ _ პირდაპირ მიგვანიშნებს ბლანშის მცდელობის უპერსპექტივობაზე. ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია მესამე პუნქტი _ „Elysian Fields“, რომელშიც უილიამსი სიმბოლურ მნიშვნელობას დებს. როგორც ცნობილია, აღნიშნული სახელი ბერძნულ მითოლოგიაში ღმერთების რჩეულ გმირთა მარადიულ სამყოფელს ნიშნავდა. სწორედ ამით მიგვანიშნებს უილიამსი იმაზე, რომ ბლანშის ტანჯვის დასასრული ცოდვების მიტევებაა. თუ ნედელინს აღნიშნული ტოპონიმი რუსულ ტრადიციაში დამკვიდრებული ფორმით „Елисейские поля“ გადმოაქვს, ქართველი მთარგმნელები განსხვავებულ ვერსიებს იძლევიან _ „ელიზეუმის მინდვრები“ [ჯაბაშვილი, 1980 : 8] და ელისეს მინდვრები“ [ინასარიძე, 2013 : 6]. მიუხედავად ტოპონიმის ქართულად გადმოცემის არსებული ტრადიციისა, ვერ დავეთანხმებით ნ.გორგიშელის აზრს, თითქოს მიზანშეწონილია უკანასკნელი ვარიანტის გამოყენება. მკითხველთა უმეტესობისთვის აღნიშნული ტოპონიმი პარიზის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილთან ასოცირდება და არ შეიცავს იმ მინიშნებას, რომელსაც ავტორი დებს მასში _ გმირთა სასუფეველს. ამ თვალსაზრისით განსხვავებული ფორმა „ელიზეუმის მინდვრები“ (ჯაბაშვილი) უფრო უპრიანია, რადგან თავისუფალია ტრადიციული სემანტიკური დატვირთვისგან.

ტექსტის საკვანძო პრობლემაა სინათლის თემა, რომელიც ნაწარმოებს თან სდევს. სინათლისკენ მისწრაფება, ტ. უილიამსის რემარკის მიხედვით, ბლანშს ფარვანას ამსგავსებს, რომელსაც სწორედ ეს სწრაფვა ღუპავს: „There is something about her uncertain manner, as well as her white clothes, that suggests a moth“ [ინტერნეტრესურსი 5]. („В робости Бланш и в белом ее наряде есть что-то, напрашивающееся на сравнение с мотыльком“) [ინტერნეტრესურსი 6]. ამავდროულად სინათლის შიში სიმართლის შიშიცაა და მოახლოვებული სიბერისაც). ავტორი პირდაპირ აღნიშნავს: „Her delicate beauty must avoid a strong light“ („Блекнущая красота ее не терпит яркого света“). „მისი გახუნებული სილამაზე დღის სინათლეს ვეღარ უძლებს“ [ინასარიძე, 2013 : 6]. „...მის დახვეწილ გარეგნობას არ უხდება ძლიერი შუქი...“ [ჯაბაშვილი, 1980 : 7].

პირველ შემთხვევაში მთარგმნელი ლ. ინასარიძე ბლანშის სილამაზეს წარსულში მოიხსენიებს და მას გახუნებულს უწოდებს, მეორეში კი – გ.ჯაბაშვილს ბლანშის დახვეწილ გარეგნობაში ეჭვი არ შეაქვს, თუმცა აღნიშნავს, რომ ის ნაკლებ ეფექტს ახდენს ძლიერი შუქის ფონზე.

ტ. უილიამსის დრამის _ „ტრამვაი, რომელსაც „სურვილი“ ჰქვია'' _ რუსული თარგმანის შეპირისპირება გ.ჯაბაშვილისა და ლ.ინასარიძის მიერ შესრულებულ ქართულ თარგმანებთან, გვიჩვენებს, რომ სამივეს ახასიათებს ვერბოცენტრული ვერსიისთვის დამახასიათებელი ერთიანი სტრატეგიული მიდგომა; სახეზეა განსხვავებებიც, რომლებიც საფუძვლად უდევს შესაბამისი რეციპიენტი კულტურებისა (რუსულისა და ქართულის) და მთარგმნელთა შემოქმედებითი მანერების არაერთგვაროვნებას.

ნაწარმოების _ „ტრამვაი, რომელსაც „სურვილი“ ჰქვია'' _ თარგმანის რუსული და ქართული ტექსტების შედარებამ გამოავლინა ქრონოლოგიური ადაპტაციის ტენდენცია, რომელიც თარგმანის ეპოქის ენობრივ გემოვნებასთან მისადაგებაში და იდეოლოგიური წნეხისგან თავისუფლების განსხვავებულ ხარისხში აისახა. გ.ჯაბაშვილისა და ლ.ინასრიძის სხვადასხვა პერიოდში შესრულებული თარგმანების შედარებამ გვიჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში განსხვავება მათ შორის არა მარტო პოლიტიკური პარადიგმის შეცვლით, არამედ შიდაენობრივი ფაქტორებითაცაა განსაზღვრული, რამაც განაპირობა ლ.ინასარიძის მცდელობა უკვე არსებული თარგმანის პარალელურად ახალი თაობის მკითხველზე ორიენტირებული თარგმანის შემოეთავაზებისა.

რუსულ თარგმანთან შეპირისპირებამ გამოავლინა ტექსტში არსებულ რეალიათა გადმოცემის ეთნოსპეციფიკური და უნივერსალური გზები; ამასთანავე, კულტურათა არაერთგვაროვნებით გამოწვეული შეფასებითი კრიტერიუმების განსხვავება, რაც საბოლოო ჯამში პერსონაჟების ენობრივი მარკირების პროცესში იჩენს თავს და სპეციფიკურად აისახება თარგმანებში. ისევე, როგორც ჯაბაშვილი და ინასარიძე,

ნედელინიც ონომასტიკური ლექსიკის გადმოცემისას უპირატესობას ტრანსკრიფციასა და ტრანსლიტერაციას ანიჭებს და ფრაზეოლოგიური ერთეულების გადმოტანისას ძირითადად ტრადიციულ მეთოდებს იყენებს, საკუთარ პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს კი ტექსტობრივი სიტუაციიდან გამომდინარე ენობრივ მასალაზე აფუძნებს.

ლიტერატურა:

1. უილიამსი ტ. ,,ტრამვაი სახელად ,,სურვილი“ / მთარგმნელი ლ. ინასარიძე.- თბილისი: პალიტრა, 2013
2. უილიამსი ტ. ,,ტრამვაი, რომელსაც ,,სურვილი“ ჰქვია“ / მთარგმნელი: გ.ჯაბაშვილი.-თბილისი: საბჭოთა ხელოვნება, 1983.
3. https://www.goodreads.com/book/show/12220.A_Streetcar_Named_Desire
4. გორგიშელი ნ.პერსონაჟის ენობრივი პორტრეტი დრამატურგიულ ტექსტში და მისი თარგმანში გადატანის სპეციფიკა (ტენესი უილიამსის ,,ტრამვაი, რომელსაც ,,სურვილი" ჰქვიას" გ. ჯაბაშვილისა და ლ. ინასარიძის თარგმანების მიხედვით), ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია.- თელავი, 2017

ეკა ნარსია

„მომხმარებლის გზამკვლევების“ გაგებისათვის საბანკო სფეროში

ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების პროცესში ტექსტის გაგების ასპექტებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, განსაკუთრებით თუ ეს ეხება ცოდნის ტრანსფერს, როდესაც ურთიერთგაგება მიღწეულ უნდა იქნას დარგის სპეციალისტსა და არასპეციალისტს შორის. რეციპიენტს ინფორმაცია ისე უნდა მიეწოდოს, რომ მან ტექსტის შინაარსის გაგება საკუთარი გამოცდილებისა და კონკრეტულ დარგში არსებული ცოდნის საფუძველზე შეძლოს. არასპეციალისტისთვის დარგობრივი ცოდნის გადაცემის პროცესში ყველაზე დიდ პრობლემად სწორედ ტექსტის ენობრივ აგებულებას მიიჩნევენ.

საბანკო სფერო განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდება, ბევრ შემთხვევაში მომხმარებლის ინფორმირებულობა და ცოდნა დაბალია, ამას ემატება დარგის სპეციფიკა, რაც კიდევ უფრო ურთულებს მომხმარებელს მდგომარეობას. საფინანსო ინსტიტუტებთან კომუნიკაცია ხშირად გაუგებარია და მომხმარებელს აქვს იმის განცდა, რომ ინფორმაცია გამიზნულად არის გაუგებრად ფორმულირებული მოსალოდნელი რისკების დაფარვის მიზნით. შესაბამისად, დგება ამ დარგის ტექსტების შედგენის, მოდელირების, გაგების პრობლემა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა გერმანულენოვანი ტექსტების შედარება ქართულენოვანთან და გერმანიის, როგორც განვითარებული საბანკო სისტემის მქონე ქვეყნის, გამოცდილების გაზიარება.

ნაშრომის მიზანია საბანკო სფეროში არსებული გერმანულ- და ქართულენოვანი გზამკვლევების კონტრასტული ანალიზი, რომელიც ძირითადად ფოკუსირებულია ტექსტის გაგების მოდელზე, რადგან საბანკო სფეროში არსებული ინსტრუქციული ტექსტების კვლევისას საქმე გვაქვს ტექსტის იმ ენობრივ

მახასიათებლებთან, რომლებიც მკითხველისთვის გასაგები უნდა იყოს, რათა მან სამართლებრივად გამართული საბანკო ოპერაციები აწარმოოს.

ნაშრომის კვლევის შედეგები საინტერესოა დარგობრივი ტექსტის ლინგვისტიკისათვის, დარგობრივი თარგმანისათვის, თარგმანის სწავლების, ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების ტექნოლოგიებისთვის. აგრეთვე დარგობრივი ენების სწავლების პროცესში, ინსტრუქციული ტექსტების ენობრივი და კულტურული მახასიათებლების განმარტებისა და გაგებისათვის.

გზამკვლევი განეკუთვნება სარეკომენდაციო, საკონსულტაციო ტექსტის სახეობებს და სხვა ტექსტის სახეობებთან შედარებით უფრო ახლოს არის ზოგად ენასთან. ინგლისურში ამ ტექსტის სახეობას შემდეგი სახელწოდებით ვხვდებით: booklet, guide, guideline; გერმანულში – Ratgeber, Ratschläge, Richtlinien; ქართულში კი – გზამკვლევი, მეგზური, ბროშურა, ბუკლეტი, გაიდი, გაიდლაინი. მათი მოცულობა, როგორც წესი, მერყეობს 12 - დან 30 გვერდამდე.

სარეკომენდაციო ტექსტის სახეობები [Fandrych... 2011: 250] გვხვდება სხვადასხვა კონტექსტში, იმ თემატიკის შესაბამისად, რომელთან დაკავშირებითაც გაიცემა რჩევები, საკომუნიკაციო სიტუაციის მიხედვით. ასეთი ტიპის ყველა ტექსტისთვის საერთოა ძირითადი პრინციპი - რჩევის მძებნელი პრობლემატურ სიტუაციაში მეორე პირს მიმართავს დახმარების თხოვნით. ეს რეკომენდაცია შესაძლებელია მოქცეული იყოს ინსტიტუციურ ჩარჩოში. მრჩეველი შესაძლებელია იყოს ექსპერტი ან ჰქონდეს შესაბამისი განათლება (ძირითადად ამ კონკრეტულ სფეროში განათლებამიღებული ადამიანები; მაგალითად, სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სამართლებრივი, ტექნიკური და ა. შ. რეკომენდაციების გაცემისას). რეკომენდაციები შეიძლება გაიცემოდეს საჯაროდ, რაც გულისხმობს როგორც უშუალო ადრესატს, ასევე სხვა ადრესატებსაც. განასხვავებენ გზამკვლევების სხვადასხვა მედიაფორმატს, მაგალითად, ბეჭდური, სატელეფონო, ასევე ინტერნეტგზამკვლევის ან სპეციალური რადიოგადაცემის სახით და ა. შ.

ხშირ შემთხვევაში მათი ადრესატები არიან არა მხოლოდ რჩევის მაძიებლები, არამედ ანონიმური საზოგადოება, გაზეთის, ჟურნალის მკითხველი, ინტერნეტის მომხმარებელი. ხშირად გამოგონილია ცალკეული ინდივიდები, რომელთა პრობლემაც განიხილება, განხილული პრობლემები კი ზოგადი ხასიათისაა და რეკომენდაციებიც, შესაბამისად, ფართო სპექტრზეა გათვლილი. რჩევის გამცემი, ხშირად სახელის გარეშე, რუბრიკის სათაურშივე არის მოხსენიებული.

წერილობით კომუნიკაციაში გზამკვლევებს განასხვავებენ დიალოგური სარეკომენდაციო ტექსტებისგან სტრუქტურის მიხედვით. ასეთ ტექსტებში გარკვეულ ვითარებასთან მიმართებით გასცემენ რჩევებს, თუმცა ისე, რომ კონკრეტული პრობლემა არ არის ვერბალიზებული, შესაბამისად, შეუძლებლია რჩევის მაძიებლის იდენტიფიკაცია.

ამ ტექსტის სახეობის საანალიზო კორპუსს შეადგენს 20 გერმანულენოვანი და 20 ქართულენოვანი გზამკვლევი, რომელთაგან ზოგი ბეჭდური, ზოგი ელექტრონული ფორმით გვხვდება. ამ ტიპის ტექსტებს გვთავაზობენ როგორც თავად ბანკები (ეროვნული და კერძო), მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ასევე მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები და კერძო პირები.

დ. ლიოფლერი გზამკვლევებს მიაკუთვნებს მედიატექსტების კლასს, კერძოდ, ჟურნალისტურ ტექსტებს, ხოლო ტექსტის სახეობის თვალსაზრისით მათ განასხვავებს სარეკომენდაციო ტექსტის მოკლე რჩევა/რეკომენდაციისგან და კითხვა-პასუხისგან [Löffler, 2007: 16].

ფანდრიხ/თურმაირის [Fandrych... 2011: 251] აზრით, სარეკომენდაციო ტექსტები გვხვდება ბეჭდური მედიის საჯარო კონტექსტში. რჩევის მაძიებელი პირი ეძებს კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად რთული სიტუაციიდან გამოსავალს, სურს პრობლემის დადებითად გადაჭრა, მაგრამ არ იცის, რა გზით უნდა შეძლოს ეს, რჩევის მიღების შედეგად კი მოსალოდნელია კონკრეტული სამოქმედო გეგმის და პრობლემური სიტუაციიდან გამოსავლის ჩვენება.

სხვადასხვა ვარიაციის მიუხედავად, სარეკომენდაციო ტექსტების ძირითადი მახასიათებელი არის ის, რომ ისინი სტრუქტურულად ორი ნაწილისგან შედგება: პირველ ნაწილში მოცემულია რჩევის მაძიებლის პრობლემის ექსპლიკაცია, ახსნა შეკითხვის ფორმით, ხოლო მეორე ნაწილში რჩევის გამცემის მხრიდან შეთავაზებულია პრობლემის გადაჭრა პასუხის ფორმით. პირველ ნაწილში (ძირითადად ნარატიულად) წამოჭრილია პრობლემა, რომელიც ზოგჯერ კონკრეტული შეკითხვის ფორმატით არის წარმოდგენილი. მეორე, პრობლემაზე რეაგირების ნაწილში რჩევის მიმცემი ცდილობს სიტუაციის გაანალიზების საფუძველზე რეკომენდაციის გაწევას და პრობლემის გადაჭრას. ის რჩევის მიმღებს სთავაზობს სამოქმედო გეგმას (ან რამდენიმე ალტერნატივას), რომელიც ხშირად ინსტრუქციული ხასიათისაა და მიზნად ისახავს მომხმარებლის ქმედებაზე ზეგავლენას. ეს ინსტრუქციები, რა თქმა უნდა, არ არის ვალდებულებითი ხასიათის, ამა თუ იმ ქმედების განხორციელება მხოლოდ ადრესატზეა დამოკიდებული. ამ ტიპის ტექსტის სახეობების ფუნქცია ძირითადად არა ინსტრუქციული, არამედ სარეკომენდაციო-მორალისტური ხასიათის არის, რაც ზოგჯერ ტექსტში არც არის ექსპლიციტურად გამოხატული.

ფინანსურმა კრიზისმა განსაკუთრებული ზეგავლენა იქონია საბანკო სფეროზე. მის მომხმარებელს (ფიზიკურ პირებს) საბანკო პროდუქტების შინაარსის და რისკების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მისთვის გასაგებ ენაზე. ბანკებს ეძლევათ შესაძლებლობა, მოიპოვონ მომხმარებლის ნდობა ადვილად გასაგები და გამჭვირვალე ინფორმაციის საფუძველზე.

უკანასკნელ პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წერილობით ფიქსირებული, ინსტრუქციული ხასიათის ტექსტებს, რომლებიც როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით გვთავაზობენ დახმარებას ამა თუ იმ პროდუქტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისა თუ მათი ეფექტიანი სარგებლობისთვის. შესაბამისად, გაზრდილია მოთხოვნები ამ ტიპის ტექსტის სახეობების მომხმარებლების, ასევე მათი შემდგენლების მხრიდან, რაც განპირობებულია სხვადასხვა სფეროში ახალი რეგულაციების დანერგვით,

სტანდარტიზაციის მიზნით მსოფლიოში აღიარებული რეკომენდაციებით, შესაბამისი ტექსტების მომხმარებელთა მხრიდან გაზრდილი მოლოდინით.

ინტერნეტშიც შესაძლებელია დიდი რაოდენობით სხვადასხვა ტიპის ონლაინ-გზამკვლევის პოვნა, როგორც ბანკების, ასევე ინტერნეტში წარმოდგენილი სხვადასხვა მედიასაშუალების ვებგვერდზე, რომლებსაც დამატებული აქვთ გზამკვლევის ფუნქცია.

მომხმარებლისთვის განკუთვნილი გზამკვლევები ხშირად საკომუნიკაციო ფუნქციას ვერ ასრულებენ, რადგან ისინი გასაგებად არ არის ფორმულირებული. ამ კვლევის მიზანია დავადგინოთ, თუ რამდენად გასაგებია გერმანულ- და ქართულენოვანი გზამკვლევები.

კვლევისთვის გამოყენებულია კარლსრუეს მოდელი, ე. წ. ს. გიოპფერიხის მოდელი [Göpferich, 2002], მის მიერ თეორიულად ჩამოყალიბებული ექვსი განზომილება, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია გაუგებარი ტექსტური მახასიათებლების ახსნა და კატეგორიზაცია.

ს. გიოპფერიხის მოდელის მიხედვით, ტექსტის გაგების ექვსი განზომილებიდან ანალიზისთვის გამოყენებულია მხოლოდ ოთხი: სიმარტივე, სიცხადე/მკაფიოობა, სტრუქტურა, ტექსტის პერცეფცია (Simplizität, Prägnanz, Struktur, Perzipierbarkeit) [Göpferich, 2002].

„სიმარტივის“ განზომილება გულისხმობს სიტყვათა შერჩევისა და წინადადების აგებულების სიმარტივეს. მის დასადგენად აუცილებელია ლექსიკური და გრამატიკული სიმარტივის ანალიზი. ლექსიკურ სიმარტივეში იგულისხმება ის აუხსნელი, განმარტების გარეშე მოცემული ფორმულირებები და შემოკლებები, რომლებიც მკითხველისათვის გასაგებად მიიჩნევა და კონკრეტული ტექსტის სახეობისთვის არის დამახასიათებელი. სიმარტივის უზრუნველსაყოფად ასევე რამდენიმე კრიტერიუმი სახელდება: უცხოური სიტყვები ან დარგობრივი ტერმინები, რომელთა გამოყენება ტექსტში ეკონომიურობით არის განპირობებლი და საკმარისადაა

ახსნილი. აქედან გამომდინარე, გამოსაკვლევია, ტექსტში მოცემული ესა თუ ის სინონიმი მკითხველისთვის ადვილად გასაგებია თუ არა [Göpferich, 2002: 176]; ტერმინი ყოველთვის ერთი და იმავე სახელწოდებით ანუ სინონიმების გარეშე უნდა იყოს მოხსენიებული; არასასურველია აბსტრაქტული ცნებები და გრძელი კომპოზიტები [Göpferich, 2002: 185].

ქვემოთ მოყვანილია ნიმუში, როდესაც ტერმინოლოგია დამაბნეველია, სახელწოდება ძალიან ბევრი სინონიმის დახმარებით არის ახსნილი, რასაც საბოლოოდ გაუგებრობამდე მივყავართ:

*„Der **Ratenkredit** ist das klassische **Verbraucherdarlehen** für Konsumzwecke. Banken und Sparkassen bieten Ratenkredite aus Verkaufsgründen unter unterschiedlichen Bezeichnungen wie **Privatkredit**, **Onlinekredit**, **Sofortkredit**, **Kleinkredit** oder **Konsumkredit** an. Dabei handelt es sich stets um dasselbe Produkt - eben einen Ratenkredit.“*

სინტაქსური სიმარტივის მისაღწევად წინადადების კომპლექსურობა და სიღრმე უნდა შემოიფარგლოს მისი საკომუნიკაციო ფუნქციიდან და ტექსტის სახეობის პირობითობიდან გამომდინარე. რთული წინადადებები, შეძლებისდაგვარად, მოკლე და გრამატიკულად მარტივი წინადადადებით უნდა ჩანაცვლდეს, რაც თავიდან აგვარიდებს კომპლექსურ და ჩართულ წინადადებებს. ნაკლებად კომპლექსური იქნება წინადადება, თუ შევამცირებთ ნომინალიზაციის, ფუნქციური ზმნების, პასივის და დიდი რაოდენობით კავშირების გამოყენებას [Göpferich, 2002: 178-180].

შემდეგ მაგალითში მოცემულია ძალიან გრძელი რთული ქვეწყობილი წინადადება (45 სიტყვა) ექვსი კავშირით:

*„**Denn** auch **wenn** das Sparkonto gut verzinst wird, muss man bedenken, **dass** die Zinsen für den Kontokorrentkredit im Schnitt zweieinhalb- bis dreimal höher liegen, **was** dann unterm Strich dazu führt, **dass** man draufzahlt, **wenn** man den Dispo über längere Zeit unausgeglichen im Minus stehen lässt.“*

ლექსიკური სიმარტივე დაკავშირებულია დარგობრიობის ხარისხთან. გზამკვლევები ძირითადად დარგის არასპეციალისტებზეა გათვლილი, ამიტომ შიდადარგობრივი კომუნიკაციის ტექსტის სახეობებთან შედარებით მათში ნაკლებად უნდა გვხვდებოდეს დარგობრივი ტერმინოლოგია. თუმცა როგორც გერმანულ, ასევე ქართულ ტექსტებში დომინირებს სხვადასხვა სინონიმით წარმოდგენილი დამაბნეველი ტერმინები. გრამატიკული სიმარტივის თვალსაზრისით, ხშირად გვხვდება როგორც გრძელი, რთული ქვეწყობილი წინადადებები, ასევე ნომინალური სტილი. ეს განსაკუთრებით ეხება გერმანულენოვან გზამკვლევებს, ხოლო ქართულენოვან ტექსტებში წინადადებათა თანწყობა დომინირებს.

ტექსტი არ უნდა შეიცავდეს ზედმეტ ნაწილებს, მაგრამ არც მნიშვნელოვანი ინფორმაციის ნაკლებობა არის დასაშვები. ტექსტის ზედმეტ ნაწილებს მივყავართ რთულადგასაგებ ტექსტამდე. შესაძლოა ტექსტის ზედმეტი ნაწილები არ ართულებდნენ ტექსტის გაგებას, თუმცა გრძელი ტექსტის რეცეფციისთვის მკითხველს მეტი ძალისხმევა სჭირდება.

გიოპფერიხის თანახმად, არასაკმარისი ინფორმაციულობა ჩნდება, როდესაც გამოყენებულია სიტყვა ან დარგობრივი ტერმინის ასაღწერი ფორმულირება, რომელიც დარგის სპეციალისტისთვის გასაგებია, ხოლო არასპეციალისთვის უცხოა. იმისათვის, რომ ტექსტი არასპეციალისტისთვის გასაგებად იყოს აგებული, შინაარსი უნდა გადმოიცეს ექსპლიციტურად, მკაფიოდ. შიდადარგობრივი კომუნიკაცია წინარე ცოდნას მოითხოვს, არაპროფესიონალისთვის კი შეუძლებელია ტექსტის გაგება არასაკმარისი წინარე ცოდნის არარსებობის გამო.

ცხადია, არასრული ინფორმაციის მიღებისას მკითხველი უკმაყოფილო დარჩება, რაც უარყოფით ზეგავლენას იქონიებს მის მოტივაციაზე. ქვემოთ მოყვანილ მაგალითში არასპეციალისტისთვის უმჯობესი იქნებოდა უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებული განმარტება:

„კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის წესის მიზნებისათვის ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გარკვეული წესით მიბმულია რაიმე საჯარო ინდექსზე და რომლის ცვლილებაც აღნიშნული ინდექსის ცვლილებითაა გამოწვეული; საჯარო ინდექსი არის ისეთი საჯაროდ ხელმისაწვდომი მაჩვენებელი, განაკვეთი ან ინდექსი, რომელზეც ბანკი ვერ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას.“

აქვე მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, რომლებიც ტექსტის მკაფიოობას, სიცხადეს აზიანებენ. არასაკმარისი ინფორმაციულობის მაგალითს წარმოადგენს ამონარიდი გერმანულენოვანი გზამკვლევიდან, რომელშიც მეორე წინადადება პირველის დამატებაა და მოცემულია სქოლიოში ძალიან მცირე ზომის შრიფტით და პირველ წინადადებაში გადმოცემულ ინფორმაციას სრულად ეწინააღმდეგება:

„Bei Abhebungen im Ausland an Geldautomaten mit BusinessCard mit PlusPaket entfällt das Bearbeitungsentgelt.“

„Das Entgelt für Fremdwährungsumsätze sowie für EUR-Umsätze in nicht zum EWR gehörenden Staaten ist hiervon unberührt.“

ხშირია აგრეთვე ტერმინების სიმრავლე ახსნა-განმარტების გარეშე:

„Der Kontokorrentkredit an Privatpersonen wird als standardisierter Dispositionskredit zur Verfügung gestellt und dient der Konsumfinanzierung (Konsumkredit).“

უმნიშვნელო და სრულიად ზედმეტი დეტალები დასახელებულია როგორც ქართულ, ასევე - გერმანულენოვან ტექსტებში, რომლებიც მკითხველს არავითარ ახალ და საჭირო ინფორმაციას არ აწვდის:

„Die GeldKarte ist die elektronische Schwester von klassischem Bargeld und Geldbörse – wer sie in den Händen hat, kann damit bezahlen.“

ქართულ გზამკვლევებშიც ვხვდებით ასევე ზედმეტ, არასაჭირო ინფორმაციას:

„ხარჯების ამ ორომტრიალში, მოდი, „ყველა კვერცხს ერთ კალათში ნუ მოვათავსებთ.

ოვერდრაფტი ძალიან ჰგავს საკრედიტო ბარათს. განსხვავება ისაა, რომ ოვერდრაფტი, ჩვეულებრივ, მიბმულია მოხმარებლის ხელფასზე და ათვისებულ თანხაზე არ მოქმედებს საშეღავათო პერიოდი.“

ვინაიდან ადრესატების დიდ ნაწილს საბანკო სფეროში მწირი წინარე ცოდნა აქვს, ეფექტიანი დარგობრივი კომუნიკაციის საწარმოებლად გზამკვლევები არ უნდა შეიცავდეს დიდი რაოდენობით ტერმინებს. მათ ნაცვლად აუცილებელია მთელი რიგი განმარტებების და მეტაკომუნიკაციური ელემენტების დამატება. თუმცა, სამწუხაროდ, ნაკლებად გვხვდება ამ ტექსტის სახეობაში მეტაკომუნიკაციური ელემენტები და შემოიფარგლება მხოლოდ მითითებებით ან დარგობრივი ტექსტის ახსნა-განმარტებით.

„სტრუქტურის“ განზომილება ეხება ტექსტის შინაარსობრივ სტრუქტურირებას, როდესაც, მაგალითად, შინაარსობრივი შეუთავსებლობაა ტექსტსა და მის სათაურს შორის. სტრუქტურის განზომილებაში გიოპფერიხი განასხვავებს მაკრო- და მიკრო დონის სტრუქტურას. მაკროდონე ცდება ორ ერთმანეთის მოსაზღვრე წინადადებას, ანუ ეს დონე მოიცავს აბზაცებს და დიდ ერთეულებს, ხოლო მიკროდონე კი არ აღემატება ორ წინადადებას.

საბანკო სფეროს გზამკვლევების სტრუქტურა ვლინდება მაკროდონეზე აბზაცების დიდ რაოდენობაში. ეს აბზაცები ტექსტის შინაარსს ანაწევრებს ინფორმაციის იმ ერთეულებად, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება და რომელთა გადამუშავებაც კოგნიტიური თვალსაზრისით ერთად ხდება. აგრეთვე გვხვდება დიდი რაოდენობით სათაური (ქვესათაური), რომლებიც მომდევნო აბზაცის შინაარსზე მიგვანიშნებენ და ამით ინფორმაციის სწრაფ და ზუსტ დახარისხებას უწყობენ ხელს.

მაკროსტრუქტურის მიხედვით, საბანკო სფეროში გვხვდება სამი სხვადასხვა ტიპის გზამკვლევი: ე. წ. მეგზური, საბანკო/საფინანსო რჩევები და კითხვა-პასუხი. თვით ბანკების მიერ შემუშავებული გზამკვლევები ერთანეთთან მსგავსებით

გამოირჩევა. მაგალითად, თიბისი ბანკი საკუთარ მომხმარებლებს სთავაზობს ჟურნალ „Closer“_-ს (თქვენ გვერდით), რომლის შემადგენელი ნაწილია ხელოვნებისა და კულტურის სიახლეებთან ერთად, ფინანსები, კერძოდ, ფინანსური რჩევები. ჟურნალი არსებობს როგორც ელექტრონული, ასევე – ბეჭდური სახით. წარმოგიდგენთ ფინანსური რჩევების მაკროსტრუქტურას:

სათაური – *„მზად ხართ მომავლისთვის? Are you prepared for the Future?“*

ავტორი ფოტოსთან ერთად

„ დაზოგვა Savings

1. „ მომავალი შორსაა“ 1. The Future is Far Away

2. არ გვაქვს „ ზედმეტი“ ფული დასაზოგად 2. We don´t have any money left over for savings

3. მოკლევადიანი ხედვა 3. Short-term Vision

4. მომავლის ოპტიმისტური შეფასება 4. Optimistic Assessment of the Future

5. ვიცით, მაგრამ არ ვაკეთებთ 5. We Know It, but We Don´t Do It

დაზოგვა და რისკების მართვა Savings and Risk Management

ფულის დაბანდების შეფასების ჩარჩო Investment Assessment“

საინტერესოა, რომ ტექსტი დაბეჭდილია როგორც ქართულ, ასევე - ინგლისურ ენაზე, ამ შემთხვევაში ბანკის ადრესატს წარმოადგენენ, აგრეთვე, ის უცხოელები, რომლებიც დაინტერესდებიან ამ დარგში არსებული სიახლეებით.

სათაურები ტიპური ტექსტებია, რომლებსაც კომპლექსური ფუნქციური დატვირთვა აქვთ და შედარებით მარტივად არიან სტრუქტურირებული. ისინი, ტექსტის სახეობების მსგავსად, კონვენციონალურ და ინდივიდუალურ მახასიათებლებს

შეიცავენ. ტექსტის ძირითადი სათაური მაკროპროპოზიციის გამოხატულებაა, ხოლო ქვეთავების სათაურები თემატურად არის ფორმულირებული და თემის განვითარებაზე მიგვანიშნებს. ვიზუალურად ისინი თვალშისაცემია მუქი ან გადიდებული შრიფტით.

გერმანულენოვან გზამკვლევებში ქვესათაურები შესაბამისი ტექსტის ნაწილის ფუნქციაზე მიგვანიშნებს. მაგალითად:

„Tagesgeld und Festgeld Angebote

Unterschiede bei den Girokontogebühren beachten

Worauf ist bei einer Tagesgeldanlage letztlich zu achten?“

ქართულ ტექსტებში კი ხშირ შემთხვევაში ქვესათაურები მოწოდებით ხასიათს ატარებს:

„დავიწყოთ დღეს და ახლა!

ვმართოთ ჩვენი ბიუჯეტი სწორად

შევადგინოთ ჩვენი ფინანსური ვალდებულებების სია“

ტექსტის დანაწევრების ფუნქციას ასრულებენ კითხვითი წინადადებები. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია გერმანულენოვანი ტექსტებისთვის, სადაც სწორედ კითხვითი წინადადებებით არის გადმოცემული ქვესათაურები. ეს მკითხველს უადვილებს, კონცენტრაცია მოახდინოს კონკრეტულ პრობლემაზე, არ ეძებოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია და ნაკლები ძალისხმევის შედეგად უშუალოდ კონკრეტული შეკითხვის პასუხზე გადავიდეს:

„Wie sieht es mit Tagesgeld und Festgeld aus?

Bietet das Bankinstitut auch eine kostenlose Kreditkarte an und wie sehen die Konditionen in Bezug auf einen potentiellen Kredit aus?

Wird mir ein gebührenfreies Girokonto angeboten?“

გიოპფერიხის თანახმად, „სტრუქტურის“ განზომილების დარღვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ტექსტი შინაარსობრივად სათაურს არ შეესაბამება, რამაც შესაძლებელია მკითხველის დაბნევა გამოიწვიოს და, აქედან გამომდინარე, მის მოტივაციაზე ნეგატიური ზეგავლენა იქონიოს.

სათაურსა და ტექსტის შინაარსს შორის ნაკლები კავშირის მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ ასეთი შემთხვევა:

სათაური: „*Tausche Altersarmut gegen Armut schon in jungen Jahren.“*

ტექსტი: „*Doch wer auf der untergehenden „Titanic“ steht, hat kaum eine Wahl: wenn er springt, heißt übersetzt Dividendenpapiere kauft, kann er ertrinken beziehungsweise Geld verlieren, wenn er nichts unternimmt, geht er sicher unter beziehungsweise wird arm.“*

შემდეგ მაგალითში კი ინფორმაცია არ არის თანმიმდევრულად გადანაწილებული და ასე ირღვევა სტრუქტურის განზომილება. მე-5 გვერდზეა მოცემული ჟიროანგარიშის ფუნქციები, მაშინ, როცა ანგარიშის გახსნის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ 28-ე გვერდზეა გადმოცემული:

„Funktionen des Girokontos – Der Dispositionskredit“ (S 5)

„Die Kontoeröffnung“ (S 28)

ზოგადად, დარგობრივი ტექსტის სპეციფიკური მაკროსტრუქტურის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საკომუნიკაციო ხერხების კომბინაცია. საკომუნიკაციო ხერხები ანუ, თუ ლინგვისტური პრაგმატიკის ტერმინით ვიტყვით, ქმედების ტიპები შესაბამისად, დარგობრივი ტექსტის კოჰერენტულობას უზრუნველყოფენ. ისინი წარმოადგენენ იმ საკომუნიკაციო გეგმის სტრუქტურულ ელემენტებს, რომლებიც გარკვეული ინტენციის რეალიზაციას ემსახურებიან.

გზამკვლევებისთვის დამახასიათებელი საკომუნიკაციო ხერხებია: აღწერა, ახსნა-განმარტება, დეტალურად გადმოცემა, დასაბუთება, შეკითხვა, არგუმენტირება. დღევანდელ გზამკვლევებში გვხვდება აგრეთვე დეფინიცია და გაფრთხილება. აქვე წარმოგიდგენთ დეფინიციის მაგალითს:

„ფიშინგი არის ყალბი მეილი, რომელიც ცდილობს მოიპოვოს თქვენი პირადი და კონფიდენციალური ინფორმაცია, თაღლითობის ჩასადენად ან კომპიუტერზე საზიანო პროგრამის დასაყენებლად.“

გაფრთხილების მაგალითები გვხვდება როგორც გერმანულ-, ასევე ქართულენოვან ტექსტებში:

„Doch auf versteckte Gebühren ***muss*** *auch hier* ***besonders geachtet werden****, denn die einzelnen Angebote unterscheiden sich massiv bei Guthaben und Sollzinsen.“*

„დაბოლოს, კარგად ***დაფიქრდით****, სანამ სესხის ვალუტას აირჩევდეთ:* ***გაიაზრეთ****, თუ რა ვალუტაში გაქვთ შემოსავალი, და* ***დაიმახსოვრეთ****, რომ გაცვლითი კურსის ცვლილებას შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს თქვენი უცხოური ვალუტის სესხის შენატანების ღირებულება ლარში.“*

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება გზამკვლევების ტექსტების სტანდარტიზაცია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სულ უფრო ხშირია ამ ტექსტის სახეობის მაკროსტრუქტურის კითხვა-პასუხის ფორმატში გადაყვანა, რაც, ალბათ, ვიზუალური თვალსაზრისითაც მომგებიანია, რადგან ადრესატი ფოკუსირებულია კონკრეტულ შეკითხვაზე, განსხვავებით იმ დიდი მოცულობის მქონე ტექსტებისგან, რომელთა მაკროსტრუქტურა არც ისე მარტივად აღსაქმელია.

განზომილება „ტექსტის პერცეფცია“ ფოკუსირებულია ტექსტის მაკრო- და მიკროტიპოგრაფიულ მახასიათებლებზე. აქ გაგება/გააზრება ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად არის შესაძლებელი ტექსტის აღქმა შეგრძნების ორგანოებით (სისტემით, რომელიც პასუხისმგებელია შეგრძნებების წარმოქმნაზე). მკითხველმა ადვილად უნდა

შეძლოს ტექსტის შინაარსობრივი სტრუქტურის შეცნობა, მაგალითად, არავერბალური საშუალებებით.

დარგობრივი შინაარსის კოგნიტიურად გადამუშავებისთვის როგორც გერმანულენოვანი, ასევე ქართულენოვანი ტექსტები ნაკლებად აკმაყოფილებენ პერცეფციის პრინციპებს, ფოტოები და ვიდეორგოლები კი მიმართულია პრობლემის ვიზუალიზაციისკენ და არა პრობლემის გადაჭრისკენ.

რაც შეეხება ქართულენოვან ტექსტებს, ბეჭდური ფორმატით არსებულ ტექსტში, კერძოდ, ვიზუალიზაციისთვის გამოყენებულ მასალაში ხშირად ძნელად აღსაქმელია მცირე შრიფტი.

გზამკვლევები ადრესატის ემოციურ დონეზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობენ გრაფიკული ელემენტებით, ინტენსიური ფერებით, სხვადასხვა სახის შრიფტით, სურათებით. მათი ვიზუალური გაფორმება ძირითადად შედარებით მოკრძალებულია. სურათებს მასტიმულირებელი და ინფორმაციული დატვირთვა აქვს. ვიზუალიზაციის საშუალებებიდან ძირითადად დომინირებს ფოტოები, რომლებიც ტექსტის ემოციონალურ აგებულებას უწყობენ ხელს. იშვიათად გვხვდება ვერბალური ტექსტი.

საბანკო სფეროს გზამკვლევებში „სიმარტივის“ განზომილების თვალსაზრისით, განსაკუთრებით გერმანულენოვანი ტექსტებისთვის დამახასიათებელია გრძელი, რთული ქვეწყობილი წინადადებები, ნომინალური სტილი, ასევე ხშირად გვხვდება დარგობრივი ტერმინოლოგია, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ტექსტის გაგებას. სინონიმები მკითხველისთვის არ არის ადვილად გასაგები, ტერმინი ყოველთვის ერთი და იმავე სახელწოდებით არ არის მოხსენიებული, გერმანულენოვან ტექსტებში განსაკუთრებით ხშირია გრძელი კომპოზიტები.

გზამკვლევი - როგორც გერმანული, ასევე ქართული - ხშირად ვერც „სიზუსტის“ განზომილების საკომუნიკაციო მოთხოვნებს აკმაყოფილებს. იგი შეიცავს ზედმეტ ინფორმაციას, მისთვის დამახასიათებელია აგრეთვე მნიშვნელოვანი ინფორმაციის

ნაკლებობა. უცხოური სიტყვები და დარგობრივი ტერმინები, სამწუხაროდ, საკმარისად არ არის ახსნილი.

„სტრუქტურის“ განზომილების კრიტერიუმების დაკმაყოფილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გზამკვლევებისთვის, რადგან ის ამარტივებს ტექსტის რეცეფციას და ხელს უწყობს ინფორმაციის ათვისებას. საბანკო სფეროს გზამკვლევებში ტექსტის ნაწილების შედარებით თავისუფალი წყობაა, რაც განსაკუთრებულად შეინიშნება ქართულ გზამკვლევებში. გვხვდება შინაარსობრივი შეუთავსებლობა ტექსტსა და მის სათაურს შორის, ინფორმაცია არ არის თანმიმდევრულად გადანაწილებული და ამით ირღვევა „სტრუქტურის“ განზომილება.

გზამკვლევების ვიზუალური გაფორმება ძირითადად შედარებით მოკრძალებულია, სურათებს მასტიმულირებელი და ინფორმაციული დატვირთვა აქვს. როგორც გერმანულენოვანი, ასევე ქართულენოვანი ტექსტები ნაკლებად აკმაყოფილებს „პერცეფციის“ პრინციპებს, ფოტოები და ვიდეორგოლები მიმართულია პრობლემის ვიზუალიზაციისკენ და არა პრობლემის გადაჭრისკენ. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის გარემოება, რომ უკანასკნელ პერიოდში ძნელი გასაგებია, სარეკომენდაციო ტექსტს ვკითხულობთ, თუ - სარეკლამო ხასიათისას. ბანკის მიერ გაცემული რჩევები არის ძალიან ზოგადი ხასიათის, არც პრობლემის ექსპლიკაცია ჩანს და არც მისი გადაჭრის კონკრეტული გეგმა.

საბანკო ტექსტების, კერძოდ კი, გზამკვლევების გაგების ასპექტებთან დაკავშირებული, ლინგვისტური კვლევის ჩასატარებლად აუცილებელია შესაბამისი მეთოდოლოგიისა და მკაფიო საანალიზო კრიტერიუმების შემუშვება. კვლევების ჩატარება აუცილებელია საბანკო ტექსტებისა და გზამკვლევების გაგების გამარტივების მიზნით, ასევე კომუნიკაციის გასამარტივებლად. გამარტივება ემსახურება ტექსტის გამჭვირვალებას. გამჭვირვალედ და გასაგებად ჩამოყალიბებული ტექსტი მომხმარებელს უნდა აცნობდეს მოსალოდნელი „სიკეთეების“ პარალელურად (რაც ბანკის ინტერესია) იმ რისკ-ფაქტორებს, რომლებიც მოჰყვება კონკრეტულ საბანკო აქტივობას მომხმარებლის მხრიდან.

ლიტერატურა:

1. Böttcher S. Analysen zur Verständlichkeit medizinischer Fachtexte - Dargestellt an Beispielen der Fachtextsorten Ratgeber, Lehrbuch und Übersichtsarbeit. In: Angewandte Linguistik aus interdisziplinärer Sicht.-Band, Verlag Dr. Kovac, 2013
2. Fandrych, Ch./Thurmair, M. Textsorten im Deutschen. Linguistische Analysen aus sprachdidaktischer Sicht, Stauffenberg Verlag, 2011
3. Göpferich, S. Von Hamburg nach Karlsruhe: Ein kommunikationsorientierter Bezugsrahmen zur Bewertung der Verständlichkeit von Texten // Fachsprache/International Journal of LSP 3-4.-2001.- S.117-138
4. Göpferich, S. Textproduktion im Zeitalter der Globalisierung.- Tübingen: Stauffenburg-Verlag, 2002
5. Löffler D. Eine Analyse von Textsorten in verschiedenen Formaten von „Ratgeberzeitschriften“ Masterarbeit.-Greifswald, 2007

   https://germanistik.uni-greifswald.de/fileadmin/uni-greifswald/fakultaet/phil/germanistik/Mitarbeitende/Gansel/Loeffler_Doreen_2007_.pdf [20.11.2018]

თინათინ ვარდიძე

პოლისემიური სიტყვების სწავლება მაღალ კლასებში

შესავალი

წინამდებარე სტატია განიხილავს ლექსიკის სწავლებას კოგნიტიურ ლინგვისტიკაში შემუშავებული პრინციპების მიხედვით. ყურადღება გამახვილებულია პოლისემიასა და მის შედეგებზე ინგლისური ენის, როგორც უცხო ენის, სწავლების დროს. კვლევები კოგნიტიურ ლინგვისტიკაში აჩვენებს, რომ პოლისემიური სიტყვები აზრობრივად სხვადასხვაგვარად ურთიერთდაკავშირებული მნიშვნელობების სტრუქტურას წარმოქმნის, რომელიც შეიძლება აღიწეროს სისტემურად. ეს მიდგომა შეიძლება, გადმოვიტანოთ და გამოვიყენოთ უცხო ენის სწავლებისას.

მოსწავლეებისა და მასწავლებლების ცნობიერების ამაღლება კოგნიტიურ მექანიზმებზე, რომლებიც ქმნიან მნიშვნელობათა კავშირებს, მნიშვნელოვანია ენის სწავლის პროცესში. იმას არ ვამტკიცებთ, რომ სიტყვების ტრადიციული დაზეპირების მეთოდი უნდა დავივიწყოთ, პირიქით, გვინდა მხარი დავუჭიროთ იმ იდეას, რომ, გარდა დაზეპირებისა, სიტყვის მნიშვნელობათა კოგნიტიური სტრუქტურის აღქმა და დაუფლება დაგვეხმარება სწავლისა და სწავლების პროცესში.

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ, თუ მოსწავლეს ეცოდინება, როგორ ქმნის კონკრეტული კონცეპტუალური მექანიზმები პოლისემიური სიტყვებისა და იდიომების მნიშვნელობების სტრუქტურებს, იგი უფრო ადვილად აღიქვამს და დაიმახსოვრებს მნიშვნელობებს. ანუ, თუ გვსურს, მივაღწიოთ უკეთეს შედეგებს – მოსწავლეებს უნდა განვუმარტოთ სიტყვათა მნიშვნელობების წარმოშობა და დავანახოთ კავშირი პოლისემიური სიტყვის ძირითად და პერიფერიულ მნიშვნელობებს შორის.

საკითხის აქტუალობა

“Tom was fired because of his laziness” – კლასში ხმამაღლა წაკითხულმა წინადადებამ მოსწავლეთა უმრავლესობის აღშფოთება გამოიწვია.

- „ტომი დაწვეს სიზარმაცის გამო“;

- „ტომს ესროლეს სიზარმაცის გამო“ – ასე თარგმნა ეს წინადადება ერთ-ერთმა მოსწავლემ.

თარგმანმა დააბნია კლასის უმრავლესობა. მოსწავლეები მიხვდნენ, რომ რაღაც ისე არ იყო. ადამიანს არ დაწვავდნენ, არ დახვრეტდნენ სიზარმაცის გამო.

რა იყო მოსწავლის შეცდომის საფუძველი? ყველაზე მარტივი პასუხი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მან არასწორად თარგმნა სიტყვა fire. მაგრამ საიდან უნდა ცოდნოდა მას, რომ კონტექსტში to be fired from work/position, სიტყვა *fire* განსხვავებული შინაარსის მატარებელი რომ იყო?! ფრაზა to be fired და ზმნა to fire მოსწავლისათვის მსგავსი პროცესებია, შედეგი კი – განსხვავებული. შეიძლება, ითქვას, რომ მოსწავლემ არაჩვეულებრივად იცის გრამატიკა, მისი შეცდომა სრულიად პრაგმატულია და არა სინტაქსური, ან სემანტიკური. იგი დაეყრდნო კონტექსტს და შეცვალა ზმნა. მან იცის ყველა სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ მაინც ხვდება, რომ რაღაც ისე არ არის და შესაძლებელია, რომელიმე სიტყვა, რომელიც მას ჰგონია, რომ იცის, არის სხვა მნიშვნელობის მატარებელი, მაგრამ საიდან უნდა იცოდეს, რომელი? ამ შემთხვევაში თარგმანი დაეხმარა მას და ეჭვის თვალით შეხედა სიტყვა fire -ის მნიშვნელობას, მაგრამ ვერ გამოიცნო, რა შეიძლებოდა ყოფილიყო სწორი.

როგორც ვიცით, ინგლისური ენა გამოირჩევა პოლისემიურობით, პოლისემიური სიტყვები გვხვდება ინგლისურ ენის როგორც ზეპირ, ისე – წერილობით მასალებში. ანუ სიტყვას აქვს სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული მნიშვნელობა იმ კონტექსტთან მიმართებაში, რომელშიც ის გამოიყენება. ამ სიტყვების უმრავლესობა ხშირად გვხვდება ინგლისურ ენაში, რაც ართულებს კომუნიკაციას ამ ენაზე მოსაუბრესა და მსმენელს შორის. ასევე იწვევს დაბნეულობას საკლასო ოთახში

მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელმა იცის და ხედავს კავშირებს ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობებს შორის, ამჯობინებს კონკრეტულ მომენტში იმ ერთი ძირეული მნიშვნელობით შემოიფარგლოს, რომელიც გამოვლინდება და არ ახსნას კავშირები მნიშვნელობებს შორის, რაც მოსწავლეს აიძულებს, განიხილოს მნიშვნელობები, როგორც ერთმანეთთან დაუკავშირებელი და არასისტემური. ეს ხელს უშლის მასწავლებელსა და მოსწავლეს, გაუმკლავდნენ პოლისემიურ სიტყვებს კლასში. საზოგადოდ, მასწავლებლების უმრავლესობაში გავრცელებულია ტაქტიკა, არ ჩაუღრმავდენენ ასეთ სიტყვებს მაშინვე, უბრალოდ ახსნან ის კონკრეტული მნიშვნელობები, რომლებიც იმ მომენტში გამოჩნდება. თუმცა სიტყვების დაუფლების უფრო ნაყოფიერი სტრატეგია იქნებოდა, ავხსნათ მნიშვნელობები და ვაჩვენოთ მათი კავშირი ერთმანეთთან ან სიტყვის ძირეულ მნიშვნელობასთან. ამ სიტყვების ცოდნა არსებითი წინაპირობაა ლექსიკის ბაზის ფორმირებისთვის [Nation, 1990, 2001, 2008; Cobb, 2006, Hamilton, 2010, 2011], რაც, რასაკვირველია, დაეხმარება ინგლისური ენის შემსწავლელს, გაიგოს ინგლისური ენის ტექსტების 80%. მიუხედავად ამისა, პოლისემიური სიტყვების სწავლება უგულებელყოფილია, ამის მიზეზები კი სხვადასხვაა.

მასწავლებელს არ რჩება დრო, გაკვეთილის პროცესში ახსნას პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობები, ან მას აკლია კვალიფიკაცია. სახელმძღვანელოებში კი არ არის მოცემული არანაირი ინფორმაცია, რომელიც მასწავლებელს დაეხმარება, გაუმკლავდეს მოცემულ საკითხს. მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები ხშირად სრულ თავისტკივილად მიიჩნევა (“complete headache for learners” - Thornbury, 2002:8) როგორც მასწავლებლებისათვის, ისე – მოსწავლეთათვის. ზოგჯერ პოლისემიური სიტყვების სწავლება ვერ ხერხდება, რადგან (Tyler and Evans, 2004) სხვადასხვა მნიშვნელობას ჰომოფონებად (ერთმანეთთან დაუკავშირებელი მნიშვნელობების ჩამონათვალი, რომლებიც შემთხვევით არის კოდირებული იმავე ფონოლოგიური ფორმით) მიიჩნევენ.

ამის საილუსტრაციოდ წარმოადგენენ სიტყვა over-ის შემდეგ მაგალითებს:

a. The picture is over the mantle.

b. The teller at the central bank switched the account over to a local branch.

c. The film is over.

d. Arlington is over the river from Georgetown.

(Tyler and Evans, 2004:152)

ამ მკვლევართა შეხედულების მიხედვით, თანამედროვე უცხო ენის სასწავლო წიგნები ვერ ხსნიან კავშირს ზემოთ მოცემულ მაგალითებში არსებული სიტყვის მნიშვნელობებს შორის. რაც მოსწავლეს უქმნის ფრაგმენტულ სურათს, რომ პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობები გაბნეულია და უწესრიგო. მნიშვნელობაც ისწავლება გაბნეულად, ტრადიციული „თარგმნე, დაიზეპირე“ მეთოდით და არა კოგნიტიური ლინგვისტიკის სიღრმეების გამოყენებით. შეიძლება ითქვას, რომ პოლისემიური სიტყვები ძირითადად ზედაპირულად ისწავლება.

გამოყენებითი ლინგვისტიკის სპეციალისტები სერიოზულად დაინტერესდნენ სიტყვის მნიშვნელობების შესწავლითა და მათი როლით ენის სწავლების პროცესში. ლენონი (1996) იკვლევს მაღალი სიხშირის სიტყვებს, easy და ზმნებს put, go, take და ასკვნის, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეს შეიძლება, ჰქონდეს „ფართო წარმოდგენა“ სიტყვის მნიშვნელობაზე, მას მაინც აქვს ბუნდოვანი ლექსიკური ცოდნა პოლისემიურ მნიშვნელობებსა და ფრაზულ ზმნებზე. ლენონი (1996) ამბობს, რომ საჭიროა გულმოდგინე მუშაობა კლასში მაღალი სიხშირის სიტყვებზე, რომლებიც ხშირად არის პოლისემიური მნიშვნელობების მატარებელი და მონაწილეობს მთელი რიგი იდიომატური გამონათქვამების შექმნაში.

კვლევა

პოლისემიური სიტყვის არასწორი გამოყენება, რა თქმა უნდა, დამღუპველ შედეგს არ მოგვიტანს, მაგრამ შეიძლება, გამოიწვიოს გაუგებრობა ან დაბნეულობა. მოსწავლე

შეიძლება, ადვილად მიხვდეს, თუ რომელი სიტყვის თარგმანია არასწორი, მაგრამ მოცემული სიტყვის სხვა მნიშვნელობების არცოდნის გამო ვერ გაარკვევს შინაარსს.

ამ კონკრეტულ ფენომენთან დაკავშირებით ლაუფერი წერს: „ხშირია, როდესაც მოსწავლემ იცის პოლისემიის ან ომონიმიის ერთი მნიშვნელობა, მაგრამ ვერ ამბობს მასზე უარს, თუნდაც მაშინაც კი, როდესაც კონკრეტულ კონტექსტში მისი მნიშვნელობა განსხვავებულია. მოსწავლის მცდარი დასკვნაა, რომ ნაცნობი მნიშვნელობა ერთადერთია“.[1]

ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსწავლე გაუცნობიერებლად თარგმნის წინადადებას და ფიქრობს, რომ თარგმანი სწორია, თუმცა გადმოაქვს სრულიად სხვა კონტექსტი. მოსწავლემ იცის სიტყვის ფორმა და მისი ერთი მნიშვნელობა, თუმცა არ იცის ის მნიშვნელობები, რომლებიც დაეხმარება სწორი შინაარსის გაგებაში. ასეთ შემთხვევაში მიმართავს ლექსიკონს, რათა გაარკვიოს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ სიტყვას, მაგრამ ამ შემთხვევაში ის შეიძლება, ვერც კი ხვდებოდეს შეცდომას, იცის სიტყვის ერთი მნიშვნელობა და კარგად თარგმნის წინადადებას, თუმცა –არასწორად. ლექსიკონში სიტყვის ძებნა, ერთი შეხედვით, ძალიან მარტივ ამოცანას ჰგავს, მაგრამ ორი ფაქტორია გასათვალისწინებელი. პირველ რიგში, კონკრეტული შინაარსის შერჩევა დამოკიდებულია მოსწავლის უნარზე, სრულად გაიაზროს კონტექსტი, რომელშიც სიტყვა გამოიყენება, გაგებას კი უკვე უშლის ხელს ერთი სიტყვის არცოდნა. კიდევ რომელიმე სხვა სიტყვის არცოდნა ან არასწორი თარგმანი კიდევ უფრო ართულებს გაგებას. და მეორე, ლექსიკონები, თუნდაც მოსწავლეზე ორიენტირებული, სიტყვებს ყოფს პატარა დანაყოფებად. მაგ: როცა სიტყვა head-ს აქვს 32 მნიშვნელობა, ან სიტყვა eye-ს უფრო მეტი, ძნელია შეარჩიო ის, რომელიც გჭირდება, ამიტომ მოსწავლე ხშირად თავს არიდებს ლექსიკონის გამოყენებას და მიმართავს ელექტრონულ რესურსებს, რაც კიდევ უფრო ართულებს მათ გაგებას. ძიება რომ გაუადვილდეს, მოსწავლემ უნდა შეარჩიოს სწორი მეტყველების ნაწილი, რასაც, რა თქმა უნდა, ისე ვერ გააკეთებს, როგორც ეს მასწავლებელს წარმოუდგენია.

სემანტიკური ნიშან-თვისება – მნიშვნელობათა სიმრავლე (სადაც ლექსიკურ ერთეულს ერთზე მეტი მნიშვნელობა აქვს), ამტკიცებს, რომ პოლისემიურობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სიტყვის დასწავლიანობაზე (Laufer, 97) იმ გაგებით, რომ მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები უფრო რთული სასწავლია, ვიდრე – სიტყვა ერთი მნიშვნელობით. ინგლისურში პოლისემიური ან ომონიმური სიტყვები უამრავია. ქვემოთ მოცემულია პოლისემიური სიტყვის მაგალითი:

(1) Head (core) - Top part of your body which houses eyes, mouth, brain etc. : Severe head injuries.

(2) Head (extension 1) - Top person, the leader or person in charge of a group or organization: Eileen is head of the family now.

(3) Head (extension 2) - Top part of, the head of the top of something: Write your name clearly at the head of each page.

(4) Head (extension 3) - Front part of: The head of a hammer (Longman Dictionary of Contemporary English, 1995, p. 657)

სიტყვა „თავის“ განშტოებებს აქვს მეტაფორული მნიშვნელობები და შეიძლება, ადვილად უკავშირდებოდეს მათს ძირითად, ლიტერატურულ მნიშვნელობას. მაგალითად: მეორე განშტოება top-person, the leader or person სათავეს იღებს ლიტერატურული მნიშვნელობიდან „თავი“ – ხელმძღვანელი, რომელიც ხაზს უსვამს, რომ სხეულის ეს ნაწილი არის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რადგან ის შეიცავს ტვინს. მესამე განშტოება – top part of „ზედა ნაწილი“ მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ თავი არის სხეულის ზედა ნაწილი. ასეთი ცხადი ურთიერთკავშირი მნიშვნელობებს შორის ამსუბუქებს სწავლის პროცესს. კვლევები აჩვენებს, რომ ასეთი მნიშვნელობათა ურთიერთდაკავშირება შეიძლება დაეხმაროს მოსწავლეს, ისწავლოს ძირითადი მნიშვნელობა და მნიშვნელობის მეტაფორული გადატანა უფრო ადვილად დაიმახსოვროს (Csábi, 2004; Evans and Tyler, 2008; Boers and Lindstromberg, 2008). მაგრამ თუ ლექსიკოგრაფები, მასწავლებლები და მოსწავლეები ვერ ხედავენ ამ კავშირებს პოლისემიური სიტყვის ძირითად და პერიფერიულ მნიშვნელობებს შორის, სასწავლო

ტვირთი, ისევე, როგორც სწავლება, უფრო რთულდება. მაგალითად, ისეთ შემთხვევაში, როგორიცაა ბევრჯერ ნახსენები მაგალითი bank *(1) ფინანსური ინსტიტუტი, (2) მდინარის ნაპირი* – უფრო ართულებს მოსწავლის ტვირთს, რადგან ეს ყველა მნიშვნელობა უნდა დაისწავლოს ცალ-ცალკე.

დღეს უკვე კოგნიტიურ სემანტიკაში არსებული კვლევების წყალობით, რომელიც ტარდება პოლისემიური სიტყვების სწავლებასთან დაკავშირებით, პოლისემია აღარ წარმოადგენს სირთულეს, რადგან ნათელი გახდა პოლისემიური სიტყვების ურთიერთგადაჯაჭვულობა და კავშირი. სიტყვები, რომლებიც ადრე ომონიმებად მიიჩნეოდა, ახლა პოლისემიის ჭრილში განიხილება და მასწავლებლები, ისევე როგორც მოსწავლეები, ხედავენ, თუ როგორ წარმოიშობა მეტაფორული მნიშვნელობა სიტყვის ძირითადი მნიშვნელობიდან.

იმისათვის, რომ მოსწავლეს დავეხმაროთ, გააცნობიეროს, თუ რა მექანიზმი უდევს საფუძვლად მნიშვნელობების გადატანას, მნიშვნელოვანია, მივმართოთ კოგნიტიური ლინგვისტიკის კვლევებს.

მეთოდი

მნიშვნელოვანია, სისტემატურად ვასწავლოთ მოსწავლეებს პოლისემიური სიტყვები და მივცეთ დრო, შეძლონ კავშირების გამოვლენა, შემეცნებითი უნარის გამოყენება, რათა აღიქვან მექანიზმი. გაავლონ პარალელი მშობლიურ ენასთან, რაც კიდევ უფრო გაუადვილებთ ენის ათვისებას.

სტატია გთავაზობთ უკვე გამოყენებულ მეთოდს, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია დავანახოთ მოსწავლეს, როგორ დაისწავლოს პოლისემიური სიტყვები უფრო ადვილად და შეიმსუბუქოს ყოველდღიური ტვირთი.

პირველ ეტაპზე საცდელად ავიღეთ ჩვენ მიერ გამოკვლეული რამდენიმე პოლისემიური არსებითი სახელი ინგლისურ ენაში. კერძოდ, ესენია: სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი არსებითი სახელები (თავი, ხელი); სახის ნაწილების აღმნიშვნელი

არსებითი სახელები (პირი, თვალი) და შინაგანი ორგანოების აღმნიშვნელი არსებითი სახელი (გული). სალექსიკონო დეფინიციათა ანალიზის მეთოდის, კონტექსტუალური ანალიზის მეთოდისა და კორპუსული მეთოდოლოგიის გამოყენებით გამოვლინდა, რომ მოცემული არსებითი სახელები არის უნივერსალური და გვაძლევს ***მზისებრ მოდელს,*** რომელიც ნათლად უჩვენებს მოსწავლეს პოლისემიური სიტყვის მთავარ და პერიფერიულ მნიშვნელობებს. ჩვენ მიერ მიღებულ უნივერსალურ მოდელებს ვუწოდეთ არსებითი სახელის მზისებრი მოდელი, რომლის შიგნით გამოვლინდა სამი ქვესახეობა: ***მოკლესხივებიანი მზისებრი მოდელი; გრძელსხივიანი მზისებრი მოდელი*** *(ერთი სხივით)* და ***გრძელსხივებიანი მზისებრი მოდელი*** *(რამდენიმე სხივით)*. კვლევის შედეგები წარმოვადგინეთ სქემის სახითაც და ჩავატარეთ რამდენიმე გაკვეთილი მეათე კლასის მოსწავლეებთან.

მიღებული სქემა მოსწავლეს დაეხმარება სხვადასხვა გადატანითი მნიშვნელობის კავშირი დაინახოს ძირითად მნიშვნელობასთან. მოცემული სქემის საფუძველზე მასწავლებელი შეძლებს, მოსწავლეს დაანახოს კავშირი სიტყვების მნიშვნელობებს შორის, რაც ხელს შეუწყობს აღქმა-დამახსოვრებას.


1.თავი
2. Being the seat of intellect
3. Being the main source of discomfort
4. Being the seat of life
5. Being the source of freedom
6. Having the function of a head
7. Being the upper part of
8. Resembling the shape of a head
9. Growing from a head
10. Being the front part of
11. Being the seat of sensation
3.საზრდო ერთეული, თავის ზომა
14.თავი, სული, საქონელი
15.ჯოგი, ფარა, ხროვა
6. თავისუფლება
10. ადამიანი, პრეტენზია
2. ჭკუა, გონება, ინტელექტი
4. თავისტკივილი ნაბახუსევს.
5.სიცოცხლე, ცხოვრება
24.ირმის რქები
21.ცარცხნილობა
20. თმა
18.კონცხი
25.თავაკი, თავი
26.დამწიფება, თავის ტოლება
29.თავის ფორმა, ქანდაკება
7.ხელმძღვანელობა, პატრონობა
8. დირექტორი, ხელმძღვანელი
9.სოლისტი, ნამყვანი მთხრობელი
12.რანგით პირველი
27.მონეტის წინა პირი
31.გემის, ნავის წინა ნაწილი
32.ისრისპირი, შუბისპირი
11.თავი (ქინძისთავი)
13. თავი (იარაღის ხის ნაწილი)
16.რისამე ზედა ნაწილი
17.პოლო
19.კულმინაციის წერტილი
22.ქაფი (ლუდის)
23.ნაღები რძის
28.საათის
30.მდინარის, ნაკადულის სათავე

სურათი 1

წარმოგიდგენთ მეთოდს, თუ როგორ შეიძლება მიღებული კვლევა გამოვიყენოთ მოსწავლის სასარგებლოდ ინგლისური ენის სწავლების პროცესში სიტყვა head-ის მაგალითზე.

გაკვეთილის გეგმა

დღე 1.

გაკვეთილის თემა: ლექსიკის სწავლება მაღალ კლასებში – პოლისემიური მიდგომა

კლასი: 9-12

დრო: 45 წუთი

გაკვეთილის მიზანი:

- მოსწავლეებმა უნდა შეძლონ პოლისემიური სიტყვების ძირითად და გადატანით მნიშვნელობებს შორის არსებული კავშირის გაანალიზება;
- განასხვავონ პოლისემიური სიტყვების ძირითადი და მეტაფორული მნიშვნელობები.

შესავალი:

ნაბიჯი 1: (მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად) მოსწავლეები პატარა ფურცელზე წერენ ერთ წინადადებას სიტყვა Head-ის გამოყენებით. მას შემდეგ, რაც ყველა დაასრულებს მუშაობას, უზიარებენ თავიანთ წინადადებებს მეწყვილეს.

მასწავლებელი მოისმენს რამდენიმე პასუხს (დრო 5 წუთი).

ნაბიჯი 2: მასწავლებელი დაფაზე ცენტრში წერს სიტყვას head და სთხოვს მოსწავლეებს, უკარნახონ ყველა ის მნიშვნელობა, რაც სიტყვა head-ს აქვს ინგლისურ ენაში გონებრივი იერიშის მეთოდით. მასწავლებელი პასუხებს წერს დაფაზე (დრო 3 წუთი).



ნაბიჯი 3: მოსწავლეები მუშაობენ მცირე ჯგუფებში. თითოეულ ჯგუფს აქვს ლექსიკონი ან ლექსიკონიდან გადაღებული ასლი სიტყვისა head და ცდილობენ, ამოწერონ ყველა ის განსხვავებული მნიშვნელობა, რაც გააჩნია სიტყვას head; ჯგუფის წევრები წარადგენენ მათ მიერ ამოწერილ მნიშვნელობებს, თითო ჯგუფი – 5-7 მნიშვნელობას. მასწავლებელი პარალელურად ახალ მნიშვნელობებს ამატებს დაფაზე მოცემული გონებრივი იერიშის მაგალითებს (დრო - 15 წუთი).

ნაბიჯი 4: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ დაფაზე მოცემული მნიშვნელობებიდან სხვადასხვა მეტყველების ნაწილი და დაფაზევე აწერს, თუ რომელი მეტყველების ნაწილია (3 წუთი).

ნაბიჯი 5: მოკლე ლექცია. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ ცენტრში მოცემული სიტყვა head არის სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა, ხოლო დანარჩენი მნიშვნელობები, რომლებიც ისრებითაა გამოტანილი, არის გადატანითი მნიშვნელობები. ასევე სასურველია, მასწავლებელმა წარუდგინოს სურათი სიტყვა head-ის მნიშვნელობებზე და დაანახოს, თუ როგორაა აკინძული მნიშვნელობები ამა თუ იმ სემანტიკურ კომპონენტზე (იხ. სურათი1). დაიწყოს მარტივი მაგალითიდან სიტყვა თავთან ფორმით მსგავსი სიტყვებით (5 წუთი).

ნაბიჯი 6: მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში. მათ უნდა ამოიცნონ წინადადებებში სიტყვა head-ის ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობები (7 წუთი).

1. She leaned her **head** on his shoulder.
2. Here was a round **head**, covered with petals.
3. He was **head** of the house - the one who made final decisions.
4. Gilman's **head** teacher, gave us directions.
5. His mother shook her **head** and said: No, Benjamin.
6. Soon, at the **head** of a very great army, he marched toward the city which had once been his home.
7. He **headed** towards the mansion.
8. two **heads** are better than one
9. He has a good **head** for figures.
10. The farmer sold twenty **head** of cattle.

ნაბიჯი 7: მოსწავლეები მუშაობენ იმავე ჯგუფებში. ჯგუფები წერენ 3 წინადადებას სიტყვა head-ის ძირითად მნიშვნელობაზე და 3-ს გადატანით მნიშვნელობაზე (7 წუთი).

გაკვეთილის გეგმა

დღე 2

გაკვეთილის თემა: ლექსიკის სწავლება მაღალ კლასებში – პოლისემიური მიდგომა

კლასი: 9-12

დრო: 45 წუთი

გაკვეთილის მიზანი:

- მოსწავლეებმა უნდა შეძლონ პოლისემიური სიტყვების ძირითად და გადატანით მნიშვნელობებს შორის არსებული კავშირის გაანალიზება;
- განასხვავონ პოლისემიური სიტყვების ძირითადი და მეტაფორული მნიშვნელობები.
- გამოიყენონ სიტყვა head-ის ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობები საკუთარ წინადადებებში.

ნაბიჯი 1: მოსწავლეები წყვილში მუშაობენ და ასრულებენ დავალებას:

1 I can't make **heads** or tails of this assignment.
   a. I don’t know what assignment we have
   b. I don’t understand the assignment

2 The mayor walked at the **head** of the procession.
   a. The mayor was in front of the procession
   b. The mayor was at the back of the procession

3 Tom grabbed his guitar and **headed** for the door.
   a. Tom hung the guitar on the door
   b. Tom went towards the door

4 Tom looked at the price tag and shook his **head**.
   a. Tom could buy the jacket
   b. Tom could not buy the jacket

5 Tom shaved his **head** with a straight-edge razor.
   a. Tom cut his head
   b. Tom cut his hair

6 Tom Jackson will be the new **head** of the company.
   a. Tom will be the manager of the company
   b. Tom will be new in the company

7 He's not smart enough to add numbers in his **head**.
   a. To male calculations
   b. To put heavy things on his head

8 There are about 500 **head** of cattle on that ranch.
   a. There are 500 cattle on the ranch’
   b. There are 500 people to take care of cattle

9 She found him sitting alone, his **head** in his hands.
   a. He was sad
   b. He was happy

10 You're going to turn a lot of **heads** with that dress.
   a. Make people angry
   b. Draw attention towards you

ნაბიჯი 2: მონაწილეები მუშაობენ ინდივიდუალურად. წერენ ყველა იმ მნიშვნელობას, რაც ახსოვთ სიტყვა *„თავზე“* წინა გაკვეთილიდან (5 წუთი);

ნაბიჯი 3: მონაწილეები გადანაწილდებიან ჯგუფებში და უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ მნიშვნელობებს (2 წუთი);

ნაბიჯი 3: პირველი ჯგუფი წაიკითხავს მის ერთ მნიშვნელობას, მეორე ჯგუფი კი ამ მნიშვნელობაზე იგონებს წინადადებას. თუ მათ მიერ ნათქვამი წინადადება არასწორია ან შეიცავს გრამატიკულ შეცდომას, ისევ პირველი ჯგუფი კითხულობს მნიშვნელობას და ა.შ. სანამ მათ მიერ ნაბიჯ 2-ში ჩამოწერილი ყველა მნიშვნელობა არ ამოიწურება. მნიშვნელობები შეიძლება გამეორდეს ჯგუფებს შორის (15 წუთი);

ნაბიჯი 4: მოსწავლეები უბრუნდებიან თავიანთ მერხებს. დაწერენ მათ მიერ შერჩეულ ორ მნიშვნელობას პატარა ფურცელზე. მასწავლებელი აკრეფს ყველას წინადადებას და აწყვილებს 2-2 მონაწილეს შემთხვევითობის პრინციპით. სთხოვს, აიღონ 2-2 ფურცელი და 2 წუთის განმავლობაში მოიფიქრონ პატარა დიალოგი. რომელსაც წარუდგენენ მთელს ჯგუფს.

საშინაო დავალება: მოსწავლეებმა შემდეგი გაკვეთილისთვის ლექსიკონიდან უნდა ამოიწერონ სიტყვა hand-ის მნიშვნელობები.

დასკვნა

ზემოთ აღწერილი მეთოდით ჩატარებულმა გაკვეთილებმა ცხადყო, რომ აღნიშნული მეთოდით მოსწავლეები გაცილებით უფრო ადვილად სწავლობენ და იმახსოვრებენ სიტყვის პოლისემიურ მნიშვნელობებს, ვიდრე ტრადიციული დაზეპირების მეთოდით. ანალოგიურად შეიძლება, ჩატარდეს გაკვეთილები სხვადასხვა პოლისემიურ არსებით სახელზე, ამისათვის საჭიროა, მცირე დრო დავუთმოთ იმ სიტყვის დამუშავებას, რომელიც გვსურს, რომ მოსწავლეს ვასწავლოთ. აღნიშნული მეთოდი უფრო სახალისო და საინტერესოა მოსწავლეებისათვის, რადგან განსხვავდება მათი ყოველდღიური გაკვეთილებისაგან, თითქმის ყველა მოსწავლე აქტიურადაა ჩართული საგაკვეთილო

პროცესში, არ უწევთ/ევალებათ სიტყვის დაზეპირება, არამედ პრაქტიკული აქტივობების საშუალებით სწავლობენ სიტყვის მნიშვნელობებს. ეს მეთოდი განსხვავებულია მათ სახელმძღვანელოში მოცემული მასალისაგან და, რაც მთავარია, მნიშვნელოვანია ინგლისური ენის სწავლის პროცესში, რადგან, როგორც ვიცით, ინგლისური ენა გამოირჩევა პოლისემიური სიტყვების რაოდენობით და აღნიშნული არსებითი სახელები მაღალი სიხშირით გამოიყენება როგორც სასაუბრო, ისე – წერით ენაში. ასეთი მიდგომა გააადვილებს კომუნიკაციას მოსწავლესა და მშობლიურ ინგლისურ ენაზე მოსაუბრეს შორის.

ამრიგად, სტატიაში შემოთავაზებულია ახალი მიდგომა პოლისემიური სიტყვების სწავლებისადმი თანამედროვე ინგლისურ ენაში, რომლის გამოყენებაც ნებისმიერ ინგლისური ენის მასწავლებელს შეუძლია.

---

[1]Laufer (1997:26) writes: “It often happens that students know one meaning of a polyseme or a homonym and are reluctant to abandon it even when, in a particular context, its meaning is different. [...] The mistaken assumption of the learner [...] is that the familiar meaning [is] the only meaning”.

ლიტერატურა:

1. Cobb. T.Language Vocabulary Acquisitions. In Horst, M. & TCobb. (Eds). Second special vocabulary edition of Canadian Modern Language Review: 63 (2).-2006
2. Ehrman M. Adult Language Learning Styles and Strategies in an Intensive Training Setting // The Modern Language Journal.- Oxford 74,1990.-p. 311-327
3. Glucksberg S. Understanding of Figurative Language: From Metaphors to Idioms.-Oxford: Oxford University Press, 2001
4. Longman Dictionary of Contemporary English.-Longman, 1995
5. Thornbury S. How to teach vocabulary.- Harlow: Longman, 2002
6. Asher N. Lexical disambiguation in a discourse context. In James Pustejovsky and Branimir Boguraev (eds.). "Lexical Semantics: The Problem of Polysemy".- Oxford: Clarendon Press, 1996
7. Boers F. II Cognitive linguistic approaches to teaching vocabulary and phraseology.- Lindstromberg: Seth, 2008
8. Geeraerts D. Theories of Lexical Semantics.- Oxford: Oxford University Press, 2010
9. Laufer B. Second Language Vocabulary Acquisition: A Rationale for Pedagogy.-Cambridge: Cambridge University Press, 1997
10. Tyler and Evans. Applying Cognitive Linguistics to Learning the Semantics of English to, for and at. An Experimental Investigation.- Georgetown University, 2004

მაია ლომია, რამაზ ქურდაძე, ნინო ჭუმბურიძე, ქეთევან მარგიანი

რთული უარყოფითი სახელური ლექსემები ქართულ ენაში: სტრუქტურა და ფუნქციური განაწილების პრინციპები

ქართულ სალიტერატურო ენაში განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დასტურდება უარყოფითი შინაარსის რთული სახელური ლექსემები, რომელთა ანალიზი მოითხოვს მათი **ა.** *სტრუქტურის,* **ბ.** *ქრონოლოგიის,* **გ.** *ფუნქციური განაწილების პრინციპების* გარკვევას. ჩვენ მიერ საანალიზოდ შერჩეული რთული უარყოფითი სახელური ლექსემების სტრუქტურა ორკომპონენტიანია:[1] (I) **არა**-ძალი, **არა**-ჟამი, **არა**-ღირსი, **არა**-სამართლიანი, **არ**-გაგონილი, **არ**-ნახული... ; (II) **ვაი**-მეცნიერი, **ვაი**-პატრიოტი, **ვაი**-კრიტიკოსი... , (III) **ცრუ**-გმირი, **ცრუ**-მეცნიერება ... ; (IV) **ანტი**-გმირი, **ანტი**-ანდაზა, **ანტი**-სახელმწიფოებრივი... . სახელური ლექსემების პირველი კომპონენტი წარმოშობით არის: უარყოფითი ნაწილაკი (*არა-/არ-*), შორისდებული (*ვაი-*), ზედსართავი სახელი (*ცრუ-*), პრეფიქსი (*ანტი-*). სიტყვაწარმოებითი მორფემის დანიშნულებით გამოყენებულ *არა-/-არ-* ნაწილაკებს სამეცნიერო ლიტერატურაში **მორფემოიდი** ეწოდება [ჯორბენაძე...1988:-4344]. შესაძლოა ამგვარი კვალიფიკაცია მიეცეს მაწარმოებლებად ქცეულ სხვა ენობრივ მონაცემებსაც *(ვაი-, ცრუ-, ანტი-).* მაშასადამე, ზემოთ რამდენიმე ჯგუფით (I – IV) წარმოდგენილი რთული უარყოფითი სახელური ლექსემების შედგენილობა შესაძლებელია ერთ ენობრივ სტრუქტურამდე დავიყვანოთ: ***მორფემოიდი*** **+** ***სახელი.***

საინტერესოა, რა მიმართებაა ერთ მოდელში გაერთიანებულ რთულ სახელურ ლექსემებს შორის ქრონოლოგიისა და სემანტიკის მიხედვით. მათგან ქრონოლოგიურად ყველაზე ძველი ***არა-/არ-*** ნაწილაკიანი წარმოებაა, იმის გათვალისწინებით, რომ დასტურდება ჯერ კიდევ ძველ ქართულში. ***არა-/არ-*** ნაწილაკიან სახელთა გავრცელების ქრონოლოგიაზე, ამ ნაწილაკთა სახელთან შეხამების პრინციპებზე დაწვრილებით არის საუბარი ლ. გელენიძის სტატიაში [გელენიძე,

1984:167-174]; აღსანიშნავია, რომ ავტორი ძველი ქართულის მაგალითებს იმოწმებს ი. აბულაძის ლექსიკონიდან [აბულაძე, 1973]. ჩვენს სტატიაში მაგალითები მოყვანილია ზ. სარჯველაძის ლექსიკონიდან [სარჯველაძე, 1995]. ცნობილია, რომ ამ ორ ლექსიკოგრაფიულ ნაშრომში ერთი და იგივე ლექსიკური ერთეულები თითქმის არ დასტურდება და ამიტომ ისინი ავსებენ ერთმანეთს; ამდენად, ***არა-/არ-*** ნაწილაკიან უარყოფით სახელთა სტატისტიკური მონაცემები, შეიძლება ითქვას, ძველ ქართულშივე იზრდება.

არა + სახელი

(1) **არა**-განსწავლული, (2) **არა**-დამმალველი, (3) **არა**-დამცველი, (4) **არა**-დიმდართაგანი, (5) **არა**-მქონებელი, (6) **არა**-მქჳშროვანი, (7) **არა**-საეჭუელი, (8) **არა**-ქონებაჲ, (9) **არა**-ქონებული, (10) **არა**-შემნანებელი, (11) **არა**-შეყვანებაჲ, (12) **არა**-შეძრულად, (13) **არა**-ცებნაჲ,(14) **არა**-ძიებაჲ, (15) **არა**-ძლებულობაჲ, (16) **არა**-წმიდათაგანი, (17) **არა**-წმინდაჲ, (18) **არა**-წმინდებაჲ, (19) **არა**-ჯეროვნებაჲ [სარჯველაძე, 1995 : 3-4].

არ ნაწილაკი *არა*-ს გაცვეთის შედეგადაა მიღებული[2], თუმცა ეს ქრონოლოგიურად ერთსა და იმავე დროში ხდება და *არ* ნაწილაკი რთული უარყოფითი სახელების შემადგენლობაში ძველ ქართულშივე დასტურდება:

არ + სახელი

(20) **არ**-დამლტვარი, (21) **არ**-თანამქცევი, (22) **არ**-მინდობაჲ, (23) **არ**-მნებებლობაჲ, (24) **არ**-მოÃსენებული, (25) **არ**-მყოფობაჲ, (26) **არ**-მÃუმეველი, (27) **არ**-შეგინებული, (28) **არ**-შეყვანებაჲ,(29) **არ**-ცოდნაჲ, (30) **არ**-ძლებულობაჲ [სარჯველაძე, 1995:4].

უნდა აღინიშნოს, რომ *არა-* ნაწილაკიანი სახელური ფორმები რაოდენობით ჭარბობს *არ-* ნაწილაკიანს. ეს მოვლენა უფრო ადრე შენიშნული აქვს ლ. გელენიძესაც: *„ილია აბულაძის ლექსიკონში უფრო მეტია არა- ნაწილაკიანი სიტყვები“* [გელენიძე, 1984:169]. ჩვენი დაკვირვებით, *არა-* და *არ-* ნაწილაკები ერთსა და იმავე ფუძეს ჩვეულებრივ არ ეხამებიან, თუმცა იშვიათად ესეც შესაძლებელია:

არა + სახელი : არ + სახელი

(31)**არა**-ძლებულობაჲ : **არ**-ძლებულობაჲ, (32) **არა**-ოდეს : **არ**-ოდეს [სარჯველაძე, 1995:3-4].

ზემოხსენებული II, III, IV ჯგუფების რთული სახელები თანამედროვე ქართულშია გაჩენილი. ეს ჯგუფები ნაკლებად პროდუქტიულია იმდენად, რამდენადაც განსაზღვრული რაოდენობის სახელურ ფუძეებს დაერთვიან და სტატისტიკურად ცოტანი არიან.

მაშასადამე, ჩვენ მიერ წარმოდგენილი რთული უარყოფითი სახელური ლექსემები განსხვავებული ქრონოლოგიისა და ერთნაირი ენობრივი მოდელისაა; რაც შეეხება მათ შეფასებას სემანტიკური თვალსაზრისით, შეიძლება ერთ სემანტიკურ ველში გაერთიანდნენ ზოგადად უარყოფითი კონოტაციის გამოხატვის თვალსაზრისით. სემანტიკური სიახლოვის მიუხედავად, ენა, ცალკეული ლექსიკური ერთეულების მაგალითზე მაინც, ესწრაფვის **ფორმობრივი** და **შინაარსობრივი მრავალფეროვნების** წარმოჩენას; კერძოდ, შევუდაროთ ერთმანეთს უარყოფითი სახელები, რომლებიც *არა-* და *ვაი-*თია ნაწარმოები. მაწარმოებლები, თითქმის ერთნაირი სემანტიკის მიუხედავად, ცალკეულ სახელურ ფუძესთან განსხვავებულ მნიშვნელობას გვიჩვენებენ, თვით ამ სახელის მნიშვნელობის ცვლის შესაბამისად: ძველი ქართული: (33) ***მეცნიერი*** = მცოდნე – ***არა-მეცნიერი/არ-მეცნიერი*** [აბულაძე, 1973] = უვიცი, უცოდინარი. ახალი ქართული: (34) ***მეცნიერი*** = მეცნიერების ამა თუ იმ დარგის სპეციალისტი, მკვლევარი [ქეგლ-ი, V, 1958]; ***ვაი-მეცნიერი*** = არშემდგარი სპეციალისტი/მკვლევარი. როგორც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან ჩანს, ახალ ქართულში ლექსემა *მეცნიერის* მნიშვნელობა დავიწროვდა; კონკრეტულ დარგში მოღვაწე ადამიანს დაერქვა; არშემდგარი სპეციალისტის გადმოსაცემად კი ენამ ახალი მორფემოიდი გამოიყენა (*ვაი-*) და სხვა ლექსიკური ერთეული შექმნა: ***ვაი-მეცნიერი. არა-მეცნიერი/არ-მეცნიერი*** ახალ ქართულში არ დასტურდება, მხოლოდ ***არამეცნიერული*** შეიძლება შეგვხვდეს [ქეგლ-ი, I, 1950].

ცნობილია, რომ ქართველურ ენებში დასტურდება საერთო წარმომავლობის უქონლობის აფიქსები: *უ–არ, *უ–ელ, *უ–ო, *უ–ურ [ფენრიხი... 2000:449-451]. შესაბამისად,

ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებაში გამოიყოფა უქონლობის სახელები, რომელთა ერთ-ერთი ძირითადი სემანტიკური მახასიათებელი უარყოფითი კონოტაციის გამოხატვაა. *არა-/არ-* ნაწილაკიანი სახელებისა და უქონლობის სახელების შედარება-შეპირისპირება საინტერესო ენობრივ სურათს იძლევა. ყურადღებამისაქცევია ის ფაქტი, რომ *„ძველ ქართულში უარყოფითობა იწარმოება როგორც ანალიზურად, ასევე სინთეზურად“* [სუხიშვილი, 1984:176]. უარყოფის ანალიზური წარმოებისთვის ძველი ქართული იყენებს ***თვინიერ, გარეშე*** თანდებულებს. ამ თანდებულთა აღნიშნული ფუნქციის შესახებ ვრცლად არის საუბარი არ. მარტიროსოვის სტატიაში [მარტიროსოვი, 1946:239, 244].

სახარების რედაქციებში ერთმანეთს ენაცვლება ანალიზური და სინთეზური ფორმები, რომლებიც სამ ჯგუფად წარმოდგება, თანაც თითოეული ჯგუფი პარალელური ვარიანტებით ხასიათდება:

ა. ანალიზური წარმოება და **სინთეზური წარმოება *უ- . . . -ო* ცირკუმფიქსით:**

(35) ... **თვინიერ იგავისა** არას ეტყოდა მათ (მათე, 13,34 DE)[3], შდრ.:

(36) **უ**-იგავ-**ო**-დ არას ეტყოდა მათ (C)[4];

ბ. ანალიზური წარმოების ფორმები სხვადასხვა თანდებულით:

(37) ... რამეთუ ვერ ეგების წინაწარმეტყუელი **გარნა[5] იერუსალჱმს** წარწყმედად (ლუკა, 13, 33, C), შდრ:

(38) რამეთუ ვერ ეგების წინაწარმეტყუელი **გარეშე[6] იერუსალჱმის** წარწყმედად (DE);

გ. სინთეზური *არა-* ნაწილაკით და ***უ-* პრეფიქსითა** და ***-ურ* სუფიქსით ნაწარმოები ფორმებით:**

(39) და განჰკურნებდა... **არა**-ძლებათა ერისათა (მათე, 4, 28 C) შდრ:

(40) და განჰკურნებდა ... **უ**-ძლ-**ურ**-ებათა ერისათა (DE).

როგორც ვხედავთ, ძველ ქართულში სამივე ტიპის წარმოება სინონიმური მნიშვნელობისაა. შემდგომი განვითარების დინამიკა გვიჩვენებს, რომ ანალიზური წარმოება დაიკარგა, ხოლო უარყოფითნაწილაკიან და უქონლობის სახელებს შორის თანდათან დაიწყო **სემანტიკური დიფერენციაცია,** რამაც განსაზღვრა მათი თანაარსებობა: **„***უარყოფის გამომხატველ ფორმათა პარალელური წარმოება ყოველთვის არ ქმნის სინონიმებს: . . . **უ**-თანასწორ-**ო** – **არა**-თანასწორი“* [ჯორბენაძე, 1984:148-149]. ამ ტიპის მაგალითებია: (41) **უ**-კაც-**ო** – **არა**-კაცი, (42) **უ**-მსგავსი/**უ**-მსგავს-**ო** – **არა**-მსგავსი, (43) **უ**-ღირსი – **არა**-ღირსი [ქეგლ-ი, I, 1950; ქეგლ-ი, VI, 1960].

არა-/არ- ნაწილაკიანი სახელების გააქტიურების პროცესს ხელი შეუწყო რამდენიმე ფაქტორმა, კერძოდ, *არა/არ* ნაწილაკების მონაწილეობამ ანტონიმური ლექსემების წარმოქმნაში: ზუსტი – **არა**-ზუსტი, სტაბილური – **არა**-სტაბილური, გამტანი – **არ**-გამტანი, ქონა –**არ**-ქონა და სხვა. *„თუკი უარყოფის გამომხატველი ანტონიმი ნაწარმოებია უშუალოდ დადებითი ფორმისგან, გამოიყენება **არ/არა** ნაწილაკი“* [ჯორბენაძე, 1984:146]. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში ***არა/არ*** ნაწილაკიანმა (ძირითადად ***არა***- ნაწილაკიანმა) ანტონიმურმა ლექსემებმა ჩამოაყალიბეს **სამეცნიერო ტერმინოლოგია.** უარყოფითი ნაწილაკით მარკირებული სახელური ლექსემა ანტონიმური წყვილის მეორე, დადებით, წევრთან ერთად ქმნის ტერმინს; მაგალითად: (44) დრეკადი – **არა**-დრეკადი, (45) მდგრადი – **არა**-მდგრადი, (46) თავსებადი – **არა**-თავსებადი, (47) არსებითი – **არა**-არსებითი, (48) გამტარი – **არა**-გამტარი, (49) ეკონომიური – **არა**-ეკონომიური, (50) ლეგალური – **არა**-ლეგალური და სხვა. ტერმინოლოგიური სისტემის შექმნა ამ ტიპის ფორმათა გააქტიურების ერთ-ერთ მიზეზადაა დასახელებული სამეცნიერო ლიტერატურაში [ჯორბენაძე 1984, გელენიძე 1984, Tchumburidze... 2018].

უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფითნაწილაკიანი წარმოება დასტურდება ქართული ენის დიალექტებში, განსაკუთრებით პროდუქტიულია ქართულ ცოცხალ მეტყველებაში, თუმცა ამ ეტაპზე ჩვენი განხილვის საგანია არა მთლიანი მასალა (წარმოების ტიპების

მიხედვით), არამედ **არა-/არ-** უარყოფითი ნაწილაკებისა და უქონლობის **უ-** პრეფიქსის მონაწილეობით შექმნილი **თავისებური ფორმები**, რომელთა ანალიზი წარმოაჩენს ენის საშუალებით გამოვლენილ ადამიანის კოგნიტურ შესაძლებლობებს და ენობრივ შესაძლებლობებსაც. უნდა აღინიშნოს, რომ **ასეთ დროს აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს თავად ამგვარ ფორმათა შექმნის პროცესზე, შემაპირობებელ ფაქტორებზე, მათ როლზე ინფორმაციის ჩამოყალიბებასა და გადაცემაში.**

დიალექტური ფორმები

ა. ***არა-*** და ***არ-*** ნაწილაკებით:

(51) **არა-**წესი იყო, ექვსი წელწადი... ხმა არ გამიცია (უმძრახობა, სამცხურ-ჯავახური; ჩაწერის ადგილი: სარო, ასპინძა, საქართველო; 1991; მთქმელი: მარუსა თოთაძე-ბერიძე, ტექსტის ჩამწერი: მარინა ბერიძე, გამოცემის ავტორი: მარინა ბერიძე ,,პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან“)[7];

(52) ნინა **არ-**თვალი[8] ქალია (ს. ზედა საქარა); ცოტა **არ-**თვალი ჯობია ქალი (ს. ბორითი) [ძოწენიძე, 1974: 30];

(53) **არ-**თვალი[9] კაცი მიდიოდა მისკენ [ღლონტი, 1974: 39];

(54) ლოყმან ჰაქიმმა... **არ-**მააკდომელ წამალ იცოდნინა//იცოდინა (ლოყმან ჰაქიმ, კაკური, ინგილოური; ჩაწერის ადგილი: მოსული, საინგილო, აზერბაიჯანი; 1945; მთქმელი: ნასიბ ბურჯალიოფ როსტომ ოღლი; ტექსტის ჩამწერი: გრიგოლ იმნაიშვილი; გამოცემა: გრიგოლ იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი; კორპუსული გამოცემის ავტორები: მარინა ბერიძე, მაია ბარიხაშვილი);

(55) არ-დანამუშავ მიწას გუთნით ჴნიან... (ქდკ-ინგილოური ლექსიკონი, შემდგენლები: მარინა ბერიძე, მაია ბარიხაშვილი, ელენე ნაპირელი, დიანა ამფიმიადი; წყარო: ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, შემდგენელი როგნედა ღამბაშიძე).

ბ. უ- პრეფექსით:

(56) ... უ-გაწყვეტილი ვიარ (მუჰაჯირის ნაამბობი, მუჰაჯირული-ზემოაჭარული; ჩაწერის ადგილი: თუფექჩი ქონაქი, ინეგოლის რაიონი, თურქეთი; 1989; მთქმელი: მუნთაჰა ბაიკოზოღლი-თავდგირიძისა; ტექსტის ჩამწერი: შუშანა ფუტკარაძე; გამოცემა: შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული; კორპუსული გამოცემის ავტორი: ნარგიზა სურმავა);

(57) **უ**-გაკეთებული ის არი, რომე არ გიმიკეთებია... (სოფლის ცხოვრება, მუჰაჯირული-ზემოაჭარული; ჩაწერის ადგილი: ინეგოლი, თურქეთი; 1989; მთქმელი: მეჰმედ ოზბეგი (თავდგირიძე); ტექსტის ჩამწერი: შუშანა ფუტკარაძე; გამოცემა: შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული; კორპუსული გამოცემის ავტორი: ნარგიზა სურმავა);

(58) გზიები კაია, **უ**-გაქანებული მივალ ჩემ სოფელში (საუბარი, მუჰაჯირული-ზემოაჭარული; ჩაწერის ადგილი: ინეგოლი, თურქეთი; 1989; მთქმელი: ემინე ჩიბუკი (გოგიტიძე); ტექსტის ჩამწერი: შუშანა ფუტკარაძე; გამოცემა: შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული; კორპუსული გამოცემის ავტორი: ნარგიზა სურმავა).

გ. ორმაგი *უ*- პრეფიქსით:

(59) ... **უ**-მო-**û**[10]-კითხელა მისმეს რამეს ნუ მისცემ! (ბაჰლული და საწყალ კაცი, ალიაბათური, ინგილოური; ჩაწერის ადგილი: მოსული, საინგილო, აზერბაიჯანი; 1945; მთქმელი: ისმაილ ისმაილოვი ასადუღალა ოღლი; ტექსტის ჩამწერი: გრიგოლ იმნაიშვილი; გამოცემა: გრიგოლ იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი; კორპუსული გამოცემის ავტორები: მარინა ბერიძე, მაია ბარიხაშვილი).

(60) ... **უ**-მო-**უ**-ფიქრეველა ისხნის დანას... (არსენაჲ და ვასილი ნადიროვან წასûლაჲ, კაკური, ინგილოური; ჩაწერის ადგილი: კახი, საინგილო, აზერბაიჯანი; 1946; მთქმელი: არჩილ ჭირიტაშვილი; ტექსტის ჩამწერი: როგნედა ღამბაშიძე; გამოცემა: როგნედა ღამბაშიძე, ინგილოური ტექსტები; კორპუსული გამოცემის ავტორი: როგნედა ღამბაშიძე);

(61) ...**უ**-და-**û**-ლეველა... ფლავ-ხორაგ შეჰჭამნენ? (ძველი დრო, კაკური, ინგილოური; ჩაწერის ადგილი: ალათემური, კახი, საინგილო, აზერბაიჯანი; 1982; მთქმელი: ბესარიონ ოქროჯანაშვილი; ტექსტის ჩამწერი: ვასილ აბაშვილი (კუზიბაბაშვილი); გამოცემა: ვასილ აბაშვილი (კუზიბაბაშვილი), ქართული ენის ინგილოური დიალექტი; კორპუსული გამოცემის ავტორები: მარინა ბერიძე, მაია ბარიხაშვილი);

(62) მე ფაჰჩაჲ პირ **უ**-და-**û**-ნახელა არ წავალ! (ერ სალდათ, კაკური, ინგილოური; ჩაწერის ადგილი: სამთაწყარო, დედოფლისწყარო, კახეთი, საქართველო; 1945; მთქმელი: მოსე პაპიაშვილი; ტექსტის ჩამწერი: გრიგოლ იმნაიშვილი; გამოცემა: გრიგოლ იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი; კორპუსული გამოცემის ავტორები: მარინა ბერიძე, მაია ბარიხაშვილი).

ქართული ცოცხალი მეტყველების ნიმუშები ***[11]****:*

ა. ***არა-***, ***არ-*** ნაწილაკებით:

(63) საზოგადოება **არა**-დადებითად ლაპარაკობს მასზე;

(64) **არა**-დადებითი მუხტი მოდის მისგან;

(65) თავი უნდა აგრძნობინო **არა**-დაჩაგრულად;

(66) ამის ფონზე განაგრძო **არა**-პატიოსანი საქმე;

(67) ეს მოიტანა **არა**-კომუნიკაციამ;

(68) ინტერესების **არ**-დაცვა არ ეპატიება;

(69) მუცალის მკლავის **არ**-მოჭრით თემს გამოუცხადა პროტესტი;

(70) ამ საქმის **არ**-გაკეთების შემთხვევაში კაი დღე არ დაადგებოდა;

(71) სასჯელის **არ**-მოხდის შემთხვევაში ოჯახს მოთხოვდნენ პასუხს.

ბ. ***უ-*** პრეფიქსით:

(72) საქმე ადამიანის **უ**-ინტერესობაშია;

(73) **უ**-კომფორტოდ გრძნობს თავს (შდრ: **არა**-კომფორტულად).

გ. ***არა-*** ნაწილაკითა და ***უ-*** პრეფიქსით:

(74) გლობალური პრობლემაა, თუმცა **არა**-აღმო-**უ**-ფხვრელი;

(75) მაპატიე, **არა-უ**-მიზეზო ვერმოსვლა!

ემპირიული მასალის განხილვის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არა-/ არ- მაწარმოებლებს აქვთ მიდრეკილება და შესაძლებლობა ძირითადი დანიშნულების გვერდით განივითარონ დამატებითი, ფაკულტატური მნიშვნელობაც, რაც გამოიხატება ერთდროულად უარყოფითი სახელური ფორმების **წარმოებასა** *(ძირითადი დანიშნულება)* და მათ **აქტუალიზებაში** *(ფაკულტატური მნიშვნელობა)*. დიალექტებში *ძირითადი* და *დამატებითი* ფუნქციით **უ-** პრეფიქსიც არის დადასტურებული და **არა-/არ-** ნაწილაკიც, ხოლო ცოცხალ მეტყველებაში ძირითადად **არა-/არ-** ნაწილაკია მოცემული. **უ-** პრეფიქსიანი და **არა-/არ-** ნაწილაკიანი ფორმების შედარება გვიჩვენებს, რომ **უ-** პრეფიქსი ყოველთვის ვერ ახერხებს ერთდროულად ორივე ფუნქციის შესრულებას; განსაკუთრებით მაშინ, როცა რანგით ზმნისწინის შემდეგ დგას. ლექსემაში ან მეორე **უ-** პრეფიქსი უნდა გაჩნდეს აქტუალიზატორის ფუნქციით სიტყვის თავში, იხ. მაგალითები (59), (60), (61), (62), ან არსებულმა **უ**-მ თავად უნდა გაუცვალოს ზმნისწინს ადგილი და დაწინაურდეს, იხ. მაგალითები (56), (57), (58), ან კიდევ: **უ-** პრეფიქსიანმა ფორმამ სიტყვის თავში **არა-** ნაწილაკი უნდა დაირთოს, იხ. მაგალითები (74), (75). რაც შეეხება **არა-/არ-** ნაწილაკებს, ორივე ფუნქციის ერთდროულად შეთავსების შესაძლებლობა განპირობებულია ორი გარემოებით: *1. პოზიციით* (იგი ყოველთვის **სიტყვის თავშია** [ომიაძე 2016], ინფორმაციის სტრუქტურირებისას კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფოკუსირებული წევრის თავკიდურა პოზიციას), 2. *სემანტიკით* (სახელურ ლექსემებში **არა-/არ-** ნაწილაკი ყოველთვის კატეგორიული უარყოფის გამომხატველია. არა-/არ-

მორფემოიდით წარმოქმნილი უარყოფითი სახელი (resp. ანტონიმური ლექსემა) უმოკლესი გზაა მოქნილი და ტევადი ინფორმაციის გადასაცემად.

---

[1] თვალსაჩინოებისთვის, ყველა ქვევით დამოწმებულ მაგალითს წარმოვადგენთ დეფისით.

[2] *არა-* და *არ-* ნაწილაკიან სახელებს ცალ-ცალკე ჯგუფად არ გამოვყოფთ სწორედ ამ ნაწილაკთა ერთგვარი წარმომავლობის გამო.

[3] DE - ჯრუჭისა (936 წლის) და პარხლის (973 წლის) ოთხთავები.

[4] C - ადიშის (897 წლის) ოთხთავი.

[5] მოცემულ კონტექსტში *გარნა* გამოყენებულია *გარდა* თანდებულის ფუნქციით.

[6] მოცემულ კონტექსტში *გარეშე = გარეთ.*

[7] დიალექტური მაგალითები, 52-ე და 53-ეს გარდა, აღებულია ქართული ენის დიალექტური კორპუსიდან: http://www.corpora,co/#/ ; მითითების წესები დაცულია.

[8] ართვალი (იმერ.) – ულამაზო, შეუხედავი.

[9] ართვალი (იმერ., ლეჩხ.) – შესახედავად უშნო, არმოსაწონი, უთვალადო ადამიანი.

[10] û < უ

[11] მაგალითები აღებულია ყოველდღიური მეტყველებიდან, სოციალური ქსელიდან.

ლიტერატურა:

1. აბესაძე მ. უქონლობისა და უარყოფითნაწილაკიან ფორმათა სემანტიკური ანალიზი ქარ¬თული ენის დიალექტებში: მოხსენება წაკითხულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს აკაკი შანიძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე: სტუდენტური სექცია (სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოც. პროფ. რ. ზექალაშვილი) 26.02.2017: https://www.¬tsu.ge/ge/faculties/¬hu¬manities/news/aQq678-2F2i¬Gu-ia¬co/?p=1
2. აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი.- თბილისი, 1973
3. გელენიძე ლ. არ/არა-ნაწილაკიანი სახელები ქართულში // ქართული სიტყვის კულტურის საკითხები.-ტ. 6.-თბილისი, 1984.
4. მარტიროსოვი ა. თანდებული ქართულში // იბერიულკავკასიური ენათმეცნიერება.-ტ. 1.-1946
5. ომიაძე ს. უარყოფითი ნაწილაკებით ნაწარმოებ მიმღეობათა სტილისტიკური ფუნქციის შესახებ: მოხსენება წაკითხულია აკად. აკაკი შანიძისადმი მიძღვნილ ტრადიციულ საჯარო სხდომაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ხელნაწერი).-2016
6. სარჯველაძე ზ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი.-თბილისი,1995
7. სუხიშვილი მ. უარყოფითი წარმოების ერთი შემთხვევისათვის ქართულში // ქარ-თული სიტყვის კულტურის საკითხები.- ტ. 6.-თბილისი.-1984
8. ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი.-თბილისი, 2000
9. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: ტ. 1 / პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით.-თბილისი,1950
10. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: ტ. 5 / პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით.-თბილისი,1958
11. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი / პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით: ტ. 6.-თბილისი,1960

12. ქურდაძე რ., თვალთვაძე დ., ლომია მ., მარგიანი ქ., ზექალაშვილი რ., ომიაძე ს. ნაწილაკებითა და აფიქსებით ნაწარმოებ უარყოფით ფორმათა სემანტიკური ანალიზი ქართველურ ენებში: VII საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები.- თბილისი,2016
13. ღლონტი ალ. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა: 1.-თბილისი,1974
14. ძოწენიძე ქ. ზემოიმერული ლექსიკონი.-თბილისი, 1974
15. ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ. ქართული ენის მორფემებისა და მოდალური სიტყვების ლექსიკონი.-თბილისი,1988
16. ჯორბენაძე ბ. უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობებისათვის ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები: ტ. 6.-თბილისი,1984
17. Tchumburidze N., Lomia M., Kurdadze R. The Nominal Models Expressing Absence-Negation in the Literary Georgian and the Role of Translation in their Differentiation: International Conference General and Specialist Translation/Interpretation: Th¬e¬o¬ry, Methods,Practice.- 2018. http://er.nau.edu.ua/bitstream/NAU/33301/1/сборникНАУ2018.pdf

მარინე მჭედლიშვილი

პოლიტიკური ნეოლოგიზმები მსოფლიო პოლიტიკის ჭრილში და მათი ინგლისურიდან ქართულში ტრანსპოზიციის საკითხი

საკითხის ზოგადი მიმოხილვა

თარგმანი ყოველთვის იყო ერთა შორის ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი. შესაბამისად, მის საკითხებს ყოველთვის ცენტრალური ადგილი ეჭირა ლინგვისტურ კვლევებს შორის. ბოლო ათწლეულების განმავლობაში თარგმანმა კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა, რადგან მსოფლიო საზოგადოებას მუდმივად სჭირდება ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა, რაც სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების, დიდი სოციალური ძვრების, ინტენსიური საერთაშორისო ურთიერთობების და გლობალიზაციის ტენდენციების პირდაპირი შედეგია.

იგივე მიზეზებს უკავშირდება ნეოლოგიზაციის ტენდენციების არნახული მასშტაბი. ტექნოლოგიური წინსვლის, სოციალური ცვლილებების, პოლიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების გააქტიურების ფონზე მუდმივად ჩნდება ცნებები, რომელთაც სჭირდებათ სახელდება. რამდენადაც სიტყვების ლექსიკონებში დაფიქსირება რთული და ხანგრძლივი პროცესია, თანამედროვე ენათა უმრავლესობაში არსებობს დიდი რაოდენობით სიტყვები ნეოლოგიზმთა სტატუსით.

თანამედროვე მსოფლიო ნომერ პირველ საკომუნიკაციო ენად ინგლისურს აღიარებს, რადგან ის მეცნიერების, განათლების, ინფორმაციის, ინტერნეტის ენაა. ამიტომ ყველაზე მძლავრი ნეოლოგიზაციის ტენდენციებიც სწორედ ინგლისურ ენას ახასიათებს. რამდენადაც ნეოლოგიზმები კომპლექსური ფენომენია, მათი თარგმანი ბევრ ნიუანსთან არის დაკავშირებული. თარგმნისას განსაკუთრებულ როლს თამაშობს ის, თუ რომელ თემატურ ჯგუფს მიეკუთვნება ნეოლოგიზმი, რადგან თარგმნითი

სტრატეგიები და თარგმნის ზოგადი ტენდენციებიც სწორედ ამის მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისგან.

წინამდებარე ნაშრომის ფოკუსში მოექცა **პოლიტიკური ნეოლოგიზმები,** როგორც თანამედროვე ეპოქის დამახასიათებელი მძლავრი ტენდენცია. რამდენადაც პოლიტიკა ლოკალურზე მეტად გლობალური მოვლენაა და ე. წ. „ნიუსები“ მუდმივად აშუქებს ამა თუ იმ ქვეყანაში, თუ ქვეყნებს შორის მიმდინარე მოვლენებს, პოლიტიკური ნეოლოგიზმების თარგმნაც აქტუალური პრობლემაა. პოლიტიკური ტექსტების თარგმანი რთული საკითხია. ნეოლოგიზმების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მკვლევარის, პიტერ ნიუმარკის მიხედვით, პოლიტიკური ენის თარგმანის პრობლემა ის არის, რომ ის აბსტრაჰირების აბსტრაჰირებაა [Newmark, 1988, 141].

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ პოლიტიკურ ნეოლოგიზმებს და შევეცდებით დავადგინოთ, თუ რა მასშტაბით ხდება ინგლისურენოვანი პოლიტიკური ნეოლოგიზმების ქართულში გადმოტანა, და იმ თარგმნითი სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყოფა, რომლებიც მათი ტრანსპოზიციისათვის არის საჭირო. გამოყენებული რესურსები მოიცავს ინგლისურენოვან ტექსტებს და საგაზეთო სტატიებს ინტერნეტ სივრციდან. ქართულენოვანი თარგმნითი ეკვივალენტებიც ინტერნეტ მასალებს ეფუძნება.

პოლიტიკური ნეოლოგიზმები

ენა, რომელსაც პოლიტიკოსები იყენებენ და ასევე ის ენაც, რომელიც პოლიტიკური პირების თუ მოვლენების აღწერისა და შეფასებისათვის გამოიყენება, სპეციფიკური მახასიათებლებით გამოირჩევა. პოლიტიკის ენას ახასიათებს სიმართლის შენიღბვის, ნახევარი სიმართლის გამჟღავნების, ორაზროვანი გამონათქვამების, შერბილების, საზოგადოებრივ აზრზე ვერბალური საშუალებებით გავლენის მოხდენის ტენდენციები. ასევე პოლიტიკური ენის დამახასიათებელია ოპონენტებთან საბრძოლველად ვერბალური საშუალებების ოსტატური გამოყენება. იმისათვის, რომ ჩრდილი მიაყენონ, დასცინონ, დაამცირონ მოწინააღმდეგე მხარე, პოლიტიკოსები ძალას არ იშურებენ

ეფექტიანი ტერმინოლოგიისა თუ ფრაზეოლოგიის გამოსაძებნად. ამას თუ დავუმატებთ თანამედროვე ეპოქის დამახასიათებელი მოვლენებისათვის სახელდების საჭიროებას, მივიღებთ ლექსიკის საკმაოდ სოლიდურ სეგმენტს, გაჯერებულს სხვადასხვა სემანტიკისა და მიზანმიმართულების ახალი ტერმინოლოგიით, რომელსაც ჯეროვანი თარგმანი სჭირდება იმისათვის, რომ ერთა შორის ინფორმაციის გაცვლა სათანადო დონეზე მოხდეს.

თითქმის ყველა პოლიტიკური ტერმინი ამა თუ იმ ეტაპზე პოლიტიკური ნეოლოგიზმი იყო. როგორც ცნობილია, მემარჯვენეობამ და მემარცხენეობამ პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა 1789 წელს საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ. ბოლშევიკობა, როგორც ცნება, არსებობს 1917 წლიდან, მას შემდეგ, რაც ლენინის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია უმრავლესობაში მოვიდა გასაბჭოებული რუსეთის ხელისუფლებაში. პოლიტიკურ ტერმინთა უმრავლესობას თავისი შექმნის ისტორია აქვს. მათი ენაში დამკვიდრება კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ნეოლოგიზმით აღნიშნული ცნება. პოლიტიკურ ნეოლოგიზმთა ის ჯგუფი, რომელიც ეროვნული ან საერთაშორისო თვალსაზრისით მეტ დატვირთვას ატარებს, ენის განუყოფელი ნაწილი ხდება. დღევანდელი ინტერნაციონალიზმების უმეტესობა ოდესღაც პოლიტიკური ნეოლოგიზმები იყო: **Genocide – გენოციდი** (1944), **Meritocracy – მერიტოკრატია** (1958), **homophobia - ჰომოფობია** (1969), **heterosexualism – ჰეტეროსექსუალიზმი** (1979) და ა.შ.

ფრანგი ლექსიკოგრაფი ალან რეი თავის ნაშრომში ***"Essai de definition du concept de neologisme"*** ხაზს უსვამს ლინგვისტური ნეოლოგიზაციის სოციალურ და პრაგმატულ ასპექტებს და გამოყოფს ერთ, პოლიტიკური ნეოლოგიზმებისათვის მეტად მნიშვნელოვან მახასიათებელს: *"The creation of neologisms cannot be dissociated from individual creators who are integrated into a community and use it in discourse for expressing themselves in a particular situation"* [Rey, 1995, 66]. როგორც ციტატიდანაც ჩანს, ნეოლოგიზმები უკავშირდება კონკრეტულ ინდივიდებს, რომლებიც კონკრეტული საზოგადოების წევრები არიან და, ამგვარად, კონტექსტს და ნეოლოგიზმის ავტორს

სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს ამ მიმართებით. დღესდღეობით პოლიტიკური ნეოლოგიზმების შექმნის და ლექსიკაში დამკვიდრების პრეროგატივა თვით პოლიტიკოსებს და ჟურნალისტებს ეკუთვნის. ბევრ პოლიტიკურ ნეოლოგიზმს აქვს არა მარტო ფორმირების თარიღი და კონკრეტული კონტექსტი, არამედ ჰყავს ავტორიც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ინგლისური ენა ძალიან დიდი რაოდენობით ითვლის პოლიტიკურ ნეოლოგიზმებს, თარგმანის კუთხით არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რომელთაც ექსტრალინგვისტური მიზეზები აქვს. პირველ რიგში, ეს არის ნეოლოგიზმით აღნიშნული ცნების ან მოვლენის გაშუქების მასშტაბები. ლოკალური მასშტაბის მოვლენათა ამსახველი ნეოლოგიზმები ძირითადად უთარგმნელი რჩება, ხოლო თუ მოვლენა გლობალურია ან რეზონანსული, პოლიტიკური ნეოლოგიზმები არც თუ იშვიათად ინტერნაციონალიზმების სტატუსს იძენენ. პოლიტიკური ნეოლოგიზმების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია შეფასებითი კომპონენტი. იდეოლოგიურად დეტერმინირებული პოლიტიკური ნეოლოგიზმი არა მარტო კონკრეტული ცნების ან მოვლენის სახელდების, არამედ შეფასების მცდელობაცაა.

პოლიტიკური ნეოლოგიზმების პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ, იდეის სიახლის მიუხედავად, მათი ბგერითი ფორმა ნაცნობია. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ ყველაზე უფრო წარმატებული პოლიტიკური ნეოლოგიზმები წარმოიქმნება: ა) უკვე არსებული პოლიტიკური ნეოლოგიზმების ან ტერმინების საფუძველზე; ბ) ჩვეულებრივი სამეტყველო ლექსიკური ერთეულების ერთმანეთთან უჩვეულო შეწყობით; გ) კლასიკური ენებიდან აღებული სიტყვის ფუძეების და აფიქსების უჩვეულო შერწყმით; დ) მნიშვნელობის გადააზრებით. ეფექტიანი პოლიტიკური ნეოლოგიზმის შექმნის აუცილებელი პირობაა გარეგნული და შინაგანი ფორმისა და სემანტიკის ჰარმონიზაცია. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ის იქცეს ნამდვილ შეტყობინებად, აზრის ფორმირების ხორცშესხმად.

პოლიტიკური ნეოლოგიზმების თარგმანში ტრანსპოზიციის საკითხი

პოლიტიკური ნეოლოგიზმების თარგმნისას გამოიყოფა ერთი ტენდენცია - მათი წყარო ენიდან სამიზნე ენაში გადატანა სხვა სფეროს ნეოლოგიზმებზე უფრო უმტკივნეულოა და ამის ძირითადი მიზეზია პოლიტიკურ ნეოლოგიზმთა ბგერითი ფორმის ნაცნობობა: ენის სტანდარტული ლექსიკის, ქვეყნების და ცნობილი ადამიანების საკუთარი სახელების, კლასიკური ენების ინტერნაციონალურ აფიქსებად ქცეული ლექსიკური ერთეულების ინტენსიური გამოყენება ნეოლოგიზმთა წარმოებისას. რადგან საკუთარი სახელები და კლასიკურ ენათა ლექსემები ტრანსლიტერაციული ეკვივალენტით გადადის ერთიდან მეორე ენაში, თარგმანი არ მოითხოვს დიდ ძალისხმევას, იშვიათი გამონაკლისების გარდა.

კონკრეტული ნეოლოგიზმების განხილვისას პირველ ნიმუშად ავიღოთ ყველასთვის კარგად ნაცნობი **Brexit**, რომელიც ქართულში **ბრეგზიტის** სახით დამკვიდრდა და რომელმაც 2017 წლის სიტყვის სტატუსიც შეიძინა, რამდენადაც ტერმინმა საოცარი სისწრაფით მოიპოვა პოპულარობა და ახალი ნეოლოგიზმების წარმოების მხრივ საკმაოდ პროდუქტიულია. ტერმინი უკავშირდება 2016 წლის დიდი ბრიტანეთის რეფერენდუმის შედეგებს, სადაც მოსახლეობის 53%-მა დააფიქსირა ევროკავშირის დატოვების სურვილი. წარმოების მიხედვით **Brexit** ორი სიტყვის (Britain, Exit) შერწყმით, ე. წ. „ბლენდინგით“ მიღებული ფორმაა 2012 წელს შექმნილი **Grexit**-ის საფუძველზე (Greek, Exit). ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, **Brexit** იმდენად პოპულარული გახდა, რომ დასაბამი მისცა სხვა ახალ ნეოლოგიზმებს: **Frexit** (France, Exit) და **Nexit** (Netherlands, Exit) პოლიტიკაში და **Bradxit** და **Mexit** კულტურის და სპორტის სფეროში, სადაც პირველი ბრედ პიტის და ანჯელინა ჯოლის დაშორებას აღნიშნავდა, მეორე კი - ლაიონელ მესის დიდი ფეხბურთიდან წასვლას [https://www.theguardian.com/books/2016/nov/03/brexit-named-word-of-the-year-ahead-of-trumpism-and-hygge]. ამგვარად, სიტყვამ **Exit** შეიძინა ახალი - სუფიქსის - სტატუსი და შესაძლოა, შემდგომშიც აწარმოოს ბევრი ნეოლოგიზმი. კოლინსის ლექსიკონმა ახლახან **ბრეგზიტი** თავის სიტყვათა მარაგში შეიტანა. რაც შეეხება ქართულ თარგმანს, ის ტრანსლიტერაციით არის გადმოტანილი საქართველოში მოქმედი ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესდების მიხედვით, რომელიც 1989 წელს საქართველოს

მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ დამტკიცდა [http://www.sakpatenti.gov.ge/ka/page/35/]. სხვანაირად ვერც იქნებოდა, რამდენადაც ***ბლენდების*** შემთხვევაში კომპონენტების გაშლა და მათი თარგმანი ჩვეულებრივ არ ხდება.

ძალიან ჰგავს თავისი შექმნის ისტორიით **Brexit**-ს პოლიტიკური ნეოლოგიზმი **Watergate**, ქართულში **უოტერგეიტის** ფორმით წარმოდგენილი. ინგლისური ნეოლოგიზმის წარმოშობა უკავშირდება აშშ დემოკრატიული პარტიის **Watergate**-ის სახელით ცნობილი ცენტრალური ოფისის ძარცვას და დიდ პოლიტიკურ სკანდალს 1972 წელს, ნიქსონის პრეზიდენტობის პერიოდში. მიუხედავად საკმაოდ ხანდაზმული ასაკისა, სიტყვა კვლავ ძალიან აქტუალურია. ***The Telegraph*** აღნიშნავს, რომ **უოტერგეიტი** ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური სიტყვაა, დევიდ კრისტალმა კი ის 100 ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვის ნუსხაში შეიტანა. **უოტერგეიტ**-ის საფუძველზე, ყველანაირი პოლიტიკური სკანდალისა და უხერხულობის სახელდებისთვის გაჩნდა სუფიქსი – **gate** (***Spitzgate, Weinergate, Melaniagate***). რაც შეეხება ქართულ ვარიანტს, ის, ისევე, როგორც **Brexit**-ის შემთხვევაში, ტრანსლიტერაციაა, ოღონდ არა „ბლენდის“, არამედ საკუთარი სახელის, რომელიც ისედაც არ ითარგმნება.

ტრანსლიტერაციის გზით არის გადმოტანილი ქართულში ასევე 2017 წლის პოპულარული ნეოლოგიზმების სიაში შესული **Trumpism**, რომელიც, სავარაუდოდ, აქტუალობას კიდევ დიდი ხანი არ დაკარგავს პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით. სიტყვა აშშ პრეზიდენტის – ტრამპის – გვარზე ბერძნული ინტერნაციონალური პროდუქტიული **-ism** სუფიქსის დართვით მიიღება. შინაარსით **„ტრამპიზმი“** ნიშნავს ტრამპის ფილოსოფიურ ხედვას და მის მიერ გატარებულ „ამერიცენტრისტულ“ (Americentrism) პოლიტიკას, ან ზოგიერთ კონტექსტში – ტრამპის გამონათქვამებს.

ზუსტად ანალოგიური ვარიანტებია წარმოების და თარგმანის თვალსაზრისით ამერიკის და სხვა ქვეყნების ლიდერების გვარებზე **-ism** სუფიქსის დართვით მიღებული

Clintonism, Obamaism, Bushism და **Thatcherism**. ყველა შემთხვევაში, გარდა ერთისა (**Bushism**), ნეოლოგიზმები აღნიშნავენ ამ სახელმწიფო მოღვაწეთა გატარებულ პოლიტიკას და მსოფლმხედველობას. „**ბუშიზმით**“ კი აღინიშნება პრეზიდენტის არასტანდარტული, შეცდომით წარმოთქმული ფრაზები და გამოთქმები, რის გამოც ის ხშირად ხდებოდა მედიის და საზოგადოების კრიტიკის ობიექტი. ქართული ვარიანტები მოცემულ შემთხვევებშიც ტრანსლიტერაციულია.

ბერძნული სუფიქსის –**phobia**-ს პროდუქტიულობა და აქტუალურობა მრავალ ნეოლოგიზმში იკვეთება და ამისი მიზეზი დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკისა და სოციალური ურთიერთობების მახასიათებლებში უნდა ვეძებოთ. 1969 წელს შექმნილი **homophobia**-დან დაწყებული, მისი აქტუალობა არ განელებულა. 70-იანი წლებში გაჩნდა **Islamophobia,** რომელიც უფრო აქტუალური გახდა 2001 წლის 11 სექტემბრიდან. შემდეგ იყო **Europhobia** და სხვა მსგავსი ტერმინები. უფრო ახალი ტენდენციაა ამ სუფიქსის საკუთარ სახელებზე დართვით წარმოებული პოლიტიკური ნეოლოგიზმები, რომლებიც ცნობილი პოლიტიკური ფიგურების მიმართ არსებულ უნდობლობასა და სიძულვილს გამოხატავენ. ასეთებია: **Baraknophobia, Obamaphobia, Palinophobia, Clintonophobia**. რამდენადაც ამ სიტყვებს დატვირთვა აქვთ მხოლოდ აშშ-ს საშინაო პოლიტიკის კონტექსტში, ნეოლოგიზმების გადმოტანის აუცილებლობა არ დგას, განსხვავებით ზემოთ ნახსენები **Islamophobia** და **Europhobia**-სგან, რომელთა გლობალურმა მნიშვნელობამაც განაპირობა მათი ქართულში დამკვიდრებაც. თარგმნითი სტრატეგია აქაც ტრანსლიტერაციაა, რადგან სიტყვები ეფუძნება ენაში დიდი ხნის დამკვიდრებული ინტერნაციონალიზმებისა და კლასიკური სუფიქსის შერწყმას.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, პოლიტიკური ნეოლოგიზმების მაწარმოებელ ცალკეულ სიტყვებს, მორფემებს და აფიქსებს თან ახლავს შეფასების ელემენტიც. ჩვენ მიერ აქამდე მოყვანილი ყველა ნიმუშის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი, გარდა **Brexit**-ისა, შეფასების მხრივ ნეგატიურია და მათთან კომბინირებული ნებისმიერი სიტყვა ასევე ნეგატიურად აღიქმება. ამ ტენდენციის საპირისპიროა პროდუქტიული ბერძნული

სუფიქსის - **philia**-ს (მეგობრობა, სიყვარული) კომბინირება სხვადასხვა ფორმასთან. სიტყვათა შერწყმის საფუძველზე წარმოიქმნება დადებითი შეფასების მატარებელი ნეოლოგიზმები: **Obamaphilia, Baracaphilia, Palinaphilia**. რადგან ეს ნეოლოგიზმები საკუთარი სახელისა და ინტერნაციონალური სუფიქსის კომბინაციაა, თარგმანი ისევ ტრანსლიტერაციულია.

უარყოფით და დადებით შეფასებებს შორის არ არსებობს მკვეთრი პოლარობა, ის შეიძლება შეიცვალოს. არსებითი სახელი **-mania**, რომელიც ლათინურის გავლით 1400 წელს ბერძნულიდან შევიდა ინგლისურში აღტკინებისა და ბოდვის მენტალური აშლილობის მნიშვნელობით, თავიდან ცალსახად უარყოფით დატვირთვას ატარებდა [https://www.google.ge/search?q=mania+etiymology&oq=mania+etiymology&aqs=chrome..69i57.5743j0j9&sourceid=chrome&ie=UTF-8]. მე-16 საუკუნეში ამ ფორმამ დამოუკიდებელი სიტყვის პარალელურად, სუფიქსის სტატუსი შეიძინა და გამოიყენებოდა შერწყმულ ფორმებში მეორე ელემენტის სახით. სიტყვა, რომელიც მისი დართვით იწარმოებოდა, თავისთავად უარყოფით შინაარსს ატარებდა. მე-20 საუკუნის ბოლოს სიტყვა – **მანია**-მ აზრი შეიცვალა, რამაც გამოიწვია მისი შეფასებითი ნაწილის შეცვლაც. 2008 წელს მაკმილანის ლექსიკონმა დააფიქსირა მანიის შემდეგი მნიშვნელობა: "An extremely strong enthusiasm for something, especially among a lot of people" [https://www.macmillandictionary.com/dictionary/british/mania_1]. საკუთარი სახელების და მანიის შეერთებით შეიქმნა ისეთი ნეოლოგიზმები, როგორებიცაა: **Obamamania, Obamania** და შემდგომ, **Palinmania, Clinton mania, Romneymania**. მოცემულ შემთხვევებში ეს სიტყვები არ იძლევა ცალსახად უარყოფით მნიშვნელობას. პირიქით, ისინი შინაარსით ახლოს არის ისეთ ნეოლოგიზმებთან, როგორებიცაა: **ობამაფილია, კლინტონოფილია.** ასე, **ობამამანიას** განმარტებაა: *"The fervent enthusiasm demonstrated by some supporters of Senator Barack Obama during his campaign for the US Presidency in 2008".* [https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/obamamania]. ამიტომაა, რომ ნეოლოგიზმის თარგმნა ხშირად არ ნიშნავს, რომ ის სათანადოდ იქნება აღქმული და ეს ხაზს უსვამს პოლიტიკური კონტექსტის ცოდნის აუცილებლობას.

პორტმანტუს ანუ სიტყვათა შერწყმის (blending) ნიმუშებია **AfPac, Chindia, Eurabia,** სადაც პირველ შემთხვევაში გვაქვს გეოგრაფიულად ერთ სივრცეში მდებარე და საერთო პრობლემების მქონე ტერიტორია (ავღანეთი და პაკისტანი); მეორეში აქცენტირებულია ერთმანეთის მეზობლად მდებარე ჩინეთი და ინდოეთი, რომლებიც ხასიათდება ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკით. **Eurabia** კი - ევროპისა და არაბეთის ხელისუფლებების ვითომდა საფრანგეთის არაბიზაციისათვის ფარული მოლაპარაკების შესახებ შეთქმულების თეორიის სახელია. სამივე „ბლენდი“ ქართულში ტრანსლიტერაციული ვარიანტების შერწყმითაა მიღებული: **ავპაკი, ჩინდოეთი, ევრაბია.**

საგარეო პოლიტიკის ნეოლოგიზმები სახელმწიფოს განვითარების კონკრეტულ პერიოდში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე მიუთითებს. ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლა და „გეოპოლიტიკური კატასტროფა“ ყოველთვის ხასიათდება პოლიტიკური ნეოლოგიზმების სიუხვით. საბჭოთა კავშირის ნგრევის და მსოფლიოს ბიპოლარული სისტემის დაშლის შემდეგ ახალი გეოპოლიტიკური რეალობის ამსახველი გახდა ისეთი პოლიტიკური ნეოლოგიზმები, როგორებიცაა: **Multipolar World – მრავალპოლარული სამყარო** და **The Clash of Civilisation – ცივილიზაციათა შეჯახება**. მოცემული ნეოლოგიზმები ენის სტანდარტული ლექსიკური ერთეულების ახალი შინაარსით დატვირთვის საფუძველზე წარმოიშვა. თარგმანიც თავისთავად ეფუძნება ერთი ენის ლექსიკური ელემენტების მეორე ენის ელემენტებით სტანდარტულ დენოტაციურ ჩანაცვლებას.

9/11-ს შემდეგ ამერიკულ ინგლისურში გაჩნდა მთელი რიგი პოლიტიკური ნეოლოგიზმები, რომლებიც აშშ-ს ადმინისტრაციის ახალ პოლიტიკურ კურსს ასახავდნენ. მათგან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტერმინი გახდა **Axis of Evil** – ჯორჯ ბუშ უმცროსის 2002 წლის 29 იანვარს გაჟღერებული ნეოლოგიზმი, რომელმაც დააბრუნა ცივი ომის დაპირისპირებულობისა და მსოფლიო ბიპოლარულობის განცდა. **Axis of Evil** ასახავს შტატების დამოკიდებულებას „არადემოკრატიული სახელმწიფოების“ მიმართ და ასევე უკავშირდება **Rogue state**-ის ცნებას, რომელიც

დღემდე დიდ როლს თამაშობს შტატების პოლიტიკური კურსის დაგეგმვასა და ანალიზში. **Axis of Evil** ასოციაციურად უკავშირდება ნახევარი საუკუნით ადრე შექმნილ ცნებას მკვეთრად გამოხატული ნეგატიური სემანტიკით - **Evil Empire**. **Axis of Evil**-ში ჩადებული იდეის აღქმის გამარტივებისათვის და საშიშროების ეფექტის გასაძლიერებლად მისი ფორმირებისას აღებულ იქნა ასევე **Axis Powers**-ის შემადგენელი კომპონენტიც, რომლებიც, თავის მხრივ, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ალიანსის მოწინააღმდეგე ქვეყნებს – გერმანიას, იაპონიას და იტალიას აღნიშნავდა. ძველი ნეოლოგიზმების კომპონენტების გაერთიანებით და ალუზიური კავშირებით ახალ ნეოლოგიზმში – **Axis of Evil –** ჩაიდო ბოროტების იდეა, თავის მხრივ კი, ამ ნეოლოგიზმმა დასაბამი მისცა სხვა ნეოლოგიზმებს. ესენია: **Axis of the Willing, Axis of Weasels, Axis of Eve, Axis of the Medieval.** რაც შეეხება **Axis of Evil**-ის ქართულ შესატყვისს, ის, ისევე როგორც **Evil Empire** – **ბოროტების იმპერია,** ნასესხები თარგმანით არის წარმოდგენილი – **ბოროტების ღერძი**.

არსებული სიტყვების ძველი მნიშვნელობების გადააზრება და მათთვის ახალი მნიშვნელობების მინიჭება პოლიტიკური ნეოლოგიზმების მნიშვნელოვანი წყაროა. მრავალკომპონენტიანი ისტორიული ტერმინის გადააზრების საშუალებით შეიქმნა ნეოლოგიზმი **Tea Party**, რომელიც აღნიშნავს პოპულისტურ კონსერვატიულ-ლიბერალურ პოლიტიკურ მოძრაობას, რომელიც 2009 წელს დაიწყო შტატებში ბარაკ ობამას მიერ განხორციელებული პოლიტიკის წინააღმდეგ. ნეოლოგიზმი 1773 წლის ბოსტონის ჩაის სმის ალუზიაა. ქართულ ბეჭდურ მედიაში და ინტერნეტ სივრცეში მოცემული ნეოლოგიზმი გადმოვიდა სტანდარტული თარგმნითი ეკვივალენტით, როგორც **ჩაის წვეულება.** მოცემული ნეოლოგიზმი იმდენად ფართოდ გამოიყენებოდა აშშ-ში, რომ მალე თავად გახდა ახალი სიტყვათშეთანხმებების საფუძველი. ასეთებია: **Tea Party GOP, Tea Party Movement**, **Tea Party Patriots, Tea Party Rebellion, Tea Party Candidates, Tea Party Extremists** და ა. შ.

აშშ და მსოფლიო პოლიტიკის თვალსაზრისით გარდამტეხი აღმოჩნდა რესპუბლიკელი მილიარდერის, დონალდ ტრამპის, გაპრეზიდენტება დემოკრატი ბარაკ ობამას

შემდგომ. როგორც საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, რადიკალური აზრებით და მკვეთრად განსხვავებული პოლიტიკური დამოკიდებულებებით, ტრამპი მრავალფეროვან ემოციებს აღძრავს როგორც ამერიკელ, ისე – მსოფლიოს სხვა ხალხებშიც. საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში მისმა მოქცევამ თავისი შედეგი გამოიღო ენობრივი თვალსაზრისითაც და გაჩნდა მრავალი ნეოლოგიზმი ტრამპის ფიგურის, მისი დამოკიდებულებების და მიზნების, მისი მხარდამჭერების აღსანიშნავად. პროცესი იმდენად მასშტაბურია, რომ ოქსფორდის ლექსიკონი ტრამპთან დაკავშირებული ნეოლოგიზმების ლექსიკონში დაფიქსირებასაც კი განიხილავს [https://www.theguardian.com/books/2017/jan/30/oxford-dictionary-donald-trump-neologisms]. ეს ნეოლოგიზმები მრავალფეროვნებით გამოირჩევა: **Trumpistan** – **ტრამპისტანი** (ტრამპის მიწა), **Trumposphere** - **ტრამპოსფერო**, **Trumpanzees** – **ტრამპანზეები** (ტრამპის პოლიტიკის ბრმად მოტრფიალენი), **Trumpists** – **ტრამპისტები**, **Trumpettes** – **ტრამპეტები** (ტრამპის მხარდამჭერი ქალები), **Trumponomics** – **ტრამპონომიკა** და მრავალი სხვა. თარგმანის თვალსაზრისით ეს ნეოლოგიზმები, რამდენადაც თავად პორტმანტუებია და რადგანაც გვარისა და ინტერნაციონალური სტატუსის მქონე სტანდარტული ენობრივი ერთეულის ნაწილის შერწყმაა, თარგმანშიც საკმაოდ მარტივად გადადის. ფორმები ქართველი ადამიანისთვისაც არ ტოვებს შეკითხვებს გაგების თვალსაზრისით გარდა ერთი ფორმისა – **Trumpettes** – **ტრამპეტები** (ტრამპის მხარდამჭერი ქალები), სადაც აღქმისა და თარგმანის სირთულეს წარმოადგენს მდედრობითი სქესის სუფიქსის უთარგმნელობა ქართულში.

განვიხილოთ კიდევ ერთი ნეოლოგიზმი, ასევე სტანდარტული ენობრივი ერთეულებით შედგენილი **Political Correctness.** მისი პოლიტიკურ სფეროში გამოყენება 1990-იანი წლებში **The New York Times**-იდან იწყება. ტერმინში იგულისხმება ისეთი საუბრისა და მოქმედებისგან თავის შეკავება, რომელმაც შესაძლოა გაანაწყენოს საზოგადოების გარკვეული ნაწილი ან ეთნიკური და სექსუალური უმცირესობები. შესაბამისად, საჭირო ხდება სიტყვებისა და ქმედებების მუდმივი კონტროლი იმისათვის, რომ ვინმემ თავი დისკრიმინირებულად არ იგრძნოს. ტერმინის ქართული თარგმანი ორ ვარიანტად არის წარმოდგენილი და ნატურალიზებული

ტრანსლიტერაციაა – **პოლიტიკური კორექტულობა** ან **პოლიტკორექტულობა**. პირველი მათგანი არის ნასესხები თარგმანი და მეორე – ნასესხები თარგმანის შერწყმული ვარიანტი – ე. წ. „ბლენდი“.

ძალიან სწრაფად მოიპოვა მსოფლიო მასშტაბის პოპულარობა ნეოლოგიზმმა **Alternative Facts.** მისი წარმოქმნა უკავშირდება პრეზიდენტ ტრამპის მრჩევლის, კელიენ კონვეის, სახელს, რომელმაც პრესასთან შეხვედრისას 2017 წლის 22 იანვარს ინტერვიუში დაიცვა თეთრი სახლის პრესმდივანის, შონ სპაისერის, ცრუ განცხადება ტრამპის ინაუგურაციაზე დამსწრეთა რაოდენობის შესახებ. როდესაც ჟურნალისტმა ჩაკ თოდმა ჰკითხა, თუ რატომ თქვა სპაისერმა ასე ადვილად გადასამოწმებელი სიცრუე, კონვეიმ განაცხადა, რომ სპაისერს მოჰყავდა **„ალტერნატიული ფაქტები“.** თოდმა კი უპასუხა, რომ ალტერნატიული ფაქტები არ არის ფაქტები, ისინი სიცრუეა. კონვეის განმარტებას კრიტიკა და ბევრი ირონიული შეფასება მოჰყვა. ფრაზას უწოდეს ორუელისეული. საინტერესოა, რომ ინტერვიუდან 4 დღეში ჯორჯ ორუელის „1984“-ის გაყიდვა 9500%-ით გაიზარდა, ამაზონზე კი ბესტსელერი გახდა.

გარკვეულმა ნეოლოგიზმებმა ძალიან მოკლე დროში მოიპოვეს დიდი პოპულარობა. ეს ტერმინი არა მარტო ამერიკისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის აქტუალური გახდა, რადგან ის ზუსტად ასახავს პოლიტიკის ბუნებას, დაფარვის, შელამაზების, მოტყუების ტენდენციებს და, ამდენად, გლობალური მოვლენაცაა. ნეოლოგიზმი ქართულში ტრანსლიტერაციული ვარიანტით არის გადმოტანილი. მისი კომპონენტები ენაში დიდი ხნის წინ დამკვიდრებული ინტერნაციონალიზმებია. ტერმინი მორგებულია ქართული ენის მორფოლოგიურ პრინციპებს. ის, რომ ამ სიტყვამ ქართულ მედიაშიც მოახდინა ტრამპის ადმინისტრაციისგან დამოუკიდებელი მნიშვნელობის რეალიზაცია დასტურდება იმით, რომ აზერბაიჯანელი ჟურნალისტის მუხტარლის გაუჩინარების შესახებ დაიწერა სტატია სახელწოდებით „მუხტარლის გაუჩინარება - ალტერნატიული ფაქტები და მანიპულაცია „მოამბეში“, რომელშიც ნეოლოგიზმი სიმართლის შენიღბვის მნიშვნელობით არის

გამოყენებული [https://www.mediachecker.ge/ka/analizi/article/47731-mukhtarlis-gauchinareba-alternatiuli-faqtebi-da-manipulacia-moambeshi].

ამრიგად, წინამდებარე სტატიაში მიმოვიხილეთ მსოფლიო პოლიტიკის ნეოლოგიზმების ნიმუშები, გამოვყავით პოლიტიკური ნეოლოგიზაციის მიმდინარე ტენდენციები და თარგმანის საკითხები. სხვადასხვა ტიპის ნეოლოგიზმის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია, გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

პოლიტიკური ნეოლოგიზმების წარმოშობა დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკური მოვლენების გამოძახილია, ისინი ასახავს მსოფლიო რეალობას და გარდა ცნებების და მოვლენების სახელდებისა, ხშირად მათი შეფასების ფუნქციასაც ატარებენ. მათი ფორმების საწარმოებლად შემთხვევათა თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობაში იყენებენ სტანდარტულ ლექსიკას ახალი მნიშვნელობით.

სიტყვაწარმოების ტიპის მიხედვით, პოლიტიკურ ნეოლოგიზმებში ჭარბობს ორსიტყვიანი კომპოზიტები და დერივაცია, შემდგომ ეპონიმები, პორტმანტუები (სიტყვათა შერწყმა) და უფრო ნაკლებად, აკრონიმია.

პოლიტიკურ ნეოლოგიზმებს ხშირად ალუზიური ბუნება აქვთ, ისინი ხშირად ასოციაციურად უკავშირდებიან პოლიტიკურად მსგავს სხვა მოვლენას ან ცნებას, ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებული პროდუქტიულობით გამოირჩევა და თავის მხრივ დასაბამს აძლევს სხვა ნეოლოგიზმებს.

თარგმანის თვალსაზრისით, პოლიტიკურ ნეოლოგიზმებს თითქმის არ უკავშირდება პრობლემები. რადგან ისინი ძირითადად სტანდარტულ ლექსიკას, საერთაშორისო სტატუსის სიტყვებს ან საკუთარ სახელებს ეფუძნება, თარგმანის პროცესი საკმაოდ უმტკივნეულოა. თარგმნით სტრატეგიებში ძირითადად დომინირებს ორი. ესენია: ნასესხები თარგმანი (კალკი) და ტრანსლიტერაციული სესხება – წყარო ენის

ნეოლოგიზმის მიმღები ენის შესაბამისი ფონოლოგიური ან მორფოლოგიური მოდიფიკაცია.

ლიტერატურა:

1. Algeo John. Fifty Years Among the New Words: A Dictionary of Neologisms 1941-1991.-Cambridge University Press.1991
2. Crystal David. English as a Global Language.-Cambridge University Press, 2003
3. Newmark Peter A textbook on translation / Shanghai Foreign Language Education Press,1988
4. Rey Alan. Essays on Terminology.-Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company,1995
5. Woodhouse S. C. English-Greek Dictionary: A Vocabulary of the Attic Language.-Routledge, 1972
6. Longman Dictionary of Contemporary English: Pearson Education-2015
7. http://agora.ge/new/10884-oqsfordis-leqsikonis-versiit-tslis-sityva-postsimartleaCollinsis-mikhedvit-Brexit-da-trampizmi

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ანა მოსაშვილი.
   ქართულ-ამერიკული დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება---------- 3
2. ანა სახვაძე.
   თიხის სანელსაცხებლები ურბნისიდან----------14
3. გიორგი ვახტანგიშვილი .
   პოსტსაბჭოთა რუსეთის პირველი ინტეგრაციული პროექტების წარუმატებლობის მიზეზები და საქართველო----------27
4. დიანა ტერ-ბაღდასაროვი.
   ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H404 ხელნაწერში დაცული გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრება“----------41
5. თამარ ალფენიძე.
   ზოგიერთი ოსმალური წყარო ივერონის მონასტრის მელნიქში ერთი მეტოქის შესახებ----------59
6. თეა გოგოლიშვლი.
   „Robustos Viribus“ ქართველები და „Effeminatus“ ბერძნები----------67
7. კობა კობერიძე.
   გვიანანტიკური ხანის სამარხი გუდაბერტყადან----------77
8. მანუჩარ გუნცაძე.
   ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ეკონომიკური მხარე----------92
9. ნიკოლოზ ჟღენტი.
   მთის წმ. გიორგის მონასტრის სიწმინდეების ისტორიიდან — აგარის წმ. გიორგის ხატი და მისი წარმომავლობა----------101
10. ნინო მგალობლიშვილი.
11. ტანსაცმლის სტილის და მოხმარების ხასიათში გენდერული ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში----------115
12. ნინო მეგენეიშვილი.

წყაროებში დაცული ცნობები ბესარიონ ორბელიშვილის შესახებ----------131

13. ნინო ოთხვანი.

მტკვარ-არაქსის კულტურის ლოკალური განვითარების თავისებურება საყდრისის მაგალითზე----------143

14. ნინო ქობალია.

ოქროს მძივები წინარეანტიკური ხანის კოლხეთში----------159

15. პრზემისლავ პოლაკიევიჩი.

საწყისი დათვალიერება უცნობი კომპლექსური დასახლებისა მდინარე ჩხერის ხეობაში, სტეფანწმინდაში, დიდ კავკასიონზე, საქართველოში----------173

16. სალომე ჯამბურია.

ტურიზმის როლი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მართვაში----------193

17. ანა მაკალათია.

რამდენიმე რელიგიური სიმბოლო დ. ჰ. ლორენსის რომანში „ბუმბულიანი გველი“----------206

18. ეთერ შავრეშიანი.

ხელოვნებისა და ხელოვანის არსი აირის მერდოკის რომანში „შავი პრინცი“----------215

19. თამთა ღონღაძე.

ვაჟა-ფშაველას ზღაპრის – ,,წისქვილი“, სიმბოლურ-ალეგორიული ინტერპრეტაცია----------225

20. ირაკლი ხვედელიძე.

განმცდელი ავტობიოგრაფის ცნობიერების განსახოვნების საფუძვლები: ემოცია და კოგნიცია (აკაკი წერეთლის ჩემი თავგადასავლის მიხედვით)----------239

21. მაია კვირკველია.

მხატვრობა და ლია სტურუას რემინისცენციები----------254

22. მზისა ბუსკივაძე.

ქალური სექსუალობის განსაზღვრის საკითხი თურქი ქალი ავტორების შემოქმედებაში (ფინარ ქური და დუიგუ ასენა)----------270

23. მინდია ცეცხლაძე.
ფრიდრიხ ნიცშეს ტრაგიკული ხელოვნების კონცეფცია – გალაკტიონისეული რეცეფციის კრიტიკა----------280
24. ნატალია გვენცაძე.
სანდრო ცირეკიძის შეხედულება მინიატურული ჟანრის შესახებ----------295
25. სალომე დავითულიანი.
26. პოსტმოდერნისტული ელემენტები ჰაროლდ პინტერის პიესაში “The Homecoming“ („შინდაბრუნება“)----------304
27. ქრისტინე იაკობაძე.
ტენესი უილიამსის „ტრამვაი, რომელსაც სურვილი ჰქვიას“ ვ. ნედელინის გ. ჯაბაშვილისა და ლ. ინასარიძის თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზის პრინციპები----------310
28. ეკა ნარსია.
„მომხმარებლის გზამკვლევების“ გაგებისათვის საბანკო სფეროში----------319
29. თინათინ ვარდიძე.
პოლისემიური სიტყვების სწავლება მაღალ კლასებში----------335
30. მაია ლომია, რამაზ ქურდაძე, ნინო ჭუმბურიძე, ქეთევან მარგიანი.
რთული უარყოფითი სახელური ლექსემები ქართულ ენაში: სტრუქტურა და ფუნქციური განაწილების პრინციპები----------351
31. მარინე მჭედლიშვილი.
პოლიტიკური ნეოლოგიზმები მსოფლიო პოლიტიკის ჭრილში და მათი ინგლისურიდან ქართულში ტრანსპოზიციის საკითხი----------363